

აღქმარაი

ღუბნიჭინის მხილვა

სად ვართ სავარსებო!!!

(ჩვენი მხრვარებინ ანა-ბანა)

/ მთხნი რმოთ ნაპარანაპი /

თბილისი
2022 წ.

ალქოჩარი

*

ლუციფერის მბილება

სად ვართ საქართველო!!!

(ჩვენი ცხოვრების ანა-ბანა)

*

/წიგნი დროის ნაკარნახევი/

თბილისი

2022 წ.

ამ წიგნს ვუძღვნი საქართველოს - მოტყუებულს, გაყიდულს, გამარცხულს და განწირულს, რათა მისმა შვილებმა გაიგონ, რომ ნეოლიბერალიზმის გზით სიარული ერის თვითმკვლელობაა, რომლის შემდეგაც ჩვენი ნაკვალევი არც კი დარჩება!

ალექოჩარი

* * *

ლუციფერი კი, - გულში ფიქრობდა: ცაში ავალ, ღვთის ვარსკულავების ზემოთ დავიდგამ ტახტს, დავჯდები შეხვედრის მთაზე, შორეულ ჩრდილოეთში;

-ავალ ღრუბლების ზემოთ, უზენაესს დავემსგავსები.

ბიბლია,ესაია,14:12-14

ბიბლიის ეს თეზა შემოტანილი მაქვს ნიშნად იმისა, რომ ამერიკის შეერთებული შტატები ცდილობს რა შეცვალოს ღვთით დადგენილი კაცობრიობის განვითარების წესები, სურს მოგვევლინოს მსოფლიოს განმგედ, რაც სხვა არაფერია თუ არა ლუციფერად გამოცხადება.

წიგნი წაადგება ისტორიკოსებს, ფილოსოფოსებს და პოლიტიკით დაინტერესებულ პირებს, მათ შორის პარლამენტარებს, სასულიერო პირებსა და „სამოქალაქო საზოგადოებების“ აქტივისტებს, ყველას, ვისაც კი გული შესტკივა ჩვენი ქვეყნისა და კაცობრიობის მომავალზე.

ავტორი



ალექოზარი

აკადემიკოსი

შინაარსი

წინათქმა.....	7
თავი 1. ზოგადი დემოკრატიის,ლიბერალიზმის, ლიბერალური დემოკრატიის და ნეოლიბერალიზმის შესახებ	15
1) დემოკრატია.....	15
2) ლიბერალიზმი	16
3) ლიბერალური დემოკრატია	18
*ლიბერალიზმის შინაარსი.....	20
*ლიბერალიზმის ლეგიტიმური მიზანი	21
4) ნეოლიბერალიზმი.....	24
*ვაშინგტონის კონსესუსი	29
*ნეოლიბერალური მიმართულებები	32
*მოკლედ „შეთქმულებისა“ და „თავისუფლების“ შესახებ	33
თავი 2. ნეოლიბერალიზმის ძირითადი სამართლებრივი წინამძღვრები.....	36
თავი 3. საქართველოში ნეოლიბერალიზმის დამყარების წინა ისტორიული ვითარება	40
თავი 4. ნეოლიბერალიზმის ძირითადი ფილოსოფიური წინამძღვრები, 1997 წ-ს იანოშ კიშის მიერ გამოცემული წიგნის,- „თანამედროვე პოლიტიკური ფილოსოფიის ანთალოგიის“ მიხედვით და ჩვენი შენიშვნები	46
1) იანოშ კიშის შეფასებანი.....	46
ა მ ო ნ ა წ ე რ ე ბ ი:	
2) ისაია ბერლინის 1958 წ-ს გამოცემული წიგნიდან:“ოთხი სტატია თავისუფლების შესახებ,,,- „თავისუფლების ორი თვალსაზრისი“	54
3) ფონ ჰაიეკის 1960 წ-ს გამოცემული წიგნიდან:“თავისუფლების კონსტიტუცია“,	102
„თანასწორობა,ღირებულება და დამსახურება“	102

4) რობერტ ჰეარის 1963 წ-ს გამოცემული წიგნი: „თავისუფლება და გონიერება“	114
5) ჯონ როულსის 1971 წ-ს გამოცემული წიგნიდან: „სამართლიანობის თეორია“, - ძირითადი თავისუფლებები და მათი პრიორიტეტი“	121
6) რობერტ ნოზიკის 1974 წ-ს გამოცემული წიგნიდან: „ანარქია, სახელმწიფო და უტოპიიდან“, - “დისტრიბუციული სამართლიანობა“	160
7) მაიკლ ვოლცერის 1983 წ-ს გამოცემული წიგნიდან: „უსაფრთხოება და კეთილდღეობა“, „სამართლიანობის სფეროები“	174
8) იან ნევერსონის 1984 წ-ს გამოცემული წიგნიდან: „თანასწორობისა და თავისუფლების შეპირისპირება“, - „თავისუფლების უპირატესობა“	186
9) ელესდერ მაკინტიარის 1985 წ-ს გამოცემული წიგნიდან: „სათნობაა თუ არა პატრიოტიზმი?“	225
10) ბრუს აკერმანის 1986 წ-ს გამოცემული წიგნიდან: „რატომ დიალოგი?“	237
11) ჯოზეფ რაცის 1986 წ-ს გამოცემული წიგნიდან: „ავტონომია და ნეიტრალური დამოკიდებულების პოლიტიკა“	240
12) თ.ნაგელის 1987 წ-ს გამოცემული წიგნიდან: „მორალური კონფლიქტი და პოლიტიკური ლეგიტიმურობა“	250
13) სუზან ოკინის 1987 წ-ს გამოცემული წიგნიდან: „სამართლიანობა და სექსი“	259
14) როლანდ დვორკინის 1987 წ-ს გამოცემული წიგნიდან: „თავისუფლება, თანასწორობა კომუნა“	264
15) ჩარლზ ტეილორის 1995 წ-ს გამოცემული წიგნიდან: „ფილოსოფიური დისკუსიები“, „ლიბერალებისა და კომუნისტარების დებატები“	301
16) ამ ა მ ო ნ ა წ ე რ თ ა კონკრეტიკა.....	314
17) პუტინის სტყვა	318

თავი 5.	ნეოლიბერალიზმის გამოძახილი ქართული რეალობაში	320
თავი 6.	ევროკავშირი, მისი პოლიტიკა, პროგრამები, 12 სარეკომენდაციო მოთხოვნა	325
თავი 7.	უცხოელი ელჩების მილოცვა საქართველოს მთავრობას, 2022 წ-ის 06 ივლისს, გამართულ პრაიდ კვირეულთან დაკავშირებით	336
თავი 8.	ერიკ ს რეინენტის, წიგნის: „როგორ გამდიდრდნენ მდიდარი ქვეყნები და რატომ რჩებიან ღარიბი ქვეყნები ღარიბებად?“- ამონაწერები	338
თავი 9.	კოლონიალური ფინანსური პოლიტიკა	358
თავი 10.	რასთან გვაქვს საქმე, ანუ ლუციფერი ცდილობს დაემსგავსოს ღმერთს?	360
თავი 11.	1875 წ-ს გამოქვეყნებულ „სიონის ბრძენთა კრების ოქმებიდან“ ამონაწერები	371
თავი 12.	ებრაელთა სექტა „ხაზადის“ რავინ მ.მ. შნეერსონის 1994 წ-ს გამონათქვამები	382
თავი 13.	რას გვიპირებენ „შეთქმულები“?	386
თავი 14.	სად არის ხსნა?	392
	გამოყენებული ლიტერატურა	398

წინათქმა

რატომ დავწერე ეს წიგნი? ალბათ ყველა ნამდვილი მამულიშვილი მოიქცეოდა ისე, როგორც მე, რომელმაც შევიცანი რა ქვეყანაში მიმდინარე მისი დამღუპველი მოვლენები, დავწერე მოცემული განგაშის ზარის ამტეხი წიგნი, რათა გამოიღვიძოს ერმა და გადარჩენის მიზნით თავიდან აიცილოს დამღუპველი რისკები.

ჩვენი ქვეყანა, რომელიც ადრე ისე იყო განვითარებული აგრარულურად თუ ინდუსტრიულად, რომ იდგა მოწინავე ქვეყნების რიგში, სადაც ყველა იყო დასაქმებული, მეტ-ნაკლებად სუფევდა სოციალური სამართლიანობა, ყვავოდა ეროვნული კულტურა და არ იყო ხვალინდელი დღის შიში. უცბათ, საბჭოთა კავშირის დანგრევის შემდეგ, მოსახლეობა მოექცა რა „უმეცრების საფარ“ ქვეშ, მალევე გაძარცვეს მისი ფაბრიკა-ქარხნები, წარმოების სხვა ძირითადი საშუალებები და ნაძარცვი ჯართად გაიტანეს თურქეთში. ხოლო მისი უძრავი ქონება, ერის უმთავრესი სიმდიდრის, - მიწის უდიდესი ნაწილი, - ფსევდო პრივატიზაციით მიითვისეს შემთხვევითმა პირებმა, რაც გრძელდება დღემდე და რაც საფრთხეს უქმნის ეროვნულ სუვერენიტეტს.

იდეოლოგიის გარეშე დარჩენილ საქართველოში, ექსპანსიურად შემოიჭრა რა ნეოლიბერალური მიმდინარეობა, რომელიც მსოფლიოს თავიუფალი ვაჭრობისა და გლობალიზმის ფუძეს წარმოადგენს, და მათი გზამკვლევია, ქვეყანა მოაქცია შრომის მსოფლიო დანაწილების გზით, - განვითარებულ კაპიტალისტური სახელმწიფოების მოსამსახურეთა რიგში. რამაც განაპირობა ის, რომ უმუშევრობის გამო მოსახლეობის ნახევარზე მეტმა მიატოვა სამშობლო და ლუკმა პურის საშოვნელად გავიდა უცხოეთში. საზღვარგარეთიდან შემოტანილმა სოფლის მეურნეობის პროდუქტებმა კი, დაიპყრო ბაზარი, შედეგად მაღალი წარმოებითი ხარჯების გამო ვერ გაუძლო სოფელმა კონკურენციას, გლეხმა მიატოვა მიწა და საშოვრზე ქალაქს მიაშურა. ინფლაციასთან ერთად დღითიდღე იზრდება ფასები ყველაფერზე, ხელისუფლება, მოქალაქეთა უფლებების შეზღუდვის ხარჯზე კი დადგენილი ჯარიმებითა და გადასახადების გაზრდით ბიუჯეტის გაფართოებაზეა ორიენტირებული, რის უდიდეს ნაწილსაც,

ინდუსტრიის განვითარების ნაცვლად სკვერ - ბაღების მოწყობაზე ახარჯებს, ხოლო, „სტრატეგიული პარტნიორის“ მიზნობრივმა დაფინანსებამ, რომლის უდიდესი ნაწილიც მის მიერვე შექმნილ „სამოქალაქო საზოგადოებებს“ ხმარდება, - ჩვენი ქვეყანა აქცია საქველმოქმედო კოლონიად.

ასეთ ვითარებაში, ახალგაზრდობა, რომელიც სავსეა ენერჯითა და მისწრაფებებით, და ცდილობს თავის დამკვიდრებას, ნაწილობრივ მიუყვება უმუშევართა გზას, ნაწილი კი, გამოუვალობის გამო იყიდება უცხოურ ვალუტაზე და ფსევდო „ადამიანის უფლებების“ დამცველთა არმიას, დაარსებულს ჩვენივე ფსევდო კეთილმოსურნის მიერ, და მისივე მფარველობის ქვეშ მყოფ სამასამდე არსებულ „სამოქალაქო საზოგადოებას“ უერთდება. და სახელმწიფოებრიობის შესუსტების მიზნით, მუდმივად უპირისპირდება ხელისუფლებას და არყვევს მთავრობას, რაც მათი დამაფინანსებელ დასავლელი ქვეყნების ინტერესებში შედის, რამეთუ ქვეყნის პოლიტიკურ ძალთა დაპირისპირებაზე, რაზეც მიბმული ყავთ ხალხთა მასები, მათი სკანდალზე ყურადღების გადატანით ადვილად ახერხებენ ნეოლიბერალური კონცეფციების ცხოვრებაში გატარებას. იგი მიზნად ისახავს, არამარტო ჩვენი ქვეყნის სრულ კოლონიზებას, არამედ ჩვენი ისეთი საკრალური ღირებულებების გაუქმებას, როგორცაა: ზნეობა, მორალი, სიკეთე, ისტორია, სარწმუნეობა, სქესი, ოჯახი, ეროვნულობა და სახელმწიფოებრივობა, -ადამიანის ბოლომდე გავლურების, ე.წ „ატომიზაციის“ გზით. რათა ხალხის არარაობამდე დაყვანა-განადგურებით მსოფლიო სიონიზმმა კაცობრიობაზე მოიპოვოს სრული და ლეგიტიმური გამარჯვება, მათზე აღმატებულობით, როგორც ეს ნათქვამია ბიბლიაში. ამერიკის შეერთებული შტატებიც, რომელიც მათი უმაღლესი ელიტის სამხედრო-პოლიტიკური მექანიზმია, - ამავე მიზანს ემსახურება.

უნდა აღინიშნოს, რომ ნეოლიბერალთა მცდელობა, ხალხის კულტურულ, სოციალურ თუ ისტორიულ ღირებულებათა განადგურების თაობაზე, მთლა შტატების მოსახლეობის შინაგანი მისწრაფებებითა თუ გრძნობებით კი არ არის განპირობებული, არამედ უმდიდრესთა ხელში არსებული ტრანსნაციონალური კომპანიების შორს გამიზნული გეგმებით.

ჩვენი ინტელიგენციის განსწავლული აკადემიური ნაწილი კი,

რომელმაც წინა წყობილების დანგრევის პროცესში, ხელი მოიტბო „ხალხის უმეცრების“ ხარჯზე, გაიუმჯობესეს ცხოვრების პირობები, მერკანტელური მოსაზრებიდან გამომდინარე, იქცევა ისე, თითქოსდა ვერ ხვდებოდეს, თუ რა ხდება საქართველოში და იკავებს ქვიშაში თავჩაყოფილ სირაქლემას პოზიციას. არ სურს შეასრულოს თავისი როლი, გამოვიდეს კომფორტის ზონიდან და გახდეს მესაჭე მიმდინარე ისტორიული პროცესებისა. სწორედ ეს განაპირობებს გამოუცდელი ახალგაზრდობის უცხოთა ხელში მოქცევასა და ალენ დალესის თეორიის მიხედვით, მათივე ხელით ეროვნულ სხეულს გახრწნას. იყენებენ რა ლიბერალები „უმეცრების საბურველის“ თეორიას, პროპორციული საარჩევნო სისტემით საკანონმდებლო ორგანოში მოყავთ ხალხისთვის უცნობი, ხშირად უღირსი, მაგრამ თავისთვის ნაცნობი და მისაღები პირები, რომლებიც მათივე სამსახურში დგებიან და ინსტიტუციონალურ დონეზე ეხმარებიან ცივლიზაციის დამანგრეველი კონცეფციების გატანა-დაკანონებაში და ჩვენი ცხოვრების მათი სურვილების შესაბამისად მოწყობაში.

როგორც ანალიზი გვჩვენებს, საქართველოში ქართველი კაცისათვის აღარასოდეს იქნება მშვიდობა, ვიდრე იარსებებს ჩვენზე აშშ-ს პროტექტორატი, თავისი უხილავი მმართველი მთავრობით, რომლსაც სურს მომავალში ჩვენი ქვეყანა აქციოს ისრაელის ნაწილად, თუმცა ჩვენს გარეშე. ხოლო, ვიდრე ამას მიაღწევენ გამუდმებით ვეყოლებით რეფორმირების რეჟიმში, რომ როგორმე დაგვაკარგვინონ ყოველივე ძვირფასი, რაც კი ქმნის ჩვენს ინდენტობას. და თუ ვინმე მიხვდება მათ ხსენებულ ჩანაფიქრს, -იქნება ეს მხოლოდ დასავლეთის ხელქვეით მყოფი „სამოქალაქო საზოგადოებების“ ხელმძღვანელები, რომელთა ხელშიაც გადის დირექტიული მითითებები და ანალიტიკური კრებსებები, და რომლებიც მაღალი შემოსავლების დაკარგვის შიშით არაფერს გაუმხელენ ხალხს. როგორც ქუთაისის ყოფილმა გუბერნატორმა, ბატონმა თემურ შაშიაშვილმა ტელევიზიაში გააჟღერა სააკაშვილის ნათქვამი, რომ თურმე ამერიკის პოლიტიკის საქართველოში გამტარებელი ქართველი ლიბერალი აქტივისტები, აშშ-ს საელჩოდან ყოველთვიურად იღებენ 20 000 - დან, 200 000 - მდე აშშ დოლარს, -„ჯიბის ფულად“ და ცხადია ასეთი თანხების დაკარგვის შიშით არც თუ ადვილად წავლენ ისინი არენიდან. ბუნებრივია, აშშ, ანალოგიურად საქართველოსი, თავის შავ-ბნელ საქმიანობას

ეწევა ბევრ სხვა ქვეყანაშიც, ფაქტობრივად კი მთელს მსოფლიოში და კაცობრიობისათვის წარმოადგენს უმთავრეს საფრთხეს, რისგანაც თავის დაღწევა ხალხს შეეძლება მხოლოდ ერთობლივი ძალისხმევით, რაც იმსახურებს სერიოზულ დაფიქრებას.

რა დაწერე. საქართველოში მიმდინარე მოვლენების სწორად გაცნობიერების მიზნით ჩავემიე ლიბერალიზმის, დემოკრატიისა და ნეოლიბერალიზმის წარმოშობა-განვითარების ისტორიას, და აღმოვაჩინე, რომ ჩვენთან, და არამარტო, აშშ, ასევე, ჯორჯ სოროსის ფონდები, ერთიანი სტრატეგიით ამკვიდრებენ არათუ უბრალოდ დემოკრატიას, რასაც ხშირად უსვამენ ხაზს, რაც რეალურად ჩვენთვისაც მისაღებია, არამედ ნეოლიბერალიზმს, რომელიც საერთოდ დემოკრატიის მტერია. აღსანიშნავია, რომ ნეოლიბერალიზმი, როგორც ახალი იდეოლოგიურ-ფილოსოფიური მიმდინარეობა განვითარებას იწყებს გასული საუკუნის 50-იანი წლებიდან, მას შემდეგ, როგორც კი აშშ-ს უშიშროების საბჭომ მიიღო სსრკ-ს საწინააღმდეგოდ „ცივი ომის“ დოქტრინად, -1948 წ-ის 18 აგვისტოს N20/1 დადგენილება. ამ კონცეფციამ მეტნაკლებად დასრულებული სახე მიიღო 1990 წლამდე, თუმცა დღემდე დაუხვეწელია და მისი „სრულყოფისათვის“ არაერთი ექსპერიმენტის მსხვერპლად ყოფნა მოგვიწევს.

ნეოლიბერალიზმი აღზევებს იწყებს 1958 წ-ის შემდეგ, მას მერე, როგორც კი ოქსფორდის უნივერსიტეტის ებრაელმა პროფესორმა ისაია ბერლინმა, გამოსცა წიგნი, „ოთხი სტატია თავისუფლების შესახებ“. მასში თავმოყრილია ყველა ის მასალა, რომელშიც მანამდე თუ რაიმე სიტყვა იყო ნათქვამი „თავისუფლების“ შესახებ, -დაწყებული მე-17-ე საუკუნიდან. მას შემდეგ, ბერლინის ეს წიგნი, უპირატესად ხსენებული, ჰარვარდისა და აშშ-ს სხვა უნივერსიტეტების ფილოსოფიისა და ეკონომიკის დარგის პროფესორებმა: ფონ ჰაიეკმა, რობერტ ნოზიკმა, ჯონ როულსმა, მაიკლ ვოლცერმა, ბრუს აკერმანმა, თომას ნაგელმა, ჯოზეპ რაციმ, როლანდ დვორკინმა და სხვებმა, სულ, 14 ფილოსოფოსმა, რომელთაგან უმეტესობა ებრაელებია, გამოიყენეს იგი იდეოლოგიურ პლატფორმად და განავითარეს „ადამიანის თავისუფლების“ იდეა, -იმდაგვარად, რომ დაიწყეს ჩრდილში მოქცევა და იგნორირება ყველა იმ ღირებულებისა, რომელიც ქმნის ჩვენი ცხოვრების ცივილიზრობას და წარმოადგენს მის ხერხემალს. კერ-

მოდ, ოჯახის, სამშობლოს, მორალის და სხვა, რომელთა შესახებაც ზემოთ უკვე მოგახსენეთ, და დაიწყეს, მათი, როგორც „ადამიანის თავისუფლების“ ხელშემშლელი ფაქტორების წინააღმდეგ ბრძოლა. მივიდნენ იმ დასკვნამდე, რომ თითქოსდა ადამიანის მიერ თავისუფლების მოპოვება შეუძლებელი ყოფილიყოს ხსენებული ღირებულებების უარყოფის გარეშე, რომელთაგან განთავისუფლებული უდავოდ მოხვდება ზეციურ „საუფლოში.“

ასე შეიქმნა დღეს მოქმედი ნეოლიბერალური კონცეფციის ძირითადი დებულებები, რასაც თავის დროზე მხარი დაუჭრეს მარგარე ტეტჩერმა და როლანდ რეიგენმა, და მათ შემდეგ ნეოლიბერალურმა კონცეფციამ მეტი გაქანება მოიპოვა. სოციალისტური ბანაკისა და სსრკ-ს დანგრევის მათმა წინასწარმა ალღომ განაპირობა ის, რომ მომდევნო ნაშრომები სპეციალურად მიუსადაგეს მომავალ პროსოციალისტურ ქვეყნებს, რაც იკითხება ტექსტებიდანაც. თუმცა ბევრი რამ ამ ახალი „თეორიით“ დასავლეთზეც აქვთ გათვალისწინებული, რამეთუ სხვანაირად, გლობალიზაცია ვერ განხორციელდება. ამ საქმეში ნეოლიბერალიზმი კი გადაქცეულია გლობალიზაციის იდეოლოგიურ პლატფორმად.

სწორედ ამან განაპირობა სსრკ-ს დაშლის შემდეგ საომარი პროცესების განვითარება იუგოსლავიაში, კუვეიტისა და ერაყში, „არაბული გაზაფხული“ და „ფერადი რევოლუციები“, და თქვენ წარმოიდგინეთ, - უკრაინაში მიმდინარე დღევანდელი ომიც. შევარდნაძისა და სააკაშვილის საქართველოს ხელისუფლებაში მოყვანაც, - ამ პროცესის ნაწილია. ნეოლიბერალისტები, რომელთა უკან ებრაულ-სიონისტური ძალები მოიაზრება, ყოვლის მომცველი, გრძელვადიანი, ბიბლიურ მიზანზე ორიენტირებულნი, რომ როგორმე გახდნენ ოფიციალურად მსოფლიოს მმართველები.

მასალებიდან იკვეთება, როგორც კი ნეოლიბერალურმა მიმდინარეობამ მეტნაკლებად გამოკვეთილი სახე მიიღო, ებრაელ ჯორჯ სოროსის „ცენტრალური ევროპის უნივერსიტეტი“, 1997 წელს გამოიცა, ზემოხსენებული ფილოსოფოსების ნაშრომთა საერთო კრებული, სახელწოდებით: „თანამედროვე პოლიტიკური ფილოსოფიის ანთალოგია,“ პროფესორ იანომ კიშის რედაქტორობით. და იმავე წელსვე, ჰქონდა რა უკვე საქართველოში სოროსს გახსნილი ფონდები, მისი მხარდაჭერით, სანდრო

ბარამიდემ და თამარ მესხიმ გადმოთარგმნეს ქართულ ენაზე და ასმათ ეშიძის რედაქტორობით გამოსცეს, „ცის ნამის“ მეშვეობით, იმავე სახელწოდებით. ასე დაედო ფაქტობრივად ამერიკელ ფილოსოფოსთა ერთობლივი ნაშრომი ახალ ქართულ რეალურ პოლიტიკას სახემდღვანელოდ, სხვანაირად ვერ უწოდებ მას, რადგან ჩვენთან არსებული „სამოქალაქო საზოგადოებები,“ ისე, როგორც თვით ევროკავშირის მოთხოვნები თუ რეკომენდაციები, მათ შორის აშშ-ს და სხვა საელჩოთა მოთხოვნები,- ძირითადად ამ წიგნში გადმოცემული პოზიციების ანალოგიურია და მისი რეალიზებისაკენაა მიმართული.

აღნიშნული წიგნიდან, რომელიც ვფიქრობ, რომ არც თუ სრულყოფილადაა ნათარგმნი, ტექსტის ნაწილები კუპიურების სახით უცვლელად მაქვს გადმოტანილი, ყოველგვარი შესწორების გარეშე მოცემულ წიგნში, რათა მკითხველი თავად დარწმუნდეს თუ რასთან გვაქვს საქმე და საით მიგვაქანებენ ლიბერალები. ამავდროს, აქტუალურ საკითხებზე აქა-იქ კი ჩართული მაქვს ტექსტში ჩემი პირადი მოსაზრებები ვიწრო სვეტების სახით, რასაც მკითხველი ადვილად მიხვდება, რომ არ განეკუთვნება იგი ძირითად ტექსტს და საჭიროების შემთხვევაში შემიძლია მათი ფუნდამენტალურად განვითარება. ყველა ფილოსოფოსთა ტექსტს, ბოლოში ერთვის ჩემი მოკლე რეზიუმე, ბოლოს კი- კონკრეტული შეფასება.

ჩემეულ დასკვნამდეა მისული რუსეთის პრეზიდენტი ვლადიმერ პუტინიც თავის სიტყვაში, რომელიც მან გააკეთა კრემლში უკრაინის ოლქების მიერთებასთან დაკავშირებით 30.09.2022 წ-ს., თუმცე რამდენად გულწრფელია იგი თავის ნათქვამში,- მომავალი გვიჩვენებს.

ებრაელთა შეთქმულების დასადგენად შევისწავლე ბიბლია, 1938 წ-ის ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესის „ებრაელთა შეთქმულების“ დამდგენი დიესის საგამოძიებო კომისიის მასალაბი, რომელიც ცალკე წიგნად გამოსცა დადლი პელემ. ასევე რავინთა სამომავლო გეგმები, „სიონის ბრძენთა კრების ოქმები“ და სხვა მასალები, რომლებიც უცილოდ ეკორესპონდირებთან ერთმანეთს, ნეოლიბერალიზმს, ებრაელთა „ბიბლიურ შეთქმულებას“, და მათგანაც ამონარიდები მაქვს ჩართული,-მეტი დამაჯერებლობისათვის. აშკარად იკვეთება, რომ ნეოლიბერალიზმი

სიონისტური პოლიტიკის რეალური გაგრძელებაა, რაც მიმაჩნია აუცილებლად, რომ უნდა იცოდეს ქართველმა ხალხმა, და არამარტო.

წიგნში წარმოდგენილი მაქვს აგრეთვე, გაეროს გენერალური მდივნის მრჩევლის, მსოფლიო ეკონომიკის განვითარების მთავარი სპეციალისტის, ბატონ კ.ს.ჯომოს მიერ რეცენზირებული, ასევე მსოფლიო დონის ეკონომისტ, პროფესორ ერიკ ს რეინერტის წიგნიდან: „როგორ გამდიდრდნენ მდიდარი ქვეყნები ...და რატომ რჩებიან ღარიბი ქვეყნები ღარიბებად“, -ამონარიდები, საიდანაც ნათლად იკვეთება, რომ საქართველო, თავისი დაბალი ეკონომიკური მდგომარეობიდან გამომდინარე, მსოფლიოს თავისუფალ ვაჭრობაში არ უნდა ჩართულიყო. საიდანაც ზიანის გარდა ვერანაირ სიკეთეს ვერ მივიღებთ, ისე როგორც ამერიკის მიზნობრივი ქველმოქმედებისაგან, რომელიც ჩვენს კონტროლს ისახავს მიზნად. რამეთუ მთავარია ქვეყანაში ტრადიციული ინდუსტრიის განვითარება, რასთან დაკავშირებითაც რეინერტი გვთავაზოვს გავეყვით ჩვენი კულტურის ისტორიულ კვალს, და ჩამოვცილდეთ გლობალიზმს, რომელიც ხალხის კეთილდღეობაზე არ არის ორიენტირებული

რისთვის დავწერე? ცხადია, არა გასართობად, არამედ ჩემი წვლილი რომ შემეტანა საერთო მტერთან ბრძოლაში. ქართველ კაცს და არამარტო, დავანახო, რომ საქართველოში მიმდინარე ნეოლიბერალური პროცესები, ებრაელთა ბიბლიური შეთქმულებიდან გამომდინარე, საერთაშორისო სიონისტ-მასონთა მიერ მსოფლიოში დადგმული საერთო სპექტაკლის ნაწილია, საიდანაც საჭიროა დროზე გამოსვლა, რამეთუ მისი დასასრული ჩვენს მსხვერპლად შეწირვას ისახავს მიზნად, რასაც ვერ ხვდებთ ახალგაზრდობა და „ევროპიზაციის“ „ფოჩიანი კონფეტი“ იტყუებენ თავს. მაშინ როდესაც თვით ევროპის ძირი კავკასიაა და აქედან არიან გასულები, აქედან აქვთ გატანილი კულტურა და ზნეობა. ზოგიერთებს კი ამის გაგება უჭირს ნაკლებად ისტორიული განათლებულობის გამო. ასე რომ არ იყოს დიდი ხელოვანი სალვადორ დალი, თავის დედამიწის კვერცხის ნახატზე, რომელზეც ალეგორიულად წარმოდგენილი აქვს ნეოლიბერალიზმის საბოლოო შედეგი, ეშმაკად მფარველი შავი ქოლგის ქვეშ, „ახალი ადამიანის“ დაბადების აღმკვეთად, თუ მის მოწინააღმდეგედ, საქა-

რთველოს ანდა მთლიანად კავკასიას არ იგულისხმებდა, რაზეც მიგვანიშნებს ხელით, იქვე, გვერდით მდგომი ქალი. რამეთუ, ტრადიციული, მაღალი კულტურის მქონედ, ჩვენ ვეგულებით, ლიბერალური უმსგავსობიდან მსოფლიოს მხსნელად.

უკეთესი ცხოვრება ფსევდო ევროპიზაციით კი არ უნდა მოვიპოვოთ, რაც სისულელეა და ზიანის მომტანი, რამეთუ მათ მხოლოდ პრეკორიატად ვჭირდებით, არამედ, აქ, ჩვენივე ისტორიული კულტურული მემკვიდრეობის რენესანსითა და მასზე მომავლის დაშენებით, რასაც თავის წიგნში გვირჩევს უდიდესი მეცნიერი, - ერიკ ს რეინერტი. ამასთანავე, უარი უნდა ვთქვათ აშშ-ს „ქველმოქმედებაზე“, რამეთუ კოლონიურ კაბალაში ვარდებით, თუ უკვე ჩავარდნილები არა ვართ. ევროპას კი თავისი სიმდიდრე, უპირატესად მოპოვებული აქვს კოლონიების ძარცვით.

ჩვენს კულტურულ მემკვიდრეობას: ადამიანურ ღირსებას, ოჯახს, (დასახლებული პუნქტის სამართალსუბიექტურობას), მოქალაქეობრივად გაერთიანებულ ეროვნულობას, გამოსახული სახელმწიფოებრიობაში, -ჯერ კიდევ არ დაუკარგავს თავისი აქტუალობა და ევოლუციობრივად განვითარებადია, მიუხედავად იმისა, რომ მტერი გვირჩევს მათ წინააღმდეგ ბრძოლას. ეს და სხვა ჩვენი ინსტიტუტები, ჩვენი ცივილურობის საყრდენია და მათ გაფთხილება სჭირდებათ, რაც არანაირად არ აწყობთ, ჩვენი განადგურების მოსურნე ნეოლიბერალებს. შვება, არა გაუთავებელ რეფორმებსა და პოლიტიკურ ძალთა ჭიდილში უნდა ვეძიოთ, არამედ ხსენებულ ინსტიტუტებზე, ეროვნულ-სახელმწიფოებრივი სუვერენიტეტის თანაზომიერი გადანაწილებით, რასაც საფუძვლად უნდა დაედოს სახალხო დემოკრატია და არა ნეოლიბერალიზმი, რომელიც ანტიხალხურია, და ბუნებით სამართალს უნდა მიეცეს გაქანება. ბუნებაა ჩვენი ყველაზე დიდი მასწავლებელი და რეფორმატორი,

ამას გარდა, რამდენადაც მოწინააღმდეგე ძლიერია და მასთან საქართველო მარტო ვერეაფერს გახდება, სადაც უამრავი უმეცარი და ანგარებიანი მხარდამჭერი ჰყავს, საჭიროა მტრის გავლენიდან გამოსასვლელად შეიქმნას, ადრეული ინტერნაციონალის მსგავსად, „კაცობრიობის ხსნისა და გადარჩენის“ საერთაშორისო ალიანსი.

ლუციფერის მხილება

/სადა ვართ საქართველო?/

თავი 1. ზოგადად - დემოკრატიის, ლიბერალიზმის, ლიბერალური დემოკრატიისა და ნეოლიბერალიზმის შესახებ

ვიდრე ძირითად სათქმელზე გადავიდოდე, მინდა მკითხველის ყურადღება გავამახვილო დემოკრატიის, ლიბერალიზმის, ლიბერალური დემოკრატიისა და ნეოლიბერალიზმის ცნებებზე, რაც არსებითად დაგვეხმარება სწორად გავიგოთ საქართველოში, და ზოგადად, მსოფლიოში მიმდინარე პოლიტიკური მოვლენები. პოსტსაბჭოთა სივრცეში არსებული რეჟიმების რაობა, წარმომავლობა და რა შედეგს მოგვიტანს მათი გლობალურ პროცესებში ჩართულობა. და ბოლოს, იმართებიან თუ არა ისინი, - მსოფლიოს ახალ წესრიგთან ერთად, ამერიკის მიღმა მდგომ საერთაშორისო სიონიზმის მიერ, კაცობრიობის წინააღმდეგ „ებრაელთა ბიბლიური შეთქმულების“ შესაბამისად, რაც ითვალისწინებს დანარჩენ ხალხთა დამდაბლება-განადგურებით ებრაელთა ამაღლებასა და მათი სახით ახალი „ოქროს რასის“ ჩამოყალიბებას.

მაშ ასე,

1. „დემოკრატია,“ ბერძნული სიტყვაა და ნიშნავს „ხალხის ხელისუფლებას“, „ხალხში“ კი, მოიაზრება ადამიანთა ისტორიული ერთობა, რომელთაც შეუძლიათ სხვა ადამიანებს თავს მოახვიონ თავიანთი საერთო ნება, მათი მხრიდან წინააღმდეგობის გაწევის შემთხვევაშიაც კი. იგეა პოლიტიკური რეჟიმი, რომელიც ორგანიზებულია პოლიტიკურ სუბიექტთა ურთიერთზემოქმედების /ურთიერთობის/ ერთობლივი ნორმატიულ-ფასეულობათა საფუძველზე, დაკავშირებული ხელისუფლების არსებობასა და საზოგადოების მართვასთან. **საფუძვლად უდევს გადაწყვეტილების კოლექტიურად მიღების მეთოდი, პროცესში**

მონაწილეთა თანაბარი ჩართულობის შედეგად. იგი წარმოიშვა ძველ საბერძნეთში და დღემდე არსებობს მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში, სხვადასვა ვარიაციების სახით.1

და თუ დემოკრატია ხალხის ნაწილს ეკუთვნის მაშინ, შ.ლ.მონტესკიეს აზრით,- სახეზე გვაქვს არისტოკრატიული მმართველობა / კანონთა გონი, გვ.37/.

2. „ლიბერალიზმი“ (ლათინურიდან-თავისუფალი), იდეურ-პოლიტიკური მოძრაობაა, რომელიც აერთიანებს ბურჟუაზიულ-საპარლამენტო პოლიტიკური მოწყობის, ბურჟუაზიულ-თავისუფლებათა, და თავისუფალი კაპიტალისტური მეწარმეობის რეჟიმებს.

სიტყვა „ლიბერალიზმი,“ ფართო ხმარებაში შემოვიდა XIX-ე ს-ის 1-ნახევარში, როდესაც დასავლეთ ევროპის რიგ ქვეყნებში (დიდი ბრიტანეთი, საფრანგეთი და სხვ) გაჩნდა „ლიბერალური“ პოლიტიკური პარტიები. თუმცა თვით სიტყვა ლიბერალიზმი, XV11 – XV111 სს-ის ბურჟუაზიული რევოლუციების ეპოქიდან იღებს სათავეს.

ადრეული ლიბერალიზმის იდეოლოგიამ ითამაშა დადებითი როლი, რამდენადაც მასში იყო ფორმირებული ბურჟუაზიულ-საზოგადოებრივი წყობილების ძირითადი პრინციპები, რომელიც შეიქმნა ფეოდალური წყობილების კვალობაზე. **ეკონომიკური ლიბერალიზმის იდეები გამოითქმებოდა ჯერ კიდევ ფიზიოკრატების (ე.წ.„ცეხავიკების“) მიერ, თუმცა კლასიკური ლიბერალიზმის ეკონომიურ-პოლიტიკური კონცეპციები თანდითანობით შეიმუშავეს ინგლისის პოლიტ-ეკონომისტებმა (რიკარდო, სმიტი და სხვებმა).** გამოდიოდნენ რა ფეოდალური ეკონომიკური ცხოვრების კრიტიკით ფიზიოკრატები, ხოლო მათ შემდეგ,- ა.სმიტი, -აქტიურად უჭერდნენ მხარს სავაჭრო -სამრეწველო წრეების მიერ წამოყენებულ ლოზუნგს,- „ნუ გვიშლით ხელს ვიმოქმედოთ“, რამეთუ ითხოვდნენ საამქრო რეგლამენტაციის გაუქმებას, რომელიც ზღუდავდა მათ საგარეო ვაჭრობას. და მათთვის სმიტმა შექმნა „ბუნებრივი თავისუფლების სისტემა“, რომელიც გულისხმობდა კერძო ინიციატივებისათვის სრული თავისუფლების მიცემას, ეკონომიკურ საქმიანობაში სახელმწიფოს ჩაურევლობას და თავისუფალ მეწარმეობასა, და თავისუფალ ვაჭრობას, რაც ერთდაგვარ პროგრესს წარმოადგენდა იმ დროს

არსებული დემოკრატიის განვითარების გზაზე.

ინგლისის XV11 ს-ის ბურჟუაზიული რევოლუციის იდეოლოგებმა (ლოკკი და სხვა) დიდი წვლილი შეიტანეს ბურჟუაზიულ-საპარლამენტო მოწყობის საქმესა და მის პროპაგანდირებაში. შედეგად, ბევრი ამ იდეათაგან, რომელიც „სამართლებრივი სახელმწიფოს“ კონცეპციის სულით იყო გამსჭვალული და გაუძლეს ცხოვრებას, საფუძვლად დაედო საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების დაყოფას, რამაც უზრუნველყო მოქალაქეთა ძირითადი პოლიტიკური უფლებები, მათ შორის სიტყვისა და ბეჭდვის თავისუფლება, რელიგიური თავისუფლება, შეკრებების თავისუფლება, და სხვა, რაც ბოლო ჯამში შევიდა ლიბერალიზმის იდეურ-პოლიტიკურ არსენალში.

XIX-ე ს-ში, ბურჟუაზიული წყობილების განმტკიცებასთან ერთად, ლიბერალურ მიმდინარეობაში თანდითანობით იჩინა თავი აპოლოგიკურმა ტენდენციებმა, რამეთუ სახალხო სუვერენიტეტისა და თანასწორობის იდეა დადებით მოვლენად იქნა მიჩნეული. მთელი ამ საუკუნის განმავლობაში ლიბერალიზმი იცავდა არსებული საზოგადოებრივი წყობილების იდეას, რომლის დროსაც სოციალურ-ეკონომიკური ურთიერთობის რეგულირება ხდებოდა უპირობოდ, - „თავისუფალი ბაზრის“ მეშვეობით. ლიბერალიზმის დროს სახელმწიფოს ერთად-ერთი ფუნქცია უნდა ყოფილიყო მოქალაქეთა საკუთრების დაცვა და თავისუფალ მეწარმეებს შორის თავისუფალი კონკურენციის უზრუნველყოფა.²

ლიბერალიზმმა თავის უმაღლეს საფეხურს მიაღწია სამრეწველო კაპიტალიზმის კლასიკურ სახელმწიფო- დიდ ბრიტანეთში. ბურჟუაზიული რეფორმების პარალელურად, რომელიც მიმართული იყო თავისუფალი მეწარმეობისათვის ხელსაყრელი პირობების შექმნისაკენ. შემოსავლების გაზრდის მიზნებს მიეცა „ეთიკური დასაბუთება“ ბენტამის უტილიტარიზმის ფილოსოფიაში და მილლისა და სპენსერის პოზიტივიზმში.

მონოპოლური და სახელმწიფოებრივი კაპიტალიზმის სტადიაში გადასვლის დროს, რაც დაიწყო XIX-ე ს-ის დამლევს, კლასიკურმა ლიბერალურმა იდეოლოგიამ განიცადა მნიშვნელოვანი ცვლილებები, უპირველეს ყოვლისა შეიცვალა სახელმწიფოს სოციალურ-ეკონომიკური ფუნქცია, ჩამოყალიბდა ახალი, ანუ „ნეოლიბერალური“ კონცეპცია. მიუხედავად ზოგიერთი განსხვავე-

ბისა, გამომდინარე ეროვნული სპეციფიკიდან, ნეოლიბერალები შეთანხმდნენ იმაში, რომ თითქოსდა „თავისუფალი ბაზრის“ მექანიზმმა შექმნა ყველაზე ხელსაყრელი პირობები, მატერიალური რესურსების რაციონალური განაწილების, ეკონომიკური საქმიანობის ეფექტიანობის გაზრდისა, და სოციალური მოთხოვნილებების დაკმაყოფილების საქმეში. თუმცა, ნეოლიბერალებს მიაჩნდათ, რომ თავისუფალი კონკურენცია ავტომატურად ვერ უზრუნველყოფდა მათ ინტერესებს. აღიარეს, რომ მონოპოლიის ბატონობა, ეკონომიკური განვითარების დისპროპორცია, კრიზისები, თუ ინფლაცია, რაც ახლდა იმ პერიოდს, - იწვევს ბაზრის მექანიზმის დეფორმირებას, რასაც მოყვებოდა მთელი კაპიტალისტური სისტემის რყევები. ამის გამო მათ მიიჩნიეს საჭიროდ ჩარეულიყო სახელმწიფო ეკონომიკაში, რათა უზრუნველყო კაპიტალწარმოების კონკურენცია.

3. „ლიბერალური (დასავლური) დემოკრატია,“

(მათი ნაერთი რეჟიმი) - დამახასიათებელია სამართლებრივი სახელმწიფოსათვის, რომლის ყველა მოქმედება მომდინარეობს დადგენილი სამართლებრივი ნორმებიდან და ეფუძვნება ფუნდამენტალურ სამართლობრივ პრინციპებს, რომელიც მიმართულია ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების დაცვისაკენ. ხელისუფლების უმაღლესი ორგანოები ექვემდებარებიან სტაბილურ კანონებს, ან/და სასამართლოს გადაწყვეტილებებს. მოქმედებს კანონის უზენაესობა, რაც უნდა გამორიცხავდეს უმეტესობათა დიქტატურას, დესპოტიზმს, სახელმწიფოს პოლიციურობასა და უწყესრიგობას. მიმართულია არსებული ხელისუფლების შეზღუდვისა და ადგილობრივი მმართველობის ორგანოების საქმიანობის მეთოდთა ლეგიტიმურობის სტანდარტიზებისაკენ, და იცავს საზოგადოებაში დამკვიდრებულ სამართლიანობას, თავისუფლებასა და თანასწორობას. ასევე, ადამიანის უფლებებსა და ღირსებებს.³

ლიბერალურ-დემოკრატიული რეჟიმი, ლიბერალიზმის ყველა ასპექტს არ შეიცავს, წინააღმდეგია სოციალური-დემოკრატიისა და ექვემდებარება სამართლის უზენაესობას. ლიბერალური დემოკრატია მიზნად ისახავს უზრუნველყოს ყოველი ადამიანი და მოქალაქე უფლებებით კერძო საკუთრებაზე, პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობაზე, სტყვის თავისუფლებაზე, სინდი-

სისა და რწმენის თავისუფლებაზე, შეკრებისა და ასოცირების თავისუფლებაზე, და სხვა, რაც განმტკიცებულია უმაღლესი კანონებით (კონსტიტუცია, სტატუსი, უმაღლესი სასამართლოს პრეცედენტული გადაწყვეტილებები), რაც სახელმწიფოს ავადებულებს დაიცვას იგი.

ლიბერალური დემოკრატიის დამახასიათებელი ნიშანია „ღია საზოგადოების“ არსებობა. („ღია საზოგადოების“) ტერმინი“ შემოტანილია ფრანგი ფილოსოფოსის ანრი ბერგსონის მიერ 1932 წ-ს, და იგი იხრება მორალური უნივერსალობისაკენ, რაც ეწინააღმდეგება ტრადიციულ „დახურულ საზოგადოებას.“ „ღია საზოგადოება“ ხასიათდება ტოლერანტობითა და მოთმინებით, პოლიტიკური თავისუფლებითა და პოლიტიკური პლურალიზმით. იძლევა საზოგადოებრივ- პოლიტიკურ შეხედულებების, ფართო სპექტრის პირობებში, დაპირისპირებულ მხარეთა მშვიდობიან თანაარსებობისა და კონკურენციის შესაძლებლობას. ფიქრობენ, ასეთ პირობებში ადგილი არ უნდა ჰქონდეს რადიკალიზმს, ექსტრემიზმს, ან კიდევ მარგინალიზმს.

მოცემულ შემთხვევაში, „ლიბერალიზმის“ ტერმინი მოიაზრება იგივე მნიშვნელობით, როგორც XV111-ე ს-ის დამლევეს, იცავდა და იცავს ადამიანის უზენაესობას, ხელისუფლებისა და სამართალდამცავ ორგანოთა მხრიდან განუკითხაობას. აგრეთვე, უმრავლესობათა ნებისაგან, რაც მიიღწევა მოსამართლეთა და სასამართლო სისტემის დამოუკიდებლობით, მისი კონსტიტუციურობით, საპარლამენტო კონტროლისა და ძალაუფლების დაყოფით.

ეს რეჟიმი საიდუმლოდ მიღებულ და გამოუქვეყნებელ კანონებს არ ანიჭებს იურიდიულ ძალას. ითვალისწინებს რეფერენდუმებსა და პირდაპირ არჩევნებს. უმაღლეს სახელმწიფო გადაწყვეტილებებს იღებს მთავრობა. მთავრობის პოლიტიკა დამოკიდებულია მის მეთაურსა და საკანონმდებლო ორგანოზე, რაც დგინდება არჩევნების დროს. ადგილი აქვს გამჭვირვალობას. მოქმედებს საყოველთაო საარჩევნო სამართალი. არჩევითი ორგანო ანგარიშვალდებულია ერის წინაშე. ამიტომაც არჩევნები და რეფერენდუმი უნდა იყოს თავისუფალი, დემოკრატიული, დამოუკიდებელი, კონსტიტუციური, სამართლებრივი, კანონიერი, ლეგიტიმური, კონკურენტული, შეჯიბრებითი, და გამჭვირ-

ვალე. არჩევნებში უნდა მონაწილეობდეს არანაკლებ ორი პოლიტიკური პარტია. კულტურულ, ეთნიკურ, რელიგიურ თუ სხვა უმცირესობებს უნდა ქონდეთ არა მარტო შესაბამისი პირობები შექმნილი გადაწყვეტილების მისაღებად, არამედ უნდა ქონდეთ მიცემული ნაწილობრივი თვითმმართველობაც.

ა) ლიბერალური დემოკრატიის შინაარსი ითვალისწინებს:

- სიცოცხლის უფლებას;
- პიროვნების ღირსებასა და თავისუფლებას;
- სიტყვის თავისუფლებას;
- მასიური საინფორმაციო საშუალებების თავისუფლებას და ინფორმაციის ალტერნატიულ წყაროებთან დაშვებას;
- სარწმუნოებრივ და რელიგიური შეხედულებების საჯაროდ გამოთქმის თავისუფლებას;
- პოლიტიკურ და სხვა ორგანიზაციულ გაერთიანების შექმნის უფლებას;
- შეკრებისა და ღია პოლიტიკური დისკუსიის გამართვის უფლება;
- პოლიტიკურ თავისუფლებასა და პოლიტიკურ პრულაღიზმს;
 - კანონის წინაშე თანასწორობა;
 - აღმსარებლობის თავისუფლება;
 - სინდისის თავისუფლება;
 - სიტყვის თავისუფლება და მასობრივი საინფორმაციო საშუალებებზე ცენზურის აკრძალვა;
 - შეკრების თავისუფლება;
 - გაფიცვის თავისუფლება;
 - პეტიციის უფლება;
- ეკონომიკური თავისუფლება;
- აკადემიური თავისუფლება;
- დამოუკიდებელი მართმსაჯულობა;
- კანონის წინაშე თანასწორობა;
- სოციალური თანასწორობა;
- კანონის უზენაესობა;
- პირადი და ოჯახური ცხოვრების ხელშეუხებლობა და საიდუმლოების დაცვა;

- საკუთრების უფლება და კერძო მეწარმეობის თავისუფლება;
- თავისუფლად გადაადგილებისა და სამუშაოს შერჩევის უფლება;
- უფლება განათლებასა და ჯანმთელობის დაცვაზე;
- უფლება თავისუფალ შრომაზე და მეტისმეტი ეკონომიური ექსპლოატაციის დაუშვებლობა;
- თანასწორუფლებიანობა და შესაძლებლობათა თანასწორობა.

ყოველივე აქ ჩამოთვლილი უფლებები და თავისუფლებები გათვალისწინებულ უნდა იყოს კანონმდებლობით.

ბ) ლიბერალთა ლეგიტიმური მიზანი:

რეპუტაციის დაცვა; პიროვნების ღირსების დაცვა; ეროვნული უსაფრთხოების დაცვა; საზოგადოებრივი წესრიგის დაცვა; საავტორო უფლების დაცვა; ჯანმთელობის დაცვა; ეთიკისა და მორალის დაცვა და სხვა.

ხალხები, რომლებიც არ იზიარებენ ლიბერალური დემოკრატიულ ღირებულებებს, სხვების მსგავსად დაცულია „ღია საზოგადოების“ პრინციპებიდან გამომდინარე.

ლიბერალურ დემოკრატიული სისტემა მოწოდებულია იყოს ევოლუციურად თვითგანვითარებადი. ამ დებულების მნიშვნელობიდან გამომდინარე, მისი ზოგიერთი მომხრე აქნობამდე აცხადებს, რომ იგი სამართლებრივად დაცულ უნდა იყოს მტრულად განწყობილი იდეოლოგიების ზემოქმედებისაგან.

გავრცელებული აზრის მიხედვით ლიბერალური დემოკრატიის დასამკვიდრებლად განვითარებული უნდა იყოს მართმსაჯულება, კერძო საკუთრება კანონისმიერად დაცული, არსებობდეს მძლავრი საშუალო ფენა და ძლიერი „სამოქალაქო საზოგადოება“.

საშუალო ფენაში საგულისხმოა ის ხალხი, ვისაც აქვს მდგრადი შემოსავალი, რომელსაც შეუძლია მათი სოციალური და მატერიალური მოთხოვნილებების დაკმაყოფილება, რომელიც უზრუნველყოფს მათი ცხოვრების მაღალ ხარისხს. „**სამოქალაქო საზოგადოება**“ კი იმ ხალხთა ერთობაა, რომლებიც სახელმწიფოსთან ახლოს არ არის. იგი სახელისუფლო და კომერციულ სტრუქტურათა ფარგლებს მიღმაა. „სამოქალაქო საზოგადოება“

დაუსაქმებელ ხალხთა ნებაყოფილებითი, თვით გამოხატვის, არაკომერციული სფეროა, რომელსაც შეიძლება გააჩნდეს თავისი ასოციაციები და გაერთიანებები. „სამოქალაქო საზოგადოება“ დაცულია, როგორც სახელმწიფოს, ისე სხვა სტრუქტურების პირდაპირი ჩარევისაგან. მისი განვითარება მეტად საჭირო წინამძღვრად მიიჩნევა ქვეყანაში სამართლიანობის უზენაესობისა და მის სახელმწიფოს პარტნიორად დამკვიდრებისათვის. ამერიკელ პოლიტოლოგ დევიდ ისანის სქემის მიხედვით, „სამოქალაქო საზოგადოება“ უნდა გამოდიოდეს, ხალხსა და არსებულ პოლიტიკურ სისტემას შორის ფილტრად, ხალხთა მოთხოვნების მხარდასაჭერად.⁴

პოლიტოლოგებს შორის მიმდინარეობს კამათი, თუ როგორ შექმნან მდგრადი ლიბერალური დემოკრატიის რეჟიმი. ამ მხრივ გავრცელებულია ორი თვალსაზრისი. ერთი მათგანის მიხედვით ლიბერალური დემოკრატიის განსამტკიცებლად აუცილებელია ელიტის ხანგრძლივი განხეთქილება და სამართლებრივი ჩართულობა მათ დავაში, რასაც ფეხაყოლილი უნდა მიყვეს ხალხთა მასები. მეორე ვერსიით კი, აუცილებელია ამისათვის ხანგრძლივი დროის განმავლობაში, წინდაწინ, ჩამოყალიბდეს ხალხთა დემოკრატიული ტრადიციები.⁵

მე-XIX-ე ს-ის შუა პერიოდამდე ლიბერალიზმი და დემოკრატია ერთმანეთთან იყო დაპირისპირებული. როგორც ვიცით, ლიბერალური საზოგადოების საფუძველი იყო „ადამიანი-მესაკუთრე,“ რამეთუ მხოლოდ იგი, როგორც საარჩევნო უფლების მქონეს, იგულისხმებოდა სახელმწიფოსთან გაფორმებული „საზოგადოებრივი ხელშეკრულების“ მხარედ, ვინაიდან უხდიდა გადასახადს, რათა დაეცვა მისი საკუთრება. მის საწინააღმდეგოდ კი, დემოკრატია განაპირობებს ხელისუფლების ჩამოყალიბებას, რომელშიც მონაწილეობს უქონელთა ფენაც. ამ უკანასკელთა ჩამოცილება საარჩევნო უფლებას კი, ნიშნავს მათ რაღაცა ფორმით დამონებას და არ ეთახმებოდნენ. „მდაბიოთა“ ქცევის მცოდნე ლიბერალები უქონელთ მიიჩნევდნენ თავიანთი საკუთრებისა და პიროვნული თავისუფლების გარანტირებულ საფრთხედ, რაც გაძლიერებულ იქნა საფრანგეთის დიდი რევოლუციის შემდეგ.

ლიბერალებისა და დემოკრატების გაერთიანების საქმეში გარდამტეხ მომენტად იქცა, ამერიკელ ფილოსოფ, ალექსი დე ტო-

კვილის ნაშრომი ტოკვილის აზრით ამ მოდელის წარმატების საფუძველი გახდა მისი სახელწოდება, „ლიბერალური დემოკრატია“. იგი შეიცავს შესაძლებლობების თანასწორებას. ტოკვილი საფრთხედ მიიჩნევდა ასეთ რეჟიმის დროს ეკონომიკას. ნაშრომში, - „დემოკრატია ამერიკაში“, გამოცემული 1835 წ-ს გვიჩვენა საზოგადოება, რომელშიც პირადი თავისუფლება და კერძო საკუთრება შეიძლება თანაარსებობდნენ დემოკრატიასთან, თუმცა, მასში სახელმწიფოს ჩარევას თვლიდა ადამიანის უფლებების უხემ დარღვევად.

1848 წ-ის რევოლუციისა და 1851 წ-ის ნაპოლეონისეული სახელმწიფო გადატრიალების შემდეგ, ახალი პოლიტიკური სისტემის შექმნის მიზნით ლიბერალებმა სულ უფრო მეტად აღიარეს დემოკრატებთან კავშირის აუცილებლობა.

ისტორიამ დაარწმუნა ლიბერალები, რომ მათსა და სახელმწიფოს შორის დადებულ „საზოგადოებრივ ხელშეკრულებაში“, უქონელთა ჩაურთველობა, მათ, უბრალოდ გააქრობდა. მაშინ სოციალ - დემოკრატებს შეუძლებლად მიაჩნდათ სამართლიანი სახელმწიფოს ჩამოყალიბება, თუ ამას „სამართლიანს“ დავარქმევდით, რომელშიც გაერთიანებული იქნებოდა კერძო საკუთრება და თავისუფალი ბაზარი.

საშუალო კლასის გარეშე ვერ აშენდებოდა ლიბერალიზმი, რამეთუ მხოლოდ მის ხარჯზე შეუძლია არსებობა. 1917 წ-ის ოქტომბრის რევოლუციამ და მის შემდეგ დამყარებულმა სოციალისტურმა რეჟიმმა, ისე ძლიერ შეაშინა მესაკუთრე ლიბერალები, რომ არსებული სოციალური წინააღმდეგობების მოსაგვარებლად, თავიანთ იდეოლოგიაში, დაუშვეს „**შესაძლებლობათა თანასწორობა**“, და დაიწყეს ეროვნულ უმცირესობათა და ადამიანის უფლებების დაცვა.

1941 წ-ს ვაშინგტონში დაარსებული ლიბერალური საზოგადოებრივი ორგანიზაცია „თავისუფლების სახლი“, ფინანსირებადი მთავრობის მიერ, იკვლევს მთელ ს მსოფლიოში მიმდინარე პოლიტიკურ მოვლენებს, ადგენს ლიბერალიზმის გავრცელებასთან დაკავშირებულ რეკომენდაციებს და მხარს უჭერს მთელს მსოფლიოში ადამიანის უფლებების დაცვას. 1978 წ-დან გამოსცემს ჟურნალს: „**მსოფლიოს თავისუფლება**“, ანალიზით, თუ სად რა მდგომარეობაა. როგორც წესი მას ხელმძღვანელობენ სახელმწი-

ფოს ყოფილი წამყვანი პირები.

როგორც წესი, ლიბერალური დემოკრატიისათვის დამახასიათებელია პროპორციული საარჩევნო სისტემა, რა დროსაც პარლამენტში ადგილები ნაწილდება პარტიებს შორის მოპოვებული ხმების მიხედვით და სულაც არ არის ხალხი საქმის კურსში, თუ ვის აირჩევენ პარტიები დეპუტატებად, პარლამენტში კი ხვდება მხოლოდ ელიტის წარმომადგენლები.

პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ ლიბერალური დემოკრატიის დროს მთელი სახელმწიფო ძალაუფლება უმდიდრეს ადამიანთა მცირე ჯგუფის ხელში ვარდება და ადგილი აქვს ქვეყნის ოლიგარქიულ მმართველობას. შედეგად იქმნება სამართლიანობის ილუზია და მკვიდრდება სოციალურ-პოლიტიკური უთანასწორობა, მიიღება კანონები, რომელიც მხოლოდ მათ აწყობთ.

ახლა ავხსნათ, უშუალოდ, თუ რას წარმოადგენს ნეოლიბერალიზმი, რომელიც იმეორებს ტრადიციული ლიბერალიზმისა და ლიბერალური დემოკრატიის ნიშნებს, და გაჩნდა მე-19-ე ს-ის 90-იან წწ-ში. მან აქტიურად დაიწყო შინაარსობრივი გამდიდრება 20-ე ს-ის 50-იანი წლებიდან, მას შემდეგ, როგორც კი აშშ-მ დაიწყო „ცივი ომი“ სსრკ-ს წინააღმდეგ. ხოლო, 80-იანი წწ-დან, უფრო მეტად, -მარგარე ტეტჩერისა და როლანდ რეიგენის ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ, რამეთუ, სოციალიზმის დანგრევის შემდეგ, მათ შეძლეს ნეო-ლიბერალიზმი ექციათ „ვარშავის ხელშეკრულები“ ქვეყნების, მათ შორის ყოფილი საბჭოთა კავშირის მოკავშირე რესპუბლიკებს, -პოლიტიკური რეჟიმების პლატფორმად. თუმცა მანამდე ხდებოდა ნეოლიბერალური მსოფლმხედველობის ფილოსოფიურად „გარანდვა“ იმდაგვარად, რომ იგი მისადაგებიყო მომავალ გლობალურ პროცესებს, რომელიც თავის მხრივ ორიენტირებულია სიონისტ-მასონთა შეთქმულების საბოლოო მიზანზე.

4. „ნეოლიბერალიზმი“,-დამოუკიდებელი პოლიტიკურ-ეკონომიკური და ფილოსოფიური მიმდინარეობაა, რომელიც უარყოფს სახელმწიფოს ჩარევას ადგილობრივ ეკონომიკურ საქმიანობაში, ყურადღება გადატანილი აქვს თავისუფალ ბაზარზე, ნაკლებად ზღუდავს საწარმოთა ფუნქციონირებასა, და საკუთრების უფლების რეალიზებას. საგარეო პოლიტიკაში მას პრიორიტეტად მიაჩნია: პოლიტიკური მეთოდებით, ეკონომიკური

ზეწოლით, დიპლომატიური ზემოქმედებით, ან/და სამხედრო ინტერვენციების განხორციელების გზით უცხო ქვეყნებში ბაზრების მითვისება. აქ ჩვენ „ბაზრების მითვისებაში“ ვგულისხმობთ უცხო ქვეყნებში თავისუფლად ვაჭრობასა და მუშახელის საერთაშორისო სპეციალიზაციის მიხედვით დაყოფა-გადანაწილებას, რაშიც გადაწყვეტ როლს თამაშობს საზემოქმედო ქვეყნის დაბალი ეკონომიკური მდგომარეობა.

ნეოლიბერალიზმი გლობალურ პოლიტიკურ ზეწოლას ახდენს არა ინდუსტრიულად განვითარებულ ქვეყნებზე ისეთი საერთაშორისო ორგანიზაციების მეშვეობით, როგორცაა საერთაშორისო სავაჭრო ორგანიზაცია, მსოფლიო ბანკი და სარეზერვო ფონდი. იგი ქადაგებს და ცდილობს ეროვნული მთავრობების როლის მინიმუმამდე დაყვანას. ტრანსნაციონალური კორპორაციების ეფექტიანობის გაზრდის მიზნით, მომხრეა შეეზღუდოს პოლიტიკური ფუნქციები პროფკავშირებს.

ნეოლიბერალიზმი ეწინააღმდეგება სოციალიზმს, პროტექციონალიზმსა და მწვანეთა მოძრაობას უცხოეთის ბაზრებზე, საკუთარ ქვეყანაში კი (აშშ) პროტექციონიზმს, როგორც ასეთი, არ უარყოფს და უცხოელებთან მოლაპარაკებების დროს იყენებენ ზეწოლის მექანიზმად, რათა აიძულონ კონტრაგენტი საკუთარი ბაზრის ლიბერალიზებაში. ხშირად, ნეოლიბერალები ეწინააღმდეგებიან თანასწორუფლებიან ვაჭრობას და სხვა ისეთ მოძრაობებს, რომელიც საერთაშორისო ურთიერთობებსა და ეკონომიკაში მხარს უჭერს მუშათა უფლებებსა და თანასწორობას. ძირითადად ორიენტირებულია მდიდართა ინტერესების რეალიზებაზე.

თავდაპირველად ტერმინი „ნეოლიბერალიზმი,“ გამოიყენებული იქნა ინგლისურ ენაზე ფრანგ ეკონომისტ ჩარლზ გიდის მიერ 1898 წ-ს, იტალიელ ეკონომისტ მაფეო პანტალეონის ნაშრომ „ეკონომიკური მრწამსის“ შეფასებისას. თუმცა მანამდე არსებობდა იგი ფრანგულ ენაში. მას შემდეგ სხვებმაც დაიწყეს ამ ტერმინის გამოყენება.

მე-XX ს-ში დაიწყო, XIX-ე ს-ის იმ ლიბერალური იდეების აღორძინება, რომელიც დაკავშირებული იყო ეკონომიკური საქმიანობის ლიბერალიზებასა და თავისუფალ ბაზართან. კერძოდ, პრივატიზებასთან, ბაზრის რეგულირების შემცირებასთან,

გლობალიზაციასთან, თავისუფალ ვაჭრობასთან, მკაცრი ეკონომიკური პოლიტიკის დამკვიდრებასა და მთავრობის ხარჯების შემცირებასთან, -რათა საზოგადოებაში ამაღლებულიყო კერძო სექტორის როლი. მის კვალობაზე ნეოლიბერალიზმის განმსაზღვრელი თავისებურებანი, - დებატების საგნად იქცა მეცნიერებაში. 1938 წ-ს, პარიზში, კოლოქვიუმზე, ვოლტერ ლიფმანის წიგნის: „კარგი საზოგადოების პრინციპების“ გამოკვლევის დროს, სხვა ტერმინებთან ერთად ნეოლიბერალიზმიც შემოთავაზებული იქნა ეხმარათ, რომელიც საბოლოოდ არჩეულ იქნა ეკონომიკური შეხედულებების აღწერისათვის და დაადგინეს მისი ცნების შინაარსი, რომელშიც მოიაზრებოდა თავისუფალი წარმოება, თავისუფალი ფასწარმოქმნის მექანიზმი, კონკურენციის სისტემა და სამართლიანი სახელმწიფო. „ნეოლიბერალად“ ყოფნა კი გულისხმობდა თანამედროვე ეკონომიკური პოლიტიკის ადვოკატირებას სახელმწიფოს ჩარევისაგან.

ნეოლიბერალიზმის მნიშვნელობა გაიზარდა 1947 წ-ის 10 აპრილს „მონ პელერინის საზოგადოების“ დაარსების შემდეგ, რომლის დამფუძნებლებიც იყვნენ 36 გამოჩენილი მეცნიერ-ეკონომისტი, მათ შორის ფრიდრიხ ჰაიეკი, მილტონ ფრიდმანი, კარლ პოპერი, ჯორჯ სტიგნერი და სხვები, რომელთაგან ნახევარზე მეტი ამერიკელები იყვნენ. მას შემდეგ რვა მათგანი გახდა ნობელის პრემიის ლაურიატი. ისინი მხარს უჭერდნენ თავისუფალ ბაზარსა და „ღია საზოგადოების“ პოლიტიკურ ღირებულებებს, თუმცა, უარყვეს კოლექტივიზმი, და მასთან ერთად დემოკრატიაც, პრაქტიკულად მათგან წამოიზარდა ნეოლიბერალიზმი. თუმცა, „მის“ გარეშე ვიტყოდი, მანამდე არსებული „დემოკრატია“ დარჩა მანამდე არსებულ „ლიბერალურ-დემოკრატიასთან,“ რომელიც პრინციპში ქმნიდა ნამდვილ ევროპულ ღირებულებებს.

1951 წ-ს, ეკონომისტმა მილტონ ფრიდმანმა გამოაქვეყნა ესიები „ლიბერალიზმისა და მისი პერსპექტივების შესახებ“. საერთო პოლიტიკის შემუშავებისას იგი იქცა პარადიგმის ნაწილად, რომელიც მოყვა 70-იან წწ-ში „კეინსიანის კონსესუსის“ მარცხს ეკონომიკაში, რაც გათვალისწინებული იყო სტაგნაციის მოსაგვარებლად.

ინგლისურენოვანებმა მე-20 ს-ის დასაწყისიდან, დაიწყეს ნეოლიბერალიზმის ტერმინის გამოყენება სხვადასხვა მნიშვნელო-

ბით, თუმცა მან ფართო გავრცელება ჰპოვა 70-იან (ჩილეში პინოჩეტას რეფორმები) და 80-იან წწ-ში, რასაც განსაკუთრებით ხელი შეუწყო მარგარე ტეტჩერისა და რეიგენის პოლიტიკურ არენაზე გამოჩენამ. აღსანიშნავია, რომ სხვადასხვა ხალხები სხვადასხვა მნიშვნელობით მოიხსენიებენ ნეოლიბერალიზმს. იგი მუდმივად განიცდიდა და დღესაც განიცდის „მუტაციას“ და ერთდაგვარად ამდიდრებენ შინაარსობრივად, გამომდინარე გლობალიზმის წინაშე მდგარი ამოცანებიდან. იგი საბოლოოდ ჯერ კიდევ ჩამოყალიბებული არ არის და ალბათ ასე, მუდმივ ცვალებადობაში იქნება, ვიდრე საბოლოოდ და საყოველთაოდ არ ჩამოყალიბდება მსოფლიო გლობალური საზოგადოება ახალი ცივილური ფენომენის სახით.

ნეოლიბერალიზმი, როგორც ეკონომიკური ფილოსოფია, როგორც ზემოთ ავლნიშნეთ, გაჩნდა 1930-იან წლებში, როდესაც შეეცადნენ აღედგინათ და განეახლებინათ კლასიკური ლიბერალიზმის ძირითადი იდეები, რაც ერთდაგვარად დაჩრდილული იყო მარქსიზმის გამარჯვებით რუსეთში, და აშშ-ს იმ დროინდელი ეკონომიკური წარუმატებლობით. ნეოლიბერალიზმი ახალ სიმალეზე აყვანილ იქნა 1980 -იანი წლებიდან დიდ ბრიტანეთში მარგარე ტეტჩერის, ხოლო ამერიკის შეერთებულ შტატებში – როლანდ რეიგენის მიერ განახორციელებული რეფორმების შედეგად, რა დროსაც დაძლეულ იქნა ეკონომიკური სტაგნაცია, დაწყებულ 70-იანი წლებიდან. მას შემდეგ, კი, კერძოდ, 1994 წ-დან ეს ტერმინი შევიდა გლობალურ მიმოქცევაში, ხოლო, მისი შინაარსი სულ უფრო და უფრო, ახალ და ახალი მნიშვნელობებით დაიტვირთა, რასაც ჩვენს მიერ ზემოხსენებული მისი „შინაარსის შემცველობაც“ მოწმობს. სადღეისოდ ნეოლიბერალიზმი მოიაზრება საბაზრო ეკონომიკის ფუნდამენტად.

ნეოლიბერალიზმი აშშ-ს დემოკრატიული პარტიის იდეოლოგიური საფუძველია. მისმა გამოჩენილმა წარმომადგენლებმა ალბერტ გორიმ და ბილ კლინტონმა 1983 წ-ს გამოსცეს ჟურნალი „ნეოლიბერალის მანიფესტი“, რომლითაც პროპაგანდირებას განიცდიდა, 2008 წ-მდე კი დომინირებადი რეიგენისა და ტეტჩერის ეკონომიკური პოლიტიკა, ვიდრე ხელახლა არ დაიწყო მსოფლიო ეკონომიკური კრიზისი, რასაც მოყვა ნეოლიბერალიზმის ექსპორტი ლათინურ ამერიკაში, ევროაზიისა და აფრიკის ქვეყ-

ნებში. პოსტსაბჭოთა სივრცეში კი 90-იანი წლებიდან უკვე იყო იმპორტირებული.

„ნეოლიბერალიზმი“ ამჟამად გამოიყენება ბაზარზე ორიენტირებული სარეფორმო პოლიტიკისათვის, რათა ცალკეულ სახელმწიფოებში აღმოფხვრან „ფასების კონტროლი“, „ბაზრების დარეგულირება“, „სავაჭრო ბარიერების შემცირება“ და „ეკონომიკაზე სახელმწიფოს გავლენა,“ რაც სურთ მიაღწიონ პრივატიზაციისა და სიმკაცრის დანერგვის გზით.

ნეოლიბერალიზმი თავის თავში მოიცავს მსოფლიოს განვითარების მოდელს, რომელიც თავისუფალია კონსტრუქციული ეკონომიკისაგან, თანახმად „ვაშინგტონის კონსენსუსისა“. როგორც იდეოლოგია, იგი აღნიშნავს თავისუფლებას, მიმართული სახელმწიფო ფუნქციების მინიმუმამდე შემცირებას. ნეოლიბერალიზმი, -საჯარო პოლიტიკაა, მიმართული ეკონომიკური და მომსახურებითი სფეროების პრივატიზებისა და კერძო კორპორაციების საქმიანობაში ჩაურევლობისადმი, რა დროსაც საჯარო სამსახურის ხარჯები მკვეთრად უნდა იყოს შემცირებული. ნეოლიბერალიზმში საგულისხმოა ასევე ცხოვრების ყველა სფეროში ბაზრის განვითარება, მათ შორის პოლიტიკასა და საზოგადოებრივ საქმიანობაში. გლობალისტებს ბაზარი სურთ გახადონ ჩვენი ყოფიერების მთავარ რეგულიატორად. ნეოლიბერალიზმს ხშირად მოიაზრებენ „თავისუფალი ბაზრის იდეოლოგიად“ და ხანაც პოლიტიკურ ფილოსოფიად, რომლის მეშვეობითაც სურთ ლიბერალური გახადონ კაპიტალ დაგროვების პროცესები. ნეოლიბერალიზმის ასპექტში ბაზარი მოიაზრება სამართლებრივ არბიტრად. ნეოლიბერალიზმი მიჩნეულია „თავისუფალი ბაზრის“ გზამკვლევად. გლობალიზმის პირობებში იგი საზოგადოების ტრანსფორმირების უნივერსალური გზაა.

ნეოლიბერალიზმის პოლიტიკას ბევრ ქვეყანაში გაუხსნა გზა საერთაშორისო სავალუტო ფონდმა და მსოფლიო ბანკმა, რისთვისაც თავიდანვე შექმნილ იქნა ეს დაწესებულებები. ისინი აწესებენ პოლიტიკური ხასიათის მოთხოვნებს გაცემულ სესხებზე. ნეოლიბერალური ორგანიზაციაა ევროკავშირიც, რომელიც შეიქმნა საბჭოთა კავშირის დანგრევის შემდეგ- 1992 წ-ს. იგი ხელს უწყობს თავისუფალ ვაჭრობასა და თავისუფალ გადაადგილებას, თუმცა ეწინააღმდეგება ეროვნულ ინსტიტუტებს /მისი

ბუნების შესახებ გვექნება ამომწურვი საუბარი მოგვიანებით/. მის ამ მხრივ ხსენებული ფინანსური ინსტიტუტები, მათ შორის აშშ-ს სახაზინო დეპარტამენტი, მოქმედებენ „ვაშინგტონის კონსესუსის“ დებულების შესაბამისად, რომელიც მორგებულია კრიზისულ მდგომარეობაში მყოფი განვითარებადი ქვეყნებზე სესხების გაცემის პოლიტიკას. ამ ბანკების პოლიტიკაა ბაზრის ლიბერალიზაცია.⁷

ა) „ვაშინგტონის კონსესუსი“, აშშ-ს მაკრო ეკონომიკური პოლიტიკის განმსაზღვრელი აქტია, რომელიც 1989 წ-ს შემუშავებული იქნა რეკომენდაციების სახით მსოფლიო ბანკისა და სავალუტო ფონდის მიერ, საფინანსო და ეკონომიკურ კრიზისში მყოფი სახელმწიფოებისათვის სესხის გაცემის ასპექტში, თუმცა გამოიყენება ასევე განვითარებული კაპიტალისტური სახელმწიფოების მიერაც. მასში გამოხატულია აშშ-ს ადმინისტრაციის საერთო პოზიცია და წამყვანი ანალიტიკური ცენტრების თვალსაზრისი.

ტეტჩერიზმისა და რეიგენიზმის მოსვლით დაიწყო სახელმწიფოს ეკონომიკაში ჩარევის შემცირება და პრივატიზაციის პროცესი, რაშიც გადაძწყვეტი როლი ითამაშა სსრკ-ს დაშლამ და აღმოსავლეთ ევროპაში განვითარებულმა მოვლენებმა.

ამ „კონსესუსის“ ძირითადი ამოცანა იყო ხსენებულ რეგიონში არსებული ქვეყნების გეგმიური ეკონომიკიდან, საბაზრო ეკონომიკაზე გადაყვანა რეფორმირების გზით. მისი შინაარსი ძირითადად ითვალისწინებს:

1. ფისკალური დისციპლინის მხარდაჭერას;
2. ჯანმრთელობის, განათლებისა და ეკონომიკური დარგის ინფრასტრუქტურის სახელმწიფოებრივი სუბსიდირების მინიმუმამდე დაყვანას;
3. საგადასახადო განაკვეთების შემცირებასა და მათი გადამხდელების რაოდენობათა გაზრდას;
4. ფინანსური ბაზრის ლიბერალიზებას;
5. ეროვნული ვალუტის გაცვლითი კურსის თავისუფლებას;
6. საგარეო ვაჭრობის ლიბერალიზებას;
7. პირდაპირ უცხოური ინვესტიციებზე შეზღუდვების შემცირებას;
8. სახელმწიფო საწარმოთა და საკუთრების პრივატიზებას;

9. ეკონომიკის დერეგულირებას;

10. საკუთრების უფლების დაცვას.

ამ კონსენსუსის კრიტიკა ძირითადად მიმართულია ეკონომიკაში სახელმწიფოს როლის შემცირებასა და ბაზრის როლის გაძლიერებაზე. კრიტიკოსთა აზრით „ვაშინგტონის კონსენსუსი“ ბევრი ქვეყნისთვის აღმოჩნდა ართუ არა ეფექტური, არამედ მათი დამღუპველი. **ბევრი მას თვლის აშშ-ს მიერ სხვა ქვეყნებზე მისი ნების თავს მოხვევის პოლიტიკურ იარაღად**, ხოლო მსოფლიო ბანკსა და სარეზერვო ფონდს, მათ მიერვე დაწესებულ რეფორმის მეთოდებსა და მოთხოვნებთან ერთად, მსოფლიოს ეკონომიკის შეცვლის მნიშვნელოვან ინსტრუმენტად, განვითარებადი ქვეყნების უფრო მეტად ღიაობის უზრუნველყოფის საქმეში. აღნიშნული „კონსენსუსის“ გამო ბევრ ქვეყანაში განვითარდა ეკონომიკური კრიზისი, რამეთუ არ ითვალისწინებდნენ მათ ადგილობრივ თავისებურებებს და ყველას უდგებოდნენ ერთიანი შაბლონით.⁸

ნეოლიბერალური პოლიტიკა კონცენტრირებას განიცდის ეკონომიკური ლიბერალიზმის გარშემო, რომელიც მოიცავს სავაჭრო ბარიერების შემცირებასა და სხვა მექანიზმებს, რაც თავის მხრივ გულისხმობს თავისუფალი ვაჭრობის გაზრდას, მრეწველობის დერეგულირებას, სახელმწიფო საწარმოთა პრივატიზებას, მთავრობის ხარჯების შემცირებასა და მონეტარიზმს. ნეოლიბერალური თეორია ამტკიცებს, რომ თავისი ბაზრები ხელს უწყობენ ეკონომიკური ეფექტიანობის ამაღლებასა და ტექნიკური ინოვაციების ზრდას. მიაჩნიათ, რომ ზოგადად სახელმწიფოს ჩარევა, მაშინაც კი, თუ იგი ამ ფენომენების წახალისებას ისახავს მიზნად, აუარესებს მათ ეკონომიკურ მაჩვენებლებს. თავისუფალი ვაჭრობის მხარდაჭერა, ნეოლიბერალიზმის მთავარი საზრუნავია, თუმცა იგი საერთო ჯამში ხელს არ უწყობს ეკონომიკურ ზრდასა და სიღარიბის შემცირებას, რაც აუცილებელია თავისუფლებისათვის.

მონეტარიზმი გულისხმობს მაკროეკონომიკურ ასპექტში, ფულის მიწოდებას, რა დროსაც ყურადღება ეთმობა ცენტრალური ბანკების ეფექტიანობას. იგი ასოცირდება აშშ-ს ფედერალური სარეზერვო ფონდის სისტემის პოლიტიკასთან, რომელიც კონცენტრირდება მაღალ საპროცენტო განაკვეთზე, რათა ადგილი არ

ჰქონდეს გიპერ ინფლაციას.

უნდა აღინიშნოს, რომ **ნეოლიბერალიზმს ყავს მოწინააღმდეგენი** და ისინი ეძებენ ეკონომიკის განვითარების ალტერნატიულ გზებს. რამეთუ, საბაზრო ფუნდამენტალიზმი, ნეოლიბერალიზმის მიზანია, რომ როგორმე მოახდინოს ცხოვრების ყველა სფეროს ეკონომიზაცია, მათ შორის პირადი ცხოვრების. საერთო პრობლემისადმი კი ასეთი მიდგომა იწვევს დემოკრატიის გაუქმებას, რაც განაპირობებს რადიკალურ ინდივიდუალიზაციასა და სოციალური დარვინიზმის არაჯანსაღ დაწინაურებას. მის კვალობაზე განვითარდება ადამიანთა ექსპლუატაცია და სოციალური უსამართლობა, დაიკარგება ადამიანთა სოლიდარობა.

დადგენილია, **ნეოლიბერალური პოლიტიკა ზრდის ეკონომიკურ უთანასწორობას, იწვევს გლობალურ სიღარიბეს, ჩნდება ახალი სოციალური კლასი- „პრეკარიატი“, რომელიც მწვავე სოციალურ-ეკონომიკური დაუცველობისა და გაუცხოების მსხვერპლი ხდება.** ნეოლიბერალიზმი მიჩნეულია ეკონომიკური ელიტის კლასობრივი ძალაუფლების ზრდის პროექტად. ნეოლიბერალიზმი ემყარება კაპიტალის მოსახლეობის უდიდეს ნაწილზე სრულ გაბატონებას. მის დროს ხდება საზოგადოებრივი ფუნქციების პრივატიზებაც კი. ეკონომიკური ძალაუფლება გადადის ტრანსნაციონალური კორპორაციათა ხელში.

ამის საპირისპიროდ იქმნება ხალხის **„ანტიკორპორატიული“ მოძრაობა**, რომელიც მიზნად ისახავს წართმეული უფლებების დაბრუნებას, რასაც საფუძვლად დაედო ადამ სმიტის ნაშრომი: **„წესები გონიერი ბაზრის შესახებ“.**

ნეოლიბერალიზმი იმპერიალიზმსაც მოიცავს, რომელიც ფოკუსირებულია განვითარებადი ქვეყნებიდან ფინანსური მექანიზმების მეშვეობით ბუნებრივი რესურსების გატანაზე, რაც ხორციელდება მსოფლიო ბანკისა და სავალუტო ფონდის მეშვეობით. ესენი აწარმოებენ მოლაპარაკებებს განვითარებად ქვეყნებთან სესხების გაცემაზე მოთხოვნების დაწესებისა და ვალისაგან განთავისუფლების შესახებ. მათ მეშვეობით მდიდარი ქვეყნები სუბსიდირებას განიცდიან ღარიბი ქვეყნების (კოლონიების) ხარჯზე.

გლობალური ჯანდაცვისადმი ნეოლიბერალიზმის მიდგომა ხელს უწყობს ჯანდაცვის ინდუსტრიის პრივატიზებას, რაც

ხელს უშლის მთავრობას ჩაერიოს ჯანდაცვის საქმეებში. თუმცა მის ფუნქციას ასრულებს ჯანდაცვის საერთაშორისო ორგანიზაციები, რომელთა წყალობითაც ინერგება სოციალური უთანასწორობა.⁹

ბ) ნეოლიბერალური მიმართულებები:

1. პოლიტიკის გლობალური საბანკო მიმართველობა;
2. ქვეყნების (უპირატესად განვითარებადი) ღიაობა;
3. სახელმწიფო ქონების პრივატიზაცია;
4. მსოფლიოს თავისუფალი ვაჭრობა;
5. ბაზარში სახელმწიფოს ჩაურევლობა;
6. ეკონომიკური საქმიანობის დერეგულაცია;
7. განვითარებადი სახელმწიფოების ნეოკოლონიალიზმი და მათგან ბუნებრივი რესურსების ინდუსტრიულ ქვეყნებში გატანა;
8. ტრანსნაციონალური კომპანიების ეროვნულ სახელმწიფოებში თავისუფლად შეღწევადობა;
9. სახელმწიფოს როლის დაკნინება ეკონომიკურ საქმიანობაში და მისი საკუთრების ღამის დარაჯად გადაქცევა;
10. ჯანდაცვასა და ვაჭრობიდან სახელმწიფოს ჩამოცილება და მისი გადაცემა მსოფლიო ორგანიზაციებისადმი;
ის, რაც აწვალებს დასავლეთელი ლიბერალის სინდისს, ჩემი აზრით, - აღნიშნავს ბერლინი, - არის არა შეხედულება, რომლის თანახმადაც თავისუფლება, რომლისკენაც ილტვიან ადამიანები, განსხვავდება მათი სოციალური ან ეკონომიკური მდგომარეობის შესაბამისად, არამედ ის ფაქტი, რომ **უმცირესობას, რომელსაც გააჩნია თავისუფლება, მოპოვებული აქვს იგი უმრავლესობის (რომელსაც იგი არ გააჩნია) ექსპლოატაციის, ან, უკეთეს შემთხვევაში, მისი მდგომარეობისადმი სრული ინდეფერენტულობის გზით.** ისინი თვლიან, რომ თუ კი პიროვნული თავისუფლებაა ადამიანთა საბოლოო მიზანი, მაშინ არავის შეიძლება ვინმეს მხრიდან ეთქვას უარი თავისუფლებაზე, და მითუმეტეს, არავის აქვს უფლება ისარგებლოს თავისუფლებით სხვების ხარჯზე. თანასწორობა თავისუფლებაში: არავის აქვს უფლება მოეპყრას სხვას ისე, როგორც თვითონ არ ისურვებდა, რომ სხვები მოპყრობოდნენ მას. მე მმართებს გადაუხადო ვალი იმათ, ვინც იღვაწა ჩემი თავისუფლების, კეთილდღეობისა და განათლებისათვის. სამართლიანობა, ამ სიტყვის ყველაზე მარტივი და საყოველთაო მნიშვნელობით: **აი, ესენია ლიბერალური ზნეობრიობის საფუძვლები** (თუმცა ზოგიერთი შემდგომი ლიბერალი ფილოსოფოსი არ იზიარებს ამას). თავისუფლება არ არის ადამიანის ერთადერთი მიზანი. მე შემიძლია რუსი კრიტიკოსის ბელინსკის მსგავსად, განვაცხადო, რომ, “თუკი სხვებს ართმევენ თავისუფლებას, თუ კი ჩემი ძმები განწირულები არიან გაჭირვებაში, სიდუხჭირესა და ბორკილებში საცხოვრებლად, მაშინ არც მე მინდა თავისუფლება მხოლოდ ჩემთვის. მე უარვყოფ მას ორივე ხელით და მთელი სულით და მთელი გულით, ვარჩევ გავიზიარო მათი ხვედრი. იმისთვის, რომ თავიდან ავიცილოთ ამკარა უთანასწორობა, ან საყოველთაო გაჭირვება, მე მზადა ვარ, მსხვერპლად მოვიტანო ჩემი თავისუფლების რაღაც ნაწილი, ან მთლიანად მთელი ჩემი თავისუფლება. მე შემიძლია გავაკეთო ეს შეგნებულად და ნებაყოფილებით, მაგრამ ესეც თავისუფლებაა. მე რომ ვთმობ მას სამართლიანობის, თანასწორობის ან მოყვასის მიმართ სიყვარულის გულისთვის. მე დამნაშავე ვიქნებოდი, დიახ, დამნაშავე, მე რომ რაღაც სიტუაციაში მზად არ ვყოფილიყავი მსხვერპლად მიმეტანა ჩემი თავისუფლება, მაგრამ ამ მსხვერპლს შედეგად არ მოაქვს ზრდა იმისა, რასაც ვმსხვერპლად ვწირავ, ანუ ზრდა თავისუფლებისა. თავისუფლება არის თავისუფლება და არა თანა-

სწორობა, სამართლიანობა, კულტურა, ბედნიერება, ან მშვიდი სინდისი. თუ კი ჩემი პირადი, ან სოციალური კლასის, ან ერის თავისუფლება დამოკიდებულია სხვა ადამიანების უბედურებაზე, მაშინ სისტემა, რომელიც ამგვარ რამეს უწყობს ხელს უსამართლოა და ამორალური.“²³

უარყოფითს ვერაფერს იტყვი, კარგად აქვს ჩამოყალიბებული ბერლინს თავისი შეხედულება, ბერლინსკზე დაყრდნობით. აქ მხოლოდ იმის ხაზგასმას საჭირო, რომ მას იგი დაწერილი აქვს საბჭოთა კავშირის დაშლამდე ბევრად ადრე, -1958 წ-ს და ჯერ კიდევ სინდისის ქეჯნის ქვეშ იმყოფებოდა.

ფილოსოფოსებს, რომლებსაც ოპტიმისტური შეხედულებები გააჩნდათ ადამიანის ბუნების შესახებ და სჯეროდათ, რომ ქვეყნად შესაძლებელი იყო ადამიანთა ინტერესების ჰარმონიზება, -როგორებიც იყვნენ ლოკი, ადამ სმიტი, ან მილი, -და მიაჩნდათ, და სჯეროდათ, რომ საზოგადოებაში სოციალური ჰარმონიის მისაღწევად სავალდებულო იყო გამოენახათ ადამიანის კერძო ინტერესებისათვის ისეთი სივრცობრივი არეალი, სადაც არ მიესვლებოდა არც სახელმწიფოს და არც რომელიმე სხვა ხელისუფალს.

ჰობსი და სხვები, ვინც ამას ეთანხმებოდნენ, განასაკუთრებით კონსერვატორი და რეაქციონერი მოაზროვნეები იყვნენ, ამტკიცებდნენ, რომ იმისათვის, რომ ადამიანებს ხელი შეეშალოთ ერთმანეთის განადგურებასა და საზოგადოებრივი ცხოვრების ჯუნგლებად, თუ ველურ ტრამალეზად გადაქცევაში, საჭიროა მეტი გარანტიები მიეცეთ მათ, თავიანთ ადგილებზე გასაჩერებლად.

რაც დღეს ჩვენ გვაკლია და რაშიც ვსაჭიროებთ!

ამის შესაბამისად, ჰობსი გეთავაზობდა ცენტრალიზებული კონტროლის არიალის გაზრდას და პიროვნების მოქმედების არიალის შემცირებას. თავისუფლებისა და კერძო ცხოვრების დამცველთაგან ყველაზე უფრო მჭერმეტყველი, -ბენჟამენ კოსტანი კი, ადამიანი, რომელსაც კარგად ახსოვდა იაკობინელთა დიქტატურა, აცხადებდა, რომ **სულ მმცირე რამ, რაც აუცილებლად დაცული უნდა იყოს გარედან თვითნებური ჩარევისაგან, არის სარწმუნოების, სიტყვის, აზრისა და ქონების თავისუფლება, რაც შემდეგ საფუძვლად დაედო ევროპულ ღირებულებებს.**

ჯეფერსონმა, ბერკმა, პიენმა და მილმა,- განსხვავებული კატალოგები შექმნეს პიროვნული თავისუფლებისა, მაგრამ ყველა ერთი აზრის იყო იმის თაობაზე, რომ საჭირო იყო ხელისუფლების გამუდმებით მარწუხებში ყოლა,.. აცხადებდნენ, ჩვენ არ შეგვიძლია, ვიყოთ აბსოლიტურად თავისუფალნი და ჩვენ უნდა დავთმოთ ჩვენი თავისუფლების რაღაც ნაწილი, რომ შევინარჩუნოთ დანარჩენი ნაწილები. მაგრამ, სრული დათმობა საკუთარი მარცხის აღიარებას ნიშნავსო. და მაშ რა არის ის მინიმუმი, რომელიც შენარჩუნებულ უნდა იყოსო? ასეთად მიაჩნდათ ის, რასაც ადამიანი ვერ დათმობდა, მისი ღირსების შელახვის გარეშე. მაგრამ რა არის ადამიანის არსება? როგორია მისი სტანდარტები? ამაზე ყოველთვის იყო და ალბათ მომავალშიც იქნება ცხარე კამათი. მაგრამ როგორიც არ უნდა იყოს ეს პრინციპი, რომლის მიხედვითაც უნდა განისაზღვროს ადამიანის ავტონომიური სამყარო, იგი იქნება ბუნებით სამართალზე დამყარებული ბუნებითი უფლებების პრინციპი, უტილიტარიზმის თუ კატეგორიული იმპერატივის, სოციალური კონტრაქტის, თუ ნებისმიერი სხვა იდეის პრინციპი, რომლისკენაც ესწრაფვის ადამიანი, რათა განმარტოს და გაამართლოს თავისი შეხედულებები. თავისუფლება ამ მნიშვნელობით ყოველთვის იქნება თავისუფალი რაღაცისაგან მაინც თავისუფალი, ანუ, როდესაც არ არსებობს გარედან ჩარევა ამ რაღაც ავტონომიურ სამყაროში, რომლის საზღვრები, მართალია, მუდამ იცვლება, მაგრამ რომლის არსებობასაც ყველა აღიარებს. მილის სიტყვებით, **“ერთადერთი თავისუფლება, რომელიც იმსახურებს ამ სახელს, არის ჩვენი სწრაფვა ჩვენი მიზნებისაკენ, ჩვენითვის გზებით”**. თუ კი ეს ასეა, აქვს თუ არა გამართლდება იძულებას? მილს ეჭვი ეპარებოდა, რომ აქვს, რადგანაც სამართლიანობა მოითხოვს, რომ ყველას ჰქონდეს მინიმალური თავისუფლება, ყველა შეზღუდული უნდა იყოს, და იმდენად, რომ არ შეეძლოს წაართვას სხვა ადამიანებს თავისუფლება. კანონის მთელი ფუნქცია უნდა დაიყვანებოდეს იქამდე, რომ სახელმწიფოს ფუნქცია შეიკვეცოს ღამის დარაჯისა და საგზაო პოლიციის ინსპექტორის მოვალეობებამდე-ო, ამბობდა მილი.²⁴

აქ მოყვანილი მოსაზრებები ძირითადად მისაღებაა, თუმცა უნდა გვახსოვდეს, რომ ყველა შემთხვევაში, ადამიანის თავისუფლება უნდა გავიგოთ, როგორც უფლება, მომდინარე რომელიმე კომუნიდან,

ხელისუფლებიდან და რომ იგი დაბალანსებული უნდა იყოს სოციალური სამართლიანობით.

თუ ეს ასეა, აქვს თუ არა გამართლება იძულებას? მილს ექვი ეპარება, რომ აქვს. რადგანაც სამართლიანობა მოითხოვს, რომ ყველას ჰქონდეს მინიმალური თავისუფლება, ყველა შეზღუდული უნდა იყოს, თუ საჭიროა ძალითაც, იმდენად, რომ არ შეეძლოს წაართვას სხვა ადამიანს თავისუფლება. იგი აცხადებს: „სანამ ადამიანებს არ მიეცემათ საშუალება იცხოვრონ ისე, როგორც მათ სურთ და „იარონ იმ გზით, რომელსაც თვითონ აირჩევენ. ცივილიზაცია წინ ვერ წავა, ჭეშმარიტება ვერ გამოანათებს მზის შუქზე, რადგან არ იარსებებს იდეათა თავისუფალი ბაზარი. თავისუფალ ბაზარს, ნიჭს, ინტელექტუალურ ენერჯიას, ზნეობრივ სითამამეს არ ექნება ასპარეზი, საზოგადოება გაიჭყლიტება საშუალო ადამიანების მასობრივი ზეწოლის ქვეშ.“ 25

ცხადია, შემოქმედებას უნდა ჰქონდეს გზა გახსნილი.

ის, რაც მდიდრულია და მრავალფეროვანი დაიჩაგრება ჩვეულებების ბატონობის ქვეშ, ადამიანების მუდმივი კომფორმიზმის ქვეშ, რომელიც ხელს უწყობს მხოლოდ „გონებრივ შეზღუდულობას“, „უნიციაციატობას“, „ერთფეროვნებას“. “წარმართული“ თვითდამკვიდრება ისევე აუცილებელია, როგორც ქრისტიანული თვითუარყოფა“.

“ნებისმიერი შეცდომა, რომელიც შესაძლოა, ადამიანმა დაუშვას ნებისმიერი რჩევებისა თუ გაფრთხილებების საწინააღმდეგოდ, არაფერია, იმ ბოროტებასთან შედარებით, რომლის საფუძველზე სხვა ადამიანებს ეძლევათ ნება იძულებით მოახვიონ ინდივიდებს თავიანთი აზრი „ავისა“ თუ „კარგის“ შესახებ.“

თუ ამას დავუშვებთ, ნიშნავს მრავალ სოციალურ თუ კულტურულ მემკვიდრეობით მიღებულ ინსტიტუტზე უარის თქმას, თუნდაც მამა-შვილობის ასპექტში, რაც საკუთარი თავის უარყოფის ტოლფასია? ასეთი რამ ცხოველთა სამყაროშიც კი არ ხდება.

თავისუფლებისათვის ბრძოლა, ეს არის „ნეგატური“ მიზანი ალკვეთო გარედან ჩარევის მცდელობა. ადამიანთა დაშინება და დევნა, მათი იძულება, იცხოვრონ თავისუფალი არჩევანის გარეშე, მათ წინაშე ყველა კარის ჩარაზვა, ერთის გარდა რაოდენ კე-

თილშობილურ მიზანსაც არ უნდა ემსახურებოდეს ყოველივე ეს, . . . ვინც ამას სჩადის, სხვა არაფერია, თუ არა ცოდვა, ჩადენილი იმ ჭეშმარიტების წინაშე, რომელიც აცხადებს: „რადგან მე ვარ ადამიანი, მე, მაქვს უფლება ვიცხოვრო ჩემი ცხოვრებით.“

სწორედ ასე ესმოდა თავისუფლება თანამედროვე სამყაროს ყველა ლიბერალს, დაწყებული ერაზმ როტერდამელით (. . .) და დამთავრებული ჩვენით, - აცხადებს ბერლინი. სამოქალაქო თავისუფლების და ადამიანის უფლებების ყოველგვარი აპოლოგია, და ექსპლოტაციისა და ჩაგვრის, სახელმწიფოს მხრივ ადამიანის პირად საქმეებში ჩარევის, ჩვეულებისაგან გამომდინარე მასობრივი ჰიპნოზისა, და ორგანიზებული პროპაგანდის წინააღმდეგ მიმართული ნებისმიერი პროტესტი, სწორედ, ადამიანის შესახებ ამ ინდივიდუალისტური, თუმცა ხშირად საკამათო, კონცეპციისაგან იღებს სათავეს.

როგორც ხედავთ, მილის შესანიშნავი შეხედულებები ჭეშონია ლიბერალიზმის შესახებ. მის თეორიაში არანაირად არ მოჩანს მცდელობა ადამიანის „ატომიზაციის“ შესახებ, საითკენაც კურსი აქვთ აღებული თანამედროვე ნეოლიბერალურ ფილოსოფოსებს.

ჩაურევლობა, რომელიც იძულების ანტითეზას წარმოადგენს, მიჩნეულია თავისთავად „კარგ“ მოვლენად. თუმცა, ერთადერთ სათნოებად არ არის იგი მიჩნეული ამ ქვეყნად. სწორედ ასეთია ბერლინის თავისუფლების „ნეგატური“ კონცეპცია მისი კლასიკური გაგებით. მისი შეხედულების თანახმად, ადამიანი მუდმივად უნდა ისწრაფვოდეს ჭეშმარიტებისაკენ, ან თავის თავში ისეთ პიროვნული თვისებების გამომუშავებისაკენ, როგორცაა კრიტიციზმი, ორიგინალობა, ფანტაზია, დამოუკიდებლობა, ნონ-კონფორმიზმი, ხშირად ექსცენტრიულობამდრე მისული და აშ., მაგრამ, მილის აზრით, ჭეშმარიტების მიღწევა ან ამგვარი თვისებებისა თუ ხასიათის გამომუშავება, შესაძლებელია მხოლოდ თავისუფლების არსებობის პირობებში. ორივე ეს შეხედულება ლიბერალურია, მათ შორის კავშირი კი, საუკეთესო შემთხვევაში, მხოლოდ ემპირიული.

სურვილი, დარჩე საკუთარ თავთან მარტო, არავინ ერეოდეს შენს საქმეებში, არის უმაღლესი ცივილიზების ნიშანი, როგორც პიროვნებასთან, ისე საზოგადოებასთან მიმართებაში. ხოლო,

თვით პიროვნული ურთიერთობების სიკერძოვის იდეა, როგორც, რაღაც წმიდათა-წმინდა უფლება ადამიანისა, გამომდინარეობს თავისუფლების იმგვარი კონცეპციისაგან, რომელიც, მიუხედავად მისი რელიგიური ფესვებისა, ჩამოყალიბებული სახით, რენესანსსა, თუ რეფორმიზზე უფრო ადრეული არ არის. იქ სადაც ამგვარი სურვილი ქრება, ცივლიზაციაც კვდება და ზნეობაც, აცხადებს ბერლინი.²⁷

თავისუფლება, რომელიც მდგომარეობს იმაში, რომ იყო საკუთარი თავის უფალი და თავისუფლება, რომლის არსიც იმაში მდგომარეობს, რომ შენ არავინ შეგიშალოს ხელი აირჩიო რაც გინდა, შეიძლება ერთი შეხედვით არც კი მოგვეჩვენოთ ერთმანეთისაგან ლოგიკურად დაშორიშორებულ ცნებებად, -ერთი და იგივე აზრის ორი სხვადასხვა -ნეგატიური და პოზიტიური -ფორმით ჩამოყალიბების მცდელობაა, და ისტორიულად თავისუფლების ეს ორი ასპექტი, სხვადასხვა მიმართულებით ვითარდებოდა, ვიდრე საბოლოოდ არ მივიდნენ აშკარა დაპირისპირებამდე.

ბერლინი ამბობს, ჩემი გონება არის ჩემი „მე“, რომელიც იღვწის იმ მიზნებისაკენ, რომლებიც ჩემს მარადიულ მისწრაფებებს მიესადაგება. ეს არის ჩემი „რეალური“, „იდეალური“, ან „ავტონომიური“ „მე“, ან „საუკეთესო“, მე“. ამის საწინააღმდეგოდ ჩემში არსებობს აგრეთვე ირაციონალური იმპულსი, დაუოკებელი ლტოლვა, ჩემი „მდაბალი“ ბუნება, რომელიც იღვწის წუთიერი სიამტკბილობების მოსაპოვებლად. ეს არის ჩემი „ემპირიული“ „მე“, რომელიც მონაა ყოველგვარი ვნებებისა და ლტოვების. იგი მკაცრი დისციპლინის მარწუხებში უნდა მოექცეს ამისათვის, რომ მიაღწიოს თავისი „ნამდვილი“ ბუნების სრულ სიმაღლეებს. ნაპრალი ამ ორ „მე“-ს შორის დღეს-დღეობით კიდევ უფრო დიდია. ნამდვილი „მე“ შეიძლება წარმოვიდგინოთ, როგორც უფრო ფართო ცნება, ვიდრე ინდივიდია, ეს არის რაღაც სოციალური „მთელი“, რომლის მხოლოდ ერთ ნაწილს, ან ასპექტს წარმოადგენს ინდივიდი, -ტომი, რასსა, ეკლესია, სახელმწიფო, ან საზოგადოება თავის მარადიულობაში. რომელიც შედგება, როგორც ამჟამად ცოცხალი ინდივიდებისაგან, ისე გარდაცვლილი და ჯერაც არ დაბადებული ადამიანებისაგანაც. მთლიანობა გაიზარება, როგორც „ჰემმარიტი“ „მე“, რომელიც თავის დაუმორჩილებელ „წევრებზე“ თავისი საკუთარი კოლექტიური, ან „ორგა-

ნული“ ნების გავრცელების გზით აღწევს საკუთარი თავისთვის, და მაშასადამე ამ წევრებისთვისაც „უფრო მაღალი“ ხარისხის თავისუფლებას. არაერთგზის გამოთქამულა წუხილი იმის გამო, რომ ორგანული მეტაფორების გამოყენება ადამიანთა მიმართ ძალადობის გასამართლებლად და თითქოს იმისათვის, რომ მიღწეულ იქნას მათთვის „უფრო მაღალი ხარისხის“ თავისუფლება, ხშირად დიდ რისკთან არის დაკავშირებული. მაგრამ ასეთი ენის დამკვიდრებას რაციონალურს ხდის ის ფაქტი, რომ ჩვენ ზოგჯერ, შესაძლებლად და გამართლებულადაც კი მივიჩნევთ ადამიანთა წინააღმდეგ ძალის გამოყენებას, რათა ამგვარად მიღწეულ იქნას იგივე მიზანი, რომელსაც, რა თქმა უნდა, ისინი თვითონვე დაისახავდნენ, უფრო განათლებულნი რომ ყოფილიყვნენ. მაგრამ, რადგანაც ისინი გაუნათლებელნი, ბრმანი ან კორუმპირებულნი არიან, ამიტომაც ისინი, ასეთ მიზანს არ ისახავენ. ყოველივე ეს უფლებას მძლევს განვაცხადო, სრულიად თავისუფლად, რომ მე მივმართავ ძალადობას სხვა ადამიანთა წინააღმდეგ, თვით მათივე კეთილდღეობისათვის და მათი საკუთარი და, არა ჩემი, ინტერესების შესაბამისად. გარდა ამისა, მე ვაცხადებ, რომ მე მათზე ბევრად უკეთ ვიცი, თუ რა სჭირდებათ მათ, და ისინი, რა თქმა უნდა, მე წინააღმდეგობას არ გამიწევდნენ, იმდენადვე რაციონალურნი და ბრძენნი რომ ყოფილიყვნენ, როგორც მე ვარ და იმდენადვე რომ ჰქონოდათ შეგნებული, თუ რა არის მათ ინტერესებში მთავარი, როგორც ეს მე მაქვს შეგნებული. მაგრამ მე, შეიძლება, კიდევ უფრო შორს წავიდე და უფრო მეტი მოვითხოვო, რომ ისინი არაცნობიერად ილტვიან სწორედ იმ მიზნებისაკენ, რასაც თავიანთი უმეცარი ცნობიერებით ებრძვიან. რადგან მათში არის რაღაც რაციონალური ნება. და ეს რაღაც არსი, მიუხედავად იმისა, რომ შეფარულია ყოველივე იმით, რასაც ისინი ცხადად გრძნობენ ან ამბობენ, არის მათი „ნამდვილი“ „მე“, რომლის შესახებაც მათმა საწყალმა ემპირიულმა „მე“-მ, რომელიც არსებობს დროსა და სივრცეში, არაფერი, ან ძალზე ცოტა რამ იცის. და ეს შინაგანი „მე“, ან სული, არის სწორედ ის „მე“, რომელიც, მართლაც, იმსახურებს იმას, რომ მისი მისწრაფებები მხედველობაში იქნას მიღებული. თუ კი მე გავიზიარებ ამ შეხედულებას, მე უკვე შემიძლია არად ჩავაგდო ადამიანებისა და საზოგადოების ცხადი სურვილები.²⁶

აქ, ბერლინის პოზიციას მიყევართ ჰეგელის

ღვთაებრივი სულის შემეცნებამდე, რომელიც საზო-
ლოო ჯამში ეწინააღმდეგება ადამიანის „ატომიზა-
ციის“ თეორიას და მისაღებად მიმაჩნია. საერთოდ,
ბერლინის მოცემული ნაშრომი, გარკვეულ წილად
მისაღებია და განსაკუთრებულ კრიტიკას არ იმსა-
ხურებს.

თავისუფლების ჭეშმარიტი იდეალი ის არის, რომ ადამიანთა
საზოგადოების თითოეულმა წევრმა თანაბრად გაინაწილოს მაქ-
სიმალური ძალაუფლება, რათა გამოიყენოს იგი საკუთარი თავის
სრულყოფილებისათვის.

გ) პოზიტიური თავისუფლების კონცეფცია, დაკა-
ვშირებულია ინდივიდის სურვილთან, რამეთუ სურს იყოს სა-
კუთარი თავის უფალი, რომ მასზე იყოს დამოკიდებული მისი
ცხოვრება და მის მიერვე მიღებული გადაწყვეტილებები, და არა
სხვა გარეშე ძალაზე; იყოს თავისი თავის და არა სხვისი იარაღი.
წარმოადგენდეს საკუთარი მოქმედების სუბიექტს და არა სხვი-
სი ზემოქმედების ობიექტს. იყოს აღიარებული და არა, „არავინ.“
ბერლინის სიტყვებით რომ ვთქვათ, **ესაა ის მცირე ჩამონათვალი,
რაც ავსებს რაციონალური არსების არსს.**

*ვგიქრობ, პოზიტიური თავისუფლება (თავისი
წილი უფლება) დაკავშირებულია არა პიროვნების
სურვილთან, არამედ იმ კომუნასთან, რომლის წევ-
რიც არის ეს პიროვნება, და რომლის კორდინირების
ქვეშაც იმყოფება. ასეთ შემთხვევაში ამ პიროვნების
პოზიტიური, როგორც ობიექტური უფლებები, ანუ
ობიექტური შესაძლებლობები, უნდა განისაზღვრე-
ბოდეს მის სამართალსუბიექტურობის მიღმა მდგო-
მი, კომუნის საერთო კომპეტენციის უფლებათა არ-
სენალიდან. თუ ეს პრინციპი დარღვეულია, მაშინ
საზოგადოებაში შემოდის უთანასწორობა და ირ-
ღვევა დემოკრატიის პრინციპები, ანუ სოციალური
სამართლიანობა. იხრჩნება მისი პრინციპები და სუ-
ლისკვეთება. ხალხს აღარ ძალუმს ხელისუფლების
ატანა, რომელსაც ენდობოდა და ახლა თვითონ სურს
გადაწყვეტილებების მიღება. საზოგადოებაში ჩნდე-
ბა ბზარი და ერთმანეთის აუტანლობა, იკარგება ქვე-*

ლობა. ხდება სახელმწიფოებრივი გადატრიალებები და ხელისუფლებაში მოდიან ტირანები. როგორც შ.ლ.მონტესკიე იტყოდა ხალხი უნდა ერიდებოდეს, როგორც სულისკვეთების უთანასწორობას, რომელსაც არისტოკრატისაკენ, ანუ ერთმმართველობისაკენ მივყევართ, ისე, სულისკვეთების უკიდურეს თანასწორობას, რომელსაც ასევე დესპოტიზმისაკენ მივყევართ./ შ.ლ.მონტესკიე, „კანონთა გონი“, რესპუბლიკური მმართველობა, გვ.140/

თავისუფლება, რომელიც მდგომარეობს იმაში, რომ იყო საკუთარი თავის უფალი და თავისუფლება, რომელიც მდგომარეობს იმაში, რომ შენ არავინ შეგიშლის ხელს აირჩიო რაღაც, შეიძლება არც მოგვეჩვენოს ლოგიკურად ერთმანეთისაგან დაშორიშორებულ ცნებებად. პირიქით, შეიძლება ვიფიქროთ, რომ ეს უმაღლესი ერთი და იგივე აზრის ორი სხვადასხვა -ნეგატიური და პოზიტიური-ფორმით ჩამოყალიბების მცდელობაა. **სინამდვილეში ისტორიულად თავისუფლების ეს ორი,-„ნეგატიური“ და „პოზიტიური“ ასპექტი სხვადასხვა მიმართულებით ვითარდებოდა, სანამ საბოლოოდ არ მივიდნენ ურთიერთ აშკარა დაპირისპირებამდე.**

თავისუფლება, ანუ „თავისი უფლება“, მისაღებად ფარდობით და არა აბსოლიტურ ცნებად, ხოლო „უფალი“, -აბსოლიტურ მცნებად და მის მატარებელი შეიძლება იყოს, არა ინდივიდი, არამედ ის კომუნა, რომლის წევრიც იგი არის და რომელიც განსაზღვრავს მის ქმედების შესაძლებლობას. ასეთ პირობებში შეუძლებელია „თავის უფლება“ და მისი წყარო „უფალი“ ერთმანეთს უპირისპირდებოდეს. პირველი, ნაწარმოებია მეორისაგან. თუმცა, „თავის-უფლება“, მისი შინაარსი და ფარგლები, განპირობებულ უნდა იყოს აუცილებლობით, რომელშიც რეალიზებას განიცდის კომუნაში მიმდინარე მოვლენების შინაგანი განვითარების დიალექტური კანონები. ასეთ შემთხვევაში „აუცილებლობა“ მიღებულ უნდა იქნას, როგორც ფაქტი, მომზადებული განვლილი პროცესებით, ანუ როგორც „თავის-უფლების,, ისტორიულ-

ლი წინამძღვრები და როგორც თვით კომუნის შესაძლებლობის რეალობაში გარდასახვის შედეგი. ეს „შედეგი“ კი ყოველთვის შეიცავს თავის უშუალო შემადგენელ ელემენტთა ძველ შესაძლებლობებს, ახალ, მიმდინარე მომენტთა შესაძლებლობებს და იმ შესაძლებლობებს, რომელიც მომავალში მოახდენს მის რეალიზებას.

აღნიშნულის საულისტრაციოდ გეტყვით, ვიცით, რომ არსებობს ერთის მხრივ ჩვენი სულიერი „მე“, რომელიც ბატონობს ჩვენზე, და მეორეს მხრივ ჩენი იმპულსური „მე“. პირველი ჩვენი „მე“, არის ჩვენი მაღალი ბუნების გამომხატველი „რეალური“, „იდეალური“, „ავტონომიური“ „მე“, რომელიც მიესადაგება ჩვენს მარადიულ მისწრაფებებს. ხოლო მეორე „მე“ არის აღნიშნულის საწინააღმდეგოდ, ჩვენში არსებული არსებული დაუოკებელი ლტოლვა, რომელიც იღწვის წუთიერი სიამტკბილობისათვის, ვნებების ერთგვარი მონა. რომელიც უნდა მოექცეს მკაცრ მარწუხებში, რათა მიაღწიოს თავისი ბუნების სრულ სიმადლეებს. ნაპრალი ამ ორ „მე“-ს შორის ჯერ-ჯერობით კიდევ დიდია. ნამდვილი „მე“ უნდა წარმოვიდგინოთ უფრო ფართე მცნებად, ვიდრე როგორც ინდივიდი. მას ბერლინი მიიჩნევს რაღაც სოციალურ „მთლიანობად“, რომლის მხოლოდ ერთ ნაწილად მოიაზრებს ინდივიდს, ტომს, რასას, ეკლესიას, სახელმწიფოს, ანდა საზოგადოებას თავის მარადიულობაში, რომელიც შედგება როგორც ამ ჟამად ცოცხალ, ისე გარდაცვლილ, ანდა ჯერ კიდევ არ დაბადებულთაგან, ანუ მარადიულ სულს.²⁷

შეიძლება დავეთანხმოთ, პირველ „სულიერ მე“-ზე, რომელიც ბატონობს ჩვენზე, თუმცა შენიშვნით, დაუშვებელია მისი უფრო ფართე მცნებად, ტომისა თუ რასისი ასპექტშიც მისი ერთდროულად წარმოდგენა. ამგვარ ფუნქციას ახორციელებს მხოლოდ უმაღლესი გონი, ჰეგელისეული აბსოლუტი, რომლისკენაცაა სამარადისოდ მიმართული ადამიანთა სულები. რაც შეეხება „იმპულსურ მე“-ს, იგი მისაჩნევია მხოლოდ ნერვიულ სისტემის რეაქციად გამლიზიანებელზე, რომელსაც დაუშვებელია „სიამტკბილობის“ დაკმაყოფილობის მიწერა, რამეთუ, იგიც

პირველ „მე“-ს კომპეტენციას მიეკუთვნება.

მთლიანობაში მათ ბერლინი აღიქვამს, როგორც „ჭეშმარიტ“ „მე“-ს, რომელიც თავის დაუმორჩილებელ „წევრებზე“ თავისი საკუთარი კოლექტიური, ან „ორგანული“ ნების გავრცელების გზით აღწევს საკუთარი თავის და მასთან ერთად თავის „წევრებთან“ ერთად, „უფრო მაღალი“ ხარისხის თავისუფლებას. ასეთი შეხედულების დამკვიდრებას რაციონალურს ხდის ის ფაქტი, რომ ჩვენ ზოგჯერ გამართლებულადაც მიგვაჩნია ადამიანთა წინააღმდეგ ძალის გამოყენება, რათა მივალწიოთ იგივე მიზანს (მაგალითად, სამართლიანობას, საზოგადოებრივ კეთილდღეობას, ან სხვა მსგავს), რომელსაც თავადვე დაისახავდნენ უფრო განათლებულები რომ ყოფილიყვნენ, მაგრამ, რადგანაც ისინი გაუნათლებელნი, ბრმანი ან კორუმპირებულნი არიან, ამიტომ ისინი ასეთ მიზანს არ ისახავენ.ყოველივე ეს უფლებას მამღლევს განვაცხადო, სრულიად თავისუფლად,-ამბობს ბერლინი,- რომ მე მივმართავ ძალადობას სხვა ადამიანთა წინააღმდეგ, თვით მათივე კეთილდღეობის მიზნით, რამეთუ მათზე უკეთ ვიცი, თუ რა სჭირდებათ მათ. და რომ, როგორც ვიცი, ისინი წინააღმდეგობას არ გამიწევდნენ მე, ჩემსავით შეგნებული რომ ჰქონიყოთ, თუ რა სჭირდებათ მათ. მე შეიძლება უფრო შორს წავიდე და უფრო მეტი მოვითხოვო, მაგალითად, განვაცხადო, რომ ისინი არაცნობიერად ილტვიან სწორედ იმ მიზნებისაკენ, რასაც ისინი თავიანთი ბნელი ცნობიერებით ებრძვიან, რადგან არის მათში რაღაც ოკულტური არსი, შეფარული რაციონალური ნება, მათი „ჭეშმარიტი“ მიზანი, - და ეს რაღაც არსი, არის მათი „ნამდვილი“ „მე“, რომელის შესახებაც მათმა ემპირიულმა „მე“-მ, რომელიც არსებობს დროსა და სივრცეში, არაფერი, ან ძალზე ცოტა რამ იცის. და ეს შინაგანი არსი, ანუ სული, არის სწორედ ის „მე“, რომელიც იმსახურებს იმას, რომ მისი მისწრაფებები მიღებული იქნას მხედველობაში.

ერთია თქვა: მე ვიცი რა არის კარგი X-თვის, მაშინ, როდესაც X-მა თვითონ არ იცის ეს და ამიტომ მე არად ვაგდებ მის სურვილებს და ამას ვაკეთებ თვით მისივე ინტერესებისათვის. ხოლო მეორეა და, სრულიად განსხვავებული, თქვა: ეს მან თვითონ აირჩია, თუმცა, არა ცნობიერად, როგორც ამას აკეთებს ყოველდღიურად, არამედ თავისი რაციონალური „მე“-ს საშუალებით, რომ-

ლის შესახებაც, შესაძლოა მისმა ემპირიულმა „მე“-მ არაფერი იცის, ანუ თავისი „ნამდვილი“- „მე“-ს საშუალებით, რომელმაც იცის „ავისა“ და „კარგის“ გარჩევა და არ შეუძლია არ გააკეთოს არჩევანი. აი, ამგვარი დემონური ინდენტიფიკაცია, რომელიც ფაქტიურად, აიგივებს ერთმანეთთან იმას, რასაც X აირჩევდა ის რომ ისეთი პიროვნება ყოფილიყო, როგორც არ არის, ან ჯერ არ არის, იმასთან, რასაც X რეალურად აირჩევდა, რისკენაც რეალურად მიილტვის - უდევს საფუძვლად თვით - რეალიზაციის შესახებ არსებულ ყველა პოლიტიკურ თეორიას. ერთია თქვა, რომ შესაძლებელია ჩემს წინააღმდეგ გამოიყენო ძალა, ჩემივე სიკეთის გულისთვის, რომელსაც მე, ჩემი სიბრძნავის გამო, ვერ ვხედავ და მე ამისაგან რეალურ სარგებელს ვნახავ, რადგან ამით გაიზრდება ჩემი თავისუფლების მასშტაბი. ხოლო მეორეა, თქვა, რომ თუკი ეს ჩემი სიკეთისათვის ხდება, მაშინ მე არა ვარ ძალადობის ობიექტი, რადგან ეს მე თვითონ მსურს, თუმცა, ამ სურვილის შესახებ მე, შეიძლება, არაფერი ვიცოდე, მე მაინც თავისუფალი ვარ, მიუხედავად იმისა, რომ ჩემი მიწიერი სხეული და უგუნური ტვინი უარყოფს ამას და იბრძვის იმათ წინააღმდეგ, ვინც კეთილშობილურად და, სასოწარკვეთილებით ცდილობს დააწესოს ყოველივე ეს.

„მე“-ს ორივე სახეობას შორის ზღვარის გავლების ლოგიკური შედეგები კიდევ უფრო ცხადი გახდება, თუკი მხედველობაში მივიღებთ იმ ფორმებს, რომლებიც ადამიანის თვით-მართვის, ანუ მისი „ჭეშმარიტი“ „მე“-ს თვითგამოხატვის სურვილს ისტორიულად მიუღია: ერთის მხრივ, გვაქვს თვით-უარყოფა დამოუკიდებლობის მოპოვების მიზნით, ხოლო მეორეს მხრივ - თვით-რეალიზაცია, ანუ სრული თვით-ინდენტიფიკაცია კონკრეტულ პრინციპებთან ან იდეალებთან, - აღნიშნავს ბერლინი.²⁸

ისაია ბერლინი, აქ, უპირატესობას ანიჭებს თავისუფლებას, მაშინაც კი როდესაც ადამიანმა თავისი უმეცრების ნიადაგზე, არც კი იცის თუ რას აკეთებს, თუნდაც მისთვის ეს ზიანის მომტანი იყოს, - იმიტომ, რომ სჯერა, ბოლო ჯამში, იგი „სულიერი მე“-ს“ მემშვეობით მაინც მიაღწევს ჭეშმარიტებას-ო.

დ) გაქცევა შინაგან ციტადელში, ადამიანმა უნდა მონდომოს ის, რისი მიღწევაც შეუძლია, მაშინ იქნება იგი თავი-

სუფალი, თუ არა, უნდა ამალდდეს მიზეზ-შედეგობრიობაზე. საკუთარ თავში (გონებაში) ჩაკეტვა კი, პრობლემისაგან თავის დასაცავად, -მჟავე ყურძნის თეორიას ქმნის. ადამიანის წინაშე არსებული წინააღმდეგობები მისი დასაძლევია, სხვანაირად ცხოვრება კარგავს თავის აზრს, რაშიც თავისუფლებაა დასანახი.²⁹

„თავისუფლება კი არაა დასანახი,“-არამედ ვალდებულება, თავისი თავის, ან სხვათა წინაშე.

ე) თვით რეალიზაცია, ბერლინი ამბობს, **თუ კი დაუშვებთ, რომ აუცილებლობა მართავს სამყაროს, ნიშნავს იყო უფიცი, ან არარაციონალური ადამიანი.**

დიახ, უნდა ვიგულოთ, რომ ძირითადად აუცილებლობა მართავს სამყაროს, რამეთუ იგი დედაა თავისუფლებისა, აუცილებლობა კი გზამკვლევი ზოგადად ევოლუციისა, რაც ხორციელდება დიალექტიკურ მოვლენათა ურთიერთ განმაპირობებლობის, რაოდენობრივი ცვლილებების თვისობრივში გადასვლის, უარყოფის უარყოფისა და დაპირისპირებულთა ერთიანობისა და ბრძოლის კანონების საფუძველზე.

ვნებები, ცრურწმენები, შიშები თუ ნერვოზები, -უცოდინარობის შედეგია, რომელიც საბოლოოდ მითებისა თუ ილუზიების ფორმას ღებულობს. ხოლო თუ ჩვენ გვმართავს მითი, თუ ილუზია, -აცხადებს ბერლინი, - არ აქვს მნიშვნელობა საიდან მოდის იგი, ნიშნავს იმას, რომ გვმართავს გარეშე ფაქტორები, და მიმართულება, საითაც ჩვენ მივყევართ, შეუძლებელია ყოველთვის შეესაბამებოდეს ჩვენს სურვილებს.

და მაინც, ამგვარ მოვლენებს, თუ „ფაქტორებს“ მივყევართ აუცილებლობამდე, რაც განაპირობებს დეტერმენიზაციის პროცესებს.

ჰერდერმა, ჰეგელმა და მარქსმა, ძველი მექანიკური მოდელების ნაცვლად, შემოგვთავაზეს საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარების თავისებური თეორიები. სწამდათ მათ, რომ შეიცივნო სამყარო, ნიშნავს გახდეს თავისუფალი. ოპონენტებისაგან განსხვავება იმაში მდგომარეობდა, რომ ისინი გადამწყვეტ მნიშვნელობას ანიჭებდნენ იმას, რაც ადამიანს ადამიანად აქცევს. სა-

ზოგადოებრივი ცხოვრება არ შეიძლება შემცენებულ იქნას, მისი მათემატიკასთან ან ფიზიკასთან ანალოგიის გავლებით. ამისათვის საჭიროა ისტორიის ცოდნაც, რაც გულისხმობს განმარტებას, განვითარების თავისებური კანონებისა, რომლებიც ხსნიან „დიალექტიკურ“ კონფლიქტებს, ან სხვა ამგვარ წინააღმდეგობებს, მართავენ ინდივიდსა, თუ სოციალურ ჯგუფებს, ერთმანეთთან და ბუნებასთან ურთიერთ დამოკიდებულებაში. თუ კი ჩვენ ვერ მოვახერხებთ ამ კანონების შემცენებას, -ამბობს ბერლინი,- გვეუბნებიან ეს მოაზროვნეები, ჩვენ აუცილებლად მივალთ კონკრეტულ შეცდომამდე. კერძოდ, **მივიჩნევთ, რომ ადამიანი სტატიკური არსებაა, რომ მისი თვისებები ერთგვაროვანია ყველგან და ყოველთვის, რასაც ჩვენ არ უჭერთ მხარს, და რომ მას მართავს ბუნების უცვლადი კანონები /კერძოდ დიალექტიკის/.** ამ შეცდომას მოყვება მცდარი დასკვნა, რომლის თანახმად ბრძენ კანონშემომქმედს, თითქოს ნებისმიერ დროს შეეძლება განათლებისა და სამართლის საშუალებით ჩამოაყალიბოს იდეალური საზოგადოება. რადგან ადამიანს ყველა ქვეყანასა და ეპოქაში ერთი და იგივე ძირითადი მოთხოვნები გააჩნია, რომლებიც ერთგვაროვან დაკმაყოფილებას მოითხოვენ.

ბერლინი, როგორც ლიბერალი-იდეალისტი უარყოფს დიალექტიკის კანონებს, იმიტომ, რომ ანტიმეცნიერული იდეოლოგიის მიმდევარია და თანაც უპირატესობას ანიჭებს საკუთარი რელიგიური კომუნის მიერ წინ წამოწეულ პრაგმატიზმს.

ხსენებული /მარქსისტი/ ფილოსოფოსების შეხედულებები დაიმსხვრა, -აცხადებს ბერლინი,- როგორც კი მივალწიეთ იმ დონეს, რომ შევიცანით, -კანონები თუ ინსტიტუტები, - ადამიანის გონების ნაყოფი, რომელთა შექმნაც ისტორიული აუცილებლობით იყო ნაკარნახევი და დაიმსხვრა ობიექტური ძალისხმევით.

სოციალიზმი თუ მარქსიზმი დაინგრა არა შინაგანი წინააღმდეგობის შედეგად, არამედ გარეშე ძალთა, -კერძოდ კი აშშ-ს მიერ მის საქმეებში ჩარევის საფუძველზე. თუმცა იგი, თავიდან ჩამოაყალიბდა, როგორც სიონისტების პროექტი. თუმცა შეასრულა რა მან თავისი ძირითადი მისია,- რუსეთის იმპერიის განადგურება, მათ მიერვე იქნა უარყოფილი, და ნეოლიბერალიზმის შემოღებით გაიადვილეს მიზნისკენ

მიმავალი გზა, როგორც ნაკლებ ხარჯიანი..

ჩვენ ვართ მონები დესპოტის,-ინსტიტუტებისა, რწმენისა, თუ ილუზიის, რომლის დამხობა მხოლოდ ანალიზისა და შემეცნების გზითაა შესაძლებელი. კანონები თუ ცხოვრების წესები უნდა იყოს რაციონალური და შეესაბამებოდეს მოვლენათა ლოგიკას. ეს არის ჩემი გონების განთავისუფლების პოზიტიური თეორია, რომლის სოციალიზირებული ფორმები, საკმაოდ განსხვავებული და ხშირად დაპირისპირებულიც, თუმცა, საფუძვლად უდევს ბევრ თანამედროვე ნაციონალისტურ, კომუნისტურ, ავტორიტარულ თუ ტოტალიტარულ სისტემას. თავის განვითარებაში იგი შეიძლება საკმაოდ დაშორდეს თავის რაციონალისტურ ნავთსაყუდელს. ამის მიუხედავად, სწორედ ეს, ის თავისუფლებაა, რომელზეც კამათობენ და რომლისთვისაც იბრძვიან. მე არ ვაპირებ გამოვიკვლიო ამ იდეის ისტორიული ევოლუცია, მაგრამ, მე მსურს გამოვთქვა ჩემი აზრი მის ზოგიერთ თავისებურებაზე.30

ბუნების დიალექტიკაში, ანუ დარვინიზმის საფუძვლებში ჩახედული კაცი დამეთანხმება, რომ აქ ბერლინი საკმაოდ სცდება, რამეთუ ადამიანის მოწყვეტა ბუნების კანონებს,-ყოვლად დაუშვებელია, რამეთუ ადამიანი თვით ბუნების განვითარების უმაღლესი შედეგია. ბუნება ასწორებს ყველაფერს, რაც კი რამ ცხოვრებაში მრუდება. გარდაცვალებით იგი ადამიანის სულს უბრუნებს უზენაეს გონს, რომელიც ახლა სხვა მისიას დააკისრებს.

ვ) ზარატუსტრას ტაძარი, ისაია ბერლინის ამ ნაწარმოებში - „თავისუფლების ორი თვალსაზრისი“, „ზარატუსტრას ტაძარის“ ამ ქვე თავს ცენტრალური ადგილი უკავია, რამეთუ აქ უშუალოდ და დაწვრილებით საუბრობს თავისუფლებაზე. იგი აღნიშნავს: ყველა ის, ვისაც სწამდა თავისუფლებისა, როგორც თვითგამორკვევის რაციონალური საშუალებისა, ადრე თუ გვიან დგებოდა იმ პრობლემის წინაშე,-თუ როგორ მიესადაგებინა თავისუფლების იდეა, არა მხოლოდ ადამიანის შინაგანი სამყაროსათვის, არამედ მისი ურთიერთობისათვის საზოგადოების სხვა წევრებთან. ამ მოაზროვნეთა შორის ყველაზე დიდი ინდივიდუალისატებიც კი, და ეჭვი არ არის, კანტი და ფიხტეც თავიდან სწორედ რომ ინდივიდუალისატები იყვნენ, იძულებულნი

გახდნენ დაესვათ კითხვა საკუთარი თავისთვის, თუ რამდენად შესაძლებელია რაციონალური ცხოვრების წესის მისადაგება, არა მხოლოდ ინდივიდის, არამედ მთლიანად საზოგადოებისათვის, და თუ შესაძლებელია, როგორ. /ეს პრობლემა მოგვიანებით, საკმაოდ კარგად ახსნა ჯონ როულსმა/. ბერლინი შემდეგ აცხადებს, რაც მე მსურს, იგივე ზუსტად სურს სხვებსაც, როგორ უნდა ავიცილო თავიდან კოლიზიები სხვა ადამიანების ნებასთან მიმართებაში? სად გადის ზღვარი ჩემს (რაციონალურად განსაზღვრულ) უფლებებსა და სხვების ანალოგიურ უფლებებს შორის? რაციონალური (თავისუფალი) სახელმწიფო კი ის სახელმწიფოა, რომელსაც მართავს კანონები, რომლებსაც თავისუფლად ეთანხმება ყველა რაციონალურად მოაზროვნე ადამიანი. ანუ ისეთი კანონები, რომლებსაც ეს ადამიანები თვითონვე აღასრულებდნენ მათთვის რომ ამგვარი მოთხოვნა წაეყენებინათ.

აქ ჩავერთობი და ვიტყვი, განა შესაძლებელია ნეოლიბერალიზმის პირობებში საყოველთაოდ მისაღები კანონების მიღება პარლამენტის მიერ, როდესაც იქ „უმეცართა საბურველის“ ნიადაგზე დეკლარატებად მოხვედრილებია ხალხისთვის უცნობი პირები, რომლებიც მანამდე ვალდებულები იყვნენ ამომრჩევლებთან ერთად შეექმნათ სამომავლო, სამოღვაწო გეგმები, მათივე პრობლემებიდან გამომდინარე. პარტიულ-პროპორციული სისტემას ამოფარებულები კი, იცავენ მხოლოდ მსხვილი ბურჟუაზიის ინტერესებს და მხარს უჭერენ აშშ-სა თუ ევროკავშირის რეკომენდაციებს?

აგრძელებს ბერლინი, აქედან გამომდინარე, საზღვრები უნდა გაივლოს იქ, სადაც ყველა რაციონალურად მოაზროვნე ადამიანი ჩათვლის მართებულად. მაგრამ ვის ეკუთვნის პრიორიტეტი განსაზღვროს ასეთი საზღვრები? ...რისთვისაც უნდა არსებობდეს მხოლოდ ერთად-ერთი ჭეშმარიტი გზა. -რატქმა უნდა ჭეშმარიტად მოაზროვნეს. პოლიტიკური თავისუფლებების პრობლემების გადაწყვეტა შესაძლებელია ისეთი სამართლიანი წესრიგის შემოღებით, რომელიც თითოეულ ადამიანს მიაჩნებდა მის, როგორც რაციონალური არსების კუთვნილ უფლებებს. ჩემი პრეტენზია, -აცხადებს ბერლინი, -შეუზღვედელ თავისუფლე-

ბაზე, შესაძლოა, თავიდან ვერ ურიგდებოდა (შენს) ამგვარადვე განუსაზღვრელ მოთხოვნებს. ერთი პრობლემის რაციონალურად გადაწყვეტა არ შეიძლება წინააღმდეგობაში მოვიდეს მეორე პრობლემის რაციონალურადვე გადაწყვეტასთან, რადგან ორი ჭეშმარიტება არ შეიძლება ლოგიკურად შეუთავსებელი იყოს ერთმანეთთან. /მშვენიერი შეფასებაა/... დღევანდელ საზოგადოებაში სამართლიანობა და თანასწორობა ჯერ კიდევ მოითხოვს გარკვეული მასშტაბების იძულებას, რადგან საზოგადოებრივი კონტროლის მექანიზმების ნაადრევად გაუქმებას, შესაძლოა შედეგად მოყვეს შედარებით სუსატი და უგუნური ადამიანების ჩაგვრა უფრო ძლიერი და უპასუხისმგებლო ადამიანების მხრიდან. **სხვისი დამორჩილების სურვილი, თავისთავად, არარაციონალურობის სიმპტომია და მისი ახსნა და განკურნება შესაძლებელია მხოლოდ რაციონალური მეთოდების გზით.** სპინოზა ერთ მეთოდს გვთავაზობს, ჰეგელი -მეორეს, ხოლო მარქსი -მესამეს. ამ თეორიათაგან ზოგიერთი, შესაძლოა ავსებდეს ერთმანეთს, სხვები კი არ იყოს თავსებადი. მაგრამ თითოეული მათგანი აღიარებს, რომ იდეალურად რაციონალური ადამიანების საზოგადოებაში ადგილი არ უნდა ჰქონდეს სხვა ადამიანებზე ბატონობისადმი მიდრეკილებას. ხოლო **სხვათა ჩაგვრის სურვილი ნიშანია იმისა, რომ საზოგადოებრივი პრობლემები არ ყოფილა ჯეროვნად მოგვარებული.** ყოველივე ეს სხვაგვარადაც შეიძლება აიხსნას: **თავისუფლება ნიშნავს იყო საკუთარი თავის უფალი, რაც ნიშნავს იმას, რომ შენს ნებას წინ არავითარი დაბრკოლება არ ეღობება.**

ოღონდ კომუნის მიერ ნაბოძარი უფლებამოსილების ფარგლებში.

მაგალითად, ბუნების ძალები, დაუმორჩილებელი ვნება, არარაციონალური სოციალური ინსტიტუტები, თუ სხვა ადამიანების ნება, ან ქცევა, რომელიც ეწინააღმდეგება ჩემსას. პრინციპში, ბუნების, ჩემს ყალიბში მოქცევას და მისი ჩემი ნებისადმი დამორჩილება ყოველთვის შემიძლია და საამისოდ შესაბამისი ტექნიკური საშუალებებიც გამაჩნია.... მაგრამ, ხომ არ ნიშნავს ეს იმას, რომ მხოლოდ მე ვიქნები ასეთ¹ შემთხვევაში თავისუფალი, ხოლო ყველა დანარჩენი -მონები? ეს სწორედ ასე იქნება თუ კი, ჩემი გეგმა მხოლოდ ჩემს პირად სურვილებსა და ფასეულობებს გაუწევს ანგარიშს და მათ სურვილებსა და ფასეულობებს არად

ჩააგდებს, რაც დაუშვებლადაა მისაჩნევი. მაგრამ, თუ კი ჩემი გეგმა რაციონალურად არის შედგენილი, მაშინ მასში მოიძებნება ადგილი ყველა სხვა ადამიანის „ჭეშმარიტი“ შესაძლებლობების გამოვლენისათვის, მათი ნიჭის რეალიზაციისა და მათი საუკეთესო თვისებების განვითარებისათვის. და ყოველივე ეს იქნება ჩემი „ნამდვილი“ „მე“-ს რეალიზაციის პროგრამის შემადგენელი ნაწილი.

აქ არაფერია დასაწუნი, გარკვეულწილად ბერლინი აგრძელებს ობიექტური ხედვის ჯერ-ჯერობით სწორად გადმოცემას,

ყველა ჭეშმარიტი პრობლემის სწორი გადაწყვეტა ურთიერთ თავსებადია: უფრო მეტიც, ყველა ისინი ერთ მთელში შეიძლება იქნენ გაერთიანებულნი. სწორედ ამის გამო ვიყენებთ მათი მისამართით ისეთ ეპითეტებს, როგორცაა “რაციონალური“, და „ჰარმონიული“....იყო რაციონალური, ნიშნავს იცოდე საგანთა და ადამიანთა დანიშნულება. ცხოვრების ჯეროვნად მოწყობის შემთხვევაში შესაძლებელია დაკმაყოფილდეს ყველა ადამიანის უფლება თავისუფლებაზე,- უფლება რაციონალურ თვითგამორკვევაზე. ...თითოეული ადამიანი იქნება თავისუფალი, თვითგამორკვეული აქტიორი კოსმიური დრამისა.

შემდეგ, ბერლინი იშველიებს ძველ ფილოსოფოსებს: სპინოზას, ლოკს, მონტესკოეს, კანტს, მოყავს მათი შეხედულებები სამართლიანი საზოგადოების ჩამოყალიბების შესახებ, რომელიც უზრუნველყოს ადამიანის თავისუფლებას და უჭერს მხარს. ანალიზებს თუ რამდენად შეიძლება იყოს შეზღუდული ადამიანის თავისუფლება, და თანაც საყოველთაო სიკეთის თვალსაზრისით.

თავისუფლება არ ნიშნავს უფლებას აკეთო ის, რაც არარაციონალური, არამართალი ან სულელურია. აიძულო ემპირიული „მე“ ჩადგეს კალაპოტში, ტირანიას კი არ ნიშნავს, არამედ თავისუფლებას. რუსო გვეუბნება, რომ თუ კი თითოეული ჩვენთაგანი დათმობს თავისი ცხოვრების ნაწილს საზოგადოების სასარგებლოდ, შეიქმნება ისეთი ორგანიზმი, რომელიც არავისთვის იქნება საზიანო, რადგან მისი თითოეული წევრი თანაბრად გაიღებს შესაწირს, საერთო ინტერესებისათვის. ასეთ საზოგადოებაში არავის გაუჩნდება სურვილი ზიანი მიაყენოს მეორე ადამიანს.

კი მაგრამ, ეს ხომ რეალური დემოკრატიაა, რასაც

უარყოფს ნეოლიბრალიზმი, თუმცა სპეკულირებენ მისით?

კანტსა და სხვა ფილოსოფოსებზე დაყრდნობით ბერლინი ასკვნის, თავისუფლება, რომელიც აქამდე შეუთავსებელი უყო ძალაუფლებასთან, ახლა უკვე მისი იდენტური ხდება. XVIII-ე ს-ის ყველა დეკლარაცია ადამიანის უფლებების შესახებ სწორედ ამგვარი იდეებით არის გაჟღენთილი. იგივე ითქმის ყველა სხვა დოკუმენტზე, რომელშიც ადამიანთა საზოგადოება განიხილება, როგორც რაციონალურ კანონებზე აგებული ორგანიზმი, რომლის წყაროს წარმოადგენს ან ბრძენი კანონშემომქმედი, ან ბუნება, ან ისტორია ანდა უზენაესი არსი.

მერე აცხადებს: ყველა ეს ძირითადი დებულება სწორი რომ ყოფილიყო, როგორც საბუნებისმეტყველო მეცნიერების, ადამიანის გონება კი ისეთი, როგორიც ის რაციონალისტებს წარმოუდგენიათ, ყოველივე ზემოთქმული, ალბათ, მართლაც ასე იქნებოდა. იდეალურ შემთხვევაში თავისუფლება არ იქნებოდა კანონთან წინააღმდეგობაში, ხოლო ავტონომია- ხელისუფლებასთან.

მოაზროვნეები ძალიან მალე წააწყდნენ პრობლემას, კერძოდ, თუ როგორ გახდეს ადამიანი უფრო რაციონალური რეალურ ცხოვრებაში. ცხადია განათლების გზით, დასძენს ბერლინი. რადგან გაუნათლებელი ადამიანი ირაციონალური და ჰეტერონომიულია და მის წინააღმდეგ აუცილებელი იქნება იძულებითი ზომების გამოყენება, რათა ასატანი გახდეს მის გვერდით რაციონალური ადამიანის ცხოვრება. **„განათლება ამართლებს იძულებას სამომავლო მიზნებისათვის.“** გონებამ უნდა ჩაკლას და მოსპოს ჩემი „მდაბალი“ ინსტიქტები, ჩემი ვნებები და ჩემი მისწრაფებები, რომლებიც მე მონად მაქცევენ. **„ზუსტად ასევე საზოგადოების უფრო მაღალ ფენებს, რომლებიც უფრო განათლებულნი არიან,“** რომლებსაც უკეთ ესმით ეპოქის რითმი და უკეთ იცნობენ ადამიანებს“, შეუძლიათ მიმართონ იძულებით ზომებს, რათა მოახდინონ საზოგადოების არარაციონალური ნაწილის რაციონალიზაცია, რომ უფრო რაციონალური გახდნენ.

ეს პრწყინვალე მოწოდება, რომელსაც არაერთი ძველი ფილოსოფოსი /ჰეგელი, ბრედლი, ბოსანკე და სხვები/ მიესალმებოდა, ეპოქის გამოძახილია, როგორც შედეგი ცნობიერების ისტორიული განვითარე-

ბისა, და ბერლინის მიერ გასული საუკუნის 50-იან წლებში მისი მოხსენიება, სხვა არაფერია, თუ არა დასავლურ ღირებულებებზე ორიენტირება. ბერლინი მათ ახსენებს და არა პოსტსაბჭოთა ქვეყნების მოსახლეობას, რომელთათვისაც უკვე 80-იანი წლებიდან სპეციალურად დაიწყეს ნეოპოლიტიკური ფილოსოფიის შემუშავება, რომელის შინაარსიც მიმართულია, არა ხალხის განვითარების, არამედ მათი გავლურებისაკენ, რასაც ადასტურებს „ატომიზაციის“ კურსი.

აქ, ახლა საინტერესო შემოთავაზებას ვხვდებით ბერლინის მხრიდან, რაც ფართოდაა რეალიზებული ჩვენს პოსტსაბჭოთა სივრცეში, თუმცა საბოლოო ჯამში, არა საზოგადოებრივი ინტერესებიდან გამომდინარე, არამედ „შეთქმულ“ სიონისტ-მასონთა ინტერესებიდან გამომდინარე, რამეთუ ამგვარი მიდგომით მსოფლიო საზოგადოება მიყავთ თვითმკვლევლობამდე, რაც მათ ინტერესებშია. ბერლინი ამბობს: „ობიექტური გონების“ აპოლოგეტი ფილოსოფოსები, დაწყებული ფიხტეს მკაცრად ცენტრალიზებული, „ორგანული“ სისტემიდან, თ. ჰ. გრინის მსუბუქ ჰუმანიტარულ ლიბერალიზმამდე, რაციონალური მოთხოვნების ჰუმანიტ შემსრულებლებად მიიჩნევდნენ თავს და არა მოწინააღმდეგებად, მოთხოვნილებებისა, რომელიც თუმცა მცირე მასშტაბით, მაგრამ მაინც შეიძლება აღმოვაჩინოთ ნებისმიერი ადამიანის გულში. მაგრამ მე შემიძლია აგრეთვე უარვყო ამგვარი დემოკრატიული ოპტიმიზმი, გადავუხვიო ჰეგელიანების ტელეოლოგიური დეტერმინიზმიდან უფრო ვოლუნტარისტული ფილოსოფიისაკენ და გადავწყვიტო, დაუწესო ჩემს საზოგადოებას, ჩემს მიერვე, ჩემივე რაციონალური სიბრძნის წყალობით შედგენილი პროექტი საზოგადოების უკეთესად გარდაქმნის თაობაზე. პროექტი, რომელსაც თუკი მე თვითონ არ განვახორციელებ, შესაძლებელია, საერთოდ არ განხორციელდეს, რადგან იგი, შესაძლოა, ეწინააღმდეგებოდეს საზოგადოების დიდი ნაწილის სურვილებს. ანდა თუკი მთლიანად უარვყოფ გონების კატეგორიას. მე, შეიძლება წარმოვიდგინო ჩემი თავი შთაგონებული ხელოვანის ადგილას, რომელიც ადამიანებს მისი საკუთარი მისი საკუთარი შეხედულებების შესაბამისად აქანდაკებს, ისევე, როგორც მხატვრები აზავებენ ფერებს. ადამიანი, ეს არის ნედლეული, რომელსაც მე ვიყენებ ჩემი ნების შესაბამისად. მიუხედავად

იმისა, რომ იგი შეიძლება მოკვდეს ამ პროცესში. მე ჩემი ძალდატანებით, მაგრამ, ამავე დროს შემოქმედებითი ჩარევის შედეგად მის ცხოვრებაში იგი ამყავს ისეთ სიმალეზე, რომელზედაც ვერასოდეს ვერ ავიდოდა მე რომ არ ვყოფილიყავი.

თუ არა, მავანთა ინტერესები, ადამიანის ბუნებით ტრანსფორმირებაში არავინ ჩაერევოდა, რამეთუ ამგვარი მიდგომით სახეზე გვაქვს ეპიგენეზისი, ანუ ადამიანთა ცხოვრებაში ჩარევით, თანდითანობით ახლი ადამიანის ჩამოყალიბება, რის საულისტრაციოდ სალვადორ დალიმ გასული საუკუნის 40-იან წლებში შექმნა „ახალი ადამიანის“ დაბადების სახვითი სცენა, ზემოდან შავი ქოლგით დაცული, რაც სატანური გამოვლინებაა.

ეს ის არგუმენტია, რომელსაც ნებისმიერი დიქტატორი, თუ ინჟინერი, ან სხვა მოძალადე, რომ იყენებს თავისი ძალადობრივი საქციელის ზნეობრივი თუ ესთეტიკური გამართლების მიზნით. მე მოვალე ვარ ადამიანებისათვის გავაკეთო / ან მათთან ერთად/ ის, რასაც ისინი ვერასოდეს გააკეთებენ, რადგან არ იციან თუ რა არის მათთვის უმჯობესი, ამიტომ მე არ მჭირდება მათი თანხმობა. რასაც ისინი დაეთანხმებიან და ნებართვას მომცემენ, შეიძლება იყოს სხვა არაფერი, თუ არა ზიზლის მომგვრელი ასშუალება. ან თუნდაც, მათი განადგურება ან თვითმკვლელობა. ამასთან დაკავშირებით ნება მომეცით, კიდევ ერთხელ მოვახდინო ჰეროიკული თეორიის ჭეშმარიტი მამამთავრის ფიხტეს ციტირება: „არავის აქვს უფლება წინ აღუდგეს გონებას“. „ადამიანს შიშს გვრის თავისი სუბიექტურობის დაქვემდებარება გონების კანონებისადმი. ამიტომ ის ირჩევს ტრადიციას, ან თვითნებობას“. მაგრამ ამის მიუხედავად, მისი ვალია დაექვემდებაროს კანონებს. /აიძულო ადამიანები შექმნან მმართველობის სწორი ფორმა და იძულებით დააკანონონ ადამიანთა უფლებები, არის არა მხოლოდ უფლება, არამედ თითოეული ადამიანის, რომელსაც გააჩნია საამისოდ როგორც ძალაუფლება, ისე გონებრივი უნარი, -წმინდათა - წმინდა მოვალეობა.“ JOHAN COTLIEB FICXTE SAMMTLICHE WERKE, ED L.H.FICHTE, IBID. VOL.4, P. 436 (BERLIN, 1845-46)

იგივე პოზიცია ეკავა ოგიუსტ კონტს, რომელიც კითხულობდა:

„თუ კი ჩვენ არ ვუშვებთ აზროვნების თავისუფლებას ქიმიასა და ბიოლოგიაში, რატომ უნდა დავუშვათ იგი მორალის ან პოლიტიკის სფეროში?“ მართლაც რატომ? კითხვას სვამს ბერლინი, და აგრძელებს,- თუ კი აზრი აქვს საუბარს პოლიტიკური ჭეშმარიტების -სოციალური მიზნების - შესახებ, რომელსაც, აღმოჩენის შემთხვევაში უნდა დაეთანხმოს ყველა ადამიანი სწორედ იმიტომ, რომ ისინი ადამიანები არიან, და თუკი, როგორც კონტს სჯეროდა, მეცნიერული მეთოდის მეშვეობით შესაძლებელია ამგვარი ჭეშმარიტების დადგენა, მაშ რატომ უნდა გაეწიოს ანგარიში აზროვნებისა და მოქმედების თავისუფლებას- იმ შემთხვევაში, თუკი ეს მხოლოდ თვით მიზანია. და არა უბრალოდ ხელსაყრელი ინტელექტუალური პირობა,-ინდივიდისა თუ სოციალური ჯგუფებისათვის? რატომ უნდა მოითმინოს საზოგადოებამ ისეთი ქცევა, რომელსაც არცერთი ექსპერტი არ მოიწონებდა? კანტმა სრულიად გარკვეულად ჩამოაყალიბა ის პოზიცია, რომელიც ინკლუზიურად იგულისხმებოდა პოლიტიკის რაციონალისტურ თეორიაში, დაწყებული ჯერ კიდევ ძველი ავტორებისაგან. **პრინციპში შეიძლება არსებობდეს ცხოვრების მხოლოდ ერთი სწორი წესი. ბრძენი ამ წესს სპონტალურად მისდევს, სწორედ ამიტომ ჰქვია მას ბრძენი. უმეცარნი უნდა აიძულო მისდიონ ამ წესს ნებისმიერი საზოგადოებრივი ზემოქმედების საშუალებებით ბრძენის მიერ მართვად სახელმწიფოში.** რადგან რა აზრი აქვს სრულიად აშკარა შეცდომის კულტივირებას და მოთმენას? უგუნურთ და უსწავლელთ მართებთ შეიგნონ ერთი რამ: **„მხოლოდ ჭეშმარიტება გაგვათავისუფლებს ჩვენ** და ერთადერთი საშუალება ჩემს მიერ ამ ჭეშმარიტების შემეცნებისა არის შევასრულო წესი დღეს, წესი, რომელიც თქვენ, ბრძენთ, დამიწესეთ მე და მაიძულებთ შემესრულებინა, რადგან მხოლოდ ამ გზით შემეძლება დავინახო ის, რასაც თქვენ ხედავთ. მხოლოდ ამ გზით შემეძლება გავხდე თქვენებრ თავისუფალი“.

აშკარაა, რომ ჩვენ გადაუხვით თავდაპირველი ლიბერალიზმის გზიდან. ამ სახის არგუმენტაცია, რომელსაც პირველად ფიხტემ მიმართა თავისი ცხოვრების ბოლო პერიოდში, ხოლო შემდეგ ეფექტურად იყენებდა ავტორიტარული მმართველობის ყველა მეხოტბე, დაწყებული კოლონიალური მმართველობიდან და დამთავრებული უკანასკნელი პერიოდის ნაციონალისტი, თუ კომუნისტი დიქტატორებით, არის სწორად ის, რომლის წინააღ-

მდეგაც თავისუფალი ინდივიდის გონებისა და მისი შინაგანი სიბრძნის სახელით ილაშქრებოდა სტოიკური და კანტიანური ზნეობის თეორია. ამგვარად მივიდა რაციონალისტური დოქტრინა, პრობლემის გადაწყვეტის ერთადერთი ჭეშმარიტი გზის შესახებ, მისი კონცეფციის წყალობით, ნაბიჯ-ნაბიჯ, ინდივიდის პიროვნული პასუხისმგებლობისა და პიროვნული სრულყოფის ეთიკური თეორიიდან ავტორიტარული სახელმწიფოს აპოლოგიამდე, სახელმწიფოსი, სადაც ყველა ადამიანი პლატონისეული ელიტის დირექტივებს უნდა დაემორჩილოს. და თუ ეს გადასვლა ყოველთვის არ იყო ლოგიკურად სწორი, სამაგიეროდ ისტორიულად და ფსიქოლოგიურად გასაგებია.

აქედან გამომდინარე, თავისუფლების მოპოვებისათვის ის კი არ არის საჭირო, რომ ვიღაცამ სრულყოფის გზაზე გაიძულოთ სიარული, არამედ ის, რომ თქვენ თვითონ იცოდეთ თუ რატომ არის ეს საჭირო და თვითონვე აკეთოთ ყველაფერი ის, რასაც თქვენს მაგივრად სხვა ვერ გააკეთებს. მე ვერ დავეკითხები თითოეულ ადამიანს ცალკ-ცალკე, ყოველი მორიგი გადაწყვეტილების მიღების წინ, ხოლო ხელისუფლება ვერ იძუშავებს მუდმივი პლემბისციტების გზით. მით უფრო, რომ ყველა ადამიანს ერთნაირად არ ესმის მისი გონების ხმა. ზოგიერთი უბრალოდ ყრუა ამ ხმების მიმართ. ამდენად, თუ კი მე ვარ კანონშემომქმედი, ან მმართველი, მე სხვა გზა არა მაქვს, და უნდა დავუშვა, რომ თუკი კანონი, რომელსაც მე ვაწესებ რაციონალურია (და მე შემიძლია დავეკითხო მხოლოდ ჩემს გონებას), მაშინ მას ავტომატურად მოიწონებს საზოგადოების ყველა წევრი, თუ კი ისინი რაციონალური არსებები არიან. და თუ ისინი არ მოიწონებენ მას, გამოდის, რომ ისინი არარაციონალურნი ყოფილან. ამ შემთხვევაში კი ისინი რეპრესირებულ უნდა იქნენ გონების მიერ, არ აქვს მნიშვნელობა ვისი გონების მიერ. რადგან გონებრივი დასკვნები, უკლებლივ, ყველა ადამიანს მსგავსი აქვთ, ან უნდა ჰქონდეთ. მე გამოვცემ ბრძანებებს და თუკი, თქვენ ეწინააღმდეგებით, მე უნდა მომანდოთ იმ არარაციონალური ელემენტის ჩახშობა, რომელიც ეწინააღმდეგება თქვენს გონებას. ჩემი პრობლემა უფრო გაიოლლდებოდა თქვენ რომ თვითონვე ჩაგეხშოთ ის თქვენს თავში. ამიტომ მე შევეცდები გასწავლოთ, თუ როგორ უნდა გააკეთოთ ეს. მაგრამ მე პასუხს ვაგებ საყოველთაო კეთილდღეობაზე, ამიტომ არ შემიძლია ვიცადო იქამდე, სანამ ყველა ადამიანი არ

გახდება რაციონალური. სუბიექტის თავისუფლება კი მხოლოდ იმაში გამოიხატება, რომ მან და მხოლოდ მან, უნდა მისცეს განკარგულება საკუთარ თავს დამორჩილების შესახებ, რაც სრულყოფის მანიშნებელია. ხოლო თუკი თქვენ ვერ შესძელით საკუთარი თავის აღზრდა, მაშინ ეს მე უნდა გავაკეთო, თქვენს მაგივრად, და ამ შემთხვევაში თქვენ ვერ დაიჩივლებთ თავისუფლების უქონლობას, რადგან თვითონ ის ფაქტი, რომ თქვენ ციხეში კანტის რაციონალურმა მსჯელობამ გაგიშვათ, ადასტურებს იმას, რომ თქვენ ყური არ დაგიგდიათ თქვენი გონების შინაგანი ხმისთვის და თქვენც ზუსტად ისევე, როგორც ბავშვი, ველური, ან გონებასუსტი ადამიანი, ჯერ არა ხართ მზად თვითგამორკვევისათვის, ან საერთოდ არა გაქვთ ამის უნარი.

ნათქვამიდან იკვეთება, რომ შეიძლება არსებობდეს საზოგადოებრივი ცხოვრების მხოლოდ ერთი სწორი გზა, რასაც უნდა მიყვებოდეს ბრძენი, ანუ მმართველი. უმეცარნი, ანუ სხვაგვარად მოაზროვნენი კი, ყველა საშუალებებით უნდა აიძულო მისდონ ამ გზას, რამეთუ ჭეშმარიტება მიაჩნიათ თავისუფლების მოპოვების ერთად-ერთ სწორ გზად, რასაც რაციონალიზმად მიიჩნევენ. უმეცართა გამო კი ლიბერალები არ აპირებენ მოთმინებას, შეეცდებიან იძულებით აღზარდონ ისინი. თუმცა, სტოიკური თუ კანტიანური ზნეობრივი თეორიის ზემოქმედების შედეგად მათ აშკარად გადაუხვიეს თავდაპირველ ლიბერალურ გზას.

უმეცართა „ნებისმიერი ძალით აღზრდა -გამოსწორება“ კი ძალადობაა და თავისუფლების ანტიპოდი, რაც ლიბერალიზმს ეწინააღმდეგება.

კანტი ძალზე ახლოს იყო თავისუფლების „ნეგატიური“ იდეალის აღიარებასთან, როდესაც მან (თავის ერთ-ერთ პოლიტიკურ ტრაქტატში) განაცხადა, რომ „ადამიანთა მოდგმის წინაშე მდგარი უდიდესი პრობლემა, რომლის გადაწყვეტას მას თვით ბუნება ავალდებულებს, არის სამოქალაქო საზოგადოების დაფუძვნება, რომლის მართვა განხორციელდება კანონის საფუძველზე, მხოლოდ და მხოლოდ მაღალი დონის თავისუფლების მქონე საზოგადოებაში, სადაც მკაცრად იქნება განსაზღვრული და გარანტი-

რებული თითოეული ინდივიდის თავისუფლების ზღვარი, ისე, რომ შესაძლებელი იყოს მისი თანაარსებობა სხვა, ასევე თავისუფლების უფლების მქონე ადამიანებთან, შეუძლია კაცობრიობას მიაღწიოს ბუნების უზენაეს მიზნებს, რომლებიც მისი შესაძლებლობების სრულად გამოვლინებას გულისხმობს.“

ვვიქრობ, როგორი თავისუფალი სამოქალაქო საზოგადოების დაფუძნებასაც არ უნდა გულისხმობდეს კანტი, რომელსაც თითქოსდა „ავალდებულებს ბუნება,“ შეუძლებელია იგი ამოვარდნილი იყოს კაცობრიობის ბუნებრივი გაბვითარების ციკლიდან, რომელსაც გააჩნია ინსტიტუტები: ინდივიდი, ოჯახი, დასახლებული პუნქტი, ეროვნულობა, სახელმწიფო, რასა და ნაციათა თანამეგობრობა, რომლებიც სინქრონულად ვითარდებიან, და ამოვლიჯო მათგან რომელიმე, მხოლოდ სიმახინჯეს გამოიწვევს. რამეთუ ყველა მათგანი ერთი მთლიანის სხვადასხვა მხარის ბუნებრივი სახეა.

აქ ერთი უმნიშვნელოვანესი საკითხი ის არის, თუ როგორ უნდა განვსაზღვროთ კრიტერიუმი ინდივიდის თავისუფლების „მკაცრად განსაზღვრული და გარანტირებული“ ზღვარი, მაშინ, როდესაც ერთი ადამიანის სტატუსის აღიარება, სხვების შევიწროებას ნიშნავს, რომ როგორმე ავიცილოთ კოლიზიები ადამიანთა კერძო მიზნებს შორის, რომელთაგან აბსოლიტურად ყველა უნდა იქნეს მიჩნეული თანაბრად, საჭირობოროტოდ და უკრიტიკოდ. კანტი და მისი ყაიდის რაციონალისტები არ თვლიდნენ, რომ მიზანს თანაბარი ღირებულება გააჩნია. მათი აზრით თავისუფლების ზღვარი უნდა დადგინდეს „გონების“ კრიტერიუმების შესაბამისად, ხოლო გონება უფრო მეტია, ვიდრე წესების უბრალო განზოგადება. ის არის ნიჭი, რომელიც ადგენს ისეთ მიზნებს, რომლებიც საერთოა ყველასათვის. გონების პოზიციიდან ყველაფერი, რაც არარაციონალურია, უნდა უარყოფილ იქნეს ისე, რომ სხვადასხვა კერძო მიზნები, რომლებსაც მისდევენ ადამიანები თავიანთი პიროვნული ფანტაზიისა და თავისებურებებიდან, -მაგალითად, ესთეტიკური, ან სხვა სახის არარაციონალური თვითრეალიზაციიდან -გამომდინარე, დაუნდობლად უნდა იქნას ჩაკლული, რათა ამით გაეხსნას გზა გონების მოთხო-

ვნებს. გონების ბატონობა და მოვალეობანი, რომლებსაც გონება უწესებს ადამიანებს, გაიგივებულია ინდივიდის თავისუფლებასთან, გამომდინარე იმ წინამძღვრებიდან, რომ მხოლოდ რაციონალური მიზნები შეიძლება იყვნენ „თავისუფალი“ ადამიანის „ნამდვილი“ ბუნების მისწრაფების ობიექტები.

კანტი არ არის დოგმა, ის ისეთივე თავისი დროის შვილია, როგორც მანამდე და მის შემდეგ გამოჩენილი ფილოსოფოსები, რომლებსაც თავ-თავისი ხედავა გააჩნიათ საზოგადოებრივ მოწყობაზე და ყველას მიხედვით მას ვერ წარმართავ. საამისოდ ერთი გვეყვავს მბრძანებელი, - დედა ბუნება და მას უნდა ვდიოთ. იგია ჩვენი ცხოვრების კორექტორი და მასწავლებელი, რომელმაც აქნობამდე მოგვიყვანა, მის მიერვე შექმნილნი, საჭირო ბუნებრივ-სოციალური სუბსტანციებით და ეს მისი პრეროგატივა უნდა გვესმოდეს.

თუ კი ამ ლოგიკას მივყავართ დესპოტამდე, თუნდაც, ამ ქვეყნად ყველაზე მშვენიერ ან ყველაზე ბრძნულად, როგორცაა „ჯადოსნური ფლეიტის“ ზარატუსტრას ტაძარში, მაგრამ მაინც დესპოტიამდე, რომელიც, თურმე, ინდენტურია თავისუფლებისა, შესაძლებელია თუ არა ვიფიქროთ, რომ სადღაც შეცდომაა დაშვებული ამ დებულების წინამძღვრებში? ან თვით ძირითად დებულებებში?

ბერლინი აქ ასახელებს ძირითად დებულებებს:

1. ყველა ადამიანს მხოლოდ ერთი ჭეშმარიტი მიზანი გააჩნია-რაციონალური თვითგამორკვევა;
2. ყველა რაციონალური არსების მიზნები აუცილებლად უნდა შეესაბამებოდეს ერთ უნივერსალურ, ჰარმონიულ მთელს, რომლის შემცენება ადამიანებს სხვადასხვანაირად შეუძლიათ;
3. ნებისმიერი კონფლიქტი, მათ შორის ტრაგედია, არის შედეგი მხოლოდ და მხოლოდ გონების შეჯახებისა არარაციონალურ ან არასაკმარისად რაციონალურ მისწრაფებებთან-ცხოვრების ამ განუვითარებელი და ჩამორჩენილ ელემენტებთან,-არ აქვს მნიშვნელობა, ინდივიდუალური იქნება ისინი, თუ ჯგუფური, რომლის თავიდან აცილება, პრინციპში, შესაძლოა და რომელსაც, რაციონალურ ადამი-

ანთა საზოგადოებაში ადგილი არ აქვს;

4. როდესაც ყველა ადამიანი რაციონალური გახდება, ყველა დაემორჩილება საკუთარი ბუნების რაციონალურ კანონებს, რომლებიც საერთოა მათთვის, ყველასთვის და ამდენად ყველა მათგანი კანონის მორჩილი და თავისუფალი ადამიანი იქნება.

ნუთუ ცდებოდა სოკრატე ან ეთიკისა და პოლიტიკის დასავლური ტრადიციის სხვა დამფუძვნებლები, რომლებიც მომდევნო 2000 წლის განმავლობაში ქმნიდნენ თავის ნაშრომებს, როდესაც ფიქრობდნენ, რომ ცოდნა სათნოებაა, ხოლო თავისუფლება, თითოეული მათგანის იდენტური? ნუთუ არც ერთი მათგანი არ შეიძლება დასაბუთებულ იქნას ან, უბრალოდ, ჭეშმარიტად იქნას მიჩნეული?³¹

ზ) სტატუსის ძიებაში, ყველა ადამიანის სურვილია მოიპოვოს სოციალური სტატუსი და აღიარება. მე არავინ არა ვარ, თუკი მე არ ვარ აღიარებული. მე არ ძალმიძს არ მივაქციო ყურადღება სხვათა დამოკიდებულებას ჩემს მიმართ, მე ჩემი პიროვნების ინდენტიფიცირებას ვახდენ საზოგადოების შეხედულების შესაბამისად. მე ჩემს თავს აღვიქვამ იმის მიხედვით, თუ რა მდგომარეობა მიკავია და მაკისრია საზოგადოებაში. ეს ყველაზე „ჰეტერენომიული“ მდგომარეობაა, რომელიც შეიძლება წარმოიდგინოს ადამიანმა. **თუ კი მე სხვა არ მაღიარებს, შესაძლოა, თავადაც ვერ ვაღიარო ჩემი თავი და ეჭვი შემეპაროს ჩემს, როგორც თავისუფალი ადამიანის თავში. რადგან ჩემი პიროვნება, უმეტესწილად განისაზღვრება იმით, რასაც მე ვფიქრობ და ვგრძნობ. ხოლო, რასაც მე ვფიქრობ და ვგრძნობ განისაზღვრება იმ შეხედულებებით და გრძნობებით, რომლებიც გაბატონებულია საზოგადოებაში, რომელსაც მე ვეკუთვნი, რომელთა მიმართებაშიც მე იზოლირებული ატომი კი არა ვარ, არამედ -ინგრედიენტი სოციალური სტრუქტურისა.** მე შეიძლება, არათავისუფლად ვიგრძნო თავი იმ თვალსაზრისით, რომ მე არა ვარ აღიარებული როგორც თვითმმართველი ადამიანი. მე შეიძლება, არათავისუფლად ვიგრძნო თავი ასევე, როგორც ჯეროვნად დაუფასებელმა ჯგუფის წევრმა. ასეთ შემთხვევაში მოვითხოვ ემანსიპაციას მთელი ჩემი კლასისთვის, საზოგადოებისათვის, ერისთვის, რასსისა თუ პროფესიისათვის.

ეს დემოკრატიის საქმეა, რასაც პრინციპში უარყოფს ნეოლიბერალიზმი, რომელსაც კომუნის ნაცვლად წინა პლანზე წამოწეული ყავს ინდივიდი.

შესაძლოა, მე იმდენად მძაფრი სურვილი გამიჩნდეს ამასთან დაკავშირებით, რომ ვამჯობინო დავიჩაგრო ჩემივე რასისა თუ სოციალური კლასის წარმომადგენლის მიერ, რომელიც, ამავდროს, მაღიარებს, როგორც ადამიანს და მის ღირსეულ მეტოქეს, ვიდრე ვიყო ობიექტი. თუნდაც ტოტალიტარული მოპყრობისა იმ, უფრო, მაღალი ან შორეული სოციალური კლასის წარმომადგენლის მხრიდან, რომლებიც არ მაღიარებენ იმგვარ პიროვნებად, როგორსაც ვინატრებდი ვიყო.

სწორედ ეს არის ღაღადისი ჩვენს დროში, როგორც ინდივიდების, ისე პროფესიული, კლასობრივი, ეროვნული, ან რასობრივი ჯგუფებისა. მართალია, მე შეიძლება არ მქონდეს „ნეგატიური“ თავისუფლება ჩემი საზოგადოების წევრების ხელში, მაგრამ ისინი იმავე ჯგუფის წევრები არიან, რომელსაც მე ვეკუთვნი. მათ ესმით ჩემი ისევე, როგორც მე მესმის მათი. და ის რომ ჩვენ გვესმის ერთმანეთის, მამლევს საშუალებას ვიგრძნო, რომ რაღაცას წარმოვადგენ ამ ქვეყნად. სწორედ ამგვარი ორმხრივი აღიარების პრინციპის გამოა, რომ ხშირად ადამიანები, შეგმნებულად, ავტორიტარულ დემოკრატias ამჯობინებენ განათლებულ ოლიგარქიას.

ოლიგარხია, რაც ნეოლიბერალიზმის განუყოფელი ნაწილია, დესპოტიის ნაირსახეობად შეიძლება მივიჩნიოთ.

ძნელია, სტატუსისა თუ აღიარების სურვილის განმარტება, პიროვნების თავისუფლების კატეგორიით, მისი რომელი ასპექტიც არ უნდა გვქონდეს მხედველობაში, - „ნეგატიური“ თუ „პოზიტიური“. ეს ისეთი რამ არის, რისთვისაც არანაკლები მგზნებარებით იბრძვიან ადამიანები. ის ძალიან წააგავს თავისუფლებას, მაგრამ არ არის საკუთრივ თავისუფლება. მართალია მას მოაქვს „ნეგატიური“ თავისუფლება სოციალური ჯგუფებისათვის, მაგრამ იგი უფრო მჭიდრო კავშირშია ისეთ ცნებებთან, როგორიცაა სოლიდარობა, ძმობა, ორმხრივი ურთიერთგაგება და გაერთიანება თანასწორობის საფუძველზე, - რასაც ზოგჯერ უწოდებენ, თუმცა მცდარად, - სოციალურ თავისუფლებას. აღიარების სურვილი მო-

ითხოვს შეკავშირებას, ურთიერთგაგებას, ინტერესთა ინტერგ-რირებას, ერთობლივ თავდაცვასა და ერთობლივ მსხვერპლშეწირვას.

ჩვენი ეპოქის ხასიათის სრული შეუცნებლობა იქნებოდა იმის ფიქრი, რომ სწორედ ის, რაც ასე მიმზიდველს ხდის ნაციონალიზმს, ან მარქსიზმს, იმ ერებისათვის, რომლებსაც ახლო წარსულში უცხოელი ბატონები მართავდნენ, ან იმ კლასებისათვის, რომლებზეც სხვა კლასები ბატონობდნენ, ნახევრად ფეოდალურ ან სხვა სახის იერარქულ რეჟიმების დროს, ის, რაც მათ ნამდვილად სწადიათ, უფრო იმას ჰგავს, რასაც მილი „წარმართულ თვითდამკვიდრებას“ უწოდებს, მაგრამ უფრო კოლექტიური და სოციალიზირებული ფორმით. მართლაც, რასაც მილი ასახელებს თავისუფლებისაკენ ლტოლვის მიზეზად, - რომელიც წარმოადგენს ფასეულობას, რომელიც დიდად არის დამოკიდებული პიროვნულ სიმამაცეზე, ნონ-კონფორმიზმზე, უნარზე გაიტანო საკუთარი ფასეულობები საზოგადოებაში, გავრცელებული აზრის საწინააღმდეგოდ, მტკიცე ხასიათზე, რომლის წყალობითაც შეგწევს ძალა იყო თავისუფალი ხელისუფლებისა და საზოგადოებრივი აზრის დიქტატისაგან, - მცირე რამ აქვს საერთო თავისუფლების, როგორც ინდივიდის საქმეებში ჩაურევლობის, მილისეულ ინტერპრეტაციასთან. სამაგიეროდ, გაცილებით მეტი აქვს საერთო ადამიანის სურვილთან არ ჰქონდეს მეტისმეტად დაბალი შეფასება საზოგადოების მხრიდან, თუ კი მხედველობაში მივიღებთ, რომ ამ ადამიანს არა აქვს უნარი იყოს ავტონომიური, ორიგინალური, ან „აუტენტური“, თუნდაც რომ ამგვარი თვისებები სირცხვილად ითვლებოდეს საზოგადოებაში, ან გამოწვეული იყოს საზოგადოებრივი აკრძალვებით, ან რეპრესული კანონმდებლობით.

დღის წესრიგში, თავისუფლებისაკენ ლტოლვის მიზეზს უნდა აყენებდეს „მომწიფებული“ აუცილებლობა, რაც ვფიქრობ საზოგადოების განვითარების ობიექტური კანონების შედეგი შეიძლება იყოს და არა ამ პროცესიდან ამოვარდნილი ინდივიდების ახირება.

ამგვარი სურვილი დავიმკვიდრო ჩემი კლასობრივი, ჯგუფური თუ ეროვნული „მე“-ს სახით, მჭიდროდ იქნება დაკავშირებული

პასუხებთან კითხვებზე: როგორი უნდა იყოს ხელისუფლების გავრცელების არიალი?“ და „ვინ უნდა გვმართოს ჩვენ?“ და იმგვარი პასუხები, როგორიცაა: ჩემს მიერ ან/და სხვათა მიერ „არჩევანის აღიარებული უფლების“ საფუძველზე არჩეულმა წარმომადგენლებმა“, ან „თითოულმა ჩვენთაგანმა, შეკრებილმა რეგულარულ ასამბლიაზე“, ან „საუკეთესობმა“, ან „ყველაზე ბრძენმა ადამიანებმა“, ან „მთელმა ერმა, პერსონიფიცირებულმა კონკრეტული ადამიანებისა თუ ინსტიტუტების სახით“, - იმ ტიპის პასუხებია, რომლებიც არც ლოგიკურად და ზოგჯერ, არც პოლიტიკურად ან სოციალურად არ არიან დამოკიდებულნი იმაზე, თუ რა მასშტაბის „ნეგატურ“ თავისუფლებას მოვითხოვ ჩემთვის, და ჩემი ჯგუფისათვის. იმ პირობით, რომ პასუხი კითხვაზე-„ვინ უნდა მმართოს მე“-, არის ვიღაც ან, რომელსაც მე წარმოვადგენ როგორც „ჩემს საკუთარს“, როგორც რაღაცას, რომელიც მე მეკუთვნის, ან რომელსაც მე ვეკუთვნი. მე შემძლია ძმობისა და სოლიდარობის აღმნიშვნელი სიტყვებისა და თავისუფლების „პოზიტიური“ მნიშვნელობის აღრევით მივიღო ერთგვარი ჰიბრიდი თავისუფლებისა, რომელიც დღესდღეობით ყოველ შემთხვევაში, ყველაზე უფრო გავრცელებული იდეალია, თუმცა შესაფერისი ტერმინი მის აღსანიშნავად ჯერ არავის მოუგონია. ისინი, რომლებიც ყიდულობენ მას „ნეგატური“, მილისეული თავისუფლების ფასად, რა თქმა უნდა, ამტკიცებენ, რომ მათ მოიპოვეს „თავისუფლება“. მართალია, ასეთი უცნაური ფორმით, მაგრამ ეს თავისუფლება მგზნებარე გრძნობებს აღძრავს მათში. იმ ადამიანებს, რომლებიც ემსახურებიან იდეალურ თავისუფლებას“, სწორედ ამ წესით შეუძლიათ მოახდინონ თავიანთი მრწამსის სეკულარიზაცია. მათ შეუძლიათ ღვთაების იდეა შეცვალონ სახელმწიფოს, ერის, რასის, დიქტატორის, ოჯახის, საზოგადოების ან პიროვნების იდეით და ამასთანავე გააკეთონ ეს, ისე, რომ არ დაუკარგონ სიტყვა „თავისუფლებას“ თავისი მნიშვნელობა./არც თუ მთლა გასაგებია, რის თქმა სურს ბერლინს, თუმცა ვიტყვი: /

თავისუფლების დამკვიდრების საქმეში, ხელისუფლების გავრცელების არიალი, ბუნებრივია, უნდა განისაზღვროს იმ კომუნით, რომელიც გვევლინება ამ უფლების წყაროდ. მისი (თავისუფლების), ისე როგორც ინდივიდის, კომუნისაგან მოწყვეტით განხილვა ადამიანთა გავლურობის დასაწყისია. რამე-

თუ, ადამიანი, როგორც ოჯახის, ერისა და სახელმწიფოს წარმომადგენელი, ყოველთვის იყო და დარჩება მათი გავლენის ობიექტად.

პიროვნების თავისუფლების არიალი კი უნდა განისაზღვროს „დასაშვებობის“ პრინციპით.

ორი აზრი არ არის, სიტყვა „თავისუფლების“ ნებისმიერი ინტერპრეტაცია, რა უჩვეულოდაც არ უნდა ჟღეროდეს ის, უნდა შეიცავდეს, თუნდაც, მინიმუმს იმისას, რასაც მე „ნეგატიურ“ თავისუფლებას ვუწოდებ. აუცილებლად უნდა არსებობდეს გარკვეული სივრცე, თუნდაც, მინიმალური, სადაც ჩემს იმედებს არ უწერია გაცრუება. არ არსებობს ისეთი საზოგადოება, რომელიც ჩაგრავს თავის წევრებს, ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით. ადამიანი, რომელსაც საერთოდ არ აქვს უფლება დამოუკიდებლად აკეთოს რაიმე, არ შეიძლება იყოს მორალის სუბიექტი, და საერთოდ, მორალისა და კანონის პოზიციიდან ის არ შეიძლება ჩაითვალოს ადამიანად, თუნდაც რომ, ფიზიოლოგიის, ბიოლოგიისა ან ფსიქოლოგიის დასკვნით იგი წარმოადგენს ადამიანს, მაგრამ ლიბერალიზმის მამებს -მილსა და კონსტანს,- ამ მინიმუმზე გაცილებით მეტი სურთ.

ადამიანის დამოუკიდებლობის განსაზღვრა მხოლოდ მისი ბუნებრივი კომუნების კომპეტენციათა ფარგლებში უნდა ხდებოდეს, სხვანაირად ადამიანის კომუნათაგან მოწყვეტა უნდა განიხილებოდეს ანტი ბუნებრივ, ანტიეკოლოგიურ მოვლენად, რაც როგორც ჩანს გარკვეულ ძალებს აწყობთ. ოჯახი, ერი თუ, რასსა, უნდა წარმოვიდგინოთ საერთო კოსმიური სულიერების,-კოსმიური გონის მიწიერ, საკრალურ სტრუქტურულ გამოვლინებად, და არ უნდა ვეხებოდეთ მათ.

ადამიანის არსება, ანუ მისი არსი,-არის ის, რის სოციალურ ასპექტშიც მისი წარმოსახვა შეიძლება. თუ ადამიანს გააჩნია ოჯახი, რომლის მიმართაც გარკვეული უფლება-ვალდებულებები აკისრია მას, იგი მისი სახეა, მისი ფასადი. ასევე შეგვიძლია ვთქვათ ადამიანის ერისა თუ სახელმწიფოსადმი კუთვნილებიდან გამომდინარე, რომელთა მაინდენტირებელი

ნიშნების მატარებელიცაა იგი. და აღნიშნულს უნდა დაემატოს აგრეთვე მისი, როგორც ბუნებრივ-სოციალური ერთეულის სხვა აღიარებული ღირებულებები და სამეტყველო არიალიც კი.

ისინი მოითხოვენ ჩაურევლობის მაქსიმუმს, შეთავსებულს საზოგადოების მხრიდან დიქტატის მინიმუმთან. ძნელი წარმოსადგენია, რომ ასეთი უკიდურესი ხარისხი თავისუფლებისა სადმე რეალურად არსებობდეს, გარდა იმ იშვიათი გამონაკლისისა, როდესაც საქმე გვაქვს მაღალი შეგნებისა და ცივილიზაციის მქონე უმცირესობებთან.³²

თ) თავისუფლება და სუვერენიტეტი, რუსო არ გულისხმობს სიტყვა თავისუფლებაში „ნეგატიურ“ თავისუფლებას ინდივიდისა, რომელსაც აქვს შემოსაზღვრული არეალი, სადაც არავის აქვს უფლება შეიჭრას. ამის სანაცვლოდ, იგი საუბრობს იმის შესახებ, რომ საზოგადოების ყველა წევრი და, არა ზოგიერთი მათგანი, უნდა ფლობდეს თავის წილს სახელმწიფო ხელისუფლებისა, რომელსაც უფლება აქვს ჩაერიოს ნებისმიერი მოქალაქის ცხოვრების ნებისმიერ ასპექტში. XIX-ე ს-ის პირველი ნახევრის ლიბერალებმა სწორედ შენიშნეს, რომ ამგვარი „პოზიტიურ“ თავისუფლებას ადვილად შეუძლია მოსპოს ბევრი ასპექტი „ნეგატიური“ თავისუფლებისა, რომელსაც ისინი წმიდათა წმინდად მიიჩნევდნენ. ისინი შიშობდნენ, რომ მთელი ხალხის სუვერენიტეტმა ადვილად შეიძლება მოსპოს ინდივიდის სუვერენიტეტი.

რამდენადაც ინდივიდი სოციუმის, ანუ მისი კონკრეტული საზოგადოებრივი ფორმირების, ანუ კომუნის: ოჯახის, დასახლებული პუნქტის, ერის თუ სახელმწიფოს ნაწილია, ამდენად მისი უფლება თუ თავისუფლება უნდა იყოს მათგან მასზე დელეგირებული, რაც შეიძლება იყოს მხოლოდ ფარდობითი და არა აბსოლიტური, საითკენაც გვიბიძგებენ „კეთილმოსურნენი“, წინააღმდეგ შემთხვევაში სახეზე გვექნება საზოგადოების დაშლა, დათითოება, რაც ყოველად დაუშვებელია.

მილი განმარტავდა, რომ ხალხის ხელისუფლებას ყოველთვის არ მოაქვს თავისუფლება, რადგან მმართველები ყოველთვის არ

წარმოადგენენ იმ „ხალხს“, რომელსაც მართავენ. ხოლო დემოკრატიული თვით-მმართველობა არ არის მმართველობა პრინციპით: „თითოეული თვითონ მართავს თავის თავს“, არამედ პრინციპით: „თითოეულს მართავს ყველა დანარჩენი“. მილი და მისი მოწაფეები საუბრობდნენ უმრავლესობისა და გაბატონებული საზოგადოებრივი აზრისა და გრძნობების“ ტირანიაზე და ვერ ხედავდნენ რაიმე განსხვავებას, ამ და სხვა სახის ტირანიას შორის. ყველა მათგანი მაინც იჭრება იმ საკრალურ ზონაში, რომელსაც ჰქვია ინდივიდის კერძო ცხოვრება.

ასეთ ვითარებაში ვიტყვოდი, სად არის კანონი, კონსტიტუცია, პარლამენტი, სამართალდამცავი ორგანოები?

არავის დაუნახავს და გამოუხატავს წინააღმდეგობა ორი სახის თავისუფლებას შორის უფრო მკაფიოდ, როგორც ეს ბენჟამენ კონსტანმა გააკეთა. იგი წერდა, რომ „სისტემატურად მზარდი შეუზღუდველი ძალაუფლების, ანუ სუვერენიტეტის, გადასვლა ერთი სუბიექტიდან მეორეზე, არ ნიშნავს თავისუფლების ზრდას, არამედ -მხოლოდ მონობის უღლის გადანაცვლებას“. იგი კითხულობდა, და სრულიად სამართლიანადაც, თუ, რა მნიშვნელობა აქვს ვის მიერ იქნება ადამიანი დევნილი და ჩაგრული, -ხალხის ხელისუფლების, მონარქიის თუ რეპრესიული კანონების მიერ. იგი შენიშნავდა, რომ იმ ადამიანთა მთავარი პრობლემა, რომელსაც სურთ „ნეგატიური“ ინდივიდუალური თავისუფლება, ის კი არ არის, თუ ვის უპყრია ხელთ ძალაუფლება, არამედ ის, თუ რა მასშტაბის ძალაუფლებას ფლობს ესა თუ ის სუბიექტი. რადგან შეუზღუდველი ძალაუფლება, როგორც ის ფიქრობდა, ადრე თუ გვიან, აუცილებლად იქნებოდა გამოყენებული ვიღაცის გასანადგურებლად. იგი ამტკიცებდა, რომ ჩვეულებრივი ადამიანები პროტესტს აცხადებენ ხოლმე, ამა თუ იმ მმართველთა წინააღმდეგ, რომლებსაც ისინი მჩაგვრელებად მიიჩნევენ, მაშინ როდესაც ჩაგვრის ნამდვილი მიზეზი ძვეს მხოლოდ ძალაუფლების აკუმულაციაში. ვის ხელშიც არ უნდა მოხდეს ეს, რადგან თავისუფლება ყოველთვის საფრთხის ქვეშ არის იქ, სადაც არსებობს აბსოლიტური ძალაუფლება. „საქმე ის კი არ არის, რომ მკლავია უსამართლო,“ -წერდა იგი-. „ არამედ ის, რომ მეტისმეტად მძიმე იარაღი უპყრია მას ხელთ, ადამიანის ხელს

კი არ შეუძლია ზიდოს ყოველგვარი სიმძიმეები“. დემოკრატიაში შეიძლება განაიარაღოს ესა თუ ის ოლიგარქია, ესა თუ ის ინდივიდი ან ინდივიდთა ჯგუფი. თუმცა, მას შეუძლია ასევე ნებისმიერ წინამორბედ მმართველზე არანაკლები სისტეკით დაჩაგროს ინდივიდი. კონსტიტუცია უნდა იყოს სრულყოფილი!

მე უნდა შევქმნა ისეთი საზოგადოება, სადაც უნდა არსებობდეს გარკვეული საზღვრები თავისუფლებისა, რომელთა გადაკვეთის უფლება არავის არ ექნება. სხვადასხვა სახელები შეიძლება დავარქვათ ან სხვადასხვა გვარად განვმარტოთ წესები, რომლებიც დაადგენენ ამგვარ საზღვრებს. **მათ შეიძლება ვუწოდოთ ბუნებითი უფლებები.** მე შემიძლია ისინი ჭეშმარიტად ვაღიარო, ან განვაცხადო, რომ ისინი ჩემი კულტურის საბოლოო მიზნებს წარმოადგენს. ისინი უკვე ნორმალური ადამიანის ნაწილად იქცნენ, იმდენად, რომ ღრმად გაჯდნენ ისტორიულად ადამიანთა ბუნებაში. ვისაც ჭეშმარიტად სწამთ, რომ არსებობს რაღაც მინიმალური სივრცე ადამიანის თავისუფლებისა, რომლის დარღვევა არ შეიძლება, მას აუცილებლად ეს აბსოლიტური იდეალებიც უნდა სწამდეს. რადგან ცხადია, რომ უმრავლესობის მმართველობის შემთხვევაში ძნელია მოველოდოთ ამგვარი პრინციპების განუხრელად დაცვას. დემოკრატია, როგორც ასეთი, ლოგიკურად არ არის ერთგული ამ პრინციპებისა და ისტორიის განმავლობაში ხშირად უღალატია მათთვის, თუმცა, საკუთარი პრინციპების ერთგული მუდამ რჩებოდა. როგორც არაერთგზის შეუნიშნავთ, არც თუ დიდია რიცხვი იმ ხელისუფლებისა, რომელსაც გაჭირვებია ქვეშევრდომთათვის თავისი საკუთარი იდეალების თავს მოხვევა. „დესპოტიის ტრიუმფი იმაში მდგომარეობს, რომ აიძულო მონები თავი გამოაცხადონ თავისუფლად“. თუმცა, ამას, შესაძლოა, არც დაჭირდეს ძალა. მონებმა, შეიძლება სრულიად გულწრფელად გამოაცხადონ თავი თავისუფლად. თუმცა, ეს არ ნიშნავს იმას, რომ ისინი, მართლაც, თავისუფალნი იქნებიან. “პოზიტიური,, პოლიტიკური უფლებების ერთგული ლიბერალების მთავარი იდეალი, ხელისუფლების სტრუქტურაში მოხვედრის შემდეგ, არის დაცვა იმისა, რასაც ისინი ყველაზე დიდ ფასეულებად მიიჩნევენ, იგულისხმება ინდივიდის „ნეგატიური“ თავისუფლება.

პიროვნების თავისუფლების (ანუ თავის უფლების) კომპეტენცია უნდა ამოდიოდეს მუდმივ ბუნებრივ

სოციალურ-სუბსტანციათა (ოჯახი, ერი, რასა, სახელმწიფო, ანდა მათი უმაღლესი კომუნური გაერთიანება) იერარქულად დალაგებული ბუნებრივ-სამართლებრივი სისტემებიდან, რა დროსაც წამყვანი როლი უნდა ენიჭებოდეს არა პიროვნებას, არამედ თვით ამ სუბსტანციებს, როგორც რიგით ადამიანთა, და არამარტო, თავისუფლების“ მწყალობელთ.

მაგრამ თუ კი დემოკრატიას შეუძლია ჩაკლას თავისუფლება, ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით, რომელსაც ლიბერალები ხმარობენ, ისე, რომ დარჩეს დემოკრატიად, მაშინ რა არის ის, რასაც მართლა მოაქვს თავისუფლება საზოგადოებისათვის? კონსტანის, მილის, ტოკვილის და იმ ლიბერალური ტრადიციის თანახმად, რომელსაც ეს მოაზროვნეები ეკუთვნიან, საზოგადოება არ არის თავისუფალი, თუ იქ არ მოქმედებს, ყველა შემთხვევაში, ორი ერთმანეთთან მჭიდროდ დაკავშირებული პრინციპი: პირველი, რომ არა ძალაუფლება, არამედ მხოლოდ უფლებები შეიძლება იქნას მიჩნეული აბსოლიტურად. ასე, რომ ყველა ადამიანს, განურჩევლად იმისა, თუ როგორი ხელისუფლება მართავს მას, აქვს აბსოლიტური უფლება უარი თქვას არა ჰუმანური საქციელის ჩადენაზე; და მეორე, რომ უნდა არსებობდეს გარკვეული საზღვრები, რომლებიც არ იქნება ხელოვნურად დადგენილი და რომელთა ფარგლებშიც ადამიანი ხელშეუხებელი იქნება. ეს საზღვრები უნდა განისაზღვროს საყოველთაოდ აღიარებული წესების საშუალებით, ხოლო ამ წესების განუხრელად დაცვა უნდა ჩაიდოს, საკუთრივ, კონცეფციაში, თუ რას ნიშნავს იყო არაჰუმანული ან არანორმალური ადამიანი. სრულ აბსურდად უნდა იქნას მიჩნეული იმის თქმაც კი, რომ ამ წესების გაუქმება შეუძლია რომელიმე სასამართლოს. როდესაც მე ვამბობ, რომ ადამიანი ნორმალურია, მე ვგულისხმობ იმას, რომ მას არ შეუძლია დაარღვიოს ეს წესები მშვიდად, მღელვარების გარეშე. ამგვარი წესების დარღვევასთან გვაქვს საქმე, მაგალითად, როდესაც ადამიანს დამნაშავედ აცხადებენ სასამართლოს გარეშე; როდესაც მას სჯიან უკუქმედების ძალის მქონე კანონით; როდესაც ბავშვებს უბრძანებენ დააბეზონ მშობლები, მეგობრებს- ულალატონ ერთმანეთს, ჯარისკაცებს,-ჩაიდინონ ბარბაროსული აქტები; როდესაც ადამიანებს აწამებენ ან კლავენ; როდესაც უმეცრებას სპობენ იმიტომ, რომ მათ აღიზიანებს უმრავლესობა ან მათი ტირანი მმა-

რთველი. ამგვარი აქტები, თუნდაც ჩადენილი კანონიერად, კანონიერი სუვერენის მიერ, შეძმრწუნებას იწვევს დღესაც და გვაჩქარებს ვალდართ ზნეობრივად გამართლებულად, გარკვეული, აბსოლუტური ბარიერების დაწესება ადამიანის მიერ სხვა ადამიანზე საკუთარი სურვილის თავს მოხვევაზე, განურჩევლად კანონებისა. საზოგადოების კლასისა თუ ჯგუფის თავისუფლების ხარისხი, ამ სიტყვის იმ მნიშვნელობით, რომელსაც აქ ვხმარობთ, იზომება სწორედ ამგვარი ბარიერების სიმტკიცის მიხედვით. აგრეთვე იმ გზების რაოდენობისა და ხარისხის მიხედვით, რომლებიც ღია რჩება საზოგადოების წევრებისათვის, - თუ კი ყველა-სთვის არა, მათი უმრავლესობისათვის მაინც.

ეს თითქმის საწინააღმდეგო პოლუსია იმ მიზნებისა, რომლებიც გააჩნიათ „პოზიტიური“ თავისუფლებისა თუ თვითგამორკვევის მიმდევრებს. პირველის მიზანია ძალაუფლების, როგორც ასეთის, შეზღუდვა, მეორის მიზანი კი ძალაუფლების ხელში ჩაგდება. ეს სრულიად კარდინალური საკითხია, რადგან საქმე გვაქვს არა ერთი და იგივე ტერმინის ორ სხვადასხვა ინტერპრეტაციასთან, არამედ ორი სხვადასხვა მოძრავ, ერთმანეთთან შეურიგებელ პოზიციასთან, სიცოცხლის მიზნებისა და დანიშნულების შესახებ. ჩვენ გვმართებს ამის საქვეყნოდ აღიარება, თუნდაც რომ რეალურ ცხოვრებაში მოგვიწიოს მათ შორის კომპრომისის ძიება. კომპრომისი კი აუცილებელია, რადგან ორივე მხარე აბსოლიტურ მოთხოვნებს აყენებს, რომელთაგან, რომელიმეს დაკმაყოფილება სრული მასშტაბით შეუძლებელია. მაგრამ სრული გაუგებრობა იქნებოდა, სოციალური თუ ზნეობრივი თვალსაზრისით, არ გვეღიარებინა, რომ ორივე მხარის მოთხოვნების დაკმაყოფილებას, ჭეშმარიტად, უზენაესი ღირებულება გააჩნია. რომ ისტორიული და ზნეობრივი თვალსაზრისით ამ მოთხოვნებს აქვთ სრული უფლება მოიპოვონ ადგილი კაცობრიობის ყველაზე ფუნდამენტალურ ინტერესთა შორის.³³

ი) ერთი და ბევრი, ფილოსოფოსი კონდორსე ამბობდა: “ზუნება ერთად კრავს ჭეშმარიტებას, ბედნიერებასა და სათნოებას, როგორც განუწყვეტელ ჯაჭვს”, იგი ასევე საუბრობდა თავისუფლების, თანასწორობისა და სამართლიანობის შესახებ.

მართლმსაჯულობა და კეთილშობილება, საზოგადოებრივი და კერძო ინტერესები, გენიოსის მოთხოვნები და საზოგადოებ-

რივი აზრი, მუდმივ კონფლიქტში იმყოფებიან ერთმანეთთან. **თუმცა, აქედან სრულადაც არ გამომდინარეობს ის დასკვნა, რომ ყველაფერი კარგი ამ ქვეყნად თანაარსებობს.** გვეტყვიან, თუ არა ეს, მაშ როგორაა ამ ქვეყნად კოსმოსი და ჰარმონია, ხოლო კონფლიქტი ადამიანის ცხოვრების თანდაყოლილი, დაუძლეველი ელემენტიო. თუ კი დაუშვებთ, რომ ზოგიერთი ჩვენი იდეალის განხორციელება პრინციპულად შეუძლებელს ხდის სხვათა იდეალების განხორციელებას, ამით ფაქტიურად ვაღიარებთ, რომ ყველა ადამიანის იდეალის განხორციელება ლოგიკური წინააღმდეგობა, მეტაფიზიკური ქიმერიაა. ამავე დროს, აბსოლიტური ჰარმონიის იდეაზე უარის თქმა, რომლის წყალობითაც წყდება ყველა პრობლემა და ქრება ყველა წინააღმდეგობა, სხვა არაფერია, თუ არა პრიმიტიული ემპირიზმი, უღმობელი ფაქტების უგულებელყოფა, გონების კრახი საგნებთან მიმართებაში, მისი უუნარობა ახსნას და გაამართლოს მოვლენები და ჩამოაყალიბოს ისინი ერთიან სისტემაში, რომელსაც „გონება“ ასე გააფრთხილებით უარყოფს.

მაგრამ, თუ ჩვენ არ გვექნება ჭეშმარიტ ფასეულობათა საყოველთაო ჰარმონიის არსებობის აპრიორული გარანტია, რომელიც სადღაც, ალბათ იდეალურ სამყაროში, აუცილებლად არსებობს და, რომლის არსს ჩვენ, მხოლოდ მარადიულ მდგომარეობაში თუ მივწვდებით, სხვა აღარაფერი დაგვრჩება, გარდა იმისა, რომ ორდინალური ადამიანური ცოდნითა და ემპირიული გამოცდილებით დავკმაყოფილდეთ. და ეს ცხადია, არ გვაძლევს უფლებას დავეუშვათ, რომ ამ ქვეყნად შესაძლებელია კარგისა და ცუდის შერიგება. სამყარო, რომელთანაც კონტაქტი ჩვეულებრივ ყოფაში გვიხდება, ისეთი რამ არის, სადაც უამრავი, თანაბრად ჭეშმარიტი და თანაბრად აბსოლიტური მიზანი, და მოთხოვნა არსებობს, და ზოგიერთი მათგანის რეალიზაცია მხოლოდ სხვების მსხვერპლშეწირვის ფასად არის შესაძლებელი. ცხადია, სწორედ ამიტომ არის, რომ ადამიანები ასე დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ არჩევანის თავისუფლებას. რადგან მათ რომ იმის გარანტია ჰქონოდათ, რომ სადღაც, აბსოლიტურად სრულყოფილ სამყაროში, რომელიც შეიძლება ამ ქვეყნად დამკვიდრდეს, არავითარი წინააღმდეგობა არ არსებობს ადამიანების მისწრაფებებს შორის. ცხადია, ამ ქვეყნად არც არჩევანის თავისუფლება, არც მისგან განცდილი ტანჯვა იქნებოდა საჭირო და ნებისმიერი საშუალება გამართლებული

იქნებოდა იმისათვის, რომ ასეთი სამყარო რეალობად ქცეულიყო, რაც არ უნდა დიდი თავისუფლების ხარჭზე ყოფილიყო იგი გამოწვეული.

მე არაერთგზის მქონია მცდელობა დამესაბუთებინა, რომ სწორედ „პოზიტიური“ თავისუფლების იდეა უდევს საფუძვლად ეროვნული და სოციალური თვითგამორკვევის იდეებს, რაც ამოდრავებს ჩვენი დროის უდიდეს და, ამავე დროს ზნეობრივად გამართლებულ სოციალურ მოძრაობებს.- ამის უარყოფა ჩვენი ეპოქის უმნიშვნელოვანესი ფაქტებისა და იდეების გაუგებრობის ტოლფასი იქნებოდა. მაგრამ, ამასთანავე, მე მეჩვენება, რომ შეხედულება, რომლის თანახმად არსებობს რაღაც, ერთი ფორმულა, რომლის საშუალებითაც შეიძლება ადამიანთა განსხვავებული მიზნების ჰარმონიზება, სრული ილუზიაა.

თუ არ არსებობს ეს „ერთი ფორმულა“, რომელსაც ადრე თუ გვიან ყველა ხალხი აირჩევს, თავისი განვითარების ვექტორად, მაშინ არც კოსმიური წესრიგი ყოფილა, რომლის უარყოფაც შეუძლებელია

მე არც იმის თქმა მსურს, რომ ინდივიდის თავისუფლება, ყველაზე ლიბერალურ საზოგადოებაშიც კი, სოციალური აქტივობის ერთადერთი, ან ყველაზე მთავარი კრიტერიუმია.

„აქტივობის“ კრიტერიუმად აუცილებელი მოთხოვნაა მისაჩნევი.

ჩვენ ხომ ვაიძულებთ ბავშვებს ისწავლონ, ანდა ვკრძალავთ საჯარო სიკვდილით დასჯას, რაც, ეჭვი არ არის, ზღუდავს თავისუფლებას. მაგრამ ჩვენ ამგვარ საქციელს იმით ვამართლებთ, რომ გაუნათლებლობა, ბარბაროსობა, სისასტიკე და ველური აღტკინება გაცილებით უფრო მეტი ბოროტების მომტანია ჩვენთვის, ვიდრე ის შეზღუდვები, რომელსაც ამ შემთხვევაში ვაწესებთ. ამგვარი მსჯელობა იმაზეა დამოკიდებული, როგორ განვსაზღვრავთ სიკეთესა და ბოროტებას, ანუ - ჩვენს ზნეობრივ, რელიგიურ, ინტელექტუალურ, ეკონომიკურ და ესთეტიკურ ფასეულობებზე. ერთი სიტყვით, ამგვარი პრობლემების ჩვენური გადაწყვეტა, ჩვენსავე ხედვაზეა დაფუძნებული, რომელიც ცნობიერად თუ არაცნობიერად, გვმართავს და, რომელიც ჩვენი ცხოვრების გზას განსაზღვრავს. სწორედ მისი წყალობით განვსხვავდებით ჩვენ იმ არსებებისაგან, რომლებსაც მილი „საცოდავ

ლილიპუტებსა“ და „ბნელ და ახლომხედველ“ არსებებს უწოდებს. იმისათვის, რომ წინ აღვუდგეთ ცენზურასა და პიროვნული ზნეობის მაკონტროლებელ კანონებს, როგორც პიროვნული თავისუფლების შემლახველ მოვლენებს, ჩვენ უნდა გვწამდეს იმისა, რომ ის, რასაც ამგვარი კანონები კრძალავს, თავისუფალ (და საერთოდ ნებისმიერ) საზოგადოებაში მცხოვრები ადამიანის ძირითადი მოთხოვნილებაა. ხოლო ამგვარი კანონების დაცვა იგივეა, განვაცხადოთ, რომ ასეთი მოთხოვნილება უსაფუძვლოა და მისი დაკმაყოფილება შეუძლებელია სხვა ინდივიდის თავისუფლებაზე უფრო მნიშვნელოვანი, ფასეულობის მსხვერმეწირვის გარეშე, რომელიც არა მხოლოდ სუბიექტური კრიტერიუმებით იზომება, არამედ ემპირიული ან აპრიორულად ობიექტური საზომით.

ამგვარი მიდგომა არასწორია, რამეთუ იკარგება სოციუმის არსი.

ადამიანისა და ადამიანების უფლება, თავად აირჩიონ, თუ როგორ იცხოვრონ, ისეთ ფასეულობებით უნდა იყოს გაწონასწორებული, რომელთა ყველაზე ცნობილი მაგალითებია, ალბათ, თანასწორობა, სამართლიანობა, ბედნიერება, უსაფრთხოება ან წესრიგი. სწორედ ამის გამო არ შეიძლება მისი შეუზღუდველად დატოვება. მართალს ბრძანებს რ. ტოლუნი, როდესაც გვეუბნება, რომ ძლიერთა თავისუფლება აუცილებლად უნდა შეიზღუდოს, მიუხედავად იმისა ფიზიკურია თუ ეკონომიკური მათი ძლიერება. ეს მაქსიმა პატივისცემას მოითხოვს, როგორც არსებით აუცილებლობას, რადგან პატივისცემა სამართლიანობის პრინციპების მიმართ ან სინდისის ქეჯვანა, განცდილი უთანასწორობის შეგრძნებისაგან, იმდენადვეა აუცილებელი ადამიანისათვის, რამდენადაც თავისუფლება. ის, რომ ჩვენ არ შეიძლება ყველაფერი გვექონდეს, რასაც მოვისურვებთ, აუცილებელი და არა შემთხვევითი ჭეშმარიტებაა. ბერკის მოთხოვნა, რომ ჩვენ მუდმივად გვესაჭიროება კომპენსაცია, შერიგება, წონასწორობა; მილის მოთხოვნა, რომ ცოცხალმა არსებამ გამუდმებით უნდა აწარმოოს ახალ-ახალი ექსპერიმენტები, რომელიც მუდამ შეიცავს შეცდომის რისკს და, რომელთა შედეგად ყოველთვის ვერ მივიღებთ, არა მხოლოდ პრაქტიკულად, არამედ ობიექტურად სწორ და განსზღვრულ პასუხს, თუნდაც ჩვენი საზოგადოება თავადაც იყოს იდეალური და იდეალური ადამიანებით იყოს დასახლებული.

ყოველივე ეს დიდი ლახვარია იმ ადამიანებისათვის, რომლებიც აბსოლიტურ, ყოვლის მომცველ და მარადიულ სისტემებს ეძებენ. ამ დასკვნას ვერც ისინი გაექცნენ, რომლებიც კანტთან ერთად მიწვდნენ იმ ჭეშმარიტებას, რომ „იმ მასალისაგან, რასაც ადამიანი ექვია, სწორს ვერასოდეს ვერაფერს შევქმნით“.

და თუ ეს ასეა, მაშინ რა გამოდის, ნეოლიბერალიზმიც, ახალ ექსპერიმენტად გვევლინება, თავსმოხვეული გადამთიელთაგან, რაც თავის მხრივ მიმართულია განუვითარებელი ქვეყნების მდაბიოთა მოსასპობად. საზოგადოების განვითარების უნივერსალური ფორმა კი თვით ბუნებაშია და მას უნდა ვიყენებდეთ ცხოვრების მატრიცად.

თუ მატერიალისტი შემეცნებისკენ მიდის ყოფიერებიდან, იდეალისტი კი შემეცნებიდან-ყოფიერებისაკენ, სრულიად გაუგებარია, საიდან იღებს სათავეს ნეორიბელარი და საითკენ იჭერს იგი გეზს, ანდა მის ცნობიერებას რა დაპირისპირებული მხარეები ქმნიან სოციუმის ერთობლიობას, რომლის გარეშეც მისი არსებობა წარმოუდგენელია? ამას იმისათვის ვლავარაკობთ, რომ ნეოლიბერალთა მსოფლმხედველობა ბუნებრივ კანონზომიერებაში არ ჯდება.

ჩვენი აბსოლიტური კატეგორიებისა და იდეალების განხორციელება ადამიანის სიცოცხლის ხარჯზე საფუძველშივე ეწინააღმდეგება მეცნიერებისა და ისტორიის კანონებს .

პლურალიზმი, რომელიც „ნეგატიურ“ თავისუფლებას თანსდევს და მისითვე იზომება, გაცილებით უფრო ჭეშმარიტ და ჭუმანურ იდეალად მეჩვენება, ვიდრე იმ ადამიანების ფასეულობები, რომლებიც მკაცრად დისციპლინირებული და ავტორიტარულ სტრუქტურებში ხედავენ საუკეთესო „პოზიტიურ“ გამოსავალს ცალკეული კლასების, ხალხებისა თუ საერთოდ კაცობრიობისათვის. ჭეშმარიტია იმიტომ, რომ სულ მცირე, აღიარებს ადამიანთა მიზნების სიმრავლესა და მრავალფეროვნებას, რომლებიც ყოველთვის არ არიან ურთიერთთავსებადნი და ხშირად წიააღმდეგობაშიც კი მოდიან ერთმანეთთან. თუ კი დავუშვებთ, რომ ყველა ფასეულობა შეიძლება ერთ სასწორზე ავწონოთ, რათა მათგან უდიდესი შევარჩიოთ, ამით მხოლოდ

უარყოფთ იმ ჭეშმარიტებას, რომ ადამიანები თავისუფალი სუ-
ბიექტები არიან, რომლებსაც შესწევთ უნარი მიიღონ ზნეობრივი
გადაწყვეტილებები. თქმა იმისა, რომ რაღაც, საბოლოო და სა-
ყოველთაო სინთეზის შედეგად მოვალეობა ინტერესად იქცევა,
ხოლო ინდივიდის თავისუფლება - წმინდა დემოკრატიად ან
ავტორიტარულ სახელმწიფოდ, ნიშნავს იმას, რომ მეტაფიზიკუ-
რი საფარველი გადავაფართოთ გულუბრყვილობას ან შეგნებულ
ფარისეველობას. პლურალიზმი იმიტომ არის უფრო ჰუმანური,
რომ იგი რაღაც შორეული და ბუნდოვანი იდეალების სახელით
არ ართმევს ინდივიდებს (სისტემების შემქმნელებისაგან გან-
სხვავებით), იმ მონაპოვრებს, რომლებსაც ასე სჭირდებათ მათ,
როგორც ადამიანებს. საბოლოო ჯამში, ადამიანებს უხდებათ აბ-
სოლიტურ ფასეულობებს შორის რომელიმე აირჩიონ და ისინი
აკეთებენ კიდევაც ამგვარ არჩევნებს. აკეთებენ რადგან მათი ცხო-
ვრება და შეხედულებები იმ ფუნდამენტალური მორალური კა-
ტეგორიებითა და ცნებებით განისაზღვრება, რომლებიც, ყოველ
შემთხვევაში, დროისა და სივრცის დიდ მონაკვეთში, მათი არსე-
ბისა და პიროვნებისა, მათი არსის ნაწილია. ნაწილია იმისა, რაც
მათ ადამიანებად აქცევთ.

*და მაინც დავუმატებდი, პრურალიზმი, იმისათ-
ვის ხომ არ არის ლიბერალთა მიერ ღირებულებად
მიჩნეული, რომ მისით იგნორირებას განიცდის სა-
ერთოდ დემოკრატია, კომუნათა უმრავლესობის
სამართლიანი ნება, და გამოიყენება ამ უმრავლესო-
ბასთან მუდმივ საპაექროდ, დასაპირისპირებლად,
საზოგადოების გასახლეჩად,-სოციუმის მთელს ვე-
რტიკალზე. რის შემდეგობითაც ხდება პრობლემები-
დან საზოგადოების ყურადღების გადატანა, მათ,
ფსევდო პოლიტიკურ დებატებზე, შედეგად კი გა-
დაუჭრელი რჩება არსებითი პრობლემები, რამეთუ
სათანადოდ ვერ ხვდება ხალხის ყურადღების მათზე
გადატანა, რითაც სარგებლობენ რა „სტრატეგიული
პარტნიორები,“- და ქვეყნად ნერგავენ ანტიადამი-
ანური, ანტიეროვნული შინაარსის მქონე ნეოლიბე-
რალურ პრინციპებს, რაც „შეთქმულთა“ წისქვილზე
ასხამს წყალს..*

„უნარი, გაიაზროს საკუთარი შეხედულებების ფარდობითობა და, ამის მიუხედავად, ურყევად დაიცვას ისინი, აი, ეს არის ის, რაც ცივილიზებულ ადამიანს ბარბაროსისაგან განასხვავებს,“-ამბობს შუმპატერი. თუ კი ჩვენ ეს არ გვაკმაყოფილებს და უფრო მეტი გვსურს, მაშასადამე მძიმე და გამოუსწორებელი მეტაფიზიკოსები ვყოფილვართ, მაგრამ იმის მოთხოვნა, რომ ჩვენ განუსაზღვროთ ადამიანებს ცხოვრების წესი, ეს უკვე იმ არანაკლებ მძიმე და, ამავე დროს, ბევრად უფრო საშიში ავადმყოფობის სიმპტომია, რომელსაც ზნეობრივი და პოლიტიკური უმწიფარობა ჰქვია.³⁴

რეზიუმე. *ისაია ბერლინმა, მსოფლიო სოციალისტური სისტემის პირობებში, რა დროსაც მოსკოვის გავლენის ქვეშ იყო მოქცეული არაერთი გარე სახელმწიფო, განხილული ფილოსოფიური ნაშრომით, მათი განმათავისუფლებელი მოძრაობის დაწყებისა და საბჭოთა კავშირის დაშლისათვის, ბიძგის მიცემის მიზნით, მანამდე არსებულ ლიბერალ-დემოკრატებზე დაყრდნობით, წინა პლანზე წამოწია პლათფორმად თავისუფლების თემა, განპირობებულ მანამდე გამოცემული არაერთი იურიდიული აქტით. სწორედ ამაშია მისი უნიკალურობა, მით უფრო იგი შეეხო სერიოზულ თემებს, რომელთა შესახებაც ჩვენი აზრი მოხსენებულა ჩანართებში.*

3. ფონ ჰაიეკი, წარმოშობით ავსტრიელი, (1899-1992), ჩიკაგოს უნივერსიტეტის პროფესორი, ნობილეს პრემიის ლაურიატი, რეიგენსა და ტეტჩერზე გავლენის მომხდენი, 1960 წ-ს გამოცემული წიგნიდან: „თავისუფლების კონსტიტუცია“

ა) თანასწორობა, ღირებულება და დამსახურება. სახელმწიფო წესებით დაკანონებულ თანასწორობას შეიძლება დაემატოს აგრეთვე, ამავე ტიპის თანასწორობა, იმ წესების საფუძველზე, რომელსაც ადამიანები იცავენ ერთმანეთთან ურთიერთობაში ნებაყოფილობით. თანასწორობის იდეის ამგვარი გაფართოება ზნეობრივი და სოციალური ქცევის ნორმებით, იმის

გამოხატულებაა, რასაც ჩვეულებრივ, დემოკრატიის სულს უწოდებენ ხოლმე. ეს სწორედ ის ფენომენია, რომლის წყალობითაც მეტ-ნაკლებად ასატანი ხდება უთანასწორობა, რომელიც გარდაუვალად თან მოსდევს თავისუფლებას.

თანასწორობა კანონისა და ქვევის ზოგადი წესების წინაშე, არის ერთად ერთი სახეობა თანასწორობისა, რომელიც თავსებადია თავისუფლებასთან და არ მოაქვს ზიანი მისთვის. თანასწორობის სხვა ნებისმიერ ფორმას, არამც თუ არ აქვს კავშირი თავისუფლებასთან, არამედ, სწორედ იგი მრავალი თვალსაზრისით, შეიძლება გახდეს უთანასწორობის წყარო.

თავისუფლება მოითხოვს, რომ ხელისუფლება ყველა ადამიანს თანაბრად მოეპყრას, მაგრამ არა იმიტომ, რომ იგი გულისხმობს, თითქოს ყველა ადამიანი ერთნაირია, ან უნდა გახდეს ერთნაირი. პირიქით, თავისუფლების მოთხოვნაში იგულისხმება აღიარება იმ ფაქტისა, რომ ადამიანები დიდად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან. უფრო მეტიც, თვით ამ მოთხოვნის საფუძველი, დიდ წილად, სწორედ ამგვარ შეხედულებაში მდგომარეობს. თავისუფლება დაჟინებით მოითხოვს, რომ განსხვავება ადამიანებს შორის არ ამართლებდეს ხელისუფლების განსხვავებულ მოპყრობას მათ მიმართ. იგი პროტესტს გამოთქვამს ხელისუფლების მიმართ ადამიანებისადმი მისი განსხვავებული მოპყრობის გამო, რაც აუცილებელი იქნებოდა იმ შემთხვევაში, სრულად განსხვავებულ ადამიანებს რომ თანაბარი მდგომარეობა ჰქონოდათ საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

...არაფერი ისე არ ავნებს ადამიანთა მიმართ თანაბრად მოპყრობის იდეას, როგორც ეს აშკარა ილუზიაა ადამიანთა ფაქტობრივი თანასწორობის შესახებ. თუ კი ჩვენ მოვითხოვთ თანაბარ მოპყრობას ეროვნული ან რასობრივი უმცირესობის მიმართ, იმ მოტივით, რომ ისინი არაფრით განსხვავდებიან სხვა ადამიანებისაგან, ამით ჩვენ მხოლოდ იმპლაციტურად ვაღიარებთ, რომ ფაქტობრივი უთანასწორობა ამართლებს არათანაბარ მოპყრობას.

...ადამიანები ჩასახვამდე განსხვავდებიან ერთმანეთისაგან. ინდივიდუალური თავისებურებები არც მაშინ იქნებოდა ნაკლები მნიშვნელობის მქონე, ყველა ადამიანი რომ მსგავს გარემოში აღზრდილიყო.

არსებითად მცდარია გამოთქმა, „ყველა ადამიანი თანასწორია დაბადებიდანვე“. თუმცა ყველა ადამიანი, კანონისა და ზნეობის თვალსაზრისით, უნდა იყოს თანაბარი მოპყრობის საგანი.

იმ ფაქტიდან, რომ ადამიანები განსხვავდებიან ერთმანეთისაგან, გამომდინარეობს ის, რომ თუ კი ჩვენ მათ განვიხილავთ როგორც თანასწორ ადამიანებს, შედეგად მივიღებთ უთანასწორობას, მათი ფაქტობრივი მდგომარეობის თვალსაზრისით. და შესაბამისად, მათი თანაბარ მდგომარეობაში ჩაყენებისათვის ჩვენ დაგვრჩება მხოლოდ ერთი გზა, - მოვეპყროთ მათ განსხვავებულად. აქედან გამომდინარე, კანონის წინაშე თანასწორობა და მატერიალური თანასწორობა, არა მხოლოდ განსხვავდებიან ერთმანეთისაგან, არამედ ურთიერთ წინააღმდეგობაშიც კი მოდიან. ჩვენ შეგვიძლია მივალწიოთ ან ერთს, ან მეორეს, მაგრამ ერთდროულად ორივეს, - ვერასდროს. კანონის წინაშე თანასწორობას, რასაც მოითხოვს თავისუფლება, აუცილებლად მივყავართ მატერიალურ უთანასწორობასთან... ყველა ადამიანისათვის თანაბარი პირობების შექმნის სურვილი არავითარ შემთხვევაში არ გამოდგება თავისუფალ საზოგადოებში დისკრიმინაციული იძულებითი ზომების გასამართლებლად.

თანასწორობის დროშით ის ადამიანები გამოდიან ხოლმე, რომელთა მიზანია საზოგადოებისათვის განაწილების წინასწარ განსაზღვრული სტრუქტურების თავს მოხვევა. ჩვენი პროტესტი, სწორედ, განაწილების ყოველგვარი, შეგნებულად დადგენილი სტრუქტურების შემოღების წინააღმდეგ არის მიმართული, განურჩევლად იმისა, თუ რას ისახავს ყოველივე ეს მიზნად-თანასწორობას, თუ უთანასწორობას.35

ეს ანტიდემოკრატიული თეზა, უდავო დადასტურებაა იმისა, რომ ლიბერალებს სურთ მუდმივად ამყოფონ ხალხი „უმეცრებაში“, რათა მთლიანი საზოგადოება მართონ დამოუკიდებლად, რაც არ უნდა იქნეს დაშვებული თანამედროვე „განვითარების“ პირობებში.

...თუ კი ჩვენ გვსურს თავისუფალი საზოგადოების შენარჩუნება, აუცილებელია ვალიართ ის ფაქტი, რომ, რაც სასურველია, არ გამოდგება იძულების გასამართლებლად. ადამიანს, რა თქმა უნდა, შეუძლია იქონიოს სიმპათიები ისეთი საზოგადოებრივი

სისტემის მიმართ, სადაც არ არის უკიდურესი კონტრასტი მდიდრებსა და ღარიბებს შორის. ჩვენ შეიძლება მივესალმოთ ადამიანთა შორის არსებული ქონებრივი განსხვავების, თანდითანობით შემცირებას მატერიალური სიმდიდრის ზრდის ხარჯზე

იმას რა ვუყოთ, იმას, თუ „საწყის პოზიციაში“ ეროვნული სიმდიდრეები აღმოჩნდა დანაშაულებრივად მავანთა ხელში და „რეკომენდატორები“ ცდილობენ ამაზე აგვარიდებინონ თვალი, რამეთუ თავადაც არიან გარეულები ამ უსამართლობაში?

არ არსებობს რაიმე ობიექტური არგუმენტი იმის საწინააღმდეგოდ, რომ, სწორედ, ამგვარი პრიორიტეტები ამოდრავებდეს ამა თუ იმ ხელისუფლებას თავისი ქვეყნის პოლიტიკის ძირითადი მიმართულებების შემუშავებისას.

ღირებულება, რომელსაც ადამიანების უმრავლესობა ანიჭებს ოჯახის ინსტიტუტს, დაფუძნებულია იმ შეხედულებაზე, რომლის თანახმად, მშობლებს, ნებისმიერ სხვა ადამიანთან შედარებით, გაცილებით მეტის გაკეთება შეუძლიათ თავიანთი ბავშვებისათვის ნორმალური ცხოვრების პირობების შესაქმნელად. ეს ნიშნავს არა მხოლოდ იმას, რომ თვისებები, რომლებსაც ადამიანები იძენენ ოჯახიდან, ძლიერ განსხვავდება ერთმანეთისაგან, არამედ იმასაც, რომ ეს თვისებები, შეიძლება, კიდევ უფრო გაუმჯობესდეს თაობათა ცვლის პროცესში. რა საფუძველი შეიძლება ქონდეს იმ შეხედულებას, რომ გარკვეული, სოციალურად სასურველი თვისებები ნაკლებად ღირებულია საზოგადოებისათვის, თუ კი ისინი შეძენილია ოჯახისაგან? არსებობს საფუძველი ვიფიქროთ, რომ გარკვეული, სოციალურად ღირებული თვისებები, რომლებიც იშვიათად მოიპოვება ერთი თაობის ფარგლებში, ორი ან სამი თაობის ცვლის პროცესში ყალიბდება. ეს ნიშნავს, უბრალოდ, რომ არსებობს კულტურული მემკვიდრეობის ისეთი ფორმები, რომლებიც, გაცილებით, უფრო ეფექტურად გადაეცემა ოჯახის პირობებში. აქედან გამომდინარე, სრულიად უსაფუძვლო იქნებოდა იმის უარყოფა, რომ საზოგადოებას, გაცილებით, უკეთესი ელიტა ეყოლებოდა, განვითარება, რომ არ ყოფილიყო შეზღუდული მხოლოდ თაობით, ადამიანებისათვის რომ არ დაემალებინათ დაეწყოთ ერთი და იგივე სასტარტო პირობებიდან, ხოლო ბავშვებისათვის არ წაერთმიათ შანსი, მიეღოთ თავიანთი

მშობლებისაგან უკეთესი განათლება ან უკეთესი მატერიალური კეთილდღეობა. ჩვენ თუ არ უარვყოფთ ამას, ამით ვაღიარებთ ფაქტს, რომ ოჯახი ადამიანის პიროვნების ნაწილია, საზოგადოება კი, იმდენადვე შედგება ოჯახებისაგან, რამდენადაც პიროვნებებისაგან, ხოლო ცივილიზაციის მემკვიდრეობის გადაცემა ოჯახის მეშვეობით, იმდენადვე მნიშვნელოვანი ფაქტორია ადამიანის განვითარების, პროცესში, რამდენადაც ფიზიკური თვისებების მემკვიდრეობით მიღება.

არავითარ ეჭვს არ იწვევს ის ფაქტი, რომ კერძო საკუთრების მემკვიდრეობაში გადაცემა ერთ-ერთი იმ ფაქტორთაგანია, რომელიც წარმოშობს გარკვეული სახის უთანასწორობას. ამ კონტექსტში, ჩვენ არ გვსურს დავადგინოთ საჭიროა თუ არა თავისუფლების შესანარჩუნებლად მემკვიდრეობის სრული თავისუფლება. საკითხი, რომელიც ჩვენ გვინტერესებს, არის ის, უნდა შეეძლოს თუ არა ადამიანებს თავისუფლად გადასცენ თავიანთ შვილებს ან სხვებს ისეთი მატერიალური საკუთრება, რომელიც წარმოშობს არსებით უთანასწორობას ადამიანებს შორის.

არის მოსაზრება, რომ ყველა უზრუნველყოფილ უნდა იქნას თანაბარი სასტარტო პირობებით და ასევე თანაბარი განვითარების პერსპექტივებით.

ეს ილუზიაა, რამეთუ ხალხი არ იწყებს ახალ ცხოვრებას, ახლად აღმოჩენილ კუნძულზე გადასახლებით, რადგან წინ უძღვით საკუთარი და წინაპართა მემკვიდრეობა, რაც გადამწყვეტ როლს თამაშობს ამ საქმეში, მათ შორის ხელისუფალთა ბოროტმოქმედებანი, როგორც ეს მოხდა კომუნიზმის დანგრევის შემდეგ, რესურსების ფსევდო გადანაწილების დროს.

ასეთი თეორია მხოლოდ მცირედით განსხვავდება იმ შეხედულებისაგან, რომ სახელმწიფომ, ყველასათვის თანაბარი პირობების შექმნის ნაცვლად, მიზნად უნდა დაისახოს ინდივიდის განვითარების პერსპექტივთან დაკავშირებით ყოველგვარი პირობების მართვა და მათი ისე მისადაგება ინდივიდის პიროვნულ შესაძლებლობებთან. რომ მისთვის უზრუნველყოფილ იქნას ისეთივე პერსპექტივები, როგორებიც სხვებს გააჩნიათ. შესაძლებლობათა ამგვარი ადაპტაცია ინდივიდის მიზნებთან და შესაძლებლობებთან, რა თქმა უნდა, აბსოლუტიტურად ეწი-

ნააღმდეგება თავისუფლების იდეას. ამგვარი დამოკიდებულება მოვლენებისადმი სრულიად გაუმართლებელია, თუნდაც იგი ემსახურებოდეს ცოდნის ყველაზე რაციონალურად გამოყენების საქმეს, იმ პირობით, რომ ჩვენ არ ვიფიქრებთ, თითქოს ხელისუფლებამ ყველაზე უკეთესად იცის, როგორ გამოიყენოს ადამიანის შესაძლებლობები. /ყოველიოვე ეს დაფუძვნიებულია ილბლიანობისადმი შურზე. /

ამგვარი გრძნობის დაკმაყოფილების სურვილი, დღეს სოციალური სამართლიანობის რესპექტაბელურ სამოსელში გახვეული, მართლაც, სერიოზულ საფრთხეს უქმნის ქვეყნად თავისუფლებას. უკანასკნელ ხანეში, ადგილი ჰქონდა მცდელობას განემტკიცებინათ ამგვარი მოთხოვნები არგუმენტებით, თითქოს, პოლიტიკის მიზანი უნდა იყოს ადამიანში ყოველგვარი უკმაყოფილების წყაროს აღმოფხვრა. ეს კი გარდაუვალად ნიშნავს იმას, რომ სახელმწიფოს ვალია იზრუნოს, რათა არავინ იყოს სხვაზე მეტად შეძლებული ან ბედნიერი, ყავდეს სხვაზე უკეთესი ცოლი ან განათლებული შვილები და ას. ჩვენ რომ აღუსრულებელი სურვილის გამო პრეტენზიები საზოგადოებისათვის წაგვეყენებინა, ამით ინდივიდის პირად პასუხისმგებლობასაც მოეღებოდა ბოლო. შური, როგორც ადამიანური თვისება, რა თქმა უნდა, არ არის უკმაყოფილობის ისეთი წყარო, რომლის აღმოფხვრაც შესაძლებელია თავისუფალი საზოგადოების მიერ. მაგრამ ამგვარი საზოგადოების შენარჩუნების ერთ-ერთი აუცილებელი პირობა, ალბათ, ის არის, რომ ჩვენ ხელი არ შეუწყოთ ადამიანში შურის გრძნობის განვითარებას, არ მივცეთ გზა მის ეგოისტურ მოთხოვნებს, შენიღბულს სოციალური სამართლიანობით, არამედ განვიხილოთ ის, ჯონ მილის სიტყვებით, რომ ვთქვათ, როგორც „ყველა ადამიანურ ვნებათა შორის ყველაზე ანტი-სოციალური და ბოროტი ვნება“.

ვფიქრობ, შური, -უსამართლობის შედეგია, რასაც ყოველთვის წინ უძღვის სიკეთის ნაკლებობა. ამიტომაც მოშურნის წინააღმდეგ კი არ უნდა იყოს მიმართული ძალისხმევა, არამედ სიკეთის გამრავლებისკენ.

მიუხედავად იმისა, რომ მკაცრად ეგალიტარული მოთხოვნების უმრავლესობის წყარო სხვა არაფერია, თუ არა ადამიანური

შური, ჩვენ მაინც უნდა ვადიაროთ, რომ ბევრი რამ, რაც გარეგნულად თავისუფლების მასშტაბის გაფართოების მოთხოვნა გვგონია, არსებითად არის ამქვეყნიური სიმდიდრის უფრო სამართლიანად განაწილების მოთხოვნა და, შესაბამისად, გამომდინარეობს გაცილებით უფრო კეთიშობილი მოტივებისგან, ვიდრე შური. ადამიანების უმრავლესობა პროტესტს აცხადებს არა უბრალოდ უთანასწორობის გამო, არამედ მეტისმეტად დიდი განსხვავებების გამო ჯილდოებს შორის, რაც სრულად არაპროპორციულია იმ მცირე განსხვავებებისა, რომლებიც ადამიანების დამსახურებებს შორის არსებობს. ყველაზე უფრო გავრცელებული პასუხი ამგვარ პროტესტზე ის არის, რომ ასეთია სამართლიანობის ის ფორმა, რომელსაც აღწევს თავისუფალი საზოგადოება....

დამსახურება ობიექტური შედეგების მიხედვით კი არ იზომება, არამედ სუბიექტურ ძალთა დანახარჯების მიხედვით. მცდელობა მიაღწიო, რაღაც, სოციალურად ღირებულ შედეგს, შეიძლება, დიდ დამსახურებასთან იყოს დაკავშირებული, და ამავ დროს, წარუმატებელიც გამოდგეს, და პირიქით, სრული წარმატება, შეიძლება, იყოს შემთხვევითი და შესაბამისად, დაუმსახურებელი.

ჩვენ შეიძლება მოვინდომოთ, რომ ამგვარი ზღვარის გავლენა ღირებულებასა და დამსახურებას შორის ყველა შემთხვევაში გახდეს შესაძლებელი. მაგრამ, რეალურად, ამის გაკეთება, დასაბუთების გარკვეულ დონეზე, მხოლოდ იშვიათ შემთხვევაში შეგვეძლება...

ჩვენ, რა თქმა უნდა, არ გვსურს, რომ ადამიანებმა მაქსიმალური დამსახურება მოიპოვონ, არამედ გვსურს, რომ მათ მიაღწიონ მაქსიმალურ სარგებლიანობას მინიმალური დანახარჯებისა და მსხვერპლის ფასად, და შესაბამისად, მინიმალური დამსახურება მიიღონ....

დანახარჯების ღირებულების განსასაზღვრავად გამოიყენება ჯილდო, რომელსაც აწესებს თავისუფალი საზოგადოება კონკრეტული შედეგებისათვის. ამგვარი ჯილდო თანაბარი უნდა იყოს ყველასათვის, ვინც მიაღწია ერთი და იგივე შედეგს, განურჩევლად შრომითი დანახარჯებისა, რომელიც თითოეულმა მათგანმა გასწია....

მიუხედავად იმისა, რომ ადამიანთა უმრავლესობას ძალზე

ბუნებრივად მიაჩნია მოთხოვნა, რომ არავის შეიძლება მიეცეს უფრო დიდი გასამრჯელო, იმ შრომით და ენერჯის დანახარჯებთან შედარებით, რომლებიც განვითარებულია მოცემულ პროექტში, ეს მოსაზრება საოცრად მცდარ დებულებებზეა დაფუძნებული. იგი გულისხმობს, რომ ჩვენ თითქოს გვაქვს უნარი ვიმსჯელოთ თითოეულ კონკრეტულ შემთხვევაში, თუ რამდენად ეფექტიურად იყენებენ ადამიანები თავიანთ განსხვავებულ შესაძლებლობებსა და უნარს, და რამდენად დამსახურებულია მათი მიღწევები იმ პირობების ფონზე, რომლებმაც შესაძლებელი გახადეს ეს კონკრეტული მიღწევები. იგი გულისხმობს, რომ არსებობენ გარკვეული პირები, რომლებსაც აქვთ უფლება განსაზღვრონ ყოველგვარი აპელაციის გარეშე, თუ რას იმსახურებს ესა თუ ის პიროვნება და რისი გაკეთება შეუძლია მას. და ბოლოს, იგი გულისხმობს იმას, რასაც თავისუფლება უარყოფს, რომ ჩვენ შეგვიძლია ვიცოდეთ და, ვიცით კიდევაც, თუ რა ამოძრავებს ადამიანს.

აქედან გამომდინარე, საზოგადოება, რომელშიც ადამიანთა სოციალური მდგომარეობა განისაზღვრება მორალური დამსახურების იდეალის შესაბამისად, სხვა არაფერი იქნებოდა, თუ არა თავისუფალი საზოგადოების ანტიპოდი. ეს იქნებოდა საზოგადოება, სადაც ადამიანები დაჯილდოვდებოდნენ მოვალეობის შესრულებისათვის და არა წარმატებისათვის, სადაც ადამიანის ყოველი ნაბიჯი დამოკიდებული იქნებოდა სხვა ადამიანის ნებაზე, სადაც ინდივიდი თავისუფალი იქნებოდა იმ ტვირთისაგან, რომელსაც პასუხისმგებლობის გრძნობა და გადაწყვეტილებების მიღებასთან დაკავშირებით რისკი ჰქვია. მაგრამ, თუ კი არავინ არის ასეთი, ვისაც ეყოფა ცოდნა მთელი კაცობრიობის სამართავად, არც ისეთი ადამიანი არსებობს, რომელსაც ექნებოდა უნარი, დამსახურებისამებრ, აენაზღაურებინა ყველა დანარჩენის ძალისხმევა.

ურთიერთობებში სხვა ადამიანებთან ჩვენ ვმოქმედებთ იმ შეხედულების საფუძველზე, რომ ჩვენი ვალდებულებები ამ ადამიანების წინაშე განისაზღვრება მათი საქმიანობის ღირებულებისა და არა მათი პირადი დამსახურების შესაბამისად... **სხვა ადამიანებთან ურთიერთობაში, ჩვენი მხრივ, სამართლიანი მოქმედება იქნება მხოლოდ ის, თუ კი ჩვენთვის მოწოდებულ ღირებულებ-**

ბას ადექვატური ღირებულებით ავანაზღაურებთ, განურჩევლად იმისა, თუ რა დაუჯდა კონკრეტულ ინდივიდს ამ მომსახურების გაწევა. ამასთან, ჩვენი მოვალეობა განისაზღვრება იმ სარგებლის შესაბამისად, რომელსაც ჩვენ ვიღებთ იმისაგან, რასაც სხვები გვთავაზობენ და არა შემთავაზებლის პირადი დამსახურების შესაბამისად. ასევე ჩვენც, როდესაც გვიხდებიან გასამრჯელოს, მოველით, რომ ეს გასამრჯელო ადექვატური იქნება ჩვენს მიერ გაწეული მომსახურებისა და არა ჩვენი პირადი დამსახურებისა. ქემშარიტად, როდესაც ჩვენ ვფიქრობთ ჩვენს ურთიერთობებზე კონკრეტულ ადამიანებთან, ჩვენ, საზოგადოდ ვიცით, რომ თავისუფალი ადამიანის ნიშანი ის არის, რომ რასაც იგი შოულობს თავისი შრომით, შოულობს არა იმ დამსახურებისათვის, რომელიც მას გააჩნია სხვა ადამიანების თვალში, არამედ იმ საქონლის თუ მომსახურების ღირებულებისათვის, რომელსაც იგი სთავაზობს ამ ადამიანებს. დამსახურებისათვის ჩვენ ჯილდოს მოვითხოვთ მხოლოდ მაშინ, როდესაც ჩვენი მდგომარეობა თუ შემოსავალი განისაზღვრება „საზოგადოების“, როგორც მთელის მიერ...

ბაზარი, სზოგადოდ, ნებისმიერი სამსახურისათვის დააწესებს იმ ღირებულებას, რომელიც მომგებიანი იქნება მწარმოებლისათვის, მაგრამ ჩვენ ძალიან იშვიათ შემთხვევაში შევიტყობთ, მართლაც, საჭირო იყო თუ არა ამდენის გადახდა ამ კონკრეტული მომსახურებისათვის....

საზოგადოება, რომელშიც ადამიანთა სოციალური მდგომარეობა განისაზღვრება მორალური დამსახურების იდეალის მიხედვით, სხვა არაფერია, თუ არა თავისუფალი საზოგადოების ანტიპოდი...

საჭირო ხდება, რომ ანაზღაურების ოდენობა განისაზღვროს, პირადი დამსახურების შესაბამისად მენეჯერის თვალში და არა პირადი წვლილის ღირებულების შესაბამისად...

სამართლიანობა, თავისუფლებისა და იძულების მსგავსად, ისეთი მცნებაა, რომელიც სიცხადის გულისთვის უნდა განიხილებოდეს მხოლოდ ადამიანთა შეგნებული ურთიერთდამოკიდებულების კონტექსტში. იგი არის ერთ-ერთი საშუალება საიმისოდ, რათა განვსაზღვროთ ადამიანთა ცხოვრების პირობები, რომლებიც წარმოადგენენ სხვა ადამიანთა მხრიდან კონტროლის ობიექტს. რამდენადაც ჩვენ გვსურს, რომ ინდივიდმა მთელი თავისი

ვისი ძალისხმევა წარმართოს, საკუთარი შეხედულებების შესაბამისად, მისი პერსპექტივებისა და შესაძლებლობების შესახებ, ამ ძალისხმევის შედეგები ყოველთვის წინასწარ დაუდგენელია და ყოველგვარი აზრი ეკარგება კითხვას, თუ რამდენად სამართლიანია, დიახაც მოითხოვს, რომ სახელმწიფომ უზრუნველყოს, უკლებლივ, ყველა ადამიანი თანაბარი ცხოვრების პირობებით. საუბარია იმ პირობებზე, რომლებიც სახელმწიფოს კომპეტენციაში შედის. მაგრამ ამ პირობების თანაბრობას მივყევართ შედეგების უთანაბრობასთან. ჩვენ ვერ შევძლებთ, დამსახურების პროპორციული ანაზღაურების წესის შენარჩუნებას ვერც იმით, თუ კი ყველას თანაბრად გავუნაწილებთ სახელმწიფოს ხელში არსებულ კონკრეტულ შესაძლებლობებს და ვერც იმით, თუ კი თანაბრად მოვეპყრობით ერთმანეთისაგან სრულიად განსხვავებულ პარტნიორებს. **ჯილდო დამსახურებისათვის, ფაქტობრივად, არის ჯილდო სხვების ნების მიმართ მორჩილებისათვის და არა კომპენსაცია რომელსაც ჩვენ ვამღებთ სხვებს, იმის კეთებისათვის, რაც ჩვენ ყველაზე საიუკეთესოდ მიგვაჩნია...**

არგუმენტი, რომლითაც ხშირად ამართლებენ ხოლმე მოთხოვნებს უფრო თანაბარი განაწილების შესახებ, თუმცა, თვით ამ არგუმენტს იშვიათად ასახელებენ ხოლმე, პირდაპირ. საქმე ეხება შეხედულებას, რომლის თანახმად, თითქოს, რომელიღაც კონკრეტული საზოგადოების წევრობა ან ქვეყნის მოქალაქეობა უფლებას აძლევს ინდივიდს იცხოვროს გარკვეული მატერიალური სტანდარტების შესაბამისად, რომლებიც განისაზღვრება იმ საზოგადოებისა თუ ქვეყნის სიმდიდრით, რომლის წევრიც ის არის. ეს მოთხოვნა მეტად საინტერესო წინააღმდეგობაშია დამსახურების შესაბამისად განაწილების მოთხოვნასთან. ფაქტია, რომ, ამკარად არ არსებობს რაიმე დამსახურება იმაში, რომ რომელიღაც საზოგადოების წევრი იყო დაბადებიდან. არც სამართლიანობას შეიძლება ჰქონდეს რაიმე კავშირი იმასთან, რომ ესა თუ ის ინდივიდი სწორედ ამ ადგილას დაიბადა და არა სადმე სხვაგან. შედარებით მდიდარ საზოგადოებას სისტემატურად მოაქვს სარგებელი თავისი ღარიბი წევრებისათვის, რასაც, ცხადია, ადგილი არა აქვს ღარიბ საზოგადოებაში. **მდიდარ საზოგადოებაში ერთადერთი გამამართლებელი არგუმენტი, რომელიც შეიძლება ჰქონდეთ იმ წევრებს, რომლებიც მოითხოვენ უფრო მეტ სარგებელს თავისთვის, არის ის, რომ კერძო ადამიანების ხელში კიდევ**

უფრო მეტი სიმდიდრეა თავმოყრილი, და, რომ სახელმწიფომ უნდა მოახდინოს ამ სიმდიდრის კონფისკაცია და გადანაწილება. ადამიანებს, რომლებსაც სისტემატურად უხდებათ უყურონ, თუ როგორ სარგებლობენ სიმდიდრით სხვა ადამიანები, გაცილებით მეტი ჟინი უჩნდებათ ამ სიმდიდრის ხელში ჩაგდებისა, ვიდრე მათ, რომლებსაც ამის შესახებ მხოლოდ ზოგადი წარმოდგენა აქვთ, თუ საერთოდ აქვთ.

არ არსებობს რაიმე აშკარა მიზეზი იმისა, თუ რატომ ხდება საზოგადოების წევრების ერთობლივი ძალისხმევა -დაიცვან კანონი და წესრიგი, და მოახდინონ გარკვეული მომსახურეობის ორგანიზება, -საფუძველი მათი მოთხოვნისა არის გაინაწილონ ამ საზოგადოების სიმდიდრე. ამგვარი მოთხოვნების გამართლება განსაკუთრებით რთული ხდება მაშინ, როდესაც ამ საზოგადოების წევრები უარს ეუბნებიან ამავე უფლებებზე იმათ, ვინც არ ეკუთვნის ამავე საზოგადოებას ან ეროვნებას. ამგვარი მოთხოვნების აღიარებას ეროვნულ დონეზე, რეალურად, შედეგად მოყვება ახალი ტიპის კოლექტიური (მაგრამ არანაკლებ ექსკლუზიური) საკუთრების უფლება ეროვნულ რესურსებზე, რომლის გამართლება იმავე არგუმენტებით, რითაც ხდება ინდივიდუალური საკუთრების გამართლება, არ შეიძლება. ადამიანთა უმცირესობას თუ შეუძლია ამგვარი მოთხოვნების სამართლიანად ცნობა მსოფლიო ასპარეზზე. და მხოლოდ ის ფაქტი, რომ ამა თუ იმ ქვეყანაში არსებობს უმრავლესობა, რომელსაც ხელთ უპყრია ძალაუფლება და აპირებს ამ მოთხოვნების ცხოვრებაში გატარებას (მაშინ, როდესაც მსოფლიო მაშშტაბით ეს ასე არ არის), არ ხდის ამ მოვლენას უფრო სამართლიანს....

ის, რომ ყველა მოქალაქეს აქვს უფლება მიიღოს საერთო წესით გარკვეული მომსახურეობა, არ ნიშნავს, რომ ყველას აქვს უფლება გაინაწილოს ყველა სახის სარგებელი. შესაძლოა, დაწესებულ იქნას გარკვეული ნორმები, რათა განსაზღვრულ იქნას, თუ ვის რა მართებს, გასცეს, მაგრამ არავითარ შემთხვევაში იმისათვის, თუ ვის რა შეუძლია მოითხოვოს. შეხედულება, რომლის წინააღმდეგაც აქ გამოვდივართ, სულ უფრო და უფრო პოპულარული გახდება მომავალში სხვადასხვა ერებს შორის. ნაცვლად იმისა, რომ გაუნაწილონ თავიანთ ქვეყანაში მცხოვრებ სხვა ხალხებს ცხოვრების ის პირობები, რომლებიც არსებობს ამ ქვეყანაში. **მი-**

რითადი ერები შეეცდებიან საერთოდ განდევნონ ისინი თავიანთი ქვეყნიდან, რადგან, წინააღმდეგ შემთხვევაში, ძალიან მალე ამ ხალხებს გაუჩნდებათ პრეტენზია, მიიღონ თავიანთი წილი ეროვნული სიმდიდრიდან. შეხედულება, რომლის თანახმად, მოცემული ქვეყნის მოქალაქეობა, ან უბრალოდ, ამ ქვეყანაში ცხოვრება აძლევს ადამიანს უფლებას ჰქონდეს ცხოვრების გარკვეული პირობები, დღითი-დღე ხდება საერთაშორისო დამაბულობის მიზეზი. და რადგანაც, ჩვენ ვხედავთ, რომ ამ პრინციპის, ამა თუ იმ ქვეყანის ცხოვრებაში გატარების ერთადერთი გამართლება მდგომარეობს იმაში, რომ ამ ქვეყნის ხელისუფლებას საკმარისი ძალა გააჩნია საამისოდ. ჩვენ არ გაგვიკვირდება ისიც, თუ კი იგივე პრინციპი, ასევე ძალის გამოყენებით გატარდება საერთაშორისო ასპარეზზეც. რამდენადაც ეროვნული სახელმწიფოს მასშტაბები, უმრავლესობას გააჩნია უფლებები უმცირესობის პრივილეგიების მიმართ, მე ვერ ვხედავ მიზეზს, თუ რატომ შეჩერდება ამ პრინციპის მოქმედება სახელმწიფოთა შორის არსებულ საზღვრებზე.36

ეს ხომ არ მიგვანიშნავს იმაზე, რომ დროთა განმავლობაში, ახალ საერთაშორისო კლასად ფორმირებად, პრეკარიატად წოდებულ, აფრიკისა თუ აზიის ქვეყნებიდან, მათ შორის საქართველოდან, ლუკმა-პურის საშოვნელად გადახვეწილ ემიგრანტებს განვითარებულ კაპიტალისტურ ქვეყნებში, - ოდესხანა დაარბევენ და გამორეკავენ იქიდან?

რეზიუმე. ფონ ჰაიეკი, ნაშრომში ყურადღებას ამახვილებს ადამიანთა შორის არსებულ უთანასწორობაზე, რის მიუხედავად თვლის, რომ ისინი უნდა იყვნენ თანაბარი მოპყრობის საგნები. თავისუფლებას მივეყვართ მატერიალურ უთანასწორობამდე. საზოგადოებისათვის განაწილების წინასწარ განსაზღვრული სტრუქტურების თავს მოხვევა, რა მიზანსაც არ უნდა ისახავდეს იგი, დაუშვებლად მიაჩნია. ქონებრივი განსხვავება მდიდრებსა და ღარიბებს შორის უნდა შემცირდეს მხოლოდ საერთო ქონებრივი ზრდის ხარჯზე. საზოგადოებრივი ელიტის ჩამოყალიბების საქმეში ოჯახს მიიჩნევს უარყოფით ფაქტორად, და არ სურს იგი აღიაროს ადამიანის ნაწილად. თვლის რომ საჭიროა ყველა უზრუნველყოფილი იყოს თანაბარი სასტარტო პირობებითა და

განვითარების პერსპექტივებით, რაშიც ხელშემშლელ მოვლენად მიაჩნია ოჯახი. ებრძვის უსამართლობაზე დაფუძვნიებულ შურს. აღიარებს ადამიანთა საქმიანობას და არა მათ დამსახურებას. მორალი მიაჩნია თავისუფალი საზოგადოების ანტიპოდად. ადამიანის პირადი მოტივაცია დაყენებული აქვს უმაღლეს დონეზე. რამდენადაც ღარიბებს უჩნდებათ მდიდართა ქონების გადანაწილების სურვილი, მომხრეა მათ მიმართ ტერორის.

ყველივე ეს ნათლად მოწმობს თუ რამდენად არა ჰუმანური მოძღვრებაა დემოკრატიის ანტიპოდი ლიბერალიზმი, რომლითაც სურდათ გასული საუკუნის 60-იან წლებში და შემდეგაც, მოეხიბლათ სოციალისტური ბანაკის ქვეყნები. აქ აშკარად შეინიშნება არისტოკრატი კაპიტალისტების ინტერესების დაცვა და უღარიბესი მოსახლეობის ინტერესების უგულვებელყოფა.

4. რობერტ ჰეარი, 1963 წ-ს გამოცემული წიგნიდან: “თავისუფლება და გონიერება“

ა) უტილიტარიზმი,... ყველაზე დიდი ხიფათი მაშინ არის მოსალოდნელი, როდესაც ადამიანები თავიანთი ეგოისტური მისწრაფებების დაკმაყოფილებიდან გადადიან მანკიერი იდეალების პროპაგანდაზე. ჩვენ ვერასოდეს გავიგებთ იმ მოვლენას, რომელსაც ფაშიზმი ჰქვია, ისევე, როგორც სხვა, მსგავს პოლიტიკურ მიმდინარეობებს, თუკი არ გავიაზრებთ, რომ ამ შემთხვევაში, სწორედ, აზრის ამგვარ დინამიკასთან გვაქვს საქმე. ექსტრემისტი და ფანატიკოსი ფაშისტი, ეს ის კაცია, რომელსაც არა მხოლოდ რაღაცის მოპოვება სურს თავისი პირადი კეთილდღეობისათვის, არამედ თვლის, რომ ის, რისი მოპოვებაც მას სურს, საყოველთაო უნდა იყოს, განურჩევლად იმისა, სურს თუ არა ეს სხვას, მისივე ჩათვლით, თუ კი მისი შეხედულებები შეიცვლება, ...

....ჩემი მიზანი უტილიტარისტული თეორიის შექმნა კი არ არის, არამედ ისეთი შეხების წერტილის მოძებნაა, რომელიც ერთმანეთთან დააკავშირებდა უტილიტარიზმის თეორიას და ჩემს მიერ შემოთავაზებულ მორალისტურ არგუმენტაციას. მე არ ძალმიძს, უტილიტარიზმის თეორიისათვის დამახასიათებელი შინაგანი სირთულეების გამო, მკაფიოდ და ზუსტად განვსაზღვრო,

თუ რა სახის უტილიტარისტულ თეორიას მივიღებთ, იმ შემთხვევაში, თუ კი ჩემს მეთოდს მივუსადაგებთ იმ სიტუაციებს, სადაც მრავალი ადამიანია ჩართული. მე მსურს მხოლოდ მივუთითო, რომ ჩემი აზრით, ნებისმიერი ამგვარი თეორიის ფორმალური საფუძველი მორალის ენის ლოგიკური ხასიათია. ჩვენი მოვალეობაა თანაბარი მნიშვნელობა მივანიჭოთ ყველა მხარის სურვილსა და მათ მისწრაფებებს (რაც არის დისტრიბუციული სამართლიანობის საფუძველი). ჩვენს მცდელობაშია ვიპოვოთ ქცევის ისეთი ნორმები, რომელიც მოცემულ სიტუაციაში გახდებოდა უნივერსალური, და თავის მხრივ, მიგვიყვანდა იმგვარ შეხედულებებამდე, რომელიც საჭირო იქნებოდა სურვილთა მაქსიმალური დაკმაყოფილებისათვის. რადგან, თუ კი ჩემს მოქმედებას გარკვეული უარყოფითი ეფექტი მოაქვს, გარკვეული რაოდენობის ადამიანთა ინტერესებისათვის და მე შევეკითხები ჩემს თავს, თუ ქცევის როგორი უნივერსალური ნორმები შეიძლება ამ სიტუაციაში დავუწესო ადამიანებს, რათა ამით პასუხი გავცე დასმულ კითხვას. მე უნდა წარმოვიდგინო ჩემი თავი მეორე მხარის მდგომარეობაში (ან, თუკი ბევრ მხარესთან მაქვს საქმე, მათი ტიპური წარმომადგენლის მდგომარეობაში) და დავუსვა ჩემს თავს იგივე კითხვები, რომლებიც, ჩვენი გავლენით, კრედიტორმა დაუსვა თავის თავს, როდესაც მან დებიტორის მდგომარეობაში წარმოიდგინა თავი. და ერთად-ერთი მნიშვნელოვანი კითხვა, რომელიც მე ამ გამოკვლევის პროცესში შეიძლება დამებადოს (როდესაც მე წარმოვიდგენ ჩემს თავს თითოეული ამ ადამიანის მდგომარეობაში) იქნება ის, თუ რა რაოდენობით მესაჭიროება მე, ესა თუ ის კონკრეტული საგანი, ან, რა უნდა გავაკეთო მე, ამა თუ იმ კონკრეტული მოვლენის თაავიდან ასცილებლად. მაგრამ, როდესაც დავივლი თითოეულ მხარეს და კვლავ ჩემს პიროვნებას დავუბრუნდები, რათა გავაკეთო მიუკერძოებელი მორალისტური დასკვნა და თანაბარი მნიშვნელობა მივანიჭო ყველა მხარის ინტერესებს, რა შემთხვევაშია გავაკეთო სხვა, გარდა იმისა, რომ ავირჩიო ის კურსი, რომელიც ყველაზე ნაკლებად ვნებს იმ სურვილებს, რომლებიც, ჩემს წარმოდგენებში, მექნებოდა, მათ ადგილზე? მაგრამ ამგვარი პოზიცია გულისხმობს სურვილების მაქსიმალურ დაკმაყოფილებას (რაც სრულიად მიზანშეწონილია, რომ მომავლშიც ასე გაგრძელდეს).

მართალია, ჩვენ ჯერ კიდევ გადაუწყვეტელი გვრჩება „მაქ-

სიმალიზაცია“, “გათანაბრების,, შეპირისპირების პრობლემა, რომელზედაც ზემოთ გვექონდა საუბარი, მაგრამ, ეს არ აყენებს ზიანს ეთუკური თეორიის ინტერესს იმ კავშირის მიმართ, რომელიც არსებობს, ერთის მხრივ, უნივერსალიზაციისა და მეორეს მხრივ, უტილიტარიზმის იდეებს შორის. ამით, შესაძლოა, ჩვენ მივიღეთ ორი ისეთი ეთიკური პოზიციის სინთეზთან, რომელიც, როგორც აქამდე ითვლებოდა, წინააღმდეგობაშია ერთმანეთთან. საუბარია, ერთის მხრივ, უტილიტარისტებისა და, მეორეს მხრივ, კანტის თეორიაზე, რომელიც, როგორც აქამდე ითვლებოდა, მკაცრად ეთიკურია და ანტიუტილიტარისტული. მე სხვაგან უკვე შევეცადე დამესაბუთებინა, რომ მცდარია ის აზრი, თითქოს არსებობს განსხვავება ეთიკურ და ტელეოლოგიურ თეორიებს შორის. შეუძლებელია, ერთმანეთისაგან განასხვავო მორალისტური მსჯელობა, რომელიც საქციელის შედეგებზეა დაფუძნებული და მსჯელობა, რომელიც დაფუძნებულია თვით საქციელის ხასიათზე. შესაძლებელია, მხოლოდ სხვადასხვა სახის წინასწარ განზრახული შედეგების ერთმანეთისაგან განცალკევება. თუ კი, რაც ახლა ვთქვი სიმართლეა, ალბათ, შესაძლებელი იქნება იმის დემონსტრირებაც, თუ როგორ შეიძლება უნივერსალიზაციის პრინციპის საშუალებით, კერძოდ კი მსჯელობის ჩვენს მიერ შემოთავაზებული წესით, სხვა აუცილებელი პირობების არსებობის შემთხვევაში, მორალის ისეთი სისტემის შექმნა, რომელსაც გაიზიარებდნენ, როგორც კანტი (ფორმას), ისე უტილიტარისტები (შინაარს). ...37

ბ). ტოტალიტარიზმი და ფანატიზმი,.... მორალი გამოდის არბიტრის როლში კონფლიქტურ ინტერესებს შორის. მორალური ცნობიერება მინიმუმ ნიშნავს, რომ მე ვუქვემდებარებ ჩემს საკუთარ ინტერესებს, როდესაც ისინი კონფლიქტში შედიან სხვა ადამიანების ინტერესების რომელიღაც პრინციპს, რომელიც ყველა სხვა ანალოგიურ სიტუაციაში იქნება ჩემი ქცევის წარმმართველი. მაგრამ ამით ყველაფერი არ თქმულა, უფრო ფართო მნიშვნელობით, **მორალი გულისხმობს გარკვეული იდეალებისათვის ზრუნვასა და ინტერესთა შერიგებას.** არსებობს ხშირი კონფლიქტები იდეალებს შორის, რომლებიც არ ექვემდებარება არგუმენტაციას და ამაში არაფერია საგანგაშო. სიტუაცია საგანგაშო ხდება მაშინ, როდესაც არავითარი არგუმენტები არ ჭრის იმ პიროვნების წინააღმდეგ, რომელიც, საკუთარი იდეალებისათვის

ზრუნვაში, ფეხქვეშ თელავს სხვა ადამიანების ინტერესებს, მათ შორის ისეთს, რომელიც ითვალისწინებს იდეალის არჩევანის თავისუფლებას. ამიტომაც ჩვენ მოვითხოვთ, რომ ასეთი არგუმენტაცია, რადაც არ უნდა დაჯდეს, მოძებნილ იქნას და, ამ მიზნით, სასარგებლო იქნებოდა, თუკი ჩვენ უფრო დეტალურად განვიხილავდით, თუ რა განსხვავებაა იდეალებსა და ინტერესებს შორის, აგრეთვე თუ რა კავშირში იმყოფებიან ისინი ერთმანეთთან.

...იქონიო ინტერესი ნიშნავს გქონდეს რაღაცის სურვილი, ან გქონდეს აუცილებელი, ან საკმარისი საშუალება მიაღწიო იმას, რაც გასურს,.... სურვილების დამახასიათებელი თვისება ის არის, რომ ისინი არ არიან უნივერსალურნი. რადგან, მიუხედავად იმისა, რომ ადვილი შესაძლებელია გქონდეს უნივერსალური სურვილი, სრულიად არ არის აუცილებელი, რომ იგი იყოს ასეთი. სურვილი ჰქონდეს რაღაცის, არ აიძულებს ამ სურვილის სუბიექტს ისურვოს, რომ სხვა ადამიანებსაც გაუჩნდეს იგივე სურვილი, იგივე ვითარებაში. ზომიერად ეგოისტურ ადამიანს შეუძლია ისურვოს ჰქონდეს საკმარისი საკვები, იმავ დროს, არ ჰქონდეს სურვილი, მსგავს ვითარებაში, სხვებსაც ჰქონდეთ იგი. ეს ნიშნავს, რომ ინტერესებიც, მსგავსად სურვილებისა, არ არიან უნივერსალურებანი. თუ კი, ერთ ადამიანს აქვს ინტერესი, რომ ჰქონდეს რაღაც, არ ნიშნავს აუცილებლად იმას, რომ მას შეიძლება ჰქონდეს ინტერესი, რომ იგივე ჰქონდეთ სხვებსაც...

... არც ესთეტიკურ შეხედულებებს და არც მორალისტურ იდეალებს არ ექნებოდათ ის მნიშვნელობა, რომელიც აქვთ ჩვენს მოქმედებასთან (აქტებთან) მიმართებაში, მათ რომ არ ჰქონოდათ იმპერატიული ხასიათი. ამდენად, ამ შემთხვევაშიც, ... იგივე შეიძლება ითქვას, არსებითად, „სურვილებთან“ დაკავშირებით, თუ კი ჩვენ ამ სიტყვას საკმაოდ ფართო მნიშვნელობით ვიხმართ. რადგან გვქონდეს ესთეტიკური შეხედულებები (ან პრიორიტეტები) ან რაიმე იდეალი, ნიშნავს, სულ მცირე, გქონდეს რაღაცა სურვილი. იდეალები და ესთეტიკური ხასიათის დასკვნები მთლად იგივე არ არის, რაც სურვილები, რადგან სურვილების შემთხვევაში ადვილი არ აქვს უნივერსალიზაციის მოთხოვნას, რასაც აქვს ადვილი, როგორც ესთეტიკური შეხედულებების, ისე იდეალების შემთხვევაში. მაგრამ, ეს ხელს არ უშლის იდეალებსა, თუ ესთეტიკურ შეხედულებებს გაიზიარონ, სურვილებთან

ერთად, საერთო თვისება, რასაც გარკვეული მოქმედების მიმართ განწყობა ეწოდება. ხოლო, თუ სიტყვა „სურვილს“ უფრო ფართო მნიშვნელობით ვიხმართ, ჩვენ შეგვიძლია განვაცხადოთ, რომ ნებისმიერი შეფასება, მხოლოდ იმიტომ, რომ მას აქვს იმპერატიული ხასიათი, თავის თავში, ყოველთვის, კონკრეტული და, არა სხვა, ნივთის ქონების, ან კონკრეტული, და არა სხვა, მოქმედების განხორციელების სურვილს შეიცავს. სიტყვა „სურვილი“, უფრო ფართო მნიშვნელობით, რომელსაც ჩვენ აქ ვხმარობთ, არის ისეთი გრემობა, რომელშიც ნებისმიერი გაცნობიერებული განწყობა საკუთარ სურვილთანაა გაიგივებული....

...მე შემიმჩნევია, თუ როგორი დამოკიდებულება გააჩნია ზოგიერთ ადამიანს სქესობრივი გადახრების მიმართ. ტიპიური ლიბერალი, ამ შემთხვევაში, ადვილი შესაძლებელია, იტყვის, რომ თუ ეს სქესობრივი გადახრები არ ვნებს რომელიმე სხვა ადამიანის ინტერესებს, კანონი არ უნდა უკრძალავდეს ასეთი გადახრების მქონე პირთ შესაბამისი აქტების განხორციელებას, თუმცა ეს ხელს არ უშლის ლიბერალს დაგმოს ასეთი აქტები. თუ კი ისინი ეწინააღმდეგება მის საკუთარ შეხედულებებს იდეალური ცხოვრების წესის შესახებ. კანონმა ისინი დანაშაულად არ უნდა გამოაცხადოს....

...ლიბერალები თავიანთ ძირითად იდეალად ტოლერანტობას ანუ შემწყნარებლობას აღიარებენ, რაც ნიშნავს ადამიანის მზადყოფნას იმდენადვე სცენ პატივი სხვა ადამიანების იდეალებს, რამდენადაც საკუთარს...

თუ ეს ეწინააღმდეგება კომუნის გაბატონებულ თვალსაზრის, მაშინ გამოდის, რომ ეწინააღმდეგება დემოკრატიას.

ლიბერალს სხვებისაგან ის განასხვავებს, რომ იგი იმდენად სცემს პატივს სხვათა იდეალებს, რამდენადაც-თავის საკუთარს. თუმცა ეს არ ნიშნავს იმას, რომ იგი მათ ეთანხმება. ლიბერალი, სიამოვნებით, მისცემს ნებისმიერ ადამიანს საშუალებას საკუთარი იდეალებისა და ინტერესების შესაბამისად იმოქმედოს, მხოლოდ იმ პირობით, რომ, ამით ისინი არ შელახავენ სხვათა უფლებას გააკეთონ იგივე. როდესაც მიაღწევს განვითარების ამ ეტაპს, იგი არბიტრის მსგავსად, აწონ-დაწონის ამ იდეალებსა და ინტერესებს და თითოეული ადამიანის იდეალსა თუ ინტერესს

თანაბარ მნიშვნელობას მიანიჭებს. იგი არავითარ შემთხვევაში, არ მიანიჭებს საკუთარ იდეალებსა თუ ინტერესებს პრიორიტეტს მხოლოდ იმიტომ, რომ ეს მისი იდეალები თუ ინტერესებია....

თუ ასეა, მაშინ რა განაპირობებს, რომ აშშ, როგორც ლიბერალურ ქვეყანა, ძალით რომ ახვევს სხვა ქვეყნებს ნეოლიბერალურ იდეოლოგიას?

...ლიბერალის იდეალში, თავისთავად, იგულისხმება, რომ საუკეთესო საზოგადოება, როგორც არ უნდა იყოს ის, ისეთი „საზოგადოებაა, სადაც ერთნაირად უწევენ ანგარიშს თითოეული მისი წევრის იდეალებსა და ინტერესებს. ასეთი საზოგადოება, კანტის გამოთქმა, რომ ვიზმართ, მიზანთა საუფლოა, სადაც უკლებლივ, ყველა ადამიანი, პოტენციურად მაინც, კანონშემოქმედს წარმოადგენს. რადგან მას, სწორედ ასეთი წარმოდგენა აქვს იდეალურ საზოგადოებაზე. ლიბერალი თავისთვის, ცალკე ინახავს თავის იდეალებს, საუკეთესო ადამიანებისა და საზოგადოების შესახებ. იგი თავად ცდილობს თავისი იდეალის განხორციელებას და თავადვე ზრუნავს იმისათვის, რათა ამ იდელმა, უფრო და უფრო, მეტი ადამიანის მხარდაჭერა მოიპოვოს. მაგრამ ამას იგი არ ააკეთებს იმ ადამიანებზე ძალდატანების გზით, რომლებიც არ იზიარებენ ამ იდეალს, მისი განხორციელებისათვის მას არ მოაქვს მსხვერპლად სხვათა იდეალები და ინტერესები. მას, შეუძლია, იფიქროს, რომ საზოგადოებებს შორის ის საზოგადოებაა საუკეთესო, სადაც ადამიანები, გამუდმებით, ადამიანის სრულყოფაზე ფიქრობენ, რაც გარკვეული ექსპერიმენტების შესაძლებლობას გულისხმობს ისევე, როგორც იმის საშუალებას, რომ სხვადასხვა ადამიანებს განსხვავებული წარმოდგენა ჰქონდეთ სრულყოფაზე. იგი სრულიადაც არ აცხადებს პრეტენზიას მისი საკუთარი იდეალის უნიკალობაზე, რომ, თითქოს, იგია ერთადერთი და საბოლოო იდეალი, არამედ თვლის, რომ იგი საუკეთესო ვარიანტია აქამდე აღმოჩენილ იდეალთა შორის.

საზოგადოებრივი ცხოვრების უკეთ მოწყობის მიზნით ექსპერიმენტების ძებნა სხვა არაფერია, თუ არა მისი ბუნებრივი განვითარების კანონზომიერებიდან გადახვევა, რის მატრიცასაც ბუნების მიერვე ჩამოყალიბებული ადამიანთა ოჯახის, ერის, დასახლებული პუნქტისა თუ სახელმწიფოთა ფუნქციე-

ბის სახით, რის განვითარებაა მხოლოდ საჭირო.

მას, შეუძლია, ისიც იფიქროს, რომ იდეათა მრავალფეროვნება, თავისთავად, უკვე დადებითი მოვლენაა-არა მხოლოდ იმიტომ, რომ ადამიანები განსხვავდებიან ერთმანეთისაგან და მათი წარმატებისაკენ მიმავალი გზებიც სხვადასხვაა, არამედ იმიტომაც, რომ, „ამით, ყველა საშუალებაა გამოყენებული სამყაროს შესაქმნელად“. თუ კი ლიბერალის იდეალი ამ საშუალებათა ერთ-ერთი ვარიანტია, იგი კი არ ღალატობს, არამედ მისდევს მას, რადგან შემწყნარებლურად უყურებს სხვა ადამიანების სწრაფვას თავიანთი საკუთარი იდეალებისაკენ, იმ პირობით, რომ, იქ, სადაც ერთი იდეალის განხორციელებას სხვათა ჩახშობა მოაქვს შედეგად, აუცილებელი ხდება თითოეული მათგანის დადებითი და უარყოფითი მხარეების სამართლიანი შეფასება, როგორც ეს ხდება ინტერესთა წინააღმდეგობების შეთხვევაში. მხოლოდ ეს უკანასკნელი პირობა უშლის ხელს ლიბერალს, ფანატიკოსსაც, მისცეს თავის თავს მოქმედების თავისუფლება. მაგრამ ლიბერალის იდეალი სრულიადაც არ მოითხოვს მისგან შემწყნარებლობას შეუწყნარებლობის მიმართ. შესაძლოა, მომდევნო მსჯელობამ, მაინც, მოჰფინოს ნათელი იმას, თუ რა ლოგიკური საფუძველი გააჩნია ლიბერალს ამ, ძლიერ საკამათო საკითხის მიმართ თავისი პოზიციის გასამართლებლად...38

* * *

რეზიუმე. *რობერტ ჰეარი, ხსენებულ სტატიაში ცდილობს გააიგივოს საზოგადოებაში რაიმე, ყოვლის მომცველი იდეისა თუ იდეოლოგიის დანერგვა ექსტრემიზმსა და ფაშიზმთან, რაც ჰგონია რომ საფუძვლად დაედება უტილიტარულ საზოგადოებას თუ სახელმწიფოს, რომ არ ჩამოყალიბდეს მსგავსი მიმდინარეობანი,- მზადაა საზოგადოებაში დაპირისპირებულ მხარეთა დასაახლოებლად, ურთიერთ დათმობის მიზნით გამოიყენოს მორალური არგუმენტები და თანაბარი მნიშვნელობა მიანიჭოს მათ სურვილებს. ასე ცდილობს „დისტრიბუციული სამართლიანობის“ საფუძველის შექმნას, რისთვისაც აუცილებლად მიაჩნია მოიძებნოს ასეთი პოლიტიკის გატარებისათვის უნივერსალური ნორმა, რასაც მივყევართ პრულარიზმამდე. კანტის თეორიას თვლის ანტიუტილიტალურ თეორიად.*

კონფლიქტურ ურთიერთობათა დარეგულირების საქმეში

მნიშვნელოვან როლს ანიჭებს მორალს, როგორც ქცევის არბიტრს. აცხადებს, მასზე დაფუძნებულად უნდა მოვიაზროთ პლურალიზმი, როგორც მხარეთა შერიგების მექანიზმი. მისი აზრით სურვილები შეიძლება იყოს მხოლოდ დროებითი. ეხება სქესობრივ გადახრებს და მიაჩნია, როგორც ლიბერალს, რომ იგი დანაშაულად არ უნდა იყოს ცნობილი. მისი აზრით ლიბერალი პატივს სცემს სხვათა იდეებს და არაფრად მიაჩნია, რაც უნდა გააკეთონ მათ. მთავარია, არ დაარღვიონ სხვათა უფლებები. იგი თვლის ისეთი საზოგადოებას უკეთესად, სადაც ყველას ერთნაირად მიაგებენ პატივს, მხედველობაში აქვს კანტის „სამოქალაქო საზოგადოება“, რაც მიზანთა საუფლოდ მიაჩნია. უკეთესი ცხოვრების შექმნის მიზნით აუცილებლად მიაჩნია მუდმივად ტარდებოდეს ექსპერიმენტები, რამეთუ თავისი იდეების უნიკალურობაზე არ აცხადებს პრეტენზიას, თუმცა მიაჩნია აქნობამდე არსებულ იდეათა შორის ყველაზე საუკეთესოდ, უშვებს მის მრავალფეროვნებას. საზოგადოების დაპირისპირებულ მხარეთა ურთიერთობის დარეგულირების საქმეში გადამწყვეტ მნიშვნელობას ანიჭებს სამართალს. თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ ჰაიეკმა ხსენებული შეხედულებები ჩამოაყალიბა 1963 წელს, მაშინ როდესაც საფუძველი ეყრებოდა ანტისოციალისტურ იდეოლოგია-ნეოლიბერალიზმს, ცხადი ხდება, რომ მის შემდგომ გამოჩენილმა ნეოლიბერალებმა საგრძნობლად განავითარეს მისი იდეები, რაც დასტურდება მომდევნო ავტორთა პუბლიკაციებით.

5.ჯონ როულსი, ჰარვარდის უნივერსიტეტის პროფესორი, 20-ე საუკუნის ყველაზე გამოჩენილი პოლიტიკური ფილოსოფოსი, (1921- 2002), 1982 წ-ს გამოცემული წიგნიდან: „სამართლიანობის თეორია“:

ძირითადი თავისუფლებები და მათი პრიორიტეტი, როგორც ჰ.ლ.ა. ჰარტმა თავის კრიტიკულ სტატიაში აღნიშნა, ჩემი კონცეფცია ძირითადი თავისუფლებებისა და მათი პრიორიტეტების შესახებ, სხვებთან ერთად შეიცავს ორ სერიოზულ ხარვეზს. ამ ლექციაში მე ზოგადად მივუთითებ, თუ როგორ უნდა იქნას შევსებული ეს ორი ხარვეზი. პირველი მათგანი ის არის, რომ არ

არის საკმარისად კარგად გაშუქებული, თუ რის საფუძველზე თანხმდებიან მხარეები საწყის პოზიციაში, ძირითადი თავისუფლების შესახებ და რის საფუძველზე აღიარებენ ამ თავისუფლებებს პრიორიტეტებად. ეს ხარვეზი მჭიდროდ არის დაკავშირებული მეორესთან, რომელიც იმაში მდგომარეობს, რომ როდესაც კონსტიტუციურ, საკანონმდებლო და სასამართლო ეტაპებზე სამოქმედოდ ვიყენებთ სამართლიანობის პრინციპს, **ჩვენ არ გვაჩნია რაიმე დამაკმაყოფილებელი კრიტერიუმი, თუ როგორ უნდა განვსაზღვროთ ან ვარეგულიროთ, მომავალში, ახალი სოციალური მოვლენების ფონზე, ერთმანეთის მიმართ, ძირითადი თავისუფლებები.** მე შევეცდები შევავსო ეს ნაპრალები იმ შესწორებების მეშვეობით, რომელიც ერთხელ უკვე, გამოვაქვეყნე ჩემს „დიუის ლექციებში“. მე ზოგადად ვაჩვენებ, თუ როგორ, შეიძლება ძირითადი თავისუფლებებისა და მათი პრიორიტეტის საფუძვლად, პირველადი სიკეთეების გაუმჯობესებულ კონცეფციასთან ერთად, ავიღოთ მოქალაქეების, როგორც თავისუფალი და თანასწორი ინდივიდების კონცეფცია. ამ შესწორებების თანახმად, ძირითადი თავისუფლებები და მათი პრიორიტეტები არა მხოლოდ რაციონალური ინტერესების მოთხოვნებზეა დაფუძნებული, როგორც ეს ჰარტს ჰგონია, არამედ, უპირველესი ყოვლისა, ისეთი პიროვნების კონცეფციაზე, რომელსაც ყველა ლიბერალად აღიარებს. ამის მიუხედავად, სამართლიანობის ცნების სტრუქტურა და შინაარსი, ძირითადად იგივე რჩება, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ერთ მნიშვნელოვან შესწორებას სამართლიანობის პირველ პრინციპში. თუმცა, მისი ორივე პრინციპი შეუცვლელი დარჩა ისევე, როგორც შეუცვლელი დარჩა პირველი პრინციპის პრიორიტეტი მეორესთან შედარებით.⁴⁵

1) სამართლიანობის თავდაპირველი მიზანი.

ზემოხსენებულ ხარვეზებზე მსჯელობამდე მინდა ჩამოვაცალიბო რამდენიმე პირობა, უპირველესი ყოვლისა, სამართლიანობის ორი პრინციპი, რომელიც ახლა ასე იკითხება:

პირველი პირობა:

1. ყველა ადამიანს აქვს თანაბარი უფლება, ჰქონდეს ძირითადი თავისუფლების საკმარისად სრული პაკეტი, რომელიც შეთავსებადია სხვების თავისუფლებების ასეთივე პაკეტთან.

2. სოციალური და ეკონომიკური უთანასწორობა უნდა აკმაყოფილებდეს ორ პირობას:

- ა) ის მისადაგებელი უნდა იქნას თანამდებობებისა და მდგომარეობისათვის, რომლებიც სრული თანასწორობის პირობებში ღია უნდა იყოს ყველასათვის;
- ბ) ის გამოყენებულ უნდა იქნას საზოგადოების ყველაზე უფრო სუსტი წევრების საკეთილდღეოდ.

მეორე პირობა:

ძირითადი თავისუფლებები, სამართლიანობის პირველი პრინციპის შესაბამისად შედგება: სინდისისა და აზროვნების თავისუფლება, პოლიტიკური თავისუფლებები და ასოციაციების (გაერთიანების) თავისუფლება; პიროვნების თავისუფლება და ხელშეუხებლობა, და ბოლოს, უფლებები და თავისუფლებები, რომლებიც გამომდინარეობენ სამართლებლივი სახელმწიფოს პრინციპებისაგან.

ამ დონეზე, არავითარი პრიორიტეტი არა აქვს მინიჭებული თავისუფლებას, რადგან უპირატესი ღირებულება არ გააჩნია იმ მოვლენის განხორციელებას, რასაც „თავისუფლება“ ჰქვია...

სამართლიანობის „თავდაპირველი მიზანი“ გვიჩვენებს, რომ სამართლიანობის მეორე პრინციპი გაცილებით მეტ საშუალებას იძლევა, გავიაზროთ თავისუფლებისა და თანასწორობის მოთხოვნები დემოკრატიულ საზოგადოებაში, ვიდრე თავდაპირველი.

ვინმემ შეიძლება იფიქროს, რომ ძირითადი თავისუფლებების, რაღაც სიების ფარგლებში მოქცევა ისეთი რამ არის, რომელსაც ყოველმხრივ უნდა ვერიდებოდეთ სამართლიანობის შესახებ ფილოსოფიური კონცეფციის შემუშავებისას. ჩვენ დიდი ხანია შევეჩვიეთ მორალისტურ დოქტრინებს, წარმოდგენილს ზოგადი განსაზღვრებებითა თუ ყოვლის მომცველი უპირველესი პრინციპებით. მაგრამ ადვილი შესამჩნევია, რომ სწორედ ეს „მიზანი“ გვიჩვენებს, რომ სამართლიანობის ორო პრინციპი გაცილებით უფრო მეტ საშუალებას იძლევა გავიაზროთ თავისუფლებისა და თანასწორობის მოთხოვნები დემოკრატიულ საზოგადოებაში, ვიდრე თავდაპირველი პრინციპები, რომლებიც გამომდინარეობენ უტილიტარიზმის, პერფექციონიზმისა, თუ ინტუიციონიზმის ტრადიციული თეორიებიდან. სწორედ ამ პრინციპებს ხმარობენ სამართლიანობის ორ პრინციპთან ერთად, როგორც

ალტერნატივას, საწყის პოზიციებში მყოფი მხარეები, როდესაც ისინი თავდაპირველ მიზანს განსაზღვრავენ.

მისი ეს უპირველესი ამოცანა მიმართულია არაერთგვაროვანი, სხვადასხვა პოლიტიკური ძალებისა თუ კლასების მქონე საზოგადოებაში უსამართლო ლიბერალური რეჟიმის პარლამენტარიზმის გზით გაფორმებისაკენ, რომლის დაცვაც სურს „სამართლიანი სახელმწიფოს“ მეშვეობით.

ძირითადი თავისუფლებების სია ორი გზით შეიძლება დადგინდეს. პირველი მათგანი ისტორიულია: დემოკრატიული სახელმწიფოების კონსტიტუციებზე დაყრდნობით, რომლებსაც გულდასმით შევისწავლით. ჩვენ შევადგენთ იმ ძირითად თავისუფლებების სიას, რომელსაც ჩვეულებრივ, იცავენ ხოლმე მოქალაქეები და, რომლის წყალობითაც ხდება შესაძლებელი ამ კონსტიტუციების ნორმალური მუშაობა. ამგვარ ინფორმაციას, რომელიც ხელმისაწვდომია ჩვენთვის, ანუ თქვენთვის და ჩვენთვის, ვინც ვადგენთ სამართლიანობას, მოკლებულნი არიან საწყის პოზიციაში მყოფი მხარეები. ამდენად, ამ ისტორიულმა გამოცდილებამ, შეიძლება დიდი გავლენა იქონიოს სამართლიანობის პრინციპების შინაარსზე, რომელსაც მხარეებს, ალტერნატივის სახით ვაწვდით. მეორე გზაა დავადგინოთ, თუ კერძოდ, რომელი თავისუფლებები წარმოადგენს აუცილებლად სოციალურ პირობას ზნეობრივი პიროვნების განვითარებისა და მისი ორი ძირითადი თვისებების, სრული მასშტაბით განხორციელებისათვის. ამით, ჩვენ ერთმანეთთან ვაკავშირებთ ძირითადი თავისუფლებებისა და პიროვნების კონცეპციებს, გააზრებულს სამართლიანობის კონტექსტში. ამ მეტად მნიშვნელოვან საკითხს კიდევ დავუბრუნდებით 3-6 პარაგრაფში.

ახლა, მოდით დავუშვათ, რომ ჩვენ უკვე დავადგინეთ ძირითად თავისუფლებების სია, რითაც მივალწიეთ სამართლიანობის თავდაპირველ მიზანს. ამ სიას ჩვენ განვიხილავთ, როგორც საწყის წერტილს, სიის მეორე, უფრო გაუმჯობესებული ვარიანტის შექმნისათვის, რომელსაც სამართლიანობის ორ პრინციპთან ერთობლიობაში, საწყის პოზიციაში მყოფი მხარეები უფრო დაეთანხმებოდნენ, ვიდრე პირველ ორ ვარიანტს, იმავე ორ პრინციპთან ერთად. ეს პროცესი უსასრულოდ შეიძლება გაგრძელდეს,

მაგრამ ფილოსოფიური რეფლექსიის დისკრიმინაციული ძალა, საწყის პოზიციის დონეზე, შეიძლება კიდევაც ამოიწუროს. როდესაც ეს მოხდება, ჩვენ უნდა შევთანხმდეთ სიის საბოლოოდ შერჩეულ ვარიანტზე და, შემდეგ, დავამუშაოთ იგი კონსტიტუციურ, საკანონმდებლო და სასამართლო დონეზე, როდესაც ცნობილი გახდება სოციალური მოვლენების შინაარსი და სოციალურ ინსტიტუტებზეც შეგვექმნება წარმოდგენა..

აქ საყურადღებო ის გარემოება, რომ სახელმწიფოებრივი აღმშენებლობის საქმეში, ლიბერალი ლოურსი, ისე როგორც ბევრი სხვა მისი კოლეგა, თავდაპირველ ქვაკუთხედად, ანუ უფლების წყაროდ, მიიჩნევს არა საზოგადოების, როგორც ერთიანი სამართალ სუბიექტის, ანდა კომუნის, ძირითად, თუ მიღწეულ უფლებებს, რომელიც საგულისხმოა საპარლამენტო გზით საჭიროებს გაფორმებას, და რომლის შემდეგაც უნდა განისაზღვროს საზოგადოების სტრუქტურული ერთეულებისა და მის მაცხოვრებელ ადამიანთა ძირითადი უფლებები და თავისუფლებები, არამედ მის წევრთა, ანუ ადამიანების, ჯერ კიდევ გაუფორმებელ, მაგრამ მოთხოვნილ უფლებებს, და ცდილობს მასზე ააგოს მთელ საკანონმდებლო ვერტიკალი, რაც არასწორია, რამეთუ ამით ირღვევა უფლების „ზემოდან-ქვემოთ“ გადანაწილების პრინციპი, რაც ბუნებრივია.

კამათი თავისუფლების პრიორიტეტის ირგვლივ, ისევე, როგორც საერთოდ, ნებისმიერი კამათი, რომელსაც აქვს ადგილი საწყის პოზიციაში, მუდამ არის დამოკიდებული ალტერნატივთა მთელ რიგთან, რომელთაგან მხარეებმა არჩევანი უნდა გააკეთონ. ამ ალტერნატივებს შორის ერთ-ერთი - სამართლიანობის ორი პრინციპი -შემადგენელ ნაწილად შეიცავს ძირითად თავისუფლებებსა და მათ პრიორიტეტებს. ...იმისათვის, რომ თავისუფლების პრიორიტეტი დავაწესოთ, სრულიადაც არ არის საჭირო იმის დემონსტრირება, თუ როგორ კმაყოფილდება პიროვნების კონცეფცია, შეერთებული საწყისი პოზიციის ყველა სხვა ასპექტთან, თავისუფლებათა დამაკმაყოფილებელი სიითა და სამართლიანობის პრინციპით, რომელიც მას პრიორიტეტს

ანიჭებს. არც იმისი ჩვენებაა საჭირო, თუ როგორ ვარჩევთ სამართლიანობის პრინციპებს, სხვადასხვა ალტერნატივებს შორის, რაც უხვადაც არ უნდა იყოს ისინი შევსებული სხვა დამატებითი პრინციპებით. მე აქ მხოლოდ სამართლიანობის თავდაპირველი მიზანი მაინტერესებს, რომელიც, როგორც ზემოთ ავღნიშნეთ, მხოლოდ იმას ადასტურებს, რომ სამართლიანობის პრინციპი სხვა ალტერნატიულ პრინციპებთან კონკურენციაში უნდა იყოს შერჩეული. თუ კი ჩვენ მოვახერხებთ ამას, მაშინ შევძლებთ წინ წაგწიოთ საკითხი შემდგომი დამუშავების გზაზე.⁴⁶

2).ძირითადი თავისუფლების განსაკუთრებული სტატუსი... მე დავიწყებ იმით, რომ ძირითადი თავისუფლებებისა და მათი პრიორიტეტის რამდენიმე დამახასიათებელ თვისებაზე მივუთითო. უპირველესი ყოვლისა, ცნება თავისუფლების პრიორიტეტი, გულისხმობს, რომ სამართლიანობის პირველი პრინციპი სიით წარმოდგენილ ძირითად თავისუფლებებს განსაკუთრებულ სტატუსს ანიჭებს.

აქ კვლავ ყურადღებას გავამახვილებდი იმაზე, რომ ადამიანის „თავისუფლებაში“ უნდა ვიგულისხმოთ დემოკრატიის საფუძველზე დადგენილი კომუნის საერთო კომპეტენციიდან მის წევრზე გადაცემული, თუ დელეგირილებული, მის წილად ცნობილი უფლება და მისი „თავისუფლების“ ჩარჩოვ ამ გადაცემული უფლებიდან უნდა ამოდიოდეს, და სწორედ იგი უნდა ქმნიდეს მის ხელშეუვალობის არიალს. ამ პრინციპს უარყოფით იკარგება დემოკრატია.

მათ აბსოლიტური წონა გააჩნიათ საზოგადოებრივ სიკეთესა და პრეფექციონისტულ ღირებულებებთან მიმართებაში. მაგალითად, არ შეიძლება უარი ვუთხრათ გარკვეულ სოციალურ ჯგუფებს თანაბარ პოლიტიკურ უფლებებზე მხოლოდ იმ მიზეზით, რომ ეს უფლებები საშუალებას მისცემდა მათ წინააღმდეგობა გაეწიათ ეკონომიკური ეფექტიანობისა და ზრდის პოლიტიკისათვის.

თუ კი „ეკონომიკური ეფექტიანობისა და პოლიტიკური ზრდის წინაარმდეგ უნდა გამოვიდეს“ ოპოზიციური ჯგუფი, რაც სავარაუდოდ დაფიქსირებული ექნებათ სამოქმედო პროგრამებში, მით უფრო არ

უნდა მიეცეთ მათ საამისოდ პოლიტიკური უფლებები. თუმცა, ამგვარი, თუ სხვა უფლებების გადაცემა გარკვეულ პოლიტიკურ მიზნების მქონე ჯგუფებისათვის უნდა ხორციელდებოდეს კომუნის უმაღლესი ორგანოს მიერ, რაც შესაბამისი პროცედურების გარეშე დაუშვებელი იქნებოდა.

ასევე არავითარი გამართლება არ აქვს შერჩევითი სამხედრო გაწვევის პრინციპს /ომის დროს/ იმ მიზეზით, რომ ამ წესით ჯარის შეკრების საზოგადოებისათვის ყველაზე ნაკლები ზიანი მოაქვს. ძირითადი თავისუფლებების მოთხოვნები არ შეიძლება ასეთი შეხედულებებით იქნეს გადაწონილი. რადგან სხვადასხვა ძირითადი თავისუფლებები, აუცილებლად, შედიან ერთმანეთთან კონფლიქტში, საჭიროა მათი განსაზღვრული ინსტიტუციონალური წესების იმგვარად დარეგულირება, რომ ისინი შეესაბამებოდნენ თავისუფლებების ერთიან პაკეტს. თავისუფლების პრიორიტეტი გულისხმობს, რომ პრაქტიკაში, თავისუფლებათაგან რომელიმე შეიძლება შეზღუდულ, ან შეჩერებულ იქნას, მხოლოდ და მხოლოდ სხვა ერთი ან მეტი, ძირითადი თავისუფლების გულისათვის და არამც და არამც საზოგადოებრივი სიკეთისა და პრეფექციონისტული ღირებულებების გულისათვის.

აქ, ცალკეული თუ ზოგადად, ადამიანის უფლების, რომელიც კომუნის საერთო საზოგადოებრივი სუვერენული უფლების ნაწილი უნდა იყოს, მთლიანი საზოგადოების /კომუნის/ საერთო უფლებაზე მაღლა დაყენება, - ალოგიკურია და შეიძლება მსგავსი მიდგომა ემსახურებოდეს მხოლოდ კომუნის დისკრედიტაციას. მაშინ, როდესაც კომუნის გარეშე შეუძლებელია ადამიანის, ადამიანად მიჩნევა, რამეთუ არასოციალური ხდება. ნეოლიბერალები ადამიანის უფლებას, კომუნის უფლებაზე მაღლა აყენებენ, რაც გამოწვეულია იმ მიზნით, რომ უარყოფილი იქნას კომუნის როლი ინდივიდის ჩამოყალიბება- განვითარების საქმეში.

ძირითადი თავისუფლებები, შესაძლებელია, შეზღუდული იქნას ერთმანეთთან დაპირისპირების შემთხვევაში, ამ თავისუფლებათაგან არც ერთი არ წარმოადგენს აფსოლიტურ

განზომილებას. არც ის არის სიმართლე, რომ საზოგადოდ განსაზღვრული პაკეტის არსებობის შემთხვევაში, ყველა ძირითადი თავისუფლება თანაბრად ნაწილდება (რაც არ უნდა ვიგულისხმოთ ამ სიტყვებში). სიმართლე კი ის არის, რომ მიუხედავად იმისა, რომ ეს თავისუფლებები რეგულირდება, რათა ყველა ერთიან პაკეტში მოექცეს, თვით ეს პაკეტი თანაბრად არის გარანტირებული უკლებლივ ყველა მოქალაქისათვის.

. . . მე ყოველთვის ვგულისხმობ, თუმცა, ყოველთვის არ ავღნიშნავ, რომ ძირითადი თავისუფლებების სიითი შემადგენლობა მუდამ პრიორიტეტულია, რაც ხშირად, დასაბუთებას არ საჭიროებს.

და ბოლოს, კიდევ ერთი რამ, რაც უნდა ითქვას თავისუფლების პრიორიტეტის შესახებ, ის არის, რომ ეს პრიორიტეტი ყოველგვარ ვითარებაში არ არის სავალდებულო. თუმცა, ჩვენივე მიზნებისათვის, მე ვუშვებ, რომ იგი სრულიად აუცილებელია ისეთ ვითარებაში, რომელსაც მე „რაციონალურად ხელსაყრელ პირობებს“ ვუწოდებ, რაც ისეთ სოციალურ პირობებს ნიშნავს, რომელთა არსებობის შემთხვევაშიც, შესაძლებელი ხდება, თუ კი არსებობს პოლიტიკური ნება, ამ თავისუფლებათა დაკანონება და მათი ეფექტიანი და სრულმამტაბიანი განხორციელება. ამ პირობებს საზოგადოების კულტურა, მისი ტრადიციები, მმართველი ინსტიტუტების უნარიანობა, სახელმწიფოს ეკონომიკური ზრდის ტემპი და ეჭვი არ არის, სხვა ფაქტორებიც განსაზღვრავს. . .

...ახლა შევაჯამებ ძირითად თავისუფლებათა პაკეტის ცალკეულ თვისებებს. მე ვუშვებ, რომ ამ თავისუფლებათაგან თითოეულს გააჩნია ის, რასაც მე „**მოქმედების ცენტრალურ არიალი**“ ვუწოდებ. ამ არეალის ინსტიტუციონალური წესით დაცვა აუცილებელი პირობაა მოქალაქეთა, როგორც თანასწორ პიროვნებათა, ორი მორალური თვისების, სრული მასშტაბით, განხორციელებისა და განვითარებისათვის. მეორე, ძირითადი თავისუფლებები, შესაძლებელია, ურთიერთ შეთავსებადნი გახდნენ, თუნდაც, მოქმედების ცენტრალური არეალში. სხვაგვარად რომ ვთქვათ, რაციონალურად ხელსაყრელ პირობებში, არსებობს თავისუფლებათა პრაქტიკული პაკეტი, რომლის დაკანონების შემთხვევაში, დაცული იქნება თითოეული ტიპის თავისუფლების მოქმედების ცენტრალური არეალი. მაგრამ თვით ის ფაქტი, რომ ასეთი

პაკეტი არსებობს, არ გამომდინარეობს, მხოლოდ და მხოლოდ, ისეთი პიროვნების კონცეფციიდან, რომელსაც ორი მორალური თვისება გააჩნია. და არც, მხოლოდ და მხოლოდ, იმ ფაქტისაგან, რომ ამ ძალაუფლების განხორციელებისა და სრულყოფისათვის გარკვეული სახის თავისუფლებებისა და სხვა პირველადი სიკეთების არსებობაა აუცილებელი....

....ძირითად თავისუფლებათა პაკეტის დეტალური დამუშავება საწყის პოზიციაში მყოფი ადამიანებისათვის შეუძლებელია. სრულად საკმარისია, ამ შემთხვევაში, ძირითად თავისუფლებათა ზოგადი ფორმისა და შინაარსის მოხაზვა და მათი პრიორიტეტის განსაზღვრა. **თავისუფლებათა შემდგომი დაკონკრეტება უკვე კონსტიტუციურ, საკანონმდებლო და სასამართლო ეტაპებზე ხდება.**

რა გამოდის, „თავისუფლება,“ რომელიც სამართლებრივი კატეგორიაა, და თავის საწყის კომუნის გადაწყვეტილებიდან უნდა იღებდეს, ჰაერიდან „მოტანილად“ გვევლინება, და სურთ საფუძვლად დაუდონ მთელი კომუნის კანონშემოქმედებას, რაც პირუკუ პროცესია.

მაგრამ, ამ ფორმისა და შინაარსის ზოგადი მონახაზების შედგენისას, არ უნდა დაგვავიწყდეს, მიუვითითოთ, თუ როგორი განსაკუთრებული როლი აკისრიათ ძირითად თავისუფლებებს, თუ როგორია მათი მოქმედების ცენტრალური არიალი. ყოველივე ეს სრულიად მკაფიოდ უნდა იყოს განსაზღვრული, რათა მომდევნო ეტაპებზე უფრო იოლი გახდეს მათი შემდგომი კონკრეტიზაციის პროცესი. ... 47

3) პიროვნების კონცეფცია და საზოგადოებრივი თანამშრომლობა. ახლა მე მსურს განვიხილო თავისუფლების პირველი ხარვეზი ჩემს კონცეფციაში. გავიხსენოთ, რომ ეს ხარვეზი დაკავშირებულია იმ საფუძველთან, რომელსაც ეყრდნობა მხარეები საწყის პოზიციაში, როდესაც აღიარებენ სამართლიანობის პირველ პრინციპს და თანხმდებიან ძირითადი თავისუფლებების პრიორიტეტულობის შესახებ, რაც გამოიხატება პირველი პრინციპისათვის, მეორესთან შედარებით, უპირატესობის მინიჭებაში. ამ ხარვეზების შესავსებად მე მსურს შემოვიტანო პიროვნების გარკვეული კონცეფცია, კომბინირებული საზოგა-

დოებრივი თანამშრომლობის იდეასთან. პირველ რიგში, მოდით, განვიხილოთ პიროვნების კონცეფცია: არსებობს ჩვენი ბუნების ბევრი განსხვავებული ასპექტი, რომელიც, ჩვენი მიზნებისა და შეხედულებებიდან გამომდინარე, შეიძლება გამოიყოს, როგორც განსაკუთრებული მნიშვნელობის მქონენი. ამ ფაქტს ისეთი გამოთქმები ადასტურებს, როგორიცაა HOMO POLITICUS, HOMO ECONOMICUS და HOMO FABER. სამართლიანობის თეორიაში ჩვენი მიზანია ჩამოვყალიბოთ პოლიტიკური და სოციალური სამართლიანობის ისეთი კონცეფცია, რომელიც სრულ შესაბამისობაში იქნება თანამედროვე დემოკრატიულ სახელმწიფოში ყველაზე ღრმად გამჯდარ რწმენებთან და ტრადიციებთან. ამგვარი მოქმედების აზრი ის არის, რომ შევამოწმოთ, თუ რამდენად შესაძლებელია გამოვიდეთ თანამედროვე პოლიტიკური ისტორიის ჩიხიდან, კერძოდ, სიტუაციიდან, როდესაც არ არსებობს შეთანხმება იმის შესახებ, თუ როგორ უნდა მოეწყოს ძირითადი სოციალური ინსტიტუტები იმისათვის, რომ უზრუნველყოფილი იქნას ადამიანთა თავისუფლება და თანასწორობა.

„შეთანხმება,“-ვისთან? ძირითადი ინსტიტუტების მოწყობა კი კომუნის ნების გამომხატველი, მისი უმაღლესი ორგანოს პრეროგატივაა. და კიდევ ერთი, -ამ-ში ხომ დიდი ხანია მოწყობილი აქვთ სოციალური ინსტიტუტები და თანაც ძალიან კარგად, საკითხავია, ვისთვის ცდილობენ ამ ლიბერალური თეორიის შექმნას? თუ არა კოლონიებად დაგულებულ ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებისათვის, და არამართლ..

აქედან გამომდინარე, დასაწყისში, პიროვნების კონცეფცია განიხილება, როგორც პოლიტიკური და სოციალური სამართლიანობის კონცეფციის შემადგენელი ნაწილი. ეს კონცეფცია, არავითარ შემთხვევაში, არ უნდა იყოს არეული პიროვნების ცხოვრებისეულ იდეალებთან. ეს იდეალი გაცილებით უფრო ნაკლები მნიშვნელობის მორალური იდეალია, ისეთი, როგორიცაა, მაგალითად, ბრძენის სტოიკური იდეალი.

კავშირი საზოგადოებრივი თანამშრომლობისა და პიროვნების კონცეფციებს შორის, რის შემოღებასაც ვაპირებ, შემდეგნაირად შეიძლება აიხსნას: საზოგადოებრივი თანამშრომლობის იდეა, უბრალოდ, კოორდინირებული საზოგადოებრივი საქმიანობა არ

არის, რომელსაც გარკვეული სოციალური მიზნების გულისთვის, ეფექტურად მართავენ საზოგადოებაში აღიარებული წესები. საზოგადოებრივი თანამშრომლობა, ყოველთვის ორმხრივ სარგებელს ისახავს მიზნად, რაც იმას ნიშნავს, რომ იგი ორ ელემენტს შეიცავს. პირველი, ეს არის თანამშრომლობის სამართლიანი პირობები, რომელსაც, მოსალოდნელია, რომ თითოეული მონაწილე გაიზიარებს, თუ კი მას ეცოდინება, რომ მათ ყველა იზიარებს. თანამშრომლობის სამართლიანი პირობები ორმხრივობის იდეას გულისხმობს: თითოეული მონაწილე თანაბრად უნდა სარგებლობდეს ასეთი თანამშრომლობით და თანაბრადვე იზიარებდეს მის ტვირთს, რომლის შეფასება გარკვეული, სოციალურად მისაღები კრიტერიუმების საშუალებით უნდა ხდებოდეს. სოციალური თანამშრომლობის ამ ელემენტს, მე „გონივრულს“ ვუწოდებ, ხოლო, მეორე ელემენტს კი, „რაციონალურს“. იგი კავშირშია თითოეული მონაწილის რაციონალურ სარგებელთან, რის მოპოვებასაც ცდილობენ მონაწილეები, როგორც ინდივიდები. თუკი თანამშრომლობის სამართლიან პირობებს მონაწილეები იზიარებენ, საზოგადოდ, განსხვავებული შეხედულებები აქვთ საკუთარი რაციონალური სარგებლის შესახებ. საზოგადოებრივი თანამშრომლობის იდეა, სწორედ პიროვნებათა მხრიდან სამართლიანი პირობების მიმართ თანხმობაზეა დაფუძნებული.

თანამშრომლობის სამართლიანი პირობების ცნება თვით თანამშრომლობის ბუნებაზეა დამოკიდებული. სოციალურ კონტექსტზე, რომლის ფონზეც ვითარდება ამგვარი ურთიერთობები, მონაწილეთა მიზნებსა და სურვილებზე, იმაზე, თუ როგორ არიან ისინი განწყობილნი საკუთარი თავისა და ერთმანეთის, როგორც პიროვნებების მიმართ და აშ. საზოგადოებრივი თანამშრომლობისათვის არ აქვს მნიშვნელობა, თუ როგორი ურთიერთობებია პარტნიორულ კომპანიებსა და ასოციაციებში, პატარა-პატარა ჯგუფებსა თუ გუნდებში. რადგან, ამ შემთხვევაში, ჩვენ საქმე გვაქვს საზოგადოების ძირეულ სტრუქტურებთან, როგორც მთლიან, თანამშრომლობის ფორმასთან. ეს სტრუქტურა შეიცავს ძირითად სოციალურ ინსტიტუტებს- კონსტიტუციას, ეკონომიკურ სისტემას, სამართლებრივ წესრიგს, საკუთრების ფორმებს და აშ. მასზეა დამოკიდებული, თუ რამდენად შეწყობილნი არიან ერთმანეთთან ეს ინსტიტუტები და, რამდენად ქმნიან ისინი ერთიან სისტემას. რაც განსაკუთრებით ახასიათებს ამ ძირეულ

სტრუქტურას, არის ის, რომ იგი საფუძველს უყრის თანამშრომლობის თავისებურ, სხვებისაგან განსხვავებულ სტრუქტურებს, ადამიანის ცხოვრების ყველა ძირითად მიზნისკენ მიმავალ გზაზე, რომლებსაც ესწრებიან. ამ სტრუქტურის ფარგლებში, სხვადასხვა ჯგუფები თუ ასოციაციები, რადგან მე მგონია, რომ ასეთი საზოგადოება „აუცილებლად, დახურული ტიპის უნდა იყოს. უნდა ვაღიაროთ, რომ, დაბადებისა და სიკვდილის გარდა, ამ საზოგადოებაში სხვა შესასვლელი ან გამოსასვლელი არ უნდა არსებობდეს. ამგვარად, ისე ხდება, რომ საზოგადოებაში დაბადებული ადამიანები, თვით დაბადების ფაქტიდან გამომდინარე, ეზიარებიან თანამშრომლობის განსაკუთრებულ სტრუქტურას. ასეთ ადამიანებს ჩვენ სრულიად ნორმალურ და სოციალური თანამშრომლობისათვის მზადმყოფ ადამიანებად მივიჩნევთ. აქედან გამომდინარეობს, რომ მაშინ, როდესაც საზოგადოებრივი თანამშრომლობა, შეიძლება, იყოს ნებაყოფილობითი და ჰარმონიული, იგი არ არის ნებაყოფილობითი იმ მნიშვნელობით, რომ როდესაც ჩვენ ვუერთდებით საზოგადოების წიაღში სხვადასხვა ჯგუფებსა თუ ასოციაციებს და ვხდებით მათი წევრი, ჩვენი მოქმედება ნებაყოფილებითია. საზოგადოებრივ თანამშრომლობას არა აქვს სხვა ალტერნატივა, გარდა იძულებითი მორჩილები-სა, წინააღმდეგობისა და სამოქალაქო ომისა.

როგორც ჩანს ავტორი გულისხმობს თანამედროვე სამოქალაქო საზოგადოებას, თუმცა რა ომზეა ლაპარაკი, გაურკვეველია.

ჩვენი განხილვის საგანია, მაშასადამე, ის ადამიანები, რომლებსაც აქვთ უნარი იყვნენ საზოგადოების ნორმალური, თანამშრომლობის სურვილით აღჭურვილი წევრები. აღნიშნული უნარი, ფუნდამენტალურ თვისებად არის მიჩნეული, რადგან საზოგადოების ძირეული სტრუქტურა სამართლიანობის უპირველეს პირობას წარმოადგენს. საზოგადოებრივი თანამშრომლობის სამართლიანი პირობები, ამ შემთხვევაში, სამართლიანობის პოლიტიკურ და სოციალურ შინაარსს განსაზღვრავს. მათ მორალური პიროვნების ორი ძირითადი თვისება უნდა მივანიჭოთ. ეს თვისებებია: **სამართლიანობის გრძნობა** (უნარი პატივი სცე თანამშრომლობის სამართლიან პირობებსა და ამდენად იყო გონიერი ადამიანი) და უნარი გაარჩიო ავი და კარგი (ანუ იყო რაციონა-

ლური ადამიანი). უფრო ღრმად თუ ჩაუწვდებით საკითხის არსს, სამართლიანობის გრძნობა ნიშნავს გქონდეს უნარი გაიზიარო და გამოიყენო სამართლიანობის პრინციპები, როგორც თანამშრომლობის სამართლიანი პირობები და იმოქმედო მათგან გამომდინარე (და არა უბრალოდ მათ შესაბამისად). უნარი გაარჩიო ავი და კარგი ნიშნავს იქონიო გარკვეული შეხედულებები იმის შესახებ, რასაც სიცოცხლის აზრი ჰქვია. ეს არის უნარი, საჭიროებისამებრ, გადასინჯო ეს შეხედულებები და იცხოვრო მათ შესაბამისად. ჩვეულებრივ, ეს შეხედულებები განსაზღვრულ სქემებს შეიცავს საბოლოო მიზნებისა და მისწრაფებების შესახებ, რაც გარკვეული ადამიანებისა თუ სოციალური ჯგუფების, როგორც სიმპათიის ობიექტების, გულშემატკივრობაში გამოიხატება. აქვე იგულისხმება ჩვენი შეხედულებები, რელიგიური, ფილოსოფიური ან ზნეობრივი, სამყაროს შესახებ, რომელთა მეშვეობითაც ხდება ამ ჩვენი მიზნებისა და სიმპათიების გააზრება.

შემდეგი ნაბიჯი იქნება, რომ პიროვნების ორი მორალური თვისება აუცილებელ და საკმარის პირობად მივიჩნიოთ იმისათვის, რომ ეს პიროვნება, პოლიტიკური სამართლიანობის საკითხებში, საზოგადოების სრულფასოვან და თანასწორ წევრად ჩავთვალოთ. თანასწორ მოქალაქეებად კი ისინი მიიჩნევიან, ვისაც უშუალოდ საზოგადოებრივ თანამშრომლობაში მონაწილეობის მიღება და ვინც მზად არის პატივი სცეს თანამშრომლობის სამართლიან პირობებს. იმ შემთხვევაში ჩვენ ვუშვებთ, რომ მორალური თვისებების რეალიზაცია აუცილებელი მინიმუმის დონეზე ხდება და ნებისმიერ დროს არის შესაძლებელი მათი შეწყვილება გარკვეულ შეხედულებებთან სიკეთის შესახებ. ამგვარი აზრის დაშვების შემდეგ, განსხვავებები პიროვნების ბუნებრივ ნიჭსა და შესაძლებლობებში უკვე დაქვემდებარებულ მდგომარეობაში გადადის: ისინი, უკვე აღარ ახდენს გავლენას ადამიანების, როგორც თანასწორი მოქალაქეების, სტატუსზე და რელევანტური მხოლოდ მაშინ ხდება, როდესაც ჩვენ გარკვეულ თანამდებობასა თუ მდგომარეობას ვესწრაფით ან ვართ, ან გვსურს ვიყოთ, საზოგადოების წიაღში, გარკვეული გაერთიანების წევრები. ამდენად, პოლიტიკური სამართლიანობა პირდაპირ კავშირშია ძირეულ სტრუქტურასთან, როგორც ყოვლის მომცველ ინსტიტუციონალურ სისტემასთან, რომლის ფარგლებშიც ვითარდება ადამიანის ნიჭი და შესაძლებლობანი, და ყალიბდება სხვადასხვა სოციალუ-

რი ჯგუფები თუ გაერთიანებები.

აქამდე მე არაფერი მითქვამს თანამშრომლობის სამართლიანი პირობების შინაარსისა ან ძირითადი თავისუფლებებისა და მათი პრიორიტეტის შესახებ, რაც ყველაზე მეტად გვინტერესებს. იმისათვის, რომ ამ საკითხთან უფრო ახლოს მივიდეთ. მოდით შევაჯამოთ იგი ასეთი ფორმულის სახით: საზოგადოებრივი თანამშრომლობის სამართლიანი პირობები ისეთი პირობებია, რომელზე დაყრდნობითაც ვაპირებთ ჩვენ, -თანასწორ პირობებში -საზოგადოების თითოეულ წევრთან თანამშრომლობას, სრული ურთიერთნდობის პრინციპების საფუძველზე. და აქვე დავუმატებთ: თანამშრომლობას ურთიერთ პატივისცემის საფუძველზე. ამ წინადადების დამატებით ცხადი ხდება, რომ თანამშრომლობის სამართლიანი პირობები, შესაძლებელია, აღიარებულ იქნას ყველას მიერ ყოველგვარი შუღლისა თუ დამცირების გარეშე (ან ამ შემთხვევაში სუფთა სინდისით), თუ კი მოქალაქეები ერთმანეთს განიხილავენ, როგორც პიროვნებებს, რომლებსაც საკმარის დონეზე გააჩნიათ ორი ძირითადი მორალური თვისება, რაც ადამიანთა შორის თანასწორობის საფუძველს ქმნის. ამ ფონზე ძირითადი თავისუფლებებისა და მათი პრიორიტეტის პრობლემა წარმოგვიდგება, როგორც ურთიერთ პატივისცემის საფუძველზე თანამშრომლობის სამართლიანი პირობების განსაზღვრის პრობლემა.

...როგორც ფილოსოფიური მოძღვრება, ლიბერალიზმი სათავეს იღებს იმ საუკუნეებში, რა დროსაც ადამიანებმა საუბარი დაიწყეს რელიგიურ შემწყნარებლობის შესახებ. მე-XIX ს-ში კონსტანმა, ტოკვილმა და მილმა საფუძველი ჩაუყარეს ლიბერალიზმის თეორიას, როგორც დემოკრატიული სახელმწიფოს ძირითად დოქტრინას, რომელსაც ისინი სრულიად გარდაუვალ მოვლენად მიიჩნევდნენ. ლიბერალიზმის ფუნდამენტალური დებულება ის არის, რომ თანასწორ მოქალაქეებს სრულიად შეუთავსებელი და ერთმანეთის გამომრიცხავი შეხედულებები შეიძლება ჰქონდეთ სიკეთის მიმართ. ლიბერალიზმი უშვებს შეხედულებათა პლურალიზმს, როგორც თანამედროვე ცხოვრების უტყუარ ფაქტს, იმ პირობით, რომ ეს შეხედულება პატივს სცემს იმ საზღვრებს, რომლებიც სამართლიანობის პრინციპს აქვს დაწესებული. იგი ცდილობს აჩვენოს ისიც, თუ რამდენად სასურველია ასეთი პლურა-

ლიზმის არსებობა და ისიც, თუ როგორ შეუძლია ლიბერალურ რეჟიმს გამოიყენოს ეს პლურალიზმი, რათა მაქსიმალური სარგებელი მოიპოვოს ადამიანებს შორის არსებული განსხვავებებისაგან.

პლურალიზმი დაპირისპირებულ მხარეთა შორის არსებული კონფლიქტის მუდმივი გენერაციის წყაროა და მას მასების ყურადღება ძირითადი პრობლემებიდან გადააქვს მათზე, შედეგად მესამე, ანუ მათი მმართველი ძალა აკეთებს თავის შავ-ბნელ საქმეს, რაც შეიძლება იყოს საზოგადოების დევრადაციის მორიგ საფეხურზე გადაყვანისათვის მზადება.

როგორც ზემოთ ვთქვი, ჩემი ამ ლექციის მიზანია ზოგადად მოვხაზო, თუ რა კავშირი არსებობს თანასწორი ადამიანების საზოგადოებაში, ძირითად თავისუფლებებსა (მათ პრიორიტეტებთან ერთად) და საზოგადოებრივი თანამშრომლობის სამართლიან პირობებს შორის. პიროვნების შესახებ ჩემი კონცეფცია და მისი თანამგზავრი,-საზოგადოებრივი თანამშრომლობის იდეა, მე იმ მიზნით შემოვიტანე, რომ შემეცადა კიდევ ერთი ნაბიჯით წამეწია წინ ლიბერალიზმის თეორია: ანუ მისი დებულებები ორ ფუნდამენტალურ ფილოსოფიურ კონცეფციაზე გადამენერგა და შემდეგ, მეჩვენებინა, თუ როგორ შეიძლება ძირითადი თავისუფლებები და მათი პრიორიტეტები საზოგადოებრივი თანამშრომლობის სამართლიან პირობებად მიჩნეულიყო, თუ კი ამ თანამშრომლობის ხასიათი პასუხობს იმ პირობებს, რომლებსაც ეს კონცეფციები აყენებენ. ამის შემდეგ, სოციალური კავშირი, უკვე აღარ არის დაფუძნებული სიკეთის კონცეფციაზე, როგორც ეს ხდება რელიგიური ან ფილოსოფიური მოძღვრების შემთხვევაში, არამედ იგი ეფუძნება დემოკრატიული საზოგადოების თავისუფალი და თანასწორი წევრების მიერ გაზიარებულ კონცეპციებს სამართლიანობის შესახებ.⁴⁸

უნდა აღინიშნოს, ადამიანთა სოციალური კავშირი თუ არ იქნა დაფუძნებული სიკეთეზე, მხარეთა ურთიერთ პატივისცემასა და სიყვარულზე, რაც სიმბოლური გამოხატულებაა მსოფლიო მიზიდულობის კანონისა და აბსოლიტური სულის ძირითადი არსის, მაშინ იგი ლუციფერის მსახურია.

4) საწყისი პოზიცია. (აქ),...ძირითადი იდეა იმაში მდგომარეობს, რომ საწყის პოზიციაში ხდება პიროვნებისა და მისი თანამგზავრი კონცეფციის,-საზოგადოებრივი თანამშრომლობის იდეის,-რომელიც, კონკრეტულ სამართლიანობის პრინციპებთან შერწყმა (სწორედ ეს პრინციპები განსაზღვრავს იმ მოვლენას, რასაც მე, უფრო ადრე, “საზოგადოებრივი თანამშრომლობის სამართლიანი პირობები“ ვუწოდებ). საწყის პოზიციაში ამ ორ ფილოსოფიურ კონცეფციასა და სამართლიანობის კონკრეტულ პრინციპებს შორის კავშირი შემდეგნაირად მყარდება: ამ პოზიციაში მყოფ მხარეებს, ჩვენ საზოგადოებაში მოქალაქეთა ავტონომიურ წარმომადგენლებს ვუწოდებთ. ასეთი წარმომადგენლების როლში ყოფნისას, მხარეებმა ყოველი ღონე უნდა იხმარონ, რათა დაიცვან იმათი ინტერესები, ვისაც ისინი წარმოადგენენ და რომლებიც საწყის პოზიციაში არსებული შეზღუდვების ქვეშ ექცევიან. რასაც მე „უმეცრების საბურველი“ ვუწოდებ, იმას ნიშნავს, რომ მხარეებმა არაფერი იციან მათი სოციალური მდგომარეობის, სიკეთის იდეის (მისი მიზნებისა და მისწრაფებების), მათი რეალური შესაძლებლობების, ფსიქოლოგიური განწყობის და, რაც მთავარია, თვით იმ ადამიანთა შესახებ, რომლებსაც წარმოადგენენ.

საერთო სახალხო თუ საზოგადოებრივი პრობლემისადმი ამგვარი მიდგომა უდავო დადასტურებაა იმისა, რომ საქმე გვაქვს ანტიდემოკრატიულ მოვლენასთან, რომელიც დაკავშირებული უნდა იყოს უმდიდრეს და გავლენიან ადამიანთა ინტერესებთან. წარმომადგენლებს თუ არ ეცოდინებათ წარმომდგენთა პრობლემები თუ ინტერესები, საქმე გვექონია მოჩვენებით დემოკრატიასთან.

ასეთ სიტუაციაში მხარეებს ისღა დარჩენიათ, რომ დაეთანხმნენ სამართლიანობის პრინციპებს, რომლებსაც ალტერნატივის სახით, სთავაზობს მორალისა და პოლიტიკის ფილოსოფიური ტრადიცია.

გულისხმობს ნეოლიბერალურ მიდგომას.

წინასწარ დადგენილი პრინციპების შესახებ მხარეთა შეთანხმების შედეგად ყალიბდება კავშირი, ამ პრინციპებსა და პიროვნების კონცეფციას შორის, რომელსაც წარმოადგენს საწყისი

პოზიცია. აი, ამგვარად ვადგენთ ჩვენ ადამიანებს შორის თანამშრომლობის სამართლიანი პირობების შინაარსს.

...როდესაც მხარეების მიერ აღიარებული სამართლიანობის პრინციპს საზოგადოების თანასწორი წევრებიც გაიზიარებენ და განახორციელებენ, მაშინ უკვე ეს წევრებიც სრულიად ავტონომიურნი ხდებიან. ხოლო განსხვავება სრულ ავტონომიასა და რაციონალურ ავტონომიას შორის ასეთია: რაციონალური ავტონომია ნიშნავს მოქმედებას, მხოლოდ ჩვენი უნარის, ვიყოთ რაციონალურნი და სიკეთის იდეის შესაბამისად, რომელსაც ვიზიარებთ ჩვენ დროის გარკვეულ პერიოდში. სრული ავტონომია კი, თავის თავში ითავსებს, არა მხოლოდ უნარს, ვიყოთ რაციონალურნი, არამედ იმის უნარსაც, რომ განვავითაროთ ჩვენი წარმოდგენა სიკეთის შესახებ საზოგადოებრივი თდანამშრომლობის სამართლიანი პირობების, ანუ სამართლიანობის პრინციპის ფარგლებში. კარგად ორგანიზებულ საზოგადოებაში, სადაც მოქალაქეებმა იციან, რომ მათ შეუძლიათ დაეყრდნენ სამართლიანობის გრძნობას, რომელიც თითოეულ მათგანს გააჩნია, ჩვენ შეგვიძლია დავუშვათ რომ ადამიანის ნორმალური სურვილია იმოქმედოს სამართლიანად და იყოს აღიარებული სხვების მიერ, როგორც პიროვნება, რომლის იმედიც შეიძლება ჰქონდეთ, რადგან იგი საზოგადოების ისეთი წევრია, რომელსაც აქვს უნარი ითანამშრომლოს სხვებთან ცხოვრების მიზნების განხორციელების საქმეში. ამდენად, სრული მასშტაბით ავტონომიური ადამიანები საჯაროდ აღიარებენ საზოგადოებრივი თანამშრომლობის სამართლიან პირობებს და მოქმედებენ ამ პირობების შესაბამისად. რადგან მათ სამართლიანობის საყოველთაო პრინციპები ამოძრავებთ. რაც შეეხება მხარეებს, ისინი მხოლოდ რაციონალურად ავტონომიური პირები არიან, რადგან მოქმედებენ გონიერთა მიერ დაწესებული შეზღუდვების ფარგლებში. მართლაც, მხარეთა რაციონალური ავტონომია, ეს ხელოვნური აგენტების ავტონომიაა, რომლებიც ისეთ გარემოში ცხოვრობენ, რომელიც საგანგებოდ გონიერი და რაციონალური ადამიანებისათვის არის შექმნილი. სწორედ, კარგად ორგანიზებული საზოგადოების თანასწორი წევრები არიან სრული მასშტაბით ავტონომიურნი, რადგან ისინი თავისუფლად ეგუებიან ამ გონიერთა შეხედულებებს. ამის გამო მათი პოლიტიკური ცხოვრება პიროვნების ისეთ კონცეფციაზეა დაფუძნებული, რომელიც ფუნდამენტალურ

საწყისად ადამიანის თანამშრომლობის იდეას იღებს. **სოციალურად აქტიური მოქალაქეების სრული ავტონომია კი წარმოადგენს, სწორედ, იმ პოლიტიკურ რეალს, რომლის განხორციელებასაც ესწრაფიან ადამიანები ამ ქვეყნად.**

აქ, მთელი მცდელობა მიმართულია იქითკენ, რომ ადამიანს მოპოვებული თუ მინიჭებული უნდა ჰქონდეს აბსოლიტური თავისუფლება, და თანაც თავისუფალი, - საზოგადოებრივი მორალიდან, რომელიც პრინციპში ადამიანის ცნობიერების საფუძვლს წარმოადგენს.

აქედან გამომდინარე, ჩვენ შეგვიძლია განვაცხადოთ, რომ საწყის პოზიციაში მყოფი მხარეები, როგორც რაციონალური წარმომადგენლები, ორი თვალსაზრისით არიან რაციონალურად წარმომადგენლები, და ორი თვალსაზრისით არიან რაციონალურად ავტონომიურნი. უპირველეს ყოვლისა, თავიანთ შეხედულებებში, მათ არ მოეთხოვებათ, ხელმძღვანელობდნენ ან სარგებლობდნენ რაიმე აპრიორული პრინციპით სამართლიანობისა და მმართველობის საკითხში. მეორე, როდესაც თანხმდებიან იმის შესახებ, თუ სამართლიანობის რომელი პრინციპი შეარჩიონ, სხვა ალტერნატიულ პრინციპებს შორის, მხარეები მხოლოდ იმით უნდა ხელმძღვანელობდნენ, რაც მათი აზრით, ყველაზე უკეთ მოემსახურება იმ ადამიანების ინტერესებს, რომლებსაც ისინი წარმოადგენენ, თუკი, რა თქმა უნდა ინფორმაციის შეზღუდულობა ხელს არ შეუშლის მათ, ამ მიზნის მიღწევაში, საწყის პოზიციებში. შეთანხმება სამართლიანობის ორი პრინციპის თაობაზე, ამ გაგებით, რაციონალურად ავტონომიურ მიზეზებს უნდა დაეყრდნოს. ამდენად, ფაქტიურად, მხარეთა რაციონალურად ავტონომიურ შეხედულებებს ჩვენ იმ მიზნით ვიყენებთ, რომ მოცემული ალტერნატივებისაგან, შევარჩიოთ თანამშრომლობის სამართლიანი პირობები ადამიანებისათვის, რომლებსაც ეს მხარეები წარმოადგენენ.

.... ახლა მე უნდა დავუბრუნდე იმ მოტივებს, რაც ამოძრავებს მხარეებს საწყის პოზიციაში. რა თქმა უნდა, მათი საერთო მიზანი არის ის, რომ პირნათლად შეასრულონ თავიანთი მოვალეობები და ყოველი ღონე იხმარონ, რათა განსაზღვრონ, თუ რისი გაკეთება ჯობს იმ ადამიანებისათვის, რომლებსაც ისინი წარმოადგენენ.

ოღონდ, პრობლემა ის არის, რომ ამ მიზნების განხორციელებაში, მათ „უმეცრების საბურველი“ ხელს უშლის, რის გამოც, ვერც შეთანხმება ხერხდება მხარეებს შორის. სწორედ ამ პრობლემის გადაჭრის მიზნით შემოგვაქვს „პირველადი სიკეთეების“ ცნება, რომელიც ამ საერთო სათაურის ქვეშ გაერთიანებული ცხენების მთელი წყებისაგან შედგება. ძირითადი იდეა ის არის, რომ პასუხის გაცემით კითხვაზე, თუ როგორი სოციალური პირობები და საშუალებებია საჭირო იმისათვის, რომ ადამიანებმა სიკეთის იდეის შესაბამისად იცხოვრონ, გამოიმუშავონ საკუთარ თავში და განავითარონ ორი მთავარი მორალური თვისება, ჩვენ სიკეთეების რიგიდან, გამოვყოფთ იმ სახეობებს, რომლებსაც პირველადი სიკეთეები ვუწოდებ. **ახლა ჩვენი მიზანია დავადგინოთ, თუ როგორი სოციალური მოთხოვნები და ცხოვრების პირობები შეიძლება არსებობდეს დემოკრატიულ საზოგადოებაში.**

აქ, რაზეც მიდის საუბარი, მოწყვეტილია ყოველგვარ დემოკრატიას, თუ მხედველობაში არ მივიღებთ შიდა სამოქალაქო საზოგადოების ცხოვრებას, რა დროსაც კომუნად მხოლოდ ეს საზოგადოება მისაჩნევი.

ის ფაქტი, რომ პირველადი სიკეთეები აუცილებელი პირობაა ადამიანში მორალური თვისებების გამომუშავებისათვის და საუკეთესო საშუალება ცხოვრების მიზნების დიდი უმრავლესობის განხორციელებისათვის, თავის მხრივ, რამდენიმე განსხვავებულ ფაქტს გულისხმობს ადამიანის სურვილებისა და შესაძლებლობებთან, აღზრდის პირობებსა და განვითარების სტადიებთან, საზოგადოებრივ დამოუკიდებლობასა, და ბევრ სხვა მოვლენებთან მიმართებაში. ჩვენ სულ მცირე, ცხოვრების რაციონალური გეგმების ზოგადი მონახაზი მაინც გვჭირდება, რომ გავიგოთ, თუ რატომ აქვთ მათ სწორად ასეთი და არა სხვაგვარი სტრუქტურა, და რატომ არის საჭირო ამ გეგმების შედგენის, გადასინჯვისა და აღსრულებისათვის, სწორედ, პირველადი სიკეთეები. თუ რა უნდა ვიგულისხმოთ პირველად სიკეთეებში, ჩვენ ამას ვერ დავადგენთ იმ კითხვის საშუალებით, თუ როგორი ზოგადი საშუალებებია საჭირო საბოლოო მიზნების მისაღწევად, ან რა სახის ყოვლის მომცველი, ემპირიულ ან ისტორიულ გამოკვლევას შეუძლია აჩვენოს, თუ რა აქვთ ჩვეულებრივ პირობებში ადამიანებს

საერთო. ასეთი მიზნები, თუკი ისინი საერთოდ არსებობენ, ძალზე ცოტაა და ისინი სრულიად არ ემსახურებიან სამართლიანობის იდეას. პირველადი სიკეთეების ბუნება სრულიადაც არ არის დამოკიდებული ისტორიულ, ან სოციალურ ფაქტებზე. მართალია, პირველადი სიკეთეების განსაზღვრისათვის, აუცილებელია გვექონდეს გარკვეული წარმოდგენა სოციალური ცხოვრების პირობებსა და მოთხოვნებზე. ასეთი განსაზღვრება, მაინც, პიროვნების კონცეფციის შუქზე ხდება შესაძლებელი.

აი, ჩემს მიერ ჩამოყალიბებული ხუთი პირველადი სიკეთე:

ა) ძირითადი თავისუფლებები (სინდისისა და აზროვნების თავისუფლება და სხვა), ეს თავისუფლებები ორი მორალური თვისების (რასაც მე მოგვიანებით, მე-8 პარაგრაფში, „ორ ფუნდამენტალურ შემთხვევას“ ვუწოდებ) განვითარებისა და სრულად რეალიზაციის აუცილებელ ინსტიტუციონალურ პირობას წარმოადგენს; ისინი აუცილებელია, აგრეთვე, სიკეთის იდეის განსაზღვრისათვის (სამართლიანობის ფარგლებში);

ბ) გადაადგილებისა და პროფესიის არჩევის თავისუფლება, განსხვავებული შესაძლებლობების ფონზე: ეს შესაძლებლობები საშუალებას გვაძლევს განსხვავებული მიზნებისაკენ ვისწრაფოთ და, სურვილისამებრ, შევცვალოთ ისინი;

გ) თანამდებობის დაკავებისა და პასუხისმგებლობის თავზე აღების უფლებები და პრეროგატივები: ამის საფუძველზე ხდება პიროვნებაში თვითმმართველობის უნარისა და სოციალური თვისებების განვითარება;

დ) შემოსავალი და სიმდიდრე, რომელიც გააზრებულია, როგორც, გაცვლითი ღირებულების მქონე, მრავალმხრივი, საშუალებები: შემოსავალი და სიმდიდრე აუცილებელი საშუალებებია მიზანთა ფართო სპექტრის (როგორებიც არ უნდა იყოს ეს მიზნები), პირდაპირ თუ არაპირდაპირი, მიღწევისათვის;

ე) საკუთარი თავის ღირსების გრძნობის სოციალური ბაზისი: ეს ბაზისი ძირითადი ინსტიტუციების ისეთ ასპექტს წარმოადგენს, რომელიც სრულიად აუცილებელი ხდება იმ შემთხვევაში, როდესაც მოქალაქეებს უჩნდებათ პიროვნული ღირსების გრძნობა, უნარი განახორციელონ თავიანთ თავში მორალური თვისებები და დამაჯერებლად ისწრაფონ თავიანთი ცხოვრებისეული მიზნებისაკენ.

რატომდაც ავტორი „პირველად სიკეთეებში“ არ მოიხსენიებს მათ ზოგად საერთო საფუძველს,-ადამიანთა ჯანმრთელობას და მათი ბუნებრივი სახის,-იერარქიულად დალაგებული, -ინდივიდის, ოჯახის, ერისა და რასიის, ბუნებრივ რესურსთა საკუთრებას, და ალბათ იმიტომ, რომ „ჯანმთელობის“ საკითხი, ისე როგორც „საკუთრების“-ნეოლიბერალური პოლიტიკის ის ერთერთი ქვაკუთხედებია, რომლის მეშვეობითაც მსოფლიოს მმართველი ძალები არეგულირებენ მსხვერპლად ქცეული კაცობრიობის რიცხოზობობას და მათ ეკონომიკურ მდგომარეობას, რაც არ უნდათ, რომ იყოს ხელშეუვალი.

გარდა ამისა, რამდენადაც „სინდისი“ და „აზროვნება“ დაფუძნებულია, ანდა, ყველა შემთხვევაში უნდა იყოს დაფუძნებული ადამიანის იდეისა თუ იდეოლოგიის განმაპირობებელ სულიერებაზე, რატომ არ უნდა იყოს იგივე ცნობილი ადამიანების პირველად სიკეთეებად? და ალბათ იმიტომ, რომ ნეოლიბერალებს სურთ კაცობრიობა ატარონ დეიდეოლოგიის გზით, სხვანაირად ვერ დაიყვანენ მათ ბიორობოტების დონეზე, რაც სურთ განახორციელონ.

საკუთრების აბსოლიტიზირების პირობებში, რასაც თან ახლავს ხელშეუხებლობის არიალი, განა შეიძლება „გადაადგილების თავისუფლების“ პირველად სიკეთედ აღიარება, რასაც ჯერ მოპოვება სჭირდება.

„ბ“-ე პუნქტში მოცემული არგუმენტები ისედაც აღიარებულია მეტ-ნაკლებად განვითარებული ქვეყნების კონსტიტუციით.

„შემოსავალი“ ყოველთვის მეორადია და არა პირველადი.

ადვილი შესამჩნევია, რომ სამართლიანობის ორი პრინციპი საზოგადოების ძირითად სტრუქტურას იმის მიხედვით აფასებს, თუ როგორ იცავენ და ახორციელებენ მისი ინსტიტუტები ზოგიერთ პირველად სიკეთეს. მაგალითად, ძირითად თავისუფლებებს ან როგორ ანაწილებენ სხვა სიკეთეებს, მაგალითად შემოსავლებს და სიმდიდრეს. ჩვენგან ახსანას საჭიროებს ის ფაქტი,

თუ რატომ სარგებლობენ მხარეები კონკრეტული ძირითადი სიკეთეებით და თუ რატომ არის მათთვის მნიშვნელოვანი სამართლიანობის ორი პრინციპი.

...ძირითადი თავისუფლებები პირველადი სიკეთეა, თუ კი მხედველობაში მივიღებთ პიროვნების იმ კონცეფციას, რომელსაც იზიარებენ მოქალაქეები, წარმოდგენილნი მხარეთა მიერ, აგრეთვე თუ რატომ უნდა გააჩნდეს სამართლიანობის მეორე პრინციპთან მიმართებაში პრიორიტეტი იმ პრინციპს, რომელიც უზრუნველყოფს ამ თავისუფლებებს. ... პრიორიტეტი გამომდინარეობს იმ როლისაგან, რომელსაც თამაშობს და იმ ადგილისაგან, რომელიც უკავია ძირითადი სტრუქტურის მოწესრიგების საქმეში, ზოგიერთი სახის თავისუფლებებს, ისეთებს, როგორებიცაა, მაგალითად, პოლიტიკური თავისუფლებები (რომელზედაც საუბარი 8-ე პარაგრაფში გვექნება). და ბოლოს, ძირითადი თავისუფლებები სრულიად აუცილებელი ინსტიტუციონალური პირობაა სხვა, დანარჩენი, ძირითადი თავისუფლებების უზრუნველსაყოფად. მაგალითად, სინდისისა და პოლიტიკური თავისუფლებების სარეალიზაციოდ, აუცილებელია აზროვნებისა და ასოციაციების (გაერთიანების) თავისუფლება. ... 49

5) თავისუფლების პრიორიტეტი 1, მეორე მორალური თვისება

ახლა, ჩვენ მზად ვართ, შევისწავლოთ ის საფუძვლები, რომლებზე დაყრდნობილთაც იღებენ საწყის პოზიციაში მყოფი მხარეები იმ პრინციპებს, რომლებიც უზრუნველყოფენ ძირითად თავისუფლებებს და პრიორიტეტს ანიჭებენ მათ. აქ მე მიუთითებ მხოლოდ იმაზე, თუ როგორ მუშაობენ ისინი.

...მართალია, მხარეებმა იციან, რომ იმ ადამიანებს, ვისაც ისინი წარმოადგენენ, აქვთ გარკვეული შეხედულებები სიკეთის შესახებ, მაგრამ არაფერი იციან ამ შეხედულებების შინაარსის შესახებ, ანუ, მათ არ იციან, თუ როგორია ამ ადამიანების საბოლოო მიზნები, და რა მიდრეკილებები და სიმპათიები გააჩნიათ, და როგორია მათი რელიგიური, ფილოსოფიური ან მორალური შეხედულებები სამყაროს შესახებ, რომელთა საშუალებითაც აიხსნება ამგვარი მიდრეკილებები და სიმპათიები. სამაგიეროდ მხარეებმა იციან რაციონალური ადამიანების სიცოცხლისეული მიზნებისა და გეგმების ზოგადი სტრუქტურების შესახებ,

და ამდენად სიკეთის კონცეფციის ძირითადი ელემენტის არსის შესახებაც. ამ ცოდნასთან ერთად, მათ ესმით, ასევე, თუ რა არის პირველადი სიკეთეების დანიშნულება და, თუ როგორ უნდა გამოვიყენოთ ისინი.

ვფიქრობ, არასათანადოდაა ნათარგმნი, თუმცა, აშკარად შეინიშნება, რომ ამ ციტირებაში ავტორს გაეპარა „ნეოლიბერალური სტრატეგიიდან“ მნიშვნელოვანი ინფორმაცია, რაც სავარაუდოდ მათ ჩანაფიქრს ეხება.

...„უმეცრების საბურველის“ არსებობა გულისხმობს, რომ მხარეებმა არ იციან, თუ, კერძოდ, ვისი უმრავლესობის, თუ უმცირესობის შეხედულებებს წარმოადგენს ის შეხედულებები, რომლებსაც იზიარებენ მათ მიერ წარმოდგენილი ადამიანები.

„უმეცრების საბურველის“ გარეშე ნეოლიბერალები ვერ შეძლებდნენ ამ იდეოლოგიის დანერგვას პოსტსოციალისტურ ქვეყნებში და ამიტომაც ამ მეთოდის გამოყენებით მიიწვევენ წინ და წარმატებებსაც აღწევენ.

...სინდისის თავისუფლება ძირითადი და პრიორიტეტული თავისუფლებაა. თუ მხედველობაში მივიღებთ იმ გარემოებას, რომელშიც ყალიბდება ადამიანის რელიგიური, ფილოსოფიური და ზნეობრივი შეხედულებები, შეუძლებელი გახდება ამ თავისუფლების მასშტაბის შემცირების გამართლება სამართლიანობის მეორე პრინციპით. ხოლო, თუ ვინმე უარყოფს სინდისის თავისუფლების ასეთ მნიშვნელობას და შეეცდება დაამტკიცოს, რომ ადამიანთა ინტერესები თანმხედვრია და ორი ადამიანის ინტერესებს შორის მუდამ შეიძლება მოინახოს შუალედი, იმ თვალსაზრისით, რომ **ერთის ინტერესები მეორის ინტერესებით უნდა გაწონასწორდეს**, მაშინ ჩვენ ლოგიკურ ჩიხში მოვექცევით. აქედან ერთ-ერთი გამოსავალი იქნება შევეცადოთ და დავასაბუთოთ, რომ ძირითადი თავისუფლებები, როგორც თავისუფლებათა ერთიანი ოჯახი, ნაწილია სამართლიანობის ერთიანი კონცეფციისა, რომელიც დემოკრატიული რეჟიმის დამახასიათებელი თვისებაა და მისი ძირითადი პრინციპების არსს წარმოადგენს.

...სინდისის თავისუფლების რეალიზაციისათვის აუცილებელია გაერთიანებების თავისუფლებაც, რადგან, ჩვენ რომ არ გვქონიყო უფლება გავერთიანებულიყავით, სხვა, მსგავსი აზრო-

ვნების მქონე ადამიანთან, არც სინდისის თავისუფლებას ექნებოდა რაიმე გამოყენება. ეს ორი ძირითადი თავისუფლება ძლიერ ტანდემს ქმნის.

...სიკეთის შემეცნების უნარი, თვით სიკეთის იდეის უმნიშვნელოვანესი ნაწილია. ამ კონცეფციის სამართლიანობა, დიდ წილად იმით არის განპირობებული, რომ იგი საშუალებას გვაძლევს იმ წესით გავიაზროთ ჩვენი საბოლოო მიზნები და მისწრაფებები, რომელიც ერთ-ერთი მორალური თვისების სრულ მასშტაბიანი რეალიზაციის საშუალებას იძლევა, რაც აუცილებელი პირობაა პიროვნებათა დასახასიათებლად სამართლიანობის პოლიტიკური მნიშვნელობის კონტექსტში. სიკეთის ასეთი კონცეფციის რეალიზაციისათვის ჩვენ, უფრო მეტად, ვიდრე წინა საფუძვლის შემთხვევაში, უნდა გვქონდეს შეცდომების დაშვების უფლება ძირითადი თავისუფლებების მიერ განსაზღვრულ ფარგლებში. იმისათვის, რომ გარანტირებულ იქნას სიკეთის ასეთი კონცეფციის არსებობა, მხარეები, როგორც ჩვენი წარმომადგენლები, აღიარებენ იმ პრინციპებს, რომლებიც უზრუნველყოფენ სინდისის თავისუფლებას. 50

ხომ არ ამხელს ავტორს სიტყვები: "...ჩვენი საბოლოო მიზნები და მისწრაფებები, რომელიც ერთ-ერთი მორალური თვისების სრულ მასშტაბიანი რეალიზაციის საშუალებას იძლევა",-მის „შეთქმულებთან“ კავშირში?

6) თავისუფლების პრიორიტეტი 11, პირველი მორალური თვისება

...საწყის პოზიციაში მყოფი მხარეები რაციონალურად ავტონომიური წარმომადგენლები არიან და, რადგანაც ასეთები არიან, ამიტომ ისინი მოქმედებენ მხოლოდ იმ შეხედულებების შესაბამისად, რომლებიც დაკავშირებულია მათ მიერ წარმოდგენილი ადამიანების განსაზღვრულ კონცეფციებთან სიკეთის შესახებ და იმასთან, რაც ამ კონცეფციების განვითარებას უწყობს ხელს, როგორც საშუალება და როგორც მათი ნაწილი. აქედან გამომდინარე, ნებისმიერი საფუძველი, რომელიც უზიძგებს მხარეებს შეთანხმდნენ (სიკეთისა და მისი განვითარების შესახებ) ანვითარებს ადამიანში სამართლიანობის გრძნობას და ხელს უწყობს მას ამ გრძნობის განვითარებაში, ასეთ საზღვრებში უნდა მოექცეს. ...

....ადამიანებს, როგორც საზოგადოების წევრებს, რომლებსაც მხარეები წარმოადგენენ, აქვთ უნარი გამოიმუშაონ საკუთარ თავში სამართლიანობის გრძნობა, რომელიც თავისი ხარისხით შესაბამისი იქნება მხარეთა მოსაზრებების, რომლებსაც გააჩნიათ, როგორც თეორიული, ისე პრაქტიკული ცოდნა, ადამიანის ბუნების შესახებ. ეს ვარაუდი სრულ თანხმობაშია მხარეთა რაციონალურ ავტონომიასთან. .. ამ მოსაზრებიდან გამომდინარე, მხარეებმა იციან, რომ მათ მიერ მიღწეული შეთანხმება ამაო არ არის და, რომ საზოგადოების წევრებს ექნებათ უნარი იმოქმედონ შეთანხმებული პრინციპების შესაბამისად, ისეთი ეფექტურობით, და თანმიმდევრულობით, რისი შესაძლებლობაც ადამიანს მუდამ ექნება, თუ კი პოლიტიკური ინსტიტუტები აკმაყოფილებენ ამ პრინციპების მოთხოვნებს და საზოგადოებამაც ამის შესახებ იცის. მაგრამ, ყოველთვის, როდესაც მხარეები, სამართლიანობის გარკვეული პრინციპების სასარგებლოდ, ჩათვლიან, რომ საზოგადოების წევრები ეფექტურად და თანმიმდევრულად ასრულებენ ამ პრინციპების მოთხოვნებს, ისინი ამას მხოლოდ იმის გამო ახერხებენ, რადგან სჯერათ, რომ ამ პრინციპების შესაბამისად მოქმედება საუკეთესო საშუალებაა იმ ადამიანთა სიკეთისათვის, რომლებსაც ისინი წარმოადგენენ. ეს ადამიანები, როგორც მოქალაქეები, სამართლიანობით არიან მოტივირებულნი, ხოლო, მხარეები, როგორც რაციონალურად ავტონომიური წარმომადგენლები კი -არა. ამგვარი გამაფრთხილებელი ზომების მიღების შემდეგ, მე გავდივარ იმ სამი საფუძვლის ჩამოყალიბებაზე, რომერთაგან თითოეული სამართლიანობის გრძნობასთან არის კავშირში, რომელიც, თავის მხრივ უბიძგებს თითოეულ მხარეს მიიღოს ის პრინციპები, რომლებიც, უზრუნველყოფენ ძირითად თავისუფლებებს და პრიორიტეტს ანიჭებენ მათ. პირველი მათგანი ორ მოვლენაზეა დაფუძნებული: -თანამშრომლობის სამართლიანი და სტაბილური პირობების მიერ გამოღებულ შედეგზე, ადამიანებისა და საზოგადოდ, სიკეთის ცნების სასიკეთოდ და მეორე: თეზისზე, რომლის თანახმად, სამართლიანობის ყველაზე სტაბილური კონცეფცია ის კონცეფციაა, რომელიც სამართლიანობის ორი პრინციპის ბაზაზეა ჩამოყალიბებული, ხოლო ეს შესაძლებელია, მხოლოდ და მხოლოდ, ძირითადი თავისუფლებებისა და მათი პრიორიტეტის არსებობის შემთხვევაში.

...სამართლიანობის ორი პრინციპი ყველაზე სტაბილური პრი-

ნციპებია ამ ქვეყნად, სამართლიანობის ყველაზე სტაბილური კონცეფცია კი, ის არის, რომელიც ყველაზე ნათლად და ცხადად წარმოიდგინება ჩვენი გონების მიერ, რომელიც სრულიად შეესაბამება სიკეთის იდეას და უპირობოდ ემსახურება მას, და რომლის ფესვები ჩვენი პიროვნების უარყოფაში კი არა, მის დამკვიდრებაშია გამჯდარი. აქედან გამომდინარე კი გამომდინარეობს ის დასკვნა, რომ სამართლიანობის ორი პრინციპი უკეთ პასუხობს ამ პირობებს, ვიდრე ნებისმიერი სხვა, ალტერნატიული პრინციპები და ამის მიზეზი ძირითადად თავისუფლებებია, ურთიერთ გადაჯაჭვული პოლიტიკური თავისუფლებების ადეკვატურ ღირებულებებთან და განსხვავებულობის პრინციპთან. ...

....ადამიანში ღირსების გრძნობას ყველაზე უკეთ სამართლიანობის ორი პრინციპი უწყობს ხელს, ისევე და ისევე - იმიტომ, რომ ეს პრინციპები განსაკუთრებულ მნიშვნელობას ძირითად თავისუფლებებსა და მათ პრიორიტეტულობას ანიჭებენ. მიუხედავად იმისა, რომ ამ ღირსების გრძნობას, თავის მხრივ აძლიერებს პოლიტიკური თავისუფლებების ადეკვატური ღირებულება და განსხვავებულობის პრინციპი....

...საკუთარი ღირსების გრძნობის ფესვები ჩვენს თვითრწმენაშია და ჩვენ, ამ შემთხვევაში, წარმოვადგენთ საზოგადოების აქტიურ წევრებს, რომლებსაც გვაქვს უნარი ვიღვაწოთ საყოველთაო სიკეთის იდეისათვის მთელი სიცოცხლის განმავლობაში...

საკითხავია, ვის გულისხმობს სიტყვა „ჩვენ“-ში? ბუნებრივია-ნეოლიბერალებს.

...ღირსების გრძნობის მნიშვნელობა ის არის, რომ ჩვენ ვიცით საკუთარი თავის ფასი და დარწმუნებული ვართ იმაში, რომ სიკეთის იდეა, რომელსაც მივსდევთ, ღირსია იმისა, რომ განხორციელებულ იქნას ჩვენს მიერ. ღირსების გრძნობის გარეშე არაფერს შეიძლება ჰქონდეს ფასი და რომც ჰქონოდა რაიმე ღირებულება გარკვეულ საგნებს, ჩვენ მაინც არ გვექნებოდა სურვილი, რომ გვეღვაწა მათი მოპოვებისათვის. ღირსების გრძნობა ძირითადი სოციალური ინსტიტუტების გარკვეულ საზოგადოებრივ ასპექტებზეა დამოკიდებული. ...ძირითადი სოციალური ინსტიტუტები და საზოგადოების მოსალოდნელი ქცევის წესები კი წარმოადგენს ღირსების გრძნობის სოციალურ საფუძველს.

...სამართლიანობის ორი პრინციპის საფუძველზე ორგანიზე-

ბულ დემოკრატიულ საზოგადოებას გაცილებით მეტი სიკეთე შეუძლია მოუტანოს თითოეულ მოქალაქეს, ვიდრე მაშინ, როდესაც თითოეული ინდივიდი პირისპირ რჩება თავის შესაძლებლობებთან, ან საუკეთესო შემთხვევაში მცირე ჯგუფებთან არის გაერთიანებული. ამ უფრო ფართო ორგანიზაციაში მონაწილეობა შეუდარებლად მეტ შესაძლებლობებს ქმნის თითოეული პიროვნების სიკეთის რეალიზაციისათვის. ...

„ორგანიზებულ დემოკრატიულ საზოგადოებაში,“ ავტორს მხედველობაში აქვს „სამოქალაქო საზოგადოება“, რადგან სახელმწიფო მათთვის მხოლოდ „ლამის დარაჯია“, სიტყვა „დემოკრატია“ კი, მისი წმინდა გაგებით, ადმინისტრაციულ ერთეულთა თუ სახელმწიფოებრივი მმართველობის ასპექტში,- ვერ ჯდება და იგნორირებულია.

ეს იდეა ფონ ჰუმბოლტისაგან მომდინარეობს და აი რას სწერს იგი, „თითოეულ ადამიანს . . . ერთდროულად, მხოლოდ ერთი უნარის გამოქვადნება შეუძლია, ან უფრო სწორედ, ჩვენი ერთიანი არსება, დროის მოცემულ მონაკვეთში, ჩვენს სპონტალურ აქტივობას მხოლოდ ერთი, კონკრეტული ფორმის მარწუხებში აქცევს. აქედან გამომდინარე, ისეთი შთაბეჭდილება რჩება, თითქოს, ადამიანი მხოლოდ ნაწილობრივი განვითარებისათვის არის განწირული, თუმცა მთელს თავის ენერგიას სხვადასხვა მიზნებისათვის ბრძოლაში ხარჯავს. მაგრამ ადამიანს გააჩნია უნარი აიცილოს ამგვარი ცალმხრივობა და ამას იგი აღწევს მცდელობით, გააერთიანოს თავისი ცალკეული და განზე მდგომი ბუნებრივი შესაძლებლობები ერთ მთლიან ცხოვრების ნებისმიერ მომენტში, ერთიანად შეკრას, ერთიანი კორპორაციის ფარგლებში მოაქციოს მისი ფიზიკური აქტივობის მბჟუტავი ნაპერწკლები, და ერთ დიდ კოცნად გადააქციოს. მოიკრიბოს მთელი თავისი ძალისხმევა, რომელიც აქამდე სხვადასხვა მიზნებისაკენ ამაო სწრაფვაში იხარჯებოდა და ერთ იმ დიდი მიზნისაკენ წარმართოს ის, რაც მიიღწევა ინდივიდის შემთხვევაში, **წარსულის, აწმყოსა და მომავლის გაერთიანების გზით.** შეიძლება მიღწეულ იქნას აგრეთვე საზოგადოებაში, მისი წევრების ერთობლივი თანამშრომლობის გზით, რადგან თავისი ცხოვრების ყველა ეტაპზე, ყოველ ინდივიდს მხოლოდ ერთ სფეროში შეუძლია სრულყო-

ფის მიღწევა, რაც ადამიანის ბუნების დამახასიათებელ თვისებას წარმოადგენს. მაშასადამე, მხოლოდ სოციალური კავშირის (რომლის საფუძველი მისი წევრების შინაგანი სურვილები და შესაძლებლობებია) ფარგლებში ხდება, თითოეული ინდივიდი-სათვის შესაძლებელი, გაიაზროს სხვა წევრების მდიდარი და კოლექტიური რესურსები “ სახელმწიფოს მოქმედების საზღვრები“, ჯ.უ.ბეროუს რედაქციით, კემბრიჯის უნივერსიტეტი, პრეს. 1969, გვ 16-17./

... (ისმის კითხვა) მხარეთათვის ცნობილი რომელი პრინციპებია საწყის პოზიციაში, ყველაზე ეფექტური საშუალება სხვადასხვა სოციალური კავშირების ერთ სოციალურ კავშირად გაერთიანებისათვის? ამ შემთხვევაში, ჩვენი მოთხოვნა იქნება, რომ დაცული იყოს ორი პირობა: პირველი, ეს პრინციპები სრულიად აშკარა კავშირში უნდა იყოს მოქალაქეების, როგორც თავისუფალი და თანასწორი ინდივიდების, იდეასთან, რომელიც იმპლიციტურად უნდა იქნას ჩართული ამ პრინციპების შინაარსში. მეორე, ეს პრინციპები, როგორც საზოგადოების ძირითადი სტრუქტურის საფუძვლები, უნდა შეიცავდეს ორმხრივობის იდეას, რაც შეესაბამება მოქალაქეების, როგორც თავისუფალი და თანასწორი ინდივიდების,- რომლებიც, მთელი თავისი ცხოვრების მანძილზე ჩართულ არიან საზოგადოებრივ თანამშრომლობაში,- იდეასთან. თუ კი ეს პირობები არ იქნება დაცული, ჩვენ ვერ შევძლებთ განვიხილოთ საზოგადოების კულტურული მრავალფეროვნება და სიმდიდრე, როგორც ერთიანი, კორპორაციული ძალისხმევა საერთო სიკეთეებისათვის ბრძოლაში. ჩვენ ვერ შევაფასებთ ასეთ კულტურას, როგორც, რაღაც ისეთ მოვლენას, რომელშიც ჩვენ სიამოვნებით მივიღებდით მონაწილეობას და რომლის განვითარებისათვის არ დავიშურებდით ჩვენს ძალებს. კულტურა ყოველთვის, უმეტესწილად, ერთობლივი ძალისხმევის ნაყოფია და აქედან გამომდინარე, იმისათვის, რომ პატივისცემის და მადლიერების გრძნობით განიმსჭვალონ ერთმანეთის მიმართ, მოქალაქეებმა უნდა მიიღონ ორმხრივობის იდეა, რათა ამით შეძლონ საერთო მიზნის დასახვა და საერთო ღირებულების დეკლარირება. ამგვარი პატივისცემისა და მადლიერების გრძნობების გაღვივებას ყველაზე უკეთ, სამართლიანობის პრინციპი უწყობს ხელს, რადგან იგი თანაბარი სამართლიანობით ეკიდება თითოეულ ინდივიდს, როგორც საზოგადოების თავისუფალ და

თანასწორ წევრს, რომელიც ორმხრივი პატივისცემის გრძნობით არის გამსჭვალული თავისი მოყვასის მიმართ. და ამგვარი სამართლიანობა საერთო მიზნად არის გამოცხადებული. ამავე დროს, ეს არის საზოგადოების მიერ ძირითადი თავისუფლებებისა და სამართლიანობის პრინციპის აღიარების მანიფესტაცია. როდესაც ორმხრივობის პრინციპის საფუძვლები მთელს საზოგადოებაზე გავრცელდება, ინდივიდუალური თუ ჯგუფური მიღწევები უკვე აღარ მოგვეჩვენება, როგორც ცალკეული პიროვნული თუ ჯგუფური სიკეთე.

ყოველივე ეს პლურალიზმის აუცილებლობის დასაბუთებისაკენაა მიმართული.

და ბოლოს, ადვილი შესამჩნევია, რომ, როდესაც ასეთი სახით განვმარტავთ, თუ რა სარგებელი შეიძლება მივიღოთ სოციალური კავშირისაგან, უკვე აღარ არის აუცილებელი, რომ საწყის პოზიციაში მყოფმა მხარეებმა, მაინც და მაინც იცოდნენ, თუ როგორ ესმით სიკეთის იდეა იმ პირებს, რომლებსაც ისინი წარმოადგენენ. და ამის მიზეზი ის არის, რომ როგორც არ უნდა იყოს სიკეთის იდეა, დანახული ამ ადამიანების თვალთ, ჩვენ ხელთ უკვე არის სიკეთის გაცილებით უფრო გაფართოებული იდეა, რომელსაც სოციალური კავშირი გვთავაზობს იმ პირობით, რომ მათი იდეები ეტევა გარკვეულ მასშტაბებში და ექცევა სამართლიანობის ჩარჩოში. იმისათვის, რომ განავითარონ სიკეთის იდეა დანახული მათ მიერ წარმოდგენილი ადამიანების თვალთ, მხარეები სამოქმედოდ იღებენ იმ პრინციპებს, რომლებიც ძირითად თავისუფლებებს იცავს. აქვე მინდა ავღნიშნო, რომ საზოგადოების, როგორც სოციალური კავშირების, იდეა, გვიჩვენებს, თუ როგორ შეუძლია ლიბერალურ რეჟიმს არა მხოლოდ ერთმანეთთან შეათავსოს სიკეთის შესახებ იდეათა სიმრავლე, არამედ კორდინაცია გაუწიოს ადამიანთა განსხვავებულ მოქმედებებს და წარმართოს ერთიანი კეთილი მიზნისკენ, რომლისთვისაც ყველას შეუძლია იღვაწოს და თავისი წვლილი შეიტანოს.

...ამით მთავრდება იმ საფუძვლების შესწავლა, რომლებზე დაყრდნობითაც იღებენ სამოქმედოდ საწყის პოზიციაში მყოფი მხარეები სამართლიანობის ორ პრინციპს, რომლებიც, თავისუფლებებს და პრიორიტეტებს ანიჭებენ მათ, როგორც ერთიან თავისუფლებათა ერთიან ოჯახს...51

7).ძირითადი და არა უბრალოდ ფორმალური თავისუფლებები... ამჯერად ჩვენს წინაშე ასეთი კითხვა წამოიჭრა: როგორ შეიძლება სამართლიანობის პრინციპის საფუძველზე გადავწყვიტოთ ის რთული პრობლემა, რომლის თანახმად, ადვილი შესაძლებელია, რომ ძირითადი თავისუფლებები წმინდა წყლის ფორმალობად იქცეს. ბევრნი, განსაკუთრებით კი რადიკალური დემოკრატები და სოციალისტები ამტკიცებენ, რომ, როდესაც, ერთი შეხედვით, ისე ჩანს, თითქოს, ადამიანები თანასწორნი არიან, სინამდვილეში, ძალზე ხშირი და თვალშისაცემია სოციალური და ეკონომიკური უთანასწორობანი, რადგან ძირითადი სტრუქტურა უზრუნველყოფს ძირითად თავისუფლებებს და იძლევა შესაძლებლობათა თანაბარ პირობებს, ყოველთვის იქმნება იმის შესაძლებლობა, რომ საკანონმდებლო პროცესი თავიანთ სასარგებლოდ აკონტროლონ იმ პირებმა, რომლებსაც მეტი სიმდიდრე და ძალაუფლება გააჩნიათ. იმისათვის რომ პასუხი გავცეთ ამ კითხვას, ნება მიბოძეთ, ერთმანეთისაგან განვასხვავოთ ძირითადი თავისუფლებები და მათი ღირებულებები. ძირითად თავისუფლებებს უზრუნველყოფს ინსტიტუციონალური უფლებები და მოვალეობები, რომლებიც ნებას რთავენ მოქალაქეებს აკეთონ სხვადასხვა საქმეები, თუ კი მათ ამის სურვილი გააჩნიათ და უკრძალავენ სხვა მოქალაქეებს ჩაერიონ მათ საქმეებში. ამდენად, ძირითადი თავისუფლებები, ეს არის არჩევანისა და შესაძლებლობების სისტემა, რომელიც კანონის მფარველობის ქვეშ იმყოფება. რა თქმა უნდა, უმეცრება და სიღარიბე ისევე, როგორც, საზოგადოდ, მატერიალური საშუალებების უქონლობა, არ აძლევს ადამიანებს საშუალებას, გამოიყენონ თავიანთი უფლებები და ისარგებლონ ამგვარი შესაძლებლობებით, მაგრამ, ნაცვლად ამისა, რომ ეს და სხვა დაბრკოლებები პიროვნული თავისუფლების შემზღვეველ ფაქტორებად მიგვეჩნია, ჩვენ მათ თავისუფლების ღირებულება, ანუ მისი სარგებლიანობის საწინააღმდეგო მოვლენად მივიჩნევთ. სამართლიანობიდან გამომდინარე, ამგვარი სარგებლიანობა პირველადი სიკეთეების მაჩვენებლობის შესაბამისად განისაზღვრება, რომლებსაც სამართლიანობის მეორე პრინციპი არეგულირებს. იგი პიროვნების კეთილდღეობის მიხედვით კი არ იზომება, არამედ, სწორედ

პირველადი სიკეთეების მიხედვით, რომელთა მოთხოვნა განსაკუთრებულ მოთხოვნად არის მიჩნეული, რადგან ისინი პოლიტიკური სამართლიანობის მიზნებს ემსახურება. პირველადი სიკეთეებიდან ზოგიერთი, მაგალითად, შემოსავალი და სიმდიდრე, განიმარტება, როგორც ყოვლისმომცველი მატერიალური შესაძლებლობები მოქალაქეთა მიზნებისაკენ მიმავალ გზაზე, თავისუფლებისა და თანაბარი შესაძლებლობების გარემოში.

სამართლიანობა მოითხოვს, რომ ყველა მოქალაქე ძირითადი თავისუფლებებით თანაბრად იყოს უზრუნველყოფილი და არ არსებობდეს იმის პრობლემა, თუ როგორ უნდა მოხდეს ნაკლები მასშტაბის თავისუფლების კომპენსაცია. მაგრამ თავისუფლების ღირებულება, ანუ მისი სარგებლიანობა, ყველასათვის თანაბარი არ არის, განსხვავებულობის პრინციპიდან გამომდინარე. ზოგიერთ მოქალაქეს, მაგალითად, მეტი სიმდიდრე და შემოსავალი გააჩნია, ვიდრე სხვებს, და შესაბამისად, მეტი შესაძლებლობები აქვს თავისი მიზნების მისაღწევად. მაგრამ, მაშინაც კი, როდესაც ეს პრინციპი მოქმედებს, მაინც არის შესაძლებელი ნაკლები მასშტაბის თავისუფლების კომპენსაცია, კერძოდ, აი ასე: ყველაზე ჩამორჩენილი სოციალური ჯგუფისათვის მრავალმიზნობრივი მატერიალური შესაძლებლობები კიდევ უფრო შემცირდებოდა იმ შემთხვევაში, პირველადი სიკეთეების შესაბამისად გაზომილი სოციალურ ეკონომიკური პირობები განსხვავებული რომ ყოფილიყო იმისაგან, როგორც სინამდვილეშია. საზოგადოების ძირითადი სტრუქტურა იმგვარად არის მოწყობილი, რომ მაქსიმალურად ზრდის პირველადი სიკეთეების მასშტაბებს ყველაზე ჩამორჩენილი ჯგუფებისათვის, რათა, ამგვარად, უზრუნველყოს ძირითადი თავისუფლებების სარგებლიანობა, საზოგადოების თითოეული წევრისათვის. სწორედ, ეს არის პოლიტიკური და სოციალური სამართლიანობის ერთ-ერთი მთავარი მიზანი.

...პოლიტიკური თავისუფლებების ღირებულება, დაახლოებით, თანაბარი ან, სულ მცირე, საკმარისად თანაბარი უნდა იყოს ყველა მოქალაქისათვის, როგორც არ უნდა იყოს მათი სოციალური ან პოლიტიკური სტატუსი, იმ მნიშვნელობით, რომ ყველას უნდა ჰქონდეს თანაბარი შესაძლებლობა დაიკავოს სახელმწიფო თანამდებობა და იქონიოს გავლენა პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღების პროცესზე. თანაბარი შესაძლებლობების ეს

ცნება პარალერულია იმ ცნებისა, რომელიც სამართლიანობის მეორე პრინციპის შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს. როდესაც საწყის პოზიციებში, მხარეები პრიორიტეტს ანიჭებენ თავისუფლებას, ისინი ანგარიშს უწევენ იმ ფაქტს, რომ პოლიტიკური თავისუფლებები განსაკუთრებული მოპყრობის საგანს უნდა წარმოადგენდეს. როდესაც ვაფასებთ თავისუფლებისა და თანასწორობის ერთ ცნებად გაერთიანების მიზანშეწონილობას, ჩვენ უნდა გვახსოვდეს, თუ რა განსაკუთრებული ადგილი აქვს პოლიტიკურ თავისუფლებებს სამართლიანობის ორი პრინციპის სისტემაში.

ფილოსოფიის საგანს არ წარმოადგენს იმის დეტალური გამოკვლევა, თუ როგორ ხდება ცხოვრებაში პოლიტიკური თავისუფლებების ადექვატური ღირებულებების რეალიზაცია. ისევე, როგორც მისი კვლევის ობიექტს არ წარმოადგენს საბაზრო ეკონომიკის პირობებში კონკურენციის მარეგულირებელი კანონებისა და წესების შესწავლა. ამის მიუხედავად, ჩვენ უნდა ვაღიაროთ, რომ პოლიტიკური თავისუფლებების ადექვატური ღირებულების უზრუნველყოფა არანაკლები მნიშვნელობის (თუ უფრო მეტის არა) მქონე საკითხია, ვიდრე ბაზარზე კონკურენციის დაცვის პრობლემა. რადგან, თუ კი არ იქნება სათანადოდ დაცული ამ თავისუფლების ადექვატური ღირებულება, არავითარი გარანტია არ იქნება იმისა, რომ ჩამოყალიბდეს ან განვითარდეს ბაზისური სოციალური ინსტიტუტები. თუ როგორ უნდა მივაღწიოთ ამ მიზანს და რომელი მეთოდი უნდა შევარჩიოთ საამისოდ, ეს ერთობ რთული საკითხია. დღესდღეობით საამისოდ ჩვენ არ გაგვაჩნია არც საკმარისი ისტორიული გამოცდილება და არც თეორიული ბაზა. ამდენად, ჩვენს გზაზე მრავლად იქნება ექსპერიმენტებიც და შეცდომებიც. ამის მიუხედავად, მაინც არსებობს, თუნდაც, ერთი, მაგრამ მნიშვნელოვანი თეორიული საფუძველი, რომელიც მიგვიითითებს, თუ როგორ უნდა მოხდეს ადექვატური ღირებულების უზრუნველყოფა. საამისოდ, კერძო საკუთრების პრინციპზე აგებულ დემოკრატიებში პოლიტიკური პარტიები დაცულ უნდა იყვნენ ძალაუფლების, მეტისმეტად დიდი კონცენტრაციისაგან, კერძო სოციალურ-ეკონომიკური სტრუქტურების ხელში. ხოლო, ლიბერალურ-სოციალისტურ რეჟიმებში,- სახელმწიფოსა და ბიუროკრატიულ აპარატის ხელში. ნებისმიერ შემთხვევაში, სწორედ, საზოგადოება უნდა იყოს,

სულ ცოტა, მნიშვნელოვან წილად მაინც, პოლიტიკური პროცესების წარმმართველი და მას უნდა ეპყრას ხელთ არჩევნების მართვის სადავეები. პოლიტიკური თავისუფლებების ადექვატური ღირებულების უზრუნველყოფა ერთ-ერთი საშუალებაა იმისა, რომ პასუხი გაეცეს კრიტიკულ გამოხდომას, რომლის თანახმად, თითქოს, ძირითადი თავისუფლებები ფორმალობაა და მეტი არაფერი.

ჯონ როულს, პოლიტიკური თავისუფლების დაცვა, აყვანილი ყავს ბაზარზე არსებული კონკურენციის დაცვის დონეზე, სხვანაირად ლიბერალიზმის ბაზისური ინსტიტუტების შექმნა და განვითარება მიაჩნია შეუძლებლად. ამასთან დაკავშირებით აღიარებს, რომ არ გააჩნიათ ნეოლიბერალური წყობილების აღმშენებლობის ისტორიული გამოცდილება და არც თეორიული ბაზა, რის გამოც მრავლად გვექნება ექსპერიმენტები და შეცდომები-ო. თუმცა აცხადებს, ამის მიუხედავად გვაქვს თეორიული საფუძველი, თუ როგორ უნდა ვუზრუნველყოთ პოლიტიკური თავისუფლება ადექვატური ღირებულებით. და ასახელებს, რომ კერძო დემოკრატიის პირობებში მყოფ პოლიტიკურ პარტიებს არ უნდა მიეცეთ საშუალება ძალაუფლების ხელში მეტისმეტი კონცენტრირების, ისე როგორც ლიბერალური რეჟიმის ქვეყნებში,- სახელმწიფოსა და მისი ბიუროკრატიულ აპარატს. ასე ფიქრობს იგი პოლიტიკური თავისუფლების ღირებულების უზრუნველყოფას, მიმდინარე ისტორიულ ეტაზე, რისი მოწმენიც საკუთარ ქვეყანაში ჩვენ უკვე ვართ.

პოლიტიკური თავისუფლების ადექვატური ღირებულების ამგვარ უზრუნველყოფას რამდენიმე ღირსშესანიშნავი ასპექტი გააჩნია. პირველი: იგი თითოეულ მოქალაქეს, თითქმის, თანაბარ შანს აძლევს, დაიკავოს ადგილი სახელმწიფოებრივ სტრუქტურებში, რომლებიც კონკრეტულ პოლიტიკურ მიზნებს ემსახურება. კერძოდ, საუბარია ისეთ სახელმწიფოებრივ სტრუქტურებზე, რომლებსაც კონსტიტუციური წესები და პროცედურები განმარტავენ. პროცედურები, რომლებიც, თავის მხრივ, მართავენ პო-

ლიტიკურ პროცესებს და კონტროლს აწესებენ სახელმწიფო ხელისუფლების სტრუქტურებში თანამდებობების განაწილებაზე. როგორც ქვემოთ ვნახავთ, ეს წესები და პროცედურები საკმარისად სამართლიანი უნდა იყოს საიმისოდ, რომ უზრუნველყოფილ იქნას სამართლიანი და ეფექტური საკანონმდებლო პროცესი. თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ თანასწორ მოქალაქეთა პრეტენზიები პოლიტიკურ პროცესებში და სახელმწიფოებრივ სტრუქტურებში მონაწილეობის მიღებასთან დაკავშირებით, ასე თუ ისე, მაინც ექცევა გარკვეულ ჩარჩოებში. მეორე: ამ სახელმწიფოებრივ სტრუქტურებს სამოქმედოდ, ასე ვთქვათ, შეზღუდული არეალი გააჩნიათ. და მათ, ვისაც მეტი მატერიალური შესაძლებლობები გააჩნია, ყოველთვის შეუძლიათ გაერთიანდნენ და გამოაძევეონ ისინი, რომელთა შესაძლებლობები უფრო შეზღუდულია, თუ კი არ არსებობს პოლიტიკური თავისუფლებების ადექვატური ღირებულებების არავითარი გარანტია.

ეს რაზე მიგვითითებს? თუ არა ძალადობრივი ვხით რეჟიმისა თუ ხელისუფლების დამხობაზე და თანაც ვის მიერ, მდიდართა მიერ!

ჩვენ არასდროს არ შეგვიძლია დარწმუნებულები ვიყოთ, რომ განსხვავებულობის პრინციპის მიერ გამოწვეული უთანასწორობა იმდენად მცირე მასშტაბის იქნება, რომ ხელს შეუშლის ამგვარ მოვლენებს. ცხადია, სამართლიანობის მეორე პრინციპის არარსებობის შემთხვევაში, შედეგი ისეთი იქნება, როგორც წელან ვახსენეთ. რადგან პოლიტიკური პროცესების მოქმედების შეზღუდული არეალი შედეგად იმას იძლევა, რომ ჩვენი პოლიტიკური უფლებების სარგებლიანობა, გაცილებით, მეტად არის ჩვენს მდგომარეობაზე და ჩვენს ადგილზე, -შემოსავლებისა და სიმდიდრის განაწილების პროცესზე, - დამოკიდებული, ვიდრე ჩვენი ძირითადი თავისუფლებების სარგებლიანობა. გარდა ამისა, როდესაც ვფიქრობთ პოლიტიკური პროცესის განსაკუთრებულ როლზე, იმ კანონებსა და პოლიტიკის შემუშავებაში, რომელიც არეგულირებს ძირითადი სტრუქტურების მუშაობას, სრულიადაც არ მოჩანს არადამაჯერებლად ის ფაქტი, რომ მხოლოდ ასეთი თავისუფლებები ღებულობენ ადექვატური ღირებულების გარანტიას, რადგან ასეთი გარანტია ბუნებრივი შუალედი, ერთის მხრივ, ფორმალურ თავისუფლებებსა და, მეორეს

მხრივ, ძირითადი თავისუფლებების რაღაც, უფრო ფართო გარანტიას შორის. ...

და ბოლოს, ჩვენ განვმარტოთ, თუ რატომ გვჭირდება განსაკუთრებული მიდგომა პოლიტიკური თავისუფლებების მიმართ, ანუ რატომ გვჭირდება გარანტიები მათი ადექვატური ღირებულებისათვის. ამის მიზეზი ის არის, რომ პოლიტიკური ცხოვრება და ყველა ადამიანის მონაწილეობა დემოკრატიულ თვითმმართველობაში რაღაც განსაკუთრებულ სათნოებად არის მიჩნეული აბსოლიტურად ავტონომიური მოქალაქეებისათვის. პირიქით, პოლიტიკური ცხოვრებისათვის ცენტრალური ადგილის მიკუთვნება მხოლოდ ერთ-ერთი სათნოებაა სხვა, მრავალს შორის. თუ კი მხედველობაში მივიღებთ თანამედროვე სახელმწიფოების მასშტაბებს, პოლიტიკურ თავისუფლებებს გაცილებით ნაკლები ადგილი ენიჭებათ მოქალაქეთა უმრავლესობის წარმოდგენებში სიკეთის შესახებ, ვიდრე, სხვა ძირითად თავისუფლებებს. პოლიტიკური თავისუფლების ადექვატური ღირებულების გარანტია იმიტომ არის სამართლიანობის პირველი პრინციპის შემადგენლობაში ჩართული, რომ ეს სრულიად აუცილებელია სამართლიანი კანონმდებლობისა და კონსტიტუციური წყობის უზრუნველსაყოფად, რომელიც წარმართავს პოლიტიკურ პროცესს და თანაბარ პირობებს შექმნის უკლებლივ ყველა მოქალაქისათვის. **იდეა იმაში მდგომარეობს, რომ საზოგადოების ძირითად სტრუქტურაში ჩაიდოს ისეთი ეფექტური პოლიტიკური პროცედურები, რომელიც სამართლიანი წარმომადგენლობის საშუალებას მისცემს ყველა მოქალაქეს.**

ფაქტობრივად, ეს არის ამერიკის შეერთებული შტატების საგარეო პოლიტიკა, თუ როგორ უნდა მოიყვანონ სხვა ქვეყნების ხელისუფლებაში მათთვის მისაღები ფსევდო ლიბერალური ძალები, რამეთუ შემუშავებულია იგი მათი ოფიციალურ პირების მიერ, სპეციალურად, სოციალისტური ბანაკის ქვეყნებისათვის, როგორც ალენ დალესის დამანგრეველი პოლიტიკის უშუალო გაგრძელება.

სწორედ, ამ პროცედურების სამართლიანობა, შემაგრებული პოლიტიკური თავისუფლების ადექვატური ღირებულებით, კომბინირებული სამართლიანობის მეორე პრინციპთან (განსხვა-

ვებულობის პრინციპთან), გვამღევს საშუალებას გავცეთ პასუხი კითხვაზე, თუ რატომ არ არის ძირითადი თავისუფლებები, მხოლოდ და მხოლოდ, ფორმალობა.52

8).ძირითადი თავისუფლებების ადექვატური სისტემა. ახლა მე ვუბრუნდები საკითხს, თუ როგორ უნდა შევავსოთ მეორე ხარვეზი. გავიხსენოთ, რომ მისი წარმოშობის მიზეზი იმ კრიტერიუმების უქონლობაა, რომელთა მიხედვითაც უნდა მოხდეს თავისუფლებათა დაკონკრეტება და, მომდევნო ეტაპზე მათი ერთმანეთთან დაკავშირება. ჩვენი მიზანია, საზოგადოებრივი მოვლენების ფონზე, ჩამოვაცალიბოთ ძირითადი თავისუფლებების საუკეთესო ან, სულ მცირე, სრულიად ადექვატური სისტემა. **“თეორიაში“ ჩამოყალიბებული ერთ-ერთი კრიტერიუმის მიხედვით, ძირითადი თავისუფლებების სტრუქტურა იმგვარად უნდა განისაზღვროს, რომ შედეგად მივიღოთ ამ თავისუფლებების მაქსიმალურად ექსტენსიური სისტემა.** ეს კრიტერიუმები წმინდა წყლის რაოდენობრივი კრიტერიუმებია და მნიშვნელობის მიხედვით, არ ანსხვავებს ერთმანეთისაგან ამა თუ იმ შემთხვევას. უფრო მეტიც, იგი საკმაოდ იშვიათ შემთხვევაში გამოიყენება ხოლმე... **“თეორიაში“ ჩამოყალიბებული მეორე კრიტერიუმის თანახმად, სამართლიანობის პრინციპის ცხოვრებაში გამოყენების იდეალური მოდელი ის იქნებოდა, თუ ავიღებდით თანასწორ მოქალაქეთა შეხედულებებს და თავისუფლებათა სისტემას მომდევნო ეტაპების გადასახედიდან დანახული მოქალაქეთა რაციონალური ინტერესების შუქზე მოვაწესრიგებდით.** მაგრამ ჰარტის აზრით, ამ ინტერესთა შინაარსი არ ყოფილა საკმარისად კარგად განსაზღვრული საიმისოდ, რომ იგი კრიტერიუმად გამოგვეყენებინა. ნებისმიერ შემთხვევაში, კრიტერიუმები, როგორც ჩანს, ერთმანეთთან წინააღმდეგობაშია და თავისუფლებათა საუკეთესო სისტემაც კი არ არის, როგორც ამბობენ, ექსტენსიური.

ახლა, მე უნდა გავფანტო კრიტერიუმების ირტგვლივ არსებული გაუგებრობის ბურუსი. მეტად მაცდუნებლად მოჩანს იმის ფიქრი, რომ, სასურველი კრიტერიუმის საფუძველზე, ჩვენ უნდა გვქონდეს შესაძლებლობა ჩამოვაცალიბოთ ძირითადი თავისუფლებების საუკეთესო, ან თუნდაც, ყველაზე ოპტიმალური სისტემა. ხოლო აქედან, თავის მხრივ, გამომდინარეობს, რომ არ-

სებობს ისეთი რამ, რისი მაქსიმალიზაციაც შეიძლება ძირითადი თავისუფლებების სისტემის შაშუალებით. სხვაგვარად, როგორ იქნებოდა შესაძლებელი საუკეთესო სისტემის ჩამოყალიბება? მაგრამ, რეალურად, ჩვენს წინა მსჯელობაში იმის შესახებ, თუ როგორ უნდა შევავსოთ პირველი ხარვეზი, იგულისხმება ის ფაქტი, რომ ძირითადი თავისუფლებების სისტემა არ არის შექმნილი ისე, რომ მას შეეძლოს რაიმეს მაქსიმალიზაცია, კერძოდ კი, მორალური თვისებების განვითარება და უტილიზაცია. ეს თავისუფლებები და მათი პრიორიტეტები, უბრალოდ, ისეთ პირობებს ქმნის მოქალაქეთათვის, რომ მათ შეეძლოთ თავისუფლად და სრულად განავითარონ, და გამოიყენონ თავიანთი მორალური თვისებები. ასეთ პირობებს მე „ორ ფუნდამენტალურ შემთხვევას“ ვუწოდებ.

ამ შემთხვევათაგან, პირველი უკავშირდება ადამიანის უნარს ჰქონდეს სამართლიანობის გრძნობა. იგი გვამცნობს, თუ როგორ უნდა მიესადაგოს სამართლიანობის პრინციპები ძირითად სტრუქტურასა და სოციალური პოლიტიკის საკითხებს. ამ სათაურშივე შედის, აგრეთვე, პოლიტიკური თავისუფლებებისა და აზროვნების თავისუფლების ცნებები. მეორე ფუნდამენტალური შემთხვევა დაკავშირებულია ადამიანის უნართან, ჰქონდეს სიკეთის უნარი. იგი გვამცნობს, თუ როგორ ხდება გონების მიერ ჩვენი ქცევის მართვა მთელი სიცოცხლის განმავლობაში. ამ სათაურში ერთიანდება სინდისისა და გაერთიანებების თავისუფლება. ფუნდამენტური შემთხვევის დამახასიათებელი თვისება იმ საკითხების მასშტაბი და ხასიათია, რომლის მისამართითაც ხდება სამართლიანობის პრინციპებისა და გონების გამოყენება. ფუნდამენტური შემთხვევის ცნება საშუალებას გვაძლევს, განვსაზღვროთ თავისუფლების მნიშვნელობის ცნება, რომელიც გვეხმარება იმის დადგენაში, თუ როგორ უნდა შეივსოს მეორე ხარვეზები.

– შედეგი ის იქნება, რომ მომდევნო ეტაპებზე, კრიტერიუმის საშუალებით, ჩვენ შევძლებთ ისე განვსაზღვროთ და შევცვალოთ ძირითადი თავისუფლებები, რომ შეიქმნას სათანადო პირობები ორი მორალური თვისების განვითარებისა და უტილიზაციისათვის, ისეთი სოციალური მოვლენების ფონზე, რომლებიც ორგანიზებულ საზოგადოებაში ორ ფუნდამენტურ შემთხვევას წა-

რმოშობს. თავისუფლების, სწორედ, ასეთ სისტემას ვუწოდებ მე „სრულიად ადექვატურ სისტემას“. ასეთი კრიტერიუმი შეესაბამება მეორე, ადრე ნახსენებ კრიტერიუმს, რომელიც თავისუფლებათა სისტემას, თავისუფალი მოქალაქეების წარმომადგენლობის რაციონალური ინტერესების შესაბამისად არეგულირებს. რადგან იმ საფუძვლებისაგან, რომელზე დაყრდნობითაც იღებენ საწყის პოზიციაში მყოფი მხარეები სამართლიანობის ორ პრინციპს, ის გამომდინარეობს, რომ ამ ინტერესებს, დანახულს მომდევნო ეტაპის გადასახედიდან, ყველაზე უკეთ, სწორედ სრულიად ადექვატური სისტემა ემსახურება. მაშასადამე, მეორე ხარვეზიც ისეთივე წესით შეივსო, როგორითაც პირველი.

ახლა, რაც შეეხება მაქსიმალიზაციის იდეას, ორი მიზეზი არსებობს იმისა, თუ რატომ არ ხერხდება ამ იდეის მისადაგება ძირითადი თავისუფლებების სისტემასთან, ამ უკანასკნელის ჩამოყალიბების პროცესში. ჯერ ერთი, არ არის კარგად განსაზღვრული, თუ რისი მაქსიმალიზაცია უნდა მოხდეს. ჩვენ არ შეგვიძლია, ერთბაშად, ორივე მორალური თვისების მაქსიმალიზაცია. როგორ შეგვიძლია ჩვენ, თავისთავად, რომელიმე ამ თვისების განვითარებისა და უტილიზაციის მაქსიმალიზაცია? განა შეგვიძლია თანაბარი საგნების ან სიკეთის იდეის შესახებ გარკვეული წარმოდგენების მაქსიმალიზაცია? ეს აბსურდი იქნებოდა. უფრო მეტიც, ჩვენ არც ამ თვისებების მაქსიმალური განვითარების იდეა გაგვაჩნია. **რაც ჩვენ გაგვაჩნია, არის მხოლოდ კარგად ორგანიზებული საზოგადოების იდეა, რომელსაც გარკვეული ზოგადი ნიშნები და ძირითადი ინსტიტუტები გააჩნია.** სწორედ, ამ იდეაზე დაყრდნობით ვაყალიბებთ ჩვენ მორალური თვისებების განვითარებისა და უტილიზაციის კონცეპციას, რომელიც ორი ფუნდამენტალური შემთხვევის ადექვატურია და სრულიად შეესაბამება ამ უკანასკნელს.

მეორე მიზეზი, თუ რატომაა შეუძლებელი მაქსიმალიზაციის იდეის გამოყენება არის ის, რომ ორი მორალური თვისებით არ ამოიწურება პიროვნების შესაძლებლობები. მას კიდევ, გარკვეული წარმოდგენაც გააჩნია სიკეთის შესახებ. გავიხსენოთ, რომ ამგვარი წარმოდგენების შემადგენლობაში შედის გარკვეული მიზნები და ინტერესები, სიმპათიები და გრძნობები ადამიანებისა და ჯგუფების მიმართ. აგრეთვე, სამყაროს ხედვა ამ მიზ-

ნებისა და გრძნობების შუქზე. მოქალაქეებს, რომ არ ჰქონდეთ გარკვეული წარმოდგენები სიკეთის იდეის შესახებ, რომელთა რეალიზაცია მათ უპირველეს მიზანს წარმოადგენს, არც სამართლიან სოციალურ ინსტიტუტებსა და კარგად ორგანიზებული საზოგადოების არსებობას ექნებოდა ფასი. ეჭვი არ არის, მორალური თვისებების განვითარებისა და უტილიზაციის საფუძვლები მტკიცედ აქეზებენ საწყისი პოზიციის მხარეებს იმისკენ, რომ მათ აღიარონ ძირითადი თავისუფლებები და პრიორიტეტი მიაჩნონ მათ. მაგრამ, რაც არ უნდა დიდი იყოს ამ საფუძვლების წონა მხარეთა თვალში, ეს არ ნიშნავს იმას, რომ საზოგადოების წევრთა მიერ თავიანთ თავში მორალური თვისებების გამომუშავება ან უტილიზაცია სიკეთის საუკეთესო, ან ერთადერთი ფორმა იყოს. პირიქით, ამ თვისებების როლი და გამოყენების ფაქტი (შესაბამის შემთხვევაში) სიკეთის მხოლოდ პირობას წარმოადგენს. მოქალაქეების ვალია სამართლიანად და რაციონალურად მოიქცნენ ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში. კერძოდ, როგორც კანტი იტყოდა, მათი მხრიდან, სამართლიანი და პატივისცემი (და ავტონომიური) საქციელი ბედნიერების ღირსად გახდიდა მათ, მათ მიღწევებს თავყვანისცემის ობიექტად, ხოლო სიამ-ტკბილობას, -აქცევდა სათნოებად. მაგრამ სიგიჟე იქნებოდა სამართლიანი და რაციონალური საქციელის მაქსიმალიზაცია იმ შემთხვევის მაქსიმალიზაციის საშუალებით, რომელიც ასეთ საქციელს მოითხოვს. 53

რეზიუმე. *ჯონ როულსის წიგნს „სამართლიანობის თეორიას“ ნეოლიბერალურ იდეოლოგიაში, უმნიშვნელოვანესი ადგილი უკავია ისაია ბერლინის ნაშრომის შემდეგ, რასთან დაკავშირებითაც შევეცადეთ, რაც შეიძლება სრულყოფილად წარმოგვეჩინა იგი. ძირითადად, მას გახსნილი აქვს ნეოლიბერალური საზოგადოების ჩამოყალიბების პოლიტიკური ტექნოლოგია, და როგორ უნდა გამოიყურებოდნენ ეს საზოგადოებები შიგნიდან. საფუძვლად მიჩნეული აქვს ადამიანის ძირითადი თავისუფლებები და მათი პრიორიტეტები; როგორ უნდა მოხდეს მათი დადგენა და შემდეგ წინ წაწევა, რისთვისაც შემუშავებული აქვს ღერძად სამართლიანობის პრინციპები. განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებს პლურალიზმის დაშვებას საზოგადოებრივ ცხოვრებაში, როგორც განსხვავებულ მხარეთაგან მაქსიმალურად სიკეთის ამოღების მექანიზმზე. ადამიანის ძირითადი*

უფლებები და თავისუფლებები მიჩნეული აქვს პირველად სიკეთეებად, შემდგომი აღმშენებლობის საქმეში. რაც მეტად გვანტერესებს კრიტიკის კუთხით, ისაა, რომ სიტყვა „დემოკრატია“ ბევრ ადგილს გამოყენებულია უაზროთ, რამეთუ ნეოლიბერალიზმის შემოთავაზებულ ვარიანტში არ არის, ან თუ არის ფრაგმენტალურად. უარყოფს საზოგადოებრივ სიკეთეს, მორალს თავისუფლებებთან მიმართებაში. გამოსჭვავის აზრი, რომ შემოთავაზებული რეჟიმი მუდმივ რეფორმირების პროცესში იქნება იმ მიმართულებით, რომ რაც შეიძლება თადითანობით და უფრო მეტად გაფართოვდეს ადამიანთა ძირითადი უფლებები და ძირითადი თავისუფლებები, რათა მეტად ავტონომიური და ხელშეუვალი გახდეს ადამიანი. გრჩება შთაბეჭდილება, რომ როულსის თეორია მიმართულია ადამიანის მუდმივი მოდელირებისაკენ, რაც მას დააკარგვინებს ბუნებრივ სახეს. გვთავაზობს ფსევდო წარმომადგენლობითი ინსტიტუტი იყოს ხალხისგან მოწყვეტილი და რომ მათგან ფარულად „უმეცრების საფარ ქვეშ“ აწრმოებდეს მათ საქმეებს. მისი პოლიტიკა მიმართულია ცენტრალური ხელისუფლების დასუსტებისაკენ და რომ საზოგადოებაშიც არ იყოს ერთობა. მოჩანს, რომ ეს მოძღვრება შექმნილია პოსტსაბჭოთა სივრცისთვის. მისი ეს დოქტრინა აშკარად განსხვავდება XIX-ე საუკუნის ევროპული ლიბერალური თვალსაზრისისგან.

6. რობერტ ნოზიკი, (1938-2002), ებრაელი, ჰარვარდის უნივერსიტეტის პროფესორი, აშშ-ს ფილოსოფოსთა ასოციაციის პრეზიდენტი, 1974 წ-ს გამოცემული წიგნიდან: „ანარქია, სახელმწიფო და უტოპია“, - „დისტრიბუციული სამართლიანობა“

... ამ თავში ჩვენ განვიხილავთ ჰიპოთეზას, რომლის თანახმად, დიდი სახელმწიფოს გამართლება ამ ქვეყნად ის არის, რომ იგია დისტრიბუციული სამართლიანობის დამკვიდრების ყველაზე აუცილებელი (ან საუკეთესო) საშუალება. მომდევნო თავებში

ჩვენ სხვა ჰიპოთეზებსაც განვიხილავთ.

ტერმინი „დისტრიბუციული სამართლიანობა“ სრულიადაც არ არის ნეიტრალური ცნება. სიტყვაში „დეისტრიბუცია“ (განაწილება), ადამიანების უმრავლესობას ესმის რაღაც ნივთებისა თუ რესურსების დარიგება, გარკვეული პრინციპებისა და კრიტერიუმების შესაბამისად. განაწილების ამ პროცესში შეიძლება გარკვეული შეცდომებიც დაუშვათ. ამდენად, ღიად რჩება საკითხი, საჭიროა თუ არა, ასეთ შემთხვევაში, რედისტრიბუცია (გადანაწილება), ანუ გვმართებს თუ არა ჩვენ თავიდან გავაკეთოთ ის, რაც ერთხელ უკვე გავაკეთეთ, თუმცა ცუდად. ... არ არსებობს დისტრიბუციის რაიმე ცენტრალური სისტემა. არავინ არის ისეთი პიროვნება თუ ჯგუფი, რომელსაც უფლება აქვს აკონტროლოს და გადაწყვიტოს, თუ რა წესით უნდა მოხდეს ამ მთელი რესურსების განაწილება. თითოეული პიროვნება რაღაცას იღებს იმის სანაცვლოდ, რაც მან გაცვალა, ან საჩუქრად გასცა. თავისუფალ საზოგადოებაში სხვადასხვა ადამიანები სხვადასხვა რესურსებს აკონტროლებენ და ახალი საკუთრება, მხოლოდ თავისუფალი გაცვლისა და ადამიანთა ნებაყოფილობით გარიგების შედეგად მოიპოვება. წილის განაწილება ძლიერ ჰგავს და, არსებითად იმ მოვლენაზე მეტი არ არის, როდესაც პიროვნება ირჩევს, თუ ვისზე დაქორწინდეს. საბოლოო შედეგი ბევრი ინდივიდუალური გადაწყვეტილების ერთობლივი პროდუქტია და მათი მიღება თითოეული ინდივიდის უფლებაა, ... ჩვენ საუბარი ადამიანის საკუთრებაზე გვექნება. საკუთრებასთან დაკავშირებული სამართლიანობის პრინციპი განგვიმარტავს, თუ რას მოითხოვს საკუთრებასთან მიმართებაში ჩვენგან სამართლიანობა... უპირველესი ყოვლისა ვისაუბრებ, თუ რა მიმაჩნია სწორად საკუთრების სამართლიანობასთან დაკავშირებით, ხოლო შემდეგ კი, ალტერნატიული თვალსაზრისითაც განვიხილავ.

ა) საკუთრების უფლების თეორია, ნაწ.1. საკუთრების სამართლიანობის იდეა სამ ძირითად თემას მოიცავს. მათგან პირველია, საკუთრების თავდაპირველად შექმნა, ანუ ნივთის მოპოვება, რომელიც მანამდე არ წარმოადგენდა ჩვენს საკუთრებას. ამ შემთხვევაში, ასეთი კითხვები წარმოიშვება: როგორი გზით შეიძლება იმ ნივთების საკუთრებად ქცევა, რომლებიც არ წარმოადგენდა ჩვენს საკუთრებას; როგორია ის პროცედურები,

რომელთა მეშვეობითაც ვიძენთ ნივთებს, რომლებიც არ იყო მანამდე ჩვენი საკუთრება; რა სახის ნივთებია, რომლებსაც ვიძენთ ამ პროცედურების შედეგად; რა მამატაბის საკუთრებას ვიძენთ და ა.შ. ამ საკითხთან დაკავშირებით, რთულ კომპლექსს ჭეშმარიტებისა, რომლის ფორმულირებასაც აქ არ შევუდგებით, ჩვენ ვუწოდებთ საკუთრების მოპოვების სამართლიანობის პრინციპს. მეორე თემა მოიცავს საკუთრების გადაცემის პრობლემას ერთი პირიდან მეორეზე. ამ შემთხვევაში, ასეთ კითხვებს ვაწყდებით: როგორი პროცედურების საშუალებით შეუძლია ერთ პირს გადასცეს საკუთრება მეორეს? როგორ შეუძლია პიროვნებას შეიძინოს საკუთრება მეორე პირისაგან, რომელიც ამ საკუთრების მფლობელია? ამ თემასთან დაკავშირებით, საქმე გვექნება ისეთ ცნებებთან, როგორცაა, ერთის მხრივ ნებაყოფილობითი გაცვლა, საჩუქარი და მეორეს მხრივ, თაღლითობა, ისევე, როგორც კონკრეტულ, კონვენციონალურ დეტალებთან, რომლებიც მოცემულ საზოგადოებაშია მიღებული. ჭეშმარიტებათა ამ კომპლექსს საკუთრების გადაცემის სამართლიანობის პრინციპი ეწოდება. ჩვენი აზრით ამავე კომპლექსში შედის ის საკითხებიც, თუ როგორ შეუძლია პიროვნებას განკარგოს თავისი საკუთრება და სხვას გადასცეს იგი საკუთრებაში.

სამყარო, სამართლიანობის პრინციპზე რომ ყოფილიყო აგებული, საკუთრების სამართლიანობა მთლიანად ამ განსაზღვრების ქვეშ მოექცეოდა:

1) თუ კი პიროვნება საკუთრებას იძენს საკუთრების მოპოვების სამართლიანობის პრინციპის საფუძველზე, მას სრული უფლება აქვს ამ საკუთრებაზე;

2) თუ კი პიროვნება საკუთრებას იძენს საკუთრების გადაცემის სამართლიანობის პრინციპების საფუძველზე და იძენს იმ პირისაგან, რომელსაც სრული უფლება ჰქონდა ამ საკუთრებაზე, მას სრული უფლება აქვს ამ საკუთრებაზე;

არავის აქვს უფლება საკუთრებაზე, თუ კი იგი არ არის შემენილი იმ წესით, რომელიც პირველი და მეორე პუნქტებშია განსაზღვრული.

დისტრიბუცია სამართლიანია, თუკი იგი გამომდინარეობს, სრულიად კანონიერ საფუძველზე, სხვა სამართლიანი დისტრიბუციისაგან. ერთი დისტრიბუციიდან მეორეზე გადასვლის

კანონიერებას საკუთრების გადაცემის სამართლიანობის პრინციპი განსაზღვრავს. ხოლო, ამ კანონიერი „გადასვლის,, პირველ ეტაპს კი -საკუთრების მოპოვების სამართლიანობის პრინციპი. სამართლიანია, თავისთავად, ყოველივე, რასაც არ უნდა წარმოადგენდეს იგი, რაც სამართლიანი პირობებისა და სამართლიანი ზომების შედეგია. **თუ კი ცვლილებები საკუთრების გადაცემის სამართლიანობის პრინციპის შესაბამისად ხორციელდება, სამართლიანობა დაცულია....** საერთოდ, ნებისმიერი სიტუაცია, რომელიც სამართლიანი სიტუაციისაგან გამომდინარეობს და საკუთრების გადასვლის სამართლიანობის პრინციპის მიერ რეგულირებადი ფორმებისაგანაა წარმოებული, თავისთავად, სამართლიანია....

...წარსული უსამართლობის არსებობა (საკუთრების ფლობის სამართლიანობის პრინციპების დარღვევა წარსულში) საკუთრების ფლობის სამართლიანობასთან დაკავშირებით, მესამე ძირითად თემას წარმოშობს. ეს არის უსამართლობის დამღევა. თუ კი, საკუთრებასთან დაკავშირებით, წარსულში მომხდარი უსამართლობის შედეგად, აწინდელი მდგომარეობა მივიღეთ, რომელშიც ბევრი რამ გარკვეულია, მაგრამ ბევრიც გაურკვეველი, რა შეგვიძლია ვიღონოთ ჩვენ (თუ კი საერთოდ რაიმე შეგვიძლია ვიღონოთ) იმისათვის, რომ დავძლიოთ ეს უსამართლობა? რა სახის ვალდებულებები გააჩნიათ უსამართლობის ჩამდენთ, იმ პირების მიმართ, რომელთა მდგომარეობა გაცილებით უარესია, იმასთან შედარებით, რაც იქნებოდა იმ შემთხვევაში, უსამართლობა რომ არ ჩადენილიყო? ანდა, დროულად რომ გადახდილიყო შესაბამისი კომპენსაცია? როგორ უნდა მოვიქცეთ იმ შემთხვევაში, როდესაც არცერთი მხარე-არც დაზარალებული და არც მომგებიან მდგომარეობაში მყოფი - არ წარმოადგენს უსამართლობის აქტის უშუალო მხარეს, არამედ, მაგალითად, ამგვარი მხარეების შთამომავლები არიან? აქვს თუ არა ადგილი უსამართლობას, რომელიმე ადამიანის მიმართ, თუკი მისი ქონება, თავისთავად, გამოუსწორებელი უსამართლობის ნაყოფია? რამდენად შორს შეგვიძლია წავიდეთ ისტორიულ წარსულში, რათა გამოვიკვლიოთ ჩადენილი უსამართლობა. მაგალითად, იმ პირების მიერ, რომლებიც ხელისუფლების სახელით მოქმედებენ? მე არ ვიცი, თუ რომელ თეორიულ საფუძველზე შეიძლება ამ პრობლემების მოგვარება. იდეალურ შემთხვევაში ჩვენ შეგვიძლია,

ე.წ. უსამართლობის დაძლევის პრინციპები შევიმუშაოთ. ამ პრინციპების საფუძველს წარმოადგენს საკუთრების ისტორიული ცოდნა, წარსულში არსებული სიტუაციებისა და მომხდარი უსამართლობის (რომლებიც განისაზღვრება სამართლიანობის პირველი ორი პრინციპისა და გარედან ჩაურევლობის უფლების საფუძველზე) შესახებ. აგრეთვე, იმ მოვლენათა წყების შესახებ, რომლებიც ამ უსამართლობას მოყვა. სანამ, საბოლოოდ, არ მივიღებთ იმ სიტუაციას, საკუთრებასთან დაკავშირებით, რომელიც ამჟამად არსებობს. სავარაუდოა, რომ უსამართლობის დაძლევის პრინციპი მაქსიმალურად გამოიყენებს მის ხელთ არსებულ ინფორმაციას, თუ რა შეიძლებოდა მომხდარიყო (ან გამოთვლის, მოსალოდნელი ღირებულების საფუძველზე, დისტრიბუციის შესაძლო ვარიანტებს, იმასთან დაკავშირებით, რაც შეიძლებოდა მომხდარიყო), უსამართლობას რომ არ ჰქონოდა ადგილი. თუ კი საკუთრების არსებული აღწერილობა, როგორც ირკვევა, არ არის ერთ-ერთი იმ აღწერილობათაგანი, რომელსაც პრინციპი იძლევა, მაშინ უნდა მოხდეს ერთ-ერთი მოცემული აღწერილობის რეალიზაცია.

საკუთრების ფლობის თეორიის ზოგადი იდეა ის არის, რომ პიროვნების საკუთრება სამართლიანია იმ შემთხვევაში, როდესაც მას აქვს ამ საკუთრების უფლება სამთაგან ერთ-ერთი პრინციპის საფუძველზე. ეს პრინციპებია: საკუთრების მოპოვების სამართლიანობის პრინციპი, საკუთრების გადაცემის სამართლიანობის პრინციპი და უსამართლობის დაძლევის პრინციპი. თუ კი სამართლიანია პიროვნების თითოეული საკუთრება, მაშინ სამართლიანია ამ საკუთრებათა მთელი კომპლექტიც (დისტრიბუცია). იმისათვის, რომ ეს ზოგადი იდეა კონკრეტულ თეორიად გადავაქციოთ, ჩვენ უნდა დავაზუსტოთ საკუთრების ფლობის სამივე პრინციპის -საკუთრების მოპოვების, და გადაცემის, ასევე, უსამართლობის დაძლევის პრინციპის -დეტალები.³⁹

ბ). ისტორიული და საბოლოო შედეგის პრინციპები. ზემოთ ჩამოყალიბებული საკუთრების უფლების თეორიის საფუძვლები ნათლად მიუთითებენ დისტრიბუციული სამართლიანობის სხვა პრინციპების ბუნებასა და ნაკლოვანებაზე. დისტრიბუციის სამართლიანობის შესახებ ეს კონკრეტული თეორია, ისტორიული ხასიათისაა, რადგან, ამ თეორიის მიხედ-

ვით, საკითხი, სამართლიანია თუ არა დისტრიბუცია, დამოკიდებულია იმ ფაქტებზე, თუ საიდან მომდინარეობს იგი. ამის სანაცვლოდ, თანამედროვეობაზე აგებული სამართლიანობის პრინციპი ღაღადებს, რომ დისტრიბუციის სამართლიანობა იმაზეა დამოკიდებული, თუ როგორ მოხდა ნივთების დისტრიბუცია (ვის რა შეხვდა), თუ კი მის შეფასებას გარკვეული სტრუქტურული პრინციპის (პრინციპების) შესაბამისად მოვახდენთ. უტილიტარისტი, რომელიც ნებისმიერი ორი სახის დისტრიბუციას იმის მიხედვით აფასებს, თუ რომელს უფრო მეტი უტილიტარული ღირებულება გააჩნია, ხოლო თანაბარი ღირებულების შემთხვევაში, თანაბარი დისტრიბუციის განსაზღვრისათვის, გარკვეულ ფიქსირებულ კრიტერიუმს იყენებს, სწორედ ამგვარ, თანამედროვეობაზე დაფუძნებული, სამართლიანობის პრინციპს ეყრდნობა. ასევე იქცევა ნებისმიერი პირი, რომელსაც ფიქსირებული შეფასებითი მოდელები გააჩნია ბედნიერებასა და თანასწორობასთან მიმართებაში. თანამედროვეობაზე დამყარებული სამართლიანობის პრინციპის თანახმად, უმთავრესი, რასაც ყურადღება უნდა მიექცეს, როდესაც საუბარია დისტრიბუციის სამართლიანობაზე, არის ის, თუ ვის რა შეხვდა საბოლოო ჯამში. როდესაც ერთმანეთს ვადარებთ ნებისმიერ ორ დისტრიბუციას, ერთადერთი, რაც ჩვენ გვევალება ის არის, რომ დისტრიბუციის ფორმას ჩავუღრმავდეთ. სამართლიანობის პრინციპს სხვა ინფორმაცია არ ესაჭიროება. სამართლიანობის ამგვარი პრინციპის უცილობელი შედეგი ის არის, რომ სტრუქტურულად იდენტური დისტრიბუციები, აუცილებლად, თანაბრად სამართლიანია..... სოციალურად ორიენტირებული ეკონომიკური თეორია, სწორედ, თანამედროვეობაზე აგებული სამართლიანობის პრინციპებზეა დაფუძნებული.

... დისტრიბუცია უსამართლოა, თუ იგი არ აძლევს მუშებს იმას, რისი უფლებაც მათ გააჩნიათ. არცერთი სოციალისტი, რომელიც იზიარებს ამ აზრს, არ დარჩება კმაყოფილი, თუ კი ვეტყვით, რომ, რადგან დისტრიბუცია A სტრუქტურულად იგივეა, რაც დისტრიბუცია D, რომელიც მის ინტერესებშია. ამიტომ A არანაკლებ სამართლიანია, ვიდრე D. განსხვავება მხოლოდ იმაშია, რომ კაპიტალის „პარაზიტი“ მფლობელები A-ს შემთხვევაში იღებენ ყოველივე იმას, რისი უფლებაც აქვთ მუშებს D-ს პირობებში და A-ს შემთხვევაში მუშები იმასვე ღებულობენ, რისი უფლებაც აქვთ

კაპიტალის მეპატრონეებს D-ს პირობებში, ანუ -ძალიან მცირეს. ეს სოციალისტი, ჩემი აზრით, სრულიად სამართლიანად ემყარება ისეთ ცნებებს, როგორცაა გამომუშავება, წარმოება, უფლება, დამსახურება და ა.შ. იგი უარყოფს თანამედროვეობაზე აგებულ პრინციპებს, რომლებიც მხოლოდ საბოლოო შედეგზე ამახვილებენ ყურადღებას (საიდან მომდინარეობს კონკრეტული საკუთრება? განა უაზრობა არ არის ის, რომ არავითარი მნიშვნელობა არ აქვს, თუ საიდან მომდინარეობს საკუთრება, როდესაც იგი ვიღაც კონკრეტულ პირს უპყრია ხელთ?). მისი შეცდომაც სწორედ ის არის, როდესაც სვამს კითხვას, თუ რა სახის საწარმოო პროცესები წარმოშობს საკუთრების უფლებას.

პოზიცია, რომლის შესახებაც ჩვენ ვმსჯელობთ, მეტისმეტად, ვიწროდ გვეჩვენება თანამედროვეობაზე აგებული პრინციპის ფარგლებში. არაფერი იცვლება იმ შემთხვევაში, თუ კი სტრუქტურული პრინციპები თანამედროვეობაზე აგებული პროცედურების მიმდევრობაზეა დაფუძნებული. და თუ კი, ამჟამად, ისინი მეტს ვინმეს აძლევენ, მხოლოდ იმიტომ, რომ ამით სურთ, გააწონასწორონ ადრე გაცემული ნაკლები. ნებისმიერი უტილიტარისტი, ეგალიტარისტი, ან ერთდროულად, ამ ორი მიმდინარეობის მიმდევარი, აუცილებლად, შეითვისებს მემკვიდრეობაში თავისი ბეცი ამხანაგების დეფექტებს. მას არ უშველის ის ფაქტი, რომ რომელიმე სხვა ინფორმაცია, რომელსაც სხვები საჭიროდ მიიჩნევენ დისტრიბუციის შესაფასებლად, ძველ ომებშია ასახული. ამიტომ, დისტრიბუციული სამართლიანობის ამ არაისტორიულ პრინციპებს თანამედროვეობაზე აგებული პრინციპის ჩათვლით, ჩვენ „საბოლოო შედეგის“ ან „საბოლოო მდგომარეობის“ პრინციპებს ვუწოდებთ.

საბოლოო შედეგის პრინციპებისაგან განსხვავებით, სამართლიანობის ისტორიული პრინციპები გულისხმობენ, რომ წარსულ მოვლენებსა და აქტებს განსხვავებული უფლებები და დამსახურებები მოაქვთ ადამიანებისათვის, საგნებთან მიმართებაში. ადვილი შესაძლებელია, რომ ჩადენილ იქნას უსამართლობა დისტრიბუციის ერთ ფორმიდან მეორეზე, თუნდაც სტრუქტურულად იდენტურზე გადასვლის დროს, თუ კი ეს უკანასკნელი არღვევს ადამიანთა უფლებებს და არად აგდებს მათ დამსახურებებს. ამდენად, იგი შესაძლებელია ეწინააღმდეგებოდეს ისტო-

გ) მოდელები, სამართლიანობის პრინციპები, რომლებიც საკუთრების უფლებასთან არის კავშირში და რომლებზედაც ზემოთ გვექონდა საუბარი, სამართლიანობის ისტორიული პრინციპებია. იმისათვის, რომ უკეთ დავადგინოთ მათი ხასიათი, ჩვენ მოგვიწევს გამოვყოთ ისინი ისტორიული პრინციპების მეორე ქვეკლასისაგან. განვიხილოთ, მაგალითად, დისტრიბუცია მორალური დამსახურების შესაბამისად. ამ სახის დისტრიბუციის პრინციპი მოითხოვს, რომ განაწილება პიროვნების მორალური დამსახურების შესაბამისად განხორციელდეს. არავინ არ უნდა მიიღოს უფრო მეტი წილი, ვიდრე ამას იმსახურებს. ანდა, ავიღოთ პრინციპი, რომელიც წინამორბედ პრინციპში „მორალურ დამსახურებას“ „საზოგადოებისათვის სარგებლიანობის“ პრინციპით ცვლის. ანდა, ნაცვლად პრინციპებისა-„დისტრიბუცია საზოგადოებისათვის სარგებლიანობის შესაბამისად“ და „დისტრიბუცია მორალური დამსახურების შესაბამისად“ ჩვენ, შეგვიძლია, ვიხმაროთ პრინციპი- „დისტრიბუცია მორალური დამსახურების, საზოგადოებისათვის სარგებლიანობისა და საჭიროების ჯამის შესაბამისად“, რომელთა წონა თანაბარი იქნებოდა. თუმცა, მათი განზომილებები ერთმანეთისაგან განსხვავდება. ნება მიბოძეთ, „მოდელირებული“ ვუწოდო იმ ტიპის დისტრიბუციას, თუკი იგი გულისხმობს, რომ **დისტრიბუცია უნდა იცვლებოდეს გარკვეული ბუნებრივი განზომილებების, ბუნებრივ განზომილებათა ჯამის, ან ბუნებრივი განზომილებების ლექსიკოგრაფიული წყობის ცვლილებასთან ერთად.** და ნება მომეცით, დავადგინო, რომ დისტრიბუცია მოდელირებულია, თუკი იგი გარკვეული მოდელირებული პრინციპების შესაბამისად ხორციელდება. ... დისტრიბუცია მორალური დამსახურების შესაბამისად მოდელირებული ისტორიული პრინციპია, რომელიც მოდელირებულ დისტრიბუციას განსაზღვრავს. მაგალითად, „განაწილეთ 1.03 კრიტერიუმის შესაბამისად“, რაც მოდელირებული პრინციპია, რომელიც ისეთ ინფორმაციას იღებს საფუძვლად, რომელიც არ ძევეს დისტრიბუციის მატერიალურ ფორმაში. ამავ დროს იგი არ არის ისტორიული პრინციპი, რადგან დისტრიბუციის წესის დასადგენად იგი არ ითვალისწინებს წარსულში განხორციელებულ აქტებს, რომლებმაც განსხვავებული უფლებები წარმოშვეს, ამა

თუ იმ, საკუთრების მიმართ. იგი მხოლოდ და მხოლოდ, დისტრიბუციის მატერიალურ ფორმებს ითვალისწინებს, რომელთა სვეტებში მხოლოდ 1.Q რაოდენობრივი მაჩვენებლები წერია. თუმცა, საზოგადოებაში დისტრიბუცია, შეიძლება, შედგებოდეს მარტივად მოდელირებული დისტრიბუციისაგან, მიუხედავად იმისა, რომ თვითონ ის, ადვილი შესაძლებელია, არ წარმოადგენდეს მარტივად მოდელირებულ დისტრიბუციას. საზოგადოების სხვადა-სხვა ნაწილში, შეიძლება სხვადასხვა მოდელები იყოს გავრცელებული, ან მოდელების გარკვეული კომბინაციები საზოგადოებაში, შეიძლება, განსხვავებული მასშტაბით მოქმედებდეს. დისტრიბუციას, რომელიც ამგვარი წესით არის შედგენილი, ანუ, რომელიც წვრილ-წვრილ მოდელირებულ დისტრიბუციას შეიცავს, ჩვენ ასევე „მოდელირებულ“ დისტრიბუციას ვუწოდებთ. საერთოდ, ჩვენ ვაფართოებთ სიტყვა „მოდელის“ მნიშვნელობას იმგვარად, რომ იგი მოიცავდეს საყოველთაო სტრუქტურებს, რომლებსაც საბოლოო შედეგის პრინციპების კომბინაციები გვთავაზობს.

დისტრიბუციული სამართლიანობის თითქმის ყველა შემოთავაზებული ვარიანტი მოდელირებულია. ამ ვარიანტებს შორის შეიძლება იყოს ისეთებიც თითოეულს მისი მორალური დამახურების, საჭიროების, საბოლოო პროდუქტის, ან ძალისხმევის შესაბამისად და ა.შ. მეორეს მხრივ, საკუთრების უფლების პრინციპი, როგორც ვნახეთ, არ არის მოდელირებული პრინციპი. არ არსებობს ისეთი ბუნებრივი განზომილება, მცირე ბუნებრივ განზომილებათა ერთობლიობა, ან კომბინაცია, რომელსაც შედეგად მოჰქონდეს დისტრიბუცია საკუთრების უფლების პრინციპის შესაბამისად. შეუძლებელია, საკუთრების მოდელირება იმ დროს, როდესაც ზოგიერთები თავიანთ საბოლოო პროდუქტს ღებულობენ, სხვები აზარტულ თამაშებში აგებენ, კიდევ სხვები ცოლების შემოსავლებით სარგებლობენ, საჩუქრებს ღებულობენ სხვადასხვა ფონდებისაგან, იგებენ პროცენტებს სესხისაგან, შემოსავალს ინვენსტიციისაგან, საჩუქრებს თაყვანისმცემლებისაგან. არიან ისეთებიც, რომლებიც განძს პოულობენ, ხოლო ზოგიერთნი კი მაქსიმალურად იყენებენ, რაც გააჩნიათ და ა.შ. მაშასადამე, აქ საქმე გვაქვს მოდელების დიდ სიმრავლესთან. საკუთრებათა სიმრავლე, დიდ წილად, სწორედ მოდელების სიმრავლით აიხსნება. თუკი ადამიანთა უმრავლესობა, უმრავლეს შემთხვევაში,

ირჩევს, რომ თავიანთი უფლებების გარკვეული ნაწილი სხვებს გადასცეს, მხოლოდ და მხოლოდ რაღაცის სანაცვლოდ. მაშინ დიდი ნაწილი იმისა, რასაც ადამიანები ფლობენ, განსხვავებული იქნება იმისაგან, რაც მათი აზრით, სხვებს სურდათ....

ფ. ჰაიეკის შრომებში, ჩვეულებრივ ნაკლები ყურადღება ეთმობა იმ საკთხს, თუ რას მოითხოვს დისტრიბუციული სამართლიანობა. როგორც ჰაიეკი ამტკიცებს, შეუძლებელია გვექონდეს საკმარისი ცოდნა თითოეული ადამიანის მორალური დამსახურების შესახებ, რათა სწორედ, ამ დამსახურების შესაბამისად მიუზღო თითოეულს,....შემდეგ იგი განაგრძობს: „ჩვენ წინააღმდეგნი ვართ ნებისმიერი მცდელობისა, თავს მოვახვიოთ საზოგადოებას, ნებისმიერი სახით, წინასწარ დადგენილი დისტრიბუციის მოდელები, განურჩევლად იმისა, თუ რას შეესაბამება იგი - ადამიანთა თანასწორობას, თუ უთანასწორობას. **თუმცა, ასკვნის, ჰაიეკი, თავისუფალ საზოგადოებაში მიღებული დისტრიბუციის პრინციპი ღირებულების შესაბამისი იქნება და არა დამსახურებისა.** მას მხედველობაში აქვს ადამიანის მოქმედებისა და მისი სხვების მიმართ სამსახურის დადგენილი ღირებულება. მაგრამ, მიუხედავად იმისა, რომ უარყოფს დისტრიბუციული სამართლიანობის ნებისმიერ მოდელს, ჰაიეკი, თავად გვთავაზობს, მისი აზრით, სამართლიან მოდელს: დისტრიბუციას სხვებისთვის გაცემული სარგებლის შესაბამისად, რაც საკმარის საფუძველს უქმნის იმ საყვედურებს, რომ თავისუფალი საზოგადოება, სწორედ, ამ პრინციპის რეალიზაციას არ ახდენს. თავისუფალი კაპიტალისტური საზოგადოების ამგვარი მოდელის ჩამოყალიბებით ჩვენ ასეთ პრინციპს მივიღებთ შედეგად: „ თითოეულს იმის შესაბამისად, თუ როგორი სარგებელი მოაქვს მას სხვებისთვის, რომლებსაც საკმარისი რესურსები გააჩნიათ იმისათვის, რომ გასცენ სარგებელი მათ, ვისაც მათთვის მოაქვს სარგებელი“. ეს შეიძლება, პირობით პრინციპად მოგვეჩვენოს, სანამ არ დადგინდება საკუთრების თავდაპირველი შემადგენლობა, ან სანამ არ იქნება აღიარებული, რომ სისტემის ფუნქციონირება, გარკვეული დროის განმავლობაში ანადგურებს საკუთრების ნებისმიერ მნიშვნელოვან შედეგს. ამ უკანასკნელის მტკიცების საულისტრაციოდ, ასეთ მაგალითს მოვიყვან: როდესაც, თითქმის, ნებისმიერ ადამიანს შეუძლია იყიდოს ჰენრი ფორდის მანქანა. ვარაუდი იმის თაობაზე, რომ ვისაც ფული აღმოაჩნდა, უკანონო გზით

ჰქონდა მოპოვებული, სრულიად არ აყენებს ჩრდილს ფორდის შემოსავლების კანონიერებას. ყოველ შემთხვევაში, თვით ფულის ფლობაში უკანონო არაფერია. დისტრიბუცია სხვებისთვის გაცემული სარგებლის შესაბამისად, როგორც სწორედ შენიშნავს ჰაიეკი, ყველაზე უფრო კარგად მოდელირებული და გავრცელებული მოვლენაა თავისუფალ კაპიტალისტურ საზოგადოებაში, მაგრამ იგი, სწორედ, რომ მოვლენაა და ამიტომ არ წარმოადგენს უფლებათა სისტემის ზოგად მოდელს, ან სტანდარტს, რომელსაც უნდა მისდევდეს საზოგადოება. რამდენ ხანს მოითმენს საზოგადოება, დისტრიბუციის ისეთ ფორმას, რომელიც, მისი აზრით, არამოდელირებულია?“ ექვი არ არის, რომ ადამიანები დიდხანს არ მოითმენენ დისტრიბუციის ამ წესს, რომელიც, მათი აზრით, უსამართლოა. ადამიანებს სურთ, რომ საზოგადოება, რომლის წევრებიც ისინი არიან, სამართლიანი იყოს და სამართლიანად გამოიყურებოდეს. მაგრამ განა სავალდებულოა, რომ სამართლიანობა უმაღლეს საბოლოო მოდელში იდოს, ვიდრე ზოგად პრინციპებში, რომლებიც ამ მოდელს უდევს საფუძვლად?...

... ჩვენ შეგვიძლია, მივიღოთ ასეთი გამარტივებული ვარიანტი: “თითოეულისაგან მისი არჩევანის შესაბამისად, თითოეულს იმის შესაბამისად, რომ თვითონ არის შერჩეული.“⁴¹

დ).იმის შესახებ თუ როგორ ანგრევს თავისუფლება მოდელს, საერთო დასკვნა, რომელიც შეიძლება გამოვიტანოთ ზემოთ აღწერილი, . . . და კერძო მეწარმეობის მაგალითიდან, ის არის, რომ შეუძლებელია საბოლოო მდგომარეობისა ან მოდელირებული დისტრიბუციის პრინციპების განხორციელება ისე, რომ გამუდმებით არ ჩავერიოთ ადამიანთა საქმეებში. ნებისმიერი, ჩვენს მიერ მოწონებული მოდელი ძალიან მალე დაკარგავს მიმზიდველობას, რადგან მას, რაიმე სხვა პრინციპები ან ადამიანები შეცვლიან, რომლებსაც სხვაგვარად სურთ მოიქცნენ. მხედველობაში მყავს, მაგალითად, ადამიანები, რომლებიც სხვებს საქონელსა და მომსახურებას უცვლიან, ან საკუთრებაში გადასცემენ, სხვა ადამიანებს რაღაც საგნებს, რომელთა ფლობის უფლებაც გადამცემებს, სხვათა შორის, ჩვენს მიერ მოწონებული დისტრიბუციული მოდელის შედეგად აქვთ მიღებული. ამდენად, იმისათვის, რომ შევინარჩუნოთ მოდელის თავდაპირველი სახე, ჩვენ იძულებულნი გავხდებით ან გამუდმებით ჩავერიოთ

მათ საქმეებში და ავკრძალოთ რესურსების გადაცემა სხვა ადამიანებისათვის, ანდა გამუდმებით (ან პერიოდულად) ამოვიღოთ ამ სხვა ადამიანებისაგან ის რესურსები, რომლებიც, რაღაც მიზეზის გამო, მათ სხვებისაგან მიიღეს (...) ამაზე შეიძლება გვიპასუხო, რომ ადვილი შესაძლებელია. ყველა ადამიანმა აირჩიოს, ნებაყოფილობით, არ დაარღვიოს დაწესებული მოდელი. მაგრამ ეს სრულებით არარეალურია შემდეგი მიზეზების გამო: **1. საჭიროა, რომ ყველა ადამიანი დათანხმდეს მოდელის შესაბამისად ცხოვრებაზე** (განა შესაძლებელია ყველა ადამიანის ხელახლა „აღზრდა“ ან თითოეულ მათგანში „თვითკრიტიკის“ უნარის გამომუშავება?); **2. შეუძლებელია, ყველა ადამიანს ჰქონდეს საკმარისი ინფორმაცია, იმის შესახებ, თუ რა არის სწორი და არასწორი, მართებული და მცდარი მათ საკუთარ და სხვა ადამიანების მოქმედებაში, რა შეესაბამება და რა არ შეესაბამება მოდელს;** **3. გაუგებარია, როგორ უნდა მოახდინონ მოქმედებათა კოორდინაცია ერთმანეთისაგან მოშორებით მყოფმა და სხვადასხვა ტიპის ადამიანმა, რათა არ დაირღვეს მოდელის მიერ განსაზღვრული წესები.** შეადარეთ, თუ როგორ ინარჩუნებს ნეიტრალიტეტს ბაზარი სხვადასხვა ადამიანების ინტერესებთან მიმართებაში, როდესაც იგი ასახავს და გადასცემს, ფასების საშუალებით, ადამიანებს აქაიქ გაფანტულ ინფორმაციას ან, როდესაც კოორდინაციას უწევს ადამიანთა საქმიანობას.

...დროთა განმავლობაში ადამიანთა ნებაყოფილებითი აქტები, მაინც, დაარღვევს დისტრიბუციის ყველა მოდელს, რომელიც, მეტ-ნაკლებად, შეიცავს ეგალიტარულ კომპონენტს. იგივე ბედი ელის ნებისმიერ მოდელირებულ პირობას, რომელიც დისტრიბუციული სამართლიანობის ძირითად პრინციპზეა აგებული. მაგრამ, რადგან გვეუბნებიან, რომ, მაინც, არსებობს გარკვეული სუსტი პირობები ან მოდელები, რომლებიც შეიძლება იყოს სტაბილური, უმჯობესი იქნებოდა, გაგვეხილა ამგვარი მოდელების რამდენიმე მაგალითი და დაგვემტკიცებინა თეორემა, მათი არასტაბილურობის შესახებ. რადგან, რაც უფრო სუსტია მოდელი, მით უფრო მეტი შესაძლებლობაა იმისა, რომ საკუთრებითი უფლებების სისტემამ შეძლოს მისი დაკმაყოფილება. ბუნებრივი დასკვნა, აქედან ის იქნებოდა, რომ გვეთქვა: ნებისმიერი მოდელი ან არასტაბილურია, ან შეთავსებადია საკუთრების უფლების სისტემასთან.⁴²

ე) სენის არგუმენტი,.. სოციალური რიგი არ არის სწორხაზოვანი, ასეთია სენის დასკვნა. ადამიანის უფლებები ურთიერთ თავსებადია და თანაბრად შესაძლებელი, . . . უფლებები არ განსაზღვრავს სოციალურ რიგს, მაგრამ აწესებს გარკვეულ შეხედულებებს, რომელთა ფარგლებშიც უნდა მოხდეს სოციალური არჩევანი,.... უფლებები მხოლოდ შეზღუდვებს აწესებს სოციალურ რიგზე, რათა ამით შეამციროს არჩევანის მასშტაბი.

თუ კი საკუთრების უფლება ნიშნავს უფლებას განაგო მოცემული საკუთრება, მაშინ სოციალური არჩევანი უნდა შედგეს იმ ფარგლებში, თუ როგორ იყენებენ ადამიანები თავიანთ უფლებებს.... ამდენად, სენის არგუმენტს კვლავ იმ შედეგამდე მივყავართ, რომ მოდელირება ადამიანის საქმეებში და არჩევანში ჩვენს გამუდმებულ ჩარევას მოითხოვს.⁴³

თ) რედისტრიბუცია და საკუთრების უფლებები,.. დისტრიბუციის ნებისმიერი მოდელის მხარდაჭერა სხვა არაფერია, თუ არა ინდივიდუალიზმი, კომბინირებული შურისგების გრძნობასთან! დისტრიბუციის მოდელები არ აძლევს ადამიანებს იმას, რასაც საკუთრებრივი უფლებები.. .. რადგან ისინი არ აძლევს ადამიანებს უფლებას თავად აირჩიონ, თუ რა უყონ იმ საკუთრებას, რომელსაც ფლობენ. ისინი არ აძლევს ადამიანებს უფლებას თავად განსაჯონ, იზრუნონ თუ არა სხვების მდგომარეობის გასაუმჯობესებლად. ამგვარი შეხედულებების მქონე ადამიანებისათვის ოჯახი ერთ-ერთი ყველაზე უხერხული ინსტიტუტია. ამის მიზეზი ის არის, რომ ოჯახის წიაღში ისეთი რიგის საკუთრების, გადაცემებს აქვს ხოლმე ადგილი, რაც არღვევს დისტრიბუციის მოდელს. **აქედან გამომდინარე, ან თავად ოჯახი უნდა გარდაიქმნას ისეთ სტრუქტურად, რომელიც დისტრიბუციის ობიექტი გახდება (რის საფუძველზე?), ანდა ახლობლების მიმართ სიყვარული -აკრძალვის საგანი.**

ამგვარი მიდგომა თავდაყირა დააყენებს საზოგადოების ისტორიული გამოცდილებას.

აქვე მინდა ავლნიშნო, რომ რადიკალებს, ჩვეულებრივ, ამბივალენტური დამოკიდებულება აქვთ ოჯახის ინსტიტუტის მიმართ. ხან ისე ხდება, რომ სასიყვარულო ურთიერთობები ოჯახის შიგნით მიბაძვის ობიექტად არის გამოცხადებული მთელი საზოგადოებისათვის, ხან კი, ოჯახი მეტისმეტად ვიწრო ეგოისტუ-

რი მისწრაფებების ბუდედ არის მიჩნეული, რომელიც ხელს უშლის რადიკალური მიზნების განხორციელებას, და, ამდენად, იგი უნდა დაინგრეს და აღიკვეთოს. ნუთუ საჭიროა იმის თქმა, რომ სრულიად არ არის მიზანშეწონილი მთელს საზოგადოებაზე ისეთი ინტიმური, სასიყვარულო ურთიერთობების გავრცელება, რომელიც სრულიად ბუნებრივია ოჯახისათვის...44.

ოჯახის დანგრევა, რომელიც საზოგადოებისა და სახელმწიფოს ქვაკუთხედეა, გამოიწვევს არნახულ ქაოსს, რაც მხოლოდ კაცობრიობის მტერს შეიძლება მოუვიდეს თავში!

ლოკისეული საკუთრების მოპოვების თეორია,.....

რეზიუმე: რობერტ ნოზიკი მოცემულ ნაშრომში გვთავაზობს სამოქალაქო ბრუნვაში არსებული საკუთრების, - მოპოვება, მფლობელობა, განკარგვის, მათ შორის შრომის ანაზღაურების, - ერთიან სადიტრიბუციო მოდელში მოქცევასა და მისთვის სამართლობრივი სტატუსის მინიჭებას. საამისოდ, გვამცნობს მის მიერ შემუშავებულ „საკუთრების სამართლიანობის იდეას,“ რომელიც შესდგება: „საკუთრების მოპოვების სამართლიანობის,“ „საკუთრების გადაცემის სამართლიანობისა“ და ამ საქმეში „უსამართლობის დაძლევის“-პრინციპებისაგან. ამით იგი ერთდაგვარად ამავრებს ლიბერალ-კაპიტალისტთა მიერ მოპოვებულ და მათ მფლობელობაში არსებულ მატერიალურ ფასეულობათა, ისე როგორც არსებულ შრომის ორგანიზაციის ფორმების, - ხელშეუხებლობას.

აქ, მნიშვნელოვან გარემოებას ქმნის ის ფაქტი, რომ ნოზიკს სურს თავის მიერ შემუშავებული „დიტრიბუციის მოდელი“ განავრცოს საზოგადოებრივ ცხოვრებაში არსებული ადამიანთა ბედნიერებისა და თანასწორობის „განაწილების“ ასპექტზე. ანუ ცდილობს ხელშეუხებლობის საფარ ქვეშ მოაქციოს არსებული სოციალური უსამართლობა, რითაც მატერიალურ ფასეულობას გაუთანაბრა ადამიანთა ბედნიერება და თანასწორ-უთანასწორობა, ანუ თავისუფლების საკითხი. და აცხადებს, რომ ამ ფასეულობათა გადანაწილება უნდა ხდებოდეს ხსენებული სადიტრიბუციო მოდელის მიხედვით, რამეთუ მათ ერთნაირი „სტრუქტურები“ გააჩნიათ.

პრობლემისადმი ამგვარი მიდგომით ნოზიკი ცდილობს დამა-

ლოს ლიბერალური წყობილების შიგნით არსებული კლასობრივ-სოციალური ხასიათის უსამართლობანი.

ცდილობს შექმნას დისტრიბუციის ისეთი მოდელი, რომელიც ერთნაირად გამოდგება საზოგადოებრივი ცხოვრების ნებისმიერ სფეროში სიკეთისა თუ ფასეულობის „განაწილებისათვის“.

დისტრიბუციაში არ შეაქვს ჩუქების, აზარტული თამაშების, განძისა და სხვა მსგავსი გზით შექმნილი ფასეულობები, რაც მისი აზრით სხვა ხერხებით შეიძლება დარეგულირდეს.

ედავება ჰაიეკს, რომელიც დისტრიბუციას განიხილავს „სამართლიანობის“ ნაცვლად, „ღირებულებაზე“ დაყრდნობით.

რამდენადაც ნოზიკი ცდილობს დაადგინოს „დისტრიბუციის საყოველთაო სტანდარტი“, რამეთუ განაწილების ნებისმიერი სხვა ფორმა მალევე კარგავს თავის აქტუალობას და ვითარება ითხოვს ადამიანთა ხშირად ჩარევას, განაწილებულის ხელახალ გადანაწილებას, ანუ რედისტრიბუციას-ო, ოჯახის არსებობა მი-აჩნია ხელშემშლელ ფაქტორად და ცდილობს მის დანგრევასა და აღკვეთას, ანდა მისი საკუთრება რომ დაექვემდებაროს საერთო დისტრიბუციას. თვლის დაუშვებლად საზოგადოდ, ოჯახური სიყვარულსა თუ ინტიმურ ურთიერთობებების არსებობას, ანუ გვიბიძგებს ამორალიზმისაკენ.

7. მაიკლ ვოლცერი, (1935), ებრაელი, პრისტი-ნის უნივერსიტეტის პროფესორი, ჟურნალ „დისენტას“ რედაქტორი, აშშ-სა და ბრიტანეთის მეცნიერებათა აკადემიების პრეზიდენტი, 1983 წ-ს გამოცემული წიგნიდან: „უსაფრთხოება და კეთილდღეობა,“- ”სამართლიანობის სფეროები“

ა). შუა საუკუნეების ებრაული თემი.ებრაელთა ყველა თემური გაერთიანება, გვიანი შუასაუკუნეები ბოლომდე იყო არა სუვერენული ავტონომიური. მათ ქონდათ დაბეგვრის სრული უფლება, ალბათ თავიანთი წევრების, მათი შემოსვლის 10% -ის მიხედვით. ფული მიდიოდა ამ ავტონომიის ფონდში და

იგი იხარჯებოდა მეპატრონის ბეგარისა თუ იჯარის გადასახადში, ქრთამის გადასახადში, სუბსიდიური სესხების გაცემაში, დახმარებებში, ლატაკებზე და ა.შ. ებრაულ თემში წვლილის გაღების გარეშე ცხოვრება შეუძლებელი იყო. ესენი იყვნენ დემოკრატიული საზოგადოებები, რომლებსაც მართავდა მამაკაცთა ასამბლეა. მათ ქონდათ ასევე კერძო სკოლები სადაც ებრაელ ბავშვთა სწავლება იყო სავალდებულო. უნდა დაუფლებოდნენ საღვთო წერილს. მშობლებს მასწავლებლისათვის უნდა ეხადათ ფასი.... 54

/ზაიკლს მანამდე მოყვანილი ყავს არაერთი თემურ-დემოკრატიული საზოგადოების ცხოვრების მაგალითები, /

ბ). უზრუნველყოფის მასშტაბები,... (როულსის) საწყის პოზიციამი მყოფი გონიერი მამაკაცები და ქალები, რომლებმაც კონკრეტულად არაფერი იციან თავისი სოციალური მდგომარეობისა და კულტურული შეხედულებების შესახებ, ალბათ, როგორც როულსი ამბობს, მათთვის საჭირო სიკეთეების თანაბარ განაწილებას აირჩევდნენ. მაგრამ ეს ნიმუში არ გამოდგება იმის დასადგენად, თუ რა არჩევანს გააკეთებდნენ ან უნდა გააკეთონ მათ, როდესაც ეცოდინებათ, ვინ არიან და სად არიან. კონკრეტული კულტურების სიკეთის შესახებ საწინააღმდეგო კონცეფციების, მცირე რესურსების, ფარული და ძვირი საჭიროებების სამყაროში, ვერ იარსებებს ერთადერთი საყოველთაოდ მიღებული ნიმუში. არ შეიძლება არსებობდეს ერთად ერთი საყოველთაოდ აღიარებული გზა, რომელიც ცნებიდან „სამართლიანი წილი“ მიგვიყვანს ამ სიკეთეების ამომწურავ ნუსხამდე, რომელსაც ეს ცნება გულისხმობს. რისი სამართლიანი წილი?

სამართლიანობა, სიმშვიდე, თავდაცვა, კეთილდღეობა და თავისუფლება,- ამ ნუსხას გვთავაზობს შეერთებული შტატების კონსტიტუცია. ეს ჩამონათვალი ამომწურავად შეიძლება ჩაითვალოს, მაგრამ ტერმინები ბუნდოვანია. საუკეთესო შემთხვევაში, **ისინი სახალხო დებატების საწყის წერტილად თუ გამოდგება.** ეს დებატები უფრო დიდი იდეისაკენ მოგვიწოდებს. ბურკისეული ზოგადი უფლება, რომელსაც განსაზღვრული სახე მხოლოდ განსაზღვრულ პირობებში აქვს, სხვადასხვა დროსა და ადგილას სხვადასხვა სახის უზრუნველყოფას მოითხოვს. აზრი მარტივია,-ჩვენ შევიკრიბეთ, შევქმენით გაერთიანება იმისათვის, რომ დავძლიოთ სიმწიფეები და საფრთხე, რომელსაც მარტო ვერ გა-

ვუმკლავდებით. და ამრიგად, როგორც კი წავაწყდებით ამ სახის სიმძნელებსა და საფრთხეს, ჩვენ ვეძებთ გაერთიანებას დახმარებისათვის. ინდივიდუალურ და კოლექტიურ შესაძლებლობებს შორის წონასწორობის დარღვევასთან ერთად იცვლება დახმარების სახეებიც.

....უძლურთა დახმარება კერძო უზრუნველყოფის ერთერთი უძველესი და ყველაზე გავრცელებული ღონისძიებაა. მაგრამ ახლა ის ბევრად უფრო საჭიროა, ვიდრე ოდესმე ყოფილა. ოჯახები ვერ უმკლავდებიან ხანდაზმულთა მოზღვავებულ ხარჯებს, და შველას პოლიტიკური საზოგადოებისაგან ანუ კომუნისაგან ელიან. კონკრეტულად თუ რა უნდა გაკეთდეს, -დებატები გადაწყვეტს. ისეთ სიტყვებს, როგორიცაა ჯანმთელობა, საფრთხე, მეცნიერება, და ხანდაზმულობაც კი, ძალზე განსხვავებული მნიშვნელობა აქვს სხვადასხვა კულტურებში. არავითარი განსაზღვრება არ არის შესაძლებელი. მაგრამ არც იმის თქმა შეიძლება, რომ ადამიანებს სრულად არ აქვთ გაცნობიერებული ზომების მიღების აუცილებლობა.... **სახალხო ჯანდაცვა და სოციალური უსაფრთხოება პოლიტიკურ კომუნებს წარმოადგენდნენ, ვიდრე როგორც „ერთიერთდახმარების კლუბს“** /მარშალის ფრაზა/. ყოველგვარი უზრუნველყოფა ორმხრივი ხასიათისაა. წევრები რიგ-რიგობით ეხმარებიან და იღებენ დახმარებას ისევე, როგორც არისტოტელეს მოქალაქეები რიგ-რიგობით მართავდნენ და იმართებოდნენ. ეს უბრალოდ ის შემთხვევა არ არის, როდესაც „გონიერი ადამიანები,“ რომლებმაც არაფერი იციან თავისი სპეციფიკური მდგომრეობის შესახებ, მიიღებდნენ უზრუნველყოფის ამ ორ ფორმას. რეალურმა ადამიანებმა, ყველა თანამედროვე დემოკრატიის ჩვეულებრივმა მოქალაქეებმა, ფაქტიურად, მიიღეს კიდევ ისინი. ორივე ერთნაირად შედის... ჰიპოთეტური და რეალური ადამიანების ინტერესებში. იძულება მხოლოდ პრაქტიკაშია საჭირო. ვინაიდან რეალური ადამიანების რაღაც უმცირესობას არ ესმის ან ბოლომდე არ ესმით, თუ რა შედის მის საკუთარ ინტერესებში. დახმარებისათვის ძალდატანებას მხოლოდ უგუნურნი და წინდაუხედავნი საჭიროებენ- და შეიძლება ითქვას, რომ ისინი მხოლოდ საკუთარი თავის საკუთარივე უგუნურობისაგან და წინდაუხედაობისაგან დასაცავად გახდნენ სოციალური კონტრაქტის მონაწილენი და მაინც, ფაქტიურად, იძულების მიზეზი უფრო ღრმაა. ... კომუნალური უზრუნველყოფის ფარგლე-

ბი ყოველ მოცემულ შემთხვევაში -როგორც არის და უნდა იყოს კიდევ,- განისაზღვრება საჭიროების კონცეფციით, რაც უფრო პრობლემატურია, ვიდრე არგუმენტი აქამდე გვიჩვენებდა...

...სოციალური კონტრაქტი არის შეთანხმება წევრების რესურსების გადანაწილების შესახებ, რომელიც შეესაბამება საჭიროების საერთო გაგებას და ექვემდებარება მუდმივ დეტალურ პოლიტიკურ განხილვას, ... ის აკავშირებს ძლიერებსა და სუსტებს, იღბლიანებსა და უიღბლოებს, მდიდრებს ღარიბებს, ქმნის კავშირს, რომელიც ინტერესების სხვაობის ფარგლებს ცილდება და ძალას იღებს ისტორიიდან, კულტურიდან, რელიგიიდან, ენიდან და ა.შ. თავის სიღრმეში მოსაზრებები კომუნური უზრუნველყოფის შესახებ ამ კავშირის ინტერპრეტაციაა. რაც უფრო მჭიდრო და მრავლის მომცველია, ის, მით უფრო ფართოდაა საჭიროებები აღიარებული და უფრო მეტია ის სოციალური სიკეთეები, რომლებიც უსაფრთხოების და კეთილდღეობის სფეროში შედიან. ექვი არ მეპარება, რომ ბევრი პოლიტიკური კომუნა სრულიად განსხვავებული პრინციპით ანაწილებდა რესურსებს. ეს ხდებოდა და ხდება არა ზოგადად წევრების საჭიროებებიდან გამომდინარე, არამედ შეძლებული ან მდიდარი ადამიანების ძალაუფლების გათვალისწინებით. ეს კი, როგორც რუსო წერს ნაშრომში „საუბარი უთანასწორობაზე“, აყალიბებს სოციალური კონტრაქტის არსს. ნებისმიერ კომუნაში, სადაც ღარიბებს ართმევენ რესურსებს და გადასცემენ მდიდრებს, ხდება ღარიბთა უფლებების შელახვა. კომუნის სიბრძნე არ არის მიმართული მათი საჭიროებების უზრუნველყოფისაკენ,....სოციალური კონტრაქტის ინტერპრეტაციაში ყველა წევრის მონაწილეობის შედეგად იქმნება კომუნური უზრუნველყოფის მეტ-ნაკლებად ვრცელი სისტემა. თუ ყველა სახელმწიფო საყოველთაო უზრუნველყოფის სახელმწიფოა, დემოკრატიული სახელმწიფოც პრაქტიკულად, ამკარა, საყოველთაო კეთილდღეობის სახელმწიფო ყოფილა. დემოკრატიის იმიტაციაც კი კეთილდღეობას წარმოშობს, როგორც ეს „სახალხო დემოკრატიაშია“, სადაც სახელმწიფო იცავს ადამიანებს ყველა უბედურებისაგან იმ უბედურების გარდა, რომელიც მას თავად მოაქვს ადამიანებისათვის.

ამგვარად, დემოკრატი მოქალაქეები მსჯელობენ და ირჩევენ კეთილდღეობისა და უსაფრთხოების უამრავ სხვადასხვა სახეს,

რომლებიც ჩემს მიერ მოყვანილი „მარტივი“ მაგალითების ფარგლებს სცილდება. სოციალურად აღიარებული საჭიროებების კატეგორია ვრცელია, ვინაიდან ადამიანების მოსაზრება იმის შესახებ, თუ რა სჭირდებათ, მოიცავს არა მხოლოდ სიცოცხლეს, არამედ კეთილდღეობასაც და მათ შორის საჭირო წონასწორობა კი თავადაც დისკუსიის საგანია. ათენის თეატრები და ებრაელთა აკადემიები იმ ფულით ფინანსდებოდა, რომელიც სახლების მშენებლობას ან ვთქვათ, მედიცინას შეიძლებოდა მოხმარებოდა, მაგრამ თეატრი და განათლება, ბერძნებსა და ებრაელების აზრით, უბრალოდ, საზოგადოებრივი ცხოვრების დონის ამაღლება კი არა, საზოგადოებრივი კეთილდღეობის უმნიშვნელოვანესი ასპექტი იყო. მე კვლავაც მსურს აღვნიშნო, რომ ეს მსჯელობა არ შეიძლება ხელაღებით მცდარად ჩაითვალოს.

...საზოგადოებრივი სიკეთეები ის სიკეთეებია, რომლებიც არ შეიძლება კომუნის ზოგი წევრისათვის იყოს მისაწვდომი, ზოგისთვის კი არა....

...ნებისმიერი ფილოსოფიური მცდელობა დეტალურად ახსნას ინდივიდების უფლებები რადიკალურად შეავიწროებდა დემოკრატიული გადაწყვეტილების ფარგლებს. მე ეს საკითხი სხვაგანაც მაქვს განხილული.⁵⁵

ამერიკული საყოველთაო კეთილდღეობის სახელმწიფო, რა სახის საზოგადოებრივი უზრუნველყოფა შეესატყვისება ისეთ საზოგადოებას, როგორიც ჩვენია? ჩემი მიზანი არ არის ვიწინასწარმეტყველო დემოკრატიული დებატების შედეგი ან ზუსტად განვსაზღვრო უზრუნველყოფის მამტაბები და ფორმები. მაგრამ, ვფიქრობ შეიძლება ვამტკიცოთ, რომ თანამედროვე ინდუსტრიული დემოკრატიული სახელმწიფოს მოქალაქეებს ერთმანეთის მიმართ ბევრი ვალდებულება აკისრიათ და ჩვენი არგუმენტი შესაძლებლობას მოგვცემს შევამოწმოთ იმ პრინციპების ქმედითუნარიანობა, რომლებსაც მე აქამდე ვიცავდი. ანუ ყველა პოლიტიკური საზოგადოება უნდა ზრუნავდეს მისი წევრების საჭიროების დაკმაყოფილებაზე, ამ საჭიროებების მათივე გაგებით, რომ სიკეთეები და საქონელი, რომელიც ნაწილდება, უნდა განაწილდეს საჭიროების შესაბამისად და რომ განაწილება უნდა აღიარებდეს და მხარს უჭერდეს წევრობაში ჩადებულ თანსასწორობას. ეს ძალზე ზოგადი პრინციპებია. ისინი შექმნილია, რათა

მოიცვას საზოგადოების უფრო ფართო სპექტრი. ყველა ის საზოგადოება, სადაც წევრები თანასწორნი არიან /ღმერთის ან კანონის წინაშე/ ან სადაც შეიძლება ითქვას, ისინი თანასწორები უნდა იყვნენ, როგორც არ უნდა ექცეოდნენ მათ, მათთანაც გასათვალისწინებელია ეს პრინციპი. შეიძლება ეს პრინციპები, არ შეეხოს იერარქიული წყობის საზოგადოებას, როგორცაა ტრადიციული ინდოეთი, სადაც მიღებული მოსავალი ნაწილდება არა საჭიროების, არამედ კასტების მიხედვით, -ან როგორც ლუი დიუმენტი წერდა,- სადაც „მიაჩნიათ, რომ ადამიანების საჭიროებები განსხვავდება ერთმანეთისაგან მათი კასტობრივი კუთვნილების შესაბამისად“. ყველას გარანტირებული აქვს თავისი წილი. ასე რომ დიუმენტის ინდური სოფელიც საყოველთაო კეთილდღეობის სახელმწიფო გამოდის, „რადაც კოოპერატიული საზოგადოების მსგავსი, რომლის მიზანია ყველა უზრუნველყოს არსებობის საშუალებებით მათი სოციალური ფუნქციის შესაბამისად“. მაგრამ ეს არ არის საყოველთაო კეთილდღეობის სახელმწიფო და არც კოოპერატიული საზოგადოება, რომლის პრინციპიც ჩვენთვის იოლი გასაგებია. / მაგრამ დიუმონტი არ გვეუბნება, როგორ უნდა განაწილდეს საკვები გაჭირვების პერიოდში. თუ საარსებო საშუალების სტანდარტი ყველასათვის ერთი და იგივეა, მაშინ ჩვენ ნაცნობ სამყაროში ვბუნდებით/.

ეს სამი პრინციპი, ცხადია ეხება შეერთებული შტატების მოქალაქეებს და აქ მათ მნიშვნელოვანი ძალა ენიჭებათ საზოგადოებრივი სიმდიდრის და ინდივიდუალური საჭიროების მათი გაგების გამო. მეორე მხრივ, **შეერთებული შტატები ამჟამად დასავლეთში საზოგადოებრივი უზრუნველყოფის ერთერთი დრომოკმულ სისტემას ინარჩუნებს.** არსებობს ამის მიზეზები: მოქალაქეთა კომუნა თავისუფლადაა ორგანიზებული; სხვადასხვა ეთნიკური და რელიგიური ჯგუფები დამოუკიდებლად მართავენ კეთილდღეობის საკუთარ პროგრამებს; ფართოდაა მიღებული იდეოლოგია, რომელიც ხელს უწყობს საკუთარი ძალების რწმენას და მწარმოებლურ უნარს; და მემარცხენე, კერძოდ, ლეიბორისტული მოძრაობები შედარებით სუსტია. დემოკრატიული გადაწყვეტილება ასახავს ამ რეალობას და ამაში ცუდი არაფერია. მიუხედავად ამისა, უზრუნველყოფს არსებულ სფეროს შინაგან მოთხოვნებს, მოქალაქეთა საერთო მოსაზრებებს კი უფრო რთულ ფორმამდე მიყვავართ. ადამიანმა შეიძლება ამტკიცოს,

რომ ამერიკის მოქალაქეებმა უნდა იზრომონ, რათა ააგონ უფრო ძლიერი და სრულყოფილი პოლიტიკური საზოგადოება. მაგრამ ეს მტკიცება, თუმცა, იგი დისტრიბუციული შედეგების მქონეა, ზუსტად ვერ გამოხატავს მოსაზრებას დისტრიბუციული სამართლიანობის შესახებ. ...56

გ) სამედიცინო მომსახურება,... ჭეშმარიტად თავისუფალი /სამედიცინო ბაზარი/ არასოდეს ყოფილა მისი წევრების ინტერესებში. მაგრამ მისი წევრების ინტერესებში ყოველთვის იყო ინდივიდუალური პაციენტებისათვის მომსახურების მიყიდვა. და ამრიგად ზოგადად რომ ვქვათ, შეძლებულებს კარგად ემსახურებოდნენ...ღარიბებს კი თითქმის არც კი ემსახურებოდნენ. ...ექიმის პროფესიას ყოველთვის ახასიათებდა კოლექტიური უსინდისობა, ვინაიდან სამედიცინო პრაქტიკის დისტრიბუციული ლოგიკა, როგორც ჩანს, ამგვარია, -მომსახურება ავადმყოფების პროპორციული უნდა იყოს და არა სიმდიდრის. ყოველთვის არსებობდნენ ექიმები, როგორებიც იყვნენ, ვთქვათ, საბერძნეთში დაფასებული ექიმები, რომლებიც ღარიბებსაც ემსახურებოდნენ, მაშინაც კი, როდესაც საარსებო საშუალებას ფასიანი პაციენტისაგან იღებდნენ. ექიმების უმრავლესობა სასწრაფო შემთხვევაში, თავს ახლაც ვალდებულად გრძნობს დაეხმაროს ავადმყოფს მისი მატერიალური მდგომარეობის მიუხედავად. პროფესიული კეთილდღეობის საქმეა უყურადღებოდ არ დატოვოს შეკითხვა: „არის აქ ექიმი?“ და მაინც, ჩვეულებრივ სამედიცინო მომსახურებას ცოტა ადამიანი ითხოვდა, რადგან არავის სჯეროდა, რომ გასამრჯელოს გარეშე მოემსახურებოდნენ. ამდენად პროფესიული არაკეთილსინდისიერობიდან გამომდინარე, არავინ მოითხოვდა კერძო პრაქტიკა საზოგადოებრივი უზრუნველყოფით შეცვლილიყო.

შუა საუკუნეების ევროპაში სულიერი დაავადებების მკურნალობას საზოგადოებრივი სახე ჰქონდა, ფიზიკურს კი, -კერძო. დღეს ევროპის უმეტეს ქვეყნებში, მდგომარეობა შებრუნებულია. ეს ცვლილება ყველაზე უკეთ აიხსნება სულისა დასხეულის ზოგადი გაგებების მნიშვნელოვანი ცვლილებებით. ჩვენ არ ვართ დარწმუნებული სულიერი ავადმყოფობის განკურნების შესაძლებლობაში, სხეულის განკურნების შესაძლებლობაში კი თანდითან მეტ რწმენას ვიძენთ. დეკარტეს ცნობილი გამონათქვამი, რომ

„ჯანმთელობის შენარჩუნება ყველა სიკეთეებს შორის უმთავრესია“, შეიძლება ამ ცვლილების სიმბოლურ გამოხატულებად იქნას მიჩნეული, ვინაიდან პოპულარული თეორიების ისტორიაში დეკარტის „საუბრები მეთოდზე, ძალზე ადრე შეიქმნა. შემდეგ, როდესაც საზოგადოებრივ შეგნებაში მარადიულობა უარყოფილი იქნა, დღეგრძელობამ წინა პლანზე წამოიწია. შუა საუკუნეებში ქრისტიანებისათვის მარადიულობა სოციალურად აღიარებული საჭიროება იყო და ყველაფერი კეთდებოდა იმისათვის, რომ უზრუნველყოთ მისი ფართო და თანაბარი განაწილება, რათა ყველა ქრისტიანს სულის გადარჩენის და მარადიული არსებობის თანაბარი შანსი ჰქონოდა....თანამედროვე მოქალაქეებისათვის სოციალურად აღიარებული სიკეთე დღეგრძელობაა. და სულ უფრო მეტი კეთდება იმისათვის, რომ ის ფართოდ და თანაბრად იქნას განაწილებული და ჯამრთელი და ხანგრძლივი ცხოვრების შანსი ჰქონდეს ყველა მოქალაქეს ერთნაირად. ამითაა განპირობებული ექიმებისა და საავადმყოფოების არსებობა, რეგულარული სამედიცინო შემოწმება, ახალგაზრდების სამედიცინო განათლება, სავალდებულო აცრები და ა.შ.

...მკურნალობის სფეროში უზრუნველყოფის დაწყება დაახლოებით ემთხვევა გვიანი მეცხრამეტე საუკუნის დიდ სახალხო ჯანდაცვის კამპანიას და ორივე უეჭველად ასახავს ფიზიკური გადარჩენის საკითხისადმი გულისხმიერ მიდგომას....

თანამედროვე მსოფლიოში უბრალოდ, მოხდა ის, რომ თავად დაავადება, მაშინაც კი, როდესაც მას ენდემური ხასიათი აქვს და არაეპიდემიური, უბედურებად აღიქმება. და რაკი უბედურებას შეიძლება მოეველოს, მას უნდა მოეველოს კიდეც. ადამიანები აღარ აიტანენ იმას, რისი ატანაც გარდაუვლად არ მიაჩნიათ. ტუბერკულოზს, კიბოს, ან გულის უკმარისობას ერთობლივი ძალისხმევა სჭირდება. სამედიცინო კვლევა ძვირი ჯდება და მრავალი კონკრეტული დაავადების მკურნალობა ბებრი საშუალო მოქალაქის მატერიალურ შესაძლებლობებს აღემატება. ამიტომ, აქ საზოგადოება უნდა ჩაერიოს და ნებისმიერი საზოგადოება ჩაერევა კიდეც, მეტ-ნაკლები აქტიურობით, მეტ-ნაკლები ეფექტიურობით, რაც დამოკიდებული იქნება კონკრეტული პოლიტიკური ბრძოლის შედეგზე. ამრიგად ამერიკის მთავრობის /ან მთავრობების, ვინაიდან საქმიანობა ძირითადად სახელმწიფო და ადგილობ-

რივ დონეზე ხდება/ ფუნქციაში შედის: კვლევის სუფსიდირება, ექიმების აღზრდა, საავადმყოფოებითა და აღჭურვილობით უზრუნველყოფა, ნებაყოფილობითი სადაზღვევო სქემების რეგულირება, მოხუცთა მკურნალობა. ყველაფერი ეს წარმოადგენს „ადამიანური სიბრძნის ნაყოფს ადამიანების საჭიროებების დასაკმაყოფილებლად“ და იმისათვის, რომ ის მორალურ აუცილებლობლად იქცეს, სრულიად საკმარისია ისეთი ფართო და ღრმა „საჭიროების „ განვითარება, რომელიც შეიძლება, არა მხოლოდ, ამა თუ იმ პიროვნების, არამედ, ზოგადად, საზოგადოების საჭიროებად ჩაითვალოს- ის არის ჩვეულებრივი „ადამიანური საჭიროება“, რომელსაც კულტურულად ჩამოყალიბებული და გამოკვეთილი სახე აქვს მოცემული. /სქოლიოდან გადმოტანილი: რობერტ ნოძიკის/ ბერნარდ ვილიამის კრიტიკულ განხილვაში. რომლის მიხედვითაც, სამედიცინო მომსახურეობის განაწილების ერთადერთი შესაფერისი კრიტერიუმი საჭიროებაა და კითხულობს,-მამ რად არ გამომდინარეობს აქედან „რომ დალაქის მომსახურეობის ერთად ერთი შესაფერისი კრიტერიუმი-საჭიროებაა?“ ალბათ გამომდინარეობს კიდევ, იმ შემთხვევაში თუ ადამიანი მხოლოდ ამ საქმიანობის შინაგან მიზანზე ვამახვილებთ ყურადღებას, მისი უნივერსალური გაგებით; და არ გამომდინარეობს, თუ ადამიანი ამ საქმიანობის სოციალურ მნიშვნელობაზე და ადამიანების გარკვეული ჯგუფის ცხოვრებაში განაწილებული სიკეთის ადგილზე ვამახვილებს ყურადღებას. შესაძლებელია წარმოვიდგინოთ საზოგადოება, რომელშიც დალაქის საქმიანობასაც ისეთი დიდი მნიშვნელობა ენიჭება, რომ მისი კომუნური უზრუნველყოფა მორალურად აუცილებელი ხდება. მაგრამ, საინტერესოა, რომ ასეთ საზოგადოებას ჯერ არ უარსებია. ამ საკითხზე ჩემი მოსაზრების ჩამოყალიბებაში მე დამეხმარა თომას სქენლონის სტატია. აქ მე ვიღებ მის „პირობით“ ალტერნატივას./

მაგრამ საზოგადოებრივი უზრუნველყოფა დაწყებისთანავე მორალურ შეზღუდვებს ექვემდებარება. მან უნდა უზრუნველყოს ის რაც ერთნაირად „საჭიროა“ საზოგადოების ყველა წევრისათვის. და ისე უნდა გააკეთოს, რომ დაცულ იქნას წევრების პატივისცემა. ახლა შეერთებულ შტატებში სამედიცინო უზრუნველყოფის არსებული ფორმაც კი, რომელიც შორსაა ნამდვილი ეროვნული ჯანდაცვის სამსახურისაგან, გამიზნულია, მინიმალურ დონეზე მაინც, უზრუნველყოს სათანადო მომსახურეობით

ყველა, ვინც ამას საჭიროებს, სახალხო ფონდების გამოყენების შემდეგ...ამავ დროს ჯერ არ არსებობს პოლიტიკური გადაწყვეტილება, რომელიც პირდაპირ ექვექვემ დააყენებდა სამედიცინო მომსახურებაში კერძო პრაქტიკის სისტემას. ...პიროვნებებს მოემსახურებიან არა მათი საჭიროების მიხედვით, არამედ ანაზღაურების შესაძლებლობიდან გამომდინარე. ფაქტიურად მდგომარეობა უფრო რთულია, ვიდრე ეს ფორმულა გვთავაზობს, ვინაიდან **საზოგადოებრივი უზრუნველყოფა უკვე იჭრება თავისუფალ ბაზარში** და ძალიან მოხუცები და ავადმყოფები ზოგჯერ იღებენ კიდევ მათთვის საჭირო მომსახურებას. მაგრამ აშკარაა, რომ სიღარიბე კვლავაც მნიშვნელოვანი ბარიერია ადექვატური და საჭირო მკურნალობისათვის... **თითოეულს შესაძლებლობების /ან რესურსების/ მიხედვით, თითოეულს მოთხოვნილების მიხედვით.** ჩემი აზრით ეს არის სოციალური კონტრაქტის არსი. ჩვენ მხოლოდ დეტალების დამუშავება თუ დაგვრჩენია-მაგრამ ყოველდღიურ ცხოვრებაში დეტალები ყველაფერია.⁵⁷

დ) ქველმოქმედებისა და დამოკიდებულების შესახებ, საზოგადოებრივი უზრუნველყოფის შორს გამიზნული შედეგი არის არა მარტო ყიდვა-გაყიდვის, არამედ ქველმოქმედების სფეროს შეზღუდვა. ყოველ შემთხვევაში ეს ასეა ებრაულ-ქრისტიანულ საზოგადოებაში, სადაც ქველმოქმედება ტრადიციულად ბეგარების და საეკლესიო გადასახადების მნიშვნელოვან დანამატს და ღარიბთა დახმარების მთავარ წყაროს წარმოადგენს. დღეს დასავლეთში ზოგადი კანონი ასეთია, - რაც უფრო განვითარებულია საყოველთაო კეთილდღეობის სახელმწიფო, მით ნაკლები ადგილი და მოტივაცია არსებობს ქველმოქმედებისათვის. ეს არ არის მოულოდნელი ან არასასურველი შედეგი. ქველმოქმედების საწინააღმდეგო არგუმენტი ძალზე ჰგავს მათხოვრობის საწინააღმდეგო არგუმენტს, ვინაიდან მათხოვრობა არის ქმედება, რომელიც ქველმოქმედებითაა გამოწვეული და უღირსი ქმედებაა. ეს იმის განსაკუთრებით მტკივნეული მაგალითია, თუ რა ძალა აქვს ფულს მისი სფეროს გარეთ **„ქველმოქმედება ვნებს მის მიმღებს“**, წერს მარსელ მოსი თავის კლასიკურ ნაშრომში „საჩუქარი“-და ჩვენი მორალური მცდელობა მიმართულია ქველმოქმედების გაუცნობიერებელი ზიანის აღკვეთისაკენ“. ქველმოქმედება შეიძლება გავლენის და პატივისცემის ყიდვის გზაც იყოს, თუმცა, ეს უფრო მოსალოდნელია, როდესაც ქველმოქმედე-

ბა მიმართულია რელიგიისაკენ, განათლებისაკენ და არა ღარიბ-თა დახმარებისაკენ.... კერძო ქველმოქმედება იწვევს პიროვნულ დამოკიდებულებას და ამდენად, დამოკიდებულების ცნობილ ბოროტებას: ერთის მხრივ პატივისცემას, პასიურობას და მორჩილებას, მეორე მხრივ ქედმაღლობას. თუ საზოგადოებრივი უზრუნველყოფა პატივს უნდა სცემდეს წევრობას, მაშინ ის უნდა ეცადოს ამ ბოროტების დაძლევა. მაგრამ კერძო ქველმოქმედების, უბრალოდ საზოგადოებრივი განაწილებით შეცვლა არ იწვევს ამ შედეგს....საზოგადოებრივი დახმარება თავისთავად მაინც არ იწვევს დამოუკიდებლობას: რჩება ძველი სტანდარტები; ღარიბები კვლავაც პატივისმცემელი, პასიურები და მორჩილები არიან, საზოგადოებრივი მოხელეები კი - მათი წინამორბედების მსგავსად ქედმაღლები. აქედან მომდინარეობს ის მნიშვნელობა, რომელიც ისეთ პროგრამებს აქვთ, როგორც მაიმონდმა შემოგვთავაზა, რომელიც ღარიბებისათვის დამოუკიდებლად არსებობის საშუალების მიცემას გულისხმობს: რეაბილიტაციას, გადამზადებას, მცირე ბიზნესის სუფსიდირებას და ა.შ. თვით სამუშაო ერთერთი რამაა, რაც ქალებს და მამაკაცებს ჭირდებათდა რის მიღებაშიც საზოგადოება უნდა დაეხმაროს მათ, როდესაც ისინი თავად ვერ ახერხებენ ამას. მაგრამ, ესეც მოითხოვს ცენტრალიზებულ დაგეგმვას და ადმინისტრაციას და მგეგმავების და ადმინისტრირების ჩარევას. მნიშვნელოვანია ისიც რომ საზოგადოებრივი უზრუნველყოფის ნებისმიერი პროგრამა ადგილობრივი თვითდახმარების და ნებაყოფილობითი ასოციაციების მრავალნაირი ფორმებისთვისაც ტოვებს ადგილს. მიზანი საზოგადოებრივ საქმიანობაში მონაწილეობა და წევრობის კონკრეტული რეალიზაციაა. მაგრამ, ეს ის შემთხვევა არ არის როდესაც ადამიანი ჯერ დაძლევის სიღარიბეს, ამის შემდეგ კი ებმება საზოგადოების პოლიტიკურ და კულტურულ ცხოვრებაში; პირიქით ბრძოლა სიღარიბის /და ყველა სხვა გაჭირვების/ წინააღმდეგ ერთ-ერთი იმ საქმიანობათაგანია, რომელშიც ბევრი მოქალაქე -ღარიბი არც ისე ღარიბი თუ შეძლებული, ერთნაირად უნდა მონაწილეობდეს. ეს კი ნიშნავს, რომ იმ საზოგადოებაშიც კი რომლის მიზანია წევრობის /რთული/ თანასწორობა, მაინც არის ადგილი იმისათვის, რასაც რიჩარდ თითმუსმა „ურთიერთობის ნიჭი“ უწოდა.58

რეზიუმე: *მაიკლ ვოლცერის მოცემული ნაშრომი, განსახილველ წიგნში, გადმოცემულ და განხილულ ფილოსოფიურ*

ნაშრომებს შორის, გამოიყურება როგორც თეთრი ყვავი- შავებში, რამეთუ იჩენს კეთილ განწყობას დემოკრატიისა და საზოგადოებრივი საჭიროებებისადმი, მომხრეა საზოგადოების კომუნური მოწყობის, როგორც ეს შევეციაშია.

საზოგადოების დემოკრატიულად მოწყობის უპირატესობის დასტურად მაგალითები მოყავს ძველი ბერძნულ-რომაული და შუასაუკუნეებრივი ებრაული თემის ისტორიებიდან, რა დროსაც საზოგადოებრივი სიკეთე თუ რესურსები, ნაწილდებოდა მათ წევრებს შორის, ბევრად სამართლიანად, ვიდრე ამას ადგილი აქვს ლიბერალიზმის პერიოდში. ეხება ჯონ როულს და უწუნებს მას „უმეცრების საფარ ქვეშ“ სიკეთის განაწილების თეორიას. გაკვრით აღნიშნავს აშშ-ს კონსტიტუციაში მოხსენიებულ სამართლიანობას, სიმშვიდეს, კეთილდღეობასა და თავისუფლებას, როგორც ხალხთა დებატების საწყის წერტილს. წინააღმდეგობათა დაძლევის მიზნით საჭიროდ მიაჩნია ხალხთა გაერთიანება და არა დათითობა, როგორც ამას ლიბერალიზმი ქადაგებს. მისი აზრით ოჯახებს უნდა ე ხმარებოდნენ მოხუცთა რჩენა - მკურნალობაში, - ისეთი პოლიტიკური კომუნები, როგორცაა სახალხო ჯანდაცვისა და სოციალური უსაფრთხოების კომუნები. საერთო საზოგადოებრივი საჭიროების კონცეფციიდან გამომდინარე უნდა იდებოდეს „სოციალური კონტრაქტი“ საზოგადოებასა და სახელმწიფოს შორის, იქმნებოდეს საერთო საჭიროების გეგმა და მის შესაბამისად ხდებოდეს სიკეთეების გადანაწილება გაჭირვებულ ხალხს შორის, რაც დააკავშირებდა მათ უმდიდრეს ადამიანთა ფენასთან-ო.

აქ, მაიკლი გადამწყვეტ მნიშვნელობას ანიჭებს არა გაჭირვებულთა ინტერესებს, არამედ მდიდარ ადამიანთა ძალაუფლებას. დემოკრატიული სახელმწიფო მიაჩნია აშკარა „კეთილდღეობის სახელმწიფოდ“. თვლის, რომ დემოკრატიული სახელმწიფო იღვწვის საზოგადოების საერთო დონის ამაღლებისათვის, პიროვნებასთან შედარებით. ინდივიდდთა უფლებების გაფართოება მნიშვნელოვნად შეამცირებს კომუნის დემოკრატიის ფარგლებს-სო. სავალდებულოდ მიაჩნია ყველა პოლიტიკური საზოგადოება, იგულისხმება ნებისმიერი კომუნა, ზრუნავდეს თავისი წევრის საჭიროების დაკმაყოფილებაზე. სიკეთეები და საჭიროება უნდა ნაწილდებოდეს საჭიროების შესაბამისად, რაც უნდა აღი-

რებდეს კომუნის წევრთა შორის არსებულ უთანასწორობას, მათ შორის სამედიცინო მომსახურების სფეროში.

სამედიცინო მომსახურების განაწილების ერთად-ერთ კრიტერიუმად მიაჩნია პაციენტის საჭიროება, რაც ძირითად უფლებად შეიძლება აღიარებულ იქნას, მიუხედავად იმისა, რომ საზოგადოებრივი უზრუნველყოფა იჭრება თავისუფალ ბაზარში. სოციალური კონტრაქტის არსი უნდა განისაზღვრებოდეს: “თითოეულს შესაძლებლობის, თითოეულს მოთხოვნილების მიხედვით“. საზოგადოებრივი უზრუნველყოფა უნდა იყოს მიმართული იქითკენ, რომ აღიკვეთოს მათხოვრობა, როგორც ქველმოქმედება, რამეთუ, ერთი მხრივ მათხოვარს აჩვენებს უმუშევრობას, დამოკიდებულებას, მეორე მხრივ კი, ქველმოქმედს - ქედმაღლობას.

აქედან გამომდინარე, სიღარიბის დაძლევის მიზნით საჭიროდ მიაჩნია ღარიბებს მიეცეს დამოუკიდებლად არსებობის საშუალება, გაუკეთონ რეაბილიტაცია, გადამზადება, მცირე ბიზნესი და აშ., რაც ცენტრალურ დაგეგმარებას მოითხოვს. მიზანი, - ადამიანთა საზოგადოებრივი დანიშნულების რეალიზება. სიღარიბის დაძლევის საქმეში მდიდარი და ღარიბი ერთნაირად უნდა მონაწილეობდესო.

8. იან ნერვენსონი, 1984 წ-ს გამოცემული წიგნიდან: „თანასწორობისა და თავისუფლების შეპირისპირება“, „თავისუფლების უპირატესობა“

შესავალი. ამ ესეს თემაა პოლიტიკური და შესაბამისად, სოციალური ფილოსოფია, აქედან გამომდინარე კი - ეთიკა. ჩვენ გვსურს ვიცოდეთ, რამდენად მართებულია საზოგადოებისათვის L თავის სტრუქტურაში ჩართოს თანასწორობასთან ან თავისუფლებასთან დაკავშირებული მოთხოვნები, ან ორივე ერთად, თული მათი შეთავსება შესაძლებელია. რომელს მიენიჭოს უპირატესობა მათი შეუთავსებლობის შემთხვევაში, ან რა სახით შეკავშირდეს ეს ორი ცნება, თუკი მათი შერწყმა რაიმე დონეზე მაინც არის შესაძლებელი. მაგრამ ეს წინამდებარე, საკმაოდ მოკლე განცხადება საფუძვლიან გაშუქებას მოითხოვს, ვინაიდან, ფართოდ არის აღიარებული და ჩემი აზრით, მართალიცაა ის, რომ

ყველა ამ შემთხვევაში გარკვეული სახის თანასწორობას არსებითი მნიშვნელობა ენიჭება. ჩვენ ისეთ პრინციპს ან პრინციპებს ვეძიებთ, რომელიც საყოველთაო იქნება და ყველასათვის ერთი. ამ თვალსაზრისით, თანასწორობა, რასაკვირველია, ძირითადი და გარდაუვალია. მაგრამ ეს ძალზე უსუსური „თანასწორობაა“.

თითქოს საყოველთაოდ ცნობილია, რომ მოცემული პრინციპები, უფრო ღრმა აზრით, თანაბრად უნდა „ეპყრობოდეს“ ადამიანებს, თუნდაც, ყველასათვის თანაბარი უფლებების მინიჭებით, უფრო მეტიც, იმ უფლებებისა, რომლებიც-კვლავაც უნდა ითქვას, „გარკვეულად“-არ არის თვითნებური. ისე რომ, ყველა რასის, სქესისა და ა.შ. ადამიანებს, ვინც არ უნდა იყვნენ ისინი, მიენიჭებათ ერთნაირი ძირითადი უფლებები. მიუხედავად იმისა, რომ ეს საკითხი არავითარ კამათს არ იწვევს, თუმცა, მას აქვს პოლიტიკურად საეჭვო, გაურკვეველი მხარეები. საჭიროა, ავლნიშნოთ, ეს დახასიათება არ აგვარებს ამ ესეში დასმულ საკითხს. ეს საკითხი უშუალოდ ეკონომიკურ პრობლემებს ეხება. გასარკვევია, მოეთხოვებათ თუ არა ადამიანებს ხელი შეუწყონ ან ესწრაფვოდნენ ეკონომიკურ თანასწორობას, რაც შემოსავლის ან სიმდიდრის, საკუთრების ან კუთვნილების თანასწორობას გულისხმობს. ისიც უნდა გაირკვეს, თუ როგორ განისაზღვროს, გაიზომოს და შესაბამისად, გაწონასწორდეს ცვლადი. მიუხედავად იმისა, რომ ეს ჩვენი ესეს ძირითად საკითხს არ წარმოადგენს. აგრეთვე, უნდა მოვითხოვოთ თუ არა პატივი მიეგოს ადამიანის ეკონომიკურ თავისუფლებას? **ეკონომიკური თავისუფლება, საზოგადოდ, ბაზარს გულისხმობს და მეც ვიზიარებ ამ აზრს.** მაგრამ, აქ ისევ არსებობს კონცეფტუალური სახის საკითხები. **ზოგიერთი იმასაც ამტკიცებს, რომ თავისუფალი ბაზარი სინამდვილეში არ არის „თავისუფალი“, რომ ის, გარკვეულწილად, თვითონვეა თავისუფლების მტერი.** იმისათვის, რომ შევძლოთ დავადგინოთ არის თუ არა ამგვარ მტკიცებაში რაიმე რაციონალური, ჩვენ უნდა გვქონდეს თავისუფლების ცნების საკმაოდ ზუსტი განსაზღვრება.

ეს, ესე, ამ სახით განვითარდება: დასაწყისში, მე ექვს გამოვთქვამ ეკონომიკური თანასწორობის იდეის თანმიმდევრულობაზე. შემდეგ კი, შევეხები ამ იდეის რამოდენიმე, ძირითად მომხრე დებულებას. ამის შემდეგ, მე გადავდივარ თავისუფლების, კერ-

მოდ კი, ეკონომიკური თავისუფლების მიმოხილვაზე, რასაც ვიწყებ ამ ცნების განსაზღვრით და მტკიცებით ამ იდეის თანმიმდევრულობის შესახებ. სულ ბოლოს, ვეხები საფუძვლების საკითხს: არსებობს თუ არა ეკონომიკური თანასწორობის ან ეკონომიკური თავისუფლების მნიშვნელოვანი არგუმენტები? აღმოჩნდება, რომ ეს ორი ცნება, ამჟამად, შეუთავსებელია, როგორც სოციალური მოთხოვნების ერთობლიობა და, ამრიგად, ან არჩევანი უნდა გაკეთდეს ან რაღაც სახის ნაზავი უნდა შეიქმნას. თავისუფლების წმინდა დოქტრინას, ხშირად ბუნებრივი უფლებებიდან ან მისი თავისთავად ცხადი ხასიათიდან გამომდინარე იცავენ. ვინაიდან, ეს ცნებები სავსებით გასაგებია, არც ერთ მათგანს არ განვმარტავ. განხილვა იქნება კონტრაქტარული, თუმცა, არა როულსისეული სპეციფიკური გაგებით და როგორც ვნახავთ, მასში უპირატესობა თავისუფლებას მიენიჭება. ამ საკითხთან დაკავშირებულ მოსაზრებებს მცირე ადგილი დაეთმობა, მაგრამ ზოგიერთს მაინც შეეხება.⁶⁷

ა) ნაწილი 1: თანასწორობა, ეკონომიკური თანასწორობა: ზოგიერთი საკითხი. ვინაიდან, ახლა ჩვენ იმ მოსაზრებას განვიხილავთ, რომ ეკონომიკური თანასწორობა სამართლიანობის მიზანია, ღირს, შევჩერდეთ და ვიკითხოთ, თუ რას წარმოადგენს თავად ეს მიზანი. რასაკვირველია, არსებობს აშკარა პასუხი: ორი პიროვნება თანასწორია, თუ მათ აქვთ თანაბარი შემოსავალი ან თანაბარი სიმდიდრე შეფასებული ფულის ერთეულით, როგორცაა დოლარი. შეიძლება ითქვას, ფულის დანიშნულება ის არის, საშუალება მოგვეცეს ერთმანეთს შევადართო განსხვავებული საგნები, რომელთაგანაც შედგება სიმდიდრე. ეს პასუხი ისეთივე ბუნებრივია, როგორც სიცხის გაზომვა თერმომეტრის გრადუსების დანაყოფებით.

ამ აზრის უარყოფითი მხარე ის არის, რომ ფულის ერთეულის ღირებულება საზაზრო ან საბაჟო საზოგადოებაში განისაზღვრება ბაზრის მექანიზმით. ფულის ერთეული, რომელიც გამოხატავს დამოკიდებულებას ბაზარზე არსებული საქონლის პარტიებს შორის, წარმოადგენს ექვივალენტს, რომლის საშუალებით დგინდება ფასი ბაზარზე: თვითთუელ საგანში ძალზე ცოტა ადამიანი გადაიხდის ძვირს, მეტს, რათა მეტი სარგებელი ნახოს გამყიდველმა, მაშინ, როდესაც უმრავლესობა გადაიხდის იმდენს, რომ

ფასი, უბრალოდ, მომგებიანი იყოს. ამ ყველაფრის მამომრავლებელი ძალაა თავისუფალი გაცვლა- გამოცვლა ანუ ბირჟა. მაგრამ ახლა წარმოვიდგინოთ, რომ გვსურს დოლარის შემოსავლის გათანაბრება. მაშინ რა ხდება? საბაზრო საზოგადოებაში, რაც დრო გადის შემოსავალი უფრო მნიშვნელოვნად იზრდება. ეს კი, შესამამისად, მოქმედებს მომხმარებელზე და აქედან გამომდინარე „მოთხოვნილების მრუდზე“. ყოველივე ეს, თავის მხრივ, გავლენას ახდენს იმაზე თუ რა იწარმოება და რა მოგებას მოუტანს ნაწარმი ბაზარს. თუ თქვენ დაიწყებთ T-1-ში საბაზრო საზოგადოებით და დააწესებთ გადასანაწილებელ გადასახადს T-2-ში, ეს განა იმას ნიშნავს, რომ შემოსავალი გადასანაწილების შემდგომ /“დოლარების“ რაოდენობით თუნდაც თანაბარი თანხა/ ტოლია? ვთქვათ A გადასანაწილების შემდგომ მიღებული I შემოსავლით ყიდულობს გარკვეული რაოდენობის J-ს, მაშინ როდესაც B ყიდულობს გარკვეული რაოდენობის K-ს. განა ამით იმის მტკიცება გვსურს, ბრომ $K=J$? განსაკუთრებით, თუ /და ალბათ, ასეც იქნება/ გადასანაწილების შემდგომ მიღებული დოლარი მფლობელს ნაკლებად ღირებული მოეჩვენება, ვიდრე გადასანაწილებამდე? ვთქვათ, T1-ში I -შემოსავლით იყიდეს J+M ან K+N, სადაც N არ არის M-IS ტოლი, მაშინ? მეტად არიან ამ შემთხვევაში A და B თანასწორნი თუ ნაკლებად?

ამ შემთხვევაში ერთი გამოსავალი იქნება,-ფულის ნაცვლად საქონლით გადახდა, ყოველი ადამიანისათვის შესაძლებლობის ფარგლებში ერთნაირი საქონლის მიცემა, ოდნავი განსხვავების შემთხვევაშიც, კვლავ იგივე პრობლემა იჩენს თავს. მაგრამ თანასწორობის მომხრეებს, ალბათ, სინამდვილეში სხვა რამ სურთ. ბრუს ლენდესმანი, ეგალიტარიზმის ახალი მომხრე წერს: მაგრამ მათ /ეგალიტარიზმის მოწინააღმდეგეებმა/ შეტევა „ფიტულზე“ მიიტანეს. სრულიად შეუძლებელია ვიფიქროთ, რომ ეგალიტარიზმის მომხრეების ძირითადი მიზანი არის ან უნდა იყოს ერთგვაროვნება. რატომ უნდა უნდოდეს მას ერთგვაროვნება? თუ მას სურს, რომ ყველა ადამიანი კარგად ცხოვრობდეს და თან თანაბრად კარგად, ისიც გაუგებარია, რომ თანაბარი კეთილდღეობის იდეა, ლოგიკურად მაინც, უთავსდება განსხვავებულ გემოვნებასა და ცხოვრების სხვადასხვაგვარ ყაიდას.

მაგრამ არსებობს ერთგვაროვნებისაკენ მიმართული ზემოქმე-

დების მექანიზმი, ვინაიდან, თუ კი თავისუფალი ბაზარი არ იარსებებს, რაც თავის მხრივ, რასაკვირველია, შეუძლებელს გახდის სასურველი თანასწორობის განხორციელებას, კიდევ უფრო გართულდება იმ წილის გაზომვა და დადგენა, რომელიც თვითოეულ ადამიანს ერგება მოჩვენებით ეგალიტარული რეჟიმის პირობებში, თუ კი ეს წილი თავისი შემადგენლობით უკიდურესად ერთგვაროვანი არ არის.

ბაზრის „თავისუფლება“- ილუზიაა, რამეთუ როგორც ინდივიდის ასპექტში საცნობია კომუნის საერთო კომპეტენციიდან მის წილად აღიარებული, თუ მისთვის გადაცემული უფლებების ჯამი, ისე ბაზრის „თავისუფლებაშიც“ დასანახია გარიგებაში მონაწილე მხარეთა უფლებრივი თანხმობა, რაც დამოკიდებული უნდა იყოს მათ ძირითად კომუნათა ურთიერთშეთანხმებით გათვალისწინებულ სამოქალაქო ბრუნვის რეჟიმზე, დაფუძნებული შესაბამისად უმეტესთა ინტერესებზე.

ნამდვილად, ძნელი გასაგებია, რატომ უნდა იფიქროს ვინმემ, რომ თანასწორი მდგომარეობა /როდესაც თვითოეულ პირს ერთნაირი მატერიალური ან სხვა სახის საქონელი აქვს /სამართლიანობის ან ნებისმიერი სახის სოციალური მოთხოვნითაა განპირობებული. მე ვამტკიცებ, რომ ეს ყველა სხვა სახის თანასწორობას ეხება, მაგრამ თავიდანვე ნათელი უნდა იყოს, რომ ნებისმიერს, ვინც ეხმარება საქონლის განაწილებაზე დამყარებულ, ე.წ. „სამანათო“ თანასწორობას, რაღაც სხვა აზრი უნდა უბიძგებდეს ამისკენ. მაგ., /როგორც ეს ლენდესმანის შემთხვევაშია/ საბოლოო კეთილდღეობის ან სიმდიდრის თანასწორობა; ან ბოლო დროს რონალდ დვორკინის მიერ წამოყენებული რესურსების თანასწორობა. ამ შემთხვევაშიც, რასაკვირველია, ეს აზრები არ შეიძლება ჩაითვალოს, თავისთავად, ცხადად. თუკი ვინმე ფიქრობს, რომ სამართლიანობის თვალსაზრისით, ყოველ ჩვენგანს საბოლოოდ თაბაბარი კეთილდღეობა უნდა გვექონდეს, ამის მიზეზი უნდა იყოს ის, რომ ამ პიროვნების აზრით, ჩვენ, ყველა, თანაბრად ვიმსახურებთ მას, ან თანაბრად გვეკუთვნის ის. ასევეა რესურსების შემთხვევაშიც. ჩვენ შეიძლება რამეში გავერკვეთ, თუ კარგად დავაკვირდებით ამგვარ არგუმენტებს. მე მოკლედ განვიხილავ თი-

თოეულს ცალკ-ცალკე.68

ა) თანაბარი კეთილდღეობა?... თანასწორობის მომხრეები, ჩვეულებრივ ისე საუბრობენ, თითქოს, ნამდვილად, შესაძლებელია ბედნიერი ვიყოთ ყველა. მართალია, გათანასწორების ხარჯზე მათ სურთ მდგომარეობა უკეთესობისაკენ შემოაბრუნონ და არა უარესობისაკენ, მაგრამ ვერავინ ... სერიოზულად ვერ იფიქრებს, თითქოს, უნარი შეგვწევს ჩვენ შორის ყველაზე დაბეჩავებულთა პირობები ისე გავაუმჯობესოთ, რომ ჩვეულებრივი, რიგითი ადამიანის დონეს გავუთანაბროთ /აღარაფერს ვამბობ განსაკუთრებული აღნაგობით, სხვა პიროვნული თვისებებით დაჯილდოვებულ ადამიანების დონეზე/. იშვიათად, ისეთი შემთხვევები გვხვდება, როდესაც, შესაძლოა, ესა თუ ის გაჭირვებული ადამიანი სხვისი წყალობით ჩავარდა ამ მდგომარეობაში და მაშინ, შეიძლება ვამტკიცოთ, რომ პირი, რომლის ქმედებამაც გამოიწვია იმ გაჭირვებულის ამგვარი მდგომარეობა, სამართლიანობიდან გამომდინარე, სასჯელის სახით უნდა გავუთანასწოროთ მას. ზოგიერთი თეორეტიკოსის აზრით, ეს ტიპური მოვლენაა და დედამიწაზე მცხოვრები ყველა ლატაკი ამ დღეში ხარბმა კაპიტალისტებმა ჩააგდეს. ძნელია იმ ადამიანების გაგება, რომლებიც ამ აზრს სერიოზულად ეკიდებიან და ალბათ, არც ეს ესე დაარწმუნებს მათ ამ თვალსაზრისის უსაფუძვლობაში /თუმცა კი, ერთ-ერთ მომდევნო პარაგრაფში მაინც შევეცდები ამის გახსნას/. მაგრამ დანარჩენებს ხომ ადვილად შეგვიძლია წარმოვიდგინოთ ისეთი შემთხვევები, სადაც ამგვარი აზრი სინამდვილეს სრულიად არ შეესაბამება. ამ უბედურობის მიზეზი შეიძლება იყოს თანდაყოლილი დაავადება ან სიმახინჯეები, რისი წინასწარი განსაზღვრა თანამედროვე ადამიანის უნარს აღემატება. ახლა მსურს შევეკითხო პატივმოყვარე გამათანაბრებლებს: მერე რა დასკვნა გამოვიტანოთ აქედან? განა სამართლიანობიდან გამომდინარე ჩვენი წმიდათა-წმინდა ვალი ის არის, რომ გავაუბედურდეთ, როგორც საცოდავთა შორის უსაცოდავესნი?

წარმოვიდგინოთ, რომ პირიქით, ჩვენ შეგვიძლია რაღაცა გავაკეთოთ. კერძოდ, წარმოვიდგინოთ, რომ უდიდესი და ხანგრძლივი ძალისხმევის შედეგად შევძელით ოდნავ გამოგვესწორობინა ამ ლატაკის მდგომარეობა. ამის წინასწარ განსაზღვრული, მოსალოდნელი გართულება ის იქნება, რომ ამ მცდელობის შემდეგ

ჩვენც, დაახლოებით, ისეთსავე გადატაკებულ მდგომარეობაში აღმოვჩნდებით, როგორშიც ის იმყოფება. იმის თქმა ხომ არ სურთ თანასწორობის იდეის მესვეურთ, რომ თუ კი პასუხისმგებლობა გვეხსნება, როდესაც არაფერი შეგვიძლია, ეს პასუხისმგებლობა კვლავ გვეკისრება, თუკი სულ ცოტა რაიმის გაკეთება მაინც ძალგვიძის? თუ არა რატომ?

შეკითხვა,- ვისი კეთილდღეობა უნდა გათანაბრდეს? -ჯერ ისევ ძალაშია, ვინაიდან, ძნელი გასაგებია, თუ რატომ უნდა შემოვიფარგლოთ მხოლოდ ადამიანებით? რას ვიტყოდით დაბალი განვითარების ცხოველზე? ან რამდენად დაბალ განვითარების ცხოველი უნდა განვიხილოთ? განა უსამართლობაა ის, რომ სიპინი, ტრიტონი და, იქნებ, ამებაც კი ვერ აღწევენ კეთილდღეობის იმ დონეს, რომლითაც თქვენ და მე ასე უსამართლედ ვსარგებლობთ? თუ ეს ასე არის - რატომ? და თუ ეს ასეა, განა შეიძლება გონიერმა ადამიანმა ეს აზრი სერიოზულად აღიქვას?

თანასწორობის დამცველი, ალბათ, მიპასუხებს, რომ ის გულისხმობს მხოლოდ ნორმალური ადამიანების კეთილდღეობას /რომლებიც არც დასწრეული ხეიბრები არიან და არც გაუწონასწორებული მელანქოლიური ტემპერამენტი აქვთ/ და რასაკვირველია, მხოლოდ ადამიანებს, მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ ჯარაც არ მიგვიღია პასუხი, ამ, თითქოს და შემთხვევით კითხვაზე მაინც განვაგრძობთ. ჩვენ, ამთავითვ, უნდა აღვნიშნოთ, რომ **კავშირი თანაბარ კეთილდღეობასა და თანაბარ ეკონომიკურ პირობებს შორის არ არის პირდაპირი.** თუ სმითის და ჯონსის შემოსავლის ან საკუთრების გათანაბრების მიზანია თანაბარი კეთილდღეობის დამყარება, მაშინ, რასაკვირველია, ძნელი იქნება ჩვენი დარწმუნება, რომ თვით ტიპიურ შემთხვევაშიც კი, შესაძლებელია ოდნავ წარმატების მიღწევა და პირიქით, იოლად დავიჯერებთ, რომ უმრავლეს შემთხვევაში მარცხი გარანტირებულია. ნათელი ბუნების ჯანსაღ ადამიანს ნაკლებად აინტერესებს ყოველივე ის, რასაც მას ეკონომიკური თანასწორობა მოუტანს, მაშინ, როდესაც მეორე ადამიანი ოდნავადაც ვერ გაიხარებს, თუკი მას ტიპიურ მილიონერზე საგრძნობლად ნაკლები ერგო. ...იქნებ იგულისხმება, რომ ახალი გამათანასწორებელი რეჟიმი ამგვარ შემთხვევაზეც იზრუნებს და სმითსა და ჯონსონს თანაბრად უზრუნველყოფა არა მარტო საჭირო საგნებითა და სიამოვნებით,

არამედ ერთნაირი განწყობილებებითა და მსგავსი გემოვნებით? და თუ ეს ასეა, განა აშკარა არ არის, რომ ეს ძალზე მცდარი აზრია? შეიძლება ითქვას, უკიდურესად მცდარი და ნებისმიერი სერიოზული ადამიანი მას სრულიად მიუღებლად მიიჩნევს.⁶⁹

ბ) თანაბარი კეთილდღეობის მომხრე არგუმენტი

1: დამსახურება, თანასწორობასთან მიმართებაში ერთი მთავარი კითხვაა-რატომ? რასაკვირველია, ეს ის შეკითხვაა, რომელიც უნდა დავუსვათ სამართლიანობის ნებისმიერ სოლიდურ კონცეფციას და საბოლოოდ ჩამოვაცალიბოთ აზრი, თუ რა არის, ან რა უნდა იყოს სამართლიანობა, ვიდრე საბოლოო პასუხს გაცემდეთ. ამ შეკითხვას, ჯერ-ჯერობით მხოლოდ „ინტუიციის“ დონეზე ვსვამ. ახლა ვნახოთ, თუ რა პასუხებია მოსალოდნელი ამ დონეზე. ცნებები, რომლებიც შეიძლება გამოყენებულ იქნას ფორმულირების დროს, არის, ალბათ, დამსახურება ან ღვაწლი, იქნებ სამართლიანობაც ან თანასწორობა, თანაბარი ანაზღაურების ან „თანასწორი მოპყრობის“ თვალსაზრისით. დავიწყოთ პირველით.

მაგრამ, თანასწორი დამსახურება ან ღვაწლი არის ის, რაც დავკვირდებთ თანაბარი კეთილდღეობის მისაღწევად. ცხადია, თანასწორი დამსახურება -კეთილდღეობის მისაღწევად, ხოლო თანასწორი ღვაწლი კი -საკუთრივ კეთილდღეობის გასანაწილებლად. მაგრამ, მოსაზრებები დამსახურების შესახებ, საერთოდ, უთანასწორობის მხარდასაჭერად უფრო გამოდგება, ვიდრე თანასწორობის. ნებისმიერი არსებული სტანდარტების მიხედვით ადამიანები განსხვავდებიან თავიანთი დამსახურების მიხედვით. გარდა ამისა, სრულიად არ არის გასაგები, რომ დამსახურება ერთადერთი ცვლადი იქნებოდა თუნდაც იმ შემთხვევაში, თუ კი როგორღაც, მოხერხდებოდა თანასწორობის დამყარება. სავსებით აშკარაა, რომ ის არ არის ერთადერთი რელევანტური ცვლადი, ამ სიტყვის ჩვეულებრივი მნიშვნელობითაც კი. ორივე აზრი მოითხოვს დაზუსტებას.

დავიწყოთ ომით, რომ დამსახურება ზოგადად არის ის, რასაც შეიძლება ეწოდოს „პროექტ-სპეციფიკური“. ერთმა ადამიანმა შეიძლება ბევრი დაიმსახუროს კალათბურთის გულშემატკივართაგან იგივე ქმედებისათვის, რითაც თქვენ ვერაფერს მიაღწევთ ვერც კალათბურთში და ვერც მითუმეტეს, სიმფონიურ

ორკესტრში. ეგალიტარიზმის მომხრე, რომელიც მსჯელობს დამსახურებაზე, აშკარად, უნდა ფიქრობდეს, რომ არსებობს დამსახურების ზოგადი, „პროექტ-ინდიფერენტული“ განსაზღვრება, რომლის მიხედვითაც ჩვენ ყველა თანასწორნი ვართ და, რომელიც განსაკუთრებით რელევანტური იქნება ეკონომიკური განაწილებისას. მაგრამ ასეთი განსაზღვრება არ არსებობს. ვერც მორალური ღირებულება შეცვლის რამეს. აზრი, თითქოს ჩვენ იმის გამო უნდა გადაუხადოთ ადამიანებს, რომ ისინი სათნოლო არიან, საფუძველშივე მცდარია. როგორც არ უნდა ვეცადოთ ამის წარმოდგენას, არავითარ შემთხვევაში, არ არიან ადამიანები თანასწორნი მორალური ღირსებებით.

დამსახურება არის არა მარტო „პროექტ-სპეციფიკური“, არამედ „ჯილდო სპეციფიკურიც“. ადამიანმა შეიძლება დაიმსახუროს ქება ანაზღაურების მომენტის გარეშე. ადამიანმა შეიძლება დაიმსახუროს „ჯილდო“, მაგრამ წიგნში „ვინ ვინ არის“ ვერ მოხვდეს. საინტერესოა, რომ გამათანაბრებელი მოითხოვს დამსახურებისადმი არა მარტო პროექტ-ინდიფერენტულ მიდგომას, არამედ, „პროექტ-ინდიფერენტულ“ მიდგომაზე „ჯილდო-სპეციფიკურ“ პასუხს, ვინაიდან ეკონომიკური ჯილდო, ჩვეულებრივ, სპეციფიკურადაა მიჩნეული. უფრო მეტიც, ის, რაც ერთი შეხედვით გამოარჩევს ეკონომიკურ ჯილდოს- სწორედ „დამსახურებას ეფუძნება“. პროექტი, რომელსაც ეკონომიკური ჯილდო მოსდევს და შეეფერება გამომდინარეობს პროდუქტიულობიდან,-არ აქვს მნიშვნელობა რას აწარმოებს მოცემული საწარმო. ხოლო პროდუქტიულობის მიხედვით ადამიანები, აშკარად, ძალიან განსხვავდებიან ერთმანეთისაგან.

უკიდურეს შემთხვევაში, შეიძლება დავუშვათ, რომ თუმცა, ადამიანები სინამდვილეში, ძალზე განსხვავდებიან ერთმანეთისაგან ნებისმიერი კონკრეტული საქმით ანუ „პროექტ- სპეციფიკური“ დაშესაბამისად რელევანტური დამსახურებით- ორივე კი ცვლადი სიდიდეა-მთლიანობაში, მაინც თანასწორნი გამოდიან. მაგრამ ეს -უკიდურეს შემთხვევაში. არსებობენ ადამიანები, რომლებიც ყველა სხვას ნებისმიერი შესაძლო თვისებით სჯობიან ან თრგუნავენ მაინც ამ თვისებებს სხვებში. ეს ასეა იმ შემთხვევაში მაინც, თუ საფუძვლად ავიღებთ საზოგადოდ აღიარებულ ცვლად სიდიდეებს. რასაკვირველია, თუ ჯონსი სმითზე უკე-

თესი გარეგნობისაა, სმითი ჯონსზე უარესი გარეგნობისა იქნება. და, ამრიგად, თუ ჯონსი მეტად იმსახურებს იმას, რაც კარგ გარეგნობას ეკუთვნის. სმითი მეტად იმსახურებს იმას, რაც ცუდ გარეგნობას ეკუთვნის. დაე ყველამ თავისი მიიღოს . . . ამასობაში ჩვენ აღვნიშნეთ, რომ ამგვარი სქემის ვარგისიანობისათვის ჩვენ ასევე გვჭირდება სხვადასხვა დამსახურებაზე დამყარებული, რაღაც სახის ქმედითი კარდინალიზაცია. ვინაიდან, ჩვენ კვლავ შეიძლება ველოდოთ შემთხვევებს, სადაც A-ბევრად სჯობს B-ს X, Y და Z -ში. ხოლო B-A-ს, U, V და W-ში. და ბოლოს, კვლავ საჭიროა დავამტკიცოთ, რომ ამ განსხვავებული ცვლადი სიდიდეების ჯამს, როგორღაც, განსაკუთრებული კავშირი აქვს ეკონომიკურ ჯილდოსთან. ჩემი აზრით ეს ანმაოა...

მაგრამ, ასეა თუ ისე, როგორც ნოზიკმა ასე ელეგანტურად შეგვახსენა, დამსახურება არ შეიძლება ჩაითვალოს ერთადერთ რელევანტურ ცვლად სიდიდედ, ჩვენი უმრავლესობა, თავისი რესურსების განაწილების საკითხს იმ ადამიანების სასარგებლოდ წყვეტს, რომლებიც გვიყვარს არა იმიტომ, რომ ისინი სხვებზე მეტად იმსახურებენ ჩვენს სიყვარულს, არამედ, უბრალოდ, ისინი ჩვენი შვილები არიან. ასევე მეგობრების და სხვა ადამიანური ურთიერთობების შემთხვევაში. და ისევე, ჯილდო შეჯიბრში გამარჯვებულს გადაეცემა და არა იმას, ვინც, შესაძლოა, გამარჯვებას მეტად იმსახურებს-მეტი ძალისხმევით, მსხვერპლით და ა.შ. და ბოლოს, /კიდევ ერთი ნოზიკისეული დაკვირვება/, შესაძლოა, ვლადიმერ ამკენაზი, რომელსაც მხოლოდ ჩემი წვლილი სჭირდება, მეტად იმსახურებს მას, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ სამართლიანობიდან გამომდინარე, მომეთხოვა დათმობა. მოგვიანებით, ამ ღრმა და მნიშვნელოვან საკითხზე მეტი ითქმება და, რასაკვირველებია, უნდა ვაღიაროთ, რომ ზოგიერთები მოინდომებენ ამ აზრის სრულიად უარყოფას. ახლა განვიხილავთ ამ უარყოფის ძირითად ფორმას. 70

გ).თანაბარი კეთილდღეობის მომხრე არგუმენტი

2: სამართლიანობა, სამართლიანობის ცნება ჩვენი ცხოვრების ბევრ სფეროში შემოდის, განსაკუთრებით, როდესაც ვმოქმედებთ, როგორც იმ ჯგუფის წევრები, რომლებიც აღიარებენ საერთო წესებს და მეტნაკლებად, საერთო ინტერესები აქვთ. ამ შემთხვევაში სწორი იქნება, დავეყრდნოთ წესებს და ან ინტერესებს, რათა და-

ვადგინოთ, რომ ერთმა ადამიანმა მეორე შეურაცყო, ან შებღალა შესაბამისი წესების ან ინტერესების არსი. ამას ჩვენ შეიძლება ვუწოდოთ „ორდინარული სამართლიანობა“. მაგრამ ორდინარული სამართლიანობა არ მიგვიყვანს თანასწორობამდე. ერთი გუნდის ყველაზე სუსტმა მოთამაშემ შეიძლება კვანტი გამოსდოს მოწინააღმდეგე გუნდის უძლიერეს მოთამაშეს. ეს უსამართლობაა, მაგრამ მისი გამოსწორება მხოლოდ გააღრმავებს უთანხმოებას. არ შეიძლება მოველოდოთ, რომ ჩვენი სამართლიანი საქციელი გამოიწვევს ამათუ იმ უთანხმოებას, მათ შორის ეკონომიკურსაც, შესუსტებას.

მაგრამ, ბოლო დროს, სამართლიანობას უფრო ღრმად განიხილავენ. ამგვარი მიდგომის მქადაგებელი / თანამედროვე სახით/, რასაკვირველია, არის ჯონ როულსი. პრინციპი, რომელსაც იგი სამართლიანობის თეორიიდან მოიხმობს და რომელიც, როგორც ჩანს შინაარსით, ხელახლა გადანაწილების მომხრეა, მოცემულია ე.წ. „ბუნებრივი თავისუფლების სისტემის“ განხილვაში. ამ სისტემაში არის „თანაბარი თავისუფლება და თავისუფალი ეკონომიკური ბაზარი“, მაგრამ მასში „თანაბარი ან ერთნაირი სოციალური პირობების შენარჩუნების“ მცდელობაც კი არ ჩანს, რის შედეგადაც „ნებისმიერი ვადით ქონების საწყის გადანაწილებაზე დიდ გავლენას ახდენს ბუნებრივი და სოციალური მოულოდნელი შემთხვევები“. ამ საკითხს როულსი ამგვარ კომენტარს უკეთებს :“ინტუიტურად ბუნებრივი თავისუფლების სისტემის ყველაზე აშკარა უსამართლობა ის არის, რომ იგი საშუალებას იძლევა, მორალური თვალსაზრისით, ესოდენ შემთხვევითმა ფაქტორებმა არასწორი გავლენა იქონიონ განაწილების წილზე“. მაგრამ განა ინტუიტურია ის, რომ ყველა ამგვარი გავლენები, არასწორია?

ჩვენ შეგვიძლია დავუშვათ, რომ ადამიანის თანდაყოლილი თვისებები და ბუნებრივი და სოციალური გარემო არის ის, რასაც არ შეიძლება ეწოდოს „დამსახურებული“...იმის მტკიცება, რომ ადამიანმა ყველაფერი დამსახურების შესაბამისად უნდა მიიღოს, ნიშნავს, უარყო მისი უფლება იყოს ის, ვინც არის. და თუ ჩვენ უარყოფთ ამ უფლებას, მაშინ რაღა რჩება ხელმოსაჭიდი, მითუმეტეს სასურველი?

ასეთი მიდგომა ჩაკლავს ადამიანში სოციალურ

აქტივობას, რაც უდაოდ გამოიწვევს გაბატონებული ფენისადმი მტრულ დამოკიდებულებას.

რასაკვირველია, ისიც აღსანიშნავია, რომ არავინ იმსახურებს, იყოს ადამიანი დამსახურებიდან გამომდინარე, ჩვენ შეიძლება ციყვები ვყოფილიყავით ან კიდევ ვინ იცის რა?, ალბათ, მიკრობები. მორალური შემთხვევითობა არ მთავრდება homo sapiens-ის საზღვრებთან, თუ კი ვეხებით ბუნებრივი, თანდაყოლილ ნიჭის შემთხვევითობას. ის, აშკარად, არც ინტელიგიბილურობის საზღვრებთან მთავრდება.

ამ ესეს საგანია სოციალური „ინსტიტუტების“ მიზნის განსაზღვრა. აქ განხილული სხვადასხვა მორალური წინაპრების მიზანია ადამიანების ქმედების წარმართვა. პიროვნების მიერ ჩადენილი უსამართლო მოქმედება არის წინაპირობა, რომელიც გვიბიძგებს უსამართლობის აღსაკვეთად მიმართული ქმედებისაკენ. უსამართლო საქმის ვითარება არის წინაპირობა, რომელიც მოითხოვს გადამწყვეტი საკითხის განმარტებას, - ვინ რა უნდა აკეთოს ამასთან დაკავშირებით? გამთანაბრებელი ყველა ჩვენგანს მოუწოდებს ვუწილადოთ, თუ ჩვენ სხვებზე მეტი გვაქვს, ან მოვითხოვოთ წილი, თუ სხვებზე ნაკლები გვაქვს. ახლა ვნახოთ, როგორ გავლენას ახდენს ჩვენ ქმედებაზე შემდეგი შინაარსის წინაპირობა- ადამიანს დაუმსახურებლად აქვს თანდაყოლილი, მშობლებისაგან და სოციალური გარემოსაგან მიღებული სიმდიდრეები. თუ წინაპირობა მდგომარეობს შემდეგში:

P1-ადამიანები არ იმსახურებენ თავიანთ საწყის სიმდიდრეს, მაშინ დასკვნა, ერთი შეხედვით, ასეთი გამოდის:

C1-ყველა ადამიანს ჩამოერთვას ყველა სახის საწყისი სიმდიდრე და ყველაფერი ის, რაც მისი წყალობით მიიღო. მაგრამ გამთანაბრებლებს თითქოს არ სურთ ამ გზით წასვლა. ისინი სამაგიეროდ შემდეგ აზრს გვთავაზობენ:

P2- არცერთი ადამიანი სხვებზე მეტად არ იმსახურებს თანდაყოლილ სიმდიდრეს. ამიტომ,

C2- ყველა სიმდიდრე, რამდენადაც შესაძლებელია, თანაბრად უნდა განაწილდეს.

თუ კი თანდაყოლილი სიმდიდრის გადანაწილება შეუძლებელია /და უმეტესწილად ეს ასეა/, ადამიანებისათვის არათანაბრად

მინიჭებული დიფერენციული ჯილდოს გადანაწილება, მაინც, ხომ შეიძლება და გამთანაბრებლების მიზანიც სწორედ ეს არის. მაგრამ საკითხავია, თუ როგორ გამომდინარეობს C2, P2-დან, ვინაიდან P2, ბოლოს და ბოლოს, P1-დან გამომდინარეობს და P1-დან კი, როგორც ვნახეთ, C2 კი არა, C1 გამოდის. იმისათვის, რომ მივიღოთ C2, P2 -ს უნდა დავუმატოთ წინაპირობა, რომ ყველა თუ არა, ზოგი ადამიანი მაინც იმსახურებს თავის თანდაყოლილ სიმდიდრეს. ვინაიდან, მათ პრეტენზია ექნებათ იმაზე, რასაც ამ სიმდიდრეს გამოყენებით მიაღწევენ, P2 მართლაც იწვევს C2-ს. მაგრამ საქმე ის არის, რომ P2-ის მტკიცების მიზეზი იყო ის, რომ შეუძლებელია რაიმე აზრის გამოტანა განცხადებიდან, რომ არავინ იმსახურებს თავის თანდაყოლილ სიმდიდრეს. უკან თუ დავბრუნდებით /რაც შეუძლებელია, თუმცა ამის წარმოდგენა შეიძლება/ და ვიტყვით, რომ ზოგი ადამიანი მაინც იმსახურებს იმას, რასაც იღებს თანდაყოლილი სიმდიდრის მეშვეობით, მაშინ კამათი ასე განვითარდება:

P3-ზოგი ადამიანი იმსახურებს იმას, რასაც იღებს თანდაყოლილი სიმდიდრის გამოყენებით.

P2-/როგორც უწინ/ არცერთი ადამიანი სხვებზე მეტად არ იმსახურებს თანდაყოლილ სიმდიდრეს. ამიტომ C2-/როგორც წესი/ ყველა მონაპოვარი თანაბრად უნდა იქნას განაწილებული.

მაგრამ, ეს აბსურდია, ვინაიდან P3 შეიძლება შეუთავსდეს ან არა P1-ს. თუ შეუთავსდა, მაშინ საჭირო გახდება უარვევოთ ნებისმიერი სახის C2 AN C1 დასკვნის გამოტანის შესაძლებლობა: თანდაყოლილი სიმდიდრის ან დაუმსახურებლობა, უბრალოდ, აღარ ფიგურირებს ნორმატიულ დასკვნებში და ყურადღება იმაზეა გამახვილებული, თუ როგორ მოიხმარენ მას ადამიანები. ისინი კი სხვადასხვაგვარად აკეტებენ ამას და, ამრიგად, სხვადასხვა ჯილდოს, ანაზღაურებას და, საბოლოო ჯამში, სხვადასხვა წილს იმსახურებენ. ამრიგად, აქედან გამომდინარე C2-ის მსგავსი დასკვნის გამოტანა უკვე შეუძლებელია და, თუ მეორე მხრივ, P3, P1-თან შეუთავსებელია, მაშინ ჩვენ აღარ გვაქვს P1-ის მხარდამჭერი არგუმენტი, რადგან გამოდის, რომ ჩვენ დასკვნების წინაპირობა უსაფუძვლოა. ამგვარი წინაპირობა არანაირი დასკვნის საფუძველად არ გამოდგება.

ამიტომ არგუმენტი სრულიად უვარგისია. წინაპირობა, -არცე-

რთი ჩვენთაგანი არ ვიმსახურებთ თანდაყოლილ სიმდიდრეს ან ჯილდოს, საკმაოდ ახლოა ჭეშმარიტებასთან, მაგრამ გამთანაბრებელი დასკვნების საფუძვლად არ გამოდგება. შესაბამისად ის ვერც შესწორებების და, ამრიგად, გადანაწილების გასაკეთებლად გამოდგება.

რამდენად იმოქმედა როულსის ინტუიციამ ბუნებრივი და / გარკვეული სახის/ სოციალური საწყისი სიმდიდრის შემთხვევითობაზე „სამართლიანობის თეორიაში“? როგორც კარგადაა ცნობილი ის გვთავაზობს სამართლიანობის ძირითადი პრინციპები ჩამოვიყვანოთ იმ არჩევანზე დაყრდნობით, რომელსაც აკეთებენ „უმეცრების ფარდის“ მიღმა მყოფი ადამიანები, რომლებმაც არ იციან თავისი შემდგომი ვინაობა. არჩევანი ისე უნდა გავაკეთოთ, რომ ცოდნამ ჩვენზე გავლენა არ იქონიოს. მაგრამ ამ მოთხოვნის ორგვარი ინტერპრეტაციაა შესაძლებელი: პირველის მიხედვით უნდა ვიგულისხმოთ არა მარტო ის, რომ ადამიანებმა არაფერი იციან თავიანთი ვინაობის შესახებ ფარდის მეორე მხარეს, არამედ ისიც, რომ, ვინც არ უნდა იყვნენ. ისინი, შეძლებენ პრინციპების გონივრულ არჩევას და მას შემდეგაც არ შეცვლიან მათ, როდესაც გაიგებენ თავის ვინაობას. ამ შემთხვევაში ვიღებთ კარგად ცნობილ დებულებას /ცოტა რაღაცეების მიმატება-გამოკლებით/. ჩვენ ვეცდებით საკუთარი თავისთვის მაქსიმალური გავაკეთოთ. მაგრამ როდესაც გავიგებთ, რომ ნებისმიერი ვინმე შეიძლება აღმოვჩნდეთ, შეძლებისდაგვარად, ისე მოვავგარებთ ყველაფერს, რომ ხელი მოემართოს ყველაზე გაჭირვებულს. ეს ნიშნავს, რომ ჩვენ ვარჩევთ თანასწორობას, მაგრამ, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ აღმოჩნდება, რომ სხვებზე მეტის მიღწევა არ შეგვიძლია. მეორე ნაირი ინტერპრეტაცია ასეთია: ჩვენ ნება გვუძლევა როგორც გვსურს ისე გამოვიყენოთ ინფორმაცია იმის შესახებ, რომ ადამიანები ფარდის მეორე მხარეს გონივრულად და აუცილებლად იმოქმედებენ მათ ხელთ არსებული რეალური და სხვადასხვაგვარი ფასეულობით და ვერ შეძლებენ თავის პრაქტიკულ ქმედებას საფუძვლად დაუდონ პრინციპები, რომელსაც აზრი აქვს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ადამიანი ნებისმიერი ვიღაც შეიძლება იყოს. თუ საწყის პოზიციაში მყოფებმა იციან ეს, მაშინ ისინი ადამიანის შესახებ არსებული ფაქტებიდან გამოიმდინარე სხვაგვარ აჩვენან გააკეთებენ. ისინი აირჩევენ პრინციპებს, რომლებსაც აირჩევდნენ, ფარდის მეორე მხარეს რომ ყოფილიყვნენ,

გარშემო მყოფთა და სიტუაციის შესახებ ინფორმაციიდან გამომდინარე.

ამ ორიდან პირველმა მოსაზრებამ სავსებით შეიძლება მიიყვანოს ამომრჩეველი გადაწყვეტილების და გათანაბრების პრინციპამდე. მეორემ კი, -არა! რომელი გზა არის სწორი? ამის შესახებ მე ქვემოთ ვიმსჯელებ, მაგრამ წინასწარ ვფიქრობ, რომ მეორეა. თუ მისი დასკვნები გონივრული არჩევანის შესახებ სწორია, ეს ასეც უნდა იყოს, ვინაიდან, სხვა შემთხვევაში საწყისი პოზიციის შედეგი, წმინდა თეორიული თვალსაზრისით, იქნება საინტერესო. მას მხოლოდ ის ადამიანები გამოიყენებენ, რომელთა ინტერესები ითხოვენ პრინციპებს, რომლებიც, პრაქტიკაში მაინც, საწყის პოზიციაში მყოფთ ინტერესებს ემთხვევა. და თუ უნდა მოხდეს გადანაწილება ან გათანაბრება, ის უნდა გაკეთდეს კარგად ინფორმირებული ადამიანისათვის ხელმისაწვდომ საფუძველზე, როდესაც ის იმყოფება ისეთ პირობებში, რომელიც სამართლიანობის პრინციპს მოითხოვს.⁷¹

დ) უტილიტარიზმი, როულსი, და შესაბამისად მისი მომხრეები, ისევე როგორც მისი კრიტიკოსების უმრავლესობა, ასკვნის, რომ როულსისეულ საწყის პოზიციაში მყოფნი აირჩევენ ნებისმიერს, სარგებლის პრინციპის გარდა. მე ადრეც ვამტკიცებდი, რომ ეს შეცდომაა, ვინაიდან, სინამდვილეში, მათ სწორედ ეს პრინციპი უნდა აირჩიონ, და როგორც როულსის სისტემური განცხადებიდან ჩანს, მათ, ფაქტიურად, აირჩიეს კიდეც ის. როულსის დასკვნიდან გამომდინარე ის მხარს უჭერს ცნობილ ორ პრინციპს. მოდით, მაინც განვიხილოთ ეს საკითხი დამოუკლიდებლად და ვიკითხოთ: **ა/რას გულისხმობს უტილიტარიზმი ეკონომიკური თანასწორობის ქვეშ? და, ბ/ რითი არის უტილიტარიზმი მიმზიდველი, როგორც ამ სფეროს ფუნდამენტალური თეორია?**

უტილიტარიზმი შეიძლება დახასითდეს, როგორც თვალსაზრისი, რომლის მიხედვით მნიშვნელობა მხოლოდ სარგებელს ენიჭება. მნიშვნელობა მხოლოდ გამორჩენას აქვს: დიდი და პატარა ქმედება, დაწყებული უცხო გამვლელისათვის თავის დაკვრით და დამთავრებული მთავრობის დაარსებითა და მოღვაწეობით, საბოლოოდ უნდა შეფასდეს მათი ერთობლივი სარგებლიანობის მიხედვით, ყველა მონაწილე ადამიანის მიერ მიღებული სარგე-

ბელთა ჯამით /დადებითი იქნება ის თუ უარყოფითი/.

რა მნიშვნელობა აქვს ძლიერ პოსტულატს ეკონომიკური სამართლიანობისათვის? თავიდანვე უნდა აღინიშნოს, რომ თანასწორობა, რომელსაც ქადაგებს უტილიტარიზმი უდრის ნებისმიერი ორი ადამიანის თანაბარი რაოდენობის სარგებელს. როგორც ამ საკითხის კრიტიკოსებმა მაშინვე აღნიშნეს, ერთი შეხედვით, ეს ნიშნავს, რომ თუ ის, რასაც ჩვენ ვანაწილებთ არის სარგებელი, მაშინ მნიშვნელობა არ ექნებოდა თუ როგორ გადავცემდით ნებისმიერი რაოდენობის სარგებელს, ნებისმიერი რაოდენობის ადამიანს. გადავცეთ 50 ერთეული A-ს და არცერთი B-ს იგივე იქნება, რაც 25 თითოეულს; კიდევ უფრო უარესი ის არის, რომ გადავცეთ 150 ერთეული A-ს და 75 B-ს, ასევე მისაღები და რეკომენდირებული განაწილებაა. ეს, რბილად რომ ვთქვათ, უკიდურესად, არა ინტუიტურადაა მიჩნეული. მაგრამ ეს ნაჩქარევად გაკეთებული დასკვნაა. ჩვენ არ ვიცით, თუ რამდენად არა ინტუიტურია ან ინტუიტურია ის თუ არა საერთოდ. ამის დადგენა შეიძლება მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ გავერკვევით რა ურთიერთობაა იმ ყველაფრის განაწილებას შორის, რისი განაწილებაც შეგვეძლოს, -იქნება ეს ფული თუ სარგებელი. ამ სფეროში სტანდარტული მოსაზრება ამგვარია: მოცემული პიროვნებისათვის მიცემული წილის ზრდასთან ერთად მცირდება ეკონომიკური საქონლის სარგებელი. აზრი ძველია-ახალი მხოლოდ თანამედროვე მწერლების /მათ შორის ჩემიც/ ენაა. ასე რომ, ახლა წარმოგიდგენთ დევიდ ჰიუმის ელეგანტურ განცხადებას:

ისიც უნდა ვაღიაროთ, რომ არსებული თანასწორობის შემდგომი უგულვებელყოფით ღარიბს მეტ კმაყოფილებას ვართმევთ, ვიდრე მდიდარს ვანიჭებთ და, რომ ერთი პიროვნების ზედაპირული პატივმოყვარეობის უმნიშვნელო დაკმაყოფილება, ხშირად, ბევრი ოჯახის და, ხანდახან, პროვინციის არსებობის ფასი ჯდება.

ერთი შეხედვით ეს შესაძლებელი ჩანს, მაგრამ უთანასწორობის მხარდამჭერი სტანდარტული არგუმენტი, რომელიც შეიმუშავეს ჰიუმმა, ადამ სმიტმა და სხვათა შორის როულსმა, მდგომარეობს შემდეგში: **თუ ადამიანებს მოვუსპობთ სტიმულს, რასაც მათ თავიანთი მდგომარეობის გაუმჯობესების პერსპექტივა ამლევს, მაშინ. . . საზოგადოებას უკიდურეს სიღატაკემდე მივიყვან-**

ნთ. ერთეულების სიღარიბის და მათხოვრობის ნაცვლად ამას გარდაუვალს ვხდით მთელი საზოგადოებისათვის.

თუ ასეთ დასკვნამდე მივდივართ, მაშინ რატომ არ უნდა მიექცეს დამსახურებას ყურადღება, რის შესახებაც ზემოთ იყო საუბარი?

ამგვარი მომხრე არგუმენტები /ასევე შესაძლებელი/ წამოჭრიან საკმაოდ სერიოზულ თეორიულ თავსატეხს, ვინაიდან, იბადება კითხვა იმ მშრომელ და მწარმოებელ ადამიანებთან დაკავშირებით, რომლებიც საკუთარი კეთილდღეობის შექმნის პარალელურად ქმნიან საზოგადოებრივ კეთილდღეობას. უნდა იგრძნონ თუ არა მათ თავი დამნაშავედ იმის გამო, რომ არ უნაწილებენ სხვებს თავიანთი შრომის ნაყოფს? თუ სამართლიანობა მოითხოვს შემოსავლის გათანაბრებას, მაშინ რად არ ვარ უსამართლო ყოველთვის, როდესაც ჩემს და ჩემი ოჯახის სიმდიდრეს მეტად ვზრდი, ვიდრე საზოგადოების საშუალო დონეა?

რასაკვირვებელია, სულ ეს არ არის. რას ვიტყვით დანარჩენ კაცობრიობაზე, რომელიც ამ საზოგადოების ფარგლებს გარეთ ცხოვრობს? სოციალისტური ქვეყნები როგორც შევამჩნიეთ, თავს არ იწუხებენ თავიანთი მოქალაქეების ქონების უფრო მეტად ზრდისთვის, ვიდრე, ვთქვათ, ბანგლოდეშისა. **ლიბერალებს კი, როგორც ჩანს, მაინცდამაინც არ აწუხებთ ის ფაქტი, რომ მათ მიერ შემოთავაზებული ზომები / საგარეო ვაჭრობის მკაცრი შეზღუდვა/ მიზნის მიღწევის შემთხვევაშიც კი, გამოიწვევდა იმ ნაპრალის შენარჩუნებას ან გაღრმავებას, რომელიც ისედაც არსებობს საშუალო ოჯახურ კეთილდღეობასა და, ამ ზომების შემოღებით დაჩაგრულ, უფრო დარიბ ქვეყნებში არსებულ კეთილდღეობას შორის.** რატომ არ არის ეს ყველაფერი მცდარი? საქმე ის არის, რომ მათ არ შეიძლება ეწოდოს „საჭირო“, თუ არ ვფიქრობთ, რომ საკუთარი ინტერესები არა მარტო გარდაუვალია, არამედ იმდენად გარდაუვალი, რომ უტილიტარიზმს ვერ უთავსდება. მაგრამ მაშინ, ალბათ, უფრო შორს შეგვიძლია წავიდეთ და ვიკითხოთ- უფრო ხომ არ გაიზრდებოდა ზოგადი სარგებელი, თუ ადამიანები, უბრალოდ, იმას კი არ გააკეთებდნენ რისი გაკეთებაც სურთ,-კერძოდ, განაწილებისას საკუთარი და საყვარელი ადამიანების სასარგებლოდ გადაიხრებოდნენ,-არამედ ამას სუფთა სინდისით გააკეთებდნენ. **მოკლედ რომ ვთქვათ, საზოგადო**

სარგებელი მაქსიმუმამდე გაიზრდება, თუკი გამთანაბრებელ მოთხოვნებს სრულიად უარვეყოფთ, როგორც ჩვენთვის მიუღებელ სამართლიანობის თეორიას. ალბათ, ადამიანები დიდად არ იზარალებდნენ, თუ მათ აღარ გადაეცემოდათ ის, რაც ავტომატურად ეძლეოდათ გარშემო მყოფთაგან არა ნებაყოფილობითი ქველმოქმედების სახით. კაცობრიობა კი ბევრს მოიგებდა თუ არ იფიქრებდა, რომ ყველაფერი, რასაც ის აკეთებს, უსამართლოა.

ეს პოზიცია მიგვიყვანს სოციალური დახმარებები-სა და სხვა მსგავსი კომპენსაციების გაუქმებამდე, რაც არა სწორი იქნება.

ყოველივე აქედან გამოდის დასკვნა, რომ უტილიტარიზმი შეიძლება, სრულიად უსარგებლო იყოს მოცემული საკითხის გადაჭრაში, ვინაიდან, თუ ძალზე პოლარულად განსხვავებული აზრის თეორეტიკოსებს შეუძლიათ მოიყვანონ ერთნაირ ფუნდამენტალურ პრინციპებზე დამყარებული უამრავი შესაძლებელი არგუმენტი, მაშინ მთელი ჩვენი ყურადღება შეიძლება გადავიდეს „დამატებით ფაქტიურ წინაპირობებზე“, რომლებიც, ასე ამკარად, აუცილებელია ნებისმიერ კერძო შემთხვევაში. უფრო მეტიც, გაურკვეველი რჩება უნდა მივაკუთნოთ თუ არა სარგებლის ჯამი ამ „ფაქტიურ წინაპირობებს“?

გარდა ამისა, რჩება კიდევ ერთი შეკითხვა: საერთოდ, **რატომ უნდა მივიღოთ უტილიტარიზმი?** აქ შეკითხვა აბსტრაქტულ დონეზე უნდა დაისვას, როგორც, ჩემი აზრით, ზემოთ მოყვანილი არგუმენტებიდან გამომდინარეობს. ახლა ამ აბსტრაქტულ დონეზე გვთავაზობენ, რომ ყველა ადამიანი ერთად, და თვითოეული ცალკ-ცალკე, თანაბრად იმსახურებს ყველაფერს /რასაც არ უნდა ფიქრობდნენ მათზე/, ისევე, როგორც ჩვენი საყვარელი ადამიანები, მეგობრები, პარტნიორები და ისინი, ვინც იღწვის სანუკვარი მიზნის მისაღწევად. რასაკვირველია, ჩვენ არ გვსურს ყველას ერთად და თითოეულს ცალკ-ცალკე, ასე განხილვა, სხვათა შორის, როგორც ჩანს, ვერც შევძლებთ ამას. თუ, მაინც, შევძელით, მაშინ დავფიქრდეთ თუ რა სახის შემთხვევებთან გვექნება საქმე. კარგა ხნის წინ გაზეთში წავიკითხე –ჩინეთის ერთერთ სოფელში მცხოვრები კაცის შესახებ, რომელმაც კარგად ისწავლა რა თავისი პოლიტიკური გაკვეთილები, დადგა არცევანის წინაშე-წყალდიდობით განადგურებულ სოფელში გადაერჩინა ამხანაგი X, ადგი-

ლობრივი კომუნისტური პარტიის თავჯდომარე, თუ საკუთარი ცოლი და ოჯახი. მან ამხანაგი X -ის გადარჩენა აირჩია! ალბათ, ბებრს შეეპარება ეჭვი, იმაში, რომ ამხანაგ X-ის გადარჩენა მეტ სიკეთეს მოუტანდა სამყაროს, ვიდრე ამ კაცის ცოლისა, მაგრამ ამ შემთხვევაში სხვა რამ გვაოცებს ჩვენ, ალბათ, ვფიქრობთ, რომ სისტემა, რომელიც ამგვარ საქციელს მოითხოვს -ამაზრუნია. ეჭვს იწვევს ის სისტემაც / თუკი ასეთი არსებობს/, რომელშიც იგულისხმება, რომ ბავშვისთვის 100 დოლარიანი თოჯინის სახლის ყიდვისას საშინელ მორალურ დანაშაულს ჩავიდნით, ვინაიდან, ამის ნაცვლად, შეგვიძლია 99 დოლარი გავაგზავნოთ შორეულ ქვეყანაში და რამდენიმე კაცის სიცოცხლე გადავარჩინოთ. აშკარაა, რომ როგორც ზემოთ ვცადე დამემტკიცებინა, ჩვენ არ ვიცით, ნამდვილად ამას გულისხმობს თუ არა უტილიტარიზმი. როგორც, ერთი შეხედვით ჩანს, ეს ასე უნდა იყოს ან, შეიძლება იყოს. მაგრამ, განა გვინდა იმგვარი სისტემა, რომელიც ამას გულისხმობს? ბევრს მოეჩვენება, რომ ეს ერთი შეხედვით არასწორი აზრებია, თუმცა, შეიძლება აღიარონ, რომ გარკვეულ შესაფერის პირობებში /რომლებიც შეიძლება თვითონ წარმოვიდგინოთ/ შესაძლოა მაინც მოგვიწიოს მათი მიღება. უტილიტარიზმის მომხრე დაიწყებს მტკიცებას, რომ ეს, მართლაც, ერთი შეხედვითაა ასე და, თავისუფლად, შეიძლება, შიგადაშიგ, მისი უგულებელყოფა. თუმცა, უნდა ითქვას, რომ უტილიტარიზმის ყველა მომხრე მაინც არ მიიღებს ამ კომფორტაბელურ აზრს, მაგრამ ჯერ-ჯერობით საკმარისია. 68

დვორკინი. ზოგიერთ ბოლო ნაშრომში რონალდ დვორკინმა წამოაყენა ზემოთ მოყვანილი თანასწორობის კონცეფციისაგან / მათ შორის, სრული შემოსავლის ან სიმდიდრის თანასწორობა, რომლის თანმიმდევრულობაზე მე ეჭვი ამ ესეს დასაწყისში გამოვთქვი/. საკმაოდ განსხვავებული კონცეფცია. ამის სამაგიეროდ, დვორკინი **გვთავაზობს, ე.წ. რესურსების თანასწორობას**. საჭიროა გავარკვიოთ: თუ რა ითვლება /ლოგიკურად მაინც/ გარეშე საქონლად, რომელსაც პიროვნება თავის ნებაზე მოიხმარს, ცხოვრების გასაუმჯობესებლად და რაც მოცემული ადამიანისაგან განუყოფელია. და შემდეგ, როულისის მსგავსი საწყისი მდგომარეობა /მაგრამ მისგან ძალზე განსხვავებული/- ადამიანმა უნდა სცადოს განიხილოს ყოველი პიროვნება, როგორც პირველი აუქციონის მონაწილე, ვინაიდან ერთნაირი მსყიდველობითი უნა-

რის მქონეთაგან მხოლოდ ის ყიდულობს ყველა არსებულ რესურსს, ვინც ყველაზე მაღალ ფასს იხდის და ამას აკეთებს თავისი ცხოვრების უზრუნველსაყოფად. ამის მიზანია ყველაფერი ისე განაწილდეს, რომ აუქციონის შემდეგ არავინ გაყიდოს შენამდენი. ის მხარს უჭერს თანასწორობის გამომხატველ ბაზრის ცნებას ანუ გაცვლა -გამოცვლის თანასწორობას, მაშინ, როდესაც სრულებით არიდებს თავს აზრს სასაქონლო სასაქონლო თანასწორობის შესახებ. რასაკვირველია, ეს იმასაც ნიშნავს, რომ არ არის აუცილებელი, /აღბათ,არ არის /, შემოსავლის თანასწორობა ფუნდამენტალურ სოციალური პოლიტიკის შედეგი იყოს. მაგრამ დვორკინი ფიქრობს /როგორც ადამიანმა შეიძლება წარმოიდგინოს /რომ ეს სქემა ხელს შეუწყობდა, საკმაოდ მაღალ გადასანაწილებელ დაბეგვრას და დაბეგვრას გადანაწილებისათვის და არა დაბეგვრას კეთილდღეობის თანაბარი მინიმალური დონის უზრუნველსაყოფად.

ამ ცოტა ხნის წინ მე დეტალურად განვიხილე დვორკინის თვალსაზრისი და აღარაფერს გავიმეორებ, მხოლოდ შეგახსენებთ ძირითად საკითხს, რომელიც, ჩემი აზრით, წამოიჭრა ამ ჩახლართული სქემის განხილვისას. რატომ უნდა მიიღოს ადამიანმა მისი ძირითადი კონცეფცია? ეს კონცეფცია კიდევ უფრო აბსტრაქტული მოსაზრებიდან უნდა გამომდინარეობდეს – „პოლიტიკური თვალსაზრისით, საზოგადოების წევრების ინტერესი მნიშვნელ;ოვანი და თან თანაბრად მნიშვნელოვანი“. ესეც შესაძლებელია, მაგრამ იბადება კითხვა-რატომ უნდა ჰქონდეს „პოლიტიკურ თვალსაზრისს“ რაიმე მნიშვნელობა, თუნდაც, იმ შემთხვევაში, როდესაც შეიძლება /რაშიც ეჭვი მეპარება/ დადგინდეს, რომ ეს აბსტრაქტული მოსაზრება სხვებზე მეტად ემხრობა რესურსების თანასწორობის იდეას. რასაკვირველია, ისე უნდა წარმოვიდგინოთ, თითქოს პოლიტიკურ თვალსაზრისს მნიშვნელობა აქვს ჩვენთვის, ვინაიდან, პირდაპირ რომ ვთქვათ, სრულებითაც არ არის აშკარა პოლიტიკური ინსტიტუტების აუცილებლობა და მათი აუცილებლობის შემთხვევაშიც კი გაჩნდებოდა კითხვა -რამდენად მნიშვნელოვანია ისინი? ვთქვათ, ჩვენ თანახმა ვართ, რომ, პოლიტიკის თვალსაზრისით, ყველას თანაბარი რესურსები უნდა ჰქონდეს, თუმცა, ჩვენი პირადი თვალსაზრისით, ეს ასე არ არის. მაშინ ჩვენ მოგვიწევდა გაგვესაზღვრა, თუ რომელს უფრო დიდი მნიშვნელობა აქვს- პოლიტიკას თუ ჩვენ

ცხოვრებას/ როგორც ჩვენ მას ვხედავთ და წარვმართავთ/? სავსებით რაციონალური იქნება აზრი, რომ უკანასკნეს 100% მნიშვნელობა აქვს მაშინ, როდესაც პირველს თითქმის არანაირი. შემდეგ ჩნდება შეკითხვა -რომელი თვალსაზრისია ძირითადი. თუ შეგვიძლია პასუხი გავცეთ ახლახან წამოჭრილ შეკითხვებს, როგორ იქნება შეფასებული საწინააღმდეგო პასუხები? საქმე იმაშია, რომ, როგორც ჩანს, ისინი უნდა შეფასდეს ადამიანის პიროვნული თვალსაზრისიდან გამომდინარე, /რამაც რასაკვირველია, შეიძლება მოიცვას ჩვენთვის ძვირფასი ადამიანები/, რაც იმას ნიშნავს, რომ პიროვნული თვალსაზრისი ძირითადია და, ამრიგად, პოლიტიკას მნიშვნელობა აქვს, როგორც ადამიანის ცხოვრების ერთერთ შემადგენელ ნაწილს. ამ შემთხვევაში, დვორკინის მომხრეებმა უნდა გვიჩვენონ, რომ ნებისმიერი პიროვნების თვალსაზრისით, ყველა ადამიანი მნიშვნელოვანია და, თანაც, თანაბრად მნიშვნელოვანი და სამართლიანობიდან გამომდინარე ყველას უნდა ჰქონდეს თანაბარი რესურსები. მე კი ამგვარი შედეგი შეუძლებელი და სრულიად წარმოუდგენელი მგონია/. ასე ფიქრობს დვორკინიც, როგორც აღვნიშნე ხსენებულ ინტერპრეტაციაში/. აქ მე ვეყრდნობი ამ ესეს უარყოფით ნაწილს. რასაკვირველია, მე არ ამომიწურავს თანასწორობის დამამტკიცებელი არგუმენტები, თუმცა, იმედი მაქვს, მათგან რამდენიმე მთავარი მაინც გადმოგვცეთ. და თუ მე, მართლაც, მოვახერხე /რაშიც ეჭვი მეპარება/ ყველა ამგვარი არგუმენტის უარყოფა, ახლა საჭიროა, თავისუფლების მომხრე არგუმენტების წამოყენება? თუკი ამას აქვს აზრი, თუნდაც, როგორც ძირითად სოციალურ პრინციპს/, ვინაიდან, ბოლოს და ბოლოს, არსებობდა უამრავი რეჟიმი, რომელიც არაფრად აგდებდა არც თავისუფლებას და არც თანასწორობას; განსაკუთრებით, როგორც ძირითად პრინციპებს და ისინი, ალბათ, მართლებიც იყვნენ, რამდენადაც ჯერჯერობით შეგვიძლია ვიმსჯელოთ.⁷²

ე) 2. თავისუფლება, თავისუფლების მაქსიმალიზაცია? გამოცანა, თუ თანასწორობის მომხრეს სურს დააწესოს შემოსავლის და სიმდიდრის თანაბარი განაწილება, რა სურს „თავისუფლების მომხრეს“? ალბათ, თავისუფლების თანაბარი განაწილება. არსებობს ერთი რამ /რაც ქვემოთ იქნება განხილული/, რის გამოც ეს მოსაზრება სრული სიმართლეა. და მაინც, ისევე, როგორც თანასწორობის მომხრეს სურს, რომ თანასწორი განაწილება მოხდეს. რამდენადაც შესაძლებელია, თანაბრად მაღალ

დონეზე, შეიძლება ვიფიქროთ, რომ თავისუფლების მომხრეს ენდომება თავისუფლების თანაბარი განაწილება, რამდენადაც შეიძლება, თანაბარ მაღალ დონეზე. მაქსიმუმამდე გავზარდოთ თანაბარი კეთილდღეობა? შემოსავალი/ სიმდიდრე“, ამბობს ერთი; „მაქსიმუმამდე გავზარდეთ თანაბარი თავისუფლება“, ამბობს მეორე.

მაგრამ ამ საკითხის განხილვისას შეიძლება მივიდეთ გაუგებრობამდე. ერთის მხრივ, შეიძლება ვიფიქროთ, რომ ეკონომიკურ საკითხებში, თავისუფლება ეთავსება /ნაწილობრივ მაინც/, მნიშვნელოვან უთანასწორობას. ადამიანებს თანაბარი საწყისი წილიც რომ მიეცეთ, სულ მალე ამ რესურსების თავისუფალი გამოყენება იქამდე მიგვიყვანდა, რომ ზოგიერთს სხვებზე ბევრად მეტი ქონება ექნებოდა. და მაინც, ზოგიერთმა შეიძლება ამტკიცოს, რომ თავისუფალი ბაზარი არ არის თავისუფალი, რომ საზოგადოებაში, რომელშიც სარგებლობენ მაქსიმალურად თანაბარი თავისუფლებით არ შეიძლება ჰქონდეთ სხვადასხვა დონის შემოსავალი, რატომ? იმიტომ, რომ ფული, ბოლოს და ბოლოს, “მსყიდველობითი უნარია“ და რაც მეტი გაქვთ, მეტის კეთება შეგიძლიათ. უფრო მეტიც, საქონელი, ბოლოს და ბოლოს, თქვენ ხელში მოხვდება, რაც იმას ნიშნავს, რომ სხვებს არ შეეძლებათ მისი მოხმარება თქვენი ნებართვის გარეშე. როდესაც საქონელი თქვენს ხელშია, შეგიძლიათ სხვების უგულუბელყოფა, მაგრამ სხვების უგულუბელყოფა ნიშნავს ათი თავისუფლების შეზღუდვას; და რაც მეტი ამგვარი ძალაუფლება გაქვთ თქვენ, მით ნაკლები თავისუფლება აქვთ სხვებს. ამრიგად, თანაბარი თავისუფლების მაქსიმალურად გაზრდისთვის საჭიროა, თანაბარი შემოსავლის მაქსიმალიზაცია. ეს არ არის ის შედეგი, რომელსაც შეიძლება თავისუფალი ბაზრის მომხრეები მოელოდნენ და უცნაურია, როდესაც თავისუფალ ბაზარს ახასიათებენ, როგორც „არათავისუფალს“. რა ხდება? 73

ვ).თავისუფლება: რა არის ის? აშკარად საჭიროა თავისუფლების ცნების უფრო ღრმა შესწავლა. მაგრამ, საბედნიეროდ, შეიძლება კვლევის სფეროს ფარგლების შეზღუდვა, ვინაიდან, აქ სოციალური თავისუფლება უფრო განიხილება, ვიდრე, ვთქვათ, ზოგადად, ნების თავისუფლება. თავისუფლება ზოგადად, ჩემი აზრით, არის ის, რომ არ არსებობს ადამიანის ქმედების დამაბრკოლებელი ფაქტორები, რომელთაგან, ეჭვგარეშეა, უმრავლეს

სოზა გარშემო მყოფთა მიერ არ იქმნება /ყოველ შემთხვევაში, განზრახ მინც/. სხვათა შორის, ზოგჯერ ამ დაბრკოლებებს საკუთარ თავს თვითონ ადამიანი უქმნის და, ხანდახან, საკმაოდ შეგნებულადაც. უამრავი დანარჩენი დაბრკოლება კი არავის „შეუქმნია“- ისინი, უბრალოდ, ბუნებრივად არსებობენ. მაგრამ ჩვენი სპეციფიკური შეკითხვა ეხება დამაბრკოლებელი ფაქტორების იმ ჯგუფს, რომლებსაც გარშემო მყოფი ადამიანები ქმნიან თავისი ქმედებით, განსაკუთრებით უნდა გამოიყოს ფაქტორები, რომლებოც შეგნებულად /განზრახ ან სხვანაირად/ იქმნება და რომელთა დამაბრკოლებელი ბუნება, თუნდაც უნებლიე, ამკვიდრებს ან ეწინააღმდეგება სოციალური კონტროლის მეთოდებს....74

ზ).და რა არ არის ის, მე ვერევი თქვენს თავისუფლებაში, როდესაც თქვენთვის შეუძლებელს ვხედავ გააკეთოთ ის, რის გაკეთებასაც ცდილობთ. მაგრამ, მოდით, განვიხილოთ შემთხვევა, როდესაც თქვენ გინდათ X –ის კეთება, მაგრამ არ გაგაჩნიათ ის, რაც საჭიროა ამისთვის-მაგ. Z, მე კი მაქვს. ზოგიერთს, შეიძლება, იმის თქმა სურდეს, რომ თუ მე არ მოგცემთ Z -ს, ამით მე ვერერვი თქვენს უფლებაში გააკეთოთ X. დავეთანხმობთ თუ არა აზრს? რასაკვირველია, არა! ყოველ შემთხვევაში, მე ასე ვფიქრობ.

რატომ არა? ის, რომ თქვენ არ შეგიძლიათ X-ის გაკეთება არ არის სხვა პიროვნების ქმედების შედეგი. ეს, გარკვეულწილად, მათი უმოქმედების შედეგი უფროა. მაგრამ სიტყვა „შედეგი“ აქ არასწორადაა გამოყენებული. ვთქვათ „თქვენ ნაპირიდან 50 მეტრის დაშორებით იხრჩობით და მე შემიძლია თქვენი გადარჩენა; განა თქვენი დახრჩობა იმის შედეგი იქნება, რომ მე არ დაგეხმარეთ? კი მაგრამ, ვთქვათ, მე 1500 კმ-ით ვიყავი დაშორებული და ვერაფრით დაგეხმარებოდით და დაიხრჩეთ! როგორ არის თქვენი S მდგომარეობაში ყოფნა ჩემგან გამოწვეული, თუკი იგივე მდგომარეობაში აღმოჩნდებოდით მე რომ , საერთოდ, არ მეარსება ან შორს ვყოფილიყავი?

ვთქვათ, მე შემიძლია დაგეხმაროთ და ამით გავზარდო თქვენი უნარი აკეთოთ რაღაც. განა ეს იმას ნიშნავს, რომ მე ვზრდი თქვენს თავისუფლებას? და მინც არ ღირს ამაზე შეჩერება ალბათ, უმჯობესია , ვიკითხოთ, თუ რა კავშირია ამგვარად გააზრებულ „თავისუფლებასა“ და იმ ზოგად პრინციპებს შორის, რომლის მიხედვითაც ყველას აქვს თავისუფლების უფლება. პასუხი

ამგვარი იქნება: ეს უფლება არ გულისხმობს იმას, რომ სხვები ვალდებული არიან გაზარდონ ჩვენი თავისუფლება, როგორც კი ამის საშუალება მიეცემათ. საჭიროა, განვასხვაოთ „პოზიტიური“ და „ნეგატიური“ თავისუფლება და, შესაბამისად, „პოზიტიური“ და „ნეგატიური“ თავისუფლების /ან ნებისმიერი სხვა რამის/ უფლება განსაზღვრა ზოგადად ამგვარია:

A-ს აქვს X-ის კეთების „ნეგატიური“ უფლება= A-ს არაფერი უშლის ხელს აკეთოს X.

A-ს აქვს X-ის კეთების „პოზიტიური“ უფლება =A-ს მოეპოვება ყველაფერი, რაც სჭირდება X-ს თავის სურვილისამებრ საკეთებლად.

ნეგატიური და პოზიტიური უფლებების პარალელური კონსტრუქციები ამგვარია:

A-ს აქვს X-ის კეთების „ნეგატიური“ უფლება= ვერავინ შეუშლის A-ს ხელს X -ის კეთებაში.

A-ს აქვს X-ის კეთების „პოზიტიური“ უფლება=სხვებმა უნდა უზრუნველყონ A ყველაფრით, რაც მას სჭირდება, თუ კი მას რაიმე სჭირდება X გასაკეთებლად.

ნეგატიური სოციალური თავისუფლება მაშინ არსებობს, როდესაც არც ერთი სხვა პიროვნება თავის ქმედებით ხელს არ უშლის მეორეს აკეთოს ის, რაც სურს. პოზიტიური სოციალური თავისუფლება არსებობს მაშინ, როდესაც სხვა პიროვნებები მზად არიან დაეხმარნენ ადამიანებს აკეთონ ის, რაც სურთ. მისცე ადამიანს პოზიტიური უფლება აკეთოს ის, რაც სურს, ნიშნავს დააწესო სოციალური მოთხოვნა, რათა სხვები დაეხმარნენ მას. მაგრამ ამგვარი მოთხოვნის დაწესება ნიშნავს, აუკრძალო მათ თავი შეიკავონ დახმარებისაგან და, ამრიგად, შეზღუდო მათი თავისუფლება. პოზიტიური უფლებები ეწინააღმდეგებიან ნეგატიურს. და ამრიგად, თავისუფლების „მაქსიმალიზაციის“ ცნება გაურკვეველია, ან შესაძლებელია, შეცდომაშიც შეგიყვანოს. მაქსიმალიზაცია გულისხმობს წინსვლას არა წინააღმდეგობების მოსპობის გზით, არამედ რაღაცის კეთების უნარის ზრდით. ეს განგვაწყობს პოზიტიური უფლების მიმართ და მაინც პოზიტიური უფლებები იჭრება თავისუფლებაში. თავისუფლება, რასაკვირველია, ნიშნავს თვითონ გადაწყვიტო გააკეთო თუ არა X. ხოლო, თუ ყოველთვის, როდესაც შემოიძლია ვინმეს დახმარება, ოფიციალურად

მაიძულეებენ გავაკეთო ეს, რაღა თავისუფლე ბაა? მეორე მხრივ, თუ მე არ შემიძლია რაღაცის კეთება იმის გამო, რომ ერთი ფეხი მაქვს, ან არასაკმარისი განათლება /რაც არავის ბრალი არ არის/ მაშინ, როგორც ჩანს, არ შეიძლება ლაპარაკი ჩემი თავისუფლების შეზღუდვაზე.

პოზიტიური თავისუფლების მაქსიმალიზაცია მახეა და სიცრუე. როდის გაქვთ მაქსიმალური პოზიტიური თავისუფლება? აშკარად, მაშინ, როდესაც ღმერთი ხართ, ვინაიდან, მხოლოდ ის არის ყოვლის შემძლე. და თუ მიზნად დავისახავთ ყველა ადამიანის თანაბარი ძალაუფლებით უზრუნველყოფას უმადლეს დონეზე, როგორღა გადავწყვიტოთ როდის არის ორი ადამიანი თანასწორი? ვთქვათ, სმითი- მაგიდის ჩოგბურთში, ხოლო ჯონსი- ჩელოს დიდოსტატია, თანასწორნი არიან ისინი თუ არა? როგორ გავარკვიოთ ეს? და რაც უფრო მნიშვნელოვანია, როგორ უნდა განვასხვაოთ ეს მიზანი კეთილდღეობის მაქსიმალურად გათანასწოების მიზნისაგან? და თუ ეს შეუძლებელია, ხომ არ ჯობს ყველაფერს თავისი სახელი დავარქვათ?

თავისუფლებაზე ფიქრი და იმის მტკიცება, რომ საზოგადოებამ პატივი უნდა სცეს თავისუფლებას და შეზღუდვების დაწესება მხოლოდ თავისუფლების ინტერესებიდან გამომდინარე უნდა ხდებოდეს, ნიშნავს წამოაყენო განსაკუთრებული პროექტი. **ის უნდა გულისხმობდეს, რომ ადამიანებს შეუძლიათ ის აკეთონ, რაც სურთ მიუხედავად იმისა, რომ მათ აიძულეებენ აკეთონ რაღაც, რაც მეტ სიკეთეს მოუტანს სხვა ადამიანებს.** ის, რასაც ამ აზრის დამცველნი „მაქსიმალიზაციას“ უწოდებენ, უმჯობესია, ჩამოყალიბდეს „მინიმალიზაციად“. კერძოდ, თავისუფლებაში ჩარევის მინიმალიზაციად. ადამიანებმა უნდა შეზღუდონ ისეთი ქმედება, რომელიც სხვების თავისუფლებაში ჩარევა არ იქნება და გარდა ამისა, მათ შეუძლიან აკეთონ ის, რაც სურთ. თუმცა, რასაკვირველია, ბევრმა შეიძლება, ერთი რამის კეთება ამჯობინოს მეორესას. შეიძლება, ყველა დანარჩენსაც სხვა რამ ერჩიოს და მაინც, ეს არ არის საკმარისი მიზეზი იძულებისათვის. თუ ეს აზრი თანამიმდევრულია, ცნებაც გამოკვეთილია. იბადება კითხვები: თანამიმდევრულია კი? და თუ არის კიდევ, განა გვაქვს მისი გავრცელების საკმარისი მიზეზი? 75

ყოველივე, ამ პრელუდიაში, კვლავ ვიტყვი, წინა

პლანზე არა ადამიანის პროორიტეტი, არამედ კომუნის პროორიტეტი უნდა იყოს წამოწეული, რომელიც ვალდებული იქნება ეკონომიკური თუ სოციალური თანასწორობის კუთხით მიუდგეს თავის წევრებს. ნამდვილი დემოკრატიის დაცვაა საჭირო, როდესაც ცივლიზაციის ხარისხზე გვაქვს ლაპარაკი.

თ) მაქსიმალური თავისუფლება, როგორც სამართლიანობის მიზანი. უპირველესი ყოვლისა, მოდით განვიხილოთ თანმიმდევრულობის საკითხი. ჩვენ გვსურს, ვცადოთ გავანალიზოთ თავისუფლების „მაქსიმალიზაციის“ იდეა, რომელიც, როგორც შემოგთავაზეთ, განხილული უნდა იქნას, როგორც თავისუფლებაში ჩარევის „მინიმალიზაციის“ იდეა. თუ ჩვენ ვაღიარებთ, რომ სამართლიანობა ძირითად თავისუფლებასთანაა დაკავშირებული, მაშინ სოციალური სისტემა, რომელსაც, ასევე, ვთვლით ჩვენს ძირითად იდეად, არის ის, რომელშიც საზოგადოება ზრუნავს, უზრუნველყოს ყველა მაქსიმალური თავისუფლების ფლობით, ანუ უფლებით აკეთოს ის, რაც სურს და, აქედან გამომდინარე, მოვალეობით შეზღუდოს სხვების თავისუფლებაში ჩარევა.

იმისათვის, რომ შევაფასოთ ამ საქმეში თანმიმდევრულობის ბუნდოვანი პრობლემა, საჭიროა, გავარკვიოთ, რითი განსხვავდება ერთმანეთისაგან საზოგადოება, რომელშიც ეს მაქსიმალური თავისუფლების უფლება ერთადერთი ძირითადი უფლებაა, და საზოგადოება, რომელშიც ყველას „შეუძლია“ აკეთოს, რაც სურს ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე. ზედაპირულად განსჯისას ადამიანმა შეიძლება იფიქროს, რომ ყველას აქვს უფლება ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე აკეთოს ის, რაც სურს. მაგრამ მაშინ იბადება კითხვა - რაღა საჭიროა ტერმინი „უფლება“ ამ დახასიათებისას, ვინაიდან, აღიარო უფლება ნიშნავს, დაუშვა ადამიანის ქცევის შეზღუდვა. თუ მე დავუშვებ, რომ შენ გაქვს X-ში მოწვევის უფლება, მაშინ ისიც უნდა დავუშვა, რომ არ შევეცადო, რაიმე იძულებითი საშუალებებით შენს შეჩერებას, თუმცა, შეიძლება, დავიტოვო უფლება და ვცადო დაგარწმუნო არ გააკეთო ეს, ან ზრდილობიანად გთხოვო თავი შეიკავო? მაგრამ იმ თვალსაზრისით, რომელსაც ჩვენ ვიხილავთ, მე მექნებოდა უფლება ნებისმიერი ხერხით შემეჩერებინე, ვინაიდან, მე ყველაფრის

უფლება მაქვს და ასევე შენც! ეს, ამკარად, ნიშნავს „უფლების“ ცნებას ყოველგვარი შინაარსი გამოაცალე მოჩვენებითი რეზონანსის გარდა. ალბათ, ჰობსიანური მდგომარეობა, რომლის მიხედვითაც „ყოველ ადამიანს აქვს ყველაფრის უფლება, ერთმანეთის სხეულზეც კი“, ყველა ადამიანს აძლევს ერთ უფლებას-არ იყოს გაკრიტიკებული.

სურვილები და ადამიანის სხვა ვნებები, თავისთავად ცოდვა არ არის. არც ის ქმედებაა ცოდვა, რომელსაც ადამიანი ვნებებიდან გამომდინარე ჩადის, მანამ სანამ არ გაიგებს, რომ კანონით ეს ქმედება აკრძალულია: რაც შეუძლებელია იცოდეს კანონების შექმნამდე.

ესეც კი საეჭვოა, ვინაიდან, თუ ჩვენ გვაქვს უფლება გავაკეთოთ აბსოლიტურად ყველაფერი. მაშინ რატომ არ გვაქვს კრიტიკის უფლება? დიდი - დიდი ჰობსმა ის დაამტკიცოს, რომ ნებისმიერი სახის კრიტიკა ასეთ პირობებში უაზრობაა. და ალბათ, მართალიც იქნება.

ამავდროულად საქმე ის არის, რომ ამგვარი პირობა ძალიან განსხვავდება იმ მდგომარეობიდან, როდესაც ყველას აქვს სრული უფლება /ამ სიტყვის სრული გაგებით/ აკეთოს რაც ესამოვნება. იგულისხმება ყველა ის მოქმედება, რომელიც აღიარებს სხვების იმავე უფლებებს. ეს ნიშნავს წარმოიდგინო არა მდგომარეობა, რომელშიც ჰობსის თქმით „არ არსებობს ავი და კარგი“, არამედ მდგომარეობა, რომელშიც ზოგი ქმედება არ არის მართებული-ყველა დანარჩენი კი მართებულია, ბოლოს და ბოლოს, თუნდაც იმიტომ, რომ ნებადართულია.

ერთადერთი გამოსავალია სცადო და განსაზღვრო ჩარევის „ხარისხი“. ადამიანის ქმედების ზოგი დამაბრკოლებელი ფაქტორი სხვა ფაქტორებზე დიდი და სერიოზულია. ამან შეიძლება გვაცდუნოს და ჩამოგვაწერინოს ჩარევათა სია მათი სერიოზულობის მიხედვით. მაგრამ ეს კიდევ უფრო გაართულებდა საკითხს, განსაკუთრებით იმის გამო, რომ ადამიანები /ნამდვილად მოსალოდნელია/ ძალზე განსხვავებულად შეაფასებენ სხვადასხვა სახის ჩარევებს. მართლაც, ალბათ, არიან ადამიანები, რომლებიც უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებენ ზოგიერთ იმ ქმედებას, რომელიც, ჩვენი აზრით, ამკარა და პირდაპირი ჩარევა იქნება სხვების ქმედებაში. ამრიგად, ისინი ამ ქმედებაში ჩარევას შეაფასებენ,

როგორც ძალზე სერიოზულს. აქედან დაიბადება შეკითხვა,-ეს ყველაფერი უარყოფითი უტილიტარიზმის ჩამოყალიბებით / არაუტილიტარულის მინიმალიზაცია/ ხომ არ დამთავრდება? საბედნიეროდ, არსებობს ამ პრობლემის მოგვარების უკეთესი გზა, რომელიც ისეთ ხერხებს გვთავაზობს /მაგ., რიგის მიხედვით დალაგება/, როგორც, კერძოდ, მოლაპარაკებაა. თუ კი საწყისი წერტილი არ არის მცდარი, ქმედებები რომც ეწინააღმდეგებოდნენ ერთმანეთს, მხარეებს შეუძლიათ საკამათო საკითხებზე შეთანხმებას მიაღწიონ იმის განსაზღვრით, თუ ვის რისი კეთების უფლება უნდა ჰქონდეს. ლომის წილი სწორედ მოლაპარაკებაზე მოვა, თუ ჩვენი მიზანი თავისუფლებაა, ვინაიდან, მოლაპარაკება ნებაყოფილებითია: /ზოგადად/ არავის მოეთხოვება რაიმე სახის შეთანხმების გაკეთება, მაგრამ როდესაც ეს გაკეთდება დაწესებული ვალდებულებები თვითდაკისრებუკლად ითვლება. მომავალი საჩივრების საფუძველი შეთანხმებულია, ვინაიდან წინასწარაა მიღებული.

უნდა აღინიშნოს, რომ შეთანხმება ტიპიურად ასახავს მონაწილეების პოზიციების ძლიერ მხარეებს მოსალაპარაკებელ საკითხთან დაკავშირებით. ის არ ყალიბდება „უმცერები ფარდის“ მიღმა და ის /საფუძველშივე/ არ მოითხოვს ან გვპირდება შედეგის თანასწორობას იმ თვალსაზრისით, როგორც ეს განხილული და უარყოფილი იყო 1 ნაწილში. მხარეებმა შეიძლება მიიღონ ან არ მიიღონ კონკრეტული შემოთავაზებული წინადადებები; თუ მოლაპარაკების დროს ტყუილი დაუშვებელია, მიღებული წინადადებები, ალბათ, საუკეთესო იქნება, რადგან მათი მეშვეობით მხარეები უკეთ უზრუნველყოფილად იგრძნობენ თავს /უზრუნველყოფის საკუთარი გაგებით/. მაგრამ არ უნდა მოველოდეთ, რომ უზრუნველყოფის დონე თანაბარი იქნება. თუ შესაძლებელი გახდება მისი ობიექტურად გაზომვა... ჩემი აზრით, ასე უნდა იყოს. არც იმის უარყოფა შეიძლება, რომ ძალიან ხშირად, შეთანხმების საფუძველია წინადადება თანაბარ გაყოფაზე.

ჩარევის მინიმალიზაციის აზრის გასაგებად ჩვენ გვჭირდება ცალკე ან გასაცალკევებელი არეალის, სფეროს ან „ტერიტორიის“ /როგორც „ტორფი“ ერთ სუბკულტურაში/ კონცეფცია, რომელიც ადგენს ადამიანის მოქმედების საზღვრებს. ეს კი მილისეული „ადამიანის თავისუფლების შესაფერისი სფეროა“, მხოლოდ შე-

ცვლილი სახით, ვინაიდან, მილი იმედოვნებდა, რომ იპოვნიდა სფეროს, რომელშიც ერთის ქმედება ვერ ჩაერევოდა მეორის ქმედებაში, რაც პრინციპში შეუძლებელია იმ შემთხვევაში მაინც, თუ ვუშვებთ, რომ ადამიანის ქმედება ჩართულია ბუნების კაზუალურ ქსელში. ჩვენ შეგვიძლია ვცადოთ დავადგინოთ სფერო, რომელშიც ხელყოფა სხვების მხრიდან აუცილებლად ჩარევას ნიშნავს. ის უნდა განიხილებოდეს როგორც ჩარევა და ამ სფეროსთან დაკავშირებულ პიროვნებას უნდა მიეცეს უფლება მინიმუმამდე დაიყვანოს ამგვარი ხელყოფა. ასეთი სფერო უპირველეს ყოვლისა, რასაკვირველია, ადამიანის სხეულია. ეს ის სფეროა, რომელშიც ადამიანი არ უნდა შეიჭრას იმ პიროვნების თანხმობის გარეშე, რომელსაც ის ეკუთვნის.

ეს, რასაკვირველია, ნიშნავს აღიარო, რომ ადამიანის სხეული ამ ადამიანის საკუთრებაა. თუ მოცემული სხეული A-ს ეკუთვნის, მაშინ A-ს შეუძლია, როგორც სურს, ისე მოექცეს მას და სხვასაც მისცეს ამის ნება ან აუკრძალოს. A არის A-ს სხეულის გამგებელი. რამდენადაც ეს კონტროლს ექვემდებარება სხვები ვერ იმოქმედებენ მასზე თუ A -ს არ სურს.

უნდა იქნას თუ არა ეს შეფასებული თავისუფლების ძირითად უფლებად ან ნაწილად? ჩვეულებრივ, ჩვენ ვიტყვით, რომ სხეულის მხოლოდ ზოგიერთი დაზიანება ზღუდავს თავისუფლებას. მოტეხილიო კიდურები, დაავადება, რომლებიც ლოგინს მიაჯაჭვავს ადამიანს, სხეულებანი, რომლებიც სხეულების ნაწილებს მოქმედების უნარს უკარგავენ, აშკარად თავისუფლების შემზღუდავი ფაქტორებია. მაგრამ რისი თქმმა შეიძლება სისხლჩაქცევების, ნაკაწრების და თავის ტკივილის შესახებ? უნდა ვაღიაროთ, თავისუფლების უფლების ისე გაგება, რომ ეს უკანასკნელები თავისუფლების შემზღუდავად მივიჩნიო, ცოტა ზედმეტი. მაგრამ, ჩემი აზრით, არც მეტისმეტად ზედმეტი. ადამიანის უფლება გაუკეთოს X-ს რაც სურს ნიშნავს X -ზე კონტროლის უფლებას, შესაძლებლობის ფარგლებში გადაწყვიტოს თუ რა მდგომარეობაში იქნება X. თუ ჩვენ მივიღებთ ამ სახის განმარტებას, მაშინ ადამიანის სხეულზე მფლობელის თანხმობის გარეშე ჩადენილი ნებისმიერი ქმედება ამ ადამიანის თავისუფლების შეზღუდვას ნიშნავს. და მე ვამტკიცებ, რომ თავისუფლების უფლება არის საკუთრების უფლება, ზოგადად. გქონდეთ X-ის კეთების უფლება,

ნიშნავს გქონდეთ უფლება, გამოიყენოთ ყველა გზა და საშუალება, რაც საჭიროა X-ის გასაკეთებლად.

საკუთრებასთან კავშირი გრძელდება მაშინაც, როდესაც გადავდივართ იმაზე, რაც არ არის ადამიანის სხეულის განუყოფელი ნაწილი. როდესაც ჩვენ ვფლობთ რაღაც საგანს- T-ს, ჩვენ გვაქვს უფლება, ჩვენი სურვილისამებრ მოვექცეთ მას, სხვათა უფლებების დაცვით. ეს, ჩემი აზრით, სრულიად ნათელია. მაგრამ როგორ ზღუდავს თავისუფლების უფლება საკუთრების უფლებას?

ამ შეკითხვაზე პასუხის ზოგადი ფორმა ან ზოგადი მიმართულება ასეთია: ფლობდე X -ს ნიშნავს გქონდეს უფლება, რაც გასურს გაუკეთო მას, სხვების უფლების შეუზღუდავად. ამიტომ არის იდენტიფიცირებადი /თუმცა ბოლომდე გაურკვეველი/ ქმედების წყება, რომელთა ჩადენის უფლება გულისხმობს საკუთრებას. თუ არცერთი ამ ქმედებიდან არ ეწინააღმდეგება სხვების უფლებებს, მაშინ , ჩვენ, ჰიპოთეტურად, გვაქვს უფლება, ვაკეთოთ ნებისმიერი ამ ქმედებათაგან, როგორც გვსურს და, როგორც შეგვიძლია, რასაკვირველია. გვქონდეს საკუთრების უფლება ნიშნავს გვქონდეს ამ ქმედების განხორციელების უფლება. ამ უფლების უარყოფა ნიშნავს, რომ უბრალოდ, ვერ ვაკეთებთ ამას და, ამ შემთხვევაში, სხვის მიერ მისი განხორციელება არ შეიძლება ეწინააღმდეგებოდეს იმას, რასაც ჩვენ ვაკეთებთ, ან ნიშნავს, რომ არსებობს სხვების უფლებები, რომლებსაც ჩვენი ქმედებები შეეწინააღმდეგებიან. თუ ვიღაც სხვას უკვე ეკუთვნის საგანი, მაშინ ჩვენი პრეტენზია უსაფუძვლოა, მაგრამ, თუ ის არავის ეკუთვნის და არც, ამავედროული, საწინააღმდეგო პრეტენზიები არსებობს, მაშინ მოცემული ქმედებების შესრულების დაწყება ნიშნავს, გვქონდეს მათი გაგრძელების უფლება. წესი: „მპოვნელი-მფლობელი“ და „პირველ მოსულს-პირველი მომსახურება“ ძალაშია თუ თავისუფლება და ამრიგად, **ჩაურევლობა არის ჩვენი მიზანი.**

ჯონ ლოკის ვერსიაში მოცემული საწყისი ქმედებები წარმოების ქმედებებია-ანუ ხდება „საკუთრი შრომის მისადაგება“, როგორც ის ამბობს. მაგრამ ჩემი აზრით, ეს იმაზე მეტია, რაც ჩვენ გვჭირდება. ადამიანი უნდა სარგებლობდეს ან აპირებდეს ისარგებლოს, მაგრამ ის, რომ სარგებლობა პროდუქტიული უნდა იყოს, დამატებითი პრობლემატური შეზღუდვაა. თუ ადამიანებს ნება აქვთ იმოქმედონ როგორც სურთ, მაშინ არ არის სავალდებუ-

ლო დაცული ქმედებები იყოს პროდუქტიული/ რასაკვირველია, ჩვენ შეიძლება გავიზიაროთ აზრი, რომ ყველა ნებაყოფილობითი ქმედების მიზანია იყოს „პროდუქტიული“ მოცემულ მომენტში ადამიანის სურვილის დაკმაყოფილების თვალსაზრისით მაინც. მაგრამ ლოკი ამაზე მეტს გულისხმობს/.

მჭიდრო კავშირი თავისუფლებასა და კერძო /საკუთრებას შორის კიდევ უფრო ნათელი ხდება მაშინ, როდესაც საკუთრების სისტემას ვადარებთ ისეთ სისტემას, რომელშიც გადაწყვეტილებას, თუ ვინ რა უნდა აკეთოს და რა საშუალებებით /ძირითადი მაინც / სახალხო მმართველობის ორგანო ან კომიტეტი ან, კიდევ, სათათბირო ორგანო იღებს და, საბოლოოდ, მოჩვენებითი დემოკრატიის კონტროლს ექვემდებარება. თავისუფლების კრიტერიუმი, რასაკვირველია, იმაში მდგომარეობს, რომ ადამიანმა შეიძლება იმოქმედოს „ნებისმიერი სხვა ადამიანისაგან ნებართვის აღების გარეშე“ /ლოკის ფრაზა/. ეს არაფრით არ ეხება უმრავლესობის ნებას დამორჩილებულ ადამიანს თუ არავის არაფერი ეკუთვნის, მაშინ აღარაფერი იქნება დამოუკიდებელი, რადგან შეუძლებელია რაიმის გაკეთება, თუ რადციტით არ აკეთებ მას. ექვგარეშეა, უარყოფილი იქნება ის აზრი, რომ უშემოსავლო ადამიანები იმ საზოგადოებაში, რომელსაც არ აქვს ჩამოყალიბებული სოციალური კეთილდღეობის სისტემა, გარშემო მყოფთა ხარჯზე იცხოვრებენ-მიიღებენ საარსებო მინიმუმს-საჭმელს, ტანსაცმელს და ა.შ. იმ საზოგადოებაშიც კი, რომელშიც არსებობს ასეთი ინსტიტუტები, ადამიანი გარშემო მყოფთა ხარჯზე ცხოვრობს, უფრო ჯგუფურად, ვიდრე ინდივიდუალურად. რომელი ჯობს, ეს თუ იმ ცალკეული პიროვნებების ან ნებაყოფილობითი კავშირების ხარჯზე არსებობა, რომელთა მიზანია ამ ადამიანების საჭმლით უზრუნველყოფა,-დატაკთა თვალსაზრისითაც კი არ შეიძლება აპრიორულად გადაწყდეს. მაგრამ ექვგარეშეა, რომ ეს უარესია ყველა იმ ადამიანების თვალსაზრისი, რომელთაც არანებაყოფილობით, თავისი წვლილი შეაქვს საზოგადოებრივ ინსტიტუტის დასახმარებლად. ის, რომ ასეთი ინსტიტუტები, თუნდაც თავისუფლების სახელით შეიძლება აყვავდნენ, თვით ამ ცნების დამახინჯებაა.

საწყისი შენაძენის კონცეპტუალური პრობლემა მნიშვნელოვანია, მაგრამ, როგორც ჩანს, შეიძლება მოგვარდეს მოლაპარაკებების გზით. თანამედროვე სამყაროში, რასაკვირველია, ძალზე

ცოტაა საწყისი შენაძენი და მსოფლიოს რეალური სიმდიდრის მხოლოდ პაწაწინა ნაწილს შეადგენს. დოვლათი იწარმოება და მომსახურეობა ხორციელდება, უმთავრესად ადამიანის მიერ. და თუ ჩვენ გვსურს, რომ თავისუფლება იყოს სოციალური ინსტიტუტების მიზანი, მაშინ საჭირო ფორმა არის თავისუფალი ბაზრის საზოგადოება, რომელშიც ის, თუ რა იქმნება და ვინ იღებს მას, დამოკიდებულია იმ პირების ნებაყოფილობით გადაწყვეტილებაზე, რომლებიც ქმნიან და იღებენ ამ დოვლათს, თუ მე შემოდლია X-ს ის გაუკეთო, რაც მსურს თქვენ კი-Y-ს, მაშინ შეგვიძლია X და Y -ის გაცვლა ყველა მსურველთან.

ურთიერთობის თავისუფლება პირდაპირ კავშირშია ზოგად კონცეფციასთან. ჩვენი უამრავი სახის და, ზოგჯერ კი, საკმაოდ ღრმა ურთიერთობები გვაქვს. ამას მივყავართ იმ აზრამდე, რომ

„ატომური“ ინდივიდუალისტებისათვის სოციალური რეალობის ძირითადი შემადგენელი ნაწილები-ატომები არიან კერძო პიროვნებები, კაცები და ქალები, საზოგადოებისაგან და ერთმანეთისაგან უეჭველად დამოუკიდებულნი, რომლებსაც მხოლოდ ზედაპირული ურთიერთობები აქვთ ერთმანეთთან. როგორც ატომები დახურულ სივრცეში, ისე ადამიანები საზოგადოებაში, კონტაქტში შედიან ერთმანეთთან. მაგრამ ეს კონტაქტი არანაირად არ არის პიროვნების არსის ძირითადი შემადგენელი ნაწილი. საზოგადოება იმდენადვე ქმნის პიროვნებას, რამდენადაც სივრცე ატომს... საზოგადოება იმდენადვე არის სოციალური რეალობის ნაწილი, რამდენადაც ფიზიკური სივრცე /ტრადიციული ატომური გაგებით/ არის მატერიის ნაწილი.

საზოგადოებრივი ცხოვრების ამგვარად მოდელირება, რაც არსებული კულტურული, ისტორიული, თუ დიალექტიკური პროცესების არა ევოლიციური გზით წარმართვას ნიშნავს, ეწინააღმდეგება თვით ბუნების ზოგადი განვითარების კანონზომიერებას, რამეთუ იგი განაპირობებს საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარებას, და ნიშნავს უკვე არსებული კულტურულ-ისტორიული ფასეულობების მთლიანად განადგურებას, ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით. მას არაფერი აქვს საერთო საზოგადოებრივ ინტერესებთან.

2. არანაირი პოლიტიკური ქმედება არ შეიძლება განხორციელებული ან გამართლებული იქნას იმის საფუძველზე, რომ ის წინ წამოსწევს სიკეთის იდეალს, გარდა იმ შემთხვევების, როდესაც ის ყველას თანაბრად აძლევს საშუალებას თვითონ ემსახუროს და წინ წამოსწიონ საზოგადოებაში ნებისმიერი სიკეთის იდეალი არაპოლიტიკური ქმედებით.

3. არცერთი პოლიტიკური ქმედება არ შეიძლება განხორციელებული ან გამართლებული იქნას იმის საფუძველზე, რომ ის წინ წამოსწევს სიკეთის იდეალს, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ის ყველას თანაბრად აძლევს საშუალებას თვითონ ემსახუროს მას და წინ წამოსწიოს საზოგადოებაში ნებისმიერი სიკეთის იდეალი პოლიტიკური საშუალებებით.

ამგვარი მიდგომა უარყოფს კაცობრიობის ზნეობრივ მონაპოვარსა და ჰუმანურობას, და წერტილს უსვამს მის შემდგომი განვითარების პერსპექტივას, რაც ყოველად დაუშვებელია, რადგან თანდითანობით მივიწევთ რა უზენაესი სულისკენ, რომელმაც ბოლოს, თავის თავში უნდა შეგვკვრას ერთ არსად, -აქ, ამ მხრივ უფრო მეტი მოგვეთხოვება. ლიბერალები კი, ყოველივე არსებული ბუნებრივ-სოციალური ინსტიტუტების, რომლებიც პრინციპში ცალკეულ ადამიანთა საყრდენებია, -ჩვენი დამლა, განადგურებით დაკავებულნი არიან, რაც რა თქმა უნდა კონსპერაციული პროექტის შემადგენელ ნაწილად უნდა მოვიაზროთ.

პირველი პრინციპი ესწრაფვის მიაღწიოს პოლიტიკურ ნეიტრალიზაციას იმით, რომ გამორიცხავს სიკეთის იდეალისადმი სამსა-

ხურის ყოველგვარ პოლიტიკურ გამართლებას. მეორე და მესამე პრინციპები ნაკლებ კატეგორიულია. მეორე პრინციპი უშვებს სიკეთის იდეალის გათვალისწინებას პოლიტიკური საზოგადოების ლეგალურ -პოლიტიკური სტრუქტურის შექმნის დროს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ის მოითხოვს ისეთ საორგანიზაციო ღონისძიებებს, რომლებიც საჭიროა, რათა ყველა პიროვნებას თანაბრად მიეცეს საშუალება თავისთვის სასურველი სიკეთის იდეალი გაატაროს პირად ცხოვრებაში ან საზოგადოებაში არა-პოლიტიკური ქმედებით. მესამე პრინციპი წააგავს მეორეს იმით, რომ მოითხოვს პოლიტიკურმა საზოგადოებამ ყოველი ინდივიდი თანაბრად უზრუნველყოს უფლებებით ემსახუროს სიკეთეს, თუნდაც, პოლიტიკური ქმედებით. ამგვარად, ეს პრინციპი ესწრაფის უზრუნველყოს კანონმდებლობის კონსტიტუციის ნეიტრალობა, თუმცა არა ყველა იმ პოლიტიკური ქმედების ნეიტრალობა, რომელიც კონსტიტუციიდან მომდინარეობს.

რობერტ ნოზიკი და ლიბერტარული ლიბერალები პირველი პრინციპის ერთგულები არიან. ჯონ როულსი და ეგალიტარული ლიბერალები ემხრობიან პრინციპს, რომელიც მესამეს წააგავს. როულსის თეორიით ამ უკანასკნელისაგან იმით განსხვავდება, რომ იგი მოითხოვს თანაბარ შესაძლებლობებს სიკეთის იდეის განსახორციელებლად, მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ ეს შესაძლებლობები ემყარება თანაბარი თავისუფლების პრინციპს. სხვა მხრივ, ეს განსხვავებული პრინციპი უშვებს გადახრებს სიკეთის განხორციელების საშუალებების თანაბარი გადანაწილებისაგან, სადაც ყველაზე მეტად ყველაზე ცუდ მდგომარეობაში მყოფი ჯგუფი ისარგებლებს. და ბოლოს, როულსს ნაკლებად აინტერესებს უთანასწორობის გამოსწორება, სადაც სიკეთის აღზევება ადამიანის ბუნებრივ ნიჭზეა დამყარებული...

პოლიტიკური ქმედება აქ განხილულია, როგორც პოლიტიკური საზოგადოების და ნებისმიერი პიროვნების ქმედება, რომლის მიზანია გავლენა იქონიოს პოლიტიკური საზოგადოების არსებობაზე, კონსტიტუციაზე, ძალაუფლებასა და პოლიტიკური ინსტიტუტების მოქმედებაზე. სახელმწიფო და მისი ორგანოები პირველი, მაგრამ არა ერთადერთი პოლიტიკური ინსტიტუტებია. პრინციპები, რომლებითაც უნდა ხელმძღვანელობდნენ პოლიტიკური ქმედებისას, შეიძლება განვიხილოთ, როგორც

პოლიტიკური მორალი. ნეიტრალური პოლიტიკური ქმედების დოქტრინა ამტკიცებს, რომ პოლიტიკური მორალი, ზოგადად, მორალის ნაწილია, რომელიც გარკვეულ ღირებულ მიზეზებს პოლიტიკური ქმედების ქმედების შესაფერის საფუძვლად არ მიიჩნევს. ის შემდგომში აცხადებს, რომ მისთვის შეზღუდვის პრინციპები, ნაწილობრივ მაინც, გამართლებულია იმით, რომ მათთან თანხმობა უზრუნველყოფს პოლიტიკურ ნეიტრალობას, ხოლო პოლიტიკური ნეიტრალობა სამართლიანობის წინაპირობაა.⁸⁴

3. მკაცრი პოლიტიკური ნეიტრალობის შეუძლებლობა, მიმდინარეობს კამათი იმის შესახებ, რომ მკაცრი პოლიტიკური ნეიტრალობა შეუძლებელია. ეს თავი განიხილავს საპირისპირო აზრს, რომელიც ეწინააღმდეგება ჯერ ლიბერტალურ პრინციპს, რომელიც ნეიტრალობის მიღწევას პოლიტიკიდან იდეალების გამორიცხვით ესწრტაფვის, ხოლო შემდეგ ეგალიტარული ლიბერალური ნეიტრალობის შესაძლებლობას, რომლის მიღწევასაც ესწრაფვიან მეორე და მესამე პრინციპები.

...ნეიტრალობა განისაზღვრება მხოლოდ ყველა მხარისადმი გაწეული დახმარების ან ხელის შეშლის ხარისხით. ამან ზოგიერთი შეიძლება მიყვანოს იმ დასკვნამდე, რომ ნეიტრალობის ნებისმიერი განსაზღვრება ან მხარდაჭერა გულისხმობს იმას, რომ, თუკი ადამიანი პასუხისმგებელია საკუთარ საქციელზე, იგი მორალურად არ არის პასუხისმგებელი იმაზე, რასაც არ აკეთებს. ამდენად ამ აზრის მოწინააღმდეგეებმა შეიძლება დაასკვნან, რომ ნეიტრალობა შეუძლებელია. და მაინც, ეს დასკვნა საფუძველს არის მოკლებული და არანაირად არ იგულისხმება ნეიტრალობის განსაზღვრებაში. თუმცა, ნეიტრალობის მხარდაჭერა სავსებით უთავსდება ამ მოსაზრებას, იგი არ არის მასზე დამოკიდებული. მისი გამართლება შეიძლება მხოლოდ იმიტომ, რომ გარკვეულ პირობებში არ დახმარება დახმარებაზე უმჯობესია. თუმცა, მსჯელობა ნეიტრალობის დასაცავად ხშირად გულისხმობს სხვაობას არ დახმარებასა და ხელის შეშლას შორის, ეს არ ნიშნავს, რომ ეს სხვაობა ყოველთვის მორალური ნმნიშვნელობისაა / ნეიტრალობა ყოველთვის არ არის გამართლებული/, ანდა ეს სხვაობა ყოველთვის არსებობს. ზოგიერთ შემთხვევაში ნეიტრალობა შესაძლებელია, ზოგში კი -შესაძლოა, შეუძლებელიც იყოს...⁸⁵

4. პოლიტიკური კეთილდღეობა. ბრაინ ბერი ნეიტრალური დამოკიდებულობის დოქტრინას ლიბერალიზმის ერთერთ მნიშვნელოვან ნაწილად მიიჩნევს. „ექვსგარეშეა, რომ კლასიკური ლიბერალიზმი, ამას გარდა, სხვა ნაწილებისგანაც შედგებოდა, მაგრამ ეს დოქტრინა გულისხმობს, რომ სახელმწიფო უფრო ადამიანების მოთხოვნილებების დაკმაყოფილების ინსტრუმენტია, ვიდრე კარგი ადამიანების შექმნის საშუალება / მაგ. თავის მოქალაქეებში სასურველი მოთხოვნილებებისა და განწყობილებების ჩამოყალიბება/“.

ამიტომ ბერი ამ არგუმენტიდან გამომდინარე, ლიბერალიზმს განსაზღვრავს, როგორც თვალსაზრისს, რომლის მიხედვითაც, წარმოსახვითი პრინციპები არ უნდა იქნას გამოყენებული პოლიტიკურ მოღვაწეთა ქმედების განსასაზღვრავად. განსაზღვრების მიხედვით, ლიბერალიზმი ნეიტრალობის დოქტრინის გარკვეული ვერსიის მხარდაჭერაა, რაც იმითაა განპირობებული, რომ მასში გამოყენებული ბერის მოსაზრება მოთხოვნილებების და წარმოსახვით პრინციპებს შორის სხვაობის შესახებ.

„საჭიროების პრინციპები...ის პრინციპებია, რომლებიც ადამიანების საჭიროებებს დადგენილად მიიჩნევენ და ყურადღებას ამახვილებენ იმაზე, თუ რა გავლენას მოახდენს პოლიტიკა ადამიანების მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების შესაძლებლობების განაწილებაზე“.

...ბერის აზრით სახელმწიფოს საქმე არ არის ინდივიდების სიკეთის წარმოჩენა. ის უნდა შემოიფარგლოს მათი მოთხოვნილებების დაკმაყოფილებით. მე „პოლიტიკურ კეთილდღეობას“ ვუწოდებ იმ სახის კეთილდღეობის თეორიებს, რომლებიც ზოგიერთი წარმოსახვის პრინციპის მნიშვნელობას აღიარებენ, მაგრამ არაპოლიტიკური ქმედებით შემოიფარგლებიან....

...ადამიანის ცხოვრება მათი პირადი საქმეა. ის შეიძლება იყოს მორალური და ამორალური, მომხიბლელი და დამამცირებელი და ა.შ. მაგრამ ამორალური ცხოვრებაც კი არ არის სახელმწიფოს საქმე, ის არც არავის საქმეა თვით ამ ადამიანების გარდა. ერთადერთი რაც ეხება სახელმწიფოს არის უზრუნველყოს ადამიანები საკუთარი ცხოვრების წარმართვის საშუალებებით, ე.ი. დაეხმაროს მათ სურვილების დაკმაყოფილებასა და მიზნების მიღწევაში. ამიტომ სახელმწიფოს ქმედების საფუძველი მხო-

ლოდ კეთილდღერობის პრინციპი უნდა იყოს და არა წარმოსახვის. ეს მიმზიდველი, მაგრამ გამარტივებული სურათია. მასში ბევრი ბუნდოვანი და რთული მხარეა, რომელთა გადაჭრა რადიკალურად ცვლის მას. ახლა ერთერთ ასეთ საკითხსა შევეხები და ნარჩენებს კი მომავალში განვიხილვ....86

5. ნეიტრალობა და სამართლიანობის სოციალური როლი,.. (როულსის). სამართლიანობის კონცეფცია ისეა ჩამოყალიბებული, რომ სოციალური ცხოვრების პრაქტიკული მოთხოვნები დააკმაყოფილოს და შექმნას საზოგადოებრივი საფუძველი, რომელზე დაყრდნობითაც, მოქალაქეები ერთმანეთის წინაშე მათი საერთო ინსტიტუტების გამართლებას შეძლებენ....87

6. ადამიანები, როგორც მიზნები,... ადამიანებს ყოველთვის უნდა მოექცეთ, როგორც მიზნებს და არა -საშუალებებს....88

შეუძლებელია ადამიანს მოეპყრო როგორც მიზანს, რამეთუ, როგორც ლამარკი აღნიშნავს, იგი ბუნების ნაწილია, სხვა ცოცხალ ორგანიზმებთან ერთად და ემორჩილება სამყაროს გამრიგეობიექტურ კანონებს. მისი სრულყოფა და განვითარება კი ხდება სიცოცხლის პირობების მრავალგზის, თანდითანობითი ცვლილებების შედეგად. რაც გულისხმობს იმას, რომ მისი კულტურულ, ისტორიულ მემკვიდრეობას ემატება სულ უფრო და უფრო ახალი კულტურული შრე, რაც არ უნდა დაეკარგოს, საითკენაც გვიბიძგებს, ლიბერალიზმი კონვერგენციის გზით, რომ, ვინც ცოცხლები დავრჩებით, ჩამოგვაყალიბონ უმდიდრს ადამიანთა, მომსახურე, უუფლებო, პრეკარიატულ ფენად.

7. იძულება და ავტონომია,...სავსებით მისაღებია ადამიანმა მოგების მიზნით სხვისი კლიენტი გადაიბიროს,.....ის ვინც აიძულებს მეორეს, იძულებულს ხდის მას, საკუთარი სურვილის წინააღმდეგ იმოქმედოს. ის მეორე ადამიანს უქვემდებარებს თავის ნებას და, ამრიგად, არღვევს მის ავტონომიას.... მნიშვნელოვნად ავტონომიური ადამიანები, ნაწილობრივ თავად არიან საკუთარი მორალური სამყაროს შემომქმედნი. ადამიანებმა, რომლებიც საკუთარი მორალური სამყაროს ნაწილობრივი შემომქმედნი არიან, ვალდებულება აიღეს იმ პროექტზე, ურთიერთობებზე და მიზნებზე, რომლებიც ზემოქმედებას ახდენენ იმ ცხოვრებაზე, რომელიც მათთვის ღირებულია...

...რამდენადაც ლიბერალური ზრუნვა, იძულების შეზღუდვაზე არის ზრუნვა ადამიანის ავტონომიაზე, ლიბერალიც მონდომებული იქნება უზრუნველყოს ბუნებრივი და სოციალური პირობები, რომლებიც საშუალებას მისცემენ ინდივიდს, განავითაროს ავტონომიური ცხოვრება. ლიბერალი ეცდება გააკონტროლოს ფიზიკური გარემო და არეგულიროს ერთი ადამიანის ქმედებების ძალდაუტანებელი გავლენები მეორეზე იმისათვის, რომ უზრუნველყოს ავტონომიური ცხოვრებისათვის საჭირო გარემო. ამგვარი მიზნების მისაღწევად ლიბერალს შეიძლება სურდეს იძულების გამოყენება... 89

ლიბერალიზმი, ავტონომია და პლურალიზმი,... ვინაიდან მნიშვნელოვანი ავტონომია გულისხმობს, რომ არჩევანი ცხოვრების წესის მორალურად ღირებული შესაძლებლობებდან უნდა გაკეთდეს, ის მოითხოვს, რომ სახელმწიფომ გააკეთოს ყველა ღირებული არჩევანი, რომელიც ხელმისაწვდომია ინდივიდებისათვის. ის არ მოითხოვს დაიცვას ან ხელი შეუშალოს მორალურად მიუღებელ არჩევანს. მორალური პლურალიზმი არ მოითხოვს მორალურად გაუმართლებელი არჩევანის მიღებას. ის არ მოითხოვს ნეიტრალიზებას კარგისა და ცუდისადმი. სახელმწიფომ შეიძლება ჩაიდინოს არამაიძულებელი ქმედება, რათა წაახალისოს ადამიანები ღირებული ცხოვრების წარმართვისაკენ იმით, რომ შექმნას გარემო, რომელიც ხელს შეუწყობს ასეთი არჩევანის გაკეთებას. მან შეიძლება ხელი შეუშალოს მორალურად მიუღებელი ცხოვრების წარმართვას იმით, რომ სცადოს მოსპოს პირობები, რომელთა გამოც ის მიმზიდველი ჩანს, მაგრამ მან არ უნდა გამოიყენოს მაიძულებელი ზომები, რათა ხელი შეუშალოს ავტონომიურ ადამიანს მორალურად მიუღებელ ქმედებაში თუ ისინი სხვებისათვის საზიანო არ არის. ერთადერთი ქმედება, რომელიც არ აძლევს სხვებს სამართლიან შესაძლებლობებს აწარმოონ მათთვის სასურველი ღირებული ცხოვრება, მათთვის საზიანოა. სახელმწიფოს ზრუნვა ავტონომიაზე მას, ძირითადად, აძლევს უფლებას გამოიყენოს იძულება, რათა არ დაუშვას სხვების ზიანი. მისი მოვალეობაა უზრუნველყოს მოქალაქეები ავტონომიური ცხოვრების თანაბარი შესაძლებლობებით. მან შეიძლება იძულების გზით დაარღვიოს ზოგიერთების ავტონომია სხვათა ავტონომიის დასაცავად. სხვა მიზეზებით ავტონომიის დარღვევა მას არ შეუძლია.⁹⁰

რეზიუმის ნაცვლად, აქ ჯოზეფ რაცს იმდენად კომპაქტურად აქვს გადმოცემული თავისი შეხედულებები, რომ თავი შევიკავე მისი ანოტაციისაგან, რამეთი ამ სახით მკითხველი უფრო მეტ სარგებელს ნახავს.

12. თომას ნაგელი, ებრაელი, წარმოშობით ბელგრადიდან, ჰარვარდის, ნიუორკის უნივერსიტეტის პროფესორი, აშშ-სა და ბრიტანეთის აკადემიების წევრი, 1987 წ-ს გამოცემული წიგნიდან: „მორალური კონფლიქტი და პოლიტიკური ლეგიტიმურობა“

I

რობერტ ფროსტის განსაზღვრებით, ლიბერალი არის ადამიანი, რომელსაც კამათში საკუთარი პოზიცია არ აქვს. ცოტა უხეში ნათქვამია, მაგრამ ლიბერალიზმი არის რაღაც პარადოქსული, ზედაპირულად მაინც, და რაღაც ბუნდოვანი, ობიექტურობის საფუძველებში, რომელსაც ლიბერალიზმი ქადაგებს სწორედ ამის განხილვა მსურს.

ეთიკა ინდივიდის პიროვნულ თვალსაზრისსა და ობიექტურობის გარკვეულ მოთხოვნებს შორის კონფლიქტს განიხილავს. პიროვნულ თვალსაზრისში შემოაქვს მოტივები, რომლებიც გამომდინარეობს არა მარტო ინდივიდის ინტერესებიდან, არამედ მისი ადამიანებისადმი ერთგულებასა და ვალდებულებებიდან, პროექტებისა და კონკრეტულ საგნებთან დამოკიდებულებიდან. ობიექტურობის მოთხოვნას შეიძლება სხვადასხვა ფორმა ჰქონდეს. მაგრამ, ის, ჩვეულებრივ, გარკვეულ საკითხებში ადამიანებისადმი თანაბარ მოპყრობას და დამოკიდებულებას გულისხმობს, მათ თანაბარ უფლებებს ანიჭებს, ერთნაირად მნიშვნელოვნად მიიჩნევს მათ სიმდიდრეს, კეთილდღეობას ან მის გარკვეულ ასპექტებს იმის განსაზღვრისას, თუ რა იქნებოდა ქმედების სასურველი შედეგი ან დასაშვები გამართლება. ვინაიდან პიროვნული მოტივები და ობიექტურობა შეიძლება ეწინააღმდეგებოდნენ ერთმანეთს, ეთიკურმა თეორიამ უნდა შემოგვთავაზოს ამ კონფლიქტების მოგვარების გზები. მან შეიძლება სრული

გამარჯვება კონფლიქტის ობიექტურ მხარეს მიანიჭოს, მაგრამ ეს საკითხის გადაწყვეტის მხოლოდ ერთი გზაა.

კონფლიქტი ობიექტურობასა და ინდივიდუალურ თვალსაზრისს შორის ნელდება, როდესაც პიროვნული ეთიკიდან პოლიტიკურ თეორიაზე გადავდივართ. ამის მიზეზი არის ის, რომ პოლიტიკაში, სადაც ყველა ჩვენგანი ცდილობს მოიპოვოს სახელმწიფოებრივი ძალდატანების ძალაუფლება ჩვენთვის სასურველ ინსტიტუტებში, რომელთა მმართველობის ქვეშ ყოველ ჩვენგანს მოუწევს ცხოვრება, აქ არა მარტო ჩვენი პირადი ინტერესების, ერთგულების და ვალდებულებების, არამედ ჩვენი განსხვავებული მორალური კონფლიქტების გამოც ვხვდებით კონფლიქტის მონაწილე. **პოლიტიკური მოწინააღმდეგეები ვერ თანხმდებიან მორალის ობიექტური კომპონენტის ფორმასა და შინაარსზე.** ისინი სხვადასხვაგვარად უყურებენ იმას, თუ რა არის ცუდი და კარგი ადამიანის ცხოვრებაში, და იმას, თუ რამდენად თანაბარი პატივი თუ ზრუნვა უნდა მივაგოთ ერთმანეთს. აქედან გამომდინარე, მათი პოლიტიკური უთანხმოებები ასახავენ არა მარტო ინტერესების კონფლიქტებს, არამედ უთანხმოებას იმ ფასეულობათა დაკავშირებით, რომლებსაც საზოგადოებრივი ინტერესები უნდა ემსახურონ ობიექტურად, ყველასათვის ერთნაირად.

... მე მჯერა, რომ ლიბერალიზმი დამოკიდებულია უფრო მაღალი რანგის ობიექტურობაზე და რომ ეს წამოჭრის პრობლემებს იმის შესახებ, თუ როგორ უნდა მოხდეს სხვადასხვა რანგის ობიექტურობის ინტეგრაცია. გარკვეულ დონეზე ეს შეესაბამება მორალური თეორიის ცნობილ პრობლემას- ობიექტურობისა და პიროვნული მოტივების ინტეგრირებას. მაგრამ აქ პრობლემა უფრო რთულია და მაღალი რანგის ობიექტურობის მოტივიც უფრო ბუნდოვანია...

... ლიბერალები დიდად აფასებენ ინდივიდუალურ თავისუფლებას და შეზღუდვები სახელმწიფოს ჩარევაზე, რომლებიც ფასეულობებისადმი უფრო მაღალი რანგის ობიექტურობას ემყარება, იძლევა ინდივიდუალურ თავისუფლებას, რომლის მიმართაც ლიბერალები გულგრილები არ არიან. ეს იწვევს ეჭვს, რომ ობიექტურობის უფრო მაღალი დონისკენ სვლა მოჩვენებითია და რომ ყველა მოწოდება ტოლერანტობასა და შეზღუდვისაკენ, სინამდვილეში, ნიღბავს მცდელობას სახელმწიფო, საერო, ინდივი-

დუალისტური და ლიბერიტარული მორალის მხარე დააყენონ, უხეშად რომ ვთქვათ, რელიგიის წინააღმდეგ და სექსის მხარეს...

რასაკვირველია, ლიბერალიზმი არ არის უბრალოდ ტოლერანტობის დოქტრინა და ლიბერალებსაც უფრო სპეციფიკური ინტერესები და ფასეულობები აქვთ, რომელთაგან ზოგიერთის მხარდაჭერას ისინი საცხელმწიფოს საშუალებით ეცდებიან. მაგრამ საკითხი, როგორი ობიექტურობაა საჭირო, აქაც წამოიჭრება. თვალსაზრისი, რომელმაც მცდარის აკრძალვაში და სიკეთის წინ წამოწევაში უნდა გაამართლოს სახელმწიფოს ქმედება და მისი საინსტიტო წყობა, რთულია და გარკვეულწილად, ბუნდოვანი. მე ყურადღებას ტოლერანტობის საკითხზე გავამახვილებ და ხშირად, რელიგიური ტოლერანტობის მაგალითს გამოვიყენებ. მაგრამ პრობლემა დისტეიბუციული სამართლიანობის და საყოველთაო კეთილდღეობის მიღწევის კონტექსტში წამოიჭრება ვინაიდან, ჩვენ იმის გადასაწყვეტად, თუ რა გავანაწილოთ და რა განვახორციელოთ, უნდა გამოვიყენოთ კონცეფცია, იმის შესახებ, თუ რა არის კარგი ადამიანისათვის. ამ კონცეფციის არჩევა კი წამოჭრის ობიექტურობის პრობლემას....

II

...მე მსურს ყურადღება გავამახვილო შერეული ტიპის თეორიაზე, რომელიც ახასიათებს თანამედროვე ლიბერალიზმს. თანამედროვე პოლიტიკური ფილოსოფია ახალი ტიპის ლიბერალური თეორიის განვითარების მოწმე გახდა, რომლის მაგალითს წარმოადგენს როულსის და სხვათა შრომები. მისი განსაკუთრებული თავისებურება იმაში მდგომარეობს, რომ ის ინსტიტუტების ლეგიტიმურობას ამყარებს მათ იმ პრინციპებთან თანხმობაზე, რომელთა მიღებაც გონივრული იქნება სხვადასხვა ადამიანების მხრიდან და რომ წელშიც ინდივიდუალური გონიერების სტანდარტი არის არა უბრალოდ პრომოლარული რაციონალურობა, არამედ მორალური მოტივის შემცველი განსჯა. ჰობსელ კონვენენციისაგან განსხვავებით ამ თეორიებში ყოველი ადამიანი ესწრაფვის გონივრულ თანხმობას, როგორც მიზანს და არა უბრალოდ, როგორც სოციალური სტაბილურობის აუცილებელ საშუალებას....

როულსის თეორიის გათვალისწინებით მე აქ ვეხები არა საწყის პოზიციამში /საიდანაც მორალური მოტივები გამორიცხულია/,

არამედ უფრო ვრცელ არგუმენტს, რომელშიც საწყისი ასრულებს დამხმარე როლს, არგუმენტს, რომლის მიხედვითაც უნდა ვარეგულიროთ საკუთარი მოთხოვნები ჩვენი საერთო ინტერესებისადმი საწყის პოზიზიაში არჩეული პრინციპებით....

სამართლიანობის ჭეშმარიტი პრინციპები ის პრინციპებია, რომლებიც ინდივიდებმა ორი მოტივით შეიძლება მიიღონ სამართლის ანუ სამართლიანობის ობიექტური გრძნობიდან გამომდინარე და ფუნდამენტური პიროვნული ინტერესების, ვალდებულებებისა და სიკეთის კონცეფციების მეხებით. ისევე როგორც სხვა კონვენგენციის თეორიები, ასეთი პრინციპების არსებობა არ არის ლოგიკურად გარანტირებული. მაგრამ თუ არის, მათი ფორმები ამგვარი კონვენგენციის მოთხოვნაზე იქნება დამოკიდებული, ხოლო მათი მართებულობის დემონსტრირება ვერ მოხდება ამ შესაძლებლობების გარეშე. ამას გულისხმობს როულსი, როდესაც ამ თეორიას აღწერს, როგორც კონსტრუქტივიზმის ერთ-ერთ ფორმას...

ყურადღება მიაქციეთ, რომ სტანდარტი ის პრინციპები ან ინსტიტუტები კი არ არის, რომლებსაც ადამიანები მიიღებენ, არამედ ის, რისი არ მიღებაც, მათი მხრიდან უგუნურება იქნებოდა მთავარი საერთო მორალური მოტივაციიდან და უფრო პირადი, საზოგადოებრივი მიზნებიდან გამომდინარე. როულსის მსგავსად, აქ არ იარსებებდა კონვენგენციის შესაძლებლობისაგან დამოუკიდებელი პოლიტიკური ლეგიტიმურობისა და სამართლის სტანდარტი....

III

...როულსის და სქენლონის სპეციფიკური კონცეფციები ნაკლებად მაინტერესებს, ვიდრე ასეთ პოზიზიაში ჩადებული ფუნდამენტური მორალური იდეები, რაც გულისხმობს, რომ ადამიანებს არ უნდა დავეუწესოთ ღონისძიებები, ინსტიტუტები, ან მოთხოვნები ისეთ საფუძველზე, რომლის გონივრული უარყოფაც მათ შეეძლებათ /სადაც გონიერება მოცემული ღონისძიებების დამოუკიდებელი მართებულობისა ან მცდარობის, უბრალოდ, ფუნქცია არ არის და ნამდვილად, გარკვეულწილად, დამოკიდებულია ინდივიდის თვალსაზრისზე /საქმე ის არის, შესაძლებელია თუ არა ამ პირობის იმგვარი ინტერპრეტაცია, რაც მისი პარადოქსულობის მიუხედავად, გახდის მის განხორციელებას.

გაუგებარია, რატომ უნდა იყოს ამ სახის კონვენგენციის შესაძლებლობა პოლიტიკური ლეგიტიმურობის სტანდარტი. რატომ უნდა მაწუხებდეს მიიღებენ თუ უარყოფენ საფუძველს, რომლიდან გამომდინარეც ხდება სახელმწიფო ძალაუფლების გამოყენება. იმ ადამიანების, აზრს მე არ ვეთანხმები? რატომ არ უნდა უგულვებელვყოთ მათი უარყოფა, თუ ის ემყარება, ჩემი აზრით, მცდარ რელიგიურ, მორალურ ან კულტურულ ფასეულობებს? რად დავუშვა, რომ ჩემი მოსაზრებები სახელმწიფო ძალაუფლების ლეგიტიმურ გამოყენებაზე იყოს დატყვევებული იმით, რისი მიღებაც ან უარყოფაც გონივრული იქნება მათთვის? განა არ შეიძლება ამის მაგივრად ეს თვალსაზრისები დავამყარო ფასეულობებზე, რომლებიც ჩემი აზრითაა სწორი?

როულსის არალიბერალმა კრიტიკოსმა შეიძლება იკითხოს, რატომ უნდა დათანხმდეს ის, იმ პრინციპებით მართონ, რომლებსაც აირჩევდა, თუ არ ექნებოდა გაცნობიერებული საკუთარი რელიგიური რწმენა ან საკუთარი სიკეთის კონცეფცია. განა ეს გადაჭარბებული ობიექტურობა არ არის? განა ეს ნიშნავს ზედმეტი უფლების მინიჭებას იმ ადამიანებისათვის, რომელთა ფასეულობებიც ეწინააღმდეგებიან თქვენსას, - ფაქტიურად, საკუთარი ფასეულობების ღალატს? თუ მე მჯერა რაღაც, მე მჯერა, რომ ის ჭეშმარიტებაა. და მაინც, მე მთხოვენ თავი შევიკავო ამ და არა ჩემი მცდარი რწმენებიდან გამომდინარე მოქმედებისაგან. რა მორალური მოტივაცია შეიძლება მქონდეს ამისათვის? ადამიანების მიმართ ობიექტურობა ერთი რამაა, ხოლო ობიექტურობა სიკეთის კონცეფციის მიმართ კი-მეორე. ჭეშმარიტი სამართლიანობა ყველას რად არ აძლევს გადარჩენის ან, მაგალითად, კარგი ცხოვრების საუკეთესო შანსს? სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, **განა ჩვენთვის მისაღები ფასეულობებით არ უნდა დავიწყეთ იმის გადაწყვეტა, თუ როგორ შეიძლება სახელმწიფო ძალაუფლების ლეგიტიმური გამოყენება?**

შეიძლება დავუმატოთ, განა მაინც ამას არ ვაკეთებთ თუ ობიექტურ ლიბერალურ სტანდარტს ვიღებთ? ყველას არ სწამს, რომ პოლიტიკური ლეგიტიმურობა ამ პირობაზეა დამოკიდებული და თუ ჩვენ ძალით დავაწესებთ პოლიტიკურ ინსტიტუტებს იქიდან გამომდინარე, რომ ისინი აკმაყოფილებენ მას /და შევაჩერეთ იმინსტიტუტების დაწესება, რომლებიც ამას აკეთებენ/, განა არ

ვართ ისეთივე არაობიექტური ჩვენი საკუთარი ფასეულობების მიმართ, როგორც ვიღაც, ვინც აკანონებს სახელმწიფო რელიგიას? საჭიროა აიხსნას, თუ რად არის ეს ობიექტურობის ფორმა.

ამ შეკითხვაზეც პასუხის გასაცემად საჭიროა მათში ჩართული მორალური კონცეფციების დადგენა და იმის დადგენა, აღემატება თუ არა იგი კონკრეტულ მორალურ კონცეფციებს, რომლებიც გვეყოფენ, და თუ ასეა, რამდენად და რა თვალსაზრისით. როულსმა უკანასკნელ სტატიაში აღნიშნა, რომ თუ ლიბერალიზმი უნდა ემსახუროს ავტონომიისა და ინდივიდუალურობის მრავალმხრივ მორალურ იდეალებს ის გადაიქცევა „კიდევ ერთ სექტანტურ დოქტრინად“, მაშინ იბადება კითხვა, - აქვს თუ არა მას საფუძველი ამტკიცოს რომ ის რაღაც სხვაა?

IV

თუ ლიბერალიზმი უნდა დავიცვათ, როგორც უფრო მაღალი რანგის თეორია და არა უბრალოდ კიდევ ერთი სექტანტური დოქტრინა, მაშინ უნდა ვაჩვენოთ, რომ ის თავად ობიექტურობის ინტერპრეტაციის შედეგია და არა სიკეთის კონკრეტული კონცეფციისა, რომელიც ობიექტურად ვარგისი უნდა გახდეს. რასაკვირველია, ობიექტურობის ნებისმიერი ინტერპრეტაცია მორალურად წინააღმდეგობრივი იქნება-საქმე არ ეხება ყველა მორალურ დისპუტზე უპირატესობის მოპოვებას-მაგრამ წინააღმდეგობა სხვაადასხვა დონეზე იქნება.

ლიბერალიზმის ვერსიებმა, რომლებიც ჩამოაყალიბეს როულსმა, დვორკინმა და ბრუს აკერმანმა, სიკეთის კონკრეტული კონცეფციებისადმი მიმართვის პოლიტიკური არგუმენტის საფუძველშივე გამორიცხვა ერთერთი გზაა, რომელიც მოითხოვს სოციალური ინსტიტუტები მოექცნენ ადამიანებს ანაბრად ან ობიექტურად. მაგრამ, ვინაიდან ეს უფრო ნაკლებად აშკარაა, ვიდრე რასასსთან, სქესთან, სოციალურ კლასთან ან თუნდაც ბუნებრივ ნიჭთან დაკავშირებული ობიექტური მოთხოვნები. ის სპეციალურ ახსნას მოითხოვს უფრო ფუნდამენტალური მორალური იდეების გამოყენებით. მოთხოვნა, თავისთავად, შეიძლება განსზღვრულ იქნას, როგორც ახსნის შედეგი: წინადადება, რომლითაც ვამთავრებ, კარგად არ შეესაბამება იმ თვალსაზრისს, რომლითაც მე ვიწყებ...

... ნამდვილი პრობლემაა, როგორ გავამართლოთ ადამიანების

იძულება, იმოქმედონ საკუთარი ნების წინააღმდეგ...

V

/ამ თავში აღწერილია, თუ როგორ აიძულონ ადამიანი იმოქმედოს საკუთარი ნების წინააღმდეგ./

VI

....ლიბერალიზმის დაცვა მოითხოვს პოლიტიკურ არგუმენტში ჭეშმარიტების საზღვრის და ამ საზღვრის დადგენისათვის საჭირო თვალსაზრისის პოვნას...

დვორკინი ამტკიცებს, რომ ლიბერალური პოზიცია უნდა ეყრდნობოდეს სკეპტიკურ ეპისტემოლოგიურ წინააღმდეგობას-„რომ რელიგიურ საკითხებში ადამიანი ვერ მივა გამოართლებულ რწმენამდე“. მისი აზრით, ეს არის როულსის საწყის პოზიციაში მხარეების რელიგიური რწმენების ცოდნის დამალვის ერთადერთი შესაძლებელი გამართლება-პირობა, რომელიც აუცილებელია როულსის ტოლერანტობის მომხრე არგუმენტებისათვის...

...ლიბერალიზმმა მორწმუნეს უნდა მისცეს ტოლერანტობის მიზეზი...

... არ არის საკმარისი ადამიანის რელიგიური რწმენის შესახებ ცოდნის გამორიცხვა საწყისი პოზიციიდან იმ საფუძველზე, რომ ეს საჭიროა შეთანხმების მისაღწევად. საკითხავია, არსებობს თუ არა ობიექტურობის სიცოცხლისუნარიანი ფორმა, რომელიც შესაძლებელს ხდის ასეთი ფაქტორების გამორიცხვას ადამიანის მიერ პოლიტიკური ინსტიტუტების მიღების საფუძველიდან, ან ხომ არ უნდა დავანებოთ თავი ლიბერალურ ლეგიტიმურობაზე ფიქრს...

VII, VIII.

IX

ლიბერალიზმი მომთხოვნი დოქტრინაა. და მაინც, ის გარკვეულწილად რბილდება მორალური სფეროს გაყოფით. მისი შედარებით მკაცრი ობიექტურობა ეხება მხოლოდ ერთგვაროვან და არანებაყოფილობით სოციალურ და პოლიტიკურ ინსტიტუტებს. ადამიანმა შეიძლება იკითხოს-რატომ? რად არ ეხება იგივე სტანდარტი ყველა ქმედების გამართლებას, რომელიც, არაპირდაპირი კი, გავლენას ახდენს სხვების ინტერესებზე? პასუხის

ნაწილი, რომელსაც ნაწილობრივ, უკვე შევხებით ზემოთ, არის ის, რომ, როდესაც ვაიძულებთ ადამიანებს ემსახურონ მიზანს, რომელსაც არ იზიარებენ და რომლის მათთან ობიექტური გამართლებაც ჩვენ არ შეგვიძლია, ხდება კანტის იმ მოთხოვნის განსაკუთრებით სერიოზული შელახვა, რომლის მიხედვითაც **ადამიანებს უნდა მოვექცეთ არა, უბრალოდ, როგორც საშუალებებს, არამედ, როგორც მიზანსაც.** იძულების გამართლება უნდა აკმაყოფილებდეს განსაკუთრებით მკაცრ სტანდარტებს. სხვა პასუხი, რომელსაც მე გავცემდი არის ის, რომ ჩვენ აქ გვაქვს საზოგადოებასა და პიროვნებას შორის შრომის მორალური განაწილების მაგალითი, რომელიც შეესაბამება თითოეულ ჩვენგანში არსებულ თვალაზრისს. ჩვენ ვაღიარებთ ობიექტური თვალსაზრისის მოთხოვნებს იმით, რომ სოციალური და პოლიტიკური ინსტიტუტების ხელში ვაგდებთ ჩვენი თანამოქალაქეების დახმარებისა და შეზღუდვის ძალზე ზოგადი მოთხოვნების დაწესებას. ამ ინსტიტუტების მხარდაჭერაში, ჩვენი წვლილიდან გამომდინარე, **უნდა გვეძლეოდეს საშუალება ჩვენი საკუთარი ცხოვრება უფრო პირადი მოსაზრებების, ვალდებულებების და ფანტაზიის შესაბამისად წარვმართოთ.** ჩვენი უმრავლესობისათვის აუტანელი ჩარევა იქნებოდა ისეთი მორალით ცხოვრება, რომელიც ჩვენი ყველა იმ საქციელის ობიექტური თვალსაზრისით მისაღებ გამართლებას მოითხოვდეს, რომელიც გავლენას ახდენდა სხვებზე.

ლიბერალური შეზღუდვა იმაზე, თუ რას შეიძლება მივმართოთ, არ ეხება ქმედების გამართლებას ზოგადად. ის საშუალებას აძლევს ინდივიდებს თავად მოაწესრიგონ საკუთარი ცხოვრება /და ნაკლებად, თუმცა ესპრობლემატური გარდამავალი საკითხია, მათი შვილების ცხოვრება/ პიროვნული მოსაზრებიდან გამომდინარე. მნიშვნელოვანია ასევე, ის რომ საშუალებას აძლევს მათ საკუთარი მოსაზრებიდან გამომდინარე გადაწყვიტონ, თუ როგორ მოუტანონ სხვებს სარგებელი ან დაეხმარონ ზიანისა და ბედურების თავიდან აცილებაში, თუ ეს მორალური და ლეგალური ვალდებულებების ფარგლებში არე შედის.

ყველაზე მნიშვნელოვანია, რომ ეს ვრცელდება პოლიტიკური საქმიანობების სფეროზე, რომელიც დემოკრატიულ ქვეყანაში ხელს უწყობს უმრავლესობის სურვილს ან უმცრობის კოალიციებს კონტროლს დაქვემდებარებული საკანონმდებლო და

საზოგადოებრივი საკითხების დიდ რიგს. ამ შემთხვევაში ეს არ ნიშნავს, რომ ობიექტურ თვალსაზრისად მივიჩნევთ გამარჯვებული მხარის თვალსაზრისს. პირიქით, გარკვეულ საკითხებთან დაკავშირებით, ჩვენ ყველა საკითხს პიროვნული სურვილებისა და არჩევანის გაწონასწორებას ობიექტურად მორალურად მივიჩნევთ.

ლიბერალიზმი, რასაკვირველია, არ ითხოვს ჩვენგან ჩვენი, თუნდაც როგორც პოლიტიკური არსებობის ცხოვრების რადიკალურად ობიექტური პრინციპებით წარმართვას. მაგრამ ის მოითხოვს, რომ დაწესებული ჩარჩო, რომლის ფარგლებშიც ჩვენ ვახორციელებთ ჩვენს უფრო ინდივიდუალურ ფასეულობებს და საკუთარ თავს სხვათა ფასეულობების კონტროლს ვუქვემდებარებთ, ობიექტურად გამართლებული იყოს. ეს ნიშნავს, რომ ის უნდა უძლებდეს მნიშვნელოვან მორალურ და მოტივაციურ ტვირთს....⁸²

რეზიუმე: ნაგელი თვლის, რომ ლიბერალი კამათში პოზიციის არ მქონია. პიროვნებასა და ობიექტურობას შორის არსებული წინააღმდეგობის დასაძლევად გზები ეთიკაში უნდა ვეძიოთ. პოლიტიკური მოწინააღმდეგეები ვერ თანხმდებიან მორალის ობიექტური ფორმისა და შინაარსის დადგენის თაობაზე. ლიბერალიზმის მეშვეობით მიაჩნია, რომ შეიძლება გადაწყდეს სხვადასხვა რიგის ობიექტური პრობლემები და მოხდეს მათი ინტეგრაცია. თვლის რომ, მოწოდება ტოლერანტობისა და შეზღუდვისაკენ ნიღბავს მცდელობას სახელმწიფო დააყენოს საერო, ინდივიდუალისტური, და ლიბერანტული მორალის მხარეს, რელიგიის საწინააღმდეგოდ და სექსის მხარეს. მიაჩნია, რომ ლიბერალიზმი არ არის ტოლერანტული დოქტრინა, რამეთუ გააჩნია მას სპეციფიკური ინტერესები და ფასეულობანი, რაშიც მხარდაჭერას სახელმწიფოს საშუალებით ცდილობს. თანამედროვე პოლიტიკური ფილოსოფია მიაჩნია ახალი ტიპის ლიბერალურ თეორიად, რომლის მაგალითად როულსის შრომებს მიიჩნევს. კამათობს მასთან და ამბობს, თუ მე რამის მჯერა, მას ჭეშმარიტად მივიჩნევ. ჩვენთვის მისაღები ფასეულობების დაცვით უნდა დავიწყოთ იმის გადაწყვეტა, თუ როგორ შეიძლება სახელმწიფო ძალაუფლების ლეგიტიმური გამოყენება. ლიბერალიზმს რადაგან ვიცავთ, უნდა ვაჩვენოთ, რომ იგი უფრო ობიექტურობის ინტე-

რპრეტაციის შედეგია და არა სიკეთის კონკრეტული კონცეფციისა, რომელიც ვარგისი უნდა გახდეს. გადმოგვცემს მეთოდს, თუ როგორ ავადიპულოთ ადამიანი იმოქმედოს საკუთარი ნების საწინააღმდეგოდ. ადამიანს უნდა მოვექცეთ როგორც საშუალებას და როგორც მიზანს, იმეორებს კანტს. სურს ეძლეოდეს საშუალება ადამიანებს წარმართონ საკუთარი ცხოვრება პირადი მოსაზრებების, ფანტაზიისა და მიზნების შესაბამისად. ადამიანის სურვილებსა და არჩევანს მიიჩნევს ობიექტურ მორალად. აცხადებს, ლიბერალიზმი მოითხოვს, ცხოვრების დაწესებული ჩარჩო, რომლის ფარგლებშიც ვცხოვრობთ, ინდივიდუალურ ფასეულობებსა და საკუთარ თავს სხვათა ფასეულობათა კონტროლს ვუქვემდებარებთ, რაც ობიექტურად გამართლებული უნდა იყოს ისე, რომ უძლებდეს მორალურ და მოტივაციურ ტვირთს-ო.

13. სუზან მოლერ ოკინი, 1987 წ-ს გამოცემული წიგნიდან: „სამართლიანობა და სქესი“

...ჩვენ ვცხოვრობთ საზოგადოებაში, რომლის წარსულშიც სქესის ბუნებრივი თავისებურება ოფიციალური თუ არა ოფიციალური უფლებებებისა შეზღუდვების ყველაზე აშკარა კანონმდებლად ითვლებოდა. ლეგალური სანქციები, რომლებიც მამაკაცის უპირატესობას აკანონებდნენ, გარკვეულწილად ირღვეოდა გასული საუკუნის და უფრო სწრაფად, უკანასკნელი 20წლის განმავლობაში. ამ პერიოდში ტრადიციის მძიმე და მისგან გამომდინარე, ურთიერთობების შედეგები ისევე მძლავრ ზემოქმედებას ახდენს სქესის როლის დადგენაზე, რაც მაინც არათანაბარ პრესტიჟად და ღირებულებებადაა მიჩნეული. ოჯახში შრომის სქესური განაწილება ქორწინების კონტრაქტის ფუნდამენტალური ნაწილია. ის იმდენად დიდ გავლენას ახდენს ჩვენზე ჩამოყალიბების პერიოდში, რომ, ორივე სქესის ფემინისტებს, რომლებიც მის უარყოფას ცდილობენ, სხვადასხვა ხარისხის ამბივალენტურობით უწევთ მასთან ბრძოლა. აქედან გამომდინარე, სქესთა სხვაობის მტკიცე ინსტიტუტი, რომელსაც მე „სქესის სისტემას“ ან ნ უბრალოდ „სქესს“ ვუწოდებ, ჩვენს საზოგადოებაში დღესაც მოქმედებს.

ეს სქესის სისტემა იშვიათად ყოფილა სამართლიანობის ტესტის საგანი. შეკითხვებზე სქესის სამართლიანობის შესახებ, დასავლეთის პოლიტიკური აზრის მდიდარი ტრადიცია პასუხს ვერ იძლევა. მხურვალე ფემინისტები, რომლებიც არიან მერი ასთელელი, მერი ვოლსტონუნ ქრაფტი, ჰარიეტ ტეილორი და ჯორჯ ბერნარდ შოუ, - დროდადრო, ამ ტრადიციების წინააღმდეგ გამოდიოდნენ და ხშირად, ქალებთან არათანასწორი დამოკიდებულების გასამართლებელ არგუმენტებს მისივე წინამძღოლობით აბათილებდნენ. მაგრამ ჯონ სტიუარტ მილი იშვიათი გამონაკლისია იმ წესიდან, რომლის მიხედვითაც, ტრადიციულად, ცენტრალური პოზიციის მქონე ადამიანები ქალების დაქვემდებარების დადასტურების სამართლიანობაში, თითქმის ყოველთვის დარწმუნებული არიან. ამას ნაწილობრივ ის ფაქტი განაპირობებს, რომ არისტოტელე, რომლის სამართლის თეორია ესოდენ გავლენიანია, ქალებსა და მონებს „ოჯახური სამართლის“ სფეროს მიაკუთვნებდა. მისი აზრით, ისინი პოლიტიკურ სამართალში მონაწილე თავისუფალი მამაკაცის თანასწორი კი არა, - დაქვემდებარებული არიან და მათი ბუნებრივი ფუნქცია, უფრო სრულქმნილი ადამიანების სამსახურია. თუმცა, ლიბერალური ტრადიციის საფუძველად ინდივიდუალური უფლებები და ადამიანების თანასწორობაა მიჩნეული. ამ თვალსაზრისით, ის უფრო არისტოტელესეულია, ვიდრე ამას, ზოგადადა, აღიარებენ. ასე იყო თუ ისე, ლიბერალები მივიდნენ დასკვნამდე, რომ „ინდივიდი“, რომელიც მათი მოთხოვნების ძირითად ობიექტს წარმოადგენს, პატრიარქალური ოჯახის თავი მამაკაცია. ამრიგად, სამართლიანობის პრინციპების გამოყენება სქესებს შორის ურთიერთობაში ან ოჯახში, თავიდანვე უარყოფილია.

სხვა მოსაზრებებსაც გარკვეული წვლილი მიუძღვის იმ ფართოდ გავრცელებული შეხედულების ჩამოყალიბებაში, რომ არც ქალი და არც ოჯახი არ წარმოადგენს შესაფერის ობიექტს სამართალზე მსჯელობისას. ერთი მოსაზრება იმასაც კი მიიჩნევს რომ ქალებს, მათთვის დამახასიათებელი არა ორგანიზებულობის, მონური ბუნების საკუთარი პარტიკულარისტული მიდრეკილებების თუ ოდიოზური განვითარების გამო, საერთოდ არ გააჩნიათ სამართლიანობის გრძნობა. ამგვარი თვალსაზრისი გვხვდება ხანმოკლე და ხან უფრო ვრცელი მსჯელობის სახით. თეორეტიკოსების ნამუშევრებში პლატონიდან ფროიდამდე, ბო-

დინის, ჯონ ნოქსის, რუსოს, კანტის, ჰეგელის და ბენტემის თეორიულ შრომებში. ხშირად აღნიშნავენ, რომ მათ, ვისაც არ აქვთ სრულყოფილი ეთიკური განსჯის ან ქმედების უნარი სამართლიანობის პრინციპები არც უნდა ეხებოდეს. და ბოლოს, რუსოსთან / ხშირად როგორც პირველწყაროში/ ჩვენ წავაწყდებით უნიკალურ მტკიცებას, რომ ქალი, „რომელიც შექმნილია დაემორჩილოს მამაკაცს და აიტანოს კიდევ მისი უსამართლობა“, ბუნებრივადაა გაჟღენთილი უსამართლო მოპყრობის ატანის უნარით, რომელსაც ის შეხვდება.

რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია დიდი ტრადიცია ბევრს ვერაფერს შესთავაზებს /პირდაპირ მაინც/ იმათ, ვისაც ეს მიზეზები სამართლიანობის მთავარი საკითხიდან ქალების და სქესის გამოსარიცხავად საკმარისად არ მიაჩნიათ. და მაინც, სამართლიანობის თანამედროვე თეორეტიკოსებისაგან სქესის და სამართლიანობის საკითხში მეტ სინათლეს და დადებით მოსაზრებებს უნდა მოველოდეთ. მე მივმართავ ორ ასეთ თეორიას, ჯონ პოულსის „სამართლიანობის თეორიას“ და მიქელ ვოლძერის სამართლიანობის სფეროებს“, რათა ვნახო, თუ რას ამბობენ ან გულისხმობენ ისინი პასუხში კითხვაზე „რამდენად სამართლიანია სქესი?“ 91

სამართალი როგორც სამართლიანობა,...ოჯახში არსებული „სენტიმენტალური კავშირების“ მიუხედავად, „ოჯახების წარმომადგენლების ინტერესები, სამართლიანობის პირობებიდან გამომდინარე, ერთმანეთს მაინც ეწინააღმდეგებიან „...92

სამართლიანობა ცალკეულ სფეროებში,...ოჯახი ქალს იმით ჩაგრავს, რომ ბევრ ისეთ საქმიანობაზე აწესებს სქესურ განაწილებას, „რაც სქესთან არაფერ კავშირშია“. ამ „პოლიტიკური და ეკონომიკური ქალთმობუღეობებისაგან „განთავისუფლება ოჯახს გარეთ იწყება. ბაზარმა არ უნდა „აკრძალოს ქალების მონაწილეობა“ ...

... „ოჯახი ისე უნდა გარდაიქმნას, რომ მისი ძალაუფლება ვერ მისწვდეს სამსახურის სფეროს“/ან განაწილების სხვა სფეროს/ ...

... სამართლიანობა ოჯახისათვის შესაფერის მორალურ ფასეულობას არ წარმოადგენს. ...

...თანაწორთა საზოგადოებაში „გარკვეული გაგებით“ მაინც მოხდება საოჯახო საქმის განაწილება სქესის გათვალისწინების გარეშე, ერთადერთი გზაა, რომლითაც შეიძლება ტრადიციული

სქესური სტრუქტურის ოჯახისათვის დამახასიათებელი უსამართლობის აღმოფხვრა. ვიდრე არ მოხდება აუნაზღაურებელი სრულიად დაუფასებელი საოჯახო საქმის თანაბარი განაწილება მოზრდილ წევრებს შორის, ქალას არ ექნება მამაკაცის მსგავსი შესაძლებლობები არც ოჯახში და არც განაწილების სხვა სფეროში, -პოლიტიკის თუ თავისუფალი დროს, აღიარების თუ უსაფრთხოების ან ფულის. ეს განაწილება საჭიროა, რომ ვოლძერის სამართლიანობის ცალკე სფეროების კრიტერიუმები დაკმაყოფილდეს, ე.ი. იმისათვის, რომ თანასწორი მამაკაცების და ქალების საზოგადოებაში ისე მოხდეს სოციალური სიკეთეების განაწილება, რომ იმან, რაც ხდება ოჯახში ყველა სფეროებზე არ იქონიოს გავლენა. მაგრამ, მეორე მხრივ /და ალბათ სწორედ ამიტომ უვლის გვერდს ასე სწრაფად ამ განხილვაში/, ის ეწინააღმდეგება არა მარტო ქვევის გავრცელებულ ფორმას, არამედ ჩვენს საზოგადოებაში სქესის სოციალური მნიშვნელობების ფართოდ გავრცელებულ, მაგრამ არა საყოველთაოდ მიღებულ შეხედულებებს. ის გულისხმობს სქესის გაუქმებას მის ყველაზე გამაგრებულ ბასტიონში, რაც თავის მხრივ ასახვას ჰპოვებს ყველა სოციალურ სფეროში. რომ შეიძლებოდეს იმის მტკიცება, რომ ჩვენი საერთო შეხედულებები, ფარულად, ამართლებს სქესის სრულ გაუქმებას, ვოლძერი შეძლებდა იმის მტკიცებას, რომ სქესობრივი უთანასწორობის პრობლემის მისეული გადაჭრა, რელატივისტური კრიტერიუმებით, სამართლიანია....⁹³

ქალები და სამართლიანობა თეორიასა და პრაქტიკაში,... სოციალური ფაქტორები, რომლებიც გავლენას აახდენენ სქესებს შორის არსებულ განსხვავებებზე. -დედობით დაწყებული და ქალის დაქვემდებარებისა და დამოკიდებულების ყველა გამოვლინებით დამთავრებული, უსქესო ინსტიტუტებითა და წეს ჩვეულებებით უნდა შეიცვალოს.

ვვიქრობ, მსგავსი ფანტაზია მხოლოდ ყველაფრით კმაყოფილ ადამიანს თუ შეიძლება წარმოეშვას, რომელსაც სურს დედამიწის ორბიტიდან „გადმოსვლა“, ავიწყდებათ, რომ ამ ქვეყნად ყველაფერი შექმნილია ბუნებრივ ძალთა თანაფარდობის გავლენით, მათ შორის ოჯახური ურთიერთობებიც კი. სქესობრივი დაყოფა კი, ჩვენი განვითარების კანონიერი ატრი-

ბუტია, რისი ხელყოფაც მხოლოდ არაჭკუათმყოფელს შეიძლება დაეხადოთ.

ორივე სქესის წარმომადგენლები მხოლოდ იმ შემთხვევაში ჩამოყალიბდებიან უფრო სრულყოფილ პიროვნებად, ვიდრე არიან, როდესაც მამაკაცები თანაბარ მონაწილეობას მიიღებენ იმ საქმიანობაში, რომელიც ძირითადად ქალის მოღვაწეობის სფეროდ ითვლება,-ახლობლების ყოველდღიური საჭიროებებისა და ფსიქოლოგიური მოთხოვნების დაკმაყოფილება. და როდესაც ქალები თანაბარ მონაწილეობას მიიღებენ საქმიანობაში, რომელიც ძირითადად მამაკაცის მოღვაწეობის სფეროდ ითვლება,-ფართო მასშტაბიანი წარმოება, მმართველობა და ინტელექტუალური და შემოქმედებითი ცხოვრება. როულსი და ფილოსოფოსების უმრავლესობა ფიქრობს, რომ ადამიანის ფსიქოლოგია, გონიერება, მორალური განვითარება და ა.შ. სრულყოფილად მამრობით სქესში ვლინდება, რაც თავისთავად, ჩვენი სქესური სტრუქტურის საზოგადოებაში გაბატონებული მამრობითი სქესის იდეოლოგიის ნაწილია...

...სქესი შეუთავსებელია სამართლიანი საზოგადოებისათვის და მისი გაქრობა, ალბათ, მნიშვნელოვნად შეცვლიდა სამართლიანობის თეორიასა და პრაქტიკას.⁹⁴

ეს პოზიცია, აშკარა სატანისტურია და ეწინააღმდეგება ბუნებას, ანუ ღმერთს, რის განხორციელებაც საშინელ ტრაგედიას დაატრიალებს, თუმცა, როგორც ვხვდებით, მიმდინარე ლიბერალური კამპანია, -ექსპერიმენტალურია, და მიმართულია მხოლოდ „შეთქმულთა“ ინტერესების განსახორციელებლად, რის შესახებაც მოგვიანებით წარმოგიდგენთ მტკიცებულებებს. ჩვენი ამოცანაა, -არ დავეყვით „შეთქმულთ“!

რეზიუმე: სუზენ ოკინი ეხება სქესის როლის დადგენას. აღნიშნავს: ოჯახში ადგილი აქვს შრომის სქესურ განაწილებას, რომ სქესის სისტემა იშვიათად ყოფილა სამართლიანობის ტესტის საგანი; სამართლიანობის პრინციპების გამოყენება სქესებს შორის ან ოჯახში თავიდანვე უარყოფილია; ოჯახი ჩაგრავს ქალს, შრომის სქესური განაწილებით, ხშირად ისეთითაც, რასაც სექსთან არავითარი კავშირი არ გააჩნია; ქალთა კაცთმოდულება უნდა გადაწყდეს ოჯახს გარეთ; ბაზარმა არ უნდა შეზღუდოს ქალე-

ბის მონაწილეობა, ანუ სხეულით ვაჭრობას გულისხმობს; ოჯახი ისე უნდა გარდაიქმნას, რომ ვერ მისწვდეს სამსახურს ანდა განაწილების სხვა სფეროს; გამოთქვამს იმედს, რომ თანამედროვე საზოგადოებაში „გარკვეული გაგებით“ მაინც მოხდება საქმის განაწილება სქესის გათვალისწინების გარეშე. ითხოვს სქესის გაუქმებას. სოციალური ფაქტორები, რომლებიც გავლენას ახდენენ სქესთა განსხვავებაზე, დაწყებული დედობით და ქალს დაქვემდებარებული დამოკიდებულებით, ყველა გამოვლინებით დამთავრებული, უსქესო ინსტიტუტებითა და წეს ჩვეულებებით, -უნდა შეიცვალოს. მხოლოდ ასეთ შემთხვევაში ჩამოყალიბდებიან ბედნიერი პიროვნებებიო. როგორც ჩანს მხედველობაში აქვს კაცთა მიერ სქესის შეცვლა. სქესი მიაჩნია შეუთავსებლად სამართლიან საზოგადოებაში. იგი ერთსქესიანთა ქორწინების დაკანონების მამა-მთავრად შეიძლება მივიჩნიოთ.

14. როლანდ დვორკინი, ებრაელი, (1931-2013), ნიუორკის უნივერსიტეტის პროფესორი, 1987 წ-ს გამოცემული წიგნიდან „თავისუფლება, თანასწორობა, კომუნა“

ა) თეორიის დასასრული? ევროპასა და ამერიკაში ახლა, თითქმის ყველა ეთანხმება იმ აზრს, რომ მმართველობის მისაღები ფორმა, მხოლოდ და მხოლოდ ლიბერალური დემოკრატიაა...

თუმცა რეალურად ლიბერალიზმი უარყოფს დემოკრატias.

...ჩარლზ ტეილორის აზრით ლიბერალური დემოკრატია, -თავისუფლება და თვითმმართველობაა თანასწორობის პირობებში, და ცდილობს წარმოგვიდგინოს მისი განხორციელების სხვადასხვა გზები, რომელთაგან ზოგიერთი, მისი აზრით, მეტად შეუფერება აღმოსავლეთ ევროპის ახლად შობილ დემოკრატებს, ვიდრე ის დრომოქმული მეთოდები, თაობების მანძილზე, რომ ვეყდნობოდით დასავლეთის ძველ დემოკრატებში.

ეს მნიშვნელოვანი ამოცანაა. მაგრამ, ასევე მნიშვნელოვანია თეორიული დებატების გაგრძელება, რადგან მალე ამ ნაშრომში,

აშკარად, გამოიკვეთება, რომ ჩვენ ვერა და ვერ, შევთანხმდით იმაზე, თუ რას ნიშნავს თავისუფლება ან თვითმმართველობა და რა სახის თანასწორობაა მისაღები. ამ საკითხებთან თვით დასავლეთის დემოკრატიაშიც კი იმდენი წინააღმდეგობა არსებობს, რომ ის დამამშვიდებელი აზრი, თითქოს ჩვენ ყველანი ახლა ლიბერალები ვართ და შეგვიძლია წმინდა პროცედურულ პრობლემებზე ვიმსჯელოთ /ანუ უკეთ როგორ უზრუნვეყოთ ლიბერალური სახელმწიფოს არსებობა/ მხოლოდ თავის მოტყუებაა, თანაც ისეთი თავის მოტყუება, რომელიც, თავის მიმტეველობით, ხელს უწყობს არაპრინციპულ პოლიტიკას.

დგორკინის ამ განცხადებით კიდევ ერთხელ ვრწმუნდებით, რომ ნეოლიბერალური მიმართულება ექსპერიმენტალურია, და მას უპირატესად სცდიან პოსტ სოციალისტურ ქვეყნებზე, რომლებიც, სამწუხაროდ „ევროპიზაციის“ დაკარგვის შიშით ყველაფერზე მიდიან.

პოლიტიკური მჭერმეტყველება შეერთებულ შტატებსა და დასავლეთ ევროპაში არასოდეს ყოფილა ისე დაცლილი პრინციპებისაგან, როგორც ამ ბოლო წლებში. კონსერვატორები ველარავის მოაჩვენებენ თავს, თითქოს დღესაც ისევე სწამდეთ იმ ყბადაღებული თეორიისა, რომელიც ისე გამოუსწორებლად შეარყია 1980-იანმა წლებმა, რომ ამჟამად, კონსერვატული თეორიის აზრი იმაშილა მდგომარეობს, რომ დატკბეს იმით, თუ როგორ გაეგოისტდა ამომრჩეველი. თავის მხრივ, ლიბერალური ოპოზიცია გადაიქცა იმის მტკიცებით, რომ იგი გარდაიქმნა. ისინი კი, ვინც თავს „ზომიერ“ ან „ახალ“ ლიბერალებად აცხადებენ ამტკიცებენ, რომ ხელი აიღეს ამომრჩეველების მიერ უარყოფილ ძველ ლიბერალიზმზე. თუმცა, თითქმის, არასოდეს განუმარტავთ, თუ რითი შეცვალეს იგი და ყველაფერი ეს გამოცხადებულია პოლიტიკურ რეალიზმად, მაგრამ რეალიზმი პრინციპი არ არის და მას, ჯერჯერობით, არაფერი გაუკეთებია, არც ყოველდღიურად მზარდი უთანასწორობის წინააღმდეგ, რომელიც ასე არცხვენს ჩვენს საზოგადოებას, და არც კომუნის ხრწნის პროცესის აღსაკვეთად. კომუნისა, რომელიც, ოდნუღაც მაინც, გვიღვივებდა პასუხისმგებლობის გრძნობას ჩვენი თანამოქალაქეების იღბალთან დაკავშირებით. სიტუაცია ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპაში,

ძალზე განსხვავებულია. პრობლემები, რომელთა წინაშე დგანან ადამიანები მსოფლიოს ამ ნაწილში, კიდევ უფრო მწვავე და გადაუდებელია. მათ არც ის ილუზია აქვთ, რომ თითქოს ისტორია დამთავრდა.

დვორკინი განიცდის კომუნის „ხრწნის“ პროცესს, რაც იმაზე მიგვანიშნებს, რომ იგი უბრალოდ ლიბერალური პოლიტიკის მსხვერპლია.

უნგრეთის 1956 წ-ის და ჩეხოსლოვაკიის 1968 წ-ის, ისე როგორც თვით რუსეთში მანამდე და მის შემდგომ განვითარებული მოვლენები, მუდმივი პოლიტიკური დრამების მნიშვნელოვან ნაწილად გვევლინება. საშიშროებას იქ პრინციპებისადმი გულგრილობა კი არ ზადებს არამედ კომუნიზმის, ახლა უკვე, საყოველთაოდ აღიარებული მარცხისადმი გაურკვეველი დამოკიდებულებაა. ძალზე მაცდური, მაგრამ აშკარად, გაუაზრებელი იქნება, ვიფიქროთ, თითქოს კომუნისტური ანდა სოციალისტური დოგმებისადმი ძლიერი წინააღმდეგობა პრინციპის დამაკმაყოფილებელ ფორმულირებად ჩაითვალოს. 60

ბ). ეთიკური ინდივიდუალიზმი. ჩვენ ახლა ფაქტობრივად, თეორიის კრიზისის მოწმენი ვართ. ჩვენ უნდა განვსაზღვროთ და დავიცვათ არა ლიბერალიზმი, როგორც თეორიების ძალზე განზოგადებული ერთობლიობა, არამედ ლიბერალიზმის კონკრეტული კონცეფცია-კონცეფცია, რომელიც ჩვენთვისაც მისაღებია და სხვებსაც შეიძლება შევთავაზოთ. მე ვიწყებ იმით, რომ შეგახსენებთ ერთ ძალზე პოპულარულ შეხედულებას პოლიტიკური თეორიის შესახებ, რომელიც ბევრ თქვენ განსს უდაო ჭეშმარიტება ჰგონია: **საფრანგეთის რევოლუციის ფილოსოფოსების მიერ გამოცხადებულ განმანათლებლობის სამ დიდ სათნოებას- თავისუფლებას, თანასწორობას და ძმობას,-შინაგანად ისეთი რთული სამხრივი მეტოქეობა ახასიათებს, რომ ერთერთის მისაღწევად, ნებისმიერმა პოლიტიკურმა საზოგადოებამ დანარჩენი ორი, ან უნდა დათმოს ან კომპრომისზე უნდა წავიდეს.** ეს მოსაზრება, განსაკუთრებით, პოპულარულია იმ ისტორიკოსებსა და პოლიტიკურ ფილოსოფოსებს შორის, რომლებიც მას გარკვეული პოლიტიკური ღონისძიებების ასახსნელად, გასამართლებლად და დასაგეგმად იყენებენ. წარმოდგენილი წინააღმდეგობა ამ სამ სათნოებას შორის ხშირად გამოიყენება, მაგალითად, იმის ასახსნე-

ლად, თუ რატომ აქვს სიტყვა „ლიბერალს“ განსხვავებული ანონოტაცია შეერთებულ შტატებსა და ევროპაში. გავრცელებული განმარტების მიხედვით, ამერიკაში ისინი, ვინც თავს ლიბერალური ტრადიციების მომხრედ მიიჩნევენ, გამოკვეთენ ლიბერალიზმის ეგალიტარულ მიმართულებას-ზრუნვას დარიბებსა და უმცირესობებზე; ევროპელი ლიბერალები კი, ტრადიციების თავისუფლებაზე ამახვილებენ ყურადღებას და ემხრობიან დამოუკიდებლობას, კერძოდ, ეკონომიკურ დამოუკიდებლობას. ამ შემთხვევაში, განსხვავება აშკარა ანტაგონიზმს წარმოაჩენს ამ ორ მიმართულებას შორის, რომელთაგან, თითოეული, დაკავშირებულია ლიბერალურ ტრადიციასთან.

აშკარაა დაპირისპირება თავისუფლებასა და თანასწორობას შორის. მას ხშირად აღიქვამენ, როგორც ბრძოლას ლიბერალიზმის შიგნით. განმანათლებელთა მესამე სათნოება, -ერთიანობა, ანუ კომუნა, ლიბერალიზმს უფრო რთულ პრობლემების წინაშე აყენებს. ამერიკაშიც და ევროპაშიც ადამიანები, რომლებიც თავის თავს კომუნიტარიანებს უწოდებენ, ამტკიცებენ, რომ ისინი ლიბერალიზმის მომხრეები კი არა- კრიტიკოსები არიან. ისინი ცდილობენ დაადგინონ, მართალია თუ არა, რომ ეგალიტარიზმის და ლიბერალიზმის მომხრეები იზიარებენ აზრს, რომ პიროვნებებს აქვთ უფლებები, უბრალოდ როგორც პიროვნებებს, და რომ ეს უფლებები ყველა სხვა პოლიტიკურ მიზანზე მაღლა დგას, მათ შორის, საზოგადოების ანუ კომუნის ინტერესებზეც.

ისინი აცხადებენ, რომ პიროვნული უფლებებისადმი ამგვარმა გამორჩეულმა ყურადღებამ გააღარიბა საზოგადოება, სტერილური გახადა მისი წევრების ცხოვრება, დააკარგვინა მას კავშირის შეგრძნება იმ კომუნასთან, რომლის ინტერესებიც თავის თავში შეიცავს და ხშირად აღემატება კიდევ, მეტ პიროვნულ ინტერესებს. მატ აქსიომად მიაჩნიათ, რომ ის პოლიტიკური საზოგადოება, რომელსაც აქვს მართებული დამოკიდებულება კომუნისადმი ნაკლებ ყურადღებას მიაქცევს თანასწორობას და თავისუფლებას, ვიდრე ეს ამერიკელ ან ევროპელ ლიბერალებს სურთ. მაგრამ ლიბერალებს შორის ძალზე ცოტა ვინმე თუ აღიარებს, რომ ის კომუნის იდეალისადმი მტრულად არის განწყობილი. მათ შეიძლება არ მოსწონდეთ ის კონკრეტული პოლიტიკური კურსი, ვთქვათ, შეურაცმყოფელ მასალაზე ცენზურა, რომელსაც კომუნიტარი-

ნები, კომუნის სახელით, მოითხოვენ. მაგრამ ისინი თვითონვე ამტკიცებენ, რომ პოლიტიკური საზოგადოების მოქალაქეების ცხოვრება დაკავშირებულია ერთმანეთთან და, რომ მოქალაქეები საკუთარი ინტერესების მიხედვით კი არ უნდა მოიქცნენ ეგოისტურად, არამედ უნდა იგრძნონ, რომ მათი ინტერესები და საქმე საერთოა. უნდა იზრუნონ ერთმანეთზე და პატივი სცენ ერთმანეთს. ასე, რომ, თუ კომუნის იდეა, მართლაც, უპირისპირდება თავისუფლებას და თანასწორობას, ეს ნიშნავს კიდევ ერთ წინააღმდეგობას ლიბერალიზმის კონცეფციამი.

წარმოდგენილ კონფლიქტს თავისუფლებას, თანასწორობას, ან საზოგადოებას ანუ კომუნას შორის იმაზე მეტი მნიშვნელობა აქვს, ვიდრე მეცნიერული კვლევაა. კერძოდ, აზრი, რომ ასეთი კონფლიქტები გარდაუვალია, აღმოსავლეთ ევროპაში ორმხრივად სახიფათოა. ჯერ ერთი ის სახიფათოა, ვინაიდან ფართოდ გავრცელდა მოსაზრება, რომ ნამდვილი თავისუფლების მიღწევა შესაძლებელია მხოლოდ თავისუფლების, როგორც სოციალური მიზნის უარყოფით, როგორც უკვე ავლნიშნე, ამ აზრს კიდევ უფრო ამტკიცებს ის ფაქტი, რომ კომუნიზმიც თავს ეგალიტარულად აცხადებს. ამ რამდენიმე თვის წინ, ერთი კვირის განმავლობაში ლექციებს ვკითხულობდი პრადის ცენტრალური ევროპის უნივერსიტეტში. ცენტრალური ევროპიდან ჩამოსულ სტუდენტებს ერთი აზრი აერთიანებდათ, კერძოდ: თანასწორობა დამღუპველი იდეალია. ისინი გულგრილად კი არ ეკიდებოდნენ ღარიბების, უმუშევრების ან ინვალიდების პრობლემის აბსტრაქტულ იდეას, რომ საზოგადოებები, რომელშიც ზოგიერთი მოქალაქის სასიცოცხლო პერსპექტივა დაბადებიდანვე უფრო დაბალია და ნარჩენებთან შედარებით, საფუძველშივე არასასურველია.

მოსაზრება, რომ განმანათლებლობის სამი სათნოება, უეჭველად, ეწინააღმდეგება ერთმანეთს მეორე მხრივაც სახიფათოა: ის ყველანაირად ამართლებს მოსაზრებას, რომ თავისუფლება და თანასწორობა, ხანდახან, უნდა დაექვემდებაროს კომუნის მოთხოვნებს. მართალია, კომუნიზმიც დაკავშირებული იყო კომუნასთან და აღმოსავლეთ ევროპამ, ამჟამად, უარყო კომუნიზმის მიერ ხორცშესხმული ამ იდეის კონკრეტული კონცეფცია-კლასობრივი სოლიდარობა.

თავისუფლება, თანასწორობა და ძმობა,-ეს პრი-

ნციპები განმანათლებელთა მიერ შემოღებულ იყო სწორად კომუნის ინტერესთა გათვალისწინებით და ძალიანაც მართალია სწორი ინტერპრეტაციის პირობებში. კომუნის უარყოფამ მათ შორის გააჩინა პრობლემა, რასაც ვფიქრობ გამოასწორებს ისტორია.

მაგრამ ეთნიკური ნაციონალიზმი კომუნისტრიანიზმის კიდევ ერთი ფორმაა და მოსალოდნელი საშიშროება, რომ კომუნიზმის მოსპობის შემდეგ აღმოსავლეთ ევროპის ნაწილში ეთნიკური ნაციონალიზმი გაბატონდებოდა-სამწუხაროდ, ძალიან მალე გამართლდა. იმის შეგრძნებამ, რომ კომუნა, თავისთავად, კეთილშობილური ცნებაა, მაგრამ, ამავე დროს, შეუძლებელია კომუნის ჩამოყალიბება ყველა მოქალაქის თანასწორობის პირობების დაცვით, უეჭველად ხელი შეუწყო ამ სამწუხარო მოვლენის განვითარებას.

ეთნიკური ნაციონალიზმის განვითარებას ხელი შეუწყო ხელსინსკის დასკვნითმა აქტებმა, რაც ბოლო ჯამში მიმართული იყო საბჭოთა კავშირის დანგრევისაკენ. საამისოდ მან ბიძგი მისცა მოკავშირე რესპუბლიკების ეროვნულ ძალებს. თუმცა, უკეთესი იქნებოდა იმ თავიდანვე ყურადღება გაემახვილებინათ კომუნარულობის განვითარებაზე დამოუკიდებელ სახელმწიფოთა ფორმატში, მაგრამ ვერ შეძლეს. წმინდა ნაციონალიზმი ძირშივე მცდარია, რამეთუ ყოველთვის ადგილი აქვს ეთნოსთა ერთი-მეორეზე დაშრეებას, ერთმანეთში აღრევას და როგორც ასეთი ისინი არ არსებობენ წმინდა სახით. მათი „სიწმინდე“ კი ილუზიაა უვიცთა სააღზნებოდ, როგორც სატყუარა.

თუ ჩვენ დავუშვებთ, რომ მართალია ძლიერი და გავრცელებული მოსაზრებაიმის შესახებ, თითქოს განმანათლებლობის სათნოებები საფუძველშივე ეწინააღმდეგებიან ერთმანეთს, მაშინ, იმასაც ადვილად წარმოვიდგენთ, რომ პროექტი, რომელსაც მე განვიხილავ,-ლიბერალიზმის კონცეფციის გააზრებისას და რომელიც უნდა დავიცვა- გულისხმობს, აირჩიო, თუ რომელ სათნოებას მივანიჭო უპირატესობა, სხვების ხარჯზე. მაგრამ ეს პოპულარული მოსაზრება სერიოზული შეცდომაა. ის არასწო-

რად იგებს ლიბერალური ტრადიციის დედა აზრს, რაც სწორედ ამ სამი იდეალის გაერთიანებაში მდგომარეობს. ყველაზე მისაღები დამაჯერებელი მოსაზრება ლიბერალების შესახებ არის ის, რომელიც კი არ უარყოფს, არამედ ავლენს ამ ერთიანობას.

მე თავიდანვე უნდა გამოვავაშკარავო შეცდომა, რომელსაც, ჩემი აზრით, შეიცავს ფართოდ გავრცელებული მოსაზრება იმის შესახებ, რომ განმანათლებლობის სათნოებები ურთიერთ დაპირისპირებულია. ეჭვგარეშეა, რომ შესაძლებელია თავისუფლება, თანასწორობა და კომუნა ისე განისაზღვროს, რომ მართლაც, ეწინააღმდეგებოდნენ ერთმანეთს, თანაც განუხრელად და დაუნდობლად. ვთქვათ, ჩვენ თანასწორობა განვსაზღვრეთ, როგორც სიტუაცია, რომელშიც ეკონომიკური კომუნის ყველა წევრს თანაბარი სიმდიდრე აქვს, იმის მიუხედავად, თუ ვინ რამდენი მოიხმარა, რამდენი იშრომა და რა გააკეთა. ვთქვათ, შემდეგ ჩვენ განვსაზღვრავთ თავისუფლებას, როგორც სიტუაციას, რომელშიც მათავრობა არავის უშლის აკეთოს, რაც სურს, და არც ერთი ადამიანის შემოსავლიდან არ იღებს წილს, ზეგარის სახით. **ნამდვილი კომუნა კი, როგორც საქმის ვითარებამ გვიჩვენა, არის ის, როდესაც ყველას აიძულებენ საზოგადოების კეთილდღეობა და სიკეთე თავისი ცხოვრების ერთადერთ მიზნად აქციოს.** ამგვარად განსაზღვრული განმანათლებლობის სათნოებები, რასაკვირველია, ეწინააღმდეგებიან ერთმანეთს: ვერც ერთ მათგანს ვერ მიანიჭებ უპირატესობას ისე /თუკი ეს, საერთოდ, შეიძლება/, რომ დანარჩენი ორი არ დაიჩრდილოს.

მაგრამ ეს ამ ცნებათა მცდარი განსაზღვრებებია. მე მართო იმას არ ვგულისხმობ, რომ ეს განსაზღვრებანი ვერ განმარტავს თუ რა მნიშვნელობას ანიჭებენ ადამიანები სიტყვებს „თავისუფლება“, „თანასწორობა“ და „კომუნა“. ამგვარი მიდგომა ჩემს აზრს ტერმინოლოგიურს გახდიდა, რაც ცალკე საკვლევი. ეს სიტყვები ასახელებენ აბსტრაქტულ ცნებებს. ადამიანები მათ სხვადასხვა სიტუაციების დასახასიათებლად იყენებენ, არა იმიტომ, რომ ისინი სხვადასხვა ენებზე მეტყველებენ, არამედ იმიტომ, რომ ისინი თვითოეულ ზოგად ცნებაში სხვადასხვა კონკრეტულ ინტერპრეტაციასა და კონცეფციას გულისხმობენ. მე ვთვლი, რომ ჩემს მიერ ახლახან აღწერილ სათნოებათა ინტერპრეტაციები, ამგვარად რომ წარმოაჩენს მათ ურთიერთ დაპირისპირებას, ძალიან ცუდი

ინტერპრეტაციებია. რადგან ისე ვერ განსაზღვრავენ თავისუფლების, თანასწორობისა და კომუნის კონცეფციებს, რომ რომელიმე მათგანი სათნოებად აღიქვა. პირიქით, ისინი სათნოებას მანკიერად გარდაქმნიან. ცხადია, ის აზრი, რომ ადამიანებს ერთნაირი სიმდიდრე უნდა ქონდეთ, იმისდა მიუხედავად, თუ რამდენად მეტი იმუშავა, ზოგიერთმა მაშინ, როდესაც სხვები ისვენებდნენ და ხარჯავდნენ, ეგიტარული კი არა, არაეგიტარულია. გადასახადებიდან განთავისუფლება, მრავალი მიზეზის გამო, შეიძლება სასურველი მოვლენაა /ზოგიერთს მიაჩნია, რომ მაგ., შეიძლება ბეგარა ეკონომიკური ეფექტიანობასდ ზრდის/, მაგრამ ამას არავითარი კავშირი არ აქვს თავისუფლების არცერთ მისაღებ კონცეფციასთან. უფლება, გავაკეთოთ ყველაფერი, რაც მოგვესურება, თავისუფლება კი არა, თავაშვებულებაა. პოლიტიკური საზოგადოება არ ხდება უფრო თავისუფალი იმის გამო, რომ არ უშვებს ცალმხრივობას. კომუნა გულისხმობს ურთიერთზრუნვას და პატივისცემას და არცერთი კანონიერი კანონიერი კონცეფცია იმის შესახებ, თუ რა დაიშვება კომუნაში, არ შეიძლება მოიცავდეს დისკრინიმაციას ან სისხლის ღვრას.

ჩვენ ვერ გადავწყვეტთ რა არის ლიბერალიზმი, ან შეიძლება თუ არა, და, როგორ შეიძლება ლიბერალური საზოგადოების წრის გაფართოება განმანათლებლობის სათნოებებზე უკეთესი კონცეფციების მოძებნის ან შექმნის გარეშე. ხოლო, როდესაც მოვახერხებთ ამას, აღმოვაჩინოთ, რომ ეს სამივე ცნება, ნებისმიერი მიმზიდველი ან მისაღები კონცეფციის მიხედვით, კი არ ეწინააღმდეგება, არამედ აძლიერებს ერთმანეთს. ამაშია სწორედ გაგებული ლიბერალიზმის ძალა. ლიბერალიზმი ასახავს ადამიანის კეთილდღეობის და ღირსების ყოვლის მომცველ თვალსაზრისს, რომელიც მნიშვნელობას, სიცხადეს და ერთიანობას ანიჭებს იმ პოლიტიკურ იდეალებს, ხშირად განზოგადებულად რომ განიხილება. ამ გაღრმავებული, გამაერთიანებელი მოსაზრების არსი ეთიკაში მდგომარეობს და არა, ეთიკისაგან განყენებულად, -პოლიტიკაში. იგი თვით ეთიკური ინდივიდუალიზმის იდეაში უნდა ვეძიოთ, რომელიც ჩემის აზრით, განმანათლებლობის ყველაზე სრულყოფილი და რადიკალური აზრია, თუმცა, ის შეიძლება, ბანალურადაც მოგეჩვენოთ-და, ალბათ, მოგეჩვენებათ კიდევ.....

ეთიკური ინდივიდუალიზმი არის დებულება, რომელიც ჭეშმარიტად მნიშვნელოვანია, სამყაროს თვალსაზრისით, –რა შეუძლიათ და რად გარდაქმნიან, სათითაოდ აღებული, ცალკეული პიროვნებები თავიანთ ცხოვრებას. ეს იმას ნიშნავს, რომ ყოველი პიროვნების ცხოვრება, ამ გაგებით, წმინდაა ანუ საკრალური. სიტყვა „წმინდის“ მნიშვნელობის გაათვალისწინებით ბევრი ეთიკურ ინდივიდუალიზმს რელიგიურ ინტერპრეტაციას აძლევს. მათ სწამთ, რომ ყოველი ცალკეული ადამიანის ცხოვრება მნიშვნელოვანია, რადგან ის ღვთისაგან არის ბოძებული. მაგრამ, წმინდა რელიგიური გაგების გარდა არსებობს ამ თეზისის არა რელიგიური ინტერპრეტაციაც. ისევე, როგორც ათეისტი შეიძლება ფიქრობდეს, რომ დიდი ხელოვნება ან ცხოველთა სახეობები წმინდა და ხელშეუხებელია მათი თანდაყოლილი ღირებულების გამო, ასევე შეიძლება, იგი პიროვნების ცხოვრებას წმინდად თვლიდეს.

რასაკვირველია, ეთიკური ინდივიდუალიზმი არ გულისხმობს, რომ მხოლოდ კერძო პირების ცხოვრებას აქვს ფუნდამენტალური მნიშვნელობა. როგორც ახლახან ავღნიშნე, ეთიკურმა ჰუმანიზმმა შეიძლება ასევე იფიქროს, რომ ხელოვნება ან ცოდნა ან ნებისმიერი სხვა ფასეულობა ფუნდამენტური, თანდაყოლილი მნიშვნელობისაა. ლიბერალიზმი კი გულისხმობს იმას, რასაც შეიძლება ჯანსაღი ეთიკური ინდივიდუალიზმი დაერქვას ან ჰუმანიზმი, როგორც მას ხანდახან უწოდებენ. ლიბერალიზმი არა მარტო იმას ამტკიცებს, რომ ინდივიდის ცხოვრებას ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს მარადიულ ფასეულობათა შორის, არამედ იმას, რომ იგი თავისთავად უმნიშვნელოვანესი ფასეულობაა. რომ დაუშვებელია ინდივიდის ცხოვრების, იოლად და ხელაღებით, მსხვერპთ შეწირვა. ლიბერალიზმი კიდევ ერთ დამატებით აზრს გულისხმობს – რომ ადამიანის ცხოვრებას ჭეშმარიტი მნიშვნელობა აქვს პოლიტიკური თვალსაზრისით, რომ ინდივიდის ცხოვრების წარმატება არის მთავარი, საერთო პოლიტიკური მიზანი. სწორედ ამით განსხვავდება ლიბერალიზმი ანარქიზმის სხვადასხვა ფორმებისაგან, რომლებიც ამტკიცებენ, რომ, რამდენად მნიშვნელოვანიც არ უნდა იყოს ინდივიდის ცხოვრება, სახელმწიფო არც პასუხისმგებელია, არც კანონიერად უფლებამოსილი, მიზნად დაისახოს მათი აყვავება. ლიბერალიზმი, პირიქით, ამტკიცებს, რომ ნებისმიერი სახელ-

მწიფოს მნიშვნელოვანი მიზანი მოქალაქეების კეთილდღეობა და ცხოვრებისდონის ამაღლება ლიბერალიზმი ინდივიდუალურ თავისუფლებას იმიტომ კი არ ემხრობა, რომ მისთვის, ოფიციალურად, სულ ერთია, თუ როგორ იცხოვრებენ ადამიანები, არამედ იმის გამო, რომ მისი რწმენით თავისუფლება აუცილებელია ადამიანის კეთილდღეობისათვის.

ამკარაა, თუ რატომ უნდა ეთიკურ ინდივიდუალიზმზე დაფუძნებული ნებისმიერი პოლიტიკური თეორია თავისუფლების, თანასწორობის და კომუნის კონცეფციებს, და რატომ უნდა ეცადოს ეს კონცეფციები გასაგები გახადოს და არა ანტაგონისტური. უპირველეს ყოვლისა, ის უნდა პასუხობდეს შეკითხვას, თანაბრად მნიშვნელოვანია თუ არა ადამიანის ცხოვრება, ან იქნებ ზოგიერთების ცხოვრებას უფრო დიდი მნიშვნელობა ენიჭება. თუ ამას თანაბარი მნიშვნელობა აქვს, -და სხვა პასუხი შეუძლებელი მეჩვენება თანამედროვე პოლიტიკურ ცხოვრებაში მაინც, მაშინ ბუნებრივად, წამოიჭრება კითხვა, რა შედეგი მოაქვს საზოგადოების ეკონომიკური სტრუქტურებისათვის. პასუხს ამ კითხვაზე ეკონომიკური თანასწორობის თეორია ან კონცეფცია გასცემს. მეორე, ბუნებრივად წამოჭრილი შეკითხვა ასეთია: რას ნიშნავს მთავრობის თანაბარი ზრუნვა ადამიანების ცხოვრებაზე? იქნებ იმას, რომ მთავრობამ თავიანთ ნებაზე მიუშვას ადამიანები /ისიც საკითხავია, რა თვალსაზრისით/, ანუ ნება დართოს თვითონვე წარმართონ თავისი ცხოვრება და სხვებს თავს არ მოახვიონ საკუთარი შეხედულებები და ფასეულობები. პასუხი ამ შეკითხვაზე თავისუფლების თეორიისა და კონცეფციაშია. მესამე, -ვინაიდან, ადამიანები ცხოვრობენ სხვადასხვა ფორმის, მაგრამ მაინც მსგავს კომუნებში, ბუნებრივია, ჩნდება კითხვა, რა კავშირშია და რამდენად არის დამოკიდებული ინდივიდის კეთილდღეობა კომუნის კეთილდღეობაზე, რომლის ნაწილიც თავად ის არის. ამ შეკითხვაზე პასუხს კომუნის თეორია გვაძლევს. ეს არის ის გარდაუვალი შეკითხვები, რომლის წინაშეც ლიბერალური პოლიტიკური თეორიის ნებისმიერი ვერსია დაადგება.

მნიშვნელოვანია მისიც, რომ ეთიკური ინდივიდუალიზმის ფუნდამენტური აზრიდან გამომდინარე წამოჭრილი რიგი შეკითხვების პასუხად ლიბერალიზმის კონცეფცია აყალიბებს მოსაზრებებს თავისუფლების, თანასწორობის და კომუნის შესახებ.

მან ისინი ისე უნდა ჩამოაყალიბოს, რომ მათ, რამდენადაც შესაძლებელია, განსაზღვრონ შეთავსებადი პოლიტიკური მიზნები. გავრცელებული თეორია- რომ თავისუფლება, თანასწორობა და კომუნა, შეუთავსებელი იდეალებია /თუმცა ხშირად ამას ვერ ხვდებიან/ პლატონიზმს ემსგავსება. ის გულისხმობს, რომ ამ პოლიტიკური იდეალების ხასიათი ამოცნობილია და, უბრალოდ, სამწუხარო ფაქტად მიიჩნევენ იმას, რომ მსოფლიო პოლიტიკური ფასეულობები, რომელთაგან, ყოველი, სათითაოდ სასურველია, ერთმანეთს ეწინააღმდეგება. მე სხვაგვარად ვფიქრობ, ჩემი აზრით, ჩვენ უნდა ჩამოვაყალიბოთ აბსტრაქტული პოლიტიკური იდეალების კონკრეტული კონცეფციები /უფრო მთავარი ფასეულობების თვალსაზრისით/, რომლებიც ამართლებენ ამ იდეალებს და უნდა ვცადოთ, რამდენადაც ეს შესაძლებელია, ისე ჩამოვაყალიბოთ ისინი, რომ ურთიერთშეთავსებადი იყვნენ. მაგრამ პოლიტიკური იდეალების აბსტრაქტული ფორმა ეწინააღმდეგება ჩვენს მოსაზრებებს. უნდა ვადიაროთ, რომ ჩვენი თვალსაზრისი თანასწორობაზე და თავისუფლებაზე არის თვალსაზრისი ამ სათნოებაზე და არა, რაღაც სრულიად სხვაზე. ასე რომ ჩვენი პროექტის მნიშვნელობა და სასურველობა ვერ უზრუნველყოფა მის წარმატებას. უნდა მოვიცადოთ და ვნახოთ.⁶¹

გ). მოტივაციური და დისტრიბუციული თანასწორობა, ჩვენი მიზანია ლიბერალიზმის ისეთი კონცეფციის განვითარება, რომელიც სათავეს იღებს ეთიკური ინდივიდუალიზმიდან და რომელიც აერთიანებს თავისუფლებას, თანასწორობასა და კომუნის ცნებებს, იმის გათვალისწინებით, თუ როგორ ასახავენ ეს ცნებები ერთმანეთს და ფუნდამენტალურ საფუძვლებს. მე მოკლედ მოვხაზავ ლიბერალიზმის ვერსიას /როგორი სახითაც იგი ჩამოყალიბდა დღემდე/, რომელიც შესაძლებელს ხდის ზემოაღნიშნული მიზნის მიღწევას და ლიბერალიზმის მოძღვრების მიმზიდველ პოლიტიკური თეორიად ჩამოაყალიბებას.

...თავიდანვე უნდა ავღნიშნო, თუ რა მიმაჩნია ორ ძირითად მნიშვნელოვან შედეგად. პირველი ის, რომ ლიბერალიზმი /იმ გაგებით, რომელიც უკვე შემოგთავაზეთ/ არის ძალზე ეგალიტარული თვალთხედვა. მეორე კი ის არის, რომ იგი არსით ანტი-სოციალისტურია. ის უარყოფს -ეკონომიკურ და მორალურ სოციალიზმს და ამტკიცებს, რომ ეთიკური ინდივიდუალიზმის

მოთხოვნები შეიძლება დაკმაყოფილდეს მხოლოდ თავისუფალი ეკონომიკური ბაზრით, და იმ სოციალური და მორალური გარემოთი, რომელსაც ქმნის პიროვნული და არა კოლექტიური გადაწყვეტილება. ზოგიერთ ჩვენგანს პარადოქსულად შეიძლება მოეჩვენოს, რომ პოლიტიკური თეორია შესაძლებელია, ერთდროულად, ძალზე ეგალიტარული და ძალზე ანტისოციალისტური იყოს. მაგრამ ეს პირველი შთაბეჭდილება იმ ფართოდ გავრცელებული მოსაზრების სიმპტომია, რომლის მიხედვითაც განმანათლებლობის ფასეულობები უნდა ეწინააღმდეგებოდნენ ერთმანეთს იმისათვის, თანასწორობისათვის მეტრძოლმა თეორიამ ვერ შეძლოს თავისუფლების ისეთივე ეთუზიაზმით დაცვა.

მე უფრო დაწვრილებით განვმარტავ, თუ რაში მდგომარეობს ლიბერალიზმის ეგალიტარულობა, ან რატომ არის ის ანტისოციალისტური. კარგი იქნებოდასა, თავიდანვე გამოგვეკვთა განსხვავებული ნიშნები. პოლიტიკური თეორია ორ დონეზე შეიძლება იყოს ეგიტალური: მოტივაციურ და დისტრიბუციულ დონეზე. მოტივაციურ დონეზე თეორია ეგალიტარულია, თუ ის მოითხოვს, რომ პოლიტიკური გადაწყვეტილებები იმის გათვალისწინებით იქნას მიღებული, რომ კომუნის ყველა წევრის /სათითაოდ/ ცხოვრებას თანაბარი ყურადღება მიექცეს /და ცდილობს ამ მიზნით შექმნას კონკრეტული პოლიტიკური სტრუქტურები-ეკონომიკური და პოლიტიკური ინსტიტუტები. პოლიტიკური თეორია ეგალიტარულია დისტრიბუციის დონეზე, თუ მის მიერ შექმნილი ინსტიტუტები უზრუნველყოფენ კეთილდღეობისა და შემოსავლის ან ფულადი სახსრების /რესურსების/ დაახლოებით თანაბარ განაწილებას თანაბარი წილის გარკვეული მნიშვნელობის შესაბამისად.

ასე, რომ თეორია შეიძლება იყოს ეგალიტარული მოტივაციურ და არა დისტრიბუციულ დონეზე და პირიქით, ზოგი თავისუფლების მომხრე მოტივაციურად ეგალიტარულია და მიაჩნია, რომ პოლიტიკური ინსტიტუტები თანაბრად უნდა ზრუნავდნენ ყველა მოქალაქესა და პიროვნებაზე. მაგრამ ამტკიცებს, რომ მოქალაქეებისადმი თანაბარი მოპყრობა ნიშნავს, არ ჩაერიო საბაზრო გარიგებებით დაწესებულ განაწილების წესში, რამდენად არა ეგალიტარულიც არ უნდა იყოს ეს. ზოგიერთი კოლექტივისტური თეორიტიკოსი, მათ შორის უტილიტარიზმის მომხრე-

ებიც, დისტრიბუციულ დონეზე ეგალიტარულები არიან. მათ ჯერათ, რომ კომუნა, უცილობლად, ყველაზე ბედნიერი, წარმატებული ან ძლიერია, როდესაც მის მოქალაქეებს, დაახლოებით, თანაბარი ფინანსური წვლილი შეაქვს მის წარმატებაში. მაგრამ, ეს თეორეტიკოსები არ არიან მოტივაციურად ეგალიტარები, ვინაიდან, მიზნის განსახორციელებლად აუცილებელ პირობად ან საშუალებად დისტრიბუციულ თანასწორობას მიიჩნევენ /კოლექტიური სახელმწიფოს, კეთილდღეობა ან ძალაუფლება/, რაც, თავისთავად, არ არის ეგალიტარული.

როგორც მოტივაციურ და დისტრიბუციულ ეგალიტარიზმს შორის არსებული სხვაობა გვთავაზობს, მოტივაციური ეგალიტარიზმი აბსტრაქტულია. ადამიანები, ადამიანები, რომლებიც იმ მოსაზრებას იზიარებენ, რომ მთავრობის ინტერესებს უნდა შეადგენდეს ადამიანების, როგორც ინდივიდების, ყოფა და, რომ ის თანაბრად უნდა ზრუნავდეს თითოეული მოქალაქის ცხოვრებაზე, შეიძლება, მაინცვერ შეთანხმდნენ იმ საკითხებზე, თუ რომელიკონკრეტული ეკონომიკური სტრუქტურა და ინსტიტუტი განსახორციელებს ამ მიზანს ყველაზე უკეთ. როგორც თავისუფლების მომხრე მაგალითი გვიჩვენებს, ზოგიერთი მათგანი შეიძლება ამტკიცებდეს, რომ მიზანი ეს არ გულისხმობს, რომ მოტივაციური ეგალიტარიზმი დაცლილი ან ალოგიკურია. ის სულაც არ არის დაცლილი, თუმცა, ჩვენ საკუთარ დემოკრატიებში, მას ახლა თითქმის არავინ უარყოფს, კაცობრიობის ისტორიის განმავლობაში მას, უფრო ხშირად, უარყოფენ, ვიდრე იღებდნენ. მას ახლაც უგულვებელყოფენ მსოფლიოს უზარმაზარ ნაწილში, მათ შორის ჩინეთში და ფუნდამენტალისტური რელიგიის ქვეყნებში. ის არ არის ალოგიკური, ვინაიდან, რაკი გაცნობიერებულია თანაბარი ზრუნვის წინამძღვრების აუცილებლობა, თავისუფლების მომხრე მოძღვრება, რომელიც ახლახან აღვწერე, თითქმის განუხორციელებელია, თუმცა, ლოგიკურად, უთავსდება მოტივაციურ ეგალიტარულ წინამძღვრებს.

ჩვენ შეგვიძლია ჩავწვდეთ ამ განუხორციელებლობის მიზეზს ყველაზე სწრაფად იმ სიტუაციის გაანალიზებით, რომელიც ჰგავს დისტრიბუციულ გადაწყვეტილებებს, ოჯახურ კონექსტში, რომელშიც მოტივაციური ეგალიტარიზმი ტრადიციული და გულწრფელია. ოჯახური გადაწყვეტილებები / უმრავლესობის აზრით / მიღებული უნდა იყოს ისე, რომ გამოხატავდეს

ოჯახის ყოველი წევრის ბედზე თანაბარ ზრუნვას. ჩვენ ვერ ჩავთვლიდით ამ მიზანს მიღწეულად თუ გადაწყვეტილებები ისე იქნებოდა მიღებული, რომ ოჯახის რომელიმე წევრის ხვებთან შედარებით, ბევრად ნაკლებს მიიღებდა იმიტომ, რომ, მაგ., ის ინვალიდია. თუ ჩვენ, მართლაც, მისაღებად მივიჩნევთ მოტივაციურ ეგალიტარიზმს /და ვინ უარყოფდა ამას აქ?/, მაშინ ჩვენ იგივე დამოკიდებულება უნდა გვქონდეს მთლიანად საზოგადოებისათვის მიღებული პოლიტიკური გადაწყვეტილების მიმართ. ამიტომ ჩვენ უნდა უარვყოთ დისტრიბუციული სქემები, რომლებიც სისტემატურად იმეტებენ ადამიანების ერთ ჯგუფს /ბედისაგან დაჩაგრულებს გაუნათლებლობით, უნიჭობით ანდა ფიზიკურად/ უღიმღამო ცხოვრებისათვის. **პოლიტიკური იდეალები ხშირად ასოცირდება რეიგანიზმთან შეერთებულ შტატებში და ტეტჩერიზმთან -ბრიტანეთში. და ის, რაც აღმოსავლეთ ევროპაში ბევრს განმანთავისუფლებად და მისაღებ მაგალითებად ესახება, არსით და არა ლოგიკურად, შეუთავსებელია ნებისმიერ ჭეშმარიტ მოტივაციურ თანასწორობასთან. თუ ჩვენ ეგალიტარიზმის მომხრეები ვართ ამ დონეზე, მაშინ ჩვენ დისტრიბუციული თანასწორობის ზოგიერთი ფორმაც გვჭირდება.**

მაგრამ, როგორც უკვე შემოგთავაზეთ, თუ ჩვენ მოტივაციური ეგალიტარიზმის მომხრეები ვართ, მაშინ ჩვენ დისტრიბუციული თანასწორობის გარკვეული ტრადიციული, მაგრამ უხეში ფორმები უნდა უარვყოთ. ჩვენ უნდა უარვყოთ გამათანაბრებელი თანასწორობა, რასაც ხანდახან შედეგის თანასწორობას უწოდებენ და, რომელიც გულისხმობს, რომ ადამიანებს ერთნაირი სიმდიდრე უნდა ჰქონდეთ მიუხედავად იმისა, თუ ცხოვრების როგორი გზა ირჩიეს მათ. დისტრიბუციული თანასწორობის ეს ვერსია ასევე არა ეგალიტარულია. ის ერთნაირად არ ზრუნავს ადამიანებზე, ვინაიდან, ანგარიშს არ უწევს ადამიანების არჩევანს, რომლის გამოც ისინი პასუხისმგებელი უნდა იყვნენ. იმდენად, რამდენადაც კომუნიზმიც და სოციალიზმიც ესწრაფვიან ამგვარ გამათანაბრებელ თანასწორობას, მოტივაციური აზრით, ჰიპოთეტურად, ორივე ღრმად არაეგალიტარულია.

მომდევნო თავში ვიწყებ ლიბერალურ პრინციპებზე ჩემს დეტალურ მოხსენებას იმით, რომ აღვწერ დისტრიბუციული თანასწორობის ინტერპრეტაციის ჩონჩხს, რომელიც პირველ ადგილ-

ზე პასუხისმგებლობას და არჩევანს აყენებს და, რომელიც ჩემი აზრით ლიბერალური პრინციპის ყველაზე მიმზიდველი კონცეფციის საფუძველს ქმნის. მომდევნო თავებში მე ასევე მოკლედ დავახასიათებ თავისუფლების და კომუნის ინტერპრეტაციებს, რომლებიც, აგრეთვე, ეთიკური ინდივიდუალიზმიდან გამომდინარეობს და, რომლებიც შემოთავაზებული კონცეფციის თანახმად, თანასწორობას კი არ ეწინააღმდეგებიან, არამედ უთავსდებიან. ლიბერალიზმის ზოგადი ინტერპრეტაცია, რომელიც მოცემულია თანასწორობის, თავისუფლების და კომუნის სხვადასხვა კონცეფციებში, კომპლექსურად უნდა განიხილებოდეს საკითხავი. საკითხავი ის არის, თუ რამდენად მაშტაბურად უზრუნველყოფს ანალიზი ეთიკური ინდივიდუალიზმის მისაღებ და პრაქტიკულ ვერსიას.

მომდევნო შეკითხვა, რასაკვირველია, იქნება ის, თუ როგორ, და რამდენად ფართოდ შეიძლება აღწერილი ინტერპრეტაციისგან ხორციელდება თანამედროვე საზოგადოებაში. შესავალში მე ხაზსვუსვამ, რომ პროცედურული საკითხი იმის შესახებ, თუ როგორ უნდა გავრცელდეს და დაინერგოს ლიბერალიზმი სხვადასხვა კომუნაში, უნდა გადაიდოს, ვიდრე უკეთ არ გავერკვევით ლიბერალიზმის იმ ფორმაში, რომლის გავრცელებაც გვსურს, მაგრამ პრაქტიკული საკითხები, მაინც, ორმხრივ იჭრება თეორიაში და თუმცა, მე არ უგულველვყყოფ პრაქტიკულ საკითხებს, მათზე მსჯელობისას კარგი მიქნებოდა ორივე მხარის გათვალისწინება. პირველი, რამდენად მიმზიდველიც არ უნდა იყოს, პრინციპში, უაზრობაა ლიბერალიზმის დეტალური კონცეფციის შემუშავება, მას შემდეგ, რაც ნათელი გახდა, რომ, რაღაც მიზეზების გამო, ის გამოუსადეგარია პრაქტიკაში და მისი საშუალებით შეუძლებელია დასახული მიზნების განხორციელება ეკონომიკური და პოლიტიკური სტაბილურობის ნგრევის გარეშე.

ამას მოყვება მუდმივი რეფორმირება, არასტაბილურობა და ძალადობა. ამიტომაც ხელოვნურად შექმნილი ნეოლიბერალური საზოგადოებრივი წყობილება კი არ უნდა იყოს დღის წესრიგში განსახორციელებლად, რამდენადაც დესტრუქციულად მოქმედებს ტრადიციულზე, არამედ ბუნების მიერ მოტივირებულ კომუნათა სისტემაზე /ინდივიდი,

ოჯახი, დასახლებული პუნქტი, ერი-სახელმწიფო, კაცობრიობა/ უნდა იყოს აგებული, განვითარებადი არა ფილოსოფოსთა მიერ კაბინეტებში შემუშავებული თეორიების მიხედვით, რაც შეიძლება მხოლოდ მის ცალკეულ არქაულ ელემენტებს ეხებოდეს, არამედ თვით ბუნების კანონების შესაბამისად.

თუმცა, მე პირადადარ მჯერა, რომ ჩემს მიერ აქ აღწერილი კონცეფცია ამდენად არა პრაქტიკულია. მეორე, მაშინაც კი, როდესაც კონცეფცია თავისთავად არა პრასქტიკული არ არის, მაინც შეიძლება უამრავი სირთულეები წამოიჭრას მისი იდეალების ცხოვრებაში განხორციელებისას, რაც იმას ნიშნავს, რომ პრაქტიკაში ეს იდეალები სრულყოფილად ვერ განხორციელდება. ზემოთ მოყვანილი მიზეზებიდან გამომდინარე, ეს ჩემს მიერ აღწერილ ლიბერალიზმის კონცეფციას შეეხება. და მაინც, პოლიტიკური თეორია სასარგებლო და მნიშვნელოვანია პოლიტიკური იდეების განსაზღვრისათვის მაშინაც კი, როდესაც შეუძლებელია მისი სრულად განხორციელება, რადგან თეორია გვიჩვენებს მიმართულებას, რომელსაც უნდა ვესწრაფოდეთ და შეიცავს ამ მიმართულების განვითარების რეალურ შესაძლებლობას.⁶²

დ) რა არის ეკონომიკური თანასწორობა? მე ავლენიშნე რომ მოტივაციური თანასწორობა, გარკვეულად, დისტრიბუციულ თანასწორობას გულისხმობს. მაგრამ, რა აზრით? დავიწყეთ ღრმა და ზოგადი საკითხით. ნებისმიერი პოლიტიკური თეორია, რომელიც მიზნად ისახავს დისტრიბუციულ თანასწორობას /როგორც, თუნდაც, ერთ-ერთ საკითხს/ წინასწარ გულისხმობს და ადგენს დისტრიბუციული თანასწორობის საზომს. ის გულისხმობს გარკვეულ სტანდარტებს, რომლითაც შეიძლება გაიზომოს, აუმაღლებს თუ არ აუარესებს. ასე გაგებულ თანასწორობას კონკრეტული სოციალური ცვლილება ისტორიულად ეგალიტარული თეორიების უმრავლესობა, თავისთავში, გულისხმობს, რომ თანასწორობის საზომია კეთილდღეობის კონცეფცია. ანუ ეკონომიკური განაწილების თვალსაზრისით, კომუნა ანუ საზოგადოება ადამიანებს თანასწორად ექცევა, როდესაც ამტკიცებს, რომ თვითთველს აქვს ბედნიერების, კმაყოფილების და წარმატების დაახლოებით თანაბარი დონე. მაგრამ არსებობს მეორე შესაძლებლობაც: ეკონომიკური თანასწორობა შეიძლება

განვსაზღვროთ, არა იმის მიხედვით, თუ რამდენად აღწევენ ადამიანები ბედნიერების ან კეთილდღეობის თანაბარ დონეს თავისი სიცოცხლის მანძილზე, არამედ, იმის მიხედვით, თუ რამდენად თანაბარია მათი სახსრები საკუთარი ცხოვრების, თავის სურვილებისამებრ, წარმართვისათვის. ამ თვალსაზრისით, საზოგადოება თანასწორობის იდეას უახლოვდება, როდესაც ამცირებს სხვადასხვა ადამიანების რესურსების უთანასწორობის ხარისხს.

ჩვენ ჯერ უნდა ავირჩიოთ ერთ-ერთი, თანასწორობის არსის შესახებ ამ ორი ზოგადი პასუხიდან /რესურსების თუ კეთილდღეობის თანასწორობა/, ვიდრე გადავწყვეტდეთ, ამ ზოგადი პასუხებიან რომელია სრულყოფილი. შესაძლოა, კეთილდღეობის თანასწორობა უფრო სასურველი გამოჩნდეს, ვინაიდან, ის იმას შეიცავს, რაც, მართლაც მნიშვნელოვანია ადამიანისათვის. ბოლოს და ბოლოს, ადამიანებს არსებითად კეთილდღეობა სურთ. რესურსები ანუ ფულადი სახსრები კი საშუალებაა კეთილდღეობის მისაღწევად. ფულადი სახსრების თანასწორობას, მაინც სხვა ხიბლი აქვს. ის უკლეთ გამოხატავს ჩვენს პირად პასუხისმგებლობის გრძნობას, ვინაიდან, ფულადი სახსრები თანაბარი განაწილების შემთხვევაში და ის ფაქტი, თუ როგორ გამოიყენებენ ადამიანები მათ ხელში არსებულ რესურსებს და რამდენად მიღწევენ მათთვის სასურველ ცხოვრებას, მათი გადასაწყვეტია და არა, კოლექტიურად, სახელმწიფოსი.

ფაქტიურად, კეთილდღეობის თანასწორობის მომხიბლელობა მხოლოდ მოჩვენებითია, ვინაიდან, ჩვენ ან შეგვიძლია კეთილდღეობა თანასწორობის საზომად მივიჩნიოთ, ვიდრე არ დავადგენთ კეთილდღეობის რომელი კონცეფცია შეესაბამება ჩვენს მიზანს. ხოლო, როგორც დავადგენთ, ნებისმიერი კონკრეტული კონცეფციის კეთილდღეობის ეგალიტარიზმის თავდაპირველი მიმოხიდელობა მაშინვე ქრება. ეთიკური ინდივიდუალიზმი თანასწორობის საზომად იღებს არა კეთილდღეობას, არამედ რესურსებს. ჭეშმარიტი ეკონომიკური თანასწორობა უზრუნველყოფილია მხოლოდ მაშინ, როდესაც ადამიანებს ეძლევათ საწყისი თანაბარი რესურსები, რათა თვითონვე გადაწყვიტონ რა გამოცდილებები, მიზნები და მიღწევებია მათთვის მნიშვნელოვანი და როგორ შეუძლიათ გამოიყენონ თანაბარი რესურსები საკუთარი იდეების განსახორციელებლად. მაგრამ რესურსების თანასწორო-

ბაც დაზუსტებას მოითხოვს. ჩვენ უნდა დავადგინოთ, რესურსების განაწილების რომელი გზა ჩაითვლება თანაბარ განაწილებად. თანაბარია ადამიანების რესურსები, მაგალითად, როდესაც მათ განსხვავებული შემოსავალი აქვთ მხოლოდ იმიტომ, რომ ერთი მეტს შრომობს, ვიდრე მეორე? ანდა ორივე ერთნაირად ბევრს შრომობს, მაგრამ ერთი ირჩევს ბიზნესს, ხოლო მეორე უნივერსიტეტის მასწავლებლობას?

ეკონომიკური თანასწორობის კრიტიკოსები, საერთოდ, ფიქრობენ, რომ რესურსების თანასწორობა ნიშნავს, ყველას თანაბარი სიმდიდრე ჰქონდეს იმის და მიუხედავად, თუ ვინ რამდენი იმუშვავს ან დახარჯავს. ამგვარ სურათს თანასწორობის მოთხოვნების შესახებ ისინი ხატავენ, რათა გაამასხარაონ ის. მაგრამ, ფაქტიურად, რესურსების ნამდვილი თანასწორობა სრულად მაშინ ხორციელდება, როდესაც რესურსები, რომლებსაც სხვადასხვა ადამიანები ფლობენ, თანაბარია, ამ რესურსების შესაძლებელი ფასების მიხედვით ე.ი. ღირებულების მიხედვით, რომელიც მათ ექნებათ სხვა ადამიანების ხელში. ამიტომ არანაირ განაწილებას არ შეიძლება სრულიად თანაბარი ეწოდოს, ვიდრე ის არ გაუძლებს გამოცდას, რომელსაც ეკონომისტები უწოდებენ „შურის“ გამოცდას. ეს ნიშნავს, რომ საზოგადოების არცერთ წევრში ან უნდა იწვევდეს შურს სხვა წევრის ხელთ არსებული რესურსები, რომელიც შეიცავს ამ რესურსების მოსაპოვებლად დახარჯული შრომისა და მოხმარების არჩევანს. მე მშურს თქვენი რესურსების, მე მისაკუთრის ნაცვლად, სწორედ თქვენს რესურსებსა, და მათი საშუალებით შექმნილ ცხოვრებას ავირჩევდი.

ამ ტესტიდან გამომდინარე, შური არის ეკონომიკური და არა ფსიქოლოგიური მოვლენა. ვიღაცას შურს სხვა ადამიანის რესურსებისა იმ შემთხვევაში, თუ ამ რესურსებით განხორციელებულ ცხოვრებას თავის საკუთარ ცხოვრებას ამჯობინებს. ამ შურის ტესტის გამოყენება, რასაკვირველია, მაშინაც შეიძლება, როდესაც მათ ხელთ არსებული რესურსების გამოყენებით, ადამიანები არათანაბარ სიმდიდრეს და კეთილდღეობას აღწევენ. თუ თქვენი მიზანი, ამოცანები ან გეგმები უფრო იოლი მისაღწევის, ან თქვენი პიროვნება სხვა მხრივ განსხვავდება ჩემგან, თქვენ იგივე რესურსებით მეტ კეთილდღეობას მიაღწევთ, ვიდრე მე. ამდენად, რესურსების თანასწორობა ძალზე განსხვავდება კეთილდღეობ-

ბის თანასწორობისაგან.

გარკვეული მოსაზრების თანახმად, რომელსაც მე ქვემოთ განვიხილავ, შურის ფაქტორს შევხვდებით, თუკი სრული დისტრიბუციული თანასწორობა უზრუნველყავით რესურსების საჯარო ვაჭრობის მეშვეობით, სადაც ადამიანები ვაჭრობას თანაბარი საწყისი რესურსებით იწყებენ. თუ ასეთი საჯარო ვაჭრობა მანამდე გაგრძელდება, ვიდრე აღარავის ექნება სურვილი, ის ბოლოს და ბოლოს, შეწყდება და შურის ფაქტორიც დაკმაყოფილებული აღმოჩნდება. არავის დაწყდება სხვის მიერ აუქციონზე შექმნილ რესურსების კომპლექტზე გული, ვინაიდან, თუ ენდომებოდა, თვითონაც შეიძენდა მას საკუთარი კომპლექტის ნაცვლად. მაგრამ ამ იდეალური სიტუაციის მიღწევა რეალურ სამყაროში, რასაკვირველია, შეუძლებელია, ერთ-ერთი, ძალზე მნიშვნელოვანი მიზეზის გამო.

რესურსები, რომელსაც ფლობენ ადამიანები, ორი სახისაა: სუბიექტური და ობიექტური. სუბიექტური ანუ პიროვნული რესურსები არის გონების და სხეულის თვისებები, რომლებიც განსაზღვრავენ ადამიანების წარმატებას მათი გეგმებისა და პროექტების განხორციელებაში. ფიზიკური და გონივრული ჯანმთელობა, ძალა და ნიჭი . ობიექტური რესურსები კი გარემოს შემადგენელი ნაწილებია, რომელთა ფლობა და გაცემა შესაძლებელია : მიწა, ნედლეული, სახლები, მატერიალური ნივთები და სხვა კანონიერი უფლებები და ინტერესები ამ სახის რესურსებზე. აუქციონი, რომელიც მე ზემოთ წარმოვიდგინე, არის ობიექტური რესურსების აუქციონი და, ვინაიდან, მისი დამთავრების შემდეგაც პირადი რესურსები მაინც არათანაბარი რჩება შურის ფაქტორი კვლავაც აქტუალურია. მაშინაც კი თუ ჩუმი არაპიროვნული რესურსები თქვენის ტოლია, მე შემშურდება თქვენი რესურსებისა, რომელშიც შედის თქვენი ნიჭი და ჯანმთელობა. აუქციონის დამთავრების შემდეგ, როდესაც თვითოეული ჩვენთაგანი იწყებს საკუთარი საწყისი რესურსებით წარმოებას და ვაჭრობას, თქვენი უპირატესი ნიჭი და ჯანმთელობა მალე დაარღვევს ჩვენს საწყის ობიექტური რესურსების თანასწორობასაც. იგივეს თქმა შეიძლება განსხვავებულ იღბალზეც. თქვენი ცხოვრება შეიძლება აყვავდეს, ხოლო ჩემი დაიქცეს, ჩემი უიღბლობის გამო. მე ვგულისხმობ უიღბლობას იმ რისკთან დაკავშირებით, რომელიც

ვერ განვსაზღვრე და არ გავწიე.

ასე რომ, **რესურსების თანასწორობა მოითხოვს კომპენსაციურ სტრატეგიას**, რამდენადაც ეს შესაძლებელია, რათა გამოასწოროს პიროვნული რესურსების და უიღბლობის უთანასწორობა. თითქმის შეუძლებელია, უთანხმოების კომპენსაცია, რადგან, მართლაც, ძნელია ეგალიტარული მოწოდებით კომპენსაციური სქემების დაცვა. წარმოვიდგინოთ, რომ, პერიოდულად, მდიდრების სიმდიდრეს უბრალოდ, გადავურიცხავთ ხოლმე ღარიბებს, ვთქვათ, წელიწადში ერთხელ, ვიდრე არ დავაკმაყოფილებთ შურის ფაქტორს და ყველას ერთნაირი რაოდენობის სიმდიდრე არ ექნება გაზომილი შესაძლო ფასების მიხედვით. ეს პოლიტიკა ამკარა ზემოქმედებას მოახდენს იმაზე, თუ რას აწარმოებს საზოგადოება და რა ფასად. აგრეთვე, გავლენას მოახდენს მოსახლეობის მდგომარეობაზე, ვინაიდან ბევრი, მათ შორის დაბალი ფენების წარმომადგენელიც თავის ახალ მდგომარეობას უარესად მიიჩნევს, ვიდრე ეს გადანაწილებამდე იყო. ამგვარად, ჩვენ უნდა გავამართლოთ ნებისმიერი კომპენსაციური პროგრამა, რომელიც მიმართულია მათ დასაცავად, ვინც ზარალდება. ამ გზით და ამავედროს, ხსნის-მიუხედავად ყველაფრისა, მაინც, რატომ აუმაჯობესებს ცვლილება თანასწორობას, ეს არის იმ პრაქტიკული პრობლემის თეორიული ფორმულირება, რომელსაც წააწყდება ნებისმიერი დემოკრატიული პოლიტიკოსი, რომელსაც სურს გამოასწოროს თანასწორობის მდგომარეობა. მან უნდა მოძებნოს არგუმენტი, რომელიც ახსნის, თუ რატომ მოითხოვს სამართლიანობა გარკვეულ დონეზე აყვანილი სიმდიდრის გადანაწილებას.

არსებობს ერთი არგუმენტი, რომელიც აკმაყოფილებს ამ ფაქტორს, შეიძლება შეიქმნას კომპენსაციის მეთოდი, რომელიც დაბეგვრის და განაწილების სისტემას გამოიყენებს ფონდებში. დასაქმების შესაძლებლობაში ან ისეთ რესურსებში, როგორცაა სამედიცინო მომსახურება. ის შექმნილია ჰიპოთეტური დაზღვევის ბაზრის მსგავსად, რომელიც წააგავს ნამდვილ დაზღვევის ბაზარს საწყისი თანასწორობის პირობებში. ყველა ადამიანს თანაბარი თანხები რომ ჰქონდეს და შეეძლოს დაზღვევა ერთი და იგივე სადაზღვევო პრემიის პირობებში, რომელიც ჩვეულებრივ კომერციულ ბაზარზე არსებულ რისკსაც ასახავს, რა თანხაზე დაიზღვევდა თავს საშუალო ადამიანი, რა პრემიაზე, რა შემ-

თხვევაზე, რა სახის წინააღმდეგობაზე, უმუშევრობაზე ან დაბალ ხელფასზე? ამგვარ შეკითხვებზე პასუხები ჩვენ შეგვიძლია გამოვიყენოთ საგადასახადო სისტემის შესაქმნელად ისე, რომ გადასახადი ანაზღაურებდეს თანაბარ სადაზღვევო პრემიას, რომლის გადახდაც საჭირო იქნებოდა ამ ჰიპოთეტური დაზღვევის ბაზარზე და გადანაწილება გაათანაბრებდა მთლიან სადაზღვევო თანხას. ამ ხასიათის გადანაწილების საგადასახადო პროგრამა სრულ კომპენსაციას ვერ მოახდენს /ამგვარი პროგრამის არსებობის შემთხვევაშიც კი ვერ გაივლიან შურის ტესტს/, მაგრამ უპრობლემოდ, მაინც შეამცირებს რესურსების უთანასწორობას და ვერავინ, ვინც ეთიკურ ინდივიდუალიზმსა და მოტივაციურ ეგალიტარიზმს ემხრობა, ვერ უარყოფს ამ სახის გადანაწილების დაბეგრას.

მე ახლახან ავლნიშნე, რომ გადანაწილების პროგრამამ შეიძლება ისარგებლოს ჰიპოთეტური დაზღვევის გამოთვლებზე დამყარებული საგადასახადო ბიუჯეტით ამ დაზღვევის ჰიპოთეტური მოხმარებისათვის ფულის გასანაწილებლად, ან იმ შემოსავლების და რესურსების უზრუნველსაყოფად, რომლებიც მათთვის ხელმისაწვდომი იქნებოდა უფრო დიდი საწყისი თანასწორობის შემთხვევაში. არჩევანს ნაწილობრივ, განსაზღვრავს პრაქტიკული შემთხვევები. მაგრამ რესურსების თანასწორობა ამჯობინებს, თუ ეს პრაქტიკულია. შესაძლებლობების, კერძოდ, სამსახურებით უზრუნველყოფა, რაც ალბათ, ისე ძვირია, როგორც ფულის გადარიცხვა, უკეთ აზღვევს ადამიანების ერთადერთ შემოსავალს, რომლის საწარმოებლადაც მზად არიან იშრომონ. სწორედ ამგვარ გარანტიას ესწრაფვის შესაძლებელი ფასის მოდელზე დამყარებული რესურსების თანასწორობა.⁶³

ე) ეწინააღმდეგება თანასწორობა თავისუფლებას? ეთიკური ინდივიდუალიზმი ლიბერალურია ისევე, როგორც ეგალიტარული დოქტრინა, ვინაიდან მისი ძირითადი მოთხოვნაა პიროვნებას ჰქონდეს ყველანაირი თავისუფლება, რაც საჭიროა ცხოვრების უკეთესად მოწყობის საკუთარი კონცეფციის შესაქმნელად და განსახორციელებლად. პოპულარული აზრია, როგორც ავლნიშნე, რომ თავისუფლება და თანასწორობა ეწინააღმდეგება ერთმანეთს. **საზოგადოებამ რომ მიაღწიოს ნამდვილ ეკონომიკურ თანასწორობას, საჭიროა, გარკვეული თავისუფლე-**

ბის შეზღუდვა. მაგ., ვაჭრობის და წარმოების თავისუფლება ან შვილების კერძო სკოლაში სწავლების თავისუფლება, ან საკუთარი სურვილისამებრ, ექიმის ან სამედიცინო მომსახურეობის შერჩევა. ამრიგად, წამოიჭრება კითხვა-ეწინააღმდეგება თუ არა ეთიკური ინდივიდუალიზმი ეგალიტარული ბუნება /რომელიც აღვწერე/ მის ლიბერალურ ხასიათს?

არა. თუ ჩვენ მივიღებთ რესურსების თანასწორობას, როგორც დისტრიბუციული თანასწორობის საუკეთესო კონცეფციას, მაშინ თანასწორობა და თავისუფლება პარტნიორები არიან და არა მოწინააღმდეგეები, ვინაიდან, თანასწორობის ამ კონცეფციისათვის თავისუფლება სავალდებულოა. კერძოდ, რელიგიის და რწმენის თავისუფლება, პიროვნული არჩევანის თავისუფლება. შრომისა და მისი სახეობის არჩევნის უფლება-იმდენად სავალდებულოა თანასწორობისათვის, რომ აქ ნებისმიერი კომპრომისის მოთხოვნა საზოგადოებას, აშკარად, ანტიეგიტალურად წარმოაჩენს. ეს ცხადად ჩანს ჩემს მიერ წარმოდგენილ რესურსების თანასწორობის მოკლე მიმოხილვაში. ასე გაგებული თანასწორობიდან გამომდინარე თანაბარი განაწილება დამოკიდებულია არა სუფთა შედეგებზე, რომლის პირდაპირი გაზომვაც შეიძლება ისევე, როგორც უპირატესობა კმაყოფილებისა, არამედ იმ კოორდინირებულ გადაწყვეტილების პროცესზე, რომელშიც ადამიანებს საშუალება ეძლევათ განსაზღვრონ სხვა ადამიანებისათვის მათი საკუთარი გეგმების შესაძლებელი ღირებულება და ამგვარად, ისე შექმნან და გარდაქმნან ეს გეგმები, რომ მხოლოდ მათი რესურსების სამართლიანი წილი იქნას გამოყენებული, რომელიც, პრინციპში, ყველასათვის ხელმისაწვდომია.

მიაღწევს თუ არა კონკრეტული საზოგადოება რესურსების თანასწორობას დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად ადექვატურია მსჯელობის პროცესი და მისგან გამომდინარე არჩევანი. ასეთი პროცესი რომ ადექვატური იყოს, საჭიროა, თავისუფლების საკმაოდ მაღალი დონე, ვინაიდან, ერთი ადამიანის მფლობელობაში მყოფი რესურსების და შესაძლებლობების ნამდვილი ღირებულება სხვებისათვის მაშინ განისაზღვრება, როდესაც ადამიანების მიზნები და შეხედულებები ჭეშმარიტია, ხოლო მათი არჩევანი და გადაწყვეტილებები ზუსტად მიესადაგება ამ მიზნებსა და შეხედულებებს. არცერთი მათგანი არ არის შესაძ-

ლებელი ჭეშმარიტი თავისუფლების გარეშე. თანასწორობის ამ კონცეფციის მიხედვით, თავისუფლება საჭიროა თანასწორობისათვის, არა იმ საეჭვოდა არამყარი ჰიპოტეზით, რომ ადამიანები თავისუფლებას მეტად აფასებენ, ვიდრე სხვა რესურსებს, არამედ იმიტომ, რომ თავისუფლება /აფასებენ თუ არა მას ადამიანები/ სავალდებულოა ნებისმიერი პროცესისათვის, რომელიც განსაზღვრავს და უზრუნველყოფს თანასწორობას. ეს არ ხდის თავისუფლებას უფრო სასარგებლოს დისტრიბუციული თანასწორობისათვის. ვიდრე ამ უკანასკნელს თავისუფლებისათვის. ეს ორი მოსაზრება უფრო სრულად ერწყმის ეთმანეთს, როდესაც განაწილებისა და რესურსების გამოყენების კანონი თანაბრად ზრუნავს ყველაზე.

აქედან გამოდის, რომ რესურსების თანასწორობა ჩვენგან მოითხოვს განსხვავებულ შეხედულებებს ისეთ პოლიტიკური სახის პოლემიკაზე, როგორცაა პოლემიკა კერძო განათლებას და კერძო მედიცინაზე, რაც საყოველთაოდ აღიარებულია გადაწყვეტი არჩევანის ფაქტორად თავისუფლებას და თანასწორობას შორის. განათლების და მედიცინის არჩევანის თავისუფლების შეზღუდვა აზრკოლებს ადამიანების მიერ პრიორიტეტების და არჩევანის გამოხატვას და, ამიტომ, ლიბერალური თვალსაზრისით, თანასწორობის გადაგვარებას უფრო უწყობს ხელს, ვიდრე მის წინსვლას. იმ ძირითადი მორალურად ყველაზე მნიშვნელოვანი თავისუფლების შელახვა, რომელთა დაცვაზეც ყველაზე მეტად ზრუნავენ სიტყვის და მორალური თავისუფლება, ამკარად, უფრო გადაავარებს, ვიდრე განავითარებს თანასწორობას. რესურსების თანასწორობა ფუნდამენტალურად ეწინააღმდეგება სახელმწიფო სოციალიზმს ან ნებისმიერ სხვა ეკონომიკურ სისტემას, სადაც არჩევანი, თუ როგორ ვიშრომით, ან ვიცხოვროთ, კოლექტიურად კეთდება და არა ინდივიდუალურად.

ახლა უნდა გამოვკვეთოთ თავისუფლების და თანასწორობის შესაბამისობის გამამართლებელი დებულების ორი შემდგომი პუნქტი: პირველი - ისედაც ცხადია, არგუმენტი გულისხმობს, რომ დაბეგვრა, თავისთავად არ არის თავისუფლების შეზღუდვა, როგორც ზოგიერთი ამტკიცებს. სამართლიანი საგადასახადო სისტემა არის ხერხი დაადგინო ადამიანს თავისი ფიზიკური შემოსავლიდან რა წილი შეიძლება დარჩეს. ის საშუალებას იძლევა

ისეთ მდგომარეობაში ჩააყენოს ადამიანი, რომ მას არ შეეძლოს იმ ფულის დახარჯვა, რომელიც მორალურად მას არ ეკუთვნის, თან, არც მისი თავისუფლება შეზღუდვო, თავისუფლების ნებისმიერი მისაღები კონცეფციის თანახმად. მეორე, ეს დებულება არ გულისხმობს, რომ თანასწორობის ან თავისუფლების კონცეფცია დაუშვებლად მიიჩნევს ადამიანისათვის სასურველი ქმედების შეზღუდვებს. პირიქით, თანასწორობა მოითხოვს სრული თავისუფლების გარკვეულ, კანონიერ საზღვრებს, რაც საჭიროა, როგორც საკუთრების, ასევე, პიროვნების უსაფრთხოებისათვის, რადგან რესურსები ვერ მოერგება გეგმებსა და პროექტებს, თუკი ადამიანებს არ ექნებათ მათ მიერ მოპოვებული რესურსების გაკონტროლების იმედი.

და მაინც, თანასწორობის ამ კონცეფციით, თავისუფლების ნებისმიერი შეზღუდვა, რომელიც აუცილებელი არ არის უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად, საჭიროებს განსაკუთრებულ გამართლებას. არჩევანის თავისუფლების ზოგადი მოსაზრება თვით რესურსების თანასწორობის არსში დევს. მას აქვს მნიშვნელოვანი დაუყოვნებელი შედეგი, რომლის განსახილველადაც უნდა შევჩერდეთ. ის ეთანხმება ჯონ მილის ლიბერალურ ტრადიციასთან დაკავშირებულ შემდეგ თეზისს: კანონიერი აკრძალვები არ შეიძლება გამართლებული იქნას მხოლოდ იმ საფუძველზე, რომ აკრძალული ქმედება შეურაცმყოფელია ზოგი წამყვანი რელიგიური და მორალური ორთოდოქსიისათვის. შეიძლება შეგვეჩინა აღმდეგონ, რომ თანასწორობა უპირისპირდება მილისეულ პრინციპს, ვინაიდან, გარკვეული გემოვნების და არჩევანის გავრცელება, ვთქვათ, პორნოგრაფიისა და რასიზმისა, -ხელს უშლის ზოგიერთ ადამიანს, -ქალებს ან რასობრივი უმცირესობის წარმომადგენლებს, - წარმატების მიღწევაში. ასე, რომ **თანასწორობა ამ არჩევანზე ცენზურას ემხრობა და არა ტოლერანტობას.** რასაკვირველია, ზოგიერთი ადამიანის ზოგი შეხედულება და გემოვნება მდარე და შეურაცმყოფელია, მაგრამ რესურსების თანასწორობა არ იძლევა ამგვარი არჩევანის ცენზურის ან კრიმინალიზაციის მიზეზებს. პირიქით, ის საწინააღმდეგო ძლიერ არგუმენტს გვთავაზობს.

ამ კონცეფციით თანასწორობის მიზანია ადამიანების ხელთ არსებული ობიექტიური რესურსები და შესაძლებლობები /რომ-

ლის საშუალებითაც უნდა განახორციელონ თავისი ცხოვრებისეული გეგმები და პროექტები, დაფიქსირებული იქნას სამართლიანი საწყისის მქონე ეკონომიკური ბაზრით და არა კოლექტიური მსჯელობით იმის შესახებ, თუ რამდენად მისაღებია კონკრეტული აზრები და გემოვნებები, რომელსაც ცალკეული პიროვნებები სთავაზობენ ეკონომიკურ ბაზარს. ლიბერალური კონცეფცია ზოგად თანასწორობის შესახებ იგივე აზრს ავრცელებს სოციალურ და მორალურ გარემოზეც. ის მოითხოვს, რომ ეს გარემო შეიქმნას თავისუფალი გემოვნების და არჩევანის შესაბამისად. იმის მიუხედავად, თუ რამდენად უსიამოვნო და მიუღებელია იგი უმრავლესობათვის ან რომელიმე პატარა ჯგუფისათვის.⁶⁴

ვ) კომუნის მოთხოვნები, ვინაიდან, ეთიკური ინდივიდუალიზმის მიხედვით, განსაკუთრებული და პირველადი მნიშვნელობა ენიჭება ინდივიდის ცხოვრებას, ხოლო, ინდივიდის ცხოვრების ბედი დამოკიდებულია იმ კომუნის წარმატებებსა და მარცხზე, რომელშიც ეს ცხოვრება მიმდინარეობს. ეთიკური ინდივიდუალიზმი, უთუოდ დადგება შემდეგი საკითხის წინაშე, -უნდა შეეწიროს თუ არა თავისუფლება და თანსწორობა კომუნის წარმატებას, და თუ უნდა შეეწიროს, - რა მასშტაბით? ხშირია კრიტიკა, როგორც უკვე ავლინა, იმის თაობაზე, რომ ლიბერალიზმი სათანადო ყურადღებას არ უთმობს კომუნის მოთხოვნებს. ეს ბრალდება კეთდება ორივეს, კონსერვატორებისა და რადიკალების მიერ. ორივე ჯგუფი აცხადებს, რომ ლიბერალური ტოლერანტობა არაფრად აგდებს კომუნის კოლექტიური ფასეულობების წინ წამოწევის მნიშვნელობას. კონსერვატორები და რადიკალები, რასაკვირველია, ვერ თანხმდებიან იმის თაობაზე, თუ რომელი კოლექტიური ფასეულობა უნდა შევინარჩუნოთ. კონსერვატორები იცავენ ტრადიციულ მორალურ ფასეულობებს, რადიკალები კი სრულიად განსხვავებულ, არატრადიციულ ღირებულებებს ანიჭებენ უპირატესობას, რომელიც, მათი აზრით, უნდა დამკვიდრდეს კომუნაში. მაგრამ ეს ორი ჯგუფი, ხანდახან, მაინც თანხმდება კონკრეტულ პოლიტიკურ კურსზე, როგორცაა, ვთქვათ, პორნოგრაფიის ცენზურის საკითხი. თუმცა, მეტწილად, ამ ორი პოლარული მიმდინარეობის ლიბერალური ტოლერანტობის კრიტიკოსები ვერა და ვერ შეთანხმდნენ, თუ რა კონკრეტული ზომები უნდა იქნას მიღებული, რათა ხელი შეუწყოს კომუნის შესახებ მათი, ძალზე განსხვავებული მოსზრების

დამკვიდრებას.

აზრი, რომ ლიბერალები გულგრილად ეკიდებიან, კომუნის ხასიათის მნიშვნელობას და მოთხოვნილებას, ძალზე მცდარია. ლიბერალები, კონსერვატორებთან და რადიკალებთან იმაზე კი არ დავობენ, მნიშვნელოვანია თუ არა კომუნა, ან უნდა დაუკავშირონ თუ არა ადამიანებმა თავიანთი ბედი დიდ სოციალურ გაერთიანებას, არამედ, დაპირისპირება მდგომარეობს პოლიტიკური კომუნის განსაკუთრებულ ხასიათში და იმ განსაკუთრებულ გზებში, რომელთა საშუალებით, ადამიანები არიან და უნდა იყვნენ გაერთიანებული ამ განსაკუთრებული სახის კომუნებში. პოლიტიკური კომუნის შესახებ ლიბერალების კონცეფციის არსი მდგომარეობს შემდეგში: ადამიანები უამრავი სხვადასხვა სახის კომუნის წევრები არიან-ეთიკური, ბიოლოგიური, რელიგიური, პროფესიული, გეოგრაფიული და სოციალური. შეგნებული ადამიანები ხვდებიან, რომ ისინი ეთიკურად ინტეგრირებულნი არიან ამ სხვადასხვა კომუნებში. ე.ი. ისინი ხვდებიან, რომ იმ კომუნის წარმატება და მარცხი, რომლებსაც ისინი ეკუთვნიან, განაპირობებს მათი საკუთარი ცხოვრების წარმატებას და მარცხს. მაგრამ ამ ინტეგრაციის ხასიათი დამოკიდებულია მოცემული კომუნის ხასიათზე.

პოლიტიკური კომუნის შემთხვევაში ინტეგრაციის მისაღები ფორმა არის ზრუნვა მის საკუთარ პოლიტიკურ ფასეულობებზე. ზრუნვა ეთიკური ინდივიდუალიზმის ლეგიტიმური პოლიტიკური მიზნების წარმატებით მიღწევაზე. პოლიტიკურ კომუნაში ადამიანები, ამ თვალსაზრისით, ერთმანეთთან იმ საერთო აზრით არიან დაკავშირებული, რომ მნიშვნელოვანია სამართლიანობა სხვების მიმართ. თავისუფლებისა და თანასწორობის პატივისცემა, საუკეთესო კონცეფციის მიხედვით, ჩადებულია კომუნის პატივისცემა და ინტეგრაციაში. ეს ფასეულობანი, კვლავაც ვიმეორებთ, შეთავსებადია და არა ანტაგონისტური.

აქედან გამომდინარე, კონტრასტი დიდია, პოლიტიკურ კომუნის შესახებ ლიბერალების კონცეფციასა და მისი მოწინააღმდეგე, კონსერვატიულ და რადიკალურ კონცეფციებს შორის. მოწინააღმდეგე კონცეფციები ცდილობენ პოლიტიკური კომუნის განსაზღვრას იქიდან გამომდინარე, თუ რასახის კარგ და ღირებულ ცხოვრებას ირჩევს კოლექტივი. ისინი ფიქრობენ, რომ

ადამიანებს თავიანთი ბედის სხვებთან დაკავშირება ღირებული ცხოვრების კოლექტიურად არჩევის გზით შეუძლიათ და რომ აქედან გამომდინარე ლიბერალური ტოლერანტობა და თანასწორობა, რომელიც უარყოფს, ამ საკითხში, კოლექტიურ არჩევანს, პოლიტიკური კომუნის მიმართ მტრულადაა განწყობილი. ლიბერალიზმი კი არ ეწინააღმდეგება, არამედ მხარს უჭერს პოლიტიკური კომუნის სხვაგვარ გაგებას, რომლის მიხედვითაც ის პრინციპს ეფუძვნება და არა სათნოებას. ამ თვალსაზრისით ლიბერალიზმი პლატონურია. პლატონი, თუმცა სხვა საკითხებში შორს დგას ლიბერალიზმისაგან, ამტკიცებს, რომ არსებობს განსაკუთრებული კავშირი პოლიტიკურ სამართლიანობას და პიროვნულ წარმატებას შორის. ის ამბობს, რომ კარგი ცხოვრება მხოლოდ სამართლიან საზოგადოებაშია შესაძლებელი. ლიბერალიზმიც ამ აზრისაა პიროვნების კომუნაში ინტეგრაციის მისაღები ფორმების შესახებ.⁶⁵

ზ) დემოკრატიის ორი კონცეფცია, ამ ესეს მომდევნო თავში მე ხაზგასმით გესაუბრებით კომუნის შესახებ ლიბერალური კონცეფციის კერძო საკითხებზე, რომლებსაც, ჩემი აზრით, განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ჩვენი დისკუსიისათვის ლიბერალიზმის გავრცელებაზე, განსაკუთრებით, აღმოსავლეთ ევროპაში. დემოკრატია გულისხმობს კომუნას, ვინაიდან დემოკრატია, როგორც მმართველობის თითქმის ყველა სხვა ფორმა, გულისხმობს კოლექტიურ ქმედებას. ჩვენ ვამბობთ, დემოკრატიის დროს მმართველი-ხალხია. ჩვენ ვგულისხმობთ, რომ ადამიანები კოლექტიურად მოქმედებენ, მაგ., ირჩევენ ხელმძღვანელს, რასაც არ და ვერ გააკეთებს ერთი პიროვნება.

კოლექტიური ქმედების ორი ტიპი არსებობს-სტატისტიკური და კომუნური- და ამიტომ არსებობს დემოკრატიის ორი კონცეფცია. კოლექტიური ქმედება სტატისტიკურია, როდესაც ჯგუფის ქმედება დამოკიდებულია იმის /ზოგჯერ ან სპეციფიკურ/ ფუნქციაზე, რასაც აკეთებენ ჯგუფის ცლკეული წევრები დამოუკიდებლად, ე.ი. არაჯგუფურად. ჩვენ შეიძლება ვთქვათ, რომ ზოგი ქვეყნის, მაგ., იტალიის ხალხს სჭირდება უფრო აგრესიული ინტერვენციული ეკონომიკური პოლიტიკა. ჩვენ ავლწერთ კოლექტიური ტიპის ქმედებას. ვერცერთი იტალიელი ვერ იმოქმედებს ისე, რომ დაგვარწმუნოს, რომ მთელი იტალიელი

ხალხი, კონკრეტულად, ასე ფიქრობს. მაგრამ იტალიელი ხალხის მაგალითი, მაინც მხოლოდ სიტყვის მასალაა. ჩვენ არ ვფიქრობთ, რომ არსებობს ზეადამიანი, ე.წ. იტალიელი ხალხი, რომელსაც აქვს საკუთარი აზრი. ჩვენი რემარკა მხოლოდ უხეშ სტატისტიკურ აზრს იძლევა იმის შესახებ, თუ /ვთქვათ/ , რას ფიქრობს იტალიელების უმრავლესობა, ან რას ფიქრობს იმ იტალიელების უმრავლესობა, რომლებიც ფიქრობენ ამ საკითხზე და ა.შ. ან შეიძლება ვთქვათ, რომ გუშინ უცხოურმა სავალუტო ბირჟამ ლირის კურსი ასწია. ჩვენ ისევ კოლექტიურ ქმედებებს აღწერთ, უცხოური ვალიტის ბირჟაზე მნიშვნელოვანი ზემოქმედება, მხოლოდ, ბანკირების და დილერების დიდ ჯგუფს შეუძლია. მაგრამ ჩვენი მიმართვა კოლექტიური ორგანიზმისადმი, სავალუტო ბირჟისადმი, არ არის გამიზნული რაიმე კონკრეტული ორგანიზმის გამოკვეთისათვის. ნათქვამის მნიშვნელობის შეუცვლელად შეგვიძლია გავაკეთოთ, აშკარად, სტატისტიკური განცხადება. ძალზე დიდი რაოდენობის კერძო ფულადმა გარიგებებმა განაპირობა ლირის მაღალი კურსი ბოლო ვაჭრობაზე.

მეორე მხრივ, კოლექტიური ქმედება კომუნალურია, როდესაც ის არ შეიძლება დავიყვანოთ ინდივიდუალური ქმედების რაღაც სტატისტიკურ ფუნქციამდე. ის კოლექტიურია იმ ღრმა აზრით, რომ მოითხოვს პიროვნებებისაგან დაუშვან ჯგუფის, როგორც ცალკე ერთეულის ან მოვლენის არსებობა. ამის მაგალითია ყველასათვის ცნობილი ძალზე ძლიერი კოლექტიური დანაშაული. გერმანელები პასუხისმგებლობას გრძნობენ იმის გამო, რაც მთელმა გერმანიამ, და არა უბრალოდ სხვა გერმანელებმა გააკეთეს. მათი პასუხისმგებლობის გრძნობა ნათელყოფს, რომ ისინი, რადცნაირად, თვითონაც დაკავშირებული არიან ნაცისტურ ტერორთან, რადგან ეკუთვნიან იმ ერს, რომელმაც ჩაიდინა ეს დანაშაული. ორკესტრს შეუძლია შეასრულოს სიმფონია, ერთ მუსიკოსს კი -არა, მაგრამ ეს არ იქნება სტატისტიკური კოლექტიური ქმედება, ვინაიდან, საორკესტრო შესრულებისათვის არ არის საკმარისი მუსიკოსების სპეციფიკური ფუნქცია,-დაუკრან მხოლოდ შესაფერისი პარტიტურა. მთავარია, მათ დაუკრან მხოლოდ შესაფერისი პარტიტურა. მთავარია, მათ დაუკრან, როგორც ორკესტრმა. ეს ნიშნავს, რომ ითოეული მუსიკოსის მიზანი უნდა იყოს დაუკრას არა როგორც ცალკეულმა პიროვნებამ, არამედ თავისი წვლილი შეიტანოს ჯგუფურ წარმოდგენაში.

სხვაობა სტატისტიკურ და კომუნურ ქმედებებს შორის საშუალებას გვაძლევს ორნაირად ავხსნათ ის ბანალური აზრი, რომ დემოკრატია გულისხმობს კოლექტიურ ქმედებას. ასევე ორნაირად წავიკითხოთ **ლინკოლნის გამონათქვამი, რომ დემოკრატია არის ხალხის მმართველობა, განხორციელებული ხალხის მიერ, ხალხისთვის**. პირველი ახსნა სტატისტიკურ ხასიათს ატარებს. დემოკრატიაში პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღება თითოეული კერძო მოქალაქის მიერ ხდება, - ან მათი გადაწყვეტილებების ან სურვილების საფუძველზე. ამ გაგების მიხედვით, დემოკრატია განსხვავდება მმართველობის სხვა ფორმებისაგან, ვინაიდან, დემოკრატიაში მოქმედი ფუნქცია მაჟორიტარულია ან პლურალური მაინც, მაშინ როდესაც მმართველობის სხვა ფორმებში გამოიკვეთება, სრულიად სხვა, სტატისტიკური ფუნქციები. მეორე ახსნა-კომუნალურია: **დემოკრატიაში პოლიტიკური გადაწყვეტილებებს იღებს გარკვეული ორგანიზმი, - ანუ ხალხი, - და არა ცალკეული პიროვნებების კრებული**. ამ ფორმულირების მიზანია შეგახსენოთ რუსოსეული ზოგადი მოსაზრება, რომელიც, ჩემი აზრით, მიუთითებს დემოკრატის უფრო კომუნურ, ვიდრე სტატისტიკურ კონცეფციაზე.

სხვაობას დემოკრატის ორ კონცეფციას შორის უდიდესი პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს, ვინაიდან, ის გადაწყვეტია იმ საკითხში, თუ როდის შეიძლება მაჟორიტარული გადაწყვეტილება, რომელსაც განსაკუთრებული ზარალი მოაქვს ზოგიერთი უმცირესობათა ჯგუფისათვის, გამართლდეს და ლეგიტიმურად ჩაითვალოს მისი დემოკრატიულობის გამო. სტატისტიკური გაგებით, ნებისმიერი პოლიტიკური გადაწყვეტილება, რომელიც გამოხატავს ნებისმიერი პოლიტიკური საზოგადოების უმრავლესობის ჭეშმარიტ ნებას, შეიძლება მოითხოვდეს ამ გამართლებას. მიუხედავად იმისა, რომ გადაწყვეტილებას შეიძლება დაუპირისპიროთ კონტრარგუმენტი იმის შესახებ, რომ ის უსამართლო ან არაგონივრულია. მაგრამ დემოკრატის კომუნურ კონცეფციას მეტი სჭირდება, ხმების უმრავლესობა უზრუნველყოფს დემოკრატიულ გამართლებას მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ საზოგადოებას ანუ კომუნას ყველა ის თვისება აქვს, რომელიც საჭიროა, რომ კომუნური თვალსაზრისით, იგი წმინდა პოლიტიკურ გაერთიანებად ჩაითვალოს. მას, აგრეთვე, უნდა ჰქონდეს მორალური ერთიანობა, რათა ჩაითვალოს დამოუკიდებელ

მორალურ ერთეულად, ხოლო ეს ერთიანობა მას მხოლოდ იმ შემთხვევაში ექნება, თუ ის ყველა თავის მოქალაქეზე ერთნაირად ზრუნავს, მათ სტატუსით გათვალისწინებულ თავისუფლებას და თანასწორობას ანიჭებს. გადაწყვეტილებები, რომლებიც კვეცავენ უმცირესობათა უფლებას მონაწილეობა მიიღონ კომუნის საერთო გადაწყვეტილებების მიღებაში, - ფინანსურ წარმატების შემთხვევაში უმცირესობას არ აძლევს თავის კუთვნილ წილს, ან შეურაცყოფენ ზოგიერთი ჯგუფის მორალურ დამოუკიდებლობას, - არ შეიძლება მიჩნეული იქნას დემოკრატიულად. ამ შემთხვევაში, მნიშვნელობა არ აქვს მომხრე უმრავლესობის რაოდენობრივ აღმატებულობას, ვინაიდან, ეს გადაწყვეტილებები საფუძველშივე კვეცენ დემოკრატიული თეორიის წინამძღვრებს.

მე ახლახან შევხეხე ჭეშმარიტი კომუნის სამ მოთხოვნას: მონაწილეობას, წილს, და დამოუკიდებლობას. მონაწილეობის მოთხოვნით, შეიძლება აიხსნას თუ რატომ ვაკავშირებთ კომუნურ ანუ საზოგადოებრივ დემოკრატიას უნივერსალურ ან უნივერსალურთან მიახლოებულ კენჭისყრასთან ანუ „თვითეულს -თითო ხმა“ სახის არჩევნების სქემასთან და ისეთ წარმომადგენლობით სტრუქტურებთან, რომლებიც პოლიტიკურ დაწესებულებებს ყველასათვის ხელმისაწვდომს ხდის. მხოლოდ ამ სახის სქემა აკმაყოფილებს მონაწილეობის მოთხოვნას. ისტორიას, რომელიც მნიშვნელობებს ანიჭებს სტრუქტურებს, გარკვეული წვლილი მიუძღვის ამ აზრის ჩამოყალიბებაში. ვინაიდან, არჩევნების სქემები, რომლებიც არ იყო დამყარებული თანასწორ კენჭისყრაზე, ჩვეულებრივ ასახავდა აზრს, რომ მდიდრები მეტად იმსახურებენ მმართველობაში მონაწილეობას, ვიდრე ღარიბები, ან ზოგიერთი რასა დაჩაგრულია უფლებების და შესაძლებლობების მხრივ, ან ერთი სქესი დამოკიდებულია მეორეზე და უნდა იყოს კიდევ, ამიტომ სქემიდან „თვითეულს-თითო -ხმა“ ნებისმიერი თანამედროვე სხვა ვარიანტი მონაწილეობის პრინციპისათვის შეურაცმყოფელ პარალერულ მიმართულებად უნდა იქნას მიჩნეული. მაგრამ ეს ყოველთვის ასე არ არის და ხანდახან ისტორია კი არ კიცხავს არამედ იცავს კიდევ ინსტიტუტს, რომელიც უხვევს პრინციპიდან „ერთი ხმის უფლება“. ისტორია, მაგ., შეერთებული შტატების სენატის შემადგენლობას სამართლიანად მიიჩნევს, ძირითადად მაინც. გადახვევები წესიდან „ერთი ხმის უფლება“ შეიძლება გამართლებული იქნას, ვინაიდან ის არ ბღალავს მონა-

წილეობის პრინციპს, მაგ., რაიონებად დაიყოფა, განსაკუთრებული ხმის უფლებას აძლევს განსაკუთრებული მოთხოვნილების მქონე ჯგუფებს.

მონაწილეობის მოთხოვნა იმასაც ხსნის, თუ რატომ არის პოლიტიკური უფლებები, ვთქვათ, სიტყვის ან პროტესტის თავისუფლება, დემოკრატიის იდეის შემადგენელი ნაწილი. თუ ყოველ მოქალაქეს გარკვეული როლი უნდა მიენიჭოს პოლიტიკაში, რაც ერთგვარად იმის ნიშანია, რომ რაღაც, მართლაც, შეიცვალოს, მაშინ მას უნდა ჰქონდეს აზრის გამოთქმის და არა მარტო კენჭისყრის უფლება, განსაკუთრებით, დიდ პოლიტიკურ საზოგადოებაში. ხმის მიცემის სქემა, რომელიც ზღუდავდა მოქალაქეების უმრავლესობის მონაწილეობას საბოლოო კენჭისყრაში, დებატების დამთავრების შემდეგ, არც ხელს შეუწყობდა და ვერც გაამართლებდა დემოკრატიულ დამოკიდებულებას და სელექციური ხასიათის ცენზურა დაარღვევდა მონაწილეობის პრინციპის მეორე ნაწილს, რომელიც აყენებს პირობას, რომ ადამიანების პოლიტიკური ძალაუფლება არ უნდა იყოს დათრგუნული იმ კანონებით, რომლებიც უპირისპირდებიან თანაბარ პატივისცემას.

პარალერული მოთხოვნა, რომ ყოველ მოქალაქეს უნდა ჰქონდეს წილი ნამდვილი დემოკრატიის წარმატებაში, ასახავს კომუნური მმართველობის ძირითადი იდეის ჩვეულ გაგებას. კოლექტიური პასუხისმგებლობის ერთეულის წევრობა გულისხმობს ორმხრივობას: პიროვნება არ ითვლება კოლექტიური ერთეულის წევრად, რომელიც იზიარებს მის მარცხსა და წარმატებას, თუ მას დანარჩენები წევრად არ თვლიან, ხოლო, მისადმი როგორც წევრისადმის დამოკიდებულება გულისხმობს, რომ მის ცხოვრებასა და ინტერესებზე კოლექტიური ქმედების გავლენა ისეთივე მნიშვნელოვანია, როგორც ნებისმიერი სხვა წევრის ცხოვრებასა და ინტერესებზე. მიუხედავად იმისა, რომ ის გერმანელებიც კი, რომლებიც აქტიურად ეწინააღმდეგებოდნენ ჰიტლერს, გარკვეულწილად, გრძნობდნენ პასუხისმგებლობას მისი დანაშაულის გამო. აბსურდული იქნებოდა, მსგავსი გრძნობები ჰქონოდათ გერმანელ ებრაელებს. ამგვარად, დემოკრატიის კომუნური კონცეფცია განმარტავს იმ გრძნობას, რომელსაც თითოეული ჩვენთაგანი იზიარებს, რომ საზოგადოება, რომელშიც უმრავლესობა უსამართლოდ ანაწილებს რესურსებს, არადემოკრატიული და უსამართლოა. **კომუნური კონცეფცია აერთიანებს**

პროცედურულ და დამოუკიდებელ სამართლიანობას და ამტკიცებს, რომ დემოკრატია ნიშნავს მმართველობას ხალხის მიერ და ხალხისათვის. ამ კონცეფციით სხვაობა სამართლიანობის ამ ორ ნაწილს შორის მხოლოდ ზედაპირულია. როგორ ექცევა კომუნა თავის წევრებს განპირობებულია იმით, თუ როგორ ხდება მისი წევრობის განსაზღვრა და აქედან გამომდინარე იმით, მიიღება თუ არა პოლიტიკური გადაწყვეტილებები მათი შემცვეელი კოლექტიური მორალური ერთეულის მიერ.

მესამე მოთხოვნა, რომ კომუნურმა დემოკრაციამ პატივი უნდა სცეს თავისი წევრების მორალურ დამოკიდებულებას, ნათელს ხდის, რატომ მოითხოვენ ლიბერალები ტოლერანტობას. ნამდვილად დემოკრატიული კომუნის მოქალაქეებს ხელი უნდა შეეწყოს, რომ მორალური და ეთიკური აზრები თავის და არა კოლექტიური ერთეულის პასუხისმგებლობად მიიჩნიონ. სხვაგვარად, ისინი დემოკრაციას კი არ შექმნიან, არამედ მონოლითურ ტირანიას. ამიტომაც მოითხოვს დამოუკიდებლობის პრინციპი, რომ დემოკრატიულმა მთავრობამ კი არ უნდა უკარნახოს მოქალაქეებს, თუ რა იფიქრონ პოლიტიკური, მორალური და ეთიკური საკითხების შესახებ, არამედ პირიქით, შექმნას პირობები, რომლებშიც მოქალაქეებს საშუალება ექნებათ თვითონ მივიდნენ საკუთარ დასკვნამდე ანალიზისა და ინდივიდუალური შემეცნების გზით.

რასაკვირველია, უეჭველია, რომ პიროვნებაზე გავლენას ახდენს /გარკვეულ აბსტრაქტულ დონეზე/ ის, რაც არსებობს მათ კულტურაში, პრაქტიკის, მაგალითების და ლექსიკის საშუალებებით. რასაკვირველია, ჩვენ შეიძლება და ალბათ, უნდა დავინტერესდეთ კიდევ, ჩვენი თანამოქალაქიების ცხოვრების წესით და იმითაც, სამართლიანად ექცევიან მათ თუ არა. და **რასაკვირველია, ერთად, და არა ცალკ-ცალკე, უნდა ვიფიქროთ და ვიმსჯელოთ ზნეობაზე და კეთილდღეობაზე. დამოუკიდებლობის პრინციპები არც უარყოფს და არც კრძალავს ამას.** ის არც კომუნას უკრძალავს შეცვალოს თითოეული მოქალაქის შეხედულება დარწმუნების გზით, ე.ი. იმ საშუალებებით, რომელიც კი არ თრგუნავს, არამედ ზრდის შემეცნების უნარს. მაგრამ პრინციპი ხაზგასმით აცხადებს, რომ დემოკრატია ირღვევა, როდესაც კომუნა იყენებს იძულებით, ფარულ ან პირდაპირ ხერხებს მოქა-

ლაქეების შეხედულებების ჩამოსაყალიბებლად. ნებისმიერი კოლექტიური მისწრაფება უკარნახოს პიროვნებას ინდივიდუალური შეხედულება ანგრევდა დემოკრატიას ორიდან ერთ-ერთი გზით. თუ კოლექტიური მისწრაფება არის ზოგადი და იღებს, მთელ რიგ, პიროვნულ რწმენებს და აზრებს, როგორც ეს თეოკრატიულ დესპოტიზმში ხდება, მაშინ ამგვარი მისწრაფებების არსებობა უარყოფს კომუნის ინტეგრაციულ ხასიათს, ანუ, ის კომუნურ დემოკრატიას კი არა, მონოლითურ კომუნას ესწრაფვის. თუ კოლექტიური მისწრაფება სელექციური და დისკრიმინაციულია, თუ მისი მიზანი მხოლოდ ის არის, აღმოფხვრას მოსაზრებები, რომლებიც კოლექტიურად მცდარად ან დამლუპველადაა მიჩნეული, მაშინ ის სპობს იმ მოქალაქეების ინტეგრაციას, რომლებიც რეფორმის ობიექტები არიან, ვინაიდან, სრულიად გამორიცხავს მათ კომუნი და თვალსაზრისის დამოუკიდებლობა, სხვა სიტყვებით არის ინტეგრაციული კომუნის წევრობის პირობა. ისევე, როგორც აბსურდულია გერმანელმა ებრაელმა აიღოს კოლექტიური პასუხისმგებლობა ნაცისტების სისასტიკეზე. აბსურდულია ისიც, რომ მე ვიფიქრო საკუთარ თავზე, თითქოს ვინაწილებ ინტეგრირებულ კოლექტიურ პასუხისმგებლობას ჯგუფში, რომელიც უარყოფს ჩემს მიერ გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მიღების უნარს.

ყველაფერი ეს, შეიძლება, ბანალურად მოგეჩვენოთ, მაგრამ მას სერიოზული შედეგები მოყვება. ეს ემატება, ჯერ ერთი ჩემს მიერ აღწერილ მონაწილეობის პრინციპს, რომელიც პოლიტიკურ უფლებებს აღიარებს, როგორც აუცილებელს დემოკრატიისათვის. ის მოითხოვს სტრუქტურულ ადგილს სიტყვის, კავშირების და რელიგიის თავისუფლების კონსტიტუციურ გარანტიებისათვის, რომელთაგან თითოეული აუცილებელია, რათა ნება დართო და წაახალისო ადამიანი პასუხისმგებლობა აიღოს საკუთარ პიროვნებაზე და შეხედულებაზე. ეს არაპოპულარული, სქესობრივი და პიროვნული მორალისადმი ლიბერალური მიდგომაა ტოლერანტობას დემოკრატიის აუცილებელ პირობად აყალიბებს. მე სიფრთხილე მმართველს, რომ არ წარმოვადგინოთ თითქოს ეს პრინციპი, ან ნებისმიერი პოლიტიკური პრინციპი-საკმარისია, რომ გავუმკლავდეთ იძულებითი მორალის საფუძველზე წამოჭრილ ყველა საკითხს. უამრავი არგუმენტი არსებობს იმის გასამართლებლად, რომ აუცილებელია, არალიბერალური შე-

ზღუდვები დაწესდეს ადამიანების არჩევანის თავისუფლებაზე, პიროვნული მორალისა და ეთიკის საკითხში. ახლა, საჭიროა შეიქმნას მათი ლიბერალური კონტრარგუმენტები. ჩემი ეს მოსზრება კვლავაც შეზღუდულია, მაგრამ გადამწყვეტი: ანუ ლიბერალური ტოლერანტობა /როგორც არ უნდა იყოს მისი მომხრე თუ მოწინააღმდეგე არგუმენტები/ კომუნურ კონცეფციაში დემოკრატიის სავალდებულო პირობაა.

მნიშვნელოვანია გავიგოთ, რომ ეს დებულება ვრცელდება ზოგიერთი ქმედებისა და შეხედულების ზოგიერთი ფორმების ტოლერანტობაზეც. გვექონდეს ეთიკური ვალდებულება / ისე, როგორცაა რელიგიური რწმება/ ნიშნავს, ცხოვრობდე მისი პრინციპებით. კომუნა ეწინააღმდეგება დამოუკიდებლობის პრინციპს იმით, რომ პიროვნულ რწმენას შეუთავსებელს ხდის მის რეალურ ცხოვრების წესთან იმითაც, რომ საერთოდ კრძალავს რწმენის არსებობას. ამიტომაც, რომ ადამიანები, რომლებიც უარყოფენ მორალისტურ კანონმდებლობას ამბობენ, რომ მათ სურთ, თავად, მიიღონ გადაწყვეტილება და არა უმრავლესობამ, მათ მაგივრად, მაშინაც კი, როდესაც კანონები საშუალებას აძლევენ მათ იფიქრონ, რაც სურთ, თუკი ისინი აკეთებენ, რასაც მათგან მოითხოვენ. ეს დაკვირვებები, შეიძლება დაგვეხმარონ იმის ახსნაშიც, თუ რატომ იყენებენ კონცტიტუციური კანონშემომქმედნი განმარტოების კონცეფციას, რათა განმარტონ, რატომ არის მორალიზმი არასწორი. ისინი ხვდებიან არა იმას, რომ პიროვნული გადაწყვეტილებები ინდივიდუალურია, იმ გაგებით, რომ ისინი მიიღება მარტო ყოფნის დროს, არამედ იმას, რომ ისინი უპირისპირდებიან საზოგადოს და, ამდენად მნიშვნელოვნად არიან გადაჯაჭვული შეხედულებებთან, რომ ისინი ჩართული უნდა იქნან კოლექტიურ გადაწყვეტილებებში.

ვამთავრებ იმით, რომ თქვენს ყურადღებას მივაპყრობ დემოკრატიის სტატისტიკური კონცეფციის საპირისპირო კომუნური კონცეფციის შედეგს. ის მხარს უჭერს ერთ იმ მოსაზრებას, რომელიც ამერიკის კონსტიტუციაში იშვიათად ხოლო ბოლო წლებში ევროპაშიც ძალზე პოპულარული გახდა. ნამდვილი დემოკრატია მოითხოვს, რომ უმცირესობა დაცული იქნას უმრავლესობის ნებისაგან იმ გარკვეული ინსტიტუტის /როგორცაა, უმაღლესი სასამართლო, ან კონსტიტუციური სასამართლო/ მიერ გამოტანილი და დაწესებული წერილობითი კონსტიტუციური

გარანტიებით, რომელიც თვითონაც მნიშვნელოვნადაა დაცული უმრავლესობის ნებისაგან. რასაკვირველია, ღია რჩება საკითხი, ნამდვილად აუმაჯობესებენ, თუ ეწინააღმდეგებიან ნამდვილ დემოკრატას შეერთებული შტატების კონსტიტუციის, ადამიანის უფლებათა ევროპის კონვენციის ან ნებისმიერი სხვა ეროვნული თუ საერთაშორისო კონსტიტუციების კონკრეტული დებულებები. ამას დიდი მნიშვნელობა აქვს, მაგრამ საჭიროა მისი ყოველი პუნქტის დეტალური, ცალკეული ანალიზი. მაგრამ ზოგადი აზრი, რომ დემოკრატია შესაძლებელია დაიხვეწოს უმრავლესობის ნების შეზღუდვით და რომ ზოგიერთი შეზღუდვა მაინც, რომელიც იცავს ზრუნვის თავისუფლებას და თანასწორობას, აუცილებელია, ნამდვილი პოლიტიკური საზოგადოების, ანუ კომუნის, ლიბერალური კონცეფციის მთავარი ნიშანია.⁶⁶

რეზიუმე: როლანდ დვორკინი ლიბერალური დემოკრატის საკითხებში მნიშვნელოვან როლს ანიჭებს დებატების გაგრძელებას (რაც მის ჯერ კიდევ ჩამოუყალიბებლობის მანიშნებელია), რამეთუ ვერ შევთანხმდით იმაზე, თუ რას ნიშნავს თავისუფლება, თვითგამორკვევა და რა სახის თანასწორობას მისცემენო. აცხადებს: ჩვენ ყველა ნეოლიბერალები ვართ და შეგვიძლია ვიმსჯელოთ თუ როგორ მოვაწყოთ უკეთესად ლიბერალური სახელმწიფოს არსებობა, რამეთუ ადგილი აქვს არაპროპორციულ პოლიტიკას. აღიარებს, რომ 1980-იანი წლებიდან ლიბერალიზმი ახალ ლიბერალიზმად გარდაიქმნა. თუმცა ვერ ხსნის, თუ რითი შეცვალეს მათ ძველი. ყველაფერი ეს კი გამოცხადებულია პოლიტიკურ რეალიზმად. თუმცა მას დღეს დღეობით არაფერი გაუკეთებია უთანასწორობის დასაძლევად. ადრე კომუნა მაინც გვიღვივებდა პასუხისმგებლობის გრძნობას მოქალაქის სიღარიბიდან გამოსახსნელად. სიტუაცია დასავლეთ და აღმოსავლეთ ევროპაში საკმაოდ განსხვავებულია. მათ არც იმის ილუზია გააჩნიათ, რომ ისტორია დამთავრდა.

განვითარებული დრამატული მოვლენები კომუნიზმის იდეოლოგიის ნაწილად გვევლინება. საშიშროებას ქმნის კომუნიზმის საყოველთაოდ აღიარებული მარცხისადმი დამოკიდებულება. კომუნა განიცდის ხრწნას.

აღნიშნავს, ფრანგი განმანათლებლების მიერ შემოთავაზებული სამ დიდ სათნოებას-თავისუფლებას, თანასწორობას და ძმობას,-სამმხრივი მეტოქეობა ახასიათებთ. ერთ-ერთის მისაღწევად

ნებისმიერმა პოლიტიკურმა საზოგადოებამ დანარჩენი ორი ან უნდა დათმოს, ანდა კომპრომისზე წავიდეს.

ამერიკაში მძლავრობს ეგალიტარული ლიბერალიზმი, ზრუნავენ ღარიბებსა და უმცირესობებზე, ევროპაში კი, თავისუფლებაზე ამახვილებენ ყურადღებას და ემხრობიან ეკონომიურ დამოუკიდებლობას. აშკარაა დაპირისპირება თანასწორობასა და თავისუფლებას შორის, რასაც აღიქვამენ, როგორც ბრძოლას ლიბერალიზმის შიგნით. თანასწორობა, ანუ კომუნა ლიბერალიზმს რთულ პირობებში აყენებს. ისინი თავისუფლებას ყველაზე მაღლა აყენებენ, რასაც ეთანხმებიან ეგიტალისტებიც. დვორკინი მომხრეა ლიბერალური კონცეფციისა და კომუნას შორის რომ ჩამოყალიბდეს ბალანსი. არ უარყოფს კომუნას, როგორც საზოგადოებრივი ცხოვრების დასაშვებ ფორმას. ინდივიდუალური თავისუფლების წინა პლანზე წამოწევა გაადარბებს კომუნას და დაიკარგება ხალხთა ურთიერთ პატივისცემა. ამგვარი კონფლიქტები აღმოსავლეთ ევროპაში გარდაუვალია და თანაც სახიფათო. თავისუფლება უარყოფს სოციალურ მიზანს. მისი აზრით აღმოსავლეთ ევროპის მოწინავე ნაწილი თანასწორობას მიიჩნევს დამღუპველად. მიაჩნია, რომ აღმოსავლეთ ევროპაში კომუნის მოსპობის შემდეგ გაბატონდება ნაციონალური კომუნისტურიზმი, რასაც მიიჩნევს საფრთხედ. დვორკინს მიზანშეწონილად მიაჩნია გამოვლინდეს არა ზემოხსენებული სათნოების დაშორიშორება, არამედ მათი დაახლოება და ერთიანობა. ამ კუთხით ცდილობს შესაბამისი გზების დასახვას. აცხადებს: უფლება გავაკეთო რაც მომესურვება, - თავისუფლება კი არა, თავაშეებულებაა. აღმერთებს კომუნის ფარგლებში არსებულ პოლიტიკურ საზოგადოებას. ჩვენ ვერ გადავწყვეტთ ლიბერალიზმის პრობლემებს გამნათლებელთა მიერ შემოთავაზებულ სათნოებებზე უკეთესის მოძებნის ან შექმნის გარეშე. რასაც თუ მოვძებნით, ვნახავთ, რომ ის კი არ შეეწინააღმდეგება ამათ, არამედ შეკრავს და გააძლიერებს მათ. ამაში გამოიკვეთება გაგებული ლიბერალიზმის ძალა.

მას სურს ლიბერალიზმი ამოდიოდის ეთიკის პრინციპებიდან და არ იყოს მისგან მოწყვეტილი. ეთიკამ უნდა გააერთიანოს სამივე სათნოება - ლიბერალიზმის პირობებში სახელმწიფო მიზნად არ ისახავს ინდივიდის აყვავებას. თავისუფლებას კი იმიტომ უჭერს მხარს, რომ იგი აუცილებლად მიაჩნია ადამიანის კეთილ-

დღეობისათვის. ჩვენ უნდა ჩამოვყალიბოთ აფსტრაქტული პოლიტიკური კონცეფციების იდეალები, რომლებიც დააკმაყოფილებენ ამ იდეალებს. ჩვენ გვსურს ლიბერალიზმის ისეთი კონცეფციის შემუშავება, რომელიც სათავეს აიღებს ეთიკური ინდივიდუალიზმიდან, და რომელიც გააერთიანებს თავისუფლებას, თანასწორობას და კომუნის ცნებებს, აცხადებს იგი. ადამიანის ცხოვრებას მიიჩნევს საკრალურ მოვლენად. და ახალმა კონცეფციამ სათნოებათა მიზნები უნდა ურთიერთ თავსებადი გახადოსო. ამტკიცებს, ეთიკური ინდივიდუალიზმის მოთხოვნები შეიძლება დაკმაყოფილდეს მხოლოდ თავისუფალი ბაზრის პირობებში. პოლიტიკური თეორია ეგიტალისტურია, მხოლოდ დისტრიბუციის დონეზე და მოყავს შესაბამისი დასაბუთება. რა დროსაც ყურადღებას ამახვილებს შემოსავლების თანაბარ განაწილებაზე. გვთავაზობს ლიბერალიზმის თავისებურ მოდელს, სადაც კომუნას უკავია წამყვანი პოზიციები. უარყოფს გათანაბრებულ თანასწორობას. უაზროთ მიაჩნია ლიბერალიზმის კონცეპციების შესახებ დეტალური გაწერა. რამეთუ მომავალში ეკონომიკური და პოლიტიკური სტაბილურობის ნგრევის შედეგად მაინც შეიცვლებაო. წარმოდგენილი აქვს დისტრიბუციის თავისებური ხედვა. კურსი აღებული აქვს საწყის პოზიციაზე რესურსების თანასწორობაზე, რისთვისაც საჭიროდ მიაჩნია შემუშავებულ იქნას კომპლექსური სტრატეგია. თვლის, რომ ეთიკური ინდივიდუალიზმი ისევე ლიბერალურია, როგორც ეგალიტარული დოქტრინა. ეკონომიკური თანასწორობისათვის საჭიროდ მიაჩნია თავისუფლების შეზღუდვა. პატივს სცემს სამართლიანობასა და ეკონომიკურ თანასწორობას. დიდ მნიშვნელობას ანიჭებს აღმოსავლეთ ევროპაში ლიბერალიზმის გავრცელების მნიშვნელობას. ხსნის თუ რატომ არ უნდა ანტიმორალური საზოგადოება და ამაში კომუნის როლი გადამწყვეტად მიაჩნია, თუმცა ინდივიდუალისტები უპირისპირდებიან მორალს და მოითხოვენ რომ უმცირება დაცულ იყოს უმრავლესობისაგან სამართლიანობისა და კონსტიტუციის ძალით-ო.

15. ჩარლზ ტეილორი, (1931), წარმოშობით კანადელი, ოქსფორდის უნივერსიტეტის პროფესორი, მისივე ბირთული განიარაღების კომისიის პრეზიდენტი, 1995 წ-ს გამოცემული წიგნიდან: „ფილოსოფიური დისკუსიები,“ „ლიბერალებისა და კომუნისტარების დებატები“

სოციალურ თეორიაში და კერძოდ, სამართლიანობის თეორიაში ჩვენ ხშირად ვისმენთ საუბრებს, იმის შესახებ, რომ არსებობს გარკვეული განსხვავებანი, ე.წ. „კომუნისტარებსა“ და „ლიბერალებს“ შორის. მართლაც იოლად შეიძლება გავმიჯნოთ ერთმანეთისაგან ორი „ჯგუფი“ ფილოსოფოსებისა, რომლებიც გამუდმებით კამათობენ გარკვეული საკითხების ირგვლივ. პირველ ჯგუფში, რომელსაც პირობითად „L“ ჯგუფს ვუწოდებთ, შეიძლება გავაერთიანოთ როულსი, დვორკინი, ნაგელი და სკენლონი, ხოლო მეორე - „C“ ჯგუფში, - სენდელი, მაკინტაირი და ვოლცერი. მათ დებატებში ერთმანეთთან, მართლაც იჩენს თავს ფუნდამენტური განსხვავებანი პრინციპულ საკითხებში. თუმცა, ჩემი აზრით, დიდია აგრეთვე გაუგებრობის წილიც. ამის მიზეზი ის არის, რომ კამათი, ძირითადად, ორი ერთმანეთისაგან განსხვავებული საკითხის ირგვლივ მიმდინარეობს, რომელთაგან ერთს, შეიძლება ონტოლოგიური უწოდოთ, ხოლო მეორეს - პროპაგანდისტული.

ონტოლოგიური საკითხი შეეხება იმ მოვლენებს, რომლებიც, თქვენი აზრით, ძირითად ფაქტორებს წარმოადგენს სოციალური ცხოვრების კვლევისათვის. ანდა, თუკი უფრო „ფორმალურად“ ვიტყვი, იგი შეეხება იმ პირობებს, რომლებსაც თქვენ უმნიშვნელოვანესად მიიჩნევთ ახსნის პროცესში. ცხარე დებატებმა ამ სფეროში, რომლებიც, აგერ ბოლო სამ საუკუნეზე მეტია, რაც მიმდინარეობს, ერთმანეთის დაპირისპირება, ე. წ. ატომისტები და საკრალისტები, როგორც მე გთავაზობთ, რომ მათ ვუწოდოთ. პირველთ ხშირად მეთოდურ ინდივიდუალისტებსაც უწოდებენ. მათი აზრით, (ა) თქვენ შეგიძლიათ და გმართებთ კიდევაც, ახსნათ სოციალური აქტები, სოციალური სტრუქტურები და პირობები მოქალაქეთა საკუთრებასთან მიმართებაში; (ბ) მსჯელობის პროცესში კი, თქვენ შეგიძლიათ და გმართებთ კიდე-

ვაც, ახსნათ საზოგადოებრივი სიკეთეები, რომლებიც ინდივიდუალური სიკეთეების კომპლექსს წარმოადგენს. უკანასკნელი ათწლეულების განმავლობაში, პოპერმა თავი (ა)-ს მებრძოლ დამცველად გამოაცხადა, ხოლო რაც შეეხება (ბ)-ს, იგი უმნიშვნელოვანესი კომპონენტია იმისა, რასაც ამარტია სენმა „სოციალური კეთილდღეობა“ უწოდა და რაც სოციალურად ორიენტირებული ეკონომიკის მიმდევართა უმრავლესობის ძირითად, თუმცა ხშირად გამოუთქმელ იდეალს წარმოადგენს.

პროპაგანდისტული საკითხები ინდივიდის ზნეობრივ ან პოლიტიკურ შეხედულებებს შეეხება. აქ საქმე გვაქვს პოზიციების დიდ სიმრავლესთან, რომლის ერთ, უკიდურეს მხარეს პრიორიტეტი ინდივიდის უფლებებსა და თავისუფლებას ენიჭება, ხოლო მეორე მხარეს-საზოგადოებრივ ცხოვრებას, ანუ კოლექტივიზმს. ამგვარ პოზიციებს ჩვენ შეგვიძლია, მეტ-ნაკლები მასშტაბით, ინდივიდუალიუსტური ან კოლექტიური ვუწოდოთ. ერთ უკიდურეს მხარეს ისეთი მოსაზრებები დგანან, როგორებიც არიან ნოზიკი, ფრიდმანი და თავისუფლების სხვა ადეპტები, ხოლო მეორე მხარეს- ენვერ ხოჯას ალბანეთი და კულტურული რევოლუციების წითელი გვარდიელები. რა თქმა უნდა ნორმალური ადამიანების უმრავლესობა თუკი ისინი არ არიან რომელიმე შეურიგებელი იდეოლოგიის გავლენის ქვეშ, უფრო შუალედური პოზიცია უკავია, მაგრამ მაინც დიდი განსხვავებაა, ერთის მხრივ, მაგალითად, დვორკინის მსგავს ლიბერალსა, რომელსაც სწამს, რომ სახელმწიფო ნეიტრალური უნდა იყოს სხვადასხვა ინდივიდის შეხედულებების მიმართ ცხოვრებისეულ საკითხებზე და მეორეს მხრივ, იმ ადამიანებს შორის, რომელთაც მეც მივეკუთნებ თავს და, რომლებიც თვლიან, რომ დემოკრატიულ საზოგადოებას ჭირდება გარკვეული, საყოველთაოდ დადგენილი შეხედულებები სიცოცხლის მიზნებისა და სიკეთის შესახებ.

ამ ორი კატეგორიის საკითხებს შორის ურთიერთდამოკიდებულება საკმაოდ რთულია. ერთის მხრივ ისინი განსხვავდებიან ერთმანეთისაგან, რადგან, თუკი თქვენ გაგაჩნიათ რაღაც შეხედულება ერთი რიგის საკითხების შესახებ, არა ხართ იძულებული გქონდეთ თქვენი პოზიცია მეორეს მიმართაც. მეორეს მხრივ, ისინი არ არიან მთლიანად დამოუკიდებელი ერთმანეთისაგან, რადგან ონტოლოგიური შეხედულება, რომელსაც თქვენ იზი-

რებთ, შესაძლოა, იმ თეორიის ფონზე აღმოცენდეს, რის პროპაგანდასაც ეწვევით თქვენ. როგორც განსხვავება, ისე კავშირები ამ ორი კატეგორიის საკითხებს შორის, სათანადოდ ჯერაც არ შეფასებულა და ესეც დამატებით ფაქტორს წარმოადგენს კამათში გაუგებრობის წარმოშობისათვის.

როდესაც ადამიანები ხმარობენ ტერმინებს „ლიბერალი“ ან „კომუნატორი“, ისინი ისე მსჯელობენ, თითქოს თითოეული მათგანი შეხედულებათა ისეთ პაკეტს გულისხმობდეს, რომელიც ამ ორი რიგის საკითხებს ერთმანეთთან დააკავშირებდა. ჩვენი ვარაუდი იმაში მდგომარეობს, რომ ეს საკითხები ერთმანეთისაგან არ განსხვავდება, რომ **თუკი თქვენ რაღაც პოზიცია გიჭირავთ ერთი საკითხის მიმართ, იძულებული ხდებით, შესაბამისი პოზიცია დაიკავოთ მეორე საკითხის მიმართაც.** მაშასადამე, თუკი მაიკლ სენდელის ძალზე მნიშვნელოვანი წიგნის-„ლიბერალიზმი და სამართლიანობის საზღვრები“-ძირითადი დებულებები ონტოლოგიური ხასიათისაა (ამ სიტყვის ჩემი მნიშვნელობით), მის საწინააღმდეგოდ მიმართული ლიბერალური რეაქცია, ძირითადად, პროპაგანდის მუშაობის შედეგი იყო. სენდელი ცდილობს დაგვანახოს, თუ როგორ არის გადაჯაჭვული ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრების განსხვავებული მოდელები,-ატომისტური და საკრალური -განსხვავებულ შეხედულებებთან პიროვნებისა და პიროვნულ „მე“-ს შესახებ: იგი ერთმანეთისაგან გამორჩევს „შეუზღუდველ და დამორჩილებულ „მე“-ს. ამით მან მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა სოციალურ ონტოლოგიაში, რომელიც შეიძლება რამოდენიმე მიმართულებით განვითარდეს. ადვილი შესაძლებელია, ვინმეს ემტკიცებინა, რომ, რადგან **აბსოლიტურად შეუზღუდველი „მე“-ს არსებობა სრულიად შეუძლებელია, საზოგადოების უკიდურესად ატომისტური მოდელი ქიმერაა.** ასევე ადვილი შესაძლებელია, ვინმეს ეთქვა, რომ, როგორც (შეფარდებით) შეუზღუდული, ისე დამორჩილებული „მე“ სრული რეალობაა და შესაბამისად, სრული რეალობაა (შეფარდებით) ატომისტურ და საკრალურ მოდელებზე დაფუძნებული საზოგადოებებიც. თუმცა, ამ ორ დონეს შორის არსებული სიცოცხლის უნარიანი კომბინაციების შესაძლებლობა საკმაოდ მცირეა, მკაცრად კოლექტივისტური საზოგადოება ძნელად შეთავსებადია შეუზღუდველ პიროვნებასთან, ხოლო უკიდურესად ინდივიდუალისტური ცხოვრების წესი ძნელად წარმოსადგენია იმ სა-

ზოგადობაში, რომლის წევრთა უმრავლესობას დამორჩილებული „მე“-ს მქონე პირები შეადგენენ.

განურჩევლად იმისა, თუ რომელ მიმდინარეობას ავირჩევთ, პიროვნებების შესახებ ამ თეზისის არსი მაინც წმინდა წყლის ონტოლოგიური ხასიათის იქნება. ისინი, არცერთ შემთხვევაში არ წარმოადგენენ რაიმის პროპაგანდას. რასაც ისინი მართლაც, ისახავენ მიზნად, მსგავსად ნებისმიერი, ნორმალური ონტოლოგიური თეზისისა, არის შესაძლებლობათა უფრო მკაფიო სტრუქტურიზაცია. მაგრამ, სწორედ, ამ მიზეზის გამო, ჩვენ ისეთი არჩევანის წინაშე ვდგებით, რომლის გადაწყვეტისათვის გარკვეული ნორმატიული და ლოგიკური არგუმენტები გვჭირდება. თუნდაც პირველი მიმართულებით წავიდეთ, რომლის მიზანია ატომისტური საზოგადოების შეუძლებლობის დასაბუთება, ჩვენ მოგვიხდება არჩევანი მეტად ან ნაკლებად ლიბერალურ საზოგადოებებს შორის გავაკეთოთ. მაშინ, როდესაც მეორე მიმართულების არჩევის შემთხვევაში, ჩვენი ამოცანა სწორედ ამ ალტერნატიული გზების განსაზღვრა იქნებოდა.

ორივე სახის ურთიერთობები, რომლებიც მე ზემოთ ვახსენე, ამ ნაწილშია ნაჩვენები. ონტოლოგიური პოზიციის დაკავება არ ნიშნავს რაიმის პროპაგანდირებას, თუმცა ამავე დროს, ონტოლოგიური საკითხების გადაწყვეტა ხელს უწყობს იმ ალტერნატიული ვარიანტის განსაზღვრას, რომელთა მნიშვნელობას ჩვენ პროპაგანდის შედეგად ვგებულობთ. ამგვარი კავშირი ნათლად გვიჩვენებს, რომ ანტოლოგიური თეზისები საკმაოდ შორსაა უბიწობისაგან. თქვენს ონტოლოგიურ მოსაზრებებს, თუკი ისინი ჭეშმარიტია, შეუძლია დაგვისაბუთოს, რომ თქვენი მოყვასის მიერ არჩეული სოციალური წყობა ან განუხორციელებელია, ან მისი განხორციელება ისეთ ხარჯებთან არის დაკავშირებული, რომლის მასშტაბებზეც ამ მოყვასს წარმოდგენაც კი არა აქვს. მაგრამ აქედან ჩვენ არ უნდა დავასკვნათ, რომ გარკვეული მოსაზრების გამოთქმა რომელიღაც ალტერნატიული ვარიანტის პროპაგანდას უდრის.

ონტოლოგიური მნიშვნელობაც და მისი ჯეროვანი შეუფასებლობაც კარგად ჩანს დებატებში, რომლებიც სენდელის წიგნის ირგვლივ წარმოიშვა. **სენდელმა ყურადღება როულსის მიერ იუმისეული „სამართლიანობის პირობების“ ცნების აღორძინებაზე**

გამახვილა. ამ პირობების თანახმად, სამართლიანობა ისეთი სათნოებაა, რომლის დიდი დეფიციტიც არსებობს, ხოლო ადამიანებს, ჩვეულებრივ , ერთმანეთთან ურთიერთობებში სპონტანური ქველმოქმედების გრძნობა ამოქმედებს. იქ, სადაც არ არის სამართლიანობა, ყოველგვარ აზრს კარგავს შემოსავლების განაწილება, ხოლო, იქ, სადაც არ არის ქველმოქმედების გრძნობა, შეუძლებელია ადამიანებს დისტრიბუციის გარკვეული წესების დაცვისკენ მოუხმონ. უფრო მეტიც, თუ კი ამ მეორე შემთხვევაში, ამგვარი წესების დაცვას შევცდებით, ადვილი შესაძლებელია, არსებული კავშირებიც დავარღვიოთ. როდესაც, ხარჯების განაწილებისას, მეგობრისაგან გარკვეული წესრიგისა და პუნქტუალობის დაცვას მოვითხოვთ, ამით ვგულისხმობთ, რომ ჩვენს შორის საერთოდ არ არსებობს ან არასაკმარისად არსებობს ურთიერთობის მიმართ ქველმოქმედების ჩადენის სურვილი. ეს მეგობრის დაკარგვის საუკეთესო საშუალებაა. ამის მსგავსად, ოჯახის წევრებისაგან მკაცრად განსაზღვრული უფლებების დაცვის მოთხოვნა, ადრე თუ გვიან, ამ ოჯახში არსებული მტკიცე კავშირების რღვევას გამოიწვევს.

სენდელის ხშირად ისე ესმოდათ, თითქოს იგი ისეთი საზოგადოების შექმნისკენ მოგვიწოდებდა, რომლის წიაღშიც არსებული ურთიერთობები საოჯახო ურთიერთობების ანალოგიური იქნებოდა და, აქედან გამომდინარე, ამ საზოგადოებას არ დაჭირებოდა სამართლიანობის კატეგორიით სარგებლობა. ასეთი თვალსაზრისი, არაერთგზის და სრულიად სამართლიანადაც, მწარე დაცინვის ობიექტი გამხდარა. მაგრამ, ჩემი აზრით, აქ იკარგება სანდელის არგუმენტის შესაბამისობა განსახილველ საკითხთან. უპირველესი ყოვლისა, უნდა დავასაბუთოთ, რომ ჩვენ არ გვიხდება არჩევანის გაკეთება, უბრალოდ, ოჯახის მსგავს საზოგადოებასა და უპიროვნო საზოგადოებას შორის. თვით ამ უკანასკნელშიც კი, ჩვენ გვექნებოდა საშუალება აგვერჩია, თუ რამდენად მტკიცედ დავუჭერდით მხარს კანონმდებლობას ან განვახილავდით, მართმსაჯულების საშუალებით, თანასწორობის სხვადასხვა ასპექტებს, რომლებსაც სამართლიანობა გვიკარნახავდა. რა იმედებს ვამყარებთ ჩვენ სოციალურ სოლიდარობასა და საზოგადოებრივ მორალზე, რომლებიც ამისგან გამომდინარეობს? ზოგიერთ საზოგადოებაში პასუხი ასეთი შეიძლება იყოს: ძალიან მცირე. მაგრამ ეს იმ შემთხვევაში იქნებოდა ასე, თუკი ამგვარი სო-

ლიდარობის გრძნობა ან მორალი მეტისმეტად სუსტი იქნებოდა, ანდა უბრალოდ არ იარსებებდა. მეორეს მხრივ, იქ, სადაც იგი საკმაოდ მტკიცეა, პრობლემები, შეიძლება, იმის გამო გაჩნდეს, რომ ბოროტად ვისარგებლოთ ჩვენი ინტუიციით საამართლიანობის საკითხებზე. ჩვენმა მცდელობამ, დეტალებში განვსაზღვროთ და გამოვხატოთ ჩვენი საერთო გრძნობები თანასწორობის მიმართ, შესაძლოა, ზიანი მიაყენოს საღ აზრს და იმ მორალურ და ურთიერთსოლიდარულ ვალდებულებებს, საიდანაც მიმდინარეობს ეს გრძნობები. მართალია, ზოგჯერ კანონმდებლობას შეუძლია, ხელი შეუწყოს კონსესუსის ჩამოყალიბებას, რისი მკაფიო მაგალითიცაა 1960-იანი წლებში, აშშ-ში მიღებული სამოქალაქო უფლებების კანონთა პაკეტი. მაგრამ ზოგჯერ, შესაძლოა, სრულიად სხვა სურათი მივიღოთ. სენდელის მიერ საამართლიანობის პირობების ცნების აქტუალიზაცია პრობლემათა მთელს წყებას ხსნის, რომელიც ყურადღებიუს მიღმა დარჩება, თუკი ჩვენ მხოლოდ იმით დავინტერესდებით, საამართლიანობის რომელი პრინციპებით უნდა ხელმძღვანელობდნენ ერთმანეთის მიმართ ინდივიდენტულად განწყობილი ინდივიდები-სოციალური კონტრაქტის მხარეები...

თანამედროვე ინგლისურენოვან სამყაროში ძლიერ პოპულარულია, რომ არა ვთქვათ, გაბატონებულია, ლიბერალიზმის თეორიების ოჯახი, რომელსაც, მე მსურს, რომ პროცედურული ვუწოდო. იგი საზოგადოებას განიხილავს, როგორც ინდივიდთა გაერთიანებას, რომელთაგან თითოეულს საკუთარი წარმოდგენა აქვს სიკეთისა და სიცოცხლის მიზნებზე და საკუთარი სიცოცხლისეული გეგმა გააჩნია. საზოგადოების ფუნქციაა, თანასწორობის პრინციპიდან გამომდინარე, მაქსიმალურად შეუწყოს ხელი ინდივიდებს თავიანთი გეგმების განხორციელებაში, რაც იმას ნიშნავს, რომ ამგვარი ხელშეწყობა არ უნდა იყოს დისკრიმინაციული. თუმცა, ამკარაა, რომ, მაინცა და მაინც, მკაფიოდ არ არის განსაზღვრული, თუ რას უნდა ნიშნავდეს ეს, ანუ რის ხელშეწყობაზეა საუბარი: შედეგების, რესურსების, შესაძლებლობების, თუ კიდევ რაიმე სხვის თანაბრად განაწილებაზე. მაგრამ მოაზროვნეთა უმრავლესობა, როგორც ჩანს, ეთანხმება იმ აზრს, რომ თანასწორობის, ანუ ნონდისკრიმინაციის პრინციპი უთუოდ დაირღვევა, თუკი საზოგადოება თავად გაიზიარებს სიკეთის შესახებ ერთ-ერთ შეხედულებას. ეს დისკრიმინაცი-

ის ტოლფასი იქნება, რადგან ჩვენ ვთვლით, რომ თანამედროვე პრულალისტურ საზოგადოებაში შეხედულებების დიდი მრავალფეროვნება არსებობს სიკეთისა და ცხოვრების დანიშნულების შესახებ. ნებისმიერი კონკრეტული შეხედულება, სანქცირებული მთელი საზოგადოების მიერ, მაინც მხოლოდ ცალკეული ინდივიდების შეხედულება იქნება და არა ყველასი ერთად. რაც შეეხება ამ უკანასკნელთ, რადგან დაინახავენ, რომ მათი შეხედულებები უარყოფილია საზოგადოების მიერ, ისინი ვერ იგრძნობენ თავს თანაბარ მდგომარეობაში თავიანთ თანამემამულეებთან შედარებით, რომელთა სხედულებები ოფიციალურად იქნება აღიარებული.

სიკეთეს თუ გამოვაცლით საზოგადოებრივი ურთიერთობის შენობას, დაგვრჩება -მხოლოდ ბოროტება!!!

აქედან გამომდინარე, ლიბერალური საზოგადოება არ უნდა აშენდეს ერთ, რომელიმე ცალკეულ შეხედულებაზე სიკეთისა და სიცოცხლის მიზნების მიხედვით. ლიბერალური საზოგადოების ეთიკა სიმართლის ეთიკაა და არა სიკეთისა. ანუ მისი ბაზისური პრინციპები მიგვითითებს, თუ როგორი პასუხი უნდა გაცეს საზოგადოებამ ადამიანთა ურთიერთგამომრიცხავ მოთხოვნებს და როგორ უნდა განსაჯოს მათ შორის მტყუანი და მართალი. ეს პრინციპი, ცხადია, შეიცავს თავის თავში ინდივიდის უფლებებისა და თავისუფლებების პატივისცემას, მაგრამ ნებისმიერი თეორიის, რომელსაც ლიბერალური შეიძლება ვუწოდოთ, მთავარი პრინციპი მაქსიმალურ და თანაბარი ხელშეწყობის პრინციპია. ამით, პირველ რიგში, განისაზღვრება არა ის, თუ სიკეთის, რომელ იდეალებს უნდა მისდიოს საზოგადოებამ, არამედ ის, თუ როგორ უნდა განვსაზღვროთ იდეალები, რომლებსაც საზოგადოებამ უნდა მისდიოს იმ სურვილებისა და მისწრაფებების ფონზე, რომლებიც საზოგადოების თითოეულ წევრს გააჩნია. აქ მთავარი, გადაწყვეტილების მიღების პროცედურაა, ამიტომაც დავარქვი მე ამ ტიპის ლიბერალურ თეორიას „პროცედურული“.

უნდა აიხსნას, თუ რამ განპირობა, რომ ცივილიზაციის მოწინავე ქვეყანა ბრიტანეთმა, უარყო სამყაროს აღმშენებლობის პირველი პრინციპი, -სიყვარული, ერთობა, ანუ სიკეთე, რაზეც ვიტყვოდი, რომ დგას

ცივილიზაცია და ფუნქციონირებს, და მის მაგივრად აირჩია ძალადობის მექანიზმი, - „სამართალი“, რომელსაც იყენებს რელსად გლობალიზმის გზაზე?

ლიბერალიზმის ამ მოდელთან დაკავშირებით, საკმაოდ რთულ პრობლემებს ვაწყდებით, რომელთა ჩამოყალიბება ჩემს მიერ უკვე ნახსენები პიროვნებისა და საზოგადოების სპონტოლოგიური საკითხების კონტექსტში ხდება შესაძლებელი. საკითხი ის არის, თუ რამდენად სიცოცხლისუნარიანია საზოგადოება, რომელიც აატარებს ამგვარ მახასიათებლებს, აგრეთვე, თუ რამდენად მიესადაგება ასეთი ფორმულა ამერიკის შეერთებული შტატების (და ალბათ, დიდი ბრიტანეთისს) გარდა (სადაც იგი განვითარდა), სხვა ქვეყნებს, რომელთაც ასევე აქვთ პრიმა ფაქტე უფლება ლიბერალურ სახელმწიფოდ იწოდებოდნენ. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ამ თეორიას შეიძლება არარეალისტური და ეთნოცენტრული ეწოდოს. ორივე ეს შენიშვნა ლიბერალიზმის საზოგადოების მიერ აღიარებული სიკეთის იდეისაგან გამორიცხვის წინააღმდეგ არის მიმართული....

...ჩვენ შეგვიძლია უბრალოდ უარვყოთ რესპუბლიკური თეზისი და განვაცხადოთ, რომ სიცოცხლისუნარიანი ლიბერალური საზოგადოება, შესაძლებელია, სულ სხვა საფუძვლებს ემყარებოდეს, კერძოდ კი მე-XX-ე საუკუნეში გაბატონებულ შეხედულებებს, რომლის თანახმად, მოქალაქეთა მხარდაჭერა განათლებულთაი ნტერესებზეა დაფუძვნიებული, ან იმ იდეას, რომ თანამედროვე ცივილიზაციას უფრო მაღალი ზნეობრივი პრინციპები აღზარდა ესაჭიუროება ადამიანში, ასე, რომ მოქალაქეები საკმარისად არიან გაუღენთილნი ლიბერალური ეთოსით და მათ შეუძლიათ თავიანთი საზოგადოების დაცვა, ანდა თანამედროვე „რევიზიონისტულ“ იდეებს, რომელთა თანახმად, ზრდასრული ლიბერალური საზოგადოება ბევრს არ მოითხოვს თავისი წევრებისაგან, რადგან იგი მათთვის, მთავარს, უზრუნველ და უსაფრთხო ცხოვრებას უზრუნველყოფს. ამ შეხედულებიდან გამომდინარე, მოქალაქეებისათვის უმჯობესი იქნებოდა, უარი არ ეთქვათ მასზე, რადგან იგი მათთვის მთავარს უზრუნველ და უსაფრთხო ცხოვრებას უზრუნველყოფს. ამ შეხედულებიდან გამომდინარე, მოქალაქეებისათვის უმჯობესი იქნებოდა, არ გამოემყდავნათ ზედმეტი აქტივობა ცხოვრებაში. არამედ უბრალოდ,

პერიოდულად მონაწილეობა მიეღოთ არჩევნებში და საშუალება მიეცათ ხელისუფლებისათვის, განეხილათ მუშაობა.

ეს უბრალოდ პროპაგანდისტული ხრიკია, რათა ლიბერალებმა ფუნდამენტალისტმა, ეს ანტი საკაცობრიო თეორია როგორმე დაიყვანონ ბოლომდე, რომლის შემდეგ საერთოდ ადამიანი დაკარგავს თავის ტრადიციულ სახეს.

მაგრამ პროცედურულ ლიბერალიზმს არ სჭირდება ასეთი პასუხის გაცემა. მას შეუძლია მიიღოს რესპუბლიკელთა თეზისი და განაცხადოს, რომ მას მოე პოვება ადგილი საერთო სიკეთეებისათვის და მაშასადამე, პატრიოტიზმისთვისაც და აქედან გამომდინარე, შეუძლია იქონიოს პრეტენზია, რომ იგი სიცოცხლისუნარიანი რეჟიმი. მაშ როგორი პასუხი უნდა გასცეს ლიბერალიზმმა? ატომისტური თეორიის მიმდევრები, ბუნებრივია, პირველ ვარიანტს აირჩევენ. ისინი ჩათვლიან, რომ **რესპუბლიკური თეზისი, როგორი ეფექტურიც არ უნდა ყოფილიყო ძველ დროში, სრულიად შეუსაბამოა თანამედროვე მასობრივი ბიუროკრატიის ეპოქის საზოგადოებისათვის.** დღეს ადამიანები გაცილებით უფრო მეტად ინდივიდუალისტები გახდნენ, ხოლო საზოგადოებაში ერთობის შენარჩუნება მხოლოდ ზემოთ აღწერილ ორ წესთაგან ერთ-ერთის მეშვეობით არის შესაძლებელი. **ძველი ტიპის რესპუბლიკებზე ფიქრი, აუცილებლად, ღრმა ნოსტალგიაში გადაგვადგებს.** თუკი ეს ასეა, მაშინ მსჯელობას ონტოლოგიურ საკითხებზე, რომელსაც ასე დიდი დრო დავუთმეთ ზემოთ და, რომლის მიზანი იყო, გაგვერკვია რესპუბლიკური საზოგადოების არსი, მხოლოდ და მხოლოდ, ანტიკვარული ღირებულება ჰქონია, ხოლო ლიბერალიზმის კრიტიკას სამოქალაქო ჰუმანიზმის პოზიციიდან, საერთოდ არ ჰქონია სერიოზული საფუძველი.

როგორ რაციონალურადაც არ უნდა გვეჩვენოს ეს ატომისტური თეორია დღეს, იგი მაინც არ ეტევა ეპოქის მოთხოვნებში. ამაში ადვილად შეიძლება დავრწმუნდეთ, თუ კი თვალს გადავავლებთ ამერიკის შეერთებული შტატების უახლოეს ისტორიას, ქვეყნისა, რომელიც, ბოლოს და ბოლოს, პროცედურული ლიბერალიზმის მაგალითს წარმოადგენს. ავიღოთ მაგალითად, უოტერგეისტისა და შედარებით ნაკლები მაშტაბით, ირან-კონტრას ინციდენტები. პირველ შემთხვევაში, როგორც გვახსოვს, მოქალაქეთა რის-

ხვამ აიძულა პრეზიდენტი გადამდგარიყო. ახლა, მე მსურს, ორი რამ შევნიშნო ამგვარ რეაქციებთან დაკავშირებით, რომლებიც ერთობლიოაში, ფაქტიურად, რესპუბლიკური თეზისის მუდმივი შესაბამისობის დასაბუთებას წარმოადგენს.

პირველი ის არის, რომ მოქალაქეთა უნარი, ამხედრდნენ ძალაუფლების გადამეტების ამგვარი ფაქტების წინააღმდეგ, უმნიშვნელოვანესი ციტადელია თავისუფლებისა დღევანდელ საზოგადოებაში. სრული სიმართლეა, რომ ამერიკელები, ალბათ, უფრო მეტად მგრძობიარენი არიან ხელისუფლების გადამეტების აქტების მიმართ, ვიდრე რომელიმე სხვა თანამედროვე დემოკრატიული ერი. ...სადაც ხალხის უმრავლესობა მზად არის თვალი დახუჭოს ადამიანთა „გაუჩინარებებზე“, რაც ნახევრადოფიციალური, შეარღებული დაჯგუფებების წყალობით ხდება, ან მიესაღმოს სამხედრო გადატრიალებებს, დიდი საფრთხეა იმისა, რომ სულ უფრო მეტი ადამიანი შეეწირება ისეთ რეჟიმებს, როგორც არგენტინის ხუნტა ან პინოჩეტის სისხლიანი დიქტატურა...

...მოქალაქის უნარიანობა მდგომარეობს მის შესაძლებლობაში გამოიყენოს თავისი უფლებები, იყოს თანასწორი სხვა მოქალაქეებთან ურთიერთდამოკიდებულებაში და გავლენა იქონიოს იმათზე ვისაც გადაწყვეტილებების მიღება ევალებათ...იდეალი ის კი არ არის, რომ „თქვენ მართოდ და თავის მხრივ, თქვენ გმართონ“, არამედ ის, რომ გარკვეული გავლენა გქონდეთ. აქ ისიც არის დასაშვები, რომ საერთოდ არ იღებდეთ რაიმე მონაწილეობას, მაგრამ იმ პირობით, თუკი თქვენ გაქვთ უნარი გაკონტროლოთ ისინი, რომლებიც მონაწილეობენ, რათა ამ უკანასკნელთ თქვენი სურვილების გათვალისწინება მოუხდეთ. დასაშვებია აგრეთვე მონაწილეობა დაპირისპირების გზით, როდესაც მმართველები განსაზღვრულნი არიან, როგორც „ისინი“, ხოლო მოქალაქეები კი, როგორც „თვენ“ და როდესაც „იმათ“ წინააღმდეგ ხდება დაწოლა პოლიტიკური კამპანიების პეტიციების თუ ლობისტური საქმიანობის გზით. ...

ხალხის მიერ არჩეული პარლამენტის პირობებში, მათ საწინააღმდეგოდ მასების განწყობისა და ქვეყანაში არეულობის შემოტანის პროპაგანდის ნაცვლად, ხომ არ აჯობებდა პარლამენტის არჩევისა და მის

ფუნქციონირებაში ახალი დილემის შემოტანა? მით უფრო, როდესაც პროპორციული არჩევის სისტემა განზრახვ ამორებს ამომრჩეველს პარლამენტართაგან, რითაც მართლაც „უმცერების საბურველში“ ამყოფებენ ხალხს და ამ ხარვეზის გამოსწორების ნაცვლად მოუწოდებენ მასებს არეულობებისაკენ!

...საზოგადოება, სადაც ურთიერთობები ხელისუფლებასა და მოქალაქეებს შორის, ჩვეულებრივ წინააღმდეგობრივია, თუნდაც ამ უკანასკნელთ ჰქონდეთ შესაძლებლობა თავიანთი მიზნების შესაბამისად წარმართონ ხელისუფლების მოქმედება, არ ზრუნავს მოქალაქის ღირსებაზე და მხოლოდ მცირე შესაძლებლობას იძლევა მოქალაქის უნარიანობის გამომჟღავნებისათვის. სრული მონაწილეობა თვითმმართველობაში გაიაზრება, როგორც შესაძლებლობა იმისა, რომ მოქალაქემ, გარკვეული დროით მაინც, მიიღოს მონაწილეობა პოლიტიკური კონსესუსის ჩამოყალიბების პროცესში, რომლის დროსაც იგი თავისი თავის სხვებთან ინდენტიფიცირებას მოახდენს. მართავდე და გმართავდნენ, თავის მხრივ ნიშნავს იმას, რომ ხელისუფალნი გარკვეული დროით მაინც გაიზიარებდნენ, როგორც „ჩვენ“ და არა ყოველთვის, როგორც „ისინი“. ხოლო მოქალაქის უნარიანობის გრძნობა გაიაზრება, როგორც მისი სრული შეუთავსებლობა, რაღაც, უცხო პოლიტიკურ სამყაროსთან, რომლის მანიპულირებაც, ალბათ, შესაძლებელია, თუმცა, მასთან ინდენტიფიცირება- სრულიად შეუძლებელი...

...ამერიკის შეერთებულ შტატებში მისი სახ პოლიტიკა თავიდანვე იყო კონცენტრირებული თავისუფალ ინსტიტუტებზე. არსებობს თანამედროვე დემოკრატიული საზოგადოებებიც, სადაც **პატრიოტიზმი ეროვნულ კულტურაზე დაფუძნებული**. ისინი, უმრავლეს შემთხვევაში, იძულებულნი ხდებიან (თუმცა გვიან და საკმაოდ მტკივნეულად) აითვისონ თავისუფალი ინსტიტუტები, რომლებიც თავის მხრივ, მაინც ენაზე და ისტორიაზე არიან დამოკიდებულნი...

...პროცედურული ლიბერალიზმის მოდელი ამ საზოგადოებებს არ გამოადგება, რადგან ისინი ვერ შეინარჩუნებენ ნეიტრალიტეტს სიკეთის შესახებ შეხედულებებში არსებული განსხვავებების მიმართ...ვერ გახდებიან ინდიფერენტული კულტურულ- ენობრივი ორიენტაციების მიმართ. ხელისუფლება,

რომელიც არ მიიღებს მხედველობაში ამ ფაქტს, ან არ იქნება უმრავლესობის ნების გამომხატველი, ანდა ისეთი საზოგადოების ამსახველი იქნება, რომელიც ღრმა კრიზისშია და ახლოსაა გახლეჩასთან დაპირისპირებული პატრიოტული ძალების არსებობის გამო. ნებისმიერ შემთხვევაში ლიბერალური დემოკრატიის პერსპექტივები ნამდვილად არ იქნება წარმოდგენილი ვარდისფერ ტონებში.

...ჩვენ გვაქვს უფლება დავაყენოთ საკითხი პროცედურული მოდელის, როგორც ლიბერალური საზოგადოების ქრისტიანთატიული ტიპის შესახებ... მაგრამ თუკი პროცედურალიზმს გააჩნია იმის პრეტენზია, რომ თანამედროვე ლიბერალიზმის ქვაკუთხედს წარმოადგენს, მას მოუხდება ასეთი ალტერნატივის ტიპებისთვისაც გამოიძებნოს ადგილი. დღემდე ამ დისკუსიის ნაკლი მასშტაბების სივიუწროვე იყო., მაგრამ ახლა მას მოუწევს შეხვედრა, ერთ-ერთ ცჩემი თანამემამულისა არ იყოს, ლიბერალური დემოკრატიის რეალურ სამყაროსთან, რომლის უმრავლესობა აშშ-ს გარეთ იმყოფება. 59...

რეზიუმე: *ტიელორი აცხადებს, სამართლიანობის თეორიაში მიმდინარეობს „კომუნიკატორებისა“ და „ლიბერალებს“ შორის კამათი. მათ შორის დავა ონტოლოგიური და პროპაგანდისტული ხასიათს ატარებს. პირველმა უნდა ახსნას სოციალური აქტები, სოციალური სტრუქტურები და პირობები მოქალაქეთა საკუთრებასთან მიმართებაში. მეორემ კი, -საზოგადოებრივი სიკეთეები, რომლებიც ინდივიდთა სიკეთეების კომპლექს წარმოადგენს. პროპაგანდისტული საკითხი შეეხება ინდივიდის ზნეობრივ ან პოლიტიკურ შეხედულებებს. აქ პრიორიტეტი ინდივიდთა უფლებებსა და თავისუფლებებს ანიჭებს, ხოლო მეორეში -საზოგადოებრივ ცხოვრებას ანუ კოლექტივიზმს, რასაც ინდივიდუალისტურ და კოლექტიურს უწოდებს. ამ ორ კატეგორიათა ურთიერთ დამოკიდებულება საკმაოდ რთულია. თეორეტიკოსი თუ კი ცდილობს დაგვანახოს ერთისადმი თავისი პოზიცია, ამავე დროს მან უნდა გვაჩვენოს მეორის მიმართაც თავისი დამოკიდებულება. რამეთუ ისინი ერთმანეთისაგან არც თუ დაშორებულები არიან. იქ სადაც არ არის სამართლიანობა, აზრს კარგავს შემოსავლების განაწილება. ხოლო იქ სადაც არ არის, ქველმოქმედების გრძნობა, შეუძლებელია ადამიანებს დისტრიბუციის წესების და-*

ცვისაკენ მოუხმო-ვო.

თანამედროვე ინგლისურენოვან სამყაროში პოპულარულია და გაბატონებული ლიბერალური თეორიების ოჯახი. იგი საზოგადოებას განიხილავს როგორც ინდივიდთა გაერთიანებას. საზოგადოების ფუნქციაა თანასწორ უფლებიანობიდან გამომდინარე მაქსიმალურად შეუწყოს ხელი ინდივიდებს საკუთარი გეგმების განხორციელებაში. თუმცა დაუდგენელია, რაში უნდა შეუწყოს ხელი საზოგადოებამ, რამეთუ ამ დროს დაირღვევა „წინდისკრიმინაციის“ პრინციპი, თუკი თავად საზოგადოება გაიზრებს მათთვის სიკეთის შესახებ შეხედულებებს.

აცხადებს, ლიბერალური საზოგადოების ეთიკა სიმართლის ეთიკაა და არა სიკეთის შესახებ შეხედულებები. რაც მიგვითითრებს თუ როგორი პასუხი უნდა გასცეს საზოგადოებამ ადამიანთა ურთიერთგამომრიცხავ მოთხოვნებს და როგორ უნდა განსაჯო მათ შორის მტყვანი და მართალი. პირველ რიგში უნდა განსაზღვროს არა სიკეთის რომელ იდეალებს უნდა მისდიოს საზოგადოებამ, არამედ უნდა განსაზღვროს იდეალები, რომლებსაც საზოგადოება უნდა მიყვეს იმ სურვილებს, რომლებიც საზოგადოების თითოეულ წევრს გააჩნია. ამ თეორიას შეიძლება არა რეალისტური და ეთნოცენტრული უწოდოთ. მოქალაქეებისათვის კი უკეთესი იქნება უარი არ თქვან ლიბერალურ იდეებზე, რამეთუ იგი უზრუნველყოფს მათ უსაფრთხო და უზრუნველყოფილ ცხოვრებას. ხალხს არ უნდა გამოიჩინონ ზედმეტი აქტივობა და მხოლოდ არჩევნებში მიიღონ მონაწილეობა, რათა ხელისუფლებამ გააგრძელოს საქმიანობა. რესპუბლიკური თეზისები, როგორი კარგიც არ უნდა ყოფილიყო ძველად ლიბერალიზმის პირობებში მიუღებლად მიაჩნია.

ახლა გვაქვს არა დემოკრატია, არამედ მასობრივი საზოგადოებრივი ბიუროკრატიული რეჟიმი, ამიტომაც უკან არ უნდა მივიხედოთ.

თვლის, რომ ატომისტური თეორია ვერ ეტყვა ეპოქის მოთხოვნებში და მის დაძლევას ლამობს. მოქალაქეებმა თავისი უფლებაუნარიანობა უნდა გამოიყენონ იმის მიმართ, რომ გავლენა იქონიონ გადაწყვეტილების მიმღებ ორგანოებზე.

16. კონკრეტიკა

თუ რას ცდილობენ თავს მოგვახვიონ საზოგადოებას:

1. ფსევდო - ლიბერალ-დემოკრატები:

- 1) სხვა მრავალთან ერთად,-ამერიკის გლობალური ბანკების მეშვეობით (მსოფლიო ბანკი, სარეზერვო ფონდი, ხაზინა) განვითარებადი, და არა მარტო, ქვეყნების მართვა, რომლე-ბსაც დაიქვემდებარებენ კოლონიალურ მდგომარეობაში;
- 2) მსოფლიო ჯანდაცვის სისტემა, მოსახლეობის ფსევდო სამედიცინო მომსახურებას ამოფარებული, კაცობრიობის რიცხოვრივი დარეგულირება;
- 3) საერთოდ, ბანკების გლობალური მართვა;
- 4) მსოფლიოს თავისუფალი გლობალური ვაჭრობა და ამ საქმეში სახელმწიფოთა ჩაურევლობა;
- 5) ტრანსნაციონალური კომპანიების ეროვნულ სახელმწიფოებში თავისუფლად შეღწევადობა და მათში უსაფრთხოდ გადაადგილება;
- 6) ადამიანის ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების დაცვა;
- 7) რეალური დემოკრატის უარყოფა და ლიბერალიზმის გზით ადამიანის „ატომიზაცია“, რაც გათვლილია კულტურულ-ისტორიული ღირებულებათა სრული უარყოფით:

2. იანოშ კიშის წიგნში მოხსენიებული ლიბერალი ფილოსოფოსები:

1. **ი. ბერლინი**, -ადამიანის მიმართ არ უნდა გამოიყენო იძულებითი ზომები, რამეთუ ერთმევა თავისუფლება;
 - არავინ არ უნდა ჩაერიოს ადამიანთა საქმიანობაში;
 - იდეა არავის არ უნდა მოახვიო თავს, და არც საჭიროა მისი არსებობა;
 - არ უნდა ცნობთ დიალექტიკის კანონები;
 - მომხრეა თავისუფალი საზოგადოებების დაარსებისა;
 - მომხრეა პლურალიზმის;
2. **ფ. ჰაიეკი**, -ადამიანებს თანაბრად არ უნდა მოეპყრათ;
 - ებრძვის ოჯახს და მორალს;
 - პირადი ამბიციები აყვანილი ყავს უმაღლეს რანგში;

3. **რ. ჰეარი**, -კანონი არ უნდა კრძალავდეს სექსობრივ გადახრებს;
 - მომხრეა თავისუფალი საზოგადოების, იზიარებს პლურალიზმს;
 - დასაშვებად მიიჩნევს სოციალურ-რეფორმისტული ექსპერიმენტების ხშირად მოწყობის;
4. **ჯ. როულსი**, -მომხრეა მიეცეს უმცირესობას პოლიტიკური უფლებები;
 - იბრძვის საზოგადოებრივი სიკეთისა და მორალის წინააღმდეგ;
 - მომხრეა პლურალიზმისა და ადამიანის ატომიზაციის;
 - შემოაქვს „უმეცრების საბურველი“;
 - ნეოლიბერალური მმართველობის გამოუცდელობის მოტივით მომხრეა ექსპერიმენტების ხშირად ჩატარებასა;
 - იხრება მმართველობის სისტემის მუდმივი მოდელირებისაკენ;
5. **ნ. ნოზიკი**, -ებრძვის ოჯახს;
 - გვიბიძგებს ამორალური ქმედებისაკენ;
6. **მ. ვოლცერი**, -უარყოფს მორალს, ებრძვის ქველმოქმედებას;
7. **ჯ. ნერვენსონი**, -მომხრეა თავისუფალი ბაზრისა და თავისუფლების მაქსიმალიზაციის;
 - ითხოვს ოჯახური მემკვიდრეობის გადანაწილებას, და ადამიანთა ატომიზაციას;
 - ეწინააღმდეგება ადამიანის კრიტიკას და მასხარად იგდებს ლიბერალიზმის მიღმა დარჩენილთ;
8. **ე.მაკინტაირი**, -ებრძვის მორალს, ხოლო საფრთხედ მიიჩნევს პატრიოტიზმს;
9. **ბ.აკერმანი**, - ებრძვის მორალსა და სულიერებას;
10. **ჯ.რაცი**, - ჩამოყალიბებული აქვს ნეიტრალურობის „უარყოფის თეორია“, ანტი მორალისტია;
 - ებრძვის საზოგადოებრივ სიკეთეს, მომხრეა პიროვნების ატომიზაციის;
11. **თ. ნაგელი**, -ებრძვის რელიგიას, მხარს უჭერს სექსუალურ გადახრებს;
 - სურს სახელმწიფო ჩააბას ლიბერალიზმის სამსახურ-

- ში,-ადამიანები კი მიაჩნია მიზნად;
 - ცდილობს ხალხი აამოქმედოს საკუთარი ნების წინააღმდეგ;
 - მომხრეა ადამიანის აბსოლიტური თავისუფლების, ებრძვის ტოლეტრანტობას;
12. **ს. ოკინი**, - ეწინააღმდეგება საზოგადოების სქესობრივ დაყოფას, ებრძვის ოჯახს;
- სურს ქალებსა და მამაკაცებს შორის არსებული სქესობრივი განსხვავებანი გაუქმდეს;
 - სურს ქალებს მიეცეთ აბსოლიტური თავისუფლება;
13. **რ. დვორკინი**, - ებრძვის სახელმწიფოს, კომუნებს და ეკ.თანასწორობის მიზნით ითხოვს თავისუფლების შეზღუდვას;
14. **ჩ. ტეილორი**, - მომხრეა ადამიანის ატომიზაციის, ეწინააღმდეგება დისკრიმინაციას;
- არ მოსწონს რესპუბლიკური წყობა და ებრძვის პატრიოტიზმს;
 - მომხრეა, რომ ხალხს მუდმივად შეეძლოს ხელი-სუფლებაზე გავლენის მოხდენა;

იანომ კიშის წიგნში მოყვანილი ფილოსოფოსების ნააზრევი უტყუარი დადსასტურებაა იმისა, რომ მათი ავტორები, გარდა იმისა, რომ ცდილობენ „შეთქმულთა“ წისქვილზე წყლის დასხმას, გამოხატავენ იმ აღმავალი კლასის ინტერესებს, რომელიც-მე-20 საუკუნის მეორე ნახევარში არენაზე გამოვიდა ამერიკის შეერთებულ შტატებში, და არამარტო, კერძოდ, ტრანსნაციონალურ კომპანიებს, რომლებიც დაინტერესებულები იყვნენ და არიან უცხო ქვეყნებში თავისუფალი შეღწევადობით. ამ საქმეში და არამარტო, წარმატების მისაღწევად მათმა იდეოლოგებმა ბრძოლა გამოუცხადეს ძველ ტრადიციულ ღირებულებებს, რითაც აქნობამდე თავს ვიწონიდით. მათ შორის სახელმწიფოს, რომელიც მათთვის მიუღებელი აღმოჩნდა, რამეთუ, სურთ მისი ფუნქციების მნიშვნელოვანი ნაწილი გადააბარონ ტრანსნაციონალურ კომპანიებს, თავად სახელმწიფო კი გახადონ მათი მოთხოვნების უზრუნველყოფის მექანიზმი. სამწუხაროა ის ფაქტი, რომ ნეოლიბერალური მიმდინარეობა არ შეიცავს მანამდე არსებულ არცერთი ქვეყნის კულტურის ნიშნებს, გარდა აშშს, ბრიტანეთისა და ზოგიერთი ევროპული სახელმწიფოსი, თუმცა უნდა შეიცავდეს

კონკრეტულ შემთხვევაში. დიალექტიკური მემკვიდრეობის უარყოფით წინა პლანზე წევენ „რაციონალურ პოზიტივიზმს“, რაც ძირშივე კლავს ობიექტურ მიდგომას. შეიძლება ითქვას ნეოლიბერალიზმი მთლიანად სინტეტიკურია და უარყოფს კულტურიზმის ენერგიულ ტრანსფორმიზმს და გვაქცევს კონვერგენციის /ხელოვნური გადარჩევის/ მსხვერპლად, რითაც უარყოფილი ხდება ჩვენი სასარგებლო „გადახრების“ თანდითანობითი დაგროვების ბუნებრივი გადარჩევის წესები. ახალი სოციალური „სახეობის“ ჩვენგან გამოყვანას და ჩვენშივე დამკვიდრებას ნეოლიბერალები ცდილობენ არა თუ ჩვენივე ბუნებრივი არსებობისათვის ბრძოლით, არამედ ჩვენი საკუთარი ნების საწინააღმდეგოდ, თავსმოხვეული, ანტიბუნებრივი, ანტიმეცნიერული კონცეფციებით, რითაც ირღვევა კაცობრიობის განვითარების საერთო ჰარმონია და გვტოვებს განუსაზღვრელობაში. არ შეგვიძლია ჩვენი ცხოვრების პროგნოზირება. მტერი ჩვენს წინააღმდეგ ძირითად მექანიზმად იყენებს ჩვენსავე ახალგაზრდობას, რომელსაც ფულის ძალით აერთიანებს „სამოქალაქო საზოგადოებებში“, და უპირისპირებს საკუთარ კულტურას, ტრადიციებსა და სახელმწიფოებრიობას. თუმცა უსაფუძვლოდ ცდილობს ამგვარი მიდგომით კაცობრიობა გვაქციონ ერთიან სოციალურ ფენომენად, რის შესახებაც არ არსებობს არამარტო ისტორიული დაკვეთა, არამედ მისი ობიექტური საფუძველიც. და ბოლოს ვიტყვოდი, ჩვენ ამ ტრაგედიას ვიმკით არამარტო იმიტომ, რომ ვართ აშშ-ს მიერ ერთდროს დაპყრობილი ქვეყნის ნაწილი, და გავხდით მისი კოლონია, არამედ იმიტომაც, რომ ნეოლიბერალიზმის საზემოქმედო სფეროები არა გვაქვს სათანადოდ დაცული კანონით, რომელიც შეუვალს გახდოდა მათ. ამერიკას, უფრო სწორედ მის უკან მდგომთ სურთ, ნეოლიბერალიზმის გავრცელების ძალით შექმნან მანამდე არნახული მსოფლიო იმპერია და მოაჩვენონ კაცობრიობას გლობალიზმის შედეგად, რაც უბრალოდ სიონისტური პროექტია. მას უკან კი, ძირითადად იკვეთება პლანეტაზე არსებული ბუნებრივი რესურსებისათვის ბრძოლა, და ამ ბრძოლაში ხალხი ვერ ხედავს რეალურ მტერს!

17) 2022 წ-ის 30 სექტემბერს, რუსეთის პრეზიდენტ ვლადიმერ პუტინის კრემლში გამოსვლის სიტყვიდან

...მინდა რომ დასავლეთში გაიგონ, რომ ლუგანსკის, დონეცკის, ზაპოროჟიისა და ხერსონის ოლქების მცხოვრები ხდებიან ჩვენი მოქალაქეები,...რუსეთი არ გაწირავს მათ,...ჩვენ, ჩვენს მიწას დავიცავთ, ჩვენს ხელთ არსებული ყოველგვარი საშუალებებით,... მინდა განვუცხადო ჩვენს ხალხს, რისთვის და როგორი მტრის წინააღმდეგ იბრძვიან, რომელიც ცდილობს ამ ომისგან მიიღოს სისიხლიანი სარგებელი...უკრაინელმა ხალხმა თავისი თვალთ ნახეს თუ რას უმზადებენ მათ და მთელს კაცობრიობას დასავლეთის მმართველი წრეები. მათ აქ ჩამოიხსნეს ნიღაბი და გამოაჩინეს თავიანთი ნამდვილი სახე. სსრკ-ს დაშლის შემდეგ მათ გადაწყვიტეს, რომ მათ დიქტატს სამუდამოდ შევგუებოდით მთელი მსოფლიო,...ისინი ყოველთვის ცდილობდნენ ჩვენი ხალხი ერთმანეთზე წაეკიდათ და დასალუპვად გაეწირათ... მათ მოსვენებას არ აძლევს, რომ არსებობს ჩვენი დიდი ქვეყანა რუსეთი, თავისი უზარმაზარი სიმდიდრეებით. ისინი მზად არიან გადააბიჯონ ყოველივე არსებულს, თავიანთი კოლონიური სისტემის შენარჩუნებისათვის, რომელიც მათ საშუალებას აძლევს გაძარცვონ მსოფლიო, დოლარისა და ტექნოლოგიური დიქტატის ძალით... მათ ამოდრავებთ მხოლოდ მომხვეჭველობა, გამოირჩევიან აგრესიულობითა და სურთ სახელმწიფოთა ტოტალური დესუვერენიზაცია...სურთ გაწყვიტონ ხალხთა ინტეგრირების პროცესი, მტრობენ ტრადიციულ ფასეულობებს, ცდილობენ აღკვეთონ ახალი მსოფლიო ვალუტის გამოჩენა. ითხოვენ, რომ ცალკეულმა სახელმწიფოებმა დათმონ თავისი სუვერენიტეტი აშშ-ს სასარგებლოდ, რასაც დაყვება ზოგიერთი ქვეყანა და ხდება მათ ვასალად, ზოგსაც აშინებენ, ზოგს ყიდულობენ, და ვისთანაც ეს ვერ გამოსდით სამხედრო ძალით ანგრევენ მათ, აქცევენ ჰუმანიტარული კატასტროფის ქვეშ, და ასე იყოლიებენ მათ გავლენის ქვეშ. .. ქმნიან ტერიტორიულ ანკლავებს, კოლონიებსა და ნახევრად კოლონიებს...მათ კი არ სურთ თანასწორუფლებიანი თანამშრომლობა და პარტნიორობა, არამედ დიქტატის ქვეშ ჩვენი მოქცევა. მათთვის მთავარი საფრთხე-ჩვენი აზროვნება და ფილოსოფიაა. ჩვენს კულტურას მთავარ საფრთხედ მიიჩნევენ,

რომელსაც დავიცავთ...მათ არ აქვთ დემოკრატია და არც არას-
დროს ჰქონიათ...ისინი თვლიან, რომ ნეოლიბერალური კულტუ-
რა ხელშეუხებელია მთელი მსოფლიოსათვის და ვინც მათთან
არაა, მიაჩნიათ მტრად... მათთვის უცხოა ჰუმანიზმი, ტრადიცია
და შემწყნარებლობა...90-იან წლებში შეეცადნენ ჩვენს კოლონი-
ზირებას, ნაწილობრივ დაეუფლნენ კიდევაც ჩვენს ბუნებრივ
სიმდიდრეებს, თუმცა ბოლოს გავძლიერდით და ჩანაფიქრი ვერ
გამოუვიდათ...დემოკრატიის ნაცვლად ავრცელებენ ძალადობასა
და ექსპლოატაციას, თავისუფლების ნაცვლად კი იპყრობენ ქვე-
ყნებს, იჩენენ ძალადობასა და ანტიდემოკრატიულობით ცდი-
ლობენ ერთპოლუსიანი მსოფლიო წესრიგის დამყარებას. ისინი
მატყუარა და პირმოთნნი არიან,...მათ დღემდე ოკუპირებული
აქვთ გერმანია, იაპონია და ზოგიერთი სხვა ქვეყანა, რომლებ-
საც უსირცხვოდ უწოდებენ პარტნიორებს...აშშ თავის ვასალებს
იხსენიებს ევროკავშირის სახელით,...იგი ცდილობს მათ სრულ
დეინდუსტრიალიზაციას, რათა ხელში ჩაიგდოს მათი ბაზარი,...
ანგლოსაქსებს ყველა აყვანილი ყავთ სამიზნეზე, მათ შორის
სნგ, რომ თავისი შეხედულებისამებრ მოაწყონ მსოფლიო...დასა-
ვლეთში ინფორმაციული შიმშილია...ნეოლიბერალები რადიკა-
ლურად გადავიდნენ ზნეობრიობის, ოჯახის, უარყოფაზე, ...ჩვენ
არ გვინდა რომ დედ-მამის ნაცვლად გვყავდეს მშობელი N1, მშო-
ბელი N2, და მშობელი N3. ანდა სკოლებში რომ ჩვენს ბავშვებს
ასწავლონ გარყვნილობა, რომელიც მათ წაიყვანს დეგრადაციასა
და გადაშენებისაკენ, რომ ქალისა და კაცის გარდა ყოფილა კიდევ
ვიღაც,- გენდერი, და სთავაზობენ სქესის შეცვლას. ყოველივე ეს
ჩვენთვის მიუღებელია! ჩვენ, ჩვენი მომავალი გვაქვს! დასავლე-
თის დიქტატურა მიმართულია ყველა საზოგადოების წინააღ-
მდეგ, მათ შორის თვით დასავლეთის ქვეყნების წინააღმდეგაც.
ისინი უარყოფენ ადამიანს, ღიად თრგუნავენ თავისუფლებასა
და მათმა მიმართულებამ აშკარად შეიძინა ანტი რელიგიური, სა-
ტანისტური სახე...

თავი 5. ნეოლიბერალიზმის გამოძახილი ქართულ რეალობაში

1. 1918წ-ის 26 მაისის საქართველოს დამოუკიდებლობის აქტის 2-ე მუხლის თანახმად, საქართველო დამოუკიდებელ დემოკრატიულ რესპუბლიკად გამოცხადდა, რომლის 1921 წ-ის 21 თებერვლის კონსტიტუციის მიხედვით იგი კვლავაც დემოკრატიულ, თავისუფალ და დამოუკიდებელ სახელმწიფოდ მოიხსენიებოდა. დადგენილია მოქალაქეთა თანასწორობა კანონის წინაშე. სიკვდილით დასჯა გაუქმებულია, პიროვნება ხელშეუხებელი, მიმოსვლა თავისუფალი. სარგებლობენ შვილების, სიტყვისა და სინდისის სრული თავისუფლებით. უზრუნველყოფილია თავისუფალი მეწარმეობა, პირადი და კოლექტიური პეტეციის უფლება, გაფიცვის თავისუფლება. დაცულია სქესთა თანასწორობა. ფუნქციონირებს საყოველთაო, თანასწორი, პირდაპირი, ფარული და პროპორციული წესისამებრ არჩეული დეპუტატებისაგან შემდგარი პარლამენტი, რომელიც ქვეყნის უმაღლესი გამგებელი და საკანონმდებლო ორგანოა. გადაწყვეტილებას იღებს ხმის მარტივი უმრავლესობით. ირჩევს მთავრობის თავჯდომარეს, რომელიც თავად აკომპლექტებს მთავრობას. სოხუმის, ბათუმისა და ზაქათალის ოლქებს მინიჭებული აქვთ ავტონომიური მმართველობა. სწავლება უფასოა, გათვალისწინებულია სოციალური შემწეობა. დაცულია ეროვნულ უმცირესობათა უფლებები.⁹⁵

როგორც ცნობილია, ჯერ კიდევ მე-20 საუკუნის დასაწყისამდე ევროპაში გავრცელებული იყო, ვიტყოდი, ზომიერი „ლიბერალური დემოკრატია“ და იგი არანაირად არ შეიცავდა ნეოლიბერალიზმის კურსით გათვალისწინებულ ადამიანის „ატომიზაციის“ ნიშნებს, რასაც ჩვენს პერიოდში აქვს ადგილი.

2. 2018 წ-ის მდგომარეობით საქართველოს კონსტიტუცია დამატებით ითვალისწინებს:

მუხ.16.ყველას აქვს საკუთარი პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლება;

მუხ.17/2 დაუშვებელია ადამიანის წამება, არაკუმანური, სასტიკი ან პატივისა და ღირსების შემლახველი მოპყრობა და სასჯელის გამოყენება.

/3. დაუშვებელია დაკავებული თუ სხვაგვარად თავისუფლება შეზღუდული პირის ფიზიკური ან ფსიქიკური იძულება.

მუხ.18/1. ადამიანის თავისუფლება ხელშეუვალია. მუხ.19/1. ყოველ ადამიანს აქვს სიტყვის, აზრის, სინდისის, აღმსარებლობის და რწმენის თავისუფლება.

/2. დაუშვებელია ადამიანის დევნა სიტყვის, აზრის, აღმსარებლობის ან რწმენის გამო, აგრეთვე მისი იძულება გამოთქვას თავისი შეხედულება მათ მიმართ.

/3. დაუშვებელია ამ მუხლში ჩამოთვლილ თავისუფლებათა შეზღუდვა, თუ მათი გამოვლინება არ ლახავს სხვათა უფლებებს.

მუხ.20/1. ყოველი ადამიანის პირადი ცხოვრება, პირადი საქმიანობის ადგილი, პირადი ჩანაწერი, მიმოწერა, საუბარი სატელეფონო და სხვა სახის ტექნიკური საშუალებით, აგრეთვე ტექნიკური საშუალებებით მიღებული შეტყობინებანი ხელშეუხებელია. აღნიშნული უფლებების შეზღუდვა დაიშვება სასამართლოს გადაწყვეტილებით ან მის გარეშე, კანონით გათვალისწინებული გადაუდებელი აუცილებლობისას.

მუხ.21/1. საკუთრება და მემკვიდრეობის უფლება აღიარებულია და ხელშეუვალი.

მუხ.23/2. შემოქმედებით პროცესში ჩარევა, შემოქმედებითი საქმიანობის სფეროში ცენზურა დაუშვებელია.

მუხ.24/1. ყოველ ადამიანს აქვს უფლება თავისუფლად მიიღოს და გაავრცელოს ინფორმაცია, გამოთქვას და გაავრცელოს თავისი აზრი ზეპირად, წერილობით ან სხვაგვარი საშუალებით.

/2. მასობრივი ინფორმაციის საშუალებები თავისუფალია. ცენზურა დაუშვებელია.

/3. სახელმწიფოს ან ცალკეულ პირებს არ აქვთ მასობრივი ინფორმაციის ან მისი გავრცელების საშუალებათა მონოპოლიზაციის უფლება.

/4. ამ მუხლის პირველ და მეორე პუნქტებში ჩამოთვლილ უფლებათა განხორციელება შესაძლებელია კანონით შეიზღუდოს ისეთი პირობებით, რომლებიც აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში სახელმწიფო უშიშროების, ტერიტორიული მთლიანობის ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად, დანაშაულის თავიდან ასაცილებლად, სხვათა უფლე-

ბების და ღირსების დასაცავად, კონფედენციალურად აღიარებული ინფორმაციის გამჟღავნების თავიდან ასაცილებლად ან სასამართლოს დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის უზრუნველსაყოფად.

მუხ.25/1.ყველას, გარდა იმ პირებისა რომლებიც არიან სამხედრო ძალების და შინაგან საქმეთა სამინისტროს შემადგენლობაში, უფლება აქვთ წინასწარი ნებართვის გარეშე შეიკრიბონ საჯაროდ და უიარაღოდ, როგორც ჭერქვეშ ისე გარეთ.

/2.კანონით შეიძლება დაწესდეს ხელისუფლების წინასწარი გაფრთხილების აუცილებლობა, თუ შეკრება ან მანიფესტაცია ხალხისა და ტრანსპორტის სამომრათ ადგილას იმართება.

/3.ხელისუფლებას შეუძლია შეკრების ან მანიფესტაციის შეწყვეტა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მან კანონსაწინააღმდეგო ხასიათი მიიღო.

მუხ.26/3.დაუშვებელია ისეთი საზოგადოებრივი და პოლიტიკური გაერთიანების შექმნა და საქმიანობა, რომლის მიზანია საქართველოს კონსტიტუციური წყობილების დამხობა ან ძალადობით შეცვლა, ქვეყნის დამოუკიდებლობის ხელყოფა, ტერიტორიული მთლიანობის დარღვევა, ან რომელიც ეწევა ომის ან ძალადობის პროპაგანდას, აღვივებს ეროვნულ, კუთხურ, რელიგიურ ან სოციალურ შუღლს.

მუხ 27. სახელმწიფო უფლებამოსილია დააწესოს უცხო ქვეყნის მოქალაქეთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა პოლიტიკური საქმიანობის შეზღუდვა.

მუხ 30/2. სახელმწიფო ვალდებულია ხელი შეუწყოს თავისუფალი მეწარმეობისა და კონკურენციის განვითარებას. აკრძალულია მონოპოლური საქმიანობა, გარდა კანონით დაშვებული შემთხვევებისა. მომხმარებელთა უფლებები დაცულია კანონით.

/3.შრომითი ურთიერთობის მომწესრიგებელ საერთაშორისო შეთანხმებათა საფუძველზე სახელმწიფო იცავს საქართველოს მოქალაქეთა შრომით უფლებებს საზღვარგარეთ.

მუხ31.სახელმწიფო ზრუნავს ქვეყნის მთელ ტერიტორიის თანაბარი სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისათვის. მაღალმთიანი რეგიონების სოციალურ-ეკონომიკური პროგრესის უზრუნველსაყოფად კანონი ადგენს შერღავათეს.

მუხ34/1.სახელმწიფო ხელს უწყობს კულტურის განვითარებას, კულტურულ ცხოვრებაში მოქალაქეთა შეუზღუდავ მონაწილეობას, კულტურული თვითმყოფადობის გამოვლინებასა და გამდიდრებას, ეროვნულ და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებათა აღიარებას და საერთაშორისო კულტურულ ურთიერთობათა გაღრმავებას.

მუხ.36/1.ქორწინება ემყარება მეუღლეთა უფლებრივ თანასწორობასა და ნებაყოფილობითობას.

მუხ37/2.სახელმწიფო აკონტროლებს ჯანმთელიობის დაცვის ყველა დაწესებულებას, სამკურნალო საშუალებათა წარმოებას და ამ საშუალებებით ვაჭრობას.

მუხ.38/2. საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული პრინციპებისა და ნორმების შესაბამისდად, უმცირესობათა უფლებების განხორციელება არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს საქართველოს სუვერენიტეტს, სახელმწიფო წყობილებას, ტერიტორიული მთლიანობასა და პოლიტიკურ დამოუკიდებლობას.

მუხ.39. საქ. კონსტიტუცია არ უარყოფს ადამიანისა და მოქალაქის სხვა საყოველთაოდ აღიარებულ უფლებებს, თავისუფლებებსა და გარანტიებს, რომლებიც აქ არ არის მოხსენიებული, მაგრამ თავისთავად გამომდინარეობენ კონსტიტუციის პრინციპებიდან.

მუხ.44/2.ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა განხორციელებამ არ უნდა დაარღვიოს სხვათა უფლებები და თავისუფლებები.

მუხ.45.კონსტიტუციაში მითითებული ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი, მათი შინაარსის გათვალისწინებით, ვრცელდება აგრეთვე იურიდიულ პირებზე.

მუხ.47/1საქართველოში მცხოვრებ უცხოელ მოქალაქეებს და მოქალაქეობის არმქონე პირებს საქართველოს მოქალაქის თანაბარი უფლებანი და მოვალეობანი აქვთ, გარდა კონსტიტუციით და კანონით გათვალისწინებული გამონაკლისებისა.96

ერთი შეხედვით, ხსენებული კონსტიტუციებიდან მოყვანილი ამონარიდები ნათლად მოწმობენ, რომ დღეს ქართული პოლიტიკური ველი მოქცეულია ლიბერალური, თუ ნეოლიბერალური იდეოლოგიის გავლენის ქვეშ და თითქოს რაიმე პრეტენზიაც არ უნდა გვქონდეს მის მიმართ. რამეთუ რაც ნათქვამია, თითქოსდა

ჯდება ჩვენი ზომიერების ფარგლებში, მაგრამ, ეს ერთი შეხედვით. რადგან, როგორც იანოშ კიშის წიგნიდან ამონარიდები მოწმობენ, და რომლებიც მიღებულია ნეოლიბერალიზმის განვითარების თანამედროვე, მაგრამ მუდმივად ცვლად პლატფორმად, და რომელიც კიდევ და კიდევ, უსასრულოდ გაფართოვდება მათში მოყვანილი ტენდენციები, როგორც შინაარსობრივად, ისე მოქმედების არიალის მიხედვით,- ადამიანის სრულ „ატომიზაციამდე“ , გლობალურ პროცესებთან ერთად, საზოგადოებრივი ინტერესების იგნორირებით,- ჩვენ ჯერ კიდევ მრავალჯერ ვიხილავთ საკუთარი კონსტიტუციის ცვლილებას და ჩვენსავე „დაყოლიებას“ დასავლეთის მხრიდან „რეკომენდირებულ“ სიახლეებზე.

რასაც ამერიკის შეერთებული შტატები და მისი საგარეო პოლიტიკა წარმოადგენს, ჩვენ ყველამ კარგად ვიცით, მაგრამ, როგორც ჩანს არ იცის მისმა მოსახლეობამ, რასაც ვერ ვიტყვი სინისტრებზე. ახლა შევეხოთ ევროკავშირს, რომელიც მისი „ხელის ბიჭის“ როლს ასრულებს, მისი პოლიტიკის გამტარებელია და მასთან ერთად დამატებით ზემოქმედებს ჩვენზე.

თავი 6. ევროკავშირი და მისი პოლიტიკა

ევროპის ინტეგრაციის იდეა ჩერჩილმა წამოაყენა 1946 წ-ის 19 სექტემბერს, ციურიხში სიტყვით გამოსვლის დროს. ისაუბრა ევროპის შეერთებული შტატების შექმნის აუცილებლობაზე. თუმცა მის ამ იდეას მაშინ განვითარება არ მოყლია. **ევროპის ინტეგრაციის საწყისად შეიძლება ჩაითვალოს 1950 წ-ი**, როდესაც საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა რობერტ შუმანმა გაახმოვანა ფრანგი პოლიტიკოსის ჟან მონეს ინიციატივა-გაერთიანებულიყო დასავლეთ ევროპის ნახშირისა და ფოლადის საბადოები, რასაც შედეგად მოყვა 1951 წ-ის ევროპის ქვანახშირისა და ფოლადის გაერთიანება. შევიდნენ სახელმწიფოები: ბელგია, დასავლეთ გერმანია, ლუქსემბურგი, საფრანგეთი, იტალია და ნიდერლანდები.

1953 წ-ს შეიქმნა რკინის, ნახშირის, მადნეულისა და ჯართის საერთო ბაზარი. ევროპის ეკონომიკურ გაერთიანებას საფუძვლად დაედო 1957 წ-ის რომის ხელშეკრულება. შეიქმნა ევროპის ბაზარი, რასაც მოყვა საბაჟო კავშირის შექმნა, თუმცა იგი ამოქმედდა 1968 წ-დან.

70-იანი წლებიდან დაიწყო ევროპის სამთავრობათაშორისო თანამშრომლობის განვითარება. წევრი ქვეყნების საგარეო საქმეთა მინისტრები იკრიბებოდნენ კვარტალში ერთხელ და განიხილავდნენ საკითხებს, შექმნეს მუდმივ მოქმედი პოლიტიკური სამდივნო, -ევროსაბჭოს ფარგლებში.

1974 წ-დან დაიწყო წევრი ქვეყნების მეთაურთა შეხვედრების ფორმულირება, და ოფიციალურად წელიწადში ორჯერ ხვდებოდნენ ერთმანეთს. ორი წლის შემდეგ, იტალიის ქ.მესინაში შეიქმნა ხსენებული ევროპის ექვსი ქვეყნის სამთავრობათაშორისო კომიტეტი. მან მოამზადა რომის ხელშეკრულების საფუძვლები, რომელიც საფუძვლად დაედო „ევროპის ეკონომიკურ გარერთიანებას“. **შეთანხმდნენ საერთო ბაზრის ჩამოყალიბებაზე, რომელიც ითვალისწინებდა ევროკავშირის ქვეყნებს შორის ბარიერების გაუქმებას, საქონლის, მომსახურეობის, კაპიტალისა და ადამიანთა გადაადგილების საქმეში.** რომის ხელშეკრულებამ მალევე სფუძველი ჩაუყარა, აგრეთვე, საერთო სოფლის მეურნეობისა და საგარეო ვაჭრობის პოლიტიკას.

რომშივე ცალკე ხელშეკრულებით დაარსდა „ევროპის ატომური ენერჯის გაერთიანება“, „ევრატომი“ და ამ მხრივ შექმნეს საერთო ბაზარი.

1967 წ-ს ბრიუსელის ხელშეკრულებით მოხდა ზემოხსენებულ სამი ორგანიზაციის: „ევროპის ნახშირისა“ და „ფოლადის“, „ევროპის ეკონომიკური მარაგებისა“ და „ევრატომის“ აღმასრულებელი ორგანოების გაერთიანება, -ჯერ ევროკომისიად, ევროსაბჭოდ, შემდეგ კი, „ევროპული გაერთიანება“ ეწოდა, რომელიც 1992 წ-დან, მასტრიხატის ხელშეკრულების შესაბამისად ეწოდება „ევროკავშირი“, რომელიც დღეს 28 ქვეყანას აერთიანებს.

1985 წ-ის 14 ივნისს ხელი მოეწერა შენგენის შეთანხმებას, რომლის თანახმად ბელგია, გერმანია, საფრანგეთი, ლუქსემბურგი და ნიდერლანდები გარიგდნენ თანდითანობით გაეუქმებინათ ერთმანეთში სასაზღვრო კონტროლი და შემოეღოთ გადაადგილების თავისუფლება, როგორც თავიანთი მოქალაქეებისათვის, ისე არაწევრი ქვეყნების მოქალაქეთათვის, რომელშიც გაერთიანდა 26 ქვეყანა. დაიშვა პასპორტების გაცემა, რომელიც არ კონტროლდებოდა. თუმცა გარე საზღვარსიცავდნენ მკაცრად.

ეს ქვეყნები ვალდებულები იყვნენ ეწარმოებინათ ერთიანი პოლიტიკა მიგრანტთა მიმართ, რასაც მოყვა მონაცემთა საერთო ბაზისა და საერთო სააპელაციო სასამართლო სისტემის შექმნა.

1986 წ-ის 28 თებერვალს ევროგაერთიანების ქვეყნებმა ხელი მოაწერეს „ერთიან ევროპულ აქტს“, რითაც ცვლილებები შევიდა მათ სადამფუძნებლო დოკუმენტებში. მის საფუძველზე ცალკე ინსტიტუტად ჩამოყალიბდა ევროსაბჭო, შეიქმნა პირველი ინსტანციის სასამართლო, საპარლამენტო ასამბლეას ოფიციალურად ეწოდა ევროპარლამენტი. შემოიღეს თანაგადაწყვეტილების პროცედურები. დაიწყო ოთხი სახეობის ღირებულებათა: -საქონლის, მომსახურეობის, კაპიტალისა და ადამიანთა თავისუფლად გადაადგილება. ასე დასრულდა მათი შიდა ბაზარი 1992 წ-ის 31 დეკემბერს.

ბერლინის კედლის დანგრევამ, რასაც გერმანიის გაერთიანება მოყვა, ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების საბჭოთა კავშირის კონტროლიდან განთავისუფლებამ, აგრეთვე, 1991 წ-ის დეკემბერში სსრკ-ს დაშლამ, და დაწყებულმა დემოკრატიულმა პროცესებმა, განაპირობა ევროპის პოლიტიკური სტრუქტურ-

რის შეცვლა.

1992 წ-ის 7თებერვალს, ნიდერლანდების ქ.მასტრიხტში ხელი მოეწერა ევროკავშირის შესახებ ხელშეკრულებას, რომლის საფუძველზეც **ევროპელები გარდაიქმნენ ევროკავშირად** და ეკონომიკურთან ერთად შეიძინა **პოლიტიკური ასპექტიც**. მანამდე არსებული ხელშეკრულებები კი, კერძოდ, 1950 წ-ის პარიზის, 1957 წ-ის რომის და 1986 წ-ის აქტი,-ერთ პოლიტიკურ დოკუმენტად გააერთიანეს.

მასტრიხტის ხელშეკრულებამ დაადგინა, რომ ევროკავშირი, სამ ძირითად სვეტს უნდა ეფუძვნოდეს; პირველში გაერთიანეს ევროპის არსებული გაერთიანებები, ქვანახშირის, ფოლადის, ევროატომის საკითხები; მეორეში,-საერთო საგარეო და თავდაცვის პოლიტიკა; ხოლო მესამეში,-თანამშრომლობა, მართლმსაჯულობა და შინაგანი საქმეები.

ამასთან ერთად პირველ სვეტს გადაეცა: საბაჟო კავშირი, საერთო სოფლის მეურნეობის პოლიტიკა, ერთიანი ბაზარი და სავაჭრო პოლიტიკა, რასაც მოგვიანებით დაუმატეს სხვა საკითხებიც.

მეორე სვეტს,-თანამეგობრობის საკითხები, საერთო საგარეო პოლიტიკის შემუშავება, სამშვიდობო მისიები, დახმარება არაწევრი ქვეყნების მიმართ, ევროპის უსაფრთხოების, განიარაღების, თავდაცვისა და დაფინანსების საკითხები.

მესამე სვეტს,-წევრი ქვეყნების პოლიციისა და სასამართლო სისტემების თანამშრომლობა სამართლებრივ საკითხებში, საპოლიციო თანამშრომლობა, ბრძოლა რასიზმისა, ტერორიზმის, ორგანიზებული დანაშაულის, ტერაქტების, ნარკომანიისა და ადამიანის უფლებების წინააღმდეგ ბრძოლა.

პირველ სვეტში არსებული საკითხები წყდება ზეეროვნულ, ევროპულ დონეზე, ხმათა უმრავლესობით, რაშიც გადამწყვეტი სიტყვა ეთქმოდა ევროკომისიას და ევროპარლამენტს,-საბჭოსთან ერთად. დანარჩენ ორ სვეტში წამყვანი როლი მიენიჭა საბჭოს და გადაწყვეტილებები მიიღებოდა ეროვნულ დონეზე წევრი ქვეყნების ხელმძღვანელებისა და მინისტრების მიერ. გადაწყვეტილების მისაღებად საჭირო იყო ყველა წევრი ქვეყნის თანხმობა.

მასტრიხის ხელშეკრულების შედეგად გაიზარდა ევროპარლამენტის ძალაუფლება. კერძოდ, თანაგადაწყვეტილების პროცედურების შემოღებით. ევროპარლამენტს მიენიჭა თანაბარი უფლება საბჭოსთან ერთად მიეღო მონაწილეობა საკანონმდებლო პროცესის გარკვეულ საკითხებში. ევროკომისიის შემადგენლობის დასამტკიცებლად აუცილებელი გახდა ევროპარლამენტის თანხმობა. ევროპარლამენტთან **შეიქმნა ომბუდსმენის ინსტიტუტი**, რომელსაც მიეცა უფლება შეემოწმებინა ევროკავშირის სამართლობრივი დარღვევების ფაქტები.

მასტრიხის ხელშეკრულების თანახმად გადაწყდა ევროპის ეკონომიკური და სავალუტო კავშირის შექმნა, რომელიც უნდა განხორციელებულიყო ეკონომიკური პოლიტიკის მჭიდრო კორდინაციასა და ერთიანი სავალუტო ერთეულის სფეროს შემოღება. ამ მიზნით მათ შექმნეს ევროპის ცენტრალური ბანკი. გადაწყდა შემოღებულიყო ასევე ევროპის მოქალაქეობაც. ხელშეკრულებაში ნათქვამია ასევე ერთიანი სოციალური პოლიტიკის შემოღება. თუმცა იგი ამოღებულ იქნა და დარჩათ იგი შიდა სახელმწიფოებს ისევე, როგორც საგარეო და დაბეგვრის საკითხები. მასტრიხის ხელშეკრულება ძალაში შევიდა 1993 წ-ს.

1997 წ-ს ხელი მოაწერეს ამსტერდამის ხელშეკრულებას, რომელიც მიზნად ისახავდა ევროკავშირის სამომავლო გაფართოებასა და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების ინტეგრირებას. ასევე „მოქნილობის გაზრდასა“ და „თავისუფლების უსაფრთხოებისა და იურისპრუდენციის არეალის შექმნას“. ითვალისწინებდა ასევე მართლმსაჯულობისა და შინაგან საქმეთა საკითხებში თანამშრომლობის გაღრმავებას, სავიზო რეჟიმებს, სასაზღვრო კონტროლს, თავშესაფარის მიცემისა და იმიგრაციის პოლიტიკას.

ევროკავშირმა, ზოგადადად, ადამიანის უფლებათა და არაწევრი ქვეყნების ადამიანის უფლებათა დაცვა,-ევროპული გაერთიანების სადამფუძნებლო ხელშეკრულების ფარგლებში მოაქცია და ევროკავშირის კომპეტენციათა პირველ სვეტში გააერთიანა. შეიქმნა ევროპული პოლიცია. შემოღებულ იქნა უმაღლესი თანამდებობა,- ევროკავშირის უმაღლესი წარმომადგენლის თანამდებობა საერთო საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის საკითხებში, რომელიც ამავდროულად საბჭოს გენერალური მდივანიც იყო. აუცილებელი გახდა ევროკომისიის პრეზიდენ-

ნტის კანდიდატურის თანამდებობაზე პარლამენტის თანხმობა.

2000 წ-ის დეკემბერში, საფრანგეთის ქ. ნიცეში შეიმუშავეს ხელშეკრულება, რომლის თანახმად მომზადდა კავშირის გაფართოებისათვის ახალი ინსტიციონალური საფუძველი. ნიცეს ხელშეკრულებით განისაზღვრა რიგი ახალი დებულებები, მათ შორის საბჭოში გადაწყვეტილებების მიღების თაობაზე. თუმცა იგიც შეიცვალა ლისაბონის ხელშეკრულებით, რომელიც შედგა 2007 წ-ის 13 დეკემბერს, ძალაში შევიდა 2009 წ-ს 1 დეკემბერს. ითვალისწინებს ევროკავშირის უფრო ძლიერ ერთეულად ჩამოყალიბებას, საერთო მმართველობით. 97

ამ მოკლე ანოტაციით იმის თქმა გვინდა, რომ ჯერ ერთი მკითხველს გვინდა ზოგადი წარმოდგენა შეუქმნათ ევროპარლამენტის ისტორიაზე, რომელიც ჩამოყალიბდა, როგორც სახელმწიფოთაშორისო დარგობრივი გიგანტური ეკონომიკური გაერთიანება, მერე კი, -1986 წ-დან, როგორ გადაიქცა იგი შიდა კონტინენტურ თავისუფალ ბაზრად, რაც პრინციპში მართებული იყო, როგორც თანაბარი დონის ქვეყნებს შორის საბაზრო ურთიერთობის ნორმალური ფორმა. თუმცა აქ ყურადსაღებია ის გარემოება, რომ 1997 წ-დან მან თავის სადამფუძნებლო დოკუმენტებში მოაქცია არამარტო საკუთარი მოქალაქეების უფლებების დაცვა, არამედ არა წევრი ქვეყნების მოქალაქეთა უფლებების დაცვაც, რამაც მას ექსპანსიურ ხასიათი შესძინა, და მიზეზი მიეცათ სხვა ქვეყნების შიდა საქმეებში ჩარევის. ვფიქრობ, ამ დროს იგი მოქმედებდა ამერიკის „თავისუფლების სახლისა“ და გაეროს ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის რჩევა-დავალებებით, ანდა მათთან ალიანსში. საგულისხმოა, რომ ევროკავშირი ამერიკის შეერთებული შტატების ნების გამტარებელი მექანიზმია და მის მეშვეობით ცდილობს „ხარტლენდის თეორიით“ გათვალისწინებული პოლიტიკის განხორციელებასაც, რაც დაუფარავად აქვს გადმოცემული ბზიგნევ ზუჟინსკის თავის წიგნში: „დიდი შახმატის დაფა“. ამასვე მოწმობს უკრაინაში დღეს მიმდინარე მოვლენებიც /“ხარტლენდის თეორიის“ შესახებ ცნობები მოყვანილი გვაქვს თავში „რასთან გვაქვს საქმე, ანუ ლუციფერი ცდილობს დაემსგავსოს ღმერთს?“/

1) ევროკავშირის საპროგრამო მიმართულებები

(ევროკავშირი საქართველოს ეხმარება 1992 წ-დან, ბალანსი აღემატება ორ მილიარდ ევროს, საკითხავია, რა ამომრავებს ჩვენს მიმართ?)

ა) ინსტიტუციური განვითარების პროგრამიდან:

-საჯარო სამსახურების დაძმობილობის პროგრამა „ტვინინგი“, ხელმისაწვდომია როგორც ევროკავშირის კანდიდატი და პოტენციურ კანდიდატი ქვეყნებისათვის, ასევე სამეზობლო პოლიტიკის ქვეყნებისათვის, რომელთა შორის ბუნებრივია საქართველოც მოიაზრება.

„ტვინინგი“ მიზნად ისახავს მიმღები ქვეყნების უწყებებსა და ევროკავშირის წევრი ქვეყნის შესაბამის უწყებებს შორის თანამშრომლობის ხელშეწყობას, ევროკავშირთან საკანონმდებლო დაახლოების, სახელმწიფო ინსტიტუტების გაძლიერების, ევროკავშირის სამართლებრივი ნორმებისა და სტანდარტების დანერგვის კუთხით. ამ პროგრამით საქართველო სარგებლობს 2009 წ-დან და ჩვენს მიერ განხილული ფილოსოფოსთა ნაშრომებიდან ადვილი მისახვედრია თუ საით იქნება იგი მიმართული ჩვენს ქვეყანასთან მიმართებაში.

ბ) ევროკავშირის სამოკავშირო პოლიტიკის პროგრამიდან (EIVP):

ეს პროგრამა ითვლება ევროკავშირის სამხრეთ და აღმოსავლეთ 16 მეზობლებთან ურთიერთობის საფუძვლად, რა პრინციპებია მაშში გათვალისწინებული ჩვენთვის უცნობია, თუმცა მისახვედრია.

გ) აღმოსავლეთ პარტნიორობის პროგრამიდან:

- ერთად სიცოცხლისუნარიანი სამართლიანი და ინკლუზიური საზოგადოებისაკენ.

ცხადია, თუ გადახედავთ მათ, უდაოდ დავინახავთ, რომ მათში რეალიზებულია ჩვენს მიერ ზემოთ განხილული ფილოსოფოსების რეკომენდაციები.

სამომავლო პრიორიტეტები კი გათვალისწინებული აქვთ 2021 წ-ის ივლისში დამტკიცებული დოკუმენტით, რომელიც ორ პრინციპს ეყრდნობა: 1) 2,3 მილიარდი ევროს ღირებულების ინვესტიციის მხარდაჭერას, რესურსებისა და გრანტების სახით,

რაც შეუძლია გაზარდოს საჭიროების შემთხვევაში 17 მილიარდ ევრომდე. გააჩნია საფლაგმანო პროგრამებიც, რომელიც ითვალისწინებს სიცოცხლისუნარიანი და სამართლიანი სამოქალაქო საზოგადოებების კონსოლიდაციას, სადაც ყველა თანასწორი იქნება. მათში გადმოცემულია აღმოსავლეთ ევროპის სამეზობლო პოლიტიკა, რასაც 2009 წ-დან ჩაეყარა საფუძველი. 2)მისი მიზანია: ეკონომიკუ-პოლიტიკური ურთიერთობის გაძლიერება და გაღრმავება ევროკავშირსა და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებს შორის, მათ შორის საქართველოს, სომხეთს, აზერბაიჯანს, ბელორუსიას, უკრაინასა და მოლდავეთს შორის.

აღმოსავლეთ პარტნიორობის პროგრამა მხარს უჭერს არაერთი გლობალური პოლიტიკური ამოცანის განხორციელებას. საამისოდ შემუშავებული აქვს გლობალური განვითარების სტრატეგია, რომელიც სავარაუდოდ პოსტსაბჭოთა სივრცის მნიშვნელოვანი ნაწილის შთანთქმას თვალისწინებს. 2017 წ-ის სამიტზე დაისახა 2020 წლისთვის „20-შედეგი“, ძირითადად ახალი წევრების მიღება, მათთან ეკონომიკური ურთიერთობის გაძლიერება, მმართველობის გაძლიერება, კავშირების გაძლიერება და სამოქალაქო საზოგადოებების გაძლიერება. გეგმა ითვალისწინებდა ასევე, გენდერული, სამოქალაქო საზოგადოებების, მედიისა და სტრატეგიული კომუნიკაციების განვითარებას, რომელიც ხსენებულ ოთხივე საკითხს მოიცავს.

ევროკავშირის შემუშავებული აქვს ასევე აღმოსავლეთ პარტნიორობასთან დაკავშირებით პროგრამა :“აღმოსავლეთის პარტნიორობა 2020 წ-ის შემდეგ“, რითაც განსაზღვრულია ხუთი პოლიტიკური ამოცანის გადაჭრა. ესენია:

- ერთად სიცოცხლისუნარიანი, მდგრადი და ინტეგრირებული ეკონომიკისათვის;
- ერთად ანგარიშვალდებული ინსტიტუტების, სამართლებრივი სახელმწიფოსა და უსაფრთხოებისათვის;
- ერთად გარემოსა და კლიმატის სიცოცხლისუნარიანობისათვის;
- ერთად სიცოცხლისუნარიანი ციფრული ტრანსფორმირებისათვის;

აი საიდან აქვთ ფული ქუჩაში გამოსულ, დაუსაქმებელ ახალგაზრდებს და არასამთავრობო ორგანიზაციებს, რომელთა რიცხვიც

საქართველოში 300-ს აჭარბებს.

დ) ევროკავშირის 2025 წლისთვის შემუშავებული აქვს 10 ძირითადი მიზანი:

- ინვენსტირება კონკრეტულ და ინოვაციურ ეკონომიკაში 500 000 მცირე და საშუალო საწარმოს მხარდაჭერა;
- ინვენსტირება კანონის უზენაესობაში,-ყველა მაღალი რანგის ოფიციალური პირი აქვეყნებს დეკლარაციას საკუთარი ეკონომიკური აქტივების შესახებ და ხდება მათი დადასტურება;
- ინვენსტირება მდგრად და გონივრული კავშირებში,- შენდება ან რეაბილიტაცია უტარდება 3000 კმ სიგრძის გზებსა და რკინიგზებს;
- ინვენსტირდება ადამიანებში და ცოდნაში -70 000-მდე ინდივიდუალური მოწყობის შესაძლებლობების მქონე სტუდენტური პერსონალი, მეცნიერების, ახალგაზრდებისა და ახალგაზრდათა საქმეებზე მომუშავე პერსონალი;
- ინვენსტირდება უსაფრთხოებაში და კიბერ უსაფრთხოების მუქარისადმი გამძლიერებული ჩარჩოს შექმნა, ჰიბრიდული საფრთხეების ამოცნობისა და მათი დამლევის მიზნით. აგრეთვე, კიბერუსაფრთხოებასთან საბრძოლველად;
- ინვენსტირდება 250 000-ე მდგრადი ენერგეტიკის შიდა მეურნეობის ერთეულებში, რაც მოხმარების დონეს 20%-ით შეამცირებს;
- ინვენსტირდება გარემოს დაცვისა და კლიმატის საკითხები,-რაც დამატებით სამი მილიონი ადამიანისათვის ხელმისაწვდომი იქნება. მასში შედის უსაფრთხო წყლის სერვისები, ჰაერის კონტროლი და მისი გაჯანსაღების ღონისძიებები 300 ქალაქში;
- ინვენსტირდება ჯანმრთელობის სიცოცხლისუნარიანობა, რასთან დაკავშირებითაც 850 000 ჯანდაცვის მუშაკი ვაქცინირებული იქნება. გაუმჯობესდება აღჭურვილობა, მკურნალობა და შრომის პირობები;
- ინვენსტირდება ინკლუზიურ, გენდერულად თანასწორ და მრავალფეროვან საზოგადოებაში და სტრატეგიული კომუნიკაციებში,-სამოქალაქო საზოგადოების 2500 ადგილობრივი ორგანიზაცია, 120 დამოუკიდებელი მედია საშუ-

ალებები და 2000 ჟურნალისტის მხარდაჭერა;

- ინვენსტირდებაა ციფრულ ტრანსფორმაციაში მაღალჩქაროსნული ინტერნეტის შიდა მეურნეობის 80%.

არსებობს კიდევ ევროკავშირის სხვა უამრავი გეგმა, რომელიც ფარდას ხდის მათ შენიღბულ საქმიანობას არა მარტო ევროპაში, არამედ მთელ პოსტსაბჭოთა სივრცეშიც, რასთან დაკავშირებითაც საკითხავია, რისთვის ხარჯავენ ამდენ ფულს, თუ მათ საკუთარი ინტერესები არ ამოდრავებთ?!

ვ) ევროკავშირის საქმიანობა საქართველოში ძირითადად მიმდინარეობს შემდეგი მიმართულებებით:

1. ქალთა მიმართ ძალადობის აღსაკვეთად ინტერგრირებული მიდგომის ხელშეწყობისა და გენდერული თანასწორობის გაძლიერების კუთხით;
2. მედიის თავისუფლების, ინტერნეტ მმართველობისა და პერსონალური მონაცემების დაცვის კუთხით;
3. სოციალური და ეკონომიკური უფლებების დაცვის გაძლიერების კუთხით;
4. ადამიანთა უფლებების დაცვის კუთხით, საპოლიციო ზომების გატარები დროს;
5. ადგილობრივ დონეზე მონაწილეობითი დემოკრატიისა და ადამიანის უფლებების გაძლიერების კუთხით;
6. თანასწორობის დაცვისა და დისკრიმინაციის დაუშვებლობის ეფექტური მექანიზმის შექმნის საქმეში;
7. სკოლასა და თემში მოსწავლეთა ჩართულობით დემოკრატიული გადაწყვეტილებების მისაღებად;
8. პენიტენციურ სისტემაში ჯანდაცვის გასაუმჯობესებლად და სხვა, რომელთაგან მნიშვნელოვანი ნაწილი უკვე რეალიზებულია. მაგალითად მედიისა და ინტერნეტის თავისუფლებისა და ხელშეწყობის საქმეში;

მონაცემთა გაძლიერებული დაცვის საქმეში; ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს კონვენციის გამოყენების საქმეში; მედია პლურალიზმისა და ინტერნეტ თავისუფლების ამაღლების საქმეში.⁹⁸

ბუნებრივია, ამ მიმართულებებით საქართველოში შექმნი-

ლია „სამოქალაქო საზოგადოებები,“ რომლებიც წარმოადგენენ არამართო აშშ-ს, არამედ ევროკავშირის ამერიკანიზებული იდეოლოგიის გავრცელების მექანიზმებს, რომლებიც თავისი აქტიურობით მუდმივად იწვევენ დესტაბილიზაციას და უმნიშვნელოვანესი პრობლემებიდან ხალხის ყურადღება გადააქვთ მოჩვენებით სცენებზე. ყველა მათგანი საცნობია უცხო ქვეყნის აგენტად.

ევროკავშირი მიანიჭებს საქართველოს კანდიდატის სტატუსს თუკი იგი შესრულებს მის 12 მოთხოვნას:

- აღმოფხვრის პოლიტიკურ პოლარიზაციას. ამ საკითხზე უნდა იმუშაოს ყველა პარტიამ, “19 აპრილის შეთანხმების სულისკვეთების დაცვით“;
- ყველა სახელმწიფო ინსტიტუტი გამართულად იმუშაებს. გაიზრდება მათი დამოუკიდებლობა, ანგარიშვალდებულება და დდემოკრატიული ზედამხედველობა მათზე. ხელისუფლება გაითვალისწინებს ეუთო-ოდირის, ევროპის საბჭოსა და ვენეციის კომისიის დასკვნებს საარჩევნო სისტემაზე;
- მიიღებს გამჭვირვალე და ეფექტიანი სასამართლო რეფორმის სტრატეგიასა და სამოქმედო გეგმას. დაიწყებს მის განხორციელებას. “უზრუნველყოფს სასამართლო სისტემის მთლიან და ჭეშმარიტ დამოუკიდებლობას, ანგარიშვალდებულებასა და მიუკერძოებლობას.“ ამ პროცესში სხვა პოლიტიკური პარტიებიც უნდა ჩაერთონ. სასამართლო ინსტიტუტებმა და პროკურატურამ დამოუკიდებლად და გამჭვირვალედ უნდა იმუშაონ. მოსამართლეები და იუსტიციის უზენაესი საბჭოს წევრები ასევე გამჭვირვალედ უნდა ინიშნებოდნენ;
- გააძლიერებს ანტიკორუფციული სააგენტოს დამოუკიდებლობას და ეფექტიანად გამოიძიებს ელიტური კორუფციის შემთხვევებს. გააძლიერებს სპეციალურ საგამოძიებო და პირადი მონაცემების დაცვის სამსახურებს. უზრუნველყოფს მათ ინსტიტუციურ დამოუკიდებლობას;
- აიღებს და შეასრულებს „დეოლიგარქიზაციის“ ვალდებუ-

ლებას. აღმოფხვრის იმ გადაჭარბებულ ზეგავლენას, რომელიც პირად ინტერესებს აქვთ ეკონომიკურ, პოლიტიკურ და საჯარო ცხოვრებაზე;

- გაამლიერებს ბრძოლას ორგანიზებულ დანაშაულთან და ეფექტიანად გამოიძიებს სამართალდარღვევებს. სამართალდამცავი ორგანოები იქნებიან ანგარიშვალდებულები და გამჭვირვალე;
- შექმნის თავისუფალ, პროფესიონალურ, პლურალისტურ და დამოუკიდებელ მედია გარემოს. “სამართალწარმოება მედია საშუალებების მფლობელების წინააღმდეგ უპასუხებს უმაღლეს სამართლებრივ სტანდარტებს“. ხელისუფლება ეფექტიანად და დროულად გამოიძიებს ჟურნალისტებზე ძალადობის საქმეებს;
- სასწრაფოდ დაიცავს მოწყვლადი ჯგუფების უფლებებს. ეფექტიანად გაასამართლებს მათზე მოძალადეებს და ამ ძალადობის დამკვეთებს;
- “გააერთიანებს ძალისხმევას“ გენდერული თანასწორობისათვის და ქალთა წინააღმდეგ ძალადობასთან საბრძოლველად;
- ჩართავს სამოქალაქო საზოგადოებას გადაწყვეტილებების მიღებაში „ყველა დონეზე“;
- მიიღებს კანონს, რომელიც უბიძგებს ქართველ მოსამართლეებს, “პროაქტიურად გაითვალისწინონ საკუთარ მსჯელობებში ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს შეფასებები;
- ახალ სახალხო დამცველად დაინიშნება დამოუკიდებელი ადამიანი. დანიშნა იქნება გამჭვირვალე, მისი სამსახური-ზეგავლენისგან თავისუფალი;

ევროკომისიის პრეზიდენტმა, ურზულა ფონ დერ ლაიენმა კომისიის შეფასების წარდგენისას თქვა, რომ საქართველოსთვის „ევროპის კარი ღიაა და ახლა ჯერი მასზეა“.

ბუნებრივია, კითხვარში დაყენებული მრავალი მოთხოვნის შესრულება მართლაც არ გვაწყენდა , მაგრამ მასში ისეთებიცაა, რომელთა შესრულება მოგვაყენებდა ზიანს. ამ კითხვარიდან აშკარად მოჩანს, რომ ევროკავშირი ერევა ჩვენს საშინაო საქმეებში.

თავი 7. წარმოდგენთ საქართველოში 2022 წ-ის 06 ივლის ჩატარებულ პრაიდ კვირეულთან დაკავშირებით

გაეროს განვითარების პროგრამის, ევროკავშირის წარმომადგენლობის, ამერიკის შეერთებული შტატების, დიდი ბრიტანეთის, ესპანეთის, ნიდერლანდების, ნორვეგიის, იაპონიის, ისრაელის, საფრანგეთის, შვედეთის, შვეიცარიისა და ჩეხეთის რესპუბლიკების საელჩოთა ერთიან განცხადებას:

„მივესალმებით 2022 წლის პრაიდ კვირეულის ჩატარებას. ვულოცავთ თბილისს პრაიდს და სხვა სათემო ორგანიზაციებს ამ წარმატებას. სოლიდარობას ვუცხადებთ ლესბოსელ, გეი, ბისექსუალ, ტრანსგენდერ, ქვიარ, და ინტერსექს (გბტქი+) თემს და მხარს ვუჭერთ მათ სამოქალაქო უფლებას შიშსა და შეზღუდვების გარეშე ისარგებლონ საქართველოს კონსტიტუციით მინიჭებული უფლებებით.

კარგად გვესმის, პრაიდ კვირეულის აღნიშვნა უსაფრთხოებასთან დაკავშირებულ რისკებსა და ბევრ სხვა სტრესულ ვითარებას გულისხმობს. უამრავი ლგბტი+ ადამიანი მსგავს გამოწვევებს ყოველდღიურად უმკლავდება. იმედი გვაქვს და გვაჯერა, რომ წლევანდელი პრაიდ კვირეული წინ გადადგმული ნაბიჯია ლგბტი+ თემის უფლებების დაცვის, მათ შორის შეკრების, და გამოხატვის თავისუფლების უზრუნველყოფის მხრივ.

მადლობას ვუხდით საქართველოს შს სამინისტროსა და პოლიციის თანამშრომლებს, რომელთაც პრაიდ კვირეულის მსვლელობისას უზრუნველყვეს საზოგადოებრივი წესრიგი. მივესალმებით საქართველოს მთავრობის ჩართულობას ჯგუფების უფლებების დაცვით, სახელმწიფო მხარს უჭერს ადამიანის ძირითადი უფლებების საყოველთაო დაცვას და ისეთი საზოგადოების მშენებლობას, რომელიც აძლიერებს და იცავს მის ყველა წევრს, გამონაკლისის გარეშე და აღიარებს და აფასებს მრავალფეროვნებას.

მივესალმებით საქართველოს შემდგომ ნაბიჯებს ადამიანის

უფლებების დაცვისა და ამ მხრივ საერთაშორისო ვალდებულებების შესრულების გზაზე, მათ შორის ადამიანთა უფლებების ეროვნული სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის დამტკიცების გზით.

საქართველოს მოქალაქეები სულ უფრო მეტად უჭერენ მხარს მრავალფეროვნებას და მიაჩნიათ, რომ ლგტბქი+ პირთა უფლებების დაცვა მნიშვნელოვანია. ეს სოციალური ცვლილება სახელმწიფოს პოლიტიკასა და პრაქტიკაზე უნდა აისახოს. უაღრესად მნიშვნელოვანია, რომ საქართველომ ზედმიწევნით შეასრულოს ამ მხრივ აღებული საერთაშორისო ვალდებულებები და სათანადოდ დაიცვას ყველა მოქალაქის უფლებები და თავისუფლებები, მათი შესაძლებლობის, ეროვნული, ეთნიკური, თუ სოციალური წარმომავლობის, რასობრივი მიკუთვნების, სქესის, სექსუალური ორიენტაციისა თუ გენდერული ინდენტობის მიუხედავად.

აღნიშნულის გათვალისწინებით, შევახსენებთ საქართველოს მთავრობას, რომ 2021 წლის 5 ივლისის მოვლენები სათანადოდ უნდა იქნას გამოძიებული, ხოლო ძალადობის წამქეზებელი და ჩამდენი ყველა პირი უნდა წარსდგეს კანონის წინაშე.

ვადასტურებთ მზაობას და ვაგრძელებთ ჩვენს ხელშეწყობას, რათა საქართველომ დაიცვას ლგტბქი+ თემის უფლებები, აღიკვეთოს დისკრიმინაცია და ძალადობა, გააძლიეროს ლგტბქი+ ადამიანების დაცვა, შეამციროს მათი უსახლკაროდ დარჩენის საფრთხე და უზრუნველყოს განათლებაზე, დასაქმებასა და ჯანდაცვაზე წევდობა.

ევროკავშირის წარმომადგენლობა საქართველოში /
EEAS>Georgia>/

06.07.2022, 22:36 ქართული ვიკიპედიიდან.

აღნიშნული განცხადება სრულად წარმოაჩენს აშშ-სა და ევროკავშირის ჩვენდამი განხორციელებული პოლიტიკის ძირეულ არსს. ფაქტობრივად, მასში რეალიზებულია ჩვენს მიერ განხილული ლიბერალ-ფილოსოფოსთა ნააზრევი, რომელსაც შესაძლოა ვერ წვდებოდეს არა მარტო რიგით ქართველთა გონება, არამედ თვით ამერიკელთა ფეხის ხმას აყოლილი ევროკავშირელებისაც.⁹⁹

თავი 8. ერიკ ს, რეინერტის წიგნი: „როგორ გამდიდრდნენ მდიდარი ქვეყნები და რატომ რჩებიან ღარიბი ქვეყნები ღარიბებად“

გამომცემლობა საზოგადოების კვლევის ცენტრი, თბილისი, 2019 /საქართველოს ღია საზოგადოების მხარდაჭერით/. რეცენზენტია გაეროს გენერალური მდივნის მრჩეველი ეკონომიკური განვითარების საკითხებში, ეკონომიკური განვითარების სპეციალისტების საერთაშორისო ქსელის (იდეას) დამაარსებელი და თავჯდომარე ბატონი კ.ს. ჯომო./გვ.12

ავტორი ნორვეგიელია, ეკ.მეც. დოქტორი, მსოფლიოს მართვისა და განვითარების სტრატეგიების პროფესორი, პლანეტის ერთერთი უდიდესი წამყვანი ჰეტროდოქსული განვითარების ეკონომისტი.

იგი აღნიშნავს:...ამერიკის შეერთებული შტატების ისტორია ყველაზე რელევანტურია დღევანდელი ღარიბი ქვეყნებისათვის. /რაც მიღწეულ იყო ბრიტანეთთან ეროვნულ განმათავისუფლებელი ბრძოლის შედეგად/.გვ.10

1970 წელს დაწყებული სამი „განვითარების ათწლეულის“ პერიოდში განხორციელებული მასობრივი ეკონომიკური ტრანსფერებისა და „განვითარების ხელშეწყობაზე“ დახარჯული ტრილიონობით დოლარის მიუხედავად, სიტუაცია ისევ მძიმეა და ბევრგან კიდევ უფრო უარესდება. **მსოფლიოს მოსახლეობის ნახევარი დღეში 2 დოლარზე ნაკლები თანხით ცხოვრობს და ბევრ ქვეყანაში რეალური ხელფასების ყველაზე მაღალი მაჩვენებელი შორეულ 1970-იან წლებში დარჩა.** გამოთვლების მიხედვით, 1750 წელს, მდიდარ და ღარიბ სახელმწიფოებს შორის უთანასწორობის მაჩვენებლის შეფარდება 2:1 იყო; მას მერე იგი კიდევ უფრო გაიზარდა.

მოცემული წიგნის მიზანია ამ შედეგების გამომწვევი მექანიზმების მსოფლიოს ნებისმიერ წერტილში მყოფი „დაინტერესებული დილექტანტისთვის“ გასაგებად ახსნა,...ეს წიგნი, გაბატონებული ეკონომიკური აზროვნების პოპულარიზაციად არ უნდა მივიჩნიოთ. პირიქით, ესაა მცდელობა, ხელი შეუწყოს მიმდი-

ნარე პროცესს, რომელიც არსებული ეკონომიკური პოლიტიკის ჭეშმარიტების უარყოფას ემსახურება. ასევე ნაშრომის მიზანია, აღადგინოს დიდი ხნის ეკონომიკური ტრადიცია, ეკონომისტების ხელთ არსებული ერთადერთი ლაბორატორიიდან,-ისტორიიდან./გვ.20

...ნეოლიბერალი ეკონომისტები ამტკიცებენ, რომ ეკონომიკური ზრდა და კეთილდღეობა თავისთავადი მდგომარეობა იქნებოდა, თუკი ბაზარზე ჩარევები გამოირიცხებოდა...

...ჩვენ უნდა გავერიდოთ ისეთ თეორიას, რომელიც ეკონომიკურ წყობას წარმოაჩენს წინასწარ განჭვრეტილ ღვთიურ ან მათემატიკურ ჰარმონიად და დავუბრუნდეთ ისეთს, რომელშიც ამგვარი ჰარმონია გაცნობიერებული პოლიტიკის შედეგი იყო../გვ.24

...დღევანდელი პანგლოსური ეკონომიკური თეორია იქმნება ზემოდან ქვემოთ და ეფუძვნება დაუსაბუთებულ ვარაუდებსა ანდა მეტაფორებს... ეს თეორია ხატავს ჰარმონიულ სამყაროს, რომელიც სპეციალურად, არსებული თეორიული მოდისთვისაა შექმნილი. ალტერნატიული თეორია კი, რომლის აღორძინებასაც ზოგიერთი ჩვენგანი ცდილობს, აშენებულია ქვემოდან ზემოთ, ემყარება რა დაკვირვებებს არსებულ რეალობაზე, რეალობაზე, რომელიც ხშირად ხელს უშლის ეკონომიკურ განვითარებას. ..განვითარება კი უნდა დავინახოთ ისეთი, როგორც ის ყოველთვის იყო გაცნობიერებული და წინდახედული პოლიტიკის შედეგი.

პანგლოსური ლოგიკის ერთ ერთი გამორჩეული თვისებაა, რომ ყველაფერი რაც ხდება, რაციონალიზებულია იმგვარად, რომ ეწინააღმდეგება აზროვნების სამართლიან ფორმებს და საღ აზრს. მაგ., ვაშინგტონის ინსტიტუტები ზოგჯერ ამტკიცებენ, რომ მესმე სამყაროდან სასოწარკვეთილი, ღარიბი ადამიანების დრამატული მასობრივი გადინება, რომელიც რეალურ სამუშაო ადგილების ნაკლებობითაა გამოწვეული, “საბოლოო ჯამში სასიკეთოა“, ვინაიდან მათ მიერ უმუშევარი ნათესავებისათვის გაგზავნილი ფული ამ ღარიბი ქვეყნების საგადამხდელო ბალანსს აუმჯობესებს./გვ.25

....სიღარიბე ხდება რასის, კულტურის ან გეოგრაფიის შედეგი,- ყველაფრის, გარდა ორთოდოქსული ეკონომიკისა. გამომდინარე იქიდან, რომ პანგლოსური ეკონომიკური მოდელი სრულყოფი-

ლად მიიჩნევა, ნებისმიერი მისი ჩავარდნა კი არაეკონომიკური ფაქტორებით უნდა აიხსნას./გვ.26

...სამოქალაქო საზოგადოების შენარჩუნება, რომ აღარაფერი ვთქვათ „პროგრესის“ მსგავსი რამის მიღწევაზე, მოითხოვს უზარმაზარ ძალისხმევას და მუდმივ სიფხიზლეს. განმანათლებლობისა და კომერციული საზოგადოებების რეფორმები, რომლებიც უეცრად მოადო ევროპას, სწორედ კანდიდის სულისკვეთებითაა დავალებული,.... დღეს ეკონომისტები და პოლიტიკოსები, მკვდარი თეოლოგების თვითრწმენითა და მზრძანებლობით გაუთავებლად გვმოდრავენ, რომ მსოფლიო სრულყოფილი გახდება, თუკი ჩვენ Laissezfaire პრინციპების მიხედვით ვიმოქმედებთ და ნებას მივცემთ ინდივიდუალურ ინსტიტუტებს (რომლებიც, როგორც წესი, „რაციონალურად“ მიიჩნევა) იურთიერთქმედონ თავისუფლად, ყოველგვარი ჩარევის გარეშე, გარდა ყველაზე აუცილებელი მდგომარეობისა. ზოგიერთნი იმასაც კი ამტკიცებენ, რომ ჩვენ უნდა მოვახდინოთ საზოგადოების ისეთი პირველ ხარისხოვანი ინსტიტუტების პრივატიზაცია, როგორცაა სასამართლო სისტემა და სოციალური „ბაზრის“ ღვთიურ ჰარმონიას სრულად დავუმორჩილოთ:./გვ 27

...1817 წლის, დევიდ რიკარდოს ვაჭრობის თეორია, ჩვენი გლობალური ეკონომიკური წესრიგის ქვაკუთხედად გადაიქცა. თუმცაღა ჩვენ ვხედავთ, რომ ზოგოიერთ შემთხვევაში თავისუფალი ვაჭრობა ადამიანებს აღარბეზს, დასავლეთის ქვეყნები კი კვლავ თავმომწონედ ცდილობენ მის ხელშეწყობას და უფრო და უფრო მეტ დახმარებას გასცემენ მისი დანერგვის წასახალისებლად. შესაბამისად, მეტი დახმარების გაცემის მომთხოვნთა კეთილი ზრახვების მიღმა, დომინანტური ეკონომიკური „ჭეშმარიტების“ უგუნურობა იმალება, რომელსაც რეალურ პოლიტიკაში ახორციელებენ. ამრიგად, გლობალური თავისუფალი ვაჭრობის დოგმა აგრძელებს არსებობას მაშინ, როცა იდეალიზმი და დიდსულოვნება სურეალისტურ და ზოგჯერ სულაც კრიმინალურ და კორუმპირებულ სინამდვილეს ნიღბავენ. დღეს გაბატონებული ეკონომიკური თეორიის პრობლემების გაგება და ალტერნატიული მიდგომების გაცოცხლება აუცილებელ საწყის წერტილს წარმოადგენს.

მოცემული წიგნის პირველი თავის მიზანია ახსნას სხვადასხვა ტიპის ეკონომიკური თეორიების არსებობა და ის სხვაობა, რომელიც მუდმივად შეიმჩნევა „მაღალფარდოვან თეორიულ“

რიტორიკასა და პრაქტიკულ რეალობას შორის ეკონომიკური პოლიტიკის კუთხით. მეორე თავი კვალდაკვალ მიუყვება ავტორების დღევანდელი კანონიკური თანმიმდევრობის ევოლუციას, დაწყებული ფიზიოკრატებით, ადამ სმიტითა და დევიდ რიკარდოთი გაგრძელებული და დღევანდელი სტანდარტული ეკონომიკური თეორიებით დამთავრებული. ეს ტრადიცია უპირისპირდება გაცილებით ძველ და ნაკლებად აბსტრაქტულ ეკონომიკის „სხვა კანონს“, რომელმაც დღევანდელ მდიდარ ქვეყნებს შეუქმნა ეკონომიკური პოლიტიკის გზამკვლევი სიღარიბიდან სიმდიდრეში გადასვლის ისტორიული ტრანზაქციის პერიოდში. მაგალითად, ინგლისის წინსვლა 1485 წლიდან, მეორე ომის შემდგომ მარშალის გეგმამდე.

მესამე თავში ვასაბუთებ, რომ ის, რასაც განმანათლებელი ეკონომისტები უწოდებდნენ ემულაციას (მიბადვა),-წარმოადგენს წარმატებული განვითარების საფუძველს... /გვ. 30

თავისუფალი ვაჭრობის მხარეს ბევრი კარგი არგუმენტიოა, თუმცა მე-4 თავი ამტკიცებს, რომ დევიდ რიკარდოს არგუმენტი მათ არ განეკუთვნება. წარმოების ეკონომიკაში ჩაღრმავება ცხადყოფს, რომ გლობალიზაციის საუკეთესო არგუმენტები, იმავე დროს საუკეთესონი არიან ღარიბი ქვეყნების მსოფლიო ეკონომიკაში მოუმწიფებელი ინტეგრაციის პრევენციისათვის.../გვ.31

ნ მე-5 თავი ამტკიცებს, რომ დღეს ბევრ ღარიბ ქვეყანაში, ჩვენ ვხედავთ განვითარებისა და პროგრესის საწინააღმდეგოს, რაც რეგრესსა და პრიმიტივიზაციას წარმოადგენს. ამის გამომწვევი მექანიზმები ახსნილია მონღოლეთის, რუანდის, და პერუს მაგალითებზე... ლოგიკა, რომელიც მოკვდა ბერლინის კედელთან ერთად, მდგომარეობდა იმაში, რომ უმჯობესია გაგაჩნდეს არაეფექტური წარმოების სექტორი, ვიდრე ის საერთოდ არ გქონდეს. თავის მხრივ, ამგვარმა მიდგომამ გამოიწვია რეალური შემოსავლების კლება აღმოსავლეთ ევროპის, აზიის, აფრიკისა და ლათინური ამერიკის ბევრ ქვეყანაში.

მე-6 თავში განხილულია გაბატონებული ეკონომიკური მიმდინარეობების ბოლოდროინდელი პასუხები სიღარიბის მიერ შექმნილ გამოწვევებზე.../გვ 33

მე-7 თავში მე ვამტკიცებ, რომ განვითარების ისტორიული პროცესების ცოდნას ძალუმს აგვაშოროს ისეთი პოლიტიკა, რომელიც ერთი შეხედვით ლოგიკური, თუმც რეალურად ზიანის

მომტანი იქნებოდა. თავისუფალი ვაჭრობისაგან განსხვავებით, რომელიც ღარიბ ქვეყნებში ძალდატანებით ინერგება, მდიდარი ქვეყნები მესამე სამყაროდან აგრარული ნაწარმის იმპორტს ზღუდავენ და სანაცვლოდ სუბსიდირებას უკეთებენ საკუთარ სოფლის მეურნეობას, ... მსოფლიო ვაჭრობის ორგანიზაციის დღევანდელი რიტორიკის თანახმად, სამხრეთი ღარიბად რჩება ჩრდილოეთის მიერ საკუთარი სოფლის მეურნეობის პროტექციის გამო..../გვ 34

... ახლანდელი შიმშილობა არსებითად გამოწვეულია დაბალი მსყიდველობითი უნარითა და არა საკვების მარაგის დეფიციტით მსოფლიოში-...

ეს წიგნი ამტკიცებს, რომ საჭიროა შეთანხმება, რომლის მიხედვითაც პირველ სამყაროს უნდა ჰქონდეს უფლება, დაიცვას საკუთარი სოფლის მეურნეობა, მაშინ, როცა მესამე სამყაროს ექნება უფლება, დაიცვას მისი წარმოებისა და განვითარებული მომსახურების სექტორები. ეს არის ერთად-ერთი პოლიტიკა, რომელიც შეესაბამება ბოლო 500 წლის წარმატებული განვითარების გზას./გვ 35

ჩვენ ყველამ დავივიწყეთ, თუ როგორ უნდა შევქმნათ მდიდარი სახელმწიფოები, - ხელოვნება, რომელიც სულ რაღაც 50 წლის წინ ჯერ კიდევ წარმატებულად გამოიყენებოდა და სიღარიბის გამოწვევებზე ჩვენი დღევანდელი პასუხი, მიუხედავად კეთილშობილური განზრახვისა, უმეტესად წარმოადგენს შეტევას სიღარიბის სიმპტომებზე და არა მის გამომწვევ ღრმა მიზეზებზე. მე-7 თავი ფოკუსირებულია „ათასწლეულის განვითარების მიზნებზე“, რომლებიც ისეთ მნიშვნელოვან ამოცანებს მოიცავს, როგორცაა იმ ადამიანთა რაოდენობის ორჯერ შემცირება, რომლებიც დღეში ერთ დოლარზე ნაკლებს მოიხმარს. ამასთანავე, ამ მიზნებში შედის მოშიმშილეთა რაოდენობის განახევრება, დაავადებათა და ბავშვთა სიკვდილიანობის შემცირება, ისევე როგორც განათლებასა და გარემოს დაცვასთან დაკავშირებული მიზნები. ჩემი მტკიცებით, ორივე-„ათასწლეულის მიზნები“ და კამპანია: „აქციე სიღარიბე ისტორიად“, ზედმეტად მიკერძოებულია პალიატიური ეკონომიკის მიმართ, რომლის მიზანიც სიღარიბით მიყენებული ზიანის შემსუბუქებაა და არა იმ ფუნდამენტური სტრუქტურული ცვლილებების გატარება, რომლებიც ნამდვილ ეკონომიკურ განვითარებამდე მიგვიყვანდა. დემოკრატიისა და განვითარების ხელშეწყობის ნაცვლად, ეს მიდგომა, კეთილი

ზრახვების მიუხედავად მიგვიყვანს სახეცვლილ საქველმოქმედო კოლონიალიზმამდე, სადაც მდიდარი ქვეყნები შეინარჩუნებენ ღარიბებზე პოლიტიკურ ძალაუფლებას.../გვ.36

...როდესაც ვამტკიცებ, რომ მსოფლიოს ღარიბთათვის დახმარებას, განვითარებას ვამჯობინებ, მსურს მხარი დავუჭირო ისეთ განვითარებას, რომელიც საბოლოოდ მათთვის იმუშავებს და არა ისეთ პასიურ ფულად დახმარებას, რომელიც საბოლოოდ ფარულ კოლონიალიზმად იქცევა.

დასკვნითი მე-8 თავი აჩვენებს იმას, თუ როგორაა შესაძლებელი საშუალო შემოსავლის მქონე ქვეყნების წარმოქმნა, სადაც ყველა მკვიდრს გააჩნია მიზანი, პრეტენზია ცხოვრებისეული საჭიროებების უზრუნველყოფაზე და ოდნავ მაინც ტკბება სიცოცხლით....

...ამ წიგნის თეორიული ბაზისი ევოლუციური ანდა შუმპეტერისეული ეკონომიკაა.../ გვ.37

...მდიდარი ქვეყნები იმიტომ გამდიდრდნენ, რომ ათწლეულების, ხშირად კი საუკუნეების განმავლობაში მათი სახელმწიფოები და მმართველი ელიტები ქმნიდნენ სუბსიდირებას უკეთებდნენ და იცავდნენ დინამიკურ ინდუსტრიებსა და სერვისებს. ყველა მათგანი, იმ დროისათვის ყველაზე წარმატებულ ქვეყნებს ბაძავდა, გადმოჰქონდათ რა მათი პროდუქტიული სტრუქტურები იმ სფეროში, სადაც ტექნოლოგიური ცვლილებები მიმდინარეობდა. ამ გზით მათ შექმნეს რენტები, რომელიც გავრცელდა კაპიტალისტებზე-გაზრდილი მოგების, მშრომელებში-გაზრდილი ხელფასების, ხოლო მთავრობებში უფრო ფართო საგადასახადო ბაზის სახით. გვ 38. არსებითად **კოლონიალიზმი არის სისტემა, რომელიც კოლონიებში ამგვარი ეფექტების წარმოქმნის პრევენციას ცდილობს.** ღარიბი ქვეყნები სპეციალიზდებიან იმ საქმიანობაში, რომელიც შემდეგი სამი მახასიათებლიდან ერთს ამ მეტს მოიცავს: ა).მათ აქვთ კლებადი და არამზარდი უკუგება; ბ).მათ არ გააჩნიათ ცოდნის აკუმულირების პოტენციალი; და გ).მიღებული ცოდნა -ადგილობრივი დოვლათის შექმნის ნაცვლად,-გადაეცემათ მათ კლიენტებს მდიდარ ქვეყნებში იაფი ფასების სახით. ამ კუთხით, ის, რასაც ჩვენ „განვითარებას“ ვუწოდებთ, რეალურად ცოდნასა და ტექნოლოგიებზე დაფუძვნიებული რენტაა, რომელიც შემცირების ნაცვლად კიდევ უფრო იზრდება განვითარების სხვადასხვა ეტაპზე მყოფ ქვეყნებში თავისუფალი ვაჭრობის მე-

შვეობით.../გვ.39

თავი 1. ...ეს წიგნი, გლობალიზაციას, ჰარვარდის ბიზნეს სკოლის მეთოდოლოგიის მსგავსად აანალიზებს, მაგრამ , იმ მიზნით, რომ მაქსიმალურად გაზარდოს რეალური შემოსავლები და არა მოგება... /გვ.45

მდიდარი ქვეყნები გავრცელებული არასრულყოფილი კონკურენციისა და მზარდი უკუგების მომტანი საქმიანობისადმი არიან მიდრეკილნი. როგორც თანდათან გავაცნობიერე, ყველა მათგანი ზუსტად ერთი და იმავე საშუალებით გამდიდრდა.-პოლიტიკით, რომელმაც ისინი ნედლეულიდან და კლებადი შემოსავლებიდან გადაიყვანა მრეწველობაში, სადაც საპირისპირო კანონები მოქმედებს. ასევე აღმოვაჩინე, რომ დროის სვლასთან ერთად საკვანძო ტერმინების მნიშვნელობა შეიცვალა. დაახლოებით 300 წლის წინ, ინგლისელმა ეკონომისტმა ჯონ ქერიმ (1649-1720) „თავისუფალი ვაჭრობა“, შემოგვთავაზა, მაგრამ ამის პარალელურად, ისე იყო აღშფოთებული ვაჭრების მიერ ნედლი მატყლის საზღვარგარეთ გატანის გამო, რომ ის და მისი თანამედროვენი განიხილავდნენ „ექსპორტიორების სიკვდილით დასჯას“. იმ დროს „ თავისუფალი ვაჭრობა“ აღნიშნავდა მონოპოლიის და არა ტარიფების არარსებობას. სწორედ ქერისეულმა „მრეწველობის კულტმა“ ჩაუყარა შემდგომ საძირკველი ევროპის სიმდიდსრეს. /გვ.49

...1158 წელს ეპისკოპოსმა ოტო ფრაიზინგელმა გაიმეორა კარგად ნაცნობი რამ, რომ „ადამიანური ძალა და სწავლება აღმოსავლეთიდან იღებს სათავეს“...ცალსახაა, რომ ევროპისა და დასავლეთის შეხედულება დანარჩენ მსოფლიოზე, დიდი ხნის განმავლობაში გულმოდგინედ იფილტრებოდა სხვა ხალხებისა და კულტურების წინააღმდეგ მიმართული მცდარი ევროცენტრული შეხედულებებით...მუჰამედის მოღვაწეობიდან ვენის ალყამდე ათასი წლის განმავლობაში, ევროპა გამუდმებით იცავდა თავის აღმოსავლეთ და სამხრეთ საზღვრებს მოლოლებისა და ისლამისაგან, რაც რა თქმა უნდა, ნაწილობრივ თავად ევროპის აგრესიული პოლიტიკის შედეგი იყო...

საბოლოოდ რამ გახადა ევროპა ასე ძლიერი? და-დღევანდელ მსოფლიო შემოსავლებში ამხელა სხვაობის შემხედვარე,-როგორ და რატომ იყო 1700-იანი წლების ევროპაში განვითარება ასე თანაბრად გადანაწილებული, ჩრდილოეთ შვედეთთან ხმელთაშუა

ზღვამდე? ევროპის წინსვლას ნამდვილად ბევრმა ფაქტორმა შეუწყო ხელი: მისი ენერჯო რესურსების (ქვანახშირის) გეოგრაფიულმა მდებარეობამ; მოგვიანებით კოლონიების საკვებზე, ტყესა და ბაზარზე ხელმისაწვდომობამ; მაგრამ, ასევე მისმა სისასტიკემ, რელიგიურმა ფანატიზმმა, ორგანიზაციულმა უნარებმა, ინსტიტუციურმა შემოქმედებამ (მაგ. ორმაგი აღრიცხვის ბუღალტრული სისტემის შექმნამ) და ინტელექტუალურმა ცნობისმოყვარეობამ. /გვ.60-61

მთავარი სტრატეგია, რამაც ევროპის ამგვარი თანაბარი განვითარება განაპირობა, იყო ის, რასაც ემულაციას (მიზამო, გაუთანაბრდე, დაჯახნო) უწოდებენ. იგი აქტიური, პოზიტიური მოქმედების მცდელობას ნიშნავს. იგი ახლოსაა კონკურენციის მცნებასთან. /გვ. 62

... ქვეყანა უნდა სპეციალიზდებოდეს ეკონომიკის იმ დარგში, რომელშიც ის, შედარებით, ყველაზე ნაკლებად არაეფექტიანია.. /გვ.63

ევროპელებმა ადრევე შეამჩნიეს, რომ მასობრივი სიმდიდრე გავრცელებული იყო მხოლოდ იმ ტერიტორიებზე, სადაც მიწათმოქმედება არ არსებობდა ან მხოლოდ უმნიშვნელო როლს თამაშობდა, და იგი მსხვილ ქალაქებში თავმოყრილი წარმოების განსხვავებული სახეობის გვერდით მოვლენად აღიქვეს. /გვ.66

...ევროპის ეკონომიკური პოლიტიკა საუკუნეების მანძილზე ემყარებოდა რწმენას, რომლის მიხედვითაც, მრეწველობის სექტორის დანერგვა გადაჭრიდა იმ დროისთვის ფუნდამენტურ ეკონომიკურ პრობლემებს და მოიტანდა უაღრესად საჭირო სამუშაო ადგილებს, უფრო მაღალ ხელფასებს, გაზრდილ საგადასახადო ბაზასა და ვალუტის უკეთეს მიმოქცევას. იტალიელ ეკონომისტ ფერდინანდო გალიანეს სიტყვებით „მრეწველობის განვითარებისაგან უნდა ელოდო კაცობრიობის ორი უმთავრესი დაავადების, ცრუმორწმუნეობისა და მონობისაგან განკურნებას“, ბევრი ამას ყურადღებას არ აქცევს. /გვ.67

..“ვამინგტონის კონსენსუსმა“ მტკიცედ აკრძალა ემულაციის ინსტრუმენტები, რომლებიც ჩვენი მტკიცებით, 500 წლის განმავლობაში-გვიანდელი 1400-იანებიდან დაწყებული, 1950-იანი და 1960-იანი წლების მარშალის გეგმით დამთავრებული-მიღწეულ შთამბეჭდავ წარმატებებს განაპირობებდა. /გვ.69

თავი 2. მიდიდარ ქვეყნებს აქვთ მიდრეკილება ღარიბ სახელ-

მწიფოებს ძალით მოახვიონ თავს ის თეორიები, რომლებსაც თავად არასდროს მისდევდნენ და ალბათ არც არასდროს გაჰყვებიან... /გვ.74

...გლობალური თავისუფალი ვაჭრობა წარმოადგენს ქიმერას და ისინი, ვინც განვითარების გარდამტეხ მომენტში ყველაზე ნაკლებად იწამა მისი, მსოფლიოს ყველაზე წარმატებული ეკონომიკების მქონე ქვეყნებად იქცნენ. .../გვ.75

...დღევანდელი ეკონომიკური წესრიგის საბაზისო თეორია ამტკიცებს, რომ თავისუფალი ვაჭრობა მიგვიყვანს საწარმოო ფაქტორებზე ფასების გათანაბრებამდე, რომლის მიხედვითაც ფასი სამუშაო ძალასა და კაპიტალზე მთელ მსოფლიოში ერთნაირი იქნება... /გვ.77

ქვეყნის სპეციალიზება მისი „შედარებითი უპირატესობის“, მიხედვით, ნიშნავს იმას, რომ მისი სპეციალიზაცია იმ სფეროებში ხდება, რომელშიც ის სხვა ქვეყნებთან შედარებით ყველაზე ეფექტიანია..../გვ.78

საუკუნეების განმავლობაში გაბატონებული იყო მხოლოდ გამოცდილებაზე დაფუძნებული ეკონომიკური თეორია...

ცივი ომის მსოფლმხედველობამ გამოცდილებაზე დაფუძნებული „სხვა კანონის“ ტრადიციის ფაქტობრივი განადგურება გამოიწვია..../გვ.85

...ეკონომიკის დარგში ნობილეს პრემიის ორმა ლაურიატმა ორი ურთიერთსაწინააღმდეგო თეორია შექმნა იმის შესახებ, თუ რა ბედი ეწევა მსოფლიოში შემოსავლებს გლობალიზაციის პირობებში.

პირველ თეორიაში, რომელიც „დაადასტურა“, რომ შეუფერხებელი საერთაშორისო ვაჭრობა „საწარმოო ფაქტორების ფასების გათანაბრებას“ გამოიწვევდა, რაც არსებითად ნიშნავს იმას, რომ წარმოების ფაქტორებში გადახდილი ფასი, -კაპიტალსა და შრომაში, -მთელ მსოფლიოში ერთი და იგივე იქნება.

მეორე თეორიის მიხედვით, რომელიც იმ ალტერნატიულ ტრადიციას ეფუძვნება ჩვენ რომ „სხვა კანონს“ ვუწოდებთ, შვედ ეკონომისტ გუნარ მირდალს სწამდა, რომ მსოფლიო ვაჭრობა მდიდარი და ღარიბი ქვეყნების შემოსავლებს შორის არსებულ სხვაობას კიდევ უფრო გაზრდიდა.

„ვამინგტონის კონსესუსის“ ეკონომიური პოლიტიკა, რომელიც

მსოფლიო ბანკისა და საერთაშორისო სავალუტო ფონდის ეკონომიკური პოლიტიკის ბაზისია, ექსკლუზიურად ეფუძვნება იმ თეორიას, რომელსაც პოლ სამუელსონი წარმოადგენს. 1990-იან წლებში განვითარებული მოვლენები მკაცრად ეწინააღმდეგება სამუელსონის იდეას, მაგრამ ადასტურებს მირდალის მტკიცებებს: **მდიდარი ქვეყნები, როგორც ცალკე ჯგუფი, მდიდარი სახელმწიფოების ერთიან კლასტერად ყალიბდება, მაშინ, როდესაც ღარიბები რჩებიან სიღარიბეში და მათ შორის უფსკრული უფრო იზრდება.** პოლ სამუელსონის თეორიას თითქოს შეუძლია ახსნას თუ რა ხდება მდიდარი ქვეყნების ჯგუფში, მაშინ, როდესაც გუნარ მირდალის თეორიას შესწევს ძალა აგვიხსნას ფარდობითი კეთილდღეობის ზრდა მდიდარი და ღარიბი ქვეყნების ჯგუფებს შორის. სამუელსონის თეორია საფრთხეს არ წარმოადგენს იმ ერებისათვის, რომლებმაც მზარდ უკუგებაში შედარებითი უპირატესობა უკვე მოიპოვეს. სამაგიეროდ, იგი უკიდურესად საზიანოა იმ ქვეყნებისათვის, რომლებმაც სალი ინდუსტრიული პოლიტიკის მინიმალურ ზღვარს ვერ მიაღწიეს.

იმ ტიპის თეორია, რომელიც მირდალმა შემოგვთავაზა, დღეს თითქმის აღარსად გვხვდება: ის არსებობას აგრძელებს ან ნაწილ-ნაწილ, ან დამახინჯებული ფორმით, რომელიც ნეოკლასიკურ ეკონომიკასთან „ახალი ინსტიტუციური ეკონომიკის“ სახითაა მიბმული. ის იშვიათად ისწავლება თანამედროვე მოწინავე უნივერსიტეტების ეკონომიკის მიმართულელებზე მისი პირვანდელი სახით. შესაბამისად ეკონომისტებს, როგორც ცალკე აღებულ ჯგუფს, არ სურთ თვალი გაუსწორონ იმას, რომ მდიდარი და ღარიბი ქვეყნების ურთიერთობების გასაგონად, მირდალს, შესაძლოა, სამუელსონზე უკეთესი გზა შემოეთავაზებინა.

ფარავს რა მსოფლიო განვითარების მხოლოდ ზოგად საფუძვლებს, სამუელსონის თეორიამ გარკვეულწილად იწინასწარმეტყველა წარმატებული განვითარება ქვეყნების ცალკე აღებულ ჯგუფებში. მდიდარი ქვეყნები მიდრეკილნი არიან თანაბარი სიმდიდრისაკენ, მაშინ როდესაც ღარიბები თანაბარ სიღარიბეში რჩებიან. ამის შედეგია ის, რომ „საშუალოდ მდიდარი“ ანუ საშუალო შემოსავლის მქონე ქვეყნები ქრებიან და ორი მჭიდრო ჯგუფი, მდიდრები და ღარიბები, გაბნევის დიაგრამა ზეიზოლირებულ კლასტერებად იქცევიან, როგორც ეს მირდალმა იწინასწარმეტყველა..../გვ.112

დღეს მსოფლიო ისევ იმყოფება შუა გლობალიზაციის პერიოდში

ოდში...ღარიბი ქვეყნების საწარმოო სტრუქტურები სულ უფრო ემსგავსება კოლონიალისტურს და იმ ეკონომიკურ თეორიებს, რომლებმაც კოლონიალიზმი მოიტანეს, ახლა ნეოკოლონიალიზმი მოაქვთ. სხვადასხვა სავაჭრო ხელშეკრულებებით აფრიკა გადაქცეულია ტერიტორიული ერთეულების კომპლექსურ ქსელად. ე.წ. სპაგეტის თეფშად (ტერმინი, რომელიც სიმბოლურად ვგამოხატავს თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულებების სიმრავლეს სხვადასხვა ქვეყნებს შორის), რის მეშვეობითაც ევროკავშირი და ამერიკა საკუთარი ინტერესის სფეროების გაფართოებას ცდილობენ.... აფრიკის ქვეყნებს საშუალება არ ეძლევათ ჰქონდეთ საჭირო სავაჭრო რეჟიმი.... /გვ.134-135 (თავი 3, თავი 4)

თავი 5... დეინდუსტრიალიზებული განვითარებადი ქვეყნებისათვის ევროკავშირისა და ამერიკაში სოფლის მეურნეობის ნაწარმის გატანა იმდენად მაცდუნებელია, რომ მათ ინდუსტრიალიზაციის სურვილი უქრებათ. თუნცაღა, ჯერ არც ერთი ქვეყანა არ გამდიდრებულა მხოლოდ საკვები პროდუქტების ექსპორტით, ინდუსტრიული სექტორის ქონის გარეშე. მდიდარი ქვეყნების მზარდი დამოკიდებულება ღარიბების მიერ წარმოებულ საკვებ პროდუქციაზე ქმნის საშიშროებას, რომ ამ უკანასკნელთ საკვები თავად აღარ ეყობ./გვ.296

...გლობალიზაცია, დეფაქტო მორგენტაჟს გეგმის გამოყენებით, „კოლონიალიზმის“ ახალ ტალღად იქცა: დღეს, ისევე, როგორც ხუთი საუკუნის წინ, კოლონია არის ქვეყანა, რომელსაც მხოლოდ ნედლეულის წარმოების უფლება აქვს./გვ.317

...დღეს გლობალიზაციის რიტორიკა „თავისუფალი ბაზრის, დემოკრატიისა და თავისუფლების,, სამეზაზეა დამყარებული.

თავი 6. ...სისტემური დახმარება განვითარებადი ქვეყნებისათვის, შესაძლოა გადაიქცეს „საქველმოქმედო კოლონიალიზმად“, რომლის მეშვეობითაც ხორციელდება დისტანციური კონტროლი. იქმნება ნეოკოლონიალური სოციალური კონტროლის დახვეწილი, შეუმჩნეველი და დაქვემდებარების მომტანი ფორმა იმ ქვეყანაზე, რომელსაც დახმარებას უწევენ. „ათასწლეულის მიზნები“ სწორედ ამის მაგალითია....

საქველმოქმედო კოლონიალიზმი დამოუკიდებლობას ართმევს ქვეყნებს, კეთილშობილური და გულუხვი, თუმცა, საბოლოოდ, ეთიკურად არასწორი პოლიტიკის მეშვეობით. ეს შობს დამბლის გამომწვევ დაქვემდებარებულობას ცენტრალურ და პე-

რიფერიულ ქვეყნებს შორის. ცენტრი ახორციელებს კონტროლს პერიფერიებზე, აყენებს რა მას ეკონომიკურად სრულიად დაქვემდებარებულ მდგომარეობაში, რისი მეშვეობითაც პოლიტიკური მობილიზაციისა და ავტონომიურობის პრევენციას ახდენს. / გვ.364

